

პრეზიდიუმი ვაჟა ქვიციანი, შერთვით!  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა

0-5  
2-73

114



121

163 1468

808



№ 5-6 (25-26)

წელიწადი მესამე.

სოციალ-დემოკრატიული საქართველოს, სალიბერალურ  
და სამეცნიერო ჟურნალი

ბათუმი - ივნისი

ბათუმისი. 1926 წელი



გ ა მ თ შ ც ე შ ე ლ ი : { საპარტვილოს პოლიტ-განათ-  
ლების მთავარ-მარტვილსა.

ს. შ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის შე-3 სტამბა.  
შეკვეთა № 1570 მთავლიტი 871. ტირაჟი 2.000.

## ქირულის პირას

ო, ეს არ არის რომანტიკა პროვინციალის.

ჩვენ მივევებოდით ღელთან ნაპირს.—  
გვეღიმებოდა ტყიდან იელი.  
სურო ფარავდა კოშკის ზედაპირს,  
როგორც ოცნება გონდოლიერის.  
იდგენ კლდეები—სიკვდილის პოზით  
და ზედ—კეხივით გაკრული ხიდი.  
გვაჯადოებდა მთვარის პიპნოზით  
დაბლა მდინარის ღუღუნის მშვიდი.  
ღამე ორბივით დაეცა მლაში.  
ალარ ტრიალებს მინდორსუ ცელი.  
და—ვით მადონა ალმასის ყდაში—  
იწლება მთების ლანდშაფტი ვრცელი.

ისეც მოწყურდა მე შენი ნახვა,  
შხარეო, უხვი პურის ყანებით—  
თან მომაქვს სუფთა გული, განზრახვა...—  
შენს ხსოვნას კრძალვით ვეთაყვანები.  
მახსოვს: ბავშობა, ტყე, სამწყესური  
და ფეხშიშველი ველზე სირბილი, —  
ბარაქით სავსე მიწა გლეხური—  
ქალის მკერდით სათუთი, რბილი.  
მიყვარდა ფოთლის ტრიალი ღერზე  
და შუადღეზე მწყერების ჭერა...  
რა კარგი არის ოცნება სერზე!  
...მე აქ სიცოცხლე უთუოდ მჯერა.

## საუკუნის გადასახედი

ამ საუკუნის კარზე მოველი,  
როცა დაბრუნდა ცეცხლის მორევი.  
მქონდა ოცნება დაუთოველი  
და სული მზესთან ნაამბორევი.  
უარი უთხარ განვილილ მირაეებს  
და გავყევ მიზნებს ახალ გეზიანს,  
ერთად მიჰქოდა ქარებს ყირაზე—  
ძველი ქვეყანა და პოეზია.

როცა მოვადენ ვულკანები, სულს უხაროდა,  
ვდედვი გრივალებს, შეძახოდა საესე ასაკი.  
ბევრჯერ სიკვდილი მისწორებდა თვალებს ხაროდან  
და სარმას მდებდა ბედი გიევი და ავიზაკი.  
დავკოცნე მიწა, როცა იგი პირველად ვნახე,  
მინდოდა ხარბად, როგორც ღვინო, მზე დამელია.  
ვიტყოდი: თუ დღეს უბედობა ჩემს მიზნებს დახვეს,—  
ხეალ მწვერვალები დიდებისა გზაზე უელიან.  
ამ საუკუნის ვადარევა მე ისე მწილდა,  
სამეფოდ მოსულს ამპარტავანს და თავემომწონეს,  
რომ ძველი ქვეყნის დასანგრევედ მოვიდა ვადა—  
ფიქრობდი ასე და ვკოცნიდი პირველ კოცონებს.

ჯერ ჩადვა ცეცხლი, იღარ ანათებს  
ქუჩებს ნაომარს მთვარე ელაში,  
მიგრამ ხანჯლები მომუხანათე  
კენს გარეშეშო ისევე ელავენ.  
მე ვხედავ ბეჭში დგებთან ძალე  
გადარეული ქარიშხალები  
და ვაფრენილი მერნებით ხეალე,  
წაეღენ მხედრები ცეცხლის თვალებით.



ამბავი მოვა: ახალ ჯარაზე  
 დაბრუნდა ბედი ქვეყნიერების,  
 მიზნები გავლენ გაშლილ შარაზე  
 არწივის ფრთებით და მზის ფერებით.  
 მე კიდევ მესმის მიწის ხანძარი.  
 მე კიდევ ვხედავ მიმავალ მხედრებს..  
 მოდის, მოგიგობს დიდი ხანძარი,  
 რომელიც ახალ მზეს შემახვედრებს.

უკვე დაიძრა გზებზე კინული,  
 ველარ ეტევა კლდეში ფონები.  
 დიდხანს ნაკედი და დარკინული  
 დგება მონების მილიონები.  
 სანამ მიზნები კიდევ შორია—  
 ეს ქარიშხალი არ გადაიღებს  
 და ატეხილი ცეცხლის ბორია,  
 დასძრავს მივარდნილ ველებს, ტაიგებს.  
 მეც თან მივუვები აშლილ ნაშქერებს,  
 ვერ შემაშინებს, გზა ნაპრალებით.  
 სივრცეში ეტოვებ ლამაზ ნამღერებს  
 და ვკოცნი მიწას ხარბი თვალებით.

გადაიღარებს. ეს საუკუნე  
 ჩვენს თაობასაც პირქვე დაიგებს  
 და ცეცხლი ებლა რომ დაგუგუნებს.—  
 დასწვავს ძველ კერპებს და თან წაიღებს.  
 გაივლის ტალღა ამხედრებული,  
 წავა დროები კვიმატიანი  
 და დიდ ბრძოლებში გათეთრებული,  
 ლეგენდებს დასწერს მემატიანე.

## სიტყვა გეგილან

ამხანაგებო! ეს ნაპირი, ეს ნავთსადგური,  
რომელსაც ებლა, როგორც ხედავთ, აწვიმს და ათოვს,—  
რომელიც ზღვებზე ისე გდია ვით თევზის გული—  
ჯჭოდებთ ბათოძს.

ჩვენში მედღა როგორც ხარი ისე ბლაოდა—  
ამბობენ: ცოდვას ხეც დაუწვავს, ხეს მოდებია,  
მაგრამ ნაპირი მაინც დაგვრჩა სანისლე ბაღათ—  
თევზებიც წყლიდან ბავშვებით იხედებიან.

მე აქ იალქნებს, როგორც პეპლებს ისე გავშლიდი,  
რადგანაც მათი დღეგრძელობა მე მედამ მსურდა:  
მაგრამ შორს მოსჩანა იაზონის წარბი—საშვილდე  
ვენახებს იქით, ხელწეორე გასატურდავთ  
შეატრიალე, მეგობარო, ორივე ანძა.

ასეთი ქარი არასოდეს აღარ გხლებია...

ჩემში იმ ცეცხლმა სიხარული ისევე აღძრა  
ებლა ნაპირზე რომ კიღია ფორთოხლებივით.

ჩქარა როგორმე მიმიჯვანე ნავთსადგურამდე  
თორემ აქ სული გამეყინა და ვეღარ თბება...

ხედავ, გრივალმა ხელმეორედ ვამანადგურა  
და ხელმეორედ დამაცუენდა სახეზე თმები.

მინდა თითები ეას ვესროლო მეჯავრებივით,  
რომ უფრო მეტი წამოვიდეს წვიმა და თოვლი.

ზღვაო, მე კიდევ სხვაზე უფრო შენ გყარებივარ,—  
მე შენს ნაკოტებს რომ ვიწვები შიშით და თრთოლვით.

ქვებიდან მოდის სურნელება გახსნილ მარბილს..

ვხედავ არდილი უეცარი და ფერ-მიხდილი  
ისე გაეკრა, როგორც ლანდი სამარიელის,  
როგორც მთებიდან მოვარდნილი მტრედების ჩრდილი.

ჩემო ზომალდო! გინდა სადმე იპოვო ტოლი  
რადგანაც იცი უეცარი წვა და ანთება—  
მაგრამ დაეტოვეთ ნაპირები ანატოლიის  
და ეს ნაცნობი ნავთსადგური მოგელანდება.

## მე ისევ ვდგავარ საღარაჯოზე...

პასუხი მეგობრებს.

რა ვქნა თუ ვერ მოვწორდი გაშლილ ველთა სიმშვიდეს  
და განთიადს ლობესთან:  
მითხრეს: გული გიშრება, გულს შრიალი გიშენებს...  
ნუ თუ ცეცხლი მოგბეზრდა!  
ვეიქრობ, მართლა ასეა და ეს გული ვომბორა  
გაშრა გამხმარ მორიფით?  
მგებ დამნაშავეა რომ ჩემს გულში მოგორავს  
სიყვარულის მორცევი:  
ლამე, შავი ლამურა, ქადრებს გადმოებურა,  
ვსვამ სიჩუმეს თვალებით...  
მითხარ, ცაო, პასუხი, ხნიადო და გროხუნაე  
მითხარ... ხომ გებრალეები!  
მაწინ ზტეა შეირბა და ჩურჩული მომესმა:  
— ვინ არის უმადური!  
ცა ციილას უცქირე, ისიც იყო ოდესღაც  
გრიგალის საბადური...  
გახსოვს დრო, გულ-ბორიო, როს ცაბადურს ფარავდა  
შავ ღრუბლების ფაფარი;  
გახსოვს, როს მიბლაოდა შორს ელევების ქარაევანს .  
ქარი, როგორც აფთარი:  
ებლა ცა მოფარჩულა, ქარიშხალი ჩაჩემდა;  
შორს ღრუბლებიც მიდიან...  
და ასეთ კარგ ღამისთვის ცას, მგონია, საჩუქრათ  
გულზე მთვარე ჰკიდია:—  
კაცის თვალი შეამჩნევს ვარსკვლავების შერბევას  
ცა ისეა ანკარა;



ნეტავ ვარსკვლავთ ფოთოლი ცის შტოებს რომ  
 თავზე გადამაყარა  
 ყვავილს გვერდს არ აჟირ... მიყვარს, მსურს უაღერსო  
 ყლორტებს ცისკენ აღერილს...  
 დღეს ცხოვრებას ღიმილით ბავებში გაეცხო,  
 მეც ამ ღიმილს უმღერი:  
 უმღერ ველებს, განთიადს, გოგოს მკერდებ ფიქალოს...  
 მთვარით გულსაც გავითბობ;  
 და თუ ბრძოლა მომთხოვეს, თუ წამოდგეტი გრიგალო,  
 იცი?... გულს შენ დაგიტობ.



## გველის პერანგი

რომანი

(დასასრული)

მ ა მ ა

თავი უკანასკნელი

### გველი პერანგს იხდის—

ბაბუა სარიდან მხეს ეფიცება. გაზაფხულის მზე ფერსათის კალიებზე მწველი არაა. ძელები გაუცივდა ბაბუა სარიდანს. რამდენი გაზაფხული გაუშლია მოხუცს?! იგონებს და ვერ გამოუენგარიშებია. ხსოვა ერთი ფენიდან გადადის მეორეში. გაზაფხული ყველა ფენებში ერთნაირია—(ასე გზნობს მოხუცი).

ბალაბი წელში იმართება: თვალისწინ იზრდება. კვირტი თითქო შუაზე იპობა: გულის გადმოლადგრა თუ სურს. ღერო ტანს იმაგრებს ნელი რხევით. ყლორტი მოწიფულა და ხავოს წვლილი ზორბლებით მზის მარცვლებს ეთამაშება. ტოტი ტოტს ეცილება—თვითონ სურს გადაიქცეს ხედ. ფოთოლი სქელდება და ფოთოლზე მატლი მილოლაეს ზმორით—(ისიც თუ სქელდება). ველი ათქვირებული და აზმორებს. თვითონ მზეც ზმორებით არის განელებული.

ბაბუა სარიდანიც აზმორებს. ფიქრობს: იგივე გაზაფხულია (რაც იყო: შარშან—შარშან წინ—იქით—იქით—სულ უკან და უკან). იგივეა—მაგრამ... მოხუცის ფიქრს რაღაცა კბენს. გვერდზე გაიხედავს: ვამებ უზედარ კვიცს იურვებს. კვიცი ხეზეა მიბმული. ვამებ საურველით ზამთარში მომდგარ ბალანს აცლის. კვიცი კიბვიანობს და ხტის; ხან ტორებზე დგება და ხან წიხლს ისვრის. ვამებ კვიცს იურვებს. ვამებ ველურ ცხენსაც დაიურვებს: მოქნილია და მაგარი—(ფიქრობს თავისთვის ბაბუა სარიდან). მოხუცის ფიქრს რაღაცა კბენს: იგივეა—მაგრამ... დასწყველოს სიბერე დემართმა: სარიდანს სადღა შეუძლია კვიცის დაურვება?! მოხუცი ვამებს უახლოვდება: მოსწონს შეილიშვალი.

— ვამებ! მატისი სადაა?!



მ ა რ ქ ე ნ ე უ ლ ი

— წყალზეა წასული.. აი კიდეც მოდის..  
სარიდან ხელით თვალებს იფარავს მზისაგან და მეტრეგ—შხრასსქტნ იყუ-  
რება. მატასის მოაქვს დიდი დოქი საესე. თვითონაც საესეა—(რით?! გაზაფხუ-  
ლით?!). ტანზე წყალი წესხმია. კაბა დასველებია და წვიმებს ეტმასნება. მალა-  
ლი თეძოები ოდნავ გაგანიერებია—(აქაც გაზაფხულია?!).

— შვილო!. მატასი!.

— სარიდან!. ბაბუა!.

— წყალი დამალევიწე!.

— მიირთვი!.

მატასი დოქს აწოდებს. მოხუცი მოსემს—(„აიპ რა ცივია“). მატასი დოქს  
გამოართმევს. მოხუცი განზე იხედება.

— ესენი ვინ არიან შვილო?!

— სტუმრები..

არჩიბალდ და ტაბა ტაბაა ვენახისკენ ეწევიან.

— სტუმრები..

იმეორებს თავისთვის მოხუცი. აღარ უჭრის თვალს?! დაიქცეს სიბერე.  
სარიდან მიშავალ მატასის თვალს გააყოლებს. თვალს არჩიბალდიც აყოლებს  
მატასის. მატასი გრძობს მის მზერას. კაბას ისწორებს: მაგრამ კაბა ისევ ეტ-  
მასნება. წვივები ილეწებიან. თეძოებს ათქვირება ეტყობათ. არჩიბალდ თვალს  
ვერ აცილებს—(რას შეხედა?!). სადღაც სიღრმეში რალაც აეშალა: როგორც  
წყაროს თვალი ამომშრალი წყაროს ტანიდან. მატასი თავსაფართი სახეს იფა-  
რავს—(სიწითლე თუ სწევას). მიდის დარცხენით. მოაქვს საესე დოქი. თვითო-  
ნაც საესეა. რით?! არ იცის მან. ეს ეხლა არჩიბალდმა უფრო იცის. მოხუცი  
მზებას იგონებს უეცრად: თავის ცოლს გარდაცვლილს. ისიც ასე იყო ასხლე-  
ტილი. მოხუცი ხედავს: მატასის—(არა: მზებას)—წყალი მიაქვს დოქით. „იგი-  
ვეა—მაგრამ“... დაიქცეს სიბერე... არა: გაზაფხული ერთი და იგივე არაა—(ვი-  
ლაც ფიქრობს მოხუცის მაგიერად თითქო).

არჩიბალდს მზერით მიაქვს მატასის ტანი.

გოგირდისფერ თვალებს ეს მზერა ვერ დაემალება.

— რა ლამაზი გოგოა მატასი!.

თან უხარია: ამ სიტყვებს რომ ამზობს ტაბა.

არჩიბალდ წაიღულულულებს თავისთვის:

— ლამაზია.. ლამაზია..

უეცრად ლულული წყდება: მათ წინ მოზრდილი ხელიკი გაირბენს. არ-  
ჩიბალდ შეირბევა და შეკრთება. მის გულში ეხლა „ხელიკისფერი თვალები“  
ფათურობენ—(ოღვა აგონდება). გოგირდისფერ თვალებს ტაბამასს არც ეს და-  
ემალება. სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი ცდილობს შეიანლოს მეგობრის  
გუნება.

— ყველაფერი ცვლია.. სიცოცხლე ცვლია..

— მაგრამ ცვლაში არა რჩება რა?!

— რჩება: მაგრამ მისი ხელშეხება ძნელია..



— სიცოცხლის სიტკბო კი ეს ხელშეხებაა..  
 (არჩიბალდს დაღაეს ოლგას უცარი ლანდი)  
 — ხელშეუხებელიც ტკბილია.. თუ შეიგზნე..  
 — სწორედ მაგ „თუ“ არის ყველაფერი..  
 — ხედავ ამ კვირტს?! გაიშლება.. აყვავილდება.. ნაყოფს გამოიღებს.. შემდეგ: ნაყოფი დამწიფდება.. მოწყდება.. დაქცნება.. გაპქრება..  
 — მაშ ყველაფერი პქრება..  
 — არაფერი არ პქრება. „ერაი“ „სხვაში“ გადავა..  
 — მაგრამ ეს „სხვა“ ის რომ არ იქნება: პირველი?!  
 — „ისიც“ იქნება.. იმაშია ყველაფერი მოქცეული..  
 — ძნელი საგზნობია..  
 — ტალღას გამოჰყოფ ოკეანიდან?! აიღებ პეშვით— „ტალღაა“: აი „ეს“— რომ ხედავ.. გადაუშვებ ოკეანეში— ალარაა: გაითქვიფა.. მაგრამ „ტალღა“ გაპქრა?!

არჩიბალდ სდუმს. ოლგას იგონებს. გაპქრა?! ტალღასავით გაითქვიფა?! არ გამიქრალა?! მაგრამ ხელს რომ ვერ შეახებს ვერაოდეს?! რომ ველარ იხილავს?! ვერაოდეს..

ტაბა განზე იხედება.

არჩიბალდ ჩერდება და ისიც იმ მხრით იხედება.

— გველი გველს თუ სჭამს?! თუ ყლაპავს..

ამბობს თავისთვის შეშინებული არჩიბალდ.

ტაბა წურავს გოგირდისფერ თვალებს.

— არა.. გველი პერანგს იხდის..

გოგირდისფერი თვალები გველს სალტავენ. გველი იკლავება— მაგრამ ვერ იძვრის წინისკენ. ეგებ პერანგი აკავებს. კრელი პერანგი წელამდე მოღუსნია. პერანგი გჟოლად მოცმია გველს: მეორე გველად. მზე გადახრაზეა: აცხუნებს. გველი ზმორებაა— თელემა— მოქნარება.. რის?! ნუ თუ მზის— გაზაფხულის მზის?! ზმორებაში— მოქნარებაში— თელემაში: გველი თავს იფიწყებს— რაღაცას სტოვებს უკან— ქერქს იცვლის. „განვლილს“ თუ სტოვებს: განვლილ სიცოცხლეს.

გოგირდისფერი თვალები გველს სალტავენ.

გველი ამრეზილია: თითქო ჯავრობს რომ სიმშვიდე დაურღვიეს. ერკვევა თელემიდან. თვალეში სიბრაზის კიაფი ურბენს. ენას იწვდის და ასივილებს. ტანს ეხლა უფრო ამოძრავებს. მაგრამ პერანგი მაინც აკავებს. ატორტმანდება მალლა (წელამდე) და ისევ მიწას ეცემა. თითქო ღრბლს ანთხვეს გესლიანი.

გოგირდისფერი თვალები გველს სალტავენ.

სპარსი თუ პინდუ თუ ეგვიპტელი მზერას არტყამს გველს.

გველი ავარდება— (დარტყმევა თუ იგრძნო: მაგრამ ვისი: მზის თუ კაცის თვალის?!). ტანს ატორტმანებს. პერანგი ორი გოჯის სიგრძეზე სცილდება.

ტაბა სდუმს. თვალებს არ ახამამებს. მხოლოდ ურტყამს საშინელ მზერას ქვეწარმავალს. გველი კიდევ ერთხელ ასწევს თავს. შემდეგ ტანს ააგდებს



მალა. გაიწევე-გამოიწევეს. ტაბას თვალეში გველს ბურღადენა მარჯვენა წვეთი  
მოსხლეტით გაგარდება გველის ხალასი ტანი და პერანგსა სტრეფსს.

ტაბა პერანგს ხელში იღებს. ათვლიერებს.

— ამაზე უფრო ნიშნული ქვეყანაზე არა არის რა..

ამბობს თავისთვის. ათაშაშებს ხელით ათასთვალა ქერქს: თითქოს იგი  
ულამაზესი საყელური იყოს ასტარტისი.

— ეს.. ქერქი.. ნიშნული?!

ეკითხება გაცეხებული არჩიბალდ.

ტაბა ტაბაა სიხაოულით გოგირდსა ჰყრის თვალეებიდან.

— ხედავთ!? გველმა თავის თავი დატოვა: მოიხსნა და დაავდო. აქ  
არის სიბრძნე.

არჩიბალდის გაცეხებას არა აკლდება რა.

— როგორ?!

— ისე უნდა უცქერდე საკუთარ წარსულს როგორც გველი უცქერს  
საკუთარ პერანგს: გახდილსა და დაგდებულს..

არჩიბალდ კიდევ ელის სიტყვას.

ტაბა ტაბაა არ აყოვნებს:

— სიცოცხლის ატანა ამ გზით თუ შეიძლება..

არჩიბალდ თავსა ხრის: თითქო სიმძიმეს ხედავს.

სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი შეცრად იწეებს უცნაური სიტყვების  
სროლას—(შელოცვა თუა). გველის პერანგს თვალს არ აცილებს. მოსწონს  
ღბილი ქერქის ფორაჯა ხტილები—(მის თვალეებსაც ხომ გადაჰყრავს ციალი  
ამ ხტილების). ბოლოს ჩერდება. მოხედავს არჩიბალდს. უკანასკნელს თავი  
დალუნული აქვს. და მოულოდნელ გველის ქერქს ყელზე ახვევს.

არჩიბალდს შიში აქვს გველის. აქვს ზიზღიც გველისადმი. მაგრამ ამ  
წამს არც შიში აქვს და არც ზიზღი. დგას უაზროდ და გაშტერებით შეგო-  
ბარს უმხერს. ხშირად სიხმარეული თავის სხეულს აღარ გრძნობს—(თითქო  
სხვისია იგი). არჩიბალდ ასეთს სიხმარეულს ჰგავს.

ტაბა ტაბაა ხსნის გველის პერანგს.

ლულულეებს თავისთვის:

— სიცოცხლის ატანა ამ გზით თუ შეიძლება..

არჩიბალდ არას უბნობს. თითქო უსიტყვოდ ეთანხმება. ტაბა ტაბაა იღი-  
მება. ღიმილში ორკოლი ფიქრია. არჩიბალდ გველის პერანგს ართმევს. აკვირ-  
დება კრელთვალა ხტილებს.

— ლამაზია?!

ეკითხება მეგობარი.

— ლამაზია.. ლამაზი..

## წყაროს თვალში—

ნუ თუ გველის პერანგმა მოაჯადოვა?!

არჩიბალდ ნივჭის ძირას ზის. ნივოზი იფოთლება—(როგორც მატასი?!.)



ფოთლებს მზის ტვერი ესხურება ხალასი—(როგორც მატასის ტყეში?) არჩი-  
ბაღდ მწვანე მოლს გასცქერს ჩრდილოვანს, მოლზე მზის ხატულა ჩაღვნიტია-  
ლოზენ. ფორაჯ ხალებში ხანდახან ქალის სახე გაირბენს. აქაც მატასი?!

არა: მართლაც მოაჯადოვა გველის პერანგმა.

იქვე ბაბუა სარიდან ზის, ტაბა ტაბაას „ქვის ვაეის“ ამბავს უთბრობს, ვამებ უსარგმნის უკანასკნელს. ხანდახან ტაბა ტაბაა თვითონაც მიმართავს ქართულს—(პოლიგლოტია: ენას მალე ითვისებს). ბაბუა სარიდან ზღაპარს ათა-  
ვებს. ჩიბუხს მოსწევს დ განზე აპურჭებს. ტაბა ტაბაა განცვიფრებით უც-  
ქერს, სარიდან კიდევ გააპურჭებს და დაატანს: „აბაა“.

— უძირა სილამაზით..

ამბობს ტაბა ტაბაა.

— ბაბუა! ერთი ტყის დედოფალის ამბავი მოგვიყვიე..

მიმართავს ვამებ.

სარიდან ჩიბუხს გააბოლებს და იწყებს ნელი თბრობით ზღაპარს. ჯერ:  
თუ როგორ ითრევეს მონადირეს თავის ქსელში ტყის დედოფალი. ხატულა შველს  
ახედრებს იგი მონადირეს—(შველი ნოთაა: შებლზე ნამგალა მთვარე აქვს  
ახატული). მონადირე თოფს ვერ ესერის შველს—(შეწირულია უკანასკნელი).  
შველს მიჰყავს მონადირე ტყეში. მონადირეს კვალი ეკარგება. შველი ჰქრება.  
მის ილაგს ტყის დედოფალი აკისკასდება. შემდეგ ბაბუა სარიდან შეუღდება  
დედოფალის აწერას. მოხუცი მისი სილამაზის გადმოცემისათვის დაუზოგვე-  
ლია, თვალეზი ღურსა: ლუში ზურმუხტი, თმა: ყვითელი ღელე მზის, ძუძუები:  
თეთრი რიყის ქვეები, და სხვა და სხვა. ბაბუა სარიდან როლში შედის, ჩიბუხს  
ხშირად აღარ მიმართავს; უფრო თბრობას ეწევა. ტყის დედოფალი მონადირეს  
აჯადოვებს. ქალი პირობას უდებს: მოკვდავ ქალთან არ შეცდეს, და ასე: ქვე-  
ვით და ქვეით: სულ ახალი და ახალი ჯადო და ხვითო ავხორციანი ვნების.

ბაბუა სარიდან ზღაპარს ათავენს.

გააპურჭებს და დაატანს: „აბაა“.

ტაბა ტაბაა განცვიფრებით ჩაილაპარაკებს:

— უშრეტია სილამაზით..

არჩიბაღდ განზე იხედება: თითქო არავის უსმენს. იგი ხედავს ტყის დე-  
დოფალს—(„ხელიკისფერი თვალეზი“ ანათებენ). ოღვა?! ჰო, შეიძლება.. მაგ-  
რამ რათა რომ დეკარგული დედოფალი მოდუნებულ სვედაში გადადის მზო-  
ლოდ?! არჩიბაღდის სისხლში სხვა ცეცხლია—მდინარის ქალი „ქვის ვაეის“  
ზღაპარის. წარმოსთქვას კრილა სახელი „მატასი“?!

— ბაბუა სარიდან: ხომ არ გინახავს ტყის დედოფალი?!

ეკითხება ვამებ ორჭოლი ღიმილით.

— მინახავს.. როგორ არა.. ორჯერ შეგხვდი..

— მერე?! ვასტეხე პირობა?! იბია შური?!

— ნადირობაში ბედი დამიკარგა.. მარტო ეს.. მეტი ვერაფერი..

— სხვა არაფერი?!

— ერთხელ მგელი შემხვდა.. მგონი მისი მოგზავნილი იყო..



— როგორ?!

— თოფი დავუმიწუნე და არ გაეპარდა..

— მერე?!

— მერე და გავვუდე ორი ხელით.. აბაა..

ბაბუა სარიდან ვაეკაცს ხედავს სადღაც შორეთში—(თვითონ ხომ არაა?!).  
ეხლაკი—„დაიშხოს სიბერე“.

ტაბა ტაბაა თავეისთავის ამბობს:

— თქვენში ჯერ მიწა არ ამომშრალა..

სარიდანს არ ესმის უცხო სიტყვები.

— რას უნობს შეილო შენი სტუმარი?!

— მიწა თქვენში ჯერ კიდევ არ ამომშრალაო..

— მიწას რა დააშრობს შეილო?!

სარიდან ჩიბუხს მიმართავს. ჩამჭრალა.

დაუძახე შეილო მატასის: ცუცხლი მოიტანოს..

ვამებ საჯალაბო სახლისკენ მიბრუნდება. იქ დედა ნინო სადილს ამზადებს—(გაისმის ტკაცუნის საჭაღე ცომზე). მატასიც იქაა: დედას ეხმარება.

— მატასი!. ცუცხლი მოუტანე ბაბუა!.

მატასი გამოდის. ხის მაშათი მოაქვს ნაკვერჩხალი.

არჩიბალდ ხან მატასის იხედავს და ხან ნაკვერჩხალს. „ჩემი გული თუ მოაქვს“—(ფიქრობს აცუცხლილი).

მატასი დარცხვენით ბაბუას ცუცხლს მიაწოდებს.

— გაიზარდე შეილო დიდი..

მატასი გაბრუნებას აპირებს. ვამებს აზრი ებადება.

— მატასი!. გაართე ჩემი შეგობარი.. დღეს მოწყენილია რაღაც.. მე და ტაბაა-ხან ცხენებით გავისეირნებთ..

— კარგი აზრია..

ამბობს ტაბა..

— კარკი..

ამბობს მატასი დარცხვენით.

— შეილო ვამებს! ამაყენე..

მოხუცი წამოდგომას აპირებს. ვამებს ეხმარება. მოხუცი სახლისკენ მიდის.

— აბა მატასი!. წყაროსკენ გაისეირნე არჩიბალდ..

— კარკი..

ამბობს მატასი დარცხვენით.

არჩიბალდ მიჰყვება მატასის უსიტყვოდ. თვითონ უფროა დარცხვენილი.

მარცხნით: დიდი ლუშა ტყე „საირმესი“. მარჯვნივ: რიონის დიდი ველი— ყვირილის ქალები—ხანის ხეობა. და ყველგან—მზე: ფერსათის მზე—ნელი ხვითო მეწამული.

მატასის თეთრი ჩითის კაბა აცვია. თავზე—ყვითელი თავსაფარი (ქრელი „დარაია“). ხვითოს გალხობილ მეწამულ ხალებში—მატასი თვითონაა რჩეული ხალი მეწამული.



გველის პერანგის  
გამომცემი

— აქ დაღმართია.. თუ გინდათ—შემოუაროთ..

ეუბნება კძალვით არჩიბაღდს.

— არა.. ამ გზით სჯობია..

მატასი ჩაირბენს ქუჩიკივით. არჩიბაღდ ჩადის გაბედულ ნაბიჯით ფეხი უცდებია. მატასის ელიძეა.

— მომეცი ხელი..

არჩიბაღდ ხელს ჰკიდებს გაწვდილ ხელს—(ციცხლი ამ ხელშია ცოფი-  
ლა: ფიქრობს). თვითონ იწვის. ასეთი წვა ჯერ არ ახსოვს, ნუ თუ „საირმეს“  
მზის ბრალია?! მაგრამ აქ მზე წელი და ღზილია ხომ!.

ჩაეიდნენ წყაროსთან.

კლდის ძირას წყარო ვათბრილა როგორც საზღაპრო ხარის დიდი თვა-  
ლი. სიღრმე ორი ბლაბი თუ იქნება. წყაროს ტანი სიბი ქვებით არის ამოწყო-  
ბილი. ქვებს მუქი ხავსი აქვს მოდებული. წყალი ნისლია ფერით: მოწაო—ლუ-  
შური ცილით. მაგრამ მის ფსკერზე ყველა კენჭებს დაითვლი. წყარო თვალია  
დიდი (ხარის თვალი) რომელიც სხვა თვალს უც ის რომ აისარკოს. ძირს  
კუთხეში კაცის თვალის ოდენა ნაგური მოჩუბჩუბებს.

არჩიბაღდ წყაროში იხედება. ითვლის თითქო ფერმრავალა კენჭებს. უც-  
ქერს ნაურს—(ასეთი რამ ჯერ არ უნახავს).

— რა ჰქვია ამას?!

უჩვენებს თითით.

— წყაროს თვალი..

— წყაროს თვალი..

იმეორებს თავისთვის არჩიბაღდ. ეხლა მატასის უფურებს. თვალეში  
უფურებს. და უეცრად სიტყვები:

— თქვენ ხართ წყაროს თვალი..

მატასი თავს ღუნავს: სიწითლეს იფარავს.

არჩიბაღდ გზნობს: რომ გადალახა საზღვარი.

უბერბულობას მწყენსი არღევს. მოჰყავს შავი ხარი უნიწიო. ხარი ეპიური  
სინელით მიდის წყაროსთან. სვამს. იბერება. იესება. თავს ასწევს და გაბრუე-  
ბული თვალეებით იქითაქეთ იხედება. შემდეგ ისევ დაეყრდნობა. სვამს. იბე-  
რება. იესება.

მუცემს ხარი მიჰყავს.

მატასი წყაროს უცქერს.

— ნახევრამდე ამოუკლავ თითქმის..

— დალევა გსურა?!

ეკითხება არჩიბაღდ.

მატასი იჩოქებს. სურს პეშვით შესვას წყალი. მაგრამ წყალს ვერ წვდება.  
ოდნავ წვდება. წყალი მატულობს.

— მე დაგეხმარებით!

ეუბნება არჩიბაღდ—(საზღვარს უკვე გასცილდა).

მატასი მოხედავს ოდნავ ამღვრული ცქერით.

ფონალი „მნათობი“ № 5-6 (25-26).



არჩიბალდ ხელს ჰკიდებს მატასის ხელს.

— მომეციო მეორე ხელი.

მატასი უნებუო ხელს უწვედის მარჯვენას.

— ჩაეყუდეო.

მატასის ნება აღარ აქვს—(თრთოლვია გარეულ მიმინოსი). არჩიბალდს მატასის ხელები უჭირავს უკან გამოწვდილი. მატასი იღუწება. თავით წყალს უახლოვდება. თვალებზე ემღერება: ველიარ ხედავს ვერც კანკებს და ვერც წყაროს თვალს. სვამს, ხერხვს. პიოზე წხვეი ესხმის. სისხლი აწვება. ბრუ ეხვევა. ძეძუებში რალაც უღუავის ჯერ კიდევ უცნობი. და თითქო იხრობაო—იძახის: — ამიყვანეთ..

არჩიბალდსაც სწუწრია უფრო მეტად ვიდრე იმ შავ ხარს უნიშნოს. აიყვანს მატასის და ერთი მოსხლევით გულში იხვევს: ჰკოცნის სველ ტუჩებს—სვამს—ხერხვს წყაროს: უწუწუწ წყაროს—(წყარო და მატასი ეხლა ერთია). „ეიბრჩეები“: ჰკოცის გაგუდული ხმით ვილაც—(მატასის ხმა ხომ არა?!). არჩიბალდ ხელს უწვევს. მატასი მიდის აღმოკიდებულ. სახეს იფარავს. მიდის აღმართით თავდახრილი. არჩიბალდ წვიკებში უტკერს. იგაც უკიდია ალი გოგონას. შმდღე წყაროს მოხედავს ვაგი—სწორედ ისე როგორც შავი ხარი უნიშნო. „არა: მე ძრომდი დავეცალე წყარო—ეხლა წყაროს თვალი მოჩუბნუბებს მართო“—(ამას ვინ ამოიბს არჩიბალდის პირით:!).

აიხვდაკს ზევით არჩიბალდ: მატასი აღარ სჩანს.

მხოლოდ ეხლა ვრკვევა. „რა ჩაიღინა?!“ „ღმერთო!“ ფიქრებს ჰრელი გველი უხერავს. მაგრამ შორს—სტესის ფსკერზე—რალაც იმწუნება იმედიანი: „თვითონაც ხომ დანებდა“. (ვინ დანებდა?! მატასი?!).

არჩიბალდ სერზე ადის.

მოსჩანან სოფლის ბიჭები. მიიმღერიან.

არჩიბალდს ესმის ბავშობის ხანის—„ოდელია რა ნუნი“. რა ტკბილი სიმღერაა. მაგრამ ეს რა სიტყვებია?!

„ლამხის გოგო მატასი—

მსურს გააკოკო ათასი“..

იმღერიან ბიჭები. არჩიბალდ ირისებება: როგორ ჰხედავენ?! შემდეგ ისევ ნელდება: არა—სიმღერა კარგია—სიტყვები ხალასი გულებია სოფლის უღარდელ ბიჭების..

მიდის არჩიბალდ სახლისკენ. ეხლა სხვა ფიქრი სწვავს: როგორ შეხედვს მატასის:! როგორ შეხედოს ვამებს?! ვადახედავს მიდამოს. „საირმეს“ ღურჯ სხეულზე მზე ხეითოებად ესხურება. არა: ხვითო „ნატერის თვალია“. ფერსათის მზე მას არ გაიმეტებს. არჩიბალდის სისხლა მაგარი ცეცხლია—(იოუბაქიბის?!).

სადილის დროს მატასი არ სჩანს.

— მატასი სადაა?!

ეკითხება ვამებს დედა ნინოს..

— უღონოთაა ცოტა..





— უღონოთაა?! (კვირობს ბაბუა სარიდან). ამოყოლილი თუა.. წყაროს-  
კენ რო წვეიდა.. დღეს..

„ამოყოლილი?!“ (ეს სიტყვა არჩიბალდს არ ესმის).

— ადგილი იქ ნაძრახია..

უმატებს თავისთვის მოხუცი.

„ნაძრახია?!“ (არჩიბალდს არც ეს ესმის).

ტაბა ტაბაა არჩიბალდის სახეს უმზერს ოდნავ აწითლულს. უცხო კაცის  
შემძარავ ღიმილს ორკოლი ხაზი ბზარავს.

„სადაა მატასი?“. გულს ეკითხება არჩიბალდ.

მატასი ოთახშია გაშხვართული. მთელი სხეული თითქო ქვაა—რომელიც  
ხანდახან იშმუნება მარცვლებათ დარღვეული. ეს მხოლოდ ერთი წუთით. მა-  
ტასი გასუდრულია როგორც გარეული მიმინო რომელსაც უცხო ფრინველმა  
ფრთა შეახო. მხოლოდ გული მუშაობს საოცრად: თითქო სურს გასუდრული  
ქვა აამოძრავოს. ძუძუებიც ქვებია. მხოლოდ ხანდახან (ესეც ერთი წუთით) ქვებ-  
ში ხრეშა გაისმის თითქო: ძუძუები უცადი ხორბლებით თუ იესებთან—(ასე-  
იესებთან ვარდის კოკრები როცა ყლორტებში მზის თესლები ესხურებიან).

მატასი ერთი გზნებაა—(ტანია ერთი გზნება): ვილაცამ შელახა წყაროს  
თვალი თავანკარა. მაგრამ წყარო სიტკბოს გრძნობს უწყველო ამღვრევით.  
უკანასკნელ ფიჭრს მატასი გაურბის—(ტანი გაურბის მისი).

— რა მოგივიდა შეილო?!

— არაფერი.. თავი მტკივა..

— დღეს ტანის დაბანას აბირებდი.. წყალი მზათაა..

მატასი მიჰყვება დედას. უკვე შეღამებულია.

საჯალბო სახლში ცეცხლი ანთია. შუაგულში—ჯაჭვებზე ქვაბი ჰკიდია  
დიდი. გვერდით სამუხეხა სკამი დგას მოზრდილ ტაშტში. იქვე—კარდალა  
თბილი წყალთ სავსე. მატასი შიშვლდება. სამუხეხაზე ჯდება. ტანს თითქო  
ჰშალავს—(ვის უშალავს?! დედას?! აქამდე რომ არ სჩეევია?!). დედა ჯერ თავს  
დაჰბანს თავსაბანი მიწით—(მიწა ძმარნარვე წყალშია გახსნილი) შემდეგ—ტანს.  
მატასი ძუძუებზე დედის ხელს არ იკარებს. თეძოები სირცხვილით იწვიან.  
„უკვე ქალია“: ფიჭრობს დედა.

მატასი ტანს იშრობს. ცეცხლის ალი ალაბნახევარზეა იწვდილი. მატასის  
ტანი აუეჯილებულია: ალის განათებაზე კიდევ უფრო აღეწილი და ავარვარე-  
ბული—(თეთრი ნაკვერჩხალის ფერი).

— დედა! კარი მიხურე!

(დედა გადის შავებში მოსილი)

მაგრამ სახლიდან ვილაცამ უკვე მოჰკრა თვალი. ეს თვალი არჩიბალდი-  
საა. მატასი ვერ გრძნობს ვაჟის ზედვას. ტანს შეიშრობს ერთი კიდევ და  
საბოც ნარმას განზე გაისვრის. იმართება წელში და თავს მალა სწევს. მყარდს  
აკვირებს. მარჯვენა მკლავს პირისკენ ხრის და თავს მკლავისკენ დალუნავს  
—(კოცნა თუ სურს). ახშორებს ზანტად. ერთი ათქრიალდება როგორც უხედნი

ფაშატი მდინარიდან მზის შუქებზე გამოყვანილი და ტაშტიდან იქვე/დადებულ ფიცარზე გადაბტება.

მარტია

კარი მოხურულია. მაგრამ ვაგის მზერამ ცეცხლიანად დაწვეს დაიქირა. არჩიბალდის თვალების ცეცხლი შუბო ლანდს ათამაშებს: როგორც გველი ხვითოს აღმურში ასროლილს.

რა ნელია „საირმეს“ მზე! როცა ჩაიყვინება—მისი მეწამული თვალი „საირმეს“ თხემზე დაიღვრება. „საირმე“ ლუშია და მასზე დაღვრილი მეწამული თვალი ლურჯ ქვად იქცევა. ეს თვალი—(ლურჯი შუქი)—გაეაზისაა. გაეაზის თვალი გაჰყურებს ფერსათის მთებიდან: რიონის ველს—ყვირილის ქალებს—ხანისწყალის ხევს. ეს არე ეგების გაეაზის თვალია თვითონ?! არა: ეს მატასი არის—ლაშხის მატასი—ვამეხის დაპ..

უმთვარო ღამეში ეხვევა ფერსათის არე.

მძიმე დღემილს ღამისას ბაბუა სარიდანის ძილი თუ შეედარება.

არ სძინავს არჩიბალდს. არა: თვალღია სიზმარშია აბორჯილი. სიზმარში მარტო ქალს ხედავს ახლად ატებილს. ქალი ხან ტყის დედოფალია და ხან მდიარის ალი. უფრო მეორე.

გვერდით ოთახში მატასის ძინავს დედასთან. სძინავს?!

— მატასი!. დაიძინე!. რა დაგემართა!.

უბნება დედა ნინო. მატასი ისუდრება.

## თ ა მ უ ნ ჩ ო —

მაყაშვილის ნამოსახლის გვერდით პატარა დუქანია გამართული. დუქანის კედლები წიგნით მომწკრიველია ღამფებით. იქვე ჩამოკიდებულია ფიტრლები. აქ ჰყიდიან: მარილს—ნავთს—ჰაპიროსს—ჩითს—ასანთს—შაქრეტლს საპონს. ფერსათის მთების კალთებზე „ვეროპა“ შემომძვრალა. მედღუნე გიგოც „ვეროპიელია“. იგი ვაზეთის მკითხველია და მსოფლიოს ამბები იცის. აქ იკობებთან სოფლელები ამბების გასაგებად. „სალაუბოც“ აქ არის სოფლელების. დუქანში ჭრელი კაჭკაჭი დაბტის და ლაყბობიდან სიტყვებს სწავლობს კაცისას. ხანდახან გრამრფონი ახრიალდება. კაჭკაჭი უსმენს განცვიფრებული. სოფლელები შეეჩვიენ „ამ ეშმაკის მოგონილს“ და „პენენებს“ თხოულობენ ხშირად.

აღექსია ჭიკარტულა—(ასე ეძახიან სოფლელები)—მთავე კიტრს ქამს ტუჩების ფუსფუსით. ეს ის ავეია კაცია ყბაშეჩეხილი—ვამეხს და არჩიბალდს მაყაშვილის ნამოსახლზე უკანასკნელი მაყაშვილის გადახვეწას რომ უამბობდა. აღექსია ჭიკარტულა ქამს მთავე კიტრს და ნამცეცებს კაჭკაჭს უსერის. „მიირთვი მარტია“—(მარტია კაჭკაჭს ჰქვია): ეტყვის კაჭკაჭს და „მარტიაც“ კორტინს ნამცეცს. „მარტია თქვი რამე“—და „მარტიაც“ წამოროშავს ახირებულ სიტყვას. სოფლელები ჭიკარტულას ახელებენ:

— რაა შე უბედურო სულ რო ქამ?!



ქიკარტულა მით ყურს არ ათხოვებს. მას „მარტია“ უფროსი ნიღბი უნდა ჰქონდეს (კვებ მისი ნათესავია).

სოფლელებში სიკო ზის მორთბმული და ჩიბუხს აბოლებს. ახალოზი გაულელია და ნარძის განიერი ნიღბავი ზეამართულ მუხლებზე ჩამოშვებია. 50 წლის იქნება.

— ი კაცი ვინ არი ნეტა?!

კითხულობს ჩაფიქრებული სიკო.

დუქნის გვერდით მოხუცი მიდის. თმა მოშვებული აქვს. წვერიც. თმაც და წვერიც—სრულიად თეთრი. ევროპიულ არის ჩაცმული. საცმელი „შელა-ბულია“ მაგრამ ტანზე მაინც კარგად ადგია. მარჯვენა ხელს ხანდახან შუბლთან მიიტანს. ხელი შვეტია. თითები—გრძელი და სწორი. მხრებში ოდნავ მოღუნულა მოხუცი მაგრამ სხეულით ბრგე არის მაინც. გამოიხედავს ან გაიხედავს: ამჩნევ სუფთა პროფილს.

— ვინაა ნეტა ი კაცი?!

კითხულობს ჩაფიქრებით სიკო.

უცხო კაცი ამ კითხვაზე მოხედავს შეგროვილთ. მოღუნებული მხერა უცრად ლეივდება—(ასეთი ხედვა აქვს ხარს როცა იგი უცხო ჯოგში შეიჭრება უცაბედათ).

— ბასკიაო: უნობს თვითან..

ჩაილაპარაკებს თავისთვის ნანია.

— ბასკიაოო?!

კითხულობენ გაკვირვებით სოფლელები.

— რაა კაცო ბასკი?!

ნანია სიტყვას მართავს:

— ხალხი ყოფილა ბასკი.. ცხრა მთას იქით..

— შენ საიდან იცი?!

— თვითან მითხრა..

— ვინ გითხრა?!

— უცხო კაცმა..

— სად?!

— სამტრედიიდან რო მოვდიოდი მატარებელში შევხები..

— სად მიდიოდა?!

— თბილის ქალაქში..

— მერე აქ რა უნდა?!

— რა ვიცი?!

პაუზა. მოსაუბრენი მოხუცისკენ იცქირებიან. მოხუცი დგას შორიახლო და მიდამოს გასცქერის. სოფლელებს თითქო ყურსაც არ ათხოვებს. მოსაუბრენი განაგრძობენ.

— რა უნდა აქ ნეტა?!

ნანია სიტყვას მართავს:



საქართველო

საქართველო

— როინის სადგურს რო მოუახლოვდით საწყალი ფანჯარის გადაიხვდა და ტირილი მორთო..

— მერე?!

— მერე და: მატარებელი ჯერ კიდომ არ იყო გაჩერებული—გადმოხტა და აქეთვე გამოიქცა.. ერთად წამევედით..

— ელაპარაკე?!

— როვორ არა!

— ქართული იცის?!

— იცის.. ცოტა დავიწყებია..

— რაფა!? ქართველია თუ?!

— ასე კია და.. რა ვიცი .

მოხუცის სმენას ეს სიტყვები ხედებიან აღზად: უცხო ხარის შხერით თავს მოლუნავს დუქნისკენ. შემდეგ ისევ გაშლილ მიდამოს მიმართ იბრუნებს პირს.. სოფლელები ეხლა ხმადაბლა საუბრობენ: არ უნდათ ვაიგონოს უცხო კაც-მა—(„ქართული ცოდნია“).

სიკო ჩიბუხს აბოლებს და ნარცხენა მუხლს იტეკავს.

— ეს კაცი მეცნოურება რალაც..

— კაი თუ კაცი ხარ..

— რა უცნოურს იტყვი ხანდიხან სიკო?!

— მეცნოურება ნამდვილად..

სოფლელები იცინიან.

— რა უნდოდა თბილ ჭალაქში?!

მიმართავენ ისევ ნანიას.

— შვილი მეგულება იქო..

— შვილიო?!

— ჰო.. შვილიო.. ომში ყოფილა თურმე.. ავლინებში..

— უცნოური რამაა წორეთ..

— მესიპპ..

სიკოს სურს სიტყვა „მესობოტიანია“ მაგრამ ვერ ახერხებს გამოთქმას.. ხმას ამაღლებს და იძაბის:

— მესობოტიანიდან ჩამოსულა..

ამ სიტყვაზე უცხო კაცი ნოიხედავს. ხედვაში ისევ ხარის თვალთა უცხო-სი. თითქო რალაცამ უკბინაო—მოსხლტება, უეცრად და ზევით მიდის ნამოსახლისკენ.

— რაც გინდათ ის მიქენით.. მარა..

— მარა რაოო სიკო..

— მა კაცი მინახავს სალაც..

— ქრთი შენც დეიწყებ რალაცას..

სოფლელები მოხუცს თვალს აყოლებენ.

თამუნჩო—(ეს ბასკური სახელია თამაზის)—მიდის ნამოსახლისკენ. ხარია მართლთა: დარტყნილი—რქამოტყხილი—თვალეზანდერეული—ლონეშელახუ-

ლი. ფიქრი—ფიქრი—ფიქრი: მძიმე და ურკვევი. „გაცუდდა ყოთა“—(ამას თუ ფიქრობს). ხარს დიდრონი თვალეზი ისეველა—(ცრემლებიყველა)

თამუნჩო შედის ნამოსახლში—(გალახული ხარი ფარეზნი ბრუნდება უფუნებო). პირველი—რასაც გზნობს იგი: ესაა დროის შეწყვეტა არა: საუკუნოების დაბრუნება. თითქო წინაპარი აღსდგა ძველისძველი და ეზა თავის ნამოსახლს დაჰყურებს ათასი წლებიდან. ამ წამს თამუნჩო გვარია თვითონ მის ყოფაში ხერხემაღად გაწოლილი. თამუნჩო ვასუარულია როგორც ფრინველი შელამებისას. ორი დღეა: თავის ნამოსახლს უყურებს. საჯვარე—სასახლე—ეზო—ხეები—ქვები: ყველაფერი მისია თითქო. მაგრამ თვითონ იგი აღარა არც საჯვარესათვის არც სასახლესათვის არც ეზოსათვის არც ხეებისათვის არც ქვებისათვის. თამუნჩოში მრავალი ფიქრია ნული ნაღვერდალით აღვივებული. ფიქრები იზმუნებთან მძიმე ზოზეით—თითქო დიდი მუხის ტანში იყენენ გადასხმულნი. თამუნჩო მართლაც მუხაა ამ წამს ფესვებკამდგარი კიდურადან კიდურამდე.

უეცრად ხერხემალი—(გვარი თამუნჩოსი)—შეირბევა: იკლავება—თითქო წელკაემა გაჰკრა. ფიქრები იკუმშებიან და ერთ ზორგვად იხვევიან. მოზგეს პირი ეხსნება და მორგვიდან ვილაც ჰკვივის: „სიკვდილი მოდის“. თამუნჩო ცხლა გულია მარტო. ერკვევა ათასი წლების ბუჟუსს და ძე აგონდება თავისი: არჩილ (არჩიბალდ). წამოიწვეს: უნდა დაუყვიროს ზორიდან. მაგრამ მოხუცს მუხლი ეყეცება და საფლავს ქვაზე დაეცემა თითქო მოცელილი იქ მყააშეილი ასაფლავია: იზიდავს თავისიანს. თამუნჩო ისევ ბურანში გადადის. ბურანში ნაკვერჩხალი კიაფობს. თამუნჩოს აგონდება.

ლექსენბურკის ბალი პარიზში. გაზაფხულის პირი. სტუდენტები ერთ კუთხეში. გაზეთს კიხხელობენ. ქართული სიტყვები ისპის. უეცო კაცი მიდის სტუდენტებთან უნმო. გაზეთს ართმევს სტუდენტებს. ატრიალებს: ხან აღმა ხან დაღმა—(კიოხვა თუ დაიე ყდა). შეძღვ დაიჭერს სწორად. წაიკითხავს რამოდენიმე სიტყვას გაგუდული ხმით. გული ეჩუყება. ეხვევა სტუდენტებს. გარბის ტირილით. სტუდენტები გაოცებით თვალს აყოლოებენ. ვინ არის?! თამუნჩოა (თაშუ მყააშეილი). თამუნჩოს გული კი სხვას უხმობს: სადა ხარ შეილო?! უეცო კაცი მდრბის. მიდის სადგურთან. სურს—ინკლისში გადაფრინდეს. მაგრამ უეცრად შეჩერდება—(სხვა ხომ არ აჩერებს!?). „არა: ჯერ კიდევ არ მოსულა ხანი“. თამუნჩო ისევ ბასკეთს უბრუნდება.

ცხელებიანს ხანდახან სული ეხუთება. ჰაერი არ ყოფნის. გული ამოვარდნას აპირებს. ცხელებიანს სურს გავაზდეს გარეთ. მაგრამ—ავარუება თუ არა—იქვე იყეცება. ეგებ თამუნჩოც აეადაა: არა უბრალო ცხელებით. ეგებ თვითონ სიცოცხლეა მისთვის ცხელება. ტყვილად არ გარბის იგი ერთი მხარიდან მეორე მხარეში—(სიკვდილს თუ გაურბის: თვითონ კი არა—სხვა: მასზე უფ-

რო დიდი). თამუნჩო ქვაზე ირხვევა. წამოვარდება. ჰაერი არ უოფენის! არა: თამუნჩო სიკვდილის ახებს ხელს. ხარბათ ისუნთქავს „საირმეს ქვეყნის“ შემდეგ ისევ ბურანი მოიცავს. ბურანში თვალს ახელს მოგონების ნახევარსადაც წაყარაში მიმალული.

ბასკები. საოცარი ხალხი. გული ჩეილი და ამაყი. ხასიათში—სირაინდე თავშეკავებული. სხეულში—ცეცხლი მიმალული. დონ ხოზე „ქარმენიდან“ ბასკი იყო. ჩუმი ხალხი. მზის დასავლის მოყვარე—(ამ დროს მათი თვალები უცნობი მელანქოლიით ივსებიან); სამშობლოს თუ იგონებენ ძველს. ბასკებში—უცხო კაცი. ისიც სამშობლოს იგონებს. იგონებს შვილს—რომელიც ვითომ ბედს გამოსტაცა. ხუთმეტი წელია—არ უნახავს. ჯერ კიდევ ადრეა: ფიქრობს. მაგრამ უეცრად ომი. თამუნჩოს წინ ზღსკრულებია. გადავარდება სხვა მხარეებში. ეძებს შვილს. ვერ ნახულობს. ირევა. შეიტყობს: მესამოტამიში წასულა. გაედევნება. გზაზე აცნობებენ: სპარსეთში გადასულა ვაჟი. შემდეგ—ტფილისში. თამუნჩო სტამბოლში ამოყოფს თავს. ლაზებს გიეცნობა. მათი საშვალებით მივა ტრაპიზონში. შემდეგ—ბათუმში. მიდის მატარებლით ტფილისს. რიონის სადგურს უახლოვდება. გაბედავს „საირმე!“ არეს... და...

თამუნჩო ვეღარ უძღვებს მოგონებას.

ავარდება. გულზე ხელს იღებს: ხომ არ ამოვარდნილა?!

ხედავს არეს დარქენილი ხარის ცქერით. მიდის საჯვარსთან. ყურს უგდებს რალაცას: ვაგუდულ დროში იშმუშნება შორეული. მიდის ხესთან. ხელებსა ხვევს. გული ხის გულს ხედება. ხის ტოტი ძირს დაშვებულა. თამუნჩო ფოთოლს აცლის სიყვარულით. მიატებს ტუჩებთან და ჰკოცნის. უეცრად შეჩერდება. ფეხები მიწას ეკვრიან—მშობელ მიწას. გული აჩუყებულია მაგრამ მშვიდება მაინც. თამუნჩო სასახლისკენ მიდის. ხეალ საღამოს უნდა დასტოვოს იგი. ამაღამ აქ გაათუვს ღამეს: შესაძლოა—უკანასკნელად. თამუნჩო მიწვება. მის სხეულში მთელი გვარია გაწვდილი. უკანასკნელი ფიქრი შვილია მაინც. „საირმე“ იღებება ლილისფრად. ლილა თახდათან მუქი ხდება. ბოლოს—ნალღელის სიშავეში გადადის. ღამე შლის სქელ საბურავს. იყუჩებს ყოველი. ბალახი თავსა ხრის: თითქო მკლავზე. ქათმები საბუდრებში იშმუშნებიან. ფარეხში გაღვრილან პირუტყვნი. მხეცები ღამეს ყურს უგდებენ და ხანდახან ვარსკვლავებს ახედვენ.

მღუმარება ეშვება როგორც მდინარე დენაშეწვეტლი.

ხმაური აღარაა მხოლოდ ბაყაყების ორკესტრი არღვევს მყუდრო ეამს. მაგრამ მყუდროება ამით უფრო ღრმავდება.

სძინავს თავის ნამოსახლზე თამუნჩოს.

თვლებზე შემოობია ორი დიდი ცრემლი—თითქო გასრესილი ისრიმი ქართული ვაზის.

## ქმეზი —



- წვეიდა თქვენი მეგობარი?!
- წვეიდა.. არ დაიცადა..
- შენ ხო დეიცთი ცოტას?!
- დაერჩები კიდევ.. ორი დღე.. შემდეგ მეც უნდა წავიდე..
- თბილ ქალაქში?!
- ტფილისში.. იქ ჩემს მეგობარს შევხვდები და წავალთ..
- სად წახვალთ?!
- სპარსეთში.. იქ ებლა ჩვენებია.. „ანგლიელნი“..
- აგლიელი?! თუ აგლიჩნები?!
- დიახ: „აგლიჩნები“.

ბაბუა სარიდან ასეა ამ სიტყვებს ნაწვევი.

არჩიბალდ არ უსწორებს.

— ნეტა სადაა ებლა ჩვენი თამაზი?! ისიც აგლიჩნებში წვეიდა..

ამბობს ხმადაბლა ასევედილი სარიდან.

„თამაზის“ სახელს გამოჰყავს არჩიბალდ ჩვეულ გუნებიდან. ორი დღეა: მამა არც ვახსენებია, რა დაემართა?! მამის ვახსენებაზე არჩიბალდს მარტო უყვარს ყოფნა, მიღის მიდამოებისკენ. „აღლან“ თან მიჰყვება ახალისებული. კალოზე სოფლის ბიჭებს ხბო დაუჭერიათ და ზურგზე ცერებს უჭერენ. „დააქი—დააქი“: გაიძახიან. ცერსა და ცერს შუა ხბოს ტყავი სკდება და დიდი ხოკოს ოდენა ზღმურდლი ამოეარდება. „კიდომ აქ ბიჭო! დააქი!“ ცელქობენ ბიჭები. ცერები კიდევ ერთ ზღმურდლს ამოაგდებენ. ბიჭები ლილინობენ:

„მატასია ქალო—

რა ლამაზი ხარო“..

კიდევ მატასი. ყველგან მატასი.

არჩიბალდ ბიჭებს უაზლოვდება. ბიჭები მღერიან:

„ლაშის გოგო მატასი—

მსურს გაიკოცო ათასი“..

არჩიბალდს ებლა ეს სიმღერა ახარებს. მაგრამ „აღლან“ იღრინება. დაიყუფს და შეუტყვის. არჩიბალდ აჩერებს. საწყალი ხბო გავარდება დამფრთხალი. ბიჭებიც გადაცივდებიან.

სერზე მატასი გამოჩნდება. ხელში ტყემლის დიდი ტოტი უჭირავს აყვავილებული. არჩიბალდ გაემართება გახარებული. მაგრამ „აღლან“ ასწრებს: მიფარდება მატასისთან და ყალზე დგება. მატასი ხელს უსვამს: ეალერსება.

— რა ლამაზი ყვავილებია..

უზბნება არჩიბალდ.

— ტყემლისაა!.

მატასი თავსა ბრის თავდაზრილი. არჩიბალდ ატყობს: რომ დარცხვენილი ილარაა. ვაჟს უხარია.



— თქვენსავეთ არის აყვავილებული: ტყემლის ტოტი..

მატასი თავს ასწევს. ღიმილნარგვ სახეზე ალი გადაჰყარავს. ნაკვერჩხალის ალი. წამოიწევს და ტოტს გაუწოდებს.

— მიირთვიეთ..

არჩიბალდ ხელს უკოცნის. „მაშ არ მიწერება“: ვაფი ხარობს.

წინ ვაშლის ხეა. ორი მოზრდილი ტოტი აქვს გამოშვებული. არჩიბალდ მივარდება. მოჰკიდებს ხელს: ჯერ ერთს—მერე მეორეს. თითქმის ერთიმეორესთან მიიტანს.

„რა ღონიერია“: ფიქრობს მატასი.

შემდეგ მატასის მოუბრუნდება.

— ვაძებ სადაა?!

— მაყაშვილის ნამოსახლისკენ წავიდა..

უპასუხებს იღვწილი მატასი.

„კიდევ მამა“.. არჩიბალდ შეირხევა.

— მეც იქით გავიარ.. თქვენ ხომ არ წამოხვალთ?!

— ვერა.. დედა მიცდის ვენახის ბოლოში..

— მაშ მე წავალ მარტო..

— მალე დაბრუნდებით?!

— მალე.. ერთად დაბრუნდებით..

მატასი ცილდება. თეძოებში უცხო ძრიაობაა: ვაფი ამჩნევს.

არჩიბალდ ცქერით „გვამს“ მატასის გველას. შემდეგ მოტრიალდება და „აილლანთან“ ერთად მამის ნამოსახლისკენ ვაემართება.

\*\*\*

გიგოს დუქნის წინ ხრიალია. იქ არის ვამეხიცი ჯღალ ჩოხაში გამოწყობილი. სოფლის ბიჭები ხმალს უსინჯავენ. „რა ხმალია“—ამბობენ. „მკრელი უნდა იყოს“—ლაპარაკობს თავისთვის ერთი.

— აბა სინჯე კოპიტის ტოტებზე..

ეუბნება ვამეხ და თვითონ დუქანში შედის.

ახალგაზრდა მიღის დაბალ კოპიტთან. კოპიტს მაჯის სიმსბო ტოტები აუყრია. „აბა დაჰკა“—მიმართავს მეორე. ახალგაზრდა შემოჰკრავს—ტოტი შეამდეც ვერ გაჭრა. შემოჰკრავს მეორედ—ტოტი ისევ აივარადა.

— შე მაშეცი აბა..

თხოვს მეორე. ართმევს ხმალს: მოუქნევს ახალგაზრდა სხვა ტოტს. ტოტი ისევ ხეზეა. მოუქნევს მეორედ—ტოტი გადაქანდება მხოლოდ. მოუქნევს მესამედ—ბიჭი მკლავის ტკივილსა გრძნობს.

— თქვენ რა იცით ხმალის ხმარება?!

ყვირის უცხო კაცი—(თამუნჩოა?!). საიდგანაც გაჩნდა.

— აბა მომეციეთ!.

და მოხუცი ერთს წუთში ახალგაზრდა იქცევა. წელში იმართება. მხრებში აღარაა მოხრილი. აიწურება და ვაითასმება. მკლავი შეილია თითქო მისი—რომელიც არ უმტყუნებს. შემოჰკრავს ერთს—ტოტი გავარდება მოცელილი. შემოუქნევს მეორეს—ტოტი წყდება. მესამე—მეოთხე—მეხუთე—მეექვსე—მე-





შვიდე. თამუნჩო თვრება. სადღა გრძნობს გუშინ ღამით ეგველებს ქაჯილ აი-  
ვანზე?! თვალეზი ემღერევა—(სიგივე იცის ხანდახან). ხმაღო: *ქაჯილ მარჯვენას*  
გაგრძელება თითქო.

— ბიკოსი. უყურე ამ ბებერს!

იციინიან ბიკები. თანაც უყვირთ.

„ბებერის“ გაგონებაზე თამუნჩო სულ აინთება. ღამის—სრულიად გადაუქ-  
რას ტოტები კოპიტს. ამ დროს დუქნიდან ვამებ გამოდის, უყვირს მოხუცის  
მაჯა. ავანდება თავის თავი სპარსეთში—როცა იგი არჩიბაღდის წინ ხის  
ტოტებს ცელავდა იმავე ხმალით.

მოხუცი ჩერდება. დახედავს ხმაღს.

ბიკები არ სცხრებიან. განავრძნობენ სიცილს:

— ბიკოსი. უყურე ამ ბებერს!

სიტყვა „ბებერი“ თამუნჩოს იმ წამს ხვდება როცა იგი ხმაღზე კოტბუ-  
ლობს მეორე სიტყვას: „ირუბაქიძე“. მოხუცი ავარდება. ტვინში ცეცხლია  
მარტო. თვალეზი გახელებიანა. შუბლზე სიგრიეს ხაზი გაირბენს. წინ მტერს  
ხედავს ვითომ მოხუცი: შეუტევს ახალგაზდებს. კივილი და ხრიალი. დუქნიდან  
სხვებიც გამოცევიდებიან: ზოგი კეტით—ზოგი ბარით—ზოგი თოხით. მაგრამ  
თამუნჩოსაც ეს უნდა. ზურგს მუხასთან იმავრებს და საშინელი სისწრაფით  
იძდენს წამოშენილ ჯეტს თუ ბარს თუ თოხს.

— თავი დაანებეთ.. გიყია მა ოხერი ვილაკაა..

ყვირიან ბებრებო და ქალები.

მაგრამ ბიტყვა „სიგრეე“ თამუნჩოს გახელებას ცეცხლს უმატებს მხოლოდ  
ვინ მოახეიდრს მოქნეულს?! ვინ დაარტყამს?! ვინ დააკავებს. თამუნჩო შეტევაზე  
გადადის. მოხვდა ერთს ხმალი—და იქვე დაეცა.

— გააჩერეთ!. შეშლილია!

— ხომ არ მომკეტარა?!

— დაჭრილია ცოტათ..

— წაიყვანეთ!. შეუბვიეთი.

ისმის ხრიალში დაჭრილი სიტყვები.

ვამებს. შენ მაინც უწყველ ბიკებს!

—ვამებ დვას გაქვავებული—(მოსწონს მოხუცის ხელში ირუბაქიძის ხმალი)  
უეცრად მოწყდება და გაიწევეს მოხუცისაკენ უიარაღო. რკალი იშლება: ცხლ  
მხოლოდ თამუნჩო და ვამებია ერთი-მეორის პირისპირ. თამუნჩოს ხმალი მომ  
ზადილი ატვს... მაგრამ—შეხედავს ვამებს თუ არა—ხმალმართული ხელი ძირ  
ჩამოეშვება. ნეტავ რა იხილა?! ვამებ განცვიფრებულია. დანარჩენნიც—გასუდ  
რულნი. თამუნჩო ხედავს თავის თავს ახალგაზდობაში. მოჩვენება ხომ არაა  
არა: იგია-იგი: თამაზი ახალგაზდა. ეგებ ორეულია მისი!? თამუნჩოს არეულ  
ტვინში ნაკვერჩხალი კიაფობს უცადი. გადავარდება და უნდა... (ხშირად ხდებ  
სიზმარში: კაცი მტერს ეომება და მოპირისპირედ კი თავის თავს ხედავს).  
მაგრამ ვამებ დაიწევეს ტანით და მოხდენილი ნახტომით ღლიებში შედ  
ვარდება მოხუცს. მოქნეული ხმალი ვამების კოჩორს ერთი გოჯის სიმაღლეს



ასცდება. თამუნჩო ეხლა ძალებს იკრებს სხეულისას—რომ <sup>მეტი</sup> <sup>გაუ-</sup> <sup>მაგრადეს.</sup> ვამებ სალტავს მოხუცს რომ მიწაზე დაადგონ! <sup>მაგრამ</sup> თამუნჩო მაგარია კიდევ და გაიძახის: „ვინ დასძლევს ირუბაქიძეს?!“

ისაა—რომ ვამებმა გადაისროლოს მოხუცი—„აღლან“ მოვარდება ავი ყეფით და ტორებით ეცემა მოხუცს—(უკანიდან ტყვილად აჩერებს არჩიბალდ). მოხუცი გადაიხნიქება და თან ვამებსაც გადაიყოლებს თხრილში. ხმალი ხელიდან არ გაუშვია შეტაკებისას—და ორივე პირამართულ ხმალზე დაეცემიან. მსუბუქად დაიჭრება: მოხუციც და ვამებიც.

ხრიალში კივილი გაისმის ქალების.

ამოჰყავთ ვამებ გაფითრებული.

მოხუცი თხრილში გდია, მივარდება არჩიბალდ. ესმის უცნაური სიტყვები: „გვი წაბდნა ირუბაქიძის“. „აღლან“ გარბის და ყუფს. ვერ აჩერებენ. არჩიბალდ მოხუცს წამოაყენებს. მოხუცი ნამოსახლისკენ იწვევს და არჩიბალდიც მიჰყვება.

— ვამებ! „აღლან“ წაიყვანეთ.. მალე დაებრუნდები..

არჩიბალდის დანახვაზე სოფლელები კიდევ უფრო კვირდებიან.

ვამებს „აღლან“ მიჰყავს, არჩიბალდს—მოხუცი.

მოხუცს ეხლა ავონდება: მორკინალ ვაგს ყურთან იმავე ალაგზე ჰქონდა ხალი საცა თვითონ აქვს. თანდათან ცნობაში მოდის—მაგრამ ვაგის საზე არ სცილდება. არჩიბალდ ფართო ფიკარზე აწვევს მოხუცს. მაჯას უშინჯავს: სიცხე აქვს. გულს უსინჯავს: ამოვარდნაზეა. თამუნჩო ვერ ამჩნევს: რომ ამ სინჯვის დროს შეილი მამას თითებით მაჯას უკოცის და მარჯვენა ლოყით—მკერდს.

თამუნჩო ბოდავს. ბოღვაში ხშირია ნატყებები იმ ამბების რომელნიც „ირუბაქიძის“ გვართ არიან ცნობილი.

სიცხე კლებულობს ცოტა. ეხლა შეუძლია აიტანოს ავადმა უცაბედი. არჩიბალდ იხსნის მედალიონს და მოხუცს გადაუხსნის. მოხუცი ჰკივის:

— შეილო.. შეილო.. არჩილ.. არჩიბალდ.

(ამ დროს ვამებ სარკმელიდან უყურებს კედელს აფარებულა)

მოხუცს აღარ ახსოვს არც სიცხე და არც შემთხვეული ამბავი დღევანდელი. წამოხტება და ხვევს ვაგს ხელებს. უკოცის შებლს—უკოცის თვალებს—უკოცის მხრებს—უკოცის მკერდს. უკოცის ტუჩებით—თითებით—ლოყებით—მკერდით. ღერის ცრემლებს ხორბლის სიმსხოს. არჩიბალდიც იცრემლება.

(იცრემლება კედელს აფარებულნიც)

მოხუცს სიტყვა ელევა. დარჩენია მხოლოდ ორი და ისმის: „შეილო.. შეილო.. არჩილ.. არჩიბალდ“..

არჩიბალდ თავს იკავებს: თვითონაც თუ აუშვა გული—გასცდება გული მეორის. უთუოდ. მხოლოდ ცრემლით იგუდება. ნატყები ფრაზეებით თავის თავგადასავალს უყვება.

(ვამებ სმენაა მარტო. არ ესმის ბევრი. უფრო ხშირად მამა და შეილი ინგლისურად ლაპარაკობენ. ხანდახან ქართულიც გამოვარდება. მაშინ ვამებ ერთს სიტყვას არ გაუშვებს.)



მოხუცი თანდათან მოდის ცნობას. ისევ ის ელანდება: ვაჟი, მორტონალი, გამოჰკითხავს არჩიბალდს.

(ვამებ ამ დროს კანკალია მხოლოდ. ესმის: ქართულს ხმარობენ უმეტესად.)

- შენი მეგობარია? სად გაიცანი?
- სპარსეთში..
- საბელი?!
- ვამებ..
- გვარი?!
- ლაშხი..
- მამის საბელი?!
- არ ვიცი..
- დედის?!
- ნინო..

მოხუცი მთელი ტანით ავარდება. ყვირის:

— შეილო! შეილო! შეილო!

(ვამებს ფერი აღარ აქვს. არ იცის მაინც: ეს მიმართვა „შეილო“—მას ეკუთვნის თუ არჩიბალდს.)

— შეილო.. შეილო..

განავრძობს მოხუცი.

— მომგვარე არჩილ! ამ წამს მომგვარე! შეილი.. ჩემი..

(ვამებს თვალეზი უბნელდება და გარბის)

— ეხლავე..

მიუგებს არჩიბალდ და კარს აღებს.

გაიხედავს და ხედავს: ვიღაც მიდის ჩქარი ნაბიჯით. ვამებია?! აქ რა უნდოდა?! ნუ თუ გაიგონა?! დაუძახოს?! დაედევნოს?! ვამებ აღარ სჩანს, არჩიბალდ დგას გაქვავებული. უეცრად მოესმის საშინელი კივილი მოხუცის: „არჩილ! არჩიბალდ!“

ვაჟი შედის ოთახში.

მამა ხელგებს უწვდის.

— ხვალ მოიყვანე.. ვიხუთები მარტო.. ერთი წუთიც არ შემოძლია გაეძლო.. არ მიჰატოვო..

— შენთან ვარ მავავე..

მამა ნელდება. უხარია. ეკითხება—(ღიმილიც უჩანს):

— იცი ეხლა ვინა ხარ?!

— ირუბაქიძე..

მიუგებს შეილი სიამაყით.

მოხუცი იწვის და ირევა. ებევა ვაცს. უკოცნის შუბლს—უკოცნის მხრებს—უკოცნის მკერდს. უკოცნის ტუჩებით—თითებით—ლოყებით—მკერდით. ღერის კრემლებს ხორბლის სიმსხოს. არჩიბალდიც იცრემლება.

— განავრძე ამბავი..

მიმართავს მამა.



შვილი უამბობს თავდადისავალს მესოპოტამიიდან ხამადანამდე და ხამადანადან...  
 — მცოვა შვილო!

იძახის მოხუცი.

— მცოვა შვილო! გაიხადე.. ჩემთან დაწევი.. მომეკარი მკერდს.. გამათბე შვილო..

არჩიბალდ წვება და ეხუტება.

— განაგრძე!

არჩიბალდ უყვება ირანის ამბებს საცა სიციხეა და „ჩვენება“.

მამას კი სცოვა. თუმცა ჩვენება აქ უფრო ბევრია.

არჩიბალდ უყვება ქარავენით გადასვლას.

მამა გულს იყვრის. ხუნეშის.

უყვება მრავალს. არჩიბალდ შთაგონებულია. უთბრობს საწყალი „ბებანის“ სიკვდილს. ხუდავს პატარა სპარსს მტირალს: „ბებანი! ბებანი!“ და სპარსელის წინ ბებანი აღარ იძვრის.

უეცრად რაღაც ცივი მოხედა არჩიბალდს.

— მამა!

ყვირის ვაჟი.

— მამა!. მამა!.

მაგრამ მამა აღარ იძვრის.

მესამე დღეს სოფელელები ისევ გიგოს დუქნის წინ შეყრილან. იქვეა სიკოც. ეხლაც ჩიბუხს აბოლებს მორთბული.

— ხო გეუნებოდით: მეცნოურება თქო..

— ვინა სიკო?!

— ვინა და ი უცხო კაცი..

— თამაზ მაყაშვილი?!

— ჰო.. მე თვალი არ მიტყუებს..

საუბარში მესამეც ეჭრება:

— ის ვილა იყო: აქედან რო წეიყვანა მოხუცი?!

— შვილი ყოფილა მისი..

— რომელი?! ჩენი სალომეს ძუძუნაწოვარი?!

— ჰო.. ის..

მესამეს მეოთხეც ემატება:

— სადაა ნეტა სალომე?! თუ დაბრუნდა?!

— რავა: დასაფლავებაზე არ გინახავს?!

— სხვაგან ვიყავი..

— იქ იყო სალომეც..

მეოთხეს მეხუთე მოსდევს:

— სად დაასაფლავეს საწყალი?!

— თავის ნამოსახლში.. საჯვარეში..



— მართლა შეიღმა გათხარა საფლავი?!

— ჰო.. თვითან გათხარა საწყალმა..

### მატასი ცხენზე—

არჩიბალდს ცრემლი ზღარ აქვს. ისე იხედება როგორც ტანამომშროალი წყარო. მზე განაბულია თითქო. არე გახნეკილა მღღმარებით. ხანდახან ბუზი გაიფრენს ზუილით. ბუზის ზუილს მოაქვს უცხო სევდა—(ყოფილის თუ არყოფილის).

ნეტავ სადაა ვამებ?!

საშინელ დღიდან ვამებ სახლს არ ეკარება. მატასი ამბობს: ნათესავებში წავიდაო. მერე სად არის ამდენხანს?!

არჩიბალდის სხეული ტანამომშროალი წყაროა საცა ფიქრები დახეტიალობენ თითქო შეკვარი იდამიანის.

სად არის ვამებ?! შერცხვა რომ ნახეს: ურს რომ უვდებდა კედელს აფარებულნი? შეიძლება.. მაგრამ ამისთვის... არა... ტკივილი იგრძნო რომ შეება მოხუცს (მამას)?! ესეც შეიძლება.. მაგრამ... ეს?! მთავარი?! არა... ჰაა! თითქო მიაგნო არჩიბალდის ფიქრმა: მამა იხილა.. სხვა მამა.. როგორ შეხედავს დადას?! ჰაა: აქ არის ალბად ძირი.. ვამებ ქალწული ბუნებისაა. მან არ იცის: რა არის ბზარი.. ეხლა ეს ბზარი სტანჯავს ნამდვილად.. მაგრამ არჩიბალდი? ხომ უყვარს უკანასკნელი?! უყვარს... მაგრამ... მაინც... ან თვითონ მამა?! ნამდვილი მამა?! არ უნდა შერხეულიყო მისი შეხედრით?! ჰო.. შეიბა კიდეც.. სიყვარულით შეიბა... მაგრამ მაინც... აქ ისევ დედა წამოყოფს თავს.. როგორ შეხედავს მას?! არა: არჩიბალდი გრძნობს ვამების ბზარს.. ძნელია მისთვის ძმის შეხედრა.. შემდეგ შეხედებიან.. შემდეგ.. ეხლა კი....

წასვლა სჯობს. არჩიბალდი გადასწყვეტს წასვლას.

მიდის საჯვარესთან. შეჩერდება. შედის. დახედავს საფლავს. გაირინდება. „მე შენი ვარ მამავ“: ლულულულებს. „შენ ჩემში ხარ მამავ“: დაატანს. დაეცემა საფლავს. ხელებს გადააკდობს. ქვითინი ისმის გაფუღული. შემდეგ დგება და გამოდის. უფლის გარს საჯვარეს. ჩამოიარს ეზოს. გადაიკითხავს საფლავის ქვებზე წარწერებს. მიდის ხეებთან. ებგევა ყოველ ხეს. შედის მინგრეულ სასახლეში. დახედავს ფიცარს: საცა მომაკვდავ მამას ეხუტებოდა. იცრემლება. გამოდის ვარეთ. მიდის ნივჯის ძირთან. დაიღუნება და გაძვრება. ბოლოს აიღებს მიწის ნატყეს. გახვევს და უბეში იდებს.

დამშროალი წყარო იფსება. არჩიბალდი იფსება: მოგონებით—მიწის სუნთქვით—მამით—წინაპრებით—გვარით—მამულით. იფსება—მაგრამ ცრემლი აღარ სდის. მიდის სახლისკენ: ბაბუა სარდიანის ნაშვირის სახლისკენ. მიდის როგორც მთვარეულა. შედის ეზოში.

ნალიას გვერდით ჩალის ზვინებია.

ერთ ზვინზე მატასი ასულა და ნიკოს (ბიძის) ზავშებს კონებს უსვრის. ღო-



ბესთან ბაგაი ვაკეთებელი. იქ ხარება მიბმული. ბავშებს ქვეყნულ კონცერტში, ხარები ჩალას ტყვირავენ. ლონიან ფოთლებს.

არჩიბალდ მატასის ჟღერს.

თავი ყვითელი თავსაფარით წაუქრავს. მკერდი გაღვლილი აქვს. ფეხში-შველია. არც წინდები აქვს. უჩანს წვივები მზის კალოზე აღეწილი. თეძოებით ზეინს ეკვრის: ხან ერთით—ხან მეორით. ტანი ზეინს ეტმასნება: თითქო იგიც სიმინდის ყანის ნაყარია—ათქვირებული ტარო: დიდი და მაგარი—ტარო სა-ქართველოს ველებს. ზეინი ყვითლად მოსჩანს მწვანე მიდამოებზე. მზე ელენ-თება ოქროს დალებით. ზეინი იშმუშნება. მატასი ჩალის კონებს ყრის.

არჩიბალდ ჟღერს—მატასის. თვალებს ვერ ხედავს მატასისას. თუ შეხე-და ველარ წივი „საირმედან“. არჩიბალდის ნება კვაა: უნდა წავიდეს—ასე სჯობია. არჩიბალდ მატასის აღარ ჟღერს.

ივიანს უახლოვდება. ივიანს ბაბუა სარიდან გადმოჰყუდება.

— საწყალი თამაზ.. ნეტამც მენახა..

არჩიბალდ გასუდრულია.

— როგორ მახსოვს!. თითქო ახლა ეხედავდე..

არჩიბალდ ვერას უბნობს.

— რა ვაშკაცი იყო..

არჩიბალდს ცრემლი აწვება.

— რათ არ მითხარი თუ მისი ვაჟი იყავი?!

არჩიბალდ პასუხის მაგიერ სარიდანს ეხვევა.

— ნუ ტირი შვილო.. ყველა სიკვდილის შვილები ვართ..

არჩიბალდ ოთახში შერბის.

ეხლა სხვა ფიქრი სწვავს: ველარ იხილავს ამიერიდგან ბაბუა სარიდანს— მაღალ სარიდანს—მშვიდ სარიდანს—ნათელ სარიდანს. ველარ მოისმენს „ქვის ვაჟის“ ლევენდას მისგან. ვერც—ტყის დედოფალის ამბავს. ვერ მოისმენს მის ნელ ხმას დამალბობელს.

არჩიბალდს გული ეტყება.

შემოვარდება „აღლან“. მუხლებზე ეხვევა. წამუის. თვალები შესველებუ-ლი აქვს—(ხომ არ სტირის?!). არჩიბალდ ხელს უსვამს. დოგი ყვფს—(ანუგე-შებს). არჩიბალდ ეალერსება და ეუბნება:

— „აღლან“! შენ მატასისთან დარჩები..

დოგი ვაკვირებით უმზერს.

არჩიბალდ წერილსა სწერს ვამეხის სახელზე... ცხრა თვის განმავლობაში ქართული ისწავლა... სწერს... ქვითინს იკავებს... უკან ვილაც აჩერებს თითქო... მაგრამ არჩიბალდის გადაწყვეტა კვაა...

დილით ადრე დგება მატასი.

ეხლაც ადრე ამდგარა. მიდის არჩიბალდის ოთახთან. არავითარი ხმაური. არჩიბალდიც ადრე დგება ხოლმე. სძინავს?! შმუშნავს არ ისმის. კარებზე არა-კუნებს. არავითარი ხმაური. გული უფეთქს: რა დაემართა?! იღებს კარებს. არ-



ჩიბალდ არაა. მაგიდაზე წერილი დევს ვამეხის სახელზე. ნუ შეეწვევდა? გაიპარა?! მაგრამ „აღლან“ რომ ეზოშია?! დასტოვა საყვარელი წერილის ათვლიერებს.

უცბათ ჭეითინი აუვარდება.

— რა დაგნართა მატასი?!

ეს ვამეხის ხმაა. შენოდის.

მატასი წერილს გაუწვდის. ვამეხ კითხულობს... უყვარს ვამეხ... ძმა არის მისი ვამეხ... უყვარს ბაბუა სარიდან... ყველა უყვარს მისიანი... უყვარს „საირმე“... უყვარს მშობელი მიწა... საც მამა მიაბარა უკუნეთს... (ვამეხ გაგუდული ხმით: „ნუ თუ მოკვდა?“ თვალებს იმაგრებს)... უყვარს მატასი... უყვარს სხვა სიყვარულით... და მიღის მაინც... შემდეგ შეტყდება ვამეხს... „აღლან“ მატასის უტოვებს სახსოვრად... მიღის... იცის ვამეხის წყენა თუ ტკივილი... არჩია წასვლა...

ვამეხ ველარ აგრძელებს.

— მატასი!. გაედევნე ცხენით.. ეხლავე.. დაეწვიე..

მატასი მკერდზე ეხვევა ძმას.

— რა ვუთხრა?!

— ნურაფერს ეტყვი.. დაეწიე მხოლოდ..

— მეტი არაფერი?!

— არაფერი.. თითონ იცის..

მატასი საჯინიბოსკენ გაიქცევა. გამოჰყავს შავი ცხენი. შეახტება უბელოს როგორც ახალგაზდა ამორძალი. მიატენებს. უკან „აღლან“ მისდევს ყვეით.

ერთი საათის შემდეგ მატასი ხედავს მოხვეულში კაცის ფიგურას. უთუოდ ისაა: ფიქრობს გახარებული. დაეწია. მატასი იღუშება: ის არ ყოფილა. კენებას უმატებს. „აღლან“ ყეფს და გარბის. კიდევ ხედება ვილაკას—კიდევ სხვა კაცი. „აღლან“ ყეფას უმატებს. გაეარდება. ცხენს უსწრებს. წინ სერი არის. სერს გადირბენს. მატასი ცხენს მიატენებს. „აღლან“ აღარ სჩანს. მატასის ეს-მის ხშირი ყეფა. შემდეგ: ყეფის შენელება და შეწყვეტა. მატასი კორტობზეა უკვე. და აი სიხარული: „აღლან“ არჩიბალდს ეხვევა ტორბაყრილი.

„არ გაჩერდა“: ფიქრობს არჩიბალდ, თავზე ხელს ურტყამს.

— უღალატე მატასის?! ჰაა შე...

მაგრამ ამ წამს ცხენის თქარათქური წყდება და მის წინ უკვე მატასია თეთრი ნაკვერჩხალივით აღვივებული.

— მატასი!.

მატასი ვაცს ეხვევა.

არჩიბალდის ნება უკვე აღარ არის ქვა. ეხვევა თითონაც მატასის, ათრობს სურნელი „საირმესი“—(მატასი ნიამორია „საირმეს“ მთებიდან). ათრობს სურნელი დაწურული მტკევანის—(მატასი თვითონ არის მტკევანი). ათრობს სურნელი ახლად გაქურჩულ ტაროსი—(მატასი ტაროც არის თვითონ). მატასის თვალები ფართოვდებიან—თითქო გადაბელილ მუხის ახლად აყრილი ფოთლები რომელთაც მზის მეწამული ხეითოვები ელვენთებთ. არჩიბალდ უნებერს ათქვი-



რებულ თემოებს მაჩიანს—და მოდის ქართული მიწა; მისი ყველაფერი—მისი ხსენებით—მისი შუქებით—მისი ჯეჯილებით. სუნთქვა მანეთს; მანეთსა არჩი-ბალდს ბრუ ესხმის. ნკლდება. ივსება. რბილდება. ხმაში შეკრთომბა:

- ვამებ არ მოსულა?!
- მოვიდა.. დილით.. ებლა..
- თქვა რაში?!

პირობა — გაედღვეიო.. შითხრა..

— რიბა — სხვა არაფერი?!

იულფლდე — არაფერი..

მატასის ცხცახი უფლის ტანში. თავს ღუნავს.

— არჩიბალდ უცქის ხარბად, ქეის ნება ტუდება. ირა. ნება აღარაა. არჩი-ბალდ პირს იზარუნებს „ნახარბენაჲნა“. უსიტყვო — უფიქრო მიჰყვება მატასის. უბიდან რაღაცის იღებს. პერანგია გველის. არჩიბალდ თითქო ებლა ხედავს: გველი პერანგს იხდის რიყეზე — გაძვრება ქერქიდან და ირონიით მოხედავს სა-კუთთარ თავს დაგდებულს — შეზღვრ გინაშიალებს სივილით ახალი და ხალასი.

არჩიბალდ გველის ქერკს აკვირდება —

თავის თავს ზომ არ ხედავს: წარსულს — გარდასულს — მოცილებულს?! ირო-ნია არ ემჩნევა.

მატასი მიდის ნელი ბიჯით: ტერფებით მიწას ჰკოცნის.

არჩიბალდ მიჰყვება უსიტყვოდ.

ეზოს თავში ვამებია გაძვრებული როგორც ხმალი სისხლში ამოვლებული და ებლახან დამცხრალი. ულის მატასის. ელის კიდევ..

საწყალი თიბას. რომ შეეძლოს დაინახოს შვილების შეხვედრა!. ძმების ერთიმეორეზე მძაფრი ვადაქლობა..

### ვაილოგი

ბაბუა სარიდან ნიგვზის ძირის ზის.

მას პატარა ბიჭი ეთამაშება.

მოხუცი ჩიბუნს სწევს. ცეცხლი ჩამქალა.

— თაზიქა!. აბედი თხოვე ბიძიას.. გაიქე..

თაზიკა მიხტის.

კიკუკა სხალთან ვამებ და არჩილ (არჩიბალდ ებლა არჩილია) ცხენს იურ-ვებენ. ცხენი ავია და ურჩი. მაგრამ ვაეების მკლავები მაგარია. ცხენი ხან ერთს გახედავს ხან მეორეს: ვაგება სურს როპელი უფრო იურკებს?! ცხენი თანდათან ნელდება.

— რას გვერს ტბა ტაბაჲ?!

ვამებ შეკითხვას დროს ცხენის უკანა ფეხს წუდება. ცხენი განზე გაბტება-არჩილ აკაეებს მეორე შხით.

— კალკუტაში ყოფილა.. მოსელას მპირდება..

თაზიკა ევაქვტებს უახლოვდება.





— არ მოხვიდე ცხენთან! მანდ დადექ!

ეს წამის სიტყვებია.

— ბაბუამ აბელიო..

მიმართავს თაზიკა ვამეხს. ვამეხ აძლიევს. თაზიკას შიკვებს.

ბაბუა სარიდან კვესს იძრობს. იღებს კაეს. დაადებს აბედს. გაჰკრავს. ხელი უკანალობს და უცდება. გაჰკრავს მეორედ. არც ეხლა ნაპერწკალი. „დაიქცა სიბერე“—(ვილაც თუ ფიქრობს მოხუცის სხეულში). გაჰკრავს მესამედ. როგორც იქნა: აბედს ცეცხლი ეკიდება. ანთებულ აბედს დაადებს თუთუნით გაკედილ ჩიბუხს.

ბაბუა სარიდან ჩიბუხს აბოლებს და თაზიკას უთათუნებს:

— რა გქვია თაზიკა?!

— თამასი..

— თამასი კი არა „თამაზი“.. თქვი..

— თა.. ში.. სი..

თაზიკა ცდილობს. არ გამოუდის.

მოხუცი იღიმება.

— რა გეარი ხარ თაზიკა?!

— იღუბაქიძე..

— ირუბაქიძე.. ვაიმეორე.. ირუბაქიძე..

მოხუცი თვითონაც ვერ გამოსთქვამს ხერიანად.

თაზიკა იმეორებს. ცდილობს.

— ი.. ლლუ.. ბა.. კი.. ძე..

არ გამოუდის.

მოხუცი იცინის.

თაზიკა ბაბუა სარიდანს ეთამაშება. ხან მუხლებზე დაუფარდება. ხან წვერებში წვდება. ხან ჩიბუხის ტარს ეცემა. ხან ხელს არტყამს ლოყაზე. ხან ყურში ამოსულ ბალანს ეხება თეთრს და იძახის: „ეს რაა?!“ მოხუცი იღიმება:

— კაი თაზიკა!. კმარა!.

შორიდან მატასი უცქერს თაზიკას. მატასი ორსულადაა და შვენის დაქალება. დადის: მუცლით თითქო მიწის საშო მიქავს. უცქერს თაზიკას და უხარის. თაზიკა კი არ ისვენებს მოხუცს.

მოხუცი დასავლისკენ იხედება. მზის მეწამული თასი ესვენება. ნეტავ რამდენჯერ ნახავს კიდევ ამ თასს—(ამას ფიქრობს მოხუცი?!). პირს იბრუნებს და თავის ნაწიერის მიდამოს უყურებს. უყურებს თითქო გაღენჩებული.

— ბაბუა!.

უძახის თაზიკა.

მოხუცი უძვრად კბილებს მოუქერს მაგრად ჩიბუხის ტარს: თითქო მისი გაკვეთი სურდეს. თაზიკა ხელს გაჰკრავს ჩიბუხს. ჩიბუხი მიწაზე დაეცემა. მოხუცი განზე თავს ღუნავს.

— ბაბუა!.

არ ეშვება თაზიკა. ხელზე ეცემა. მოხუცის ხელი გვერდით ჩაეცემა: თი-



პირველი

თქო მოწყდა. თაზიკა მეორე ხელს ეცემა. გააქანებს. მოხუცს დადგინდება თი-  
თქო ხისგან გაკეთებული, თავი ნიგვზის ტანს ხედება. ნიგვზს ერთი მოძველე-  
ბული ქერქი ჩამოუვარდება. მღუმარებაში ეს შრიალი ჩაიშმუშნება.

— ბაბუა!..

ანძრევს თაზიკა მოხუცს და თვალეზში უცქერს გაკვირვებული. «რა მალე  
დასძინებია\*—(თუ ფიქრობს ბავში).

— რა დაგემართა თაზიკა ბაბუას რომ არ ასვენებ?!  
ვამებ მოდის და მასთან არჩილ.

— შეხედე... ლოგოლ ძინავს..

ლულლულღებს პატარა ბიჭი.

ვამებ და არჩიბალდ მოხუცს უახლოვდებიან.

ბაბუა სარიდან აღარ სუნთქავს.. მართლაც დასძინებია.. საუკუნოდ..

ვამებ და არჩიბალდ ცხედარს გძელ ქვაზე გააწვენენ.

შზის მეწამული თასი აღარ სჩანს: თან თუ წაიღო ბაბუა სარიდანის შხერა.

ბორჯომი, ზაფხული

1925



# მთის ზღაპარი

პიესა 3 მოქმ.

## მომქმედნი პირნი:

- ყაფლან ჯამბურაძე — თავადიშვილი, 60 წ.
- მელო, 23 წ. | მისი შვილები.
- ზალიკო, 16 წ. |
- მართა — ჯამბურაძის გამძლეი, 90 წ.
- ვარდანიძე | ახალგაზრდა თავადიშვილები.
- კოწია |
- ლეო — ახალგაზრდა თუში — ექიმი.
- ფოცხვერა — ხანში შესული თუში.
- ვეფხვა — ახალგაზრდა თუში.
- ხანდრო — ახალგაზ. თავადი, მელოს ქმარი.
- გოგო | ჯამბურაძის მსახურნი.
- ბიჭი |
- ვლები.

## მოქმედება I

სცენა ჯანლითა და ბურუსით არის მოცული, რომელიც თან-და-თან თხელდება და ბოლოს გამოჩნდება მთის კალთები. ზაფხულის მზე სთოვუნავს არეულ ბურუსს, რომელიც მთის წვერებისკენ იზიდება და ბოლოს წარმოსდგება დიდებული სურათი: სცენაზე ჩამოქანებულია მთის კალთების შუა წელი; შორს მოსჩანს კავკასიონის უმთავრესი ქედი და თოვლით შემოსილი მწვერვალები. სცენის გასწვრივ მთის ტეხილია, რომელიც სიღრმისკენ ვიწროვდება და ილტვის მწვერვალისკენ. ტყით შემოსილი უდაბურები და სალი კლდის



ნაპრალები ერთმანეთში ირევიან. ამ ტუტულქსი ტოტი მიიკლაკნება ზევით და შორს— ზედ უტუნქაქტუნსა ნაპირზე მოსჩანს ძველებური შენობა ციხე-დარბაზებით და კოშკებით. ამ შენობის დასწვრივ დაქანებულ კლდის შეკრდზე გამოწვდილია დიდი ლოდი და ზედ მოსჩანს წაქცეული ხის შავი ჯვარი. ზაფხულის ცხელი დღე დგება. ოდნევე შესამჩნევად არწივები დასტრიალებენ ამ უდაბურ სივრცეს. შორიდან ოდნევე მოისმის ჩანჩქერის ხუილი.

კარგა ხანს სცენა ცარიელია. როდესაც ჯანლი შეთხელდება და მთის სილუეტები გამოჩნდება, სადღაც შორიდან მოისმის ძახილი: „ლეო-ო-ო!“ მთა ხმას მისცემს და შემდეგ ისევ ყრუ სიჩუმე ჩამოვარდება. ისევ ძახილი: „ჰა-ჰა-ა-ა!“ მთის გამოძახილი კვლავ მინელდება. შორს— მთის ბილიკზე გამოჩნდება ორი თუში— ფოცხვერა და ვეფხვა; ერთმანეთს ხელებით საითკენაც უჩვენებენ. შედგებიან. ვეფხვა გასძახებს: „ლეო-ო!“ დგანან, ყურს უგდებენ; შემდეგ წინ წამოვლენ.

ფოცხვერას და ვეფხვას აცვიათ კალთა-შეკეცილი ჩოხები, განიერი შალვრები; თავზე თუშური ქუდები. წელზე ხანჯლები და ზურგზე გადაადებული ბოფები ირმის ტყავის ბუღებში. ვეფხვას ზურგზე ჰკიდია ახლად მოკლული მშველი. ორთავენი გულ-მკერდიანი, მხარ-ბეკიანი, მედგარი სანაბაობისა არიან.

**ფოცხვერა.** საით აგვცდა ნეტა?!

**ვეფხვა.** ნადირს თუ გაჰყვა.

**ფოცხვერა.** აჰ ჯანლში რა დროს ვაყოლა... ხიფათი არ შეემთხვას.

**ვეფხვა.** (კმაყოფილი ღიმილით) კი არ დააცდინოს! დალოცვილი ისე ესერის, ასე ვონია, თოფის მეტი ხელში არა სკერიარაო!..

**ფოცხვერა.** ძაან ბიკია, მაგრამ მთა მაკდურია.

(შორიდან მოისმის თოფის ხმა. მთა იგრიანებს და მიდუმდება).

**ვეფხვა.** ის იქნება!

**ფოცხვერა.** მეონი, შორს არ იყო... აბა, ხმა მიე ბეჭკრიდან.

**ვეფხვა.** (გადადგება და ძირს გადასძახებს) ლეო-ო-ო!.. (როცა მთის გამოძახილი მისწყდება, შორიდან მოისმის: „ჰა-ჰა-ა-ა!“) ის არის!.. ძირს ხრამშია...

**ფოცხვერა.** ვზა აქეთა აქვს... მოუცადოთ... (თოფს მოიხსნის და წამოწვება-ვეფხვაც თოფს და მშველს მოიხსნის და ჯდება. პაუზა)

**ვეფხვა.** თუ მაგის თხოვნამაც არ გასკრა, კლდეში უნდა გადავცვივდეთ!

**ფოცხვერა.** ძნელი საქმე მოგვივა... (სიჩუმე)

**ვეფხვა.** (თავ-გამოდებით) ჩვენც ძალით დავიჭიროთ ის ადგილები!



- ფოცხვერა.** (დინჯად) ეგ ხემშიფის წინააღმდეგ გამოვა. ვეფხვა. რა უყოთ რო გამოვა. ჩვენ-კი ადამიანები არ ვართ!!!
- ფოცხვერა.** ამ მთებში ყველასაგან დაეიწყებულე ვა'თ... ვეფხვა. მეტი რა-ლა მოგვივა?! ჩვენი ლუკმა-პური ცხვარია... თუ საძოვარი არ გვექნა, რით ვიცხოვროთ?!. აქ თავადებო, იქ ქისტებო... ცხვარს კეთილი სიტყვა კი არ ვაძღობს! იმ ნანგრევებში სამასი თუშის თავია დამარხული—რახედ იხოცდნენ თავებს, თუ მიწა-წყალზე ხელს დავგვებანიებდნენ?!
- ფოცხვერა.** ენახოთ, რას გვეტყვის თავადი... (სიჩუმე)
- ვეფხვა.** დიდ ხანს დაჩება ლეო აქ?
- ფოცხვერა.** არ ვიცი... რას ვააკეთებ აქ?..
- ვეფხვა.** (ამოიხორცხ) თითო-ოროლა მაგისტთან დალოცვილი ადამიანი არ უნდა მოგვკლდეს, რომ ჩვენც სიკეთე ენახოთ. ამ ზაფხულს რომ ეგ არ შეგვსწრებოდა, სუ გავიფლტებოდიო!. (სიამოვნებით) ძალიან ნასწავლია!
- ფოცხვერა.** მაღლიც უნდა ჰქონდეს დაყოლილი ადამიანს, თორემ ნასწავლი ხალხი ბევრია! (სიამოვნებით იგონებს) ლეოს ბავშვობა კარგა მახსოვს... მაშინვე ეტყობოდა, რა კურთხეული შვილიც იყო!.. (ცოტა წამოიწევს; სიამოვნებით ილიმება) ქვა-კარიანთ ბიჭი, რაც ეხლა, ის მაშინ იყო... ერთხელ ისე გაბრაზებულიყო, რომ ერთი პატარა ბიჭი მიეთრივნა კლდის პირას გადასავდებად; ამ ბლარძენში ი ბიჭი მართლა დაკურებულიყო და გამოწვდილ ლოდზე-ლა შეჩერებულნი ყო!.. ბიჭებს დაეწყოთ ყვირილი, ტირილი!.. თითონ ქვა-კარიანთ ბიჭსაც ფერი სცვლოდა, მაგრამ ვეღარ ჩაებდნა საშველად. საიდაწ ლაც გაჩენილიყო ლეო, დევხსნა ყველასათვის ქამრები, ერთი წვერი ბიჭებისთვის მიეცა, მეორეთი ჩაკიდებულიყო კლდეზე და ამოეთრივნა ბიჭი... მერე კრაზანასავით სძვრებოდა ქვა-კარიანთ ბიჭს, მიეთრივნა კლდესთან და გადაეკიდნა... ხა-ხა-ხა... (ორივენი სიამოვნებით იცინიან. შორიდან მოისმის ლეოს სიმღერა):
- მთაო, გადმიშვი, გადნიშვი,  
 ნუ გეფიქება მტერისა,  
 შენი შვილი ვარ,—ვერ მიცან?  
 ჭირიმე შენის მკერდისა!  
 შუბლს ნუ შეიკრავ, მედგარო,  
 უცხო ვინ შემოგბედისა?!.  
 შენი ვარ, შენი, დევ—გმირო,  
 ნალეწი შენის მკერდისა!  
 მშვიდად იყავი, მოხუცო,  
 ძილს ნუ დაიფრთხობ ეკვითა,  
 ჩასთელიმე, დევო, გაკლდეველი,



გული არ გშვენის ძვერითა!  
 ბარი აქ როგორ მობედავს  
 თავის გუთნით და კერითა,—  
 გული ხომ შკერდში გაუსქდა,  
 გუთანიც დაემსხერვესია!..  
 ფლიდი, ვერაგი და მზღალი  
 ვერ იბოგინებს მთაზედა,—  
 თუნდ რო მობედოს—აიგებს  
 სამარეს შენსა მკლავზედა!  
 მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,  
 ნუ მელობები გზაზედა,  
 შენი შვილი ვარ—მოკვედები  
 ერთგული შენსა მკლავზედა!

(ფოცხვერა და ვეფხვა ღიმილით ურს უგდებენ. სიმღერის ხმა თანდათან ახლოვდება. გამოჩნდება ლეო. ქვეყიდან ამოდის. ორივე თუში მიეგება მას. ლეოც ამ თუშებივითაა ჩაცმული,—წარმოსადგვი, ლამაზი ვიეკაცია. ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში მოკლული არწივი).

ლეო. გამარჯობა, მთის ნაბურჯლებო!

ფოცხვერა. }  
 ვეფხვა. } გაგიმარჯოს, კლდის ნალეწო!

ვეფხვა. სად დავგეკარგე?

ლეო. აი, ამის ბრალია!

ფოცხვერა. არწივი მოვიკლავს?

ლეო. ბავშვობაში პირობა დავდე,—არწივი უნდა მოვკლა მეთქი!.. ისეთ ხრამში ჩაეარდა, რომ ძლიეს—და ამოეფოფხნდი!

ფოცხვერა. მაგისტვის თავს-ქი არ შავიწუხებდი.

ლეო. არწივია!

ფოცხვერა. პირში არ ჩაგადნეს!

ლეო. სულ კუჭზე-ქი ვერ ვიფიქრებთ, ფოცხვერე!.. (თოფს და არწივს მიწაზე დაალაგებს და ყველანი სხდებიან) დავილაღე... კიდევ ბევრი დავგერჩა?

ვეფხვა. ერთი საათის საივლი-ლა დავგერჩა. (ხელით უჩვენებს ციხე დარბაზე-ბისკენ) აგერ აქედანა ჩანს.

ლეო. (კარგა ხანს დაფიქრებული გაიცქირება. ასე გონია, თავისთვის) იქ სად ასულან?!

ფოცხვერა. სხვა ჯილაგის ხალხია... მაგათ ადამიანის სიახლოვეს არ ეცხოვრებათ... (ჭაუხა).

ლეო. (კვლავ დაფიქრებული გაიცქირება) გუშინვე მოვასწრობდით იქ ასულას.

ვეფხვა. ჰო, მაგრამ, ბინდი გვისწრობდა ამ ლელეში.

ლეო. რა არის, რომ გვისწობდა?



მარტინული  
ბიბლიოთეკა

**ფოცხვერა.** აქ, ლეო, ლამე სიარულს ვერავენ ჰხედავს...

**ლეო.** (გაკვირვებული) რატომ?

**ვეფხვა.** ცუდი ადგილია... (ლეო ცნობის მოყვარეობით შესცქერის).

**ფოცხვერა.** (თითით ანიშნებს) ჰხედავ, იმ ციხე-დარბაზის დასწვრივ შუა კლდეზე ლოდია გამოწვდილი... შავად მოჩანს...

**ლეო.** ვხედავ.

**ფოცხვერა.** იქ უპატრონო მიცვალებული გდია.

**ლეო.** (ვაცხებულები) იქ?.. მიცვალებული?!

**ვეფხვა.** ჰო, მიცვალებული.

**ლეო.** (თვალს ვერ აშორებს კლდეს) ვინ მიცვალებული?

**ფოცხვერა.** გძელი ამბავია... (პაუზა) ყაფილან ჯამბურშიდემ—იო, ვისთანაც მივდივართ, —ახალგაზრდობაში დანიშნული ქალი მოიტაცა და ძალით შეირთო. . ქალი, მართლა, მზეთ-უნახავი ყოფილა და, როგორც ამბობენ, თამარ მეფის შემდეგ, ადამის შვილს იმაზედ ლამაზი არ უშობია!.. ერთხელ იმ ქალის პირველი საქმრო მისულა გლახის ტანისამოსით მანდ, რომ ერთი მაინც დაენახა თავისი დანიშნული... ორი დღე ყოფილიყო შეხიზნული ჯამბურშიდის სახლში, მაგრამ ჯამბურშიდეს როგორღაც გაეგო გლახის ვინაობა... კაცი ხანჯლით აეჩება და ცოლი-კი აივნიდან მაგ კლდეში გადაეგდო!..

**ლეო.** (ფრიად დაინტერესებული) როგორ, მაგ ლოდზე ჯამბურშიდის ცოლია დამარხული?!

**ფოცხვერა.** საქმეც იმაშია, რომ დამარხული არ არის!.. (ლეო გაშტერებული გაიციქირება კლდისკენ) ვინ ჩახედავდა მაგ კლდეზე?! ძირამდის რო ჩაეარდნილიყო, კიდევ მიუდგებოდა კაცი, მაგრამ ის საცოდავი მაგ გამოწვდილ ლოდზე შეჩერებულა ღეთის განგებით... ვერც ზევიდან, ვერც ქვევიდან ადამის შვილი ვერ მიუდგება... (პაუზა. ლეო თვალს ვერ აშორებს კლდეს) შევამდება თუ არა, მივლს ამ ხეობაში ქალის კვნესა ისმის... ცხენი ფთხება, ნადირი ღმუილით გარბის და—რა დაგიფარო—ამ ხანჯლით რატო ცხრა დათვი არ მომიკლავს ხელ-და ხელ, მაგრამ ამ ხევში ერთხელ კინალამ გავეციედი... ისეთმა ზრიალმა დამიარა ტანში, რომ თმა ყალხზე დამიდგა და ქუდი კლდეში ვადამივარდა!.. (სიჩუმე).

**ლეო.** (თვალს ვერ აშორებს კლდეს) თითონ როგორღა სძლებენ იქ?

**ფოცხვერა.** ვინღა სძლებენ?! საცოდავს ერთი პეტარა ქალი დარჩა და ერთიც ძუძუთა ვაეი... ქალიც დედასავით ლამაზი ყოფილა და კინალამ ისიც დედას გადაპოვლია კლდეში!.. ყაფილანს მაშინვე ქალაქში გაუგზავნია; ვაეი-კი თავის გამიღელს ჩააბარა... აღარც მოსამსახურე უდგება—ერთ თვეს ძლივსა სძლებენ და დარჩა მარტო თავადი... კერპი კაცია!.. ლამე არ სძინავს, მაგრამ ფეხი არ მოიცივალა აქედგან!.. ისე-კი მოხერდა, რომ ოთხმოცი წლისასა ჰვავს, თორემ ხომ მნახავ!..



ლევ. შეილება მაშ ალარ დაბრუნებულან?

ფოცხვერა. მგლის-ფეხას რო ეძახიან, ხომ იცი?

ლევ. ჯიხვებზე რო ნადირობს?

ფოცხვერა. ჰო, ის... იმან გაბედა მანდ ჩასულა...

ლევ. როგორ?!... მაგ კლდეზე ჩავიდა?!

ვეფხვა. ჰო, ჩაბედა...

ფოცხვერა. მკედარს მიწა მიაყარა და შავი ჯვარი დაისვა... ის იყო და ის — მისწყდა ქალის კივილი... ყაფლანმაც ამ ერთი თვის წინ შეილება დაიბარა... ქალი უკვე გათხოვილი ჰყავს... ამბობენ—ჩამოვიდნენო.

ლევ. მაშ რალას გეწინოდათ გუშინ?

ფოცხვერა. ამ ერთი კვირის წინად რო დიდი ჰეჰა-ჰეხილი იყო,—მეხი დასცე-მია ჯვარს და წაუქცივია—ჰბედავ. შავი წვერი კლდეზე აქვს გად-მოკიდებული? (სიჩუმე) მას შემდეგ ისევ კენესის თურმე... (სიჩუმე. ყველანი კლდეს მისჩერებიან).

ლევ. რატომ ისევ არ დაუძახებენ მგლის-ფეხას?

ვეფხვა. სადღაა?!. ამ ორი კვირის წინად ჯიხვს გადაჰყვა კლდეში!..

ფოცხვერა. რო იყოს კიდევ, მეორედ ველარ ჩაჰბედავდა მანდ... მაშინაც ნახვერად—გათეთობული ამოვიდა მანდედან... შეშშიშვიით გახდა... (სიჩუმე)

ლევ. იცი, ფოცხვერ, —არ მჯერა!.

ფოცხვერა. რა არ გჯერა?

ლევ. აი, რაც მოიმბე...

ვეფხვა. რომ ის ქალი მანდა გლია?

ლევ. არა,—რომ ლამ-ლამეობით კენესა ისმის!

ფოცხვერა. რატომ?

ლევ. ეგ ზღაპარია...

ფოცხვერა. (ღინჯად) გამიგია, ნასწავლ ხალხს არ სჯერათ ამისთანებო...!

ლევ. მართალია... არც დასაჯერებელია...

ფოცხვერა. მე რომ ჩემი ყურით გამიგია?!

ლევ. მოგჩვენებია—იმის ფიქრში ჰყოფილხარ.

ფოცხვერა.. რომელი ერთს მოსჩვენებია,—ამოდენა ხალხია და გაურბის ამ ადგილს!

ლევ. ამგვარი შიშიც გადამდებივი სენივით არის!

ვეფხვა. ცხენი რო ფრთხება?!

ფოცხვერა. ნადირი რო ღმუის?!. აი, იქაც ხომ ავალთ,—აბა, ჰკითხე!

ლევ. მაშ როგორა სძლებენ?!

ვეფხვა. რაღა გაძლებია!.. ღამეობით არა სძინავთ თურმე .. ახალგაზრდები სულ აქეთ-იქით დაეხეტებიანო... შორი-ახლოს ერთი-ორი ნათესავი ჰყავთ,—ისინიც იშვიათად უდგებიან... ისევ წასულას აპირებენო..

ფოცხვერა. თითონ ყაფლანი ნახვეარ-გივივით არისო.. ნუ გჯერა!..





- ლეო. იცი რა, — დღეს რომ დაებრუნდებით, ამ ხევში უნდა ფოცხვერა. ნუ ჰჰმაწვილობ, ლეო!
- ლეო. მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ სცდებით!
- ფოცხვერა. ჩვენ ვერაუერს დაგვიმტკიცებ და ეს კლდე-კი ხილათს შეგამთხვევს! (სიჩუმე) ღვთის განგება ბუზი-კი არ არის, რომ დაიჭირო და ნემსებ გაშიაჯო!
- (მოისმის ცბენების თქარი-თქური და შეშინებული ყვირილი. თუშები წამოხტებიან და მარჯვნივ გაიყურებიან)
- ლეო. ცბენი ვილაცს მოათრევს! (გავარდება)
- (ვეფხვა და ფოცხვერაც გამოედევნებიან. ცბენს უყვავებენ)
- ლეოს ხმა. ჯილაფი მაგრა დაუქი!. ხანჯლით მოსქერ უზანგო!..
- (კოტა ხანს შემდეგ ლეოს, ვეფხვას და ფოცხვერას შემოაქვთ გულწასული და თავ-პირ დასისხლიანებული ზალიკო; ხის ქვეშ მიაწვენენ)
- ლეო. გულდაში ჩემი პირსახოცია... ვახიე სივრძეზე და მომეცი... ჩქარა.. (პრილობას უსინჯავს. ვეფხვა მარდად ასრულებს ლეოს განკარგულებას. ჩანახევით ზალიკოს თავს უხვევს. ამ დროს ვარდანიძე, და კოწია; გამოაჩნდებიან. პირველს ევროპიულად აცვია, მეორეს — ჩოხა. ორთავენი მდიდრულად არიან გამოწყობილნი. მიცვივდებიან ზალიკოსთან. შემორბის მელი ამაზონკაშია გამოწყობილი; თავზე ჩერტეზული ფაფაბი, ხელში სტეკი; გრძელ კაბას ხელით იკრებს, მაგრამ სიჩქარით ფეხები ებმის შიგ. ლეო ხედ არ-კ-კი შეხედავს მათ — ზალიკოს პრილობას უხვევს. კოწია მიიწვევს ზალიკოსკენ. მაგრამ ლეო მოურთიდეზლად მოიშორებს; კოწია შებლ-შეკრული მუქარით შეხედავს ლეოს. მელი ზალიკოს წინ მუხლებზე დაეცემა)
- ლეო. (არ-კ-კი შეხედავს) მიშლით! (ხელით იშორებს; მელი წაბარბაცდება)
- კოწია. (აენტება, ხანჯალს იძრობს და მიიწვევს ლეოსკენ) ბრიჯო, იქით! (ფოცხვერა და ვეფხვა იძრობენ ხანჯლებს და კოწიას გადაელობებიან)
- ფოცხვერა. (დინჯად) ნტ! არა, თავადო!
- ვეფხვა. ცხვირს არ დაგაცვინოს, კნიაზო!
- მელი. (შუაში ჩაუვარდებათ) რას შერებით!..
- კოწია. ვინ არის ეგ ოხერი?
- ვეფხვა. ეს ლეო — ექიშია, და ოხრები თქვენში მოიკითხე!
- (კოწია ისევ მიიწვევს)
- მელი. (ბრძანებით) ჩააგეთ ხანჯალი!
- ლეო. (არ-კ-კი შეუხედნია მათთვის) თავადო, მე ექიმი ვარ — დამშვიდდით!.. ვეფხვა, ჩაიბინე კლდით წყალი ამოიტანე!.. (ვეფხვა გარბის. კოწია ხანჯალს ჩააგებს)
- კოწია. ექიმი, — ცხრა უნივერსიტეტი გექნება დამთავრებული!.. (ყველანი შოშმანდებიან და ზალიკოს ეხვევიან.)
- მელი. ღვთის გულისათვის, — ძალიან არის დაშავებული?

ლეო. (არ უყურებს) ისეთი არაფერი აქვს... ნუ მიშლით!.. (ვეფხვას წყალი შემოაქვს ქუდით. ლეო ზალიკოს პირზედ ასხურებს. (დაეშვს ცქერის)

მელო. გრძობაზე არ მოსულა ჯერ?

ლეო. არა. (საკინძმს უხსნის და დასისხლიანებულ პირსა ჰბანს. ევლანი სულგანაბლნი შესცქერიან. ვეფხვას) აბა, კიდევ წყალი! (ვეფხვა გარბის)

მელო. მგონი ამოისუნთქა?

ლეო. (დაიოქილი დასცქერის ზალიკოს. ვეფხვას წყალი შემოაქვს. ასხურებს) ეხლა იღარა უშავს-რა... გონს მოდის...

მელო (დაიხრება) ზალიკო!..

ლეო. მოეცათ... ცოტა ხანს გრილში დაისვენოს... ნაბდეზი არა გვაქვს განა, ვეფხვა?

მელო. (კოწიას) მგონი ზენს ცხენსა აქვს ჩაკრული!

(კოწია გაევა. მელო ისევ ზალიკოს დასცქერის)

მელო. თუ ღმერთი გწამთ, სწორედ მითხარით—რა აქვს დაშავებული?

ლეო. (კვლავ ზალიკოს დასცქერის) თავზე ისეთი არაფერი აქვს... უფრო ფეხი აქვს დაშავებული... სახიფათო არაფერია...

(კოწიას ნაბადი შემოაქვს)

ლეო.. აბა, ვეფხვა მიშველე!.. ნაბადი აქ გაშალეთ..

(ლეო, ვეფხვა და სხვები ზალიკოს ასწვენენ—დაიკნესებს. კოწია ნაბადს გაშლის; ზედ ზალიკოს დააწვენენ)

ლეო. ეს იყოს ცოტა ხანს. (ღიმილით კოწიას მიუბრუნდება) თქვენ, თავადო ტყუილად გაცხარდით,—სეთს შემთხვევაში ექიმს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს!..

კოწია. (შუბლ-შეკრული) ბრავე თუშებს მყტი რა მოგეთხოვებათ!... ქალსაც-კი ხელი ჰკარი!..

ლეო. (შუბლს შეუკრავს) რა დროს ქალია, როდესაც სიკვდილი პირში შეგვცქერის!..

ვარდანიძე. (მელოს) Надо простить. —ничего не поделаешь!..

(თავაზიანად იღიმება)

ლეო. (მიუბრუნდება ვარდანიძეს) ჩვენ არავისთან არა გვაქვს ბოდიში მოსახდელი!

ვარდანიძე. (გაოცებული) თქვენ...

ლეო. (გული მოდის) კმარა ამოდენა უფრო ლაპარაკი!.. ცხრა-კი არა და ერთი უნივერსიტეტი-კი დამთავრული მაქვს...

მელო. (მიუახლოვდება ლეოს და წრფელის გულით) ბედნიერ შემთხვევათა ვთელი, რომ თქვენ შეგვესწარით... უსაზღვრო მადლობას გიძლენით!.. (ხელს ჩამოართმევს) ამათ მაგივრადაც ბოდიშს ვითხოვ—უბრალო თუშები ეგონეთ!..

ლეო. ვგრეც რომ ყოფილიყო, განა ჩვენ ლანძღვის ღირსნი ვიქნებოდით? ცხენი ჩვენ დავიკირეთ, ეს დაჩეჩქვილი ბიჭი ჩვენ გამოგხსენით,—



ნუ თუ ეს ისეთი დანაშაულია, რომ მხოლოდ უნივერსიტეტში დიპლომისთვის გვაპატიოთ?!

**მელო.** (ცეცხრებით) თუ ღმერთი გრწამთ გვაპატიეთ! (კოწიას ხელს მოსჭიდებს და მიიყვანს) ნება მიბოძეთ შეგაროგოთ: თავადი კოწია ვარდანიძე... (ხელს ჩამოართმევინ) ესეც ამის ბიძაშვილი. (ვარდანიძეც ხელს ართმევს) გთხოვთ ეხლა ჩვენთან წამოზრდინდეთ, რომ მამა ჩემმაც ისიამოვნოს თავისი ერთად-ერთი ვაჟი შვილის მხსნელის ნახვით!.. მე გახლავართ (ციხე-დარბაზზე უჩვენებს) თავადი ყაფლად ჯამბურძის ქალი...

**ლეო.** (გაოცებული ერთ ნაბიჯს მისკენ წარსდგამს, ასე გონია, ეხლა დაინახა ხო) თქვენ!.. (სიჩუმე. ერთმანეთს შესცქერიან).

**მელო.** დიახ!.. ნუ მეტყვიტ უარს... ეს ჩემი ძმაა (ზალიკოზე); თქვენც-გთხოვთ, ძმობილებო! (ლეოს) რად მიყურებთ ვერე...

**ლეო.** (ფიქრებში გართული) არაფერი... ისე...

**მელო.** მაშ წამოზრდინდებით?

**ფოცხვერა.** ჩვენ მაინც უქვენთან მოვდიოდით.

**ელო.** (გახარებული) მართლა?!.. (ზალიკოსთან მიიზრენს) ამას ხომ არა უშავს-რა?

**ლეო.** (მივა დააზვიადებს) სრულებით არაფერი!.. ჩვენ სათხოვარი გვაქვს მამა თქვენთან.

**ვარდანიძე.** ალბათ, საძოვრების შესახებ.

**ლეო.** დიახ.

**მელო.** განა მამა ჩემს შეუძლიან უარის თქმა?!

(ზალიკო ამოიკვნესებს და შეინძრევა. ყველანი მისცვივიან)

**ლეო.** (ზალიკოს) ნუ გეშინიან, ალბათ ვიკირს-რა!.. აბა, ესე ციმ-ციმ ავწიოთ და წავიღოთ...

(ფოცხვერა და ვეფხვა იეკიდებენ თავიანთ ბარჯს; ვარდანიძის და კოწიას დახმარებით ასწევენ ნაბადს და ზალიკოს წაიღებენ)

**მელო.** (განგებ ჩამორჩება) ეხლავ დაგეწევით... (ლეოს საიდუმლოდ) ბ. ექიმო, ორი სიტყვა მაქვს... (მარტონი რჩებიან) მეც მინდა ცოტათი მაინც გამოგადგეთ... ერთდეთ ამ ვარდანიძეებს, ნუ აუხიზრდებით რაშიმე... წყენის დავიწყება ადვილად არ იციან... ცუდი სისხლი აქვთ... ქისტები ჰყავთ მცველებათ და უკან რომ დაბრუნდებით, ვინ იცის...

**ლეო.** (ჩაეცინება) გმადლობთ, მაგრამ მაგისთანებისა ჩვენ არ გვეშინიან... ეს ბებერი ლომი ხომ ნახეთ, ახალგაზრდაც გამოდგება... ამ მთის შვილები ვართ და ფეხს ვერავის დავადგმევინებთ!.. (ჩაიციინებს)

**მელო.** (შესცქერის) მაინც...

**ლეო.** გმადლობთ გაფრთხილებისთვის... (წამოიკიდებს თოფს) ოხ, კინალამ ნადავლი დამაეიწყვა!.. (ასწევს არწივს)

**მელო.** ეგ რა არის?

**ლეო.** ვერა სცნობთ ამ დიდებულ ფრინველს?



მელო. (ალტაცებით) არწივი! ღმერთო ჩემო, რა მშვენიერად შეუძლებოვარ  
მკაცრი წარბები და ქეროზე ეს ბრახით სავესე ვეფხვავს!

ლეო. ამ მთებში ხარო დაბადებული?

მელო. (უჩვენებს ხელით) იქ, იმ უძირო კლდის პირას!

ლეო. (დაფიქრებული ზევით იყურება) არ გეშინიანო იქ?..

მელო. (უცებ) რისა?

ლეო. საშინელი უფსკრულია!

მელო. (მიუახლოვდება და საიდუმლოდ) თქვენ იცით?

ლეო. ვიცი.

მელო. მიტომ მზიბლავს სხვისი სიძლიერე, რომ თითონ ლაჩარი ვარ!.. (კენესით)  
ვიტანჯებით იქ!.. (ხელით უჩვენებს) ძალი არ მომდევს დაეთრგუნო  
ეს იღუმალი შიშის ზარი! ვებრძვი ჩემს სისუსტეს, მრცხვენთან გაქ-  
ცივისა, როდესაც იქ იტანჯება მოხუცი მამა ჩემი, ვიკრებ უკანა-  
სკენელ ღონეს, მაგრამ!.. (შიშით თვალები უგანიერდება და ჩურ-  
ჩულით განაგრძობს) შავი ნისლივით გასჯდომია მთელ არე-მარეს  
რადაც საზარელი იღუმალება... მამა ჩემიც ამ არწივივით შეუბო-  
ვარია, მაგრამ (მთლად ჩურჩულით) როდესაც ღამის მიღუმებულ სივ-  
რცეში უფსკრულს კენესა ამოხდება—მთა, ქვა მიწა, ხე, ფოთოლი,  
მთელი არე მას გაიმეორებს,—კერძ მოხუცს (ყვირის) მთლად შეა-  
ზრიანებს და თეთრი ულვაშები აუმოძრავდება... ა!.. (შეკვივლებს  
და თვალბზე ხელებს იფარებს)

ლეო. (მიჭვარდება, ხელებს ჩამოაკლფავს და მკაცრად შეუტევს) გრცხვენოდეთ  
მაგ უზომო სილაჩრისა!.. უაზრო ზღაპარს დაუსწეულებიაართ ამ  
მთებში და არ არის ადამიანი, რომ გამოგარკვიოთ სამარცხვინო  
ზმანებას!.. (მელო გაოცებული შეჭყურებს ლეოს მკაცრ სახეში  
მორჩილად და იმედის ღიმილი უკრთის სახეზე) ეს პეპელა უფრო  
სახიფათოა, ვიდრე მთელი ეგ დასწეულბული ოცნების არაკიკ  
გრცხვენოდეთ!.. ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება არის ეგო-  
დენი სილაჩრე!.. (ბრძანებით) აიწით მალა ეგ თავი, შეუჯა-  
რით წარბი სიკვდილს ესე მკვახედ! (არწივს უჩვენებს) წავიდეთ,  
მიჩვენეთ ეგ თქვენი „შავი ნისლი“ და სხვა „საზარლობა“,—მეც  
ხომ ადამიანის შვილი ვარ!..

(სიჩუმე. მელო მოჯადოვებული შესცქერის; უცებს სტა-  
ცებს ხელში ხელებს და უსაზღვრო მადლობით მიაჩერ-  
დება. მარდად გაბრუნდება და გავა. ლეო უკან მის-  
დევს).

ფარდა.



ქართული  
ბავშვობა

## მოქმედება II.

სურათი, რომელიც პირველ მოქმედებაში მოსჩანდა ქვე-  
ვიდან: ყაფიან ჯამბურძის ძველებური ციხე-დარბაზი  
ზედ უფსკრულის პირას. წინ-დარბაზის გასწვრივ ქვის  
სვეტებზე იფიანი, რომელიც გადაჰყურებს კლდეს. სახ-  
ლის წინ ამწყვანებული და მთის ყვაილებით შემკული  
ეზო. სულ წინ, ზედ კლდის პირას უზარმაზარი წაბლას  
ზე, რომლის ძირშიც გამართულია დასასვენებელი ადგი-  
ლი—საჯდომი. მეორე მხარეზედაც ხე.

ზაფხულის მშვენიერი დილა. წაბლის ქვეშ ზის მართა—  
ხნიერებისგან მთლად გამოყრუებულია. ხან სთელემს, ხან  
გამოერკვევა, გადინებდაც უფსკრულისკენ და უაზროდ  
გაიქნევს თავს, ჩუმად რაღაცას ზმუის და ისევ ჩასთელემს.  
სახლის გვერდით—სიღრმეში გოგო ხალიჩასა ბლერტს  
და შეაქვს სახლში.

მოისმის მელოს ალერსიანი ძახილი: „ბებერა!“ შემოდის.

**მელო.** ბებერა! (დინახავს. მიუახლოვდება, ალერსიანად მოეხვევა და ყურში  
ჩასძახებს) ბებერა! (მართა გამოერკვევა, იცნობს და უაზროდ იღი-  
მება) აქ რასა ზიხაო, ბებერა? არ გეშინიან კლდეში გადავარდენ?...  
(მართა უაზროდ ხელს ჩაიქნევს) ჩემო ბებერავ, სულ გამოჰყრუედი!...  
(მართა ლულულღით რაღაცას ეკითხება; მელოს ვერ გაუგია) რა?  
(მართა განაგრძობს ლულულღს. მელო შეკრთება) როგორ შეძინა?...  
ბებერა, დღისით მაინც ნუ მაგონებ ღამის ტანჯვას!.. (შიშით) ადექ,  
ადექ აქედან... იქით გავიაროთ... (მიჰყავს მეორე მხარეს) შე ბებერავ...  
გამოყრუებულო... შე მაგისტანა ბებერავ... (გავლენ სახლის უკანიდან  
გამოვა ბიჭი მსახური და ვიღაცას გასცქერის. შემოდის დალილი  
ვეფხვა).

**ვეფხვა.** გამარჯობა!

**მსახური.** გაგიმარჯოს! ვინ ვინდა?

**ვეფხვა** ლეო-ეჭიმი.

**მსახური.** მკონი პატარა პატონთან არის... მოიცა... (შევა სახლში.) ვეფხვა  
წაბლის ქვეშ დაჯდება და ოჯლს იწმენდს. ადგება, კლდეს გადაჰ-  
ხედავს და ისევ ჯდება. შემოდის ლეო. აცვია თავთის განიერი ხალა-  
თი და ევროპ. შალვარი.)

**ლეო.** (სიხარულით) ვეფხვა, გამარჯობა!

**ვეფხვა.** გამარჯობა, ლეო!

**ლეო.** (წელზე ხელს მოჰხვევს და დაჰსევამს) აბა, როგორა ხარო?

**ვეფხვა.** კარგა რომ ვიყოთ, ეხლა აქ რა მინდა!...

**ლეო.** რა ამბავია?



- ვეფხვა.** დიდი გვალვია! ლამის ცხვარი გაგვიწყდეს!.. (პაუზზე) უფრო დიდს მოუ-  
რავი დანარჩენ საძოვრებს არ გვანებებს. **გაგვიწყდეს!**
- ლეო.** (დაფიქრებული) რა ვუყოთ, ვეფხვა,—ჯამბურშიც პირობას არ გადა-  
დის და სხვაფრივ, ხომ იცი, რა კერპი კაცია!
- ვეფხვა.** ის შეილი ხომ მოურჩინე და რაღა ეშმაკები უნდაა!..
- ლეო** ჯერ კარგად ვერ დადის—ფეხი მოტეხილი ჰქონდა.
- ვეფხვა.** კისერიმც მოუტეხიათ!
- ლეო.** რას ემართლები, ვეფხვა... ისეც დიდი შეღავათი მოგცათ.
- ვეფხვა.** შენ კიდევ შეილი ანუტე!.. (პაუზა) რო უნდოდეთ ის ვერანა საბალ-  
ახოები, კიდევ ჯანი გაჰვარ დეს, მაგრამ უყრიათ ისე ოხრად!..
- ლეო.** რა ვუყოთ, ვეფხვა, ქვეყანას მაგათ ხომ არ გავასწორებინებთ!.. (პაუზა).
- ვეფხვა.** (ფიქრის შემდეგ) შენც შემოგითვალეს—წამოდიო.
- ლეო.** აბა, როგორ წამოვიდე?! შენც იცი რა პირობაცა გვაქვს,—დატყვევ-  
ბული ვარ აქ, ვიდრე შეილი მთლად არ მოურჩება.
- ვეფხვა.** (იღიმება) უშენოთ სიარულსაც ველარ ვახერხებთ!
- ლეო.** (ხუმრობითვე) ქოჭინებს გაგიკეთებთ და მოგიტანთ!..
- ვეფხვა.** მაინც-კი!... (პაუზა) აი, ტანისამოსი მოგიტანე.
- ლეო.** ჰო, ეგ კარგი გიქნია!
- ვეფხვა.** მაინც, როდემდის უნდა იჯდე აქ?
- ლეო.** (ყოყმანით) რა ვიცი... ორიოდე კვირა მაინც მომიხდება...
- ვეფხვა.** (უკმაყოფილოდ) მეტი რა ჩარაა... ჩვენვე დაგამწყვდიეთ აქ!.. იქნება,  
მაინც გეცადნა—რა ვიცი, ეგებ ესლავ მოგვეცეს ის საძოვრები?
- ლეო.** კარგი, ვატყვი... თუმცა იმედი არა მაქვს... (მელო და მართა შემოდიან  
ისევე ხელ-გადახვეულნი)
- მელო.** შე ისეთო ბებერავ... ცუღღღღღ, ცეღღღღ ზებერავ!..
- ვეფხვა.** ეს ხოხობი ატყვია?
- ლეო.** (გაეცინება) მაშ სად იქნება?!.
- ვეფხვა.** თვალ წყალს ასმევ რაღა!..
- ლეო.** (ისევე) მაშ რა ვუყო—ხომ არ დაეხუტავ?
- მელო.** (მიუახლოვდებათ) გამარჯობა.
- ვეფხვა.** გაგიმარჯოს, ქალო!
- მელო.** ჩემზე ხომ არ იციანოდით?
- ვეფხვა.** არა, ქალო,—ლეოს ვკითხე—ეს ხოხობი ისევე აქ არის მეთქი და  
ლეომ გაიცინა.
- მელო** (იციინის) განა ხოხობსა ვგეგარ?
- ვეფხვა.** ეგრე იტყვიან ლამაზ ქალზე.
- მელო.** განა ლამაზი ვარ?
- ვეფხვა.** ბეჩა!.. (იციინან)
- (მართა უაზროთ უყურებთ, მერე მელოს რაღაცას ეუბნება)
- მელო.** (ცდილობს გაიგოს) როგორ?.. ექიმი და მისი ამხანაგია... ჰა?.. ჰო, ხა-  
ლიტო რო მოარჩინა... ჰო, ჰო... როგორ?.. იმას ამბობენ, რომ ლა-



მაზი ხარო... ჰო, ლამაზი... (მართა უახროდ ჩაიკენებს) წავიდეთ, ბებერა... (მიდიან) დაილაღე ცანცარით... შე მე ვინ ვარ... (გადიან სახლის უკან).

**ვეფხვა.** (წასვლის აპირებს) მისე ვგრე, ლეო—მოვლაპარაკე, იქნება გამოვიდეს რამ... ამ ცოტა ხანში კიდევ მოვალ. შენც როგორმე დააღწიე აქაურობას თავი; რალაც მთარული ჩნდება ჩვენში.

**ლეო.** დავაყენებ თუ არა ფეხზე და—თავისუფალი ვარ! მოიცა, რას მიე-  
შურები, დანაყრილი!

**ვეფხვა.** არა მცალიან,—ხევი თუ შეგი მიციდიან... გამარჯვებით!

**ლეო.** (ხელს ართმევს) ვაგიმარჯოს!.. ეგრე გადაეცი...

**ვეფხვა.** გადაეცემ. (მადის) კოკინები არ დავაგიწყდეს!

**ლეო.** არა, არა! (იციინიან)

(ვეფხვა გადის მარჯვნივ. ლეო გააცილებს და შემდეგ გასცქერის. სახლიდან ჩამოდის ყაფლან ჯამბურიძე: ზორბა, ახოვანი, მთლად გათეთრებული. ქართულად არის გამოწყობილი (კაბა; დიდრონი წარბები თვალზეხედა აქვს წამოფარებული. მკაცრი, დაღვრემილი სახე. გამოიყურება რალაც ეკვით და ფარული შიშით—მოუსვენრად).

**ლეო.** (მიეგებება) აი, თავადო ყაფლან, თუ შეგი კიდევ მოვიდნენ სათხოვ-  
ნელად... (ყაფლანი ხის ქვეშ ჯდება) მთაში საშინელი გვალვაც და  
როდის შეგვიძლიან ვისარგებლოთ დანარჩენი საძოვრებით?

**ყაფლან.** (ყრუ, მტკიცე ხმით) იშვიათად თუ ვისმეს სიტყვა მივცე, მაგრამ  
შესრულდება ეცი! პირობა გვაქვს—მორჩა და გათავდა! ერთი  
ადგილი უკვე მივეცი, დანარჩენს მიიღებენ, როდესაც ზალიკოს  
ფეხზე გავლილს დავინახავ!

**ლეო.** თავადო ყაფლან, ზალიკოს მორჩენა ყოველ ექვს ვარეშეა...

**ყაფლან.** მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ! თქვენ ჩემი ტყვე ხართ, ვიდრე ზალიკოს  
სრულიად განკურნებულს არ ჩამაბარებთ!

**ლეო.** დიახ, მაგრამ...

**ყაფლან.** (აწყვეტინებს) მერე კი მთელი საძოვრები თუ შეგისაა და პირად თქვე-  
ნი გასამრჯელოც მომთხოვეთ, რაც გნებავთ!

**ლეო.** პირად ჩემს გასამრჯელოზედ იმ თავითვე უარი განვაცხადე, თავადო  
ყაფლან!

**ყაფლან.** (ნაწყენი) როგორც გენებოთ... იამპარტანეთ, რამდენიცა გასურთ...  
(უცებ შორიდან მოისმის ქალის რალაც გაურკვეველი კვილი. ყაფ-  
ლანს მთლად შეატრეოლებს და ათრთოლებული წამოდგება).

**ლეო.** რა იყო?

**ყაფლან.** ეს ვინ... დაიკვლა?..

**ლეო.** მკონი, თქვენი გოგოს ხმა იყო... ალბათ, ვისმეს უბნობს.

**ყაფლან** (აცხატებულად, ბუჭარით) მე შენ... ვაკივლებ... (მიდის)

**ლეო.** (ფრთხილად) თავადო ყაფლან, ნება მომეცით, როგორც ექიმს...



**ყაფლან.** (შედგება და მკაცრად მოჰხედავს) როგორ?..

**ლევო.** შემიძლიან რჩევა რამ მოგცეთ... ვერა ხართ სრულყოფილი?

**ყაფლან.** თქვენი რჩევა თქვენთვის შეინახეთ... მე არაფერიც არ მიჭირს!.. მოურავო!.. (გაღის).

(ლევო თვალს გააყოლებს. შემდეგ დინჯად მიბრუნდება, მიუახლოვდება კლდეს და ზედ უფსკრულის პირას დგება; გატაცებული გაჰყურებს დიად ბუნებას. ცხება.)

სკენის სიღრმეში გამოჩნდება მელო. ხელები უკან ზურგზედა აქვს გადახლართული, დინჯად მოირბევა და ჩუმიად ლილინებს; შეამჩნევს ლეოს, გაიღიმებს და მისკენ გასწევს).

**მელო.** ოცნებობთ?

**ლევო.** (ერთი შეჰხედავს და ისევ მოჯადოებული გასცქერის სურათს) ოცნება აქ მეტია... თვით ოცნებაც ვერაფერს უკეთესს ვერ შეჰქმნიდა...

(მელოსაც მოაჯადოებს ბუნების ეს დიდებული სურათი და ესე — უნძრევლად დასცქერის უფსკრულის დაქანებულ სივრცეს)

**ლევო.** (ასე გონია, თავის განცდას ესაუბრება) ადამიანი გაუაქციებით დარბის თავის შეთითხნილ ცხოვრებაში, ეძებს ბედნიერებას... ვერ ჰპოვებს... ნეტარების ეს დაუშვრეტელი ყუარო-კი აქიწვდება... ერთ კიდა მკერდში მოთეთქვილ ფილტვს არ-კი უგრძობია როდისმე, რა არის ამ გაღვლებულ ბუნებაში ავორიატებული მკერდს ცემა!.. პაჩია ჭიას ზურგი შეუქცევია ამ სამოთხისთვის და თავკანას სცემს თავის პაჩია კულტურის ხეხულას!.. (პაუზა) მიბრძანდით აბლო, კნეინა მელო... ნუ გეშინიათ... (მელო მიუახლოვდება უფსკრულს და შიშით ძიოს იყურება. ლეოს ხელს მისცეს. დგანან ესე მოჯადოებულნი.) იქ ის დათოვლილი მთის წვერები, დაქანებული ღრე-კლდე, ჩანჩქერები, ხევის ყრუ ბუბუბუტი... ეს თავსბრუ დამხელი უფსკრული და ცაში მონავეარდე არწივები! ყრუ, ველური სიჩუმე და ბუნების იდუმალი ხმა!.. მკერდში გული ველარ ეტევა, ლამობს იფეთქოს და შეუერთდეს ბუნების საქოოწინო ზეიმს... აქ, მხოლოდ აქ, სადაც ვერ აღწევს კაცუნას ხმა, მოუღრუბლავად დღესასწაულობს სიცოცხლის ინსტინქტი...

**მელო.** გამიშვით ხელი... აღარ მეშინიან... (ხელს გაინთავისუფლებს, მაგრამ მთვრალივით წაბარბაცდება. ლევო წელზე ხელს მოჰხვევს და შეიშავრებს. მელო მხარზე თავს დაადებს და თვალზე დახუჭული ნეტარებით იღიმება კოცნის მოლოდინში. ლევო აღტაცებით დასცქერის მელოს მშვენიერ სახეს)

(აივანზე გამოდის ყაფლან — ვერა ჰხედავს მათ, მაგრამ იცის, რომ აქ სადაც კლდის პირას უნდა იყვნენ).

**ყაფლან.** (მკაცრად) მელო!

**მელო** (შეკრთება, გამოერკვევა) აქა ვარ, მამა!

**ყაფლან.** რამდენჯერ მითქვამს, ნუ უახლოვდები უფსკრულს!





მელო. (წინ წამოდგება) ნუ გეშინიან, მამა,  
ყაფლან. (ნერვიულად) ნუ უახლოვდები!.. (შედის სახლში)

(მელო ჯდება ხის ქვეშ და ჩაუჭრებელი თვალბზე ხელებს იფარებს—იდაყვებით დაყრდნობილია მუხლებზე. ღეო ისევ კლდის პირას დგას და ვაიციკირება. კარგა ხანს სიჩუმეა. მელოს ჩუმი, შეუკავებელი სიცილი აღტყდება—ჯერ ისევ პირზე ხელეზ-მიფარებული ზის.)

ღეო. (ნაკბენივით მოუბრუნდება) რაზედ იციანით?

მელო. (ისევ ზის და ჩუმი სიცილის განაგრძობს) ისე... არაფერზე...

ღეო. (მიახედა, ნაწყენია) მაინც?

მელო. (ჯერ ისევ იცინის; მერე ხელებს მოიშორებს, თავის წინ იყურება და დეკლამაციით ამბობს)... «და შეჰხვდა მწყემსი იგი ქაბუცი მთაში ქალს... და ქალი ტურუა, ცხვრის ტყავით შემოსილი, იჯდა პირსა მას წყლისას და სტიროდა... და შეაზო ხელი ყრმამან მან ქალსა მის და ტრფიალებით აღესილი შეეკითხა მიზეხსა მშუბარებისას... შეკრთა დიაცი, წამოიჭრა ფერხთ და, მუნ იხილა ყრმა იგი უცხო მშეენებით აღსავსე, გაულინა...» ხა-ხა...

(თავს კალთაში ჩაიდებს და იცინის)

ღეო. (წინ წამოდგება შთბლ-შეკრული) აი, ესლბ თქვენ ნამდვილი ადამიანი —პაწია ბუხილის ადამიანი, ნამდვილი ქალი ბრძანდებით! მაგ სახით, მაგ ენით, მაგ გრძნობით ამ მთის კალთებზე-კი არა—კულტურის ლეწით მოწამლულ დარბაზში უნდა იჯდეთ და ლუესით მოწამულ კვალერს ეღინცილავებოდეთ! (მელოს სიცილი შეაშრება პირზე, მაგრამ ისევ კალთაში თავჩარგული უნძრევლად ზის) ორი წუთის წინ ბუნების ნამდვილმა ხმამ გავიტაკათ, უფერ-უმაროი სურვილი გავიღვიძათ და ნეტარება გავგრძნობინათ, მაგრამ—(აივანზე უჭვენებს) ადამიანის ხმამ გამოგარკვიათ, მოგაგონათ კაცუნათა ბუხულა და ბუნების ქეშმარიტების ხელიდან გამოგვლიჯათ! თქვენი იგავი მშეენიერი იყო!... ბუნებას დასცინით.

ო, ფრთხილად!.. ბუნების მსჯავრი საშინელია!.. ერთი მიბრძანეთ, რა გაქვთ ხელში, რა ბედნიეობა, რა აზრი გინათებთ ცხოვრების გზას?! (პაუზა. მელო უნძრევლად ზის) ან იტნება გგონიათ, რომ მრცხენიან ჩემი „სისუსტის“? სცდებით!.. მე მთის შვილი ვარ და თქვენი მაღალ-აზროვანი ირონია ვერ დამირღვევს ბუნების ტრფიალს! (პაუზა). როდესაც ნეტარებით მთურალი ჩემს მკერდს ეყრდნობოდით, მე სტიკიონურად მწაღდა დავკონებოდი მაგ ცრუ, მაგრამ მშეენიერ ტუჩებს! (მელო წამოხტება და მრისხანეი შეჰყურებს) დამშვიდდით: ის იყო მხოლოდ წუთი—გაქრა! მეტსაც გიტყვით: თქვენ რომ არ იყოთ დამახინჯებული კაცუნათა საცოდაობის ზნეობით, უნდა ინანოთ, რომ ეს არ მოხდა—ერთბელ მაინც თქვენს განიორწყლებულ ცხოვრებაში!



- მელო.** ვაშა, ვაშა, განათლებული ექიმი! აიშვით თავი, პირუტყვეს და  
**ლეო.** დიახ, მე ექიმი ვახლავარ და უკეთ ვიცი, რა არის პირუტყვე და არა  
 პირუტყველი, ვიდრე თქვენ — უბერიო რომანებზე აღზრდილო ჭალ-  
 ბატონო! იი, შეხედეთ: (უჩვენებს მთელ არე-შარზე) ამ დიდებულ  
 პოეზიით გაგდენთილი გრძნობა შესაძლოა უკადრისი იყოს?!
- მელო.** მაშ სიყვარული მეტი ყოფილა!..
- ლეო.** (მკაცრად) განა არ შემეძლო თქვენი შეყვარება?
- მელო.** (შემკრთალი, გაოცებული) თქვენ, თქვენ... ხომ არც-კი გიცნობთ?
- ლეო.** (თითქმის ბრაზით) ნუ-თუ თქვენი ეს ახალგაზრდობა და მშვენიერება  
 საკმარისი არ არის?! (პაუზა) ან, იქნებ, ისიც უნდა ვიცოდდე — ქალ-  
 თა ემანსიპაციაზე რა აზრისა ბრძანდებით?!
- მელო.** (სუსტად) მეც ხომ უნდა მკითხოთ...  
**ლეო.** როდესაც ვნებით დამთვრალი ქალი ჩემს მზარზე თავს მისდებს, მე იმას  
 აღარას ვკითხავ!
- მელო.** (ძალიან სუსტად) ჰო... იქნებ ვისუსტე...  
**ლეო.** ნუ ხართ მზრდალი!
- მელო.** იქნება... ცოტათი გამოიტაცეთ... (უცებ ამყვად) ან, იქნებ, იქნებ სუსტ  
 დიაცად მიგულებთ, რომ არ შემიძლიან დავიცა ქალური ღირსება?!
- ლეო.** ქალური ღირსება?  
**მელო.** მაშ რა არის: მე — სხვისი ცოლი — თქვენ, ჩემთვის უცხო კაცს, ტუნებს  
 გიწვდით საკოცნელად!
- ლეო.** (სარკაზმით) ხა-ხა-ხა!.. აი, ეგ სიტყვები ძალიან გაზეპირებული გაქვთ  
 კაცუნას კარაბადინიდან! — მე-კი გაწვდებთ, რომ თქვენი ქმარი  
 უფრო უცხოა თქვენთვის, ვიდრე მე!
- მელო.** (გაოცებული, რყევით) თქვენ?  
**ლეო.** დიახ, მე! ცხადად ვხედავ, ვგრძნობ! (პაუზა. ერთმანეთს უსიტყვოდ შესც-  
 ჭერიან) განაგრძეთ ეხლა თუნდ ლექსით — „ცოლ-ქმრობა“, „ზნეო-  
 ბა“ — მაგრამ ეგ იქნება მხოლოდ საცოდავის ყვირილი: „მე ვარ ლა-  
 ტაკი, მე ვარ, — მომეცი სიცოცხლე, ბედნიერება!“ იცინეთ თქვესა-  
 ვე სილატაკზე! (პაუზა.)
- მელო.** (მთლად გამოოგნებული უძლურად დაეშვება საჯდომზე და დაფანტუ-  
 ლი მიწას დასცქერის) არა... ეს სასაცილო არ არის... მაგრამ.. ეგე-  
 თი სიყვარული... (შეაეროვლებს) საშინელებაა!..
- ლეო.** დიახ — როგორც სტიქიონი!
- მელო.** (ისევე) მერე რისთვის... ვისთვის... ეგეთი გრძნობისთვის, თვითაც უნ-  
 და იყოს ძლიერი, როგორც სტიქიონი... (წამობტება) მიჩვენეთ ძა-  
 ლა; ძალა სულისა, სიცოცხლისა!
- ლეო.** ვმირი? (ირონიით).
- მელო.** მიჩვენეთ ვაჟკაცი, რომელსაც არაფრისა არ ეშინიან, ვესმით — არაფ-  
 რისა!
- ლეო.** (თავისთვის, ჩაფიქრებული) ნუ-თუ არ არის ასეთი?!



მელო. ასეთი!.. ხა-ხა-ხა!.. (ანთებული დაცინვით) აი, ამ კუდეზე ვხედავ  
ერთმა თუშმა ჩაბედა, ჯვარი დაადგა დედა ჩემს დაქვენი მთხრეს-  
ნეთ—მისწყდა ის საშინელი კივილი!.. დიახ, მხოლოდ ერთმა თუშმა  
და იმანაც, ალბად, იმიტომ, რომ მისი დაწიდავებული ტვინი ვერ  
არკვევდა საშინელ ხიფათს!..

(ლეო დაფიქრებული დვას; მელო დაცინვით შესცქერის. ლეო  
უცებ სახლისკენ წავა, სადაც კლდეში ჩასასვლელი ბილიკი იწყება.  
მელო ჯერ გაოცებული უჯურებს, მერე შეშინებული უკან დაედევ-  
ნება. ლეო გაბედულად დაეშვება კლდესზე.)

მელო. (შეზარული თავზე ხელებს იტაცებს) რას შვრებით?!

(ლეო დინჯად ჩადის და კლდის დავს მოედარება.)

მელო. (მივა, ფრთხილად გადინებდავს კლდესზე, შეჭკივლებს ჩემად და უკან  
დაიხვეს) არა, არ შემძლიან ვუცქირო ამ საშინელებას!.. დაილუპე-  
ბა!.. (გაფითრებული თრთის და თვალეზზე ხელებს იფარებს) ჰუჰ-  
სირცხვილი—ის იქ ჩადის და მე-კი ცქერასაც ვერ ვხედავ! (თავს  
სძლევს, მივა კლდის პირას და გაბედულად დაჰყურებს) ჩადის...  
მის შეკრულ წარბებს შიში არ ეტყობა... ახალგაზრდა, მოტრფილედ  
ამ დიადი ბუნებისა, სიცოცხლისა და სიკვდილს პირში უჯარდება!-  
მშვენიერია გამბედაობა!.. (პაუზა) მხოლოდ ოდნევე სახე გაუფით-  
რდა... არა, ეს სისუსტე არ არის—შეგნება საიდუმლოების დიადი  
წუთისა!.. ახ!.. (თვალეზზე ხელებს იტაცებს და უკან დაიხვეს. გუ-  
ლის ცემით კვლავ გადინებდავს) გამაგრდა!.. (ჩურჩულით და აღერ-  
სის ღიმილით გადაელაპარაკება)

... იყო ქალი მშვენიერი... გული ამოკირული ჰქონდა და მის შენ-  
გრეგას ვერვინ ჰბედავდა... გულს ჯანგი ეკიდებოდა და გრძობა  
შფრით ქვედებოდა... იდგა ქალი კლდის პირას და თვალ-აპყრობი-  
ლი უფრს არიდებდა ბრბოს, რომელიც მუხლ-მოდრეკით სიყვარულს  
უძღვნიდა... გოდება იზრდებოდა და საზარელი დრტვინვა ავსებდა  
უფსკრულს მთის წვერამდე... კლდე ზანზარებდა და ყრუ მუდარა  
ხეების ქუჩილს უერთდებოდა... განრისხდა ქალი—ამოიგლიჯა გუ-  
ლი, სტეკორცნა უფსკრულში და ხალხს მიუთითა... გამბედეული  
ბრბო ეცა კლდეს, მკერდით კიდეს დაეყრდნო და ანთებული თვა-  
ლები უფსკრულში ჩაანათა... გაშმაგებულნი ფრჩხილებით სიპ  
ქვასა ჰღადრიდნენ და გაისმა ღმუალი, პირუტყვისთვისაც საზარელი  
ღმუილი... ქალი-კი ზიზლით დაჰხარხარებდა შიშით და სურვილით  
შეპყრობილს ბრბოს... (კილოს იცვლის, დამწვიდებული) მორჩა, უკან  
ბრუნდება... (ისევე ზღაპარი)... იქვე იდგა ქაბუკი და ქალის მშვენი-  
ებით გაოცებული შესცქეროდა მას . უცებ გაუღიმა... მივიდა კლდის  
პირას და გადაეშვა უფსკრულში... მისი გული ქალის გულს შეენარ-  
ცხა... მიღუმდა ბრბოც... მიუბრუნდა მას ქალი და უთხრა: „წაივი-  
დეთ,—მეც თქვენი სწორი ვარ“... (ამ დროს გამოჩნდება კლდიდან

ამომავალი ლეო. სახეე გაფითრებული აქვს და შეზღვი შეკრული. მელო დინჯად მიეგებება) მაგრამ შე ბაზოს ატრეფიკი (ალტა-  
ცებით წარ დაუწოქებს და შესცქერის).  
პირველი მონაწილეები

**ლეო.** (შევიდი, გაქვადებული სახით, წყნარად) მე თქვენ მეზიზღებით!.. (გაბრუნდება და გაეა).

**მელო.** (თვალს გააყოლებს. მერე წამოდგება, მივა ისევ კლდის პირთან და ზღაპარს ათაეებს) „ქაბუკმა თავისი გული კლდის ძირში დამარხა, მაგრამ უკან დაბრუნება მოუხდება“ ..

(ფარდა მძიმედ დაეშეება)

### მოკმელება III.

იგივე მეორე მოქმედების სცენა. საღამო ხანია—მზე ჩადის; მოქმედება თავდება მთვარის შექვზე.

სცენა ცარიელია. შემოდის ლეო.

**ლეო.** დათო! აბა, სად არის?

(ხმა კულისებიდან: „აი, გიაბლებათ!“ შემოდის დაღლილი, გამტვრიანებული ვეფხვა.)

**ლეო.** (არ ესიაშოვნება ვეფხვას დანახვა, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს) გამარჯობა, ვეფხვა!

**ვეფხვა.** ვაგიმარჯოს! ..

**ლეო.** მოდი, დაესხდეთ .. დაღლილი იქნები. (სხდებიან) აბა, კარგს რას იტყვი?

**ვეფხვა.** უნდა წამოაბიდე, მეტი ჩარა არ არის!

**ლეო.** საძოვრები ხომ სულ გადმოგცეს!

**ვეფხვა.** მოგეცა წყალობა, ჩვენ ამოვისუნთქეთ!.. უშენობა მაინც ძალიან დაგვეტყო; მოარული დაგვერია და მუსრს გვაფლებს... ფოცხვერამაც შენი კირი წაიღო!..

**ლეო.** (ძლიერ ნაწყენი) რას ამბობ!.. უჰ!..

**ვეფხვა.** რომელი ერთი ვითხრა?! ასე დამაბარეს მართო უკან არ დაბრუნდეთ!

**ლეო.** (დაფიქრებული) ჯერ რომ... არ შემიძლიან...

**ვეფხვა.** ის ბიკი ხომ მოურჩინე და ზესიქედ ხომ არ დარჩები აქ?!

**ლეო.** მართალია, ვეფხვა, მაგრამ... ისეთი ვარემოება ..

**ვეფხვა.** (ნაწყენი) ისეე ის ცხვარი ვაგვეწყეტოდა არ გვერჩინა?! (მძულეარე-ბით შეჭხედავს ციხე-დარბაზს) ტყუილად-კი არ ლაპარაკობენ ამ ვერანა სახლზე!

**ლეო.** (ღიმილით) რაო?

**ვეფხვა.** აი, ამოვარდნა ამ ოჯახისა ძირიან-ფესვიანად! (სიჩქემ) ლეო, წამოდი; ეს სახლი არც შენ მოგიტანს სიკეთეს! ეს ისეთი დაწყველილი ბუნავია, რომ ხეირი არავის უნახავს აქ!

**ლეო.** (ღიმილით) რათა, ვეფხვა—მე კარგადა ვარ!..

**ვეფხვა.** მაშ არ წამოხვალ?



ლეო. ჯერ... არ შემიძლიან...

ვეფხვა. მაშ როდის?

ლეო. ალბათ... სწორედ არ ვიცი...

ვეფხვა. ჩვენსავე ვის ეყვარები, ან ვინ მოგივლის?! როგორც კლდეს, ისე გენდობით—რად გგჭირი ყელს?! სახლი არ არის, რომ ავადმყოფი არ იწვეს!.. გადაიცივი ჩოხა და წავიდეთ...

ლეო. გუბნები, ვეფხვა, ჯერ არ შემიძლიან.. ვეცდები...

ვეფხვა. ლეო, გაეცალე ამ ოჯახს!..

ლეო. რას ჩააცვიდი ამ ოჯახს?! ეშმაკის ბუდე ხომ არ არის!..

ვეფხვა. (წამოდგება) მაშ შენი იმედი გადავიწყვიტოთ რაღა?

ლეო. რად უნდა გადაიწყვიტოთ!.. ჯერ-კი ვერა და...

ვეფხვა. ღმერთმა კარგა გამოუდოს!.. (ხელს ჩამოართმევს და მიდის. ლეო უკან ვაპყვება, უნდა რამ უთხრას,—გაანელოს უკმაყოფილება, მაგრამ ვერ ახერხებს. ვეფხვა ჯადის. ლეო დაფიქრებული გასცქერის. განოჩნდება მკლო; შეაშინებს ლეოს, ფეხ-აკრეფით მიეპარება).

მელო. (ყურში ჩასწურბუღებს) ლეო!.. (ლეო სიყვარულით გაუღივებს; მელო მკლავში ხელს გაუყრის და ხესთან მიჰყავს) რამ დაგაფიქრა, თუშის ბიჭო?

(ხის ქვეშ სხდებიან. მელო თავით მხარზე მიეყრდნობა, ხელს ხელზე დაადებს).

ლეო. აი, ჩემ თუშებს კიდევ გამოუგზავნიათ,—მოარული მუსრს გეველებს და წამოდით.

მელო. (აღერსით) განა არ იციან, რომ აქაც საშინელი სენი გაჩნდა?..

ლეო. (დაფიქრებული, ყოყმანით) არ შეიძლება განა... ცოტა ხნით წავიდე?.. (პაუზა)

მელო. (დააცქერდება, ჩუმად) წადი!..

ლეო. (გაკვირვებული) შენ ამბობ... წავიდე?!

მელო. (წყნარად) ჰო. მე. წადი!.. (ლეო სასოწარკვეთილებით თავს ხელეზე დაიდებს) წადი!..

ლეო. იცი, რომ ვერ წავალ და იმიტომ მისტუმრებ!..

მელო. (ნეტარებით) ჰო, ვიცი, ვიცი და იმიტომ გრთავ ნებას!.. მაშ გეწყინა... არა, ჩემო ბიჭო,—ერთი დღითაც ვერავეს დაფიქრობ შენს თავს—სული შემოგუბდება, მოგვეცდები!.. (პაუზა) წაიყვანონ ვინც უნდათ—მამა, ძმა... მოსტრან აი აქ (უჩვენებს ფეხებთან) მთელი ქვეყანა და წაიღონ საცა უნდათ, მხოლოდ შენ, შენ დაგტოვონ ჩემთან!..

ლეო. რა სახელი ეწოდება ჩემს ასეთს საქციელს?

მელო. (ყურში ჩუმად) სი-ყვა-რული!

ლეო. მოვალეობა?!

მელო. გახსოვს შენ რომ პირველად გინდოდა დასწაფებოდი აი აქ ჩემს ტუჩებს,—გახსოვდა მაშინ მოვალეობა? (სიჩუმე) ეხლა მეცა მრწამს, რომ სიყვარული თვით არის მოვალეობა!..



ქართული

ლეო. (ჩუმად) მართალია... იმდენად ზაინც, რომ—ან სიყვარული ან სიყვარულეობა!..

მელო. ტუფილად-კი არ შეშინოდა ამ სიყვარულისა, როგორც სიკვდილისა!.. ჩემი სიცოცხლის ორივე წვერი მოჰყვა შიგ და მის წინ შე ვთრთი, როგორც ამ უფსკრულში ჩაკიდებული!.. (ვნების ჩუბჭულით) მინდა, შენც ესე გიყვარდე!.. (პაუზა) გიყვარვარ?

ლეო. (ჩაიციანებს)

მელო. ძალიან?

ლეო. (გასწორდება და ხელებს დაუჭერს) სიყვარული ერთია, მელო, და „ძალიან“ ვერაფერს წაუმატებს!..

მელო. მოვალეობა რომ კიდევ გახსოვს!

ლეო. არაფერი არ მახსოვს!..

მელო. გარდა?..

ლეო. სიყვარულისა!

მელო. კიდევ?

ლეო. სიყვარულისა!

მელო და კიდევ?

ლეო. სიყვარულისა!

მელო. (ნეტარებით დამთვრალი) შენი ჭირიმი!.. (კოცნა) მე მხოლოდ ერთისა შეშინიან—ცას არ შეშურდეს ჩემი ბედნიერება!

ლეო. შენს თავს ცასაც არ დაფანებებ!..

(კულიებიდან ზალიკოს ხმა: „მელო“!)

მელო. (მოჰწორდება ლეოს) აქა ვარ ზალიკო!

(შემოდინან ხელი-ხელ გადახე ულნი ზალიკო და მართა. ლამაზი, კობტა ბიკი მდიდრულ ჩოხაშია გაწყობილი. თავი ისევ შეხვეული აქვს და მარცხენა ფეხიც გაშანთული; ცალ ილლიას ქვეშ ყავარჯენი—მოიკოტლებს. მელო და ლეო მიეგებებიან).

მელო. აბა, აბა, ჩემო კოკლო ბიჭო! (ჰკოცნის და ლეოსკენ მიჰყავს)

ლეო. ვინ ვის მოჰყავს—შენ მართა, თუ მართას შენ? (ყველანი იციანიან)

ზალიკო. ორი უფუხო გადავეკიჯენით ერთმანეთს და არ ვიცი, როგორ იქნება ჩემი საქმე.. (მართას ხის ქვეშ დასვავენ)

ლეო. როგორა ხარ?

ზალიკო. ნება რომ მომცეთ, ყავარჯენს იქ გადავიგდებ! (კლდეზე უჩვენებს)

მელო. სუ! რასაც ექიმი გიბრძანებს, უნდა აასრულო!

ზალიკო. (ამოიხიზრებს) აკი ვასრულებ!

მელო. შენ ეხლა აღარც მაშასი ხარ, აღარც ჩემი,—ბატონი ლეოსი ხარ! (მართას ყურში) აღარც შენია, ბებერა! (მართა ხელს ჩაიქნევს და ჩაიციანებს) აბა, რით უნდა გადაუხადო შენს მხსნელს?

ზალიკო. აბა, რით გადავიხდი ლეოს ვალს?!

მელო. სუ, შე საძაგელო,—შენი რა „ლეო“?!



დეო. ჩვენ უკვე დავეგობრდით!..

(კულისებიდან ყაფლანის ხმა: „ზალიკო!“)

ზალიკო. აქა ვარ, მამა!

(შემოდის ყაფლან—მზიარული, სახე უცინის, სრულებით აღარ ჰგავს წინანდელ შიშით შეპყრობილ სნეულს)

ყაფლან. სულ აქა ჰყოფილხართ!..

მელო. აი, მამი, ზალიკომ არ იცის, რით გადაუხადოს ბ. ლეოს!

ყაფლან. აიღე და შენი და აჩუქე—წაიყვანოს თუშებში! (საცილი)

ზალიკო. იქნებ არ მოსწონს?

ყაფლან. არ მოსწონს და მართა აჩუქე! (საცილი) შენ რალას იტყვი, მეღანია: „ბუნება, ღამე, მთვარე... (ლიღინით) სატრფოვ შენს გზაზედ თვალ-ცრემლიანსა“... ე-ებ... წამო, ზალიკო, გაგატარო... (ხელს მოჭვევს და მიღიან) „სატრფოვ შენს გზაზედ, თვალ-ცრემლიანსა“... (გადიან) (მელო და ლეო თვალს გააყოლებენ. ბინდდება. სიბნელეს მთვარის შუქი ეპარება. ფანჯრებში სინათლე გამოჩნდება. მართა ადგილობრივ სთვლემს, ქანაობს და ზუზუნებს. გოგოს გამოაქვს ხალიჩა, მუთაქები და ჰშლის მინდორზე).

მელო. (სიამოვნებით) როგორ გამოიცვალა მამა ჩემი!..

ლეო. ჰო, ძალიან ცუდად იყო!..

მელო. რაც შენ იქ ჩახვედი (კლდეზე უჩვენებს) და ჯვარი ისევ აღმართე, შესწყდა ის მოსაგონებლადაც საზარული კივილი და მოვისვენეთ გველამ... მამა ხომ მეორედ დაიბადა!.. (დიდი გრძნობით) შენ ჩვენი კეთილი ანგელოზი ხარ!.. შენთვის სიყვარულიც—კი ცოტაა, —მთელი ოჯახი მუხლმოდრეკილი უნდა იდგეს შენს წინაშე!..

დეო. ნუ აზვიადებ, მელო... თქვენ მხოლოდ ცრუმორწმუნობას დაუსწელები-ხართ... შემთხვევა მომეცა და...

მელო. (აღერსით) თუშის ბიჭო, ეს კლდე განა იმისთვის აიშართა აქ, რომ შემთხვევა მოგცემოდა გეცხადებინა შენი სულის ძალა?! განა საცოდავ დედა ჩემს იმისთვის მოეგრა კლდის პირი, რომ... (ისმის მართას ზმუილი)

დეო. ჰო, მელო, დედი შენის უბედური სიყვარული...

მელო. (ვერ გაუვია) უბედური სიყვარული?!..

დეო. (უბრალოდ) ჰო, რისთვისაც მამა შენმა კლდეზე გადააგდო. (მართა ზმუის)

მელო. (შეჭივლებს) როგორ?!..

დეო. (გაკვირებული) რა იყო, მელო?!

მელო. ეინ გადააგდო? (მიჰვარდება)

დეო. (გაოცებული შესტყერის) არ ნესმის... შენ თითონ არა სიტყვი...

მელო. მე ისე მაქვს ჩავონებული, ვითომ დედა ჩემი გაუფრთხილებლობის მსხვერპლია... კლდე მოეგრა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ რალაც საიდუმლოებას მიფარაფდენი!.. ეხლა შენ წამოგცდა და უნდა სულ მი-

თხრაი... (ლეო ყოყმანობს. მელიო ისტერიულად) ლეო, სიტყვი, თორემ ყვირილს მოვრთავ და პასუხს მოვთხოვს..

ლეო. დამშვიდდი, ნუ ჰყვირი... გეტყვი... დედა შენი ძალით იყო მოტაცებული და შერთული მამა შენისგან. დედა შენს სხვა ჰყვარებოდა და დანიშნულიც ყოფილიყო... როგორღაც ის პირველი საქმრო მოსულიყო აქ გლახის ტანისამოსით, მაგრამ მამაშენს ეცნო: ის ხანჯლით აეჩეხა და დედა შენი-კი... იი ამ აივნებიდან უფსკრულში გადაეგდო... (მელიო შეზარული თავზე ხელებს იტაცებს და გარბის სახლისაკენ) მელიო, მელიო!.. (მელიო გარბის).

(შემოდინან ყაფლან და ზალიკო).

ყაფლან. (მოლილინებს) მელიო სადღაა?

ლეო. სახლში შევიდა.

(შემოდის გოგო)

გოგო. ჩაი მოვართეთა?

ყაფლან. აბა, აბა! (გოგო გადის. ყაფლან ხალიჩაზე ჯდება) დაჯექ ზაალ! ლეო მობძანდი! (სხდებიან) რა მთვარეა. (ლილინებს. ხუმრობით) ლეო, მოდი შენც ჩემთან დარჩი... (გოგოს ჩაი შეწოაქვს და ურიგებთ).

ზალიკო. ბებერა?!. (წამოდგება და წართა მოაქავეს) ბებერა, ჩაი, ჩაი ხომ გიყვარს! (მართა ჯერ უაზროდ უყურებს, მერე პირზე ხვლს მოტაცაუნებს, გაილინებს და მისდევს. დასხდებიან და სეამენ).

ყაფლან. (გოგოს) მელიო სად არის?

გოგო. რა მოვახსენოთ?

ყაფლან. (დაცინებით) დათო? (გოგო დარცხვენით თავს დაჰხრის) ე კულაწუღლები ნუ დაჰფუნდრტობთ, თორემ მე ვიცი თქვენი! (გოგო მიდის) გოგი გაფუფქა?

გოგო. დიახ.

ყაფლან. ააშურეთქო! (გოგო გადის. ლეოს—განაგრძობს) ღმერთანი—გიშვილებ!.. ვითომ მელიოს და ზალიკოს უფროსი ძმა ხარ!

ლეო. (ილიმება) ან თქვენ რაში გინდავართ, თავადო ყაფლან, ან მე რა გავაკეთო აქ?

ყაფლან. რა უნდა გაკეთო?!. ვეცო, ამოდენა მამულს მომეღელი არა ჰყავს—საქმე არ არის?!.  
ლეო. მართალია, თავადო ყაფლან, მაგრამ მე სხვა საქმისთვის ვემზადებოდი..

სხვა ინტერესები მაქვს.

ყაფლან. ე-ებს, მელიო ვასაფხოვარი მეყოლებოდა, ვნახავდი შენს ინტერესებს...

ზალიკო. (სიცილით) მოდი, მამი გავყაროთ კმარს...

ყაფლან. სუ, შე ლაწირაკო!.. (იციინიან) ე-ებს!.. მართა, რატომ შენ-კი კულაწუღელი არ დარბიხარ?.. (იციინიან) ე-ბე-ბე... (ამოტანარებს და ლილინებს.)

(შემოდის მელიო; ჯდება ხალიჩაზე, ჩაის კოფს ურევს, მაგრამ არა ჰსევას. სახე მოღუშული აქვს).





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

უფლან, მელანია, რა შუბლი შეგეკრავს?

მელო. თავი ამტკივდა...

უფლან. (ლილინებს) „სატრუოვ, შენს გზასა თვალ-სრემლიანი“....

(შემოდის გლეხი)

გლეხი. ბატონს ვახლავარ! (თუშურ ქლდს მოიხდის და მის ნაკეცსში ეძებს)

უფლან. ვაგიმარჯოს. რა ამბავია?

გლეხი. აი, ბარათი ვახლავს, შენი კირიმე.. (გადასცემს)

უფლან. ააა, ზალიკო იქნება გაარჩიო... (გადასცემს).

ზალიკო. (სინათლეს მიუბარჯვებს, ძლივს არჩევს) „მე-ლუნჩიკ“...

მელო. (ნაკებნივით წამოხტება) ჩემი ქმრისაა... ეხლაე... (სახლსკენ გაიქცევა).

უფლან. (გლეხს) საიდან გამოგატანეს?

გლეხი. ე ბოგირთან რო ღუქანია... თქვენ სიძეს ცხენი დაუკოკლდა და გა-  
მომაქციეს.

უფლან. ცხენი?.. დათო, დათო! (შემოდის დათო) აბა, ჩქარა-ცხენი შეკახმე  
და გაატანე ამას.

დათო. ეხლაე!.. (გადის. გლეხიც ვაჰყვება).

უფლან. პაი და პაი!.. თოვლივით არ დაგველო თავს!.. გოგო! (შემორბინ  
გოგო) ვარიებიც მოიშადეთ, აბა—ჩქარა!.. (გოგო გარბის) ის აქ მო-  
სვლას არ აპირებდა—საიდან?!..

(ღეო გაქვავებული ზის. შემოდის მელო. სახე არ ადევს)

მელო. მართალია... ჩემი ქმარი მოდის... ცხენსა ვთხოვს...

უფლან. ვიცო, ვიცო—ჟკაზმავენ... დიდება შენდა, ღმერთო—ის აქ მოსვლას  
არ აპირებდა!.. ჰა, მელანიაე, თავის ტკივილმა არ გაგაიარა?.. ხე-ხე...

ზაილ, წამო თადარიგი გავწიოთ, თორემ სიძე-ბატონი მშიერი და-  
გვრჩება. (წამოდება. მიდიან ის და ზალიკო)

(მელო გაშტერებული ღვას; ღეო მას მისჩერებია. მართა  
ისევე ზალიჩახე ზის და სთვლენს).

ღეო. (მივა შელოსთან) მელო, ეს... მოდი აქ! (ხისკენ წავლენ) ეს რა... მოხ-  
და?!. (სიჩუმე, —ვერ გარკვეულან) არ გესმის, მელო, ეს რა მოხდა?..

(შეანძრევს)

მელო. (აქეთ-იქით იყურება—აზრობს იკრებს)

ღეო. ჩვენ ისე მთლად მივეციოთ თავი ბედნიერებას, რომ შენი ქმარიც-კი და-  
გვავიწყდა!.. (პაუზა).

მელო. (ულონოდ) რა ექნათ?

ღეო. მე... მე აქ აღარ შედგომება... ეხლაე წავალ!..

მელო. (შკაცრად უყურებს) მაგისტვის დაიმონე ჩემი სიცოცხლე?! მართოს  
მტოვებ?!

ღეო. როგორიც კითხვა—იყო ისეთი პასუხი!

მელო. როგორი?

ღეო. „რა ექნათ!..“ განა პასუხი არ იცრ?!

მელო. აბა?



- ლეო. უნდა ავიყვანო ხელში და შეუდგეთ ამ მთას—ეხლა
- მელო. (გულზე მოეშვება) შენი ქირიმე!
- ლეო. აბა, მოემზადე!
- მელო. მოდი აქ... (სბღებთან) მე ეხლა დამშვიდებული ვარ, რადგან შენი იმედი არ გამიმტყუნდა... საბოლოოდ-კი შემდეგ გადაწყვიტოთ.
- ლეო. მინამდის?
- მელო. თავი შევიმაგროთ.
- ლეო. შენი ქმარი?
- მელო. რა—ჩემი ქმარი?
- ლეო. ზომ საცაა მოვა?
- მელო. მოვიდეს!
- ლეო. (სახე უბნელდება) და... მოგებვიოს!
- მელო. უნდა მოვითმინოთ, ლეო!
- ლეო. (სუნთქვა ეკვრის) შენ... პატიოსნება გკლებია!
- მელო. (წამოხტება) ლეო!
- ლეო. შენ ჰყოფილხარ ქალი, დიაცი—როგორც ყველა! „მოვითმინოთ“! მაგას ითმენთ ყველანი, რადგანაც არა გაქვთ ქალური სიამპარტაენე, სილამაზე! (გესლიანად) რა დიდი საქმეა: რამდენიმე დღე, კვირა—იქნებ, თვეებიც, ჰა?—ქმარი გიცოლებს და მერე... ეს საზიზღრობაა!..
- მელო. (არ იცის რა აწამოს) მაშ რა ექნათ?.. ისე მოულოდნელად დაგვატყდა თავს უბედურება, რომ უნდა მოვითმინოთ ჩვენივე მომავალი ბედნიერებისთვის.
- ლეო. მოითმინე რამდენიცა გსურს, მე-კი მაგ მოთმინებისთვის უკვე მეზიზღლები!.
- მელო. ლეო!
- ლეო. დიახ, ესე ნიავდება სიყვარული—ღარაა სილამაზე! (უკიდურესი ზიზღით) აი ეს შენი მშვენიერი სხეული ვინმემ გაჯიჯგნოს შენისავე დესტურით და მე კიდევ მიყვარდე?!. ზა-ზა...
- მელო. (ტირილით) მაშ რა ექნა, ლეო—მიტხარ, მიბრძანე!
- ლეო. მომეცი ხელი და შეუდგეთ ამ მთას, რომ შენმა ქმარმა ქმარული თვალითაც ვერ შემოგებდოს!
- მელო. ნუ-თუ ვერ მხედავ, რომ ეგ შეუძლებელია?!
- ლეო. რატომ?
- მელო. სად წავიდეთ, რომ არ გვიპოვონ?!
- ლეო. სრულებიდაც არ ვაპირებ მალულაობას!
- მელო. შენ არ იცი ჩემი ქმრის ხასიათი!.. მამა ჩემიც მოსისხლე მტრად გადაგეტყუა და ბოლოს მოგიღებს ეს ორი მხეცი!
- ლეო. ეგ ჩემი საქმეა!
- მელო. მოგკლავენ!
- ლეო. ისევ სჯობია!
- მელო. (სუსტად) მე ვეცდები თავი შევიანაო..



ლეო. ხა-ხა-ხა!... ეს კლდე უფრო დაგინდობს, ვიდრე ლეინიანა. **შენი ზინჯირითაა**

მელო. (სასოწარკვეთილი) რა ვქნა, რა ვქნა?!

ლეო. უკვე გიბნარ!

მელო. შეუძლებელია!..

ლეო. მაშ, მორჩა ყველაფერი!

მელო. (ვედრებით) ნუ, ნუ, მეტყვი მაგას!

ლეო. (მტკიცედ) არაფითარი შენი ვედრება არ გასჭრის!

მელო. (სასოწარკვეთილებით დარბის) ღმერთო, ღმერთო!..

(შემოდიან ყაფლან და ზალიკო; ყაფლან სიამოვნებით ლილინებს. მიუახლოვდებიან მათ)

ყაფლან. ჰა, მელანია, გუნებაზე როგორა ხარ?.. (დააკვირდება მელოს შესილს სახეს; მთელი სურათი ფრიალ მეტყველია—მისთვის ცხადი ხდება ყველაფერი. საზე მთლად დაუბნელდება. ზალიკოს) წადი შენი.. (ზალიკო წაეა. მელოს) შენც წადი აქედან... არ გესმის?! (მელო დინჯად გაეა მარჯვნივ და ხეებს მიეფარება. ყაფლან მრისხანედ დააქერდება ლეოს. ლეო უნძრევლად, დინჯადა დგას და არ უპურებს მას) შე უგვანო, უთვისტომო!..

ლეო. (ყრულ) მე ისეთ გუნებაზე ვახლავართ, რომ შეიძლება დამაიფიცდეს თქვენი ქალარა...

ყაფლან. (გაღვიძებულ მხეცს იკაეებს) თუშის ლეკო, გაჰბედე და წაჰპილწე თაეად ჯამბურიძის ოჯახი?!

ლეო. (ისევე) დიახ, გაბედე!..

ყაფლან. (თავს ველარ იკაეებს) სოქვი ყველაფერი!

ლეო. (ისევე) ვასრულებ ბრძანებას—შე მიყვარს თქვენი ქალი!

ყაფლან. (ხანჯალს ხელს გაიფლებს) იმას?!

ლეო. იმახ... არა!..

ყაფლან. (გულს მოეშვება) კიდევ კარგი!..

(შემორბის მელო)

მელო. (ატაკებული) სტყუის! მეც მიყვარს ეგ—როგორც ეს ცა, მიწა, სიცოცხლე!

ყაფლან. (გაციხლებული მიიწევს) ურცხვო! მე შენ...

მელო. (გაბედულად მიიჭრება და პირში უვარდება მამას) ხა-ხა-ხა!..

აქა ვარ—აბა, გაბედე! (ზედ ეკვრის) აჰა, აჰა. აქა ვარ!.. (ხელში სტაკებს და კლდისაკენ ეწევა) მოდი, მოდი აქ!.. ამ კლდის პირასაც არ შეშინიან შენი!.. (გამოგნებული ყაფლან არ მისდევს და გაეშვებინება. მელო მარტო მიიჭრება კლდესთან და ზედ პირზე დგება) მოდი, მოდი აქ!.. ხა-ხა.. ვერ ჰბედავ, განა! დაუბდე ყური—დელი ჩემის კენესა მოისმის უფსკრულიდან... გესმის?.. თუ კაცი ხარ მობედე და ქალიც დედას მიყვარე!.. (ყაფლან შიშით ატანილი თრთის. მელო მიუახლოვდება მას) არა შენ ჩემი ვნება არ შეგიძ-



ლიან—ეგ სისხლი შერევა გამოვა... ან რას გიკვირს, დაბნეულ ყოფილან, ჩენი სიყვარული?!. სიყვარულმა ჭალის ველურზე გაიყვინა ჭავადენინა!.. სიყვარულმა ორი შეილის დედა უფსკრულში გადაგადგდინა!.. ნუ-თუ ჩენი შეცოდებაც ასეთი საზარელია?..  
(ზალიკო სტენის სიღრმეში გადირბენს)

**ზალიკო.** (ყვირის) სანდრო მოდის!.. (მიეფარება).

**ყაფლან.** (მთლად გატეხილი) მართალნი ხართ: ჩემი მსჯავრი არ დაგედებათ... მხოლოდ ვიბოვ ერთს: (ღეოს) შენ ხვალვე აქედან წახვალ და დღეს-კი ისე დაიჭირეთ თავი, რომ სანდრომ არა შეგანჩნით—რა.. ყეში ოჯახი ისეც დატეულია!.. (აჩქარებით გავა).

(მელო გზა-არეული დვას და როგორც ხაფანგში მოყოლილი ნადირი გაიყურება, საიდანაც მისი ქმარი უნდა შემოვიდეს)

**ღეო.** ა-არ შემიძლიან აქ ყოფნა!.. (მარდად გავა სახლს უკან).

(სანდროს ხმა-ნაქეიფარია: „მელუნჩიკ!“ მელო უღონოდ დაეშვება ხის ქვეშ, შემოდინ სანდრო—პრაპორშჩიკის ეპოლეტებით, ყაფლან და ზალიკო).

**სანდრო.** (მოიძღვრს) „სიყვარულის მამგონი დანით მოსაკვლელია-ა“... მელუნჩიკ!.. სად არის?!

**ყაფლან** (თავს იმზიარულებს) ავერ ხის ქვეშა ზის.

**სანდრო.** (მივარდება, თავს უწყევს და ჰკოცნის) რას მემალება, გვრიტიკო... რა მოვდის... რამ აგაღლევა?..

**ყაფლან.** ხა-ხა ხა!.. ეგრე მოულოდნელად თავს დაეცი, მაშ რა... გოგო აბა ვახ-შამი ჩქარა!..

**სანდრო.** ჰა. აიწი ეგ თავი... რამ გაგაფითრა... ავად ხომ არა ხარ?..

**მელო.** (ძლიეს) ჰო... ცუდად გავხდი უცებ...

**სანდრო.** ЭТО НИЧЕГО! ქმარი გამოგაყეთებს!.. ხა-ხა-ხა!.. არა, თავიღო ყაფლან?

**ყაფლან.** ხა-ხა... ჰაი. ჰაი!..

**სანდრო.** „სიყვარულის მამგონი“.. ხე-ხე.. (გვერდებში უღიტინებს).

(გოგო სუფრასა ჰშლის ხალიჩაზე).

**ყაფლან.** კაცო, აკი არ აპირებდი მოსვლას?.

**სანდრო.** არა, მაგრამ მელუნჩიკას სიყვარულმა მომიარა და ბიტ!.. (ისეც უღიტინებს. წამოადგება) ძალიან-კი დავიღალე ამ ხეე-ხუფებში!.. აბა, თითო ჰიქა ღვინო და ჰაიდა!—არა, მელუნჩიკ? (მელო უნძრევლად ზის).

**ყაფლან.** სხვა—რა აშბავია, რის აკეთებდი ტფილისში?

**სანდრო.** მოგაგონდება ახალგაზრდობა!.. ხა-ხა... მელუნჩიკაც გამოვისტუმრე და, მოგეცა წყალბა, აუტიე!.. რამდენი წლის დავიწყებული მეგობრები მოვიგონე!.. ხა-ხა... ჰა, მელუნჩიკ, ეგენი არ იყოს—უბუმრობ... ბიკოს! მართლა—ეს რა მოსვლია ზალიკოს?

**ყაფლან.** ცხენმა გადმოაგდო და ძალიანაც დაჩქვქვა. ექიმი და თუშები რომ არ შესწრებოდა, ვინ იცის, როგორ ვადურჩებოდა.



სანდროს მამა და დედა

სანდრო. ვინ ექიმი?

ყაფლან. მართლა, სად არის?.. დაუძახე, ზალიკო!.. (ზალიკო შევიდა ხანძარიდან და უხერხულად დაიწყო ხეობა)  
შია... ერთი თვეა აქა მყავს.

სანდრო. შებეწვიოს იმის მადლი—ალბად სუ ცხერის დუმას იღებს!.. ხა-ხა..

ყაფლან. არა, ნამდვილი ექიმი—ისე საზაუხლოდ არის მოსული..

სანდრო. ნელოს-კი ვერ უწამლებდა? ხა-ხა..

ყაფლან. მაგას საექიმო რა სჭირს..

სანდრო. მამ ექიმი თვალში არ მოჰსვლია, თორემ სატკივარს ჩქარა გამოიგოხებოდა... ხა-ხა... არა, მელუნჩიკ? (მიუჯდება და ელაზღანდარება).

გოგო. მზად გახლავით!..

ყაფლან. აბა, ხელ-და-ხელ ვივახშოთ, თორემ დაღლილი ხარ..

სანდრო. აი დოსტი! (ნელოს წელზე ხელს მოჰხვეს, ააყენებს მიძყავს) ტა-ტა!.. შემოდინ ზალიკო და ლეო. მათ დანახვაზე ლეო ჯერ შედგება, მერე კრიკა-შეკრული მიუახლოვდება. სანდრო მელოს გაღიზიანებას დასევამს).

ყაფლან. (ლეოს) სად დაგვეყარგე, კაცო?! სანდრო, გაიცან!

სანდრო. (მიუახლოვდება გადაკარბებული სითამამით) ვერაფერი მადლობა, ბ. ექიმო, რომ ჩემი ცოლი უსურადღებოდ დაგიტრფებიათ—იგე, რა ფერი აღდგეს!

(შუბლ-შეკრული ლეო ძირს იყურება. მელოსაც თავი ვერ აუწეგია ზევით).

ყაფლან. დაესხდეთ, დაესხდეთ!.. (სხდებიან)

სანდრო. (ისკუბებს და მელოს გვერდით მოუჯდება—ულიტინებს) „სიყვარულის მომგონი“.. აბა, სიმამრო, გვერდი დამიმშვენე!

ყაფლან. (გვერდით მოუჯდება) აბა, ლეო, დაბძანდი—უცხო ხომ არა ხარ! მოდი, ზალიკო! (ზალიკო ხამას ამოუჯდება გვერდში. ლეო სუფრის ბოლოში—მელოს პირდაპირ. აჩქარებით ქამას შეუდგებიან, გარდა მელოსი და ლეოსი—მელო უნძრველად ზის, მხოლოდ ლეო ჩანვლით რალაცას სჯიჯვნის. ყაფლან თავს იმხიარულებს და მოუსვენრად ათვლიერებს ხან მელოს, ხან ლეოს. ზალიკოც პგრძნობს რალაცას)

ყაფლან. (ჩარქას ასწევს) სიძე-ბატონს გაუმარჯოს!..

სანდრო. არა, სიმამრო,—ერთად მოგვათავსე მე და მელი!

ყაფლან. ხა-ხა... ერთად, ერთად!..

სანდრო. არა, სადღევრძელო ერთად დალიე—როგორც მეფე პატარძლისა! ხა-ხა..

ყაფლან. ერიპა-პ! გაცვდი თქვენი მეფე-პატარძლობა! ხა-ხა..

სანდრო. ჰო, მაგრამ ორი თვის უნახავებს ისევ ისე გვიძგერს გული!.. ხა-ხა.. არა, მელუნჩიკ?

ყაფლან. მამ, მეფე-პატარძლის სადღევრძელო იყოს!.. (სევამს)



ხანდრო. Горько!.. (აუწყებს მელოს თავს და აკოცებს) ხა-ხა... თქვენ-კი არ დაგვლოცავთ, ბ. ექიმო?

ლეო. (უცებ დააჩქაფუნებს კიკიაზე ლეონოს. ბოროტად დამჩლოცნის) მეფე-პატარძალი! ამ მშვენიერი ღამის შუქმა ისე შეაწებოვოს თქვენი ბაგენი, რომ წზის სხივმაც ველარ გააღნოს! (გადაჰკრავს).

ხანდრო. უბ, შენი კირიმე!.. (წამობტება და ლეოსთან მივარდება) პროშტი! (დაიხრება ლეოს საკოცნელად)

ლეო. (ცივად მოიშორებს) მეფე, ტუჩები შეინახე!

ხანდრო. ვგეც მართალია.. (ისევ მელოს მიუჯდება) აბა, მელუნჩიკ! (თავს უწყებს) ერთი კარგი და! მეტი ლაპარაკი რა საჭიროა, ექიმო: დღერს იქით მე და შენ ძმობილები ვართ!

ლეო. (ღვარძლიანად) მაშ, მაშ.. (გაშმაგებით სკამს, რაც მოჰხვდება).

ყაფლან. (ხანდროს ლეოზე) როგორი ბიჭია?

ხანდრო. ვაჟ-კაცი ყოფილა, ვაჟ-კაცი! ღმერთმა აკოცხლოს ჩემი ახალი ძმობილი ლეო!.. შენთვისაც ვისურვებ ასეთ მშვენიერ ღამეს და... მელოს—არა, ამ მელოს-კი არა.. ხა-ხა... სხვა ამისთანას!..

ყაფლან. გაცოცხლოს ლეო! (სვამენ).

ხანდრო. ალავერდი შენთან, მელუნჩიკ!.. ეს სულ სხვა რამეზე ფიქრობს... ხა-ხა... იცი, მელუნჩიკ, მე და ლეო აქ დავიძინებთ—მთვარეზე, შენ იქ მარტო იყავ!.. (ყაფლანს და ლეოს თვალს უშვრება) შეუბლი შეიკრა—არ მოსწონს!.. ადგილი-კი გაქვს, სიზამრო?..

ყაფლან. ა ის ოთახი თქვენია და რაღა ადგილი გინდათ?

ხანდრო. აბა-პა-პა!.. მე და ლეო აქ დავწვებით,—რას იტყვი, მელუნჩიკ? (ულიტინებს).

(მელოს კენესა იმოხდება და იდგება)

ხანდრო. რა იყო, მელო?

ყაფლან. წადი, მელო, დაიძინე... ვერა ხარ კარგად.

ხანდრო. (იდგება) წავიდეთ, წავიდეთ..

(ყველანი ადგებიან)

ყაფლან. (შებლ შეკრული) გოგო, ააღაგე!

ხანდრო. (მელოს წელზე ხელს მოჰხვევს) ჰა, მელუნჩიკ, ეგენი არ იყოს!.. ეჭი-მებმა რა იციან ესეთი სენის მორჩენისა... ნახე, ხვალ როგორ იქნები!.. (მელოს ჩუმი შეუკავებელი ქვითინი აუტყდება) ვრიპა-ა!.. წამო, წამო!.. (გაჰყავს.)

(გოგო სუფრას ალაგებს. ყაფლანი პირ-მოღუშული ტორტმანობს—გავიდეს—არ გავიდეს! თან, ასე გონია, რაღაცის თქმა უნდა ლეოსთვის, რომელიც ზურგ-შექცეული დგას განზე. ზალიკომაც არ იცის—წავიდეს, არ წავიდეს!)

ყაფლან. (ზალიკოს ბურტყუნით) წადი შენც, რაღისა სდგებარ! (ზალიკო მიდის. თითონაც არ იცის, რა უნდა უთხრას) ლეო... (ლეომ ვითომ ვერც-კი გაიგო, ყაფლან ნერვიულად გაბრუნდება და გავა).



**ლეო.** (დიდბანსა დგას გაშტერებული; ჩუმად) გათავდა ზღაპრის ქვეყნადეს ოთახს, სადაც ეხლა მელიო და მისი ქმარია, მწვერულ-ვერღელებს და დინჯად კლდის პირას მივა. გამოჩნდება მელიო—დინჯად მისკენ მიდის. აივანზე გამოვა ახალუბა სანდრო)

**ხანდრო.** მელუნჩიკ, ნუ დაიგვიანებ, თორემ არ დამეძინება. (ისევ ოთახში შებრუნდება)

(სანდროს ხმაზე ლეო მოიხედავს და დაინახავს მელიოს. მელიო მიუახლოვდება და ხელებს მხრებზე დააღაგებს)

**მელიო.** (ჩუმად) შეძიბრაღე, ლეო!

**ლეო.** რით?

**მელიო.** ნუ ნიმატოვებ!

**ლეო.** მაშ წამოწყვე!

**მელიო.** შეუძლებელია, ჩემო ლეო!

**ლეო.** მაშ გამიშეი... მე მარტო წავალ!..

**მელიო.** (სასოწარკვეთილებით ხის ქვეშ საჯდომზე დაეშვება) რომ ვერ ავიტან!

**ლეო.** არც მე შემიძლიან ჩემი საყვარელი სხვას ვაჯიჯგვინო!

**მელიო.** შენ ვაჟ-კაცი ხარ, მე სუსტი ქალი—შეძიბრაღე! (მის წინ მუხლებზე დაეშვება)

**ლეო.** ნუ სჩადი მაგას—არ შემიძლიან! (აყენებს).

**მელიო.** (გამძინეარებული წამოდგება) შენ... შენ მზეცი ჰყოფილხარ!..

**ლეო.** სიყვარული მზეცია!..

**მელიო.** (სულს ველარ იბრუნებს) შენ... მეტიც ხარ!.. დაიმონე ჩემი სული და... მტოვებ!.. არა ვარ რკინისა, როგორც შენ... ქალი ვარ... შემიწდი!..

**ლეო.** არასდროს! (ენთება) შენის ფეხით მისდიხარ იმ გაღეშილ კაცთან! შენ მომიშხამე წარსულის მოგონებაც!.. (გააფთრებული) გასწი, გელის!.. (აჩქარებით მიდის).

**მელიო.** (დაედევნება) მოიცა, ნადირო...!

**ლეო.** (შედგება) მოიტა ხელი!

**მელიო.** (კენესის) შეუძლებელია!..

**ლეო.** მოშორდი!.. გასწი!.. ნუ აცდევინებ ქმარს!..

**მელიო.** (უღონოდ) მიშველე!..

**ლეო.** გასწი!

**მელიო.** (ანთებული) წავალ! მზეციო!..

(სანდროს ხმა ღია კარიდან: „მელუნჩიკ!“).

**ლეო.** გასწი—გეძახის!..

**მელიო.** (ატაკებული) მოვდივარ, სანდრო!.. (ლეოს) შენ... შენ... (ვერაფრის თქმას ვერ ახერხებს და გიჟივით გარბის).

**ლეო.** (უღონოდ აივანის სვეტს მიეყუდება. პაუზა) გათავდა!.. (ასე გონია, სვეტზე მიეძინაო. უცებ გამოელეოძება და სახე დაეპრანჭება) კოცნა!.. (გააფთრებული ფრჩხილებს ჩაუყრის სვეტს. უცებ მოშორდება სვეტს და ზევით იყურება) მე თქვენ დაგიფრთხობთ მყუდროებას, რომე...



ლიც მოგანიჭეთ! მოვთხრო ჯვარს და უფსკრულში ვტყორცნი! როს-  
კიპო! დეე, ცრუმორწმუნოებამ კვლავ იმსხვერპლად დასწრე-  
ლებული სული! (ენერგიულად მიდის კლდისკენ. როდესაც უკვე  
ჩადის, გოგოს გამოაქვს საფენი ასაბერტყად, — დაინახავს ჩამავალ  
ლეოს, შეჰკივლებს, მიიბრუნს კლდესთან და შეზარული შევარდება  
სახლში. სახლში ჩოჩქოლი შეიქნება; აქა-იქ სანთლით მიდი-მოდიან.  
გამოდის გულ-გადაღელილი და თმა-აბურწკნული ყაფლან და გოგო)

ყაფლან. აბა, სად?

გოგო. აი, აქ!.. (მიიყვანს, საიდანაც ლეო ჩავიდა).

(გამორბიან თმა-გაშლილი მელი, სანდრო და ზალიკო).

სანდრო. ვინ... სად ჩადის?!

ყაფლან. ლეო.. აი აქ კლდებზე..

(ყველანი შეშფოთებულნი მისცვივებიან კლდეს, მაგრამ შიშით  
უკან იხევენ).

სანდრო. რამ გააგიფა?!

ზალიკო. (ტირილით) ჩავარდება, მამა!..

ყაფლან. (ფრთხილად გადასძახებს) რას შერები, ლეო?!

მელო. (ხმა, სახე მშვიდი, სერიოზული, როგორც ქურუმს. ბრძანებლობის კი-  
ლოთი) ნუ ელაპარაკებით!.. (დინჯად მივა და ზედ კლდის პირას  
დადგება—მშვიდად)

ყაფლან.

სანდრო. } (შეზარულნი) რას შერები?!

ზალიკო. }

სანდრო. (წაეტიანება) წამოდი უკან!

მელო. (ესევე მშვიდად) მომეცა, თორემ გადავევარდები!

(მოეცლებიან და სულ-განაბლენი ძრწოლით შესქერიან. საიდანაც  
მორაცრაცებს მართა; ჩაჯდება აივნის წინ, თავს აქანავენს და ჩუ-  
მად ზმუნს.

უსებ მელო შეჰკივლებს: ისმის მონგრეული კლდის ხრიალი)

ყაფლან. ჩავარდა!

(ყველანი დაფაცურდებიან).

სანდრო. (ისევე მიიწევს მელოსკენ) მელო!..

(მელო არც-კი მოიხედავს და გადაეშეება უფსკრულში. კვლავ ისმის  
კლდის ვრიალი).

ყველანი. მელო!.. (გზა-აბნეულები დარბიან. გოგო პირველი გარბის სცენიდან;  
შემდეგ სანდრო და ზალიკოც — ყვირილით: „მელო გადავარდა..“)

ჩაფლან. (გაშტერებული დგას და თრთის. უფსკრულიდან მოისმის ქალის გა-  
ურკვეველი კვილი. ყაფლანს მთლად შეაზრიალებს, თმები ყალყზე  
უდგება) კლდე.. კლდე ზანზარებს!.. (უკან-უკან მირბის ველურად  
ხარხარებს. გარბის მარცხნივ და მისი შესაზარი ხარხარი შორიდან  
ისმის. მართა მშვიდად ზის და თავს აქანავენს).



## ლურჯი სურბ

—მოკვდა?..

—არა, ჯერ კიდევ სუნთქავს. მკერდი სისხლით აქვს შეღებილი და პერანგი წითელია..

ჭუჩა ხალხით გაივსო..

დუქნებიდან გარეთ გამოცვივდნენ. შესტკეოოდნენ ნაცნობ სახეს, გასისხლიანებულ თვალებით გამომტკირალს..

მას კი სისხლი ყელში აწვეებოდა, პირვიანდელი სიბრაზე არ შორდებოდა. ქული არ ეხურა, თავიდან გადაეარდნილი, ვიღაც ბავშმა გააჭანა სახლისაკენ.

დახეულ ხალათშიც ძლივს ეტეოდა..

—ფირუზ, რა ჰქენი? სასიკვდილოდ როგორ გაიმეტე ფირაღ?!  
—ძმური სიყვარული სად გაგიქრა, ფირუზ?

რსმოდა აჩოქოლებულ ხალხში, რომელთა უმეტესობაც ყარაჩოღღნი იყვნენ.

ფირუზ პასუხს არ აძლევდა.. ყვითლდებოდა წუთში ათჯერ და ათჯერვე სიწითლე უბრუნდებოდა...

—არ დაივიწყოთ, რომ კაცის მკვლელი ხართ!—

—ნე მოგყვებით...

—არ გაიფტროთ გაქცევა, სულ ერთია, დაგეწევათ ტყვია...

—არა, არა. —უპასუხა ფირუზამ და მილიციონერს წინ გაჰყვა...

.....  
—მოკვდა?..

—სუნთქავს... მაჯა სცემს, თუმცა თვალები დახუჭული აქვს...

ერთმანეთს გამოებზაურენ ბმები. ხალხს დაშლა ემძიმებოდა..

ლაუბობის ხასიათზე ბევრი დადგა.

აბობდნენ: ოჯახი შეურცხვინა, უმაწვილ-ვატობა დაუძრაბა, ძმური სიტყვა გასტება ლურჯი სურბის წინ...

—რათ ჩაასველა სისხლში ხანჯალი?..

—მე ვიცი რათ?.. მე ვიცი ეს ამბავი, პატარა რომანია ცხელი გულით აუტანელი...

ფირუსას თვალეზში რომ ჩაეხედე, მაშინვე ვიცანი მოქიეფე ტყილისე-  
ლის სახე. ის ახალგაზრდაა, მაგრამ არც ისეთი, რომ უღვანეზან შაქში ამოს-  
ვლოდეს.

გუშინ ქეიფობდა ანჩისხატის დღეობაში. ლურჯი სუფრა გაშალა ფირუ-  
ზამ და ღამე გაათენა ღვინისფერი, ღვინოსთან ერთად.

რომანი დაიწყო გათენებისას. მტრედისფერი ცა იხსნებოდა დილის დუგ-  
მებზე. მოდიოდა ხალხი. გალაფანში ტევა არ იყო... ეზოში ხალიჩები და  
ჩარდახები იყო გაშლილი. მეზურნე მართავდა ზურნას. ხეებზე ჩანგლები და-  
მაგრეს, ახლად დაკლულ ცხვრების ჩამოსაკიდად.

აი, არღნის ხმაც უახლოვდება გელესიას.

ვილაცა ცხვარს აბღავლებს..

—გიგო, გიგო!..

—ჰაუ, ჰაუ...—და ხმები იქვე მისწყდა..

—ვანო, —აღვიძებენ ერთს, —ფირუზა გამოვა ცოლით, მუთაქებზე მოასვე-  
ნე. ხალიჩები ხომ განლილია?..

ხმაური თანდათან მატულობს..

ღვეინმა მოაგრილა ეტლი. ჩამოხტა. შევიდა ეზოში და დაიწყო ძებნა.  
დაპატივებულია.. უბიდან პაპიროსი ამოიღო, უკიდებს მწვადისთვის გაჩაღე-  
ბულ ცეცხლზე..

ცისურად შედებილ კედლებიან ოთახიდან ახალგაზრდა თმა-გაწეწილი  
ქალი იცქირება, —ნამძინარეგია და თვალებს იფშენეტს... ლამაზია, მაგრამ  
თმები რომ დაილაგოს, უფრო ლამაზი იქნება.. ეს თვითონაც იცის. მტკვრით  
ჩამოტანილი საღი ჰაერი ეცემა ფანჯრებს..

გაუტეხავი თვალები ბუნდოვანად იცქირება.

ერკვევა ქალი და ვაჟს რომ დაინახავს, ყურძნის მტვეანივით თავს დახ-  
რის, თეთრ გულისპირს დამწიფებულ მკერდში ჩაიკრავს...

აქ რომანის დასაწყისია და რომანი აქვე თავდება..

ეხლა იწყება არღნის ხმის გაშლა. ის გალაფანში შემოგოგდა და ეზო გა-  
მოაცოცხლა. თან ლოთები შემოპყვენ. გულგადაღული ახალუხებიდან ბალნია-  
ნი მკერდები მოსჩანს..

სიძღვრები ხრიალებენ ღვინით გაელენთილ ყელში. წითელ ბაღდადებით  
ბაღდადურს უვლიან გზა-და-გზა.

დროს ატარებენ, თუმცა დრო თავისთავად მიდის..

არღანმა დაიპყრო გალაფანი და ვილაც ქალმა საკუთარ გულის გასართო-  
ბად დაირახე დაკერა რომ სცადა, მაშინვე შიატოვა.

დაირას თავის დრო აქვს. სულსწრაფობა ღალატია ცხოვრების კალაპო-  
ტის. ეს თვითონაც იცის, მაგრამ სურვილის ასრულებას მაინც შეეცადა.

ალაგ-ალაგ ააშიშხინეს წვადები .

სამრეკლოზე ზარები დაირეკა.

პირველმა სხივებმა ფერად შუშებიდან ააელვარეს ქალები.

თეთრ თმებით და თეთრ უღვაშებით გამომცქირალი სახეები უსმენ-



დენ მოძღვარის ქადაგებას. უსმენდენ, მაგრამ არაფერი არ  
 რომ მათი საკმე არ იყო შინაარსში ჩაწედომა.

ესმოდუნენ უფრო  
 გიგანტური

დარდიმანდი ბიკები ხმამალა მასლაათობენ. ხარებს კისერს უგრეხავენ.  
 ერთმანეთს ღონეში ეჯიბრებიან..

— ჩუღურეთლები მოვიდნენ?..

— აგერ,— გაიშვირეს ხელი ეზოს კუთხისაკენ,— პატარა მთაწმინდელიც  
 იმათშია..

— ის ვილაა?..

— ლევანი..

— რომელი?..

— შავი გალიბანდი რომ ახურავს, მერცხლის ფრთასავით გადმოწვენილ  
 ქოჩორზე.. ლამაზია, ჰკვიანიც.

— პატარა მთაწმინდელის ამხანაგია?..

— ალბათ..

— დაარტყავ?— ეკითხებიან ჭიტესას..

— ვეცდები..

— არ გირჩევ. მაგან კვირაცხოვლობას სცემა ვერელ შაშოს.

— მერე რა?..

— მერე ისა, რომ არც ერთი კბილი აღარ შეგრჩება..

წირვა გამოვიდა..

ახალგაზრდებს გულესიაში ცხვირი არც კი შეუყვიათ.. მათ ეხარებათ სი-  
 ლეზე და ბუტბუტი. მოდიან უფრო საარშეოდ ვიდრე სალოცავად..

.....  
 ეს რომანი არ გეგონოთ:—

ქალს ფეხზე წითელი ქალამნები აცვია და ნელა ადგავს ნაბიჯებს კიბეებზე.  
 ტანი ერხევა წერწეტა და მსუბუქი.

თმა დაეარცხნილი და გადაშლილი, და თანაც შავი, წელანდელზე უფ-  
 რო უხდება..

— ფირუზ, სუფრა გავშალოთ— ხომ ხედავ, მოთმინება აღარ არის..

ფირუზა ბურანშია, არ ესმის. მაგრამ ფირუზას ესმოდა ქალის ფე-  
 ხის ხმა, კიბეებზე რომ ჩამოდიოდა..

— ფირუზ, გავშალოთ სუფრა..

— გავშალოთ, მაშ! გავშალოთ.— უპასუხა მან და ტუჩები ღიმილით  
 აივსო.

ქალს მიეგება.

ქალი მისი ცოლი იყო.

— აი, ხომ ხედავთ, რა ლურჯია სუფრა, ლურჯია სიცოცხლეც და სუფ-  
 რაც სიცოცხლის ფერისაა.— წარმოსთქვა ფირუზამ და თამადის ადგილას ჩა-  
 მოჯდა..

დატრიალდა ხელადები და მამაკაპური ყანწები..

ზურნა წამდაუწუმ ტუშს უკრავს..



თამადის ძარღვიანი ხელები მოჭედიფებს აწვდის ყანწებს და აწეცებს ნამუსს და ვაჟაკობას, რომ ილავერდის მიმღები დასცდეს: ნახედეუ ხე-ლადიანს..

— სიმღერები, სიმღერები ბედზე და არსებობაზე.

— მეზურნე, დაჰკარი, დაჰკარი, სუფრის სულის ჩამდგმელო!

და ზურნაც მართლა უკრავდა.

მოჭედიფეთა ნიწილი გულში ღიღინებდა უკვე დამსახურებულ სიმღერას..

«ახ მეზურნე, დაჰკა, დაჰკა,

შენი ჭირიმე!

გამაგონე ეგ სვედის ხმა,

შენ გენაცვალე“..

და საერთო მზიარულებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა ქალ-ვაჟთა ერთ-მანეთის შექება და არშიყი.

ლევანი კი უცქერდა წელან თმა გაწეწილს, მაგრამ ეხლა უკვე თმა და-ვარცხნილ ქალს, რომლის სახელიც ძლიერ ხშირად გაისმოდა ჰაერში:

— ოლარა, შესეით ღვინო..

— ოლარა, თქვენი სადღეგრძელო იყვეს...

— ოლარა, გადაჰხედეთ თქვენს ქმარს ფიროუზას, ნახევარ ხელადიანი გამოსცალა.

ოლარა კი ყველას ღიმილს სთავაზობდა. ყველას სიამოვნებით გადასცქე-როდა..

— ერთი სიტყვა ამოიღეთ, ოლარა, ერთი სიტყვა! აი, ეს ძღვენი თქვენ-ხომ ხედავთ რა ლამაზად მოვჭარგე მწვანელით პატარა თევში.—წიელაპარაკა ლევანი და მიაწოდა თეფშზე დალაგებული ხილეულობა, მოვარაყებული ბოლო-კით და ხახვით, რომლის შუაშიც გამოხატული იყო ისარ-ნასობი გული.

ოლარამ ძღვენი მიიღო. ოღნავ გაიციანა. ცალი წარბი მალღა ასწია და გადაჰხედა ლევანს.

არ ვიცი, რა იგრძნო ლევანმა. ჩაღუნა თავი და დააცქერდა ჩამჭრალ პაპიროსს.

ფიროუზა კი ითვრებოდა; ქეიფობდა ლურჯ სუფრაზე, ლურჯი სიცო-ცხლისათვის..

— მეგობრის მოლალატეს ხანჯალი მკერდში!. ყველა მეგობრებს—სიცო-ცხლე და გამარჯვება!..

— მრავალჯამიერ... გამარჯვება...—გაისმა არეული ხმები და შესვეს სადღეგრძელო უკანასკნელ წვეთამდე.

— გიჟო!

— ჰაჯან!

— შენი ყოჩი შენსავით მთვრალია.

— მე მუღამ ფხიზელი ვარ. ყოჩსაც ეხლავე დაგანახებ.

ყოჩი ბარბაცით მოხსნეს. შუა მოედანზე გამოაგდეს.



ფირუზამაც თურქულა გამოიყვანა. მშვიდათ იგრეხდა და დას-  
ცქეროდა თავის თეთრ პერანგს, უკვე კახურის ფერად შეტყუარდა და  
ყოჩის ხელი წაჰკრეს და ყოჩი გამოქანდა. შეიღჯურ გადაგრეხილ რქებით  
დაეჯახა თურქულას.

თურქულამ უკან დაიხია.

ყოჩი მეორედ გამოქანდა, კვლავ დაეტაკა. რქები იღეწება.

თურქულა მარცხდება.

გიგო იცინის, უხარია. ყოჩის საყელოს ხელეღში ათამაშებს,

თურქულა გაცხარდა.

დაიწია უკან. გამოქანდა. ეძგერა გამეტებით.

ყოჩი წაიქცა. თურქულამ კვლავ უკან დაიწია.

გიგო პირდაღებულად უცქერის. სანაძლეოს ფერი ეცვლება, ვინ იცის,  
ვინ მოიგებს საესე ხელადებს.

თურქულა გამოქანდა. ყოჩი გაიქცა.

.....  
ზადიშს ვიხდი, მკითხველო, უნდა ვითხრათ, რომ რომანი თავისუფლად  
გრძელდება.

ფირუზა ყოჩების ბრძოლამ დაისაკუთრა. ლევანი და ოლარა კი ლურჯ  
სუფრასთან მარტონი სხედან. მე ვიცი, რომ ისინი ჩუმად არ არიან, მხოლოდ  
ის კი არ ვიცი, რას ლაპარაკობენ...

.....  
— წაავო, წაავო!..—ზოგი ყვირის, ზოგი ჩურჩულებს...

გიგო ვაფითრდა, მის ყოჩს ხუთი ანჩისხატობა მოუგია და ეხლა კი  
აგებს.

— მარილი მოიტათ!—ყვირის გიგო და ყოჩს მარილი აალოკინეს.

ძალით გამოავადეს მოედანზე—დამფრთხალი და შეშინებული.

თურქულა კი მოუთმენლად ელოდება. რქები ეფხანება. რეტანივით  
ეძებს ყოჩს.

ფირუზას უხარია და იცინის.

— გიგო, სულ ერთია წაავო, ერთი დარტყმის შემდეგ ფეხზე ვეღარ და-  
დგება.

თურქულა ერთზელ კიდევ დაეჯახა და წააქცია კიდევ. გიგო საცოდავით  
უყურებს ცხვირს, რომელიც თუმანიც აღარ ღირს, შარშან ოც თუმანს აძლე-  
ვდენ.

— კიდევ მარილი!

ყოჩი წამოდგა. გასწორდა. თურქულა გაშტერდა. მას ალბათ ეგონა,  
საქმე დამთავრებულიაო.

გიგოს თვალეზზე კრემლი მოერია, მოგება ფირუზას მხარეზეა.

მაგრამ მოულოდნელად გიგოს ყოჩი შებტა ადგილზე. დაიწია უკან, ისა-  
რივით გაიმართა და ერთ ნახტომზე—ორი დარტყმა. მეორე ნახტომზედაც კი-  
დევ ორი დარტყმა... კიდევ, კიდევ... ყოჩი გახელდა.

თურქულა მიწაზე ძალღივით გორაობს...

— გააშველეთ, გააშველეთ! გიგამ მოიგო, მოიგო გიგამი, ფირუზაც ფიქრობდა, რომ წააგო, და უკვე გამოუხიზლებულა, ირგვლივ მიმოიხიხედა. ბურანში გახვეული გამოერკვა.

უნდოდა თითი მოეკაკეა, მაგრამ

— შეპყვირა...

ლურჯ სუფრასთან თვალები ლაპარაკობდენ...

— ოლარ! ლევან, შენ?!

.....  
მეგონა, ზევით გათავდებოდა რონანი, მაგრამ აქაც არ თავდება.

.....  
ლევანი წელში გაიმართა.

ფირუზამ დანა იძრო. ფიქრობდა: ყმაწვილ ვაეობა შემიღაბა. მეგობრული სიტყვა გასტეხა ლურჯი სუფრის წინ და დანას მიაქანებდა.

პატარა მთაწმინდელმა მაჯაში ხელი სტაცა, მკლავი გადმოუგრიხა. ცივი ცისფერი თვალებით ჩააწეტერდა სახეში.

დანა დაეარდა...

ქიტესა გადმოხტა. მთაწმინდელს მხარში ხელი ჩამოჰკრა...

— ეე, ხელი უშვი, ტყუილად ვაეკაცობ. ლევანი ღირსია დანის...

— ქიტეს, მიფრთხილდი! ხომ მიცნობ?

მთაწმინდელს მუშტი მოხვდა. გაბრაზდა, მისი მუშტიც ელვის სისწრაფით აიზიდა მალა და დაჰფარა ქიტესას სახე...

ქიტესა წაიქცა. მისი მეგობარი გადმოხტა. ისიც წაიქცა, ეცა მთელი გგუფი. დაარტყეს. მათთვის ესეც ლენით საესე ფილაა. ესეც ათრობს და აგდებს თავდავიწყებაში.

რამოდენიმე წუთში მთელი გალავანი წამოიშალა. ზურნის ხმა შესწყდა და ფირუზას კი ძლივს იმაგრებდა რამდენიმე ვატი.

— სიყმე მომიკედეს თუ ცოცხალი დავტოვო, სიყმე! ჰყვიროდა ფირუზა და ალესილ თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა.

ლევანი კი აღარა სჩანდა...

.....  
მეორე დღეს კი ლევანი პირისპირ შეხვდა. მზათ იყო მტერს გამკლავებოდა. გაღიბანდი წამწამებამდე ჩამოიწია და წამწამებიდანვე ახედა ფირუზას.

— აბა, რას იტყვი, ლევან, თავი გაიმართლე.

— მე შეიყვარს!

— ლევან, თავი გაიმართლე, სიბრაზე მახრჩობს...

— დავახრჩოს, მერე რა?..

ფირუზას ქუდი გადაუფარდა. ხალათში ჩაქიდულმა ხელმა საკინძე ჩამოსწყვიტა, მხარიც ჩამოახია.

მალღიდან დანა დაეშვა უმზეოდაც რომ კრიალებდა. მაჯამ ერთხელ



შემოატრიალა სხვის მკერდში ალესილი პირი. ერთი კენესით, **ჭიქულზე ჭაყვი-  
გინგაჩინოვება**  
ლი ლევანი დაფარდა.

— გაიტეცი! ეუბნებიან ამხანაგები ფირუზას.

— რათ უნდა გავიქცე? მე ქურდულად არ დამირტყია...

მილიციონერი მოვიდა.

— დანა გადმომეცი!— შეჰყვირა მრისხანედ...

— დანა მკერდში დაუტოვე.

ქუჩა ხალხით გაივსო. დუქნებიდან გარეთ გამოოცვივდნენ, შესცქეროდნენ ნაცნობ სახეს— გასისხლიანებულ თვალებით გამომცქირაღს...

მას კი სისხლი ყელში აწვეებოდა, პირვანდელი სიბრაზე არ შორდებოდა.

ქუდი არ ებურა, თავიდან გადაეარდნელი, ვიღაცა ბავშმა გააქანა სახლისაკენ. დახეულ ხალათშიც ძლივს ეტეოდა...

— ფირუზ, რა ჰქენი... სასიკვდილოდ როგორ გაიმეტე ფირალ?..

— ძმური სიყვარული სად გავიქრა, ფირუზ?— ისმოდა აჩოქოლებულ ხალხში, სადაც უმეტესად ყარაჩოღელნი იყვნენ. ფირუზა პასუხს არ აძლევდა. ყვითლდებოდა წითში ათჯერ და ათჯერვე სიწითლე უბრუნდებოდა.

— არ დაიფიწყოთ, რომ კაცის მკვლეელი ხართ.

— მე მოგყვებით...

— არ გაიფიქროთ გატყევა! სულ ერთია, დაგეწევით ტყვია...

— არა, არა...

უპასუხა ფირუზამ და მილიციონერს წინ გაჰყვა...

.....  
იმავე დღეს საავადმყოფოში ექიმი კრილობას სინჯავდა და იგივე ექიმი ფიქრობდა, რომ ლევანი გულში მეორედ იყო დაქრილი.

პირველად— სიყვარულით, და მეორედ კი— დანით, მაგრამ ვერც ერთმა კი სასიკვდილოთ ვერ გაიმეტა.



# ს ა მ ნ ი

## რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი მესამე.

ვაგრძელება\*)

### I

გაურკვეველი სულიერი მდგომარეობა მეფობდა: მთელი ერი ნერვებად გადაქცეულიყო და მოუსვენრად ბორბავდა. უმნიშვნელო ცვლილებაც კი ძირიანად აფორიაქებდა მისს სულსა და გულს.

არ იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც თვალები ჭიშკრისაკენ არ სკერიყო და ვინმე მომსვლელის დანახვაზე სულისთქმა არ შეჩერებოდა: ყოველი ადამიანი ომას ამბების მომტანად ელანდებოდათ და გაქვავებულნი შეჩერდებოდნენ საშინელი ამბავის მოლოდინში.

ზოგს შეიღის ბედი უღრღინდა სულს, ზოგს ძმის, ზოგს კმრისა და ზოგს კიდევ მეგობრის. არ მოიძებნებოდა თუნდაც ერთი ოჯახი, რომელსაც ვინმე ახლობელი და გულსაწვაფი არ ჰყოლოდა ბრძოლის ველზე. ვინ იქნებოდა ისეთი ბედნიერი! ბევრი დედა უკვე შავებში დადიოდა და გულ-ადრღლებული ცასა და მიწას შესტიროდა:

— მითხარით ღვთის გულისათვის, ჩემს შეიღს დამარბავდენ, თუ ყვაე-ყორნის კერძად დააგდებდენ მინდორში თვალების ამოსაკორტნადო.

ბევრი უღროოდ დაიბლებული ბავში უნუგეზოდ აცქერდებოდა ატირებულ დედას და ცრემლებს აფრქვევდა. ბევრიც საშინელი ამბის მოლოდინში ანგარიშ-მიუტყემლად თრთოდა და მუდამ შიშით იყო შეპყრობილი.

რისთვის? რათა?

ქვეყანა გულ აჩუყებული იყო და განა მას შეეძლო თავი შეემაგრებია? ეგები ხვალ მასაც საშინელი ამბავი მოუტანოს შავბედითმა წერილმა!

ერთის მხრივ რომ ყველა მოელოდა მისს მიღებას, მეორეს მხრივ საშინელება იყო მისი გახსნა და წაკითხვა.

ცოცხალია თუ მკვდარი ძვირფასი არსება! დაჭრილია თუ ჯანსაღად არის? სად იმყოფება—მოწინავე პოზიციებზე თუ უკან? უგზო-უკვლოდ ხომ არ დაკარგულა? რომელ ფრონტზეა?

ვინ იცის რამდენი ასეთი საკითხი აღიძროდა წერილის მიმღების გულში, საშინელი თრთოლვა და შიში იყო: თითოეული ადამიანი თავისი თავის გარშემო ტრიალებდა და საკუთარ პიროვნებაზე ფიქრობდა.

ზეცა საშინლად გრიალებს. ყოველ წუთს ცის კაბადონში ცეცხლის გველი დაიკლავნება. არე მარე ხანზარებს. მთა და ბარი ერთიანად ირყევა.

— უუუ... უუუ.—გრუხუნებს არე-მარე.

\*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 4 (24).





კიდევ წუთი და, ვინ იცის სად გავარდება მეზი? ვის გააპობს, ვის დააქვესკენელბს? თავზარდაცემული ადამიანები გაშლილ მინდორში დასხმულად ვარბიან, შეშლილებივით ეხეთქებიან ერთმანეთს და შხად არიან თუნდაც დედა მიწაში შთაინთქან—ოღონდ კი თავი დააღწიონ ამ საშინ ელვებას.

ასეთი იყო ომის ამბებით გაბრუებული ხალხის მდგომარეობა.

აგრუბუნებულმა ბრძოლის ველმა ყოველგვარ ზღაპარს გადააჭარბა: ერთის აბაპურებით გააბათილა უკიდურესად მონავარდე ფანტაზიის კაპრიზიც კი და სინამდვილე ისეთ ზღაპრად აქცია, რომლის მსგავსი თვით ინდოელის გიგურ ოცნებასაც კი არ შეუქმნია.

გემების წყლის ქვეშ სრიალი. ვეებერთელა ხომალდების ჩიტის ბულულივით ჰაერში ბორბალი, ადამიანის მიერ გამოწვეული ღრუბელი და ქექა-ქუხილი, ზარბაზნის საშინელი ტყვიებით ამოვლევლი ვეებერთელა ორმოები... ყუმბარების სეტყვა... ოტლანტიკეში ჩაბირული „ანდალუზია“... შავი ზღვის ყაჩაღები: „გებენი“... „ბრესლაუ“... მილიონიანი ჯარების დაჯახება... მთელი ერების მოსპობა და გაანადგობა... გადალცელი სერბია. თავგაუგუყილი ბელგია... გაჯეკული პოლონეთი... დარდანელის ზანზარი... კარპატები... ვერდენი...

და ყოველივე ეს უცებ, ელვის სისწრაფით იცვლება. ჯალათურის შეუბრალებლობით მიქრის...

ერთი საშინელება ვერ მოგისაზრავს და მეორეს იგებ... ერთ ამბავს რომ აკვირდები მეორეს უფრო საკვირველს ტყობილობ. არ იცი რომელზე შეჩერდე რომელია უფრო მნიშვნელოვანი. თითო, ცახცახებ, ერთ წუთში ასე ასკენი, მეორე წუთში ისე. ბორძიკობ, ქანაობ...

წელანდელი აზრი უკვე დაძველდა... ერთი წუთის ქეშმარიტება უკვე გამტყუნდა. ქანაობს ნიადაგი, ზანზარებს საყრდნობი.

ესტორიის ბორბლის საშინლად აგრუბუნებამ ერთიანად გააყრუა ვრი და მთელ მის არსებაში მიუწვედომელი ქაოსი გაამეფა. რა ხდება? რისთვის ხდება? ვის სასარგებლოდ? ვის დასაზიანოდ? ვინ ამოაგდო ეს ქვეყნის დამანგრეველი გრიგალი? როდის ჩადგება იგი? ვინ შესძლებს მის შეჩერებას?

ყველა ეს საკითხი უპასუხოდ რჩება, გაბრუებულ ადამიანს ის-ღა დარჩენია რომ თავი ჩაქინდროს და აცეცხლებულის თვლებით ბნელით მოკულ მომავალს ელოდოს.

საშინელი სიძვირე... საარსებო ლტემის ყოველ წუთს ხელიდან გაგდების შიში, ბორგვა. ცახცახი ვახეთების ათასნაირი ამბები: ზოგი კარგი, ზოგი ცუდი. ერთმანეთის საწინააღმდეგო, ერთი მეორეზე უფრო საკვირველი და თავზარდამცემი.

ვინ რას ამბობს, ვინ რან?

ხან დახავებაზე ლაპარაკი, ხანაც ომის ცეცხლის საშინლად გამძაფრება... დღეს იმედი და ვადარჩენის ვათვალისწინება, ხვალ უძირო სასოწარკვეთა და შავბედითი მომავლის წარმოდგენა...

ხან უსაზღვრო პატრიოტული ალტყინება და ტაშის ცემით მხოლოდ გამარჯვებისა და გამარჯვების ყვირილი... ხანაც მხოლოდ დამარცხებაზე ფიქრი,

მისი ნატვრა, ოღონდ კი ბოლო მოეღოს ამ უბედურებას! ოღონდ კი... ესევე დაეწყინარდეთ და ძველ კალაპოტში ჩაედგეთ; დაგვიბრუნდეს, მამა, მეგობარი.

ვინ გაარკვევს—ვის რა უნდა, ვინ რას ფიქრობს?

ვის ნახავთ ისეთს, რომ დღეში ასჯერ აზრს არ იცვლიდეს: ამ წუთს რომ ერთი ფრონტის ბედის მიხედვით ითვალისწინებს მომავალს, მეორე წუთს დეპეშის ნაგლეჯი, სულ ორსტრიტონიანი ფარატიანი ისეთ ამბავს მოგიტანს, რომ სიმძიმის ცენტრი თავისკენ მიაჭეს და შენც სხვანაირად მსჯელობ.

სად გადაწყდება ომის ბედი: ვარშავასთან, თუ სტამბოლთან, ვერდენთან თუ გერმანულ ზღვაში? ვის გენიოსობაზე ჰკიდია მსოფლიოს ამა თუ იმ გზით წასვლა? ვისი ხმალი იქნება კაცობრიობის წინამძღოლი: ჰინდენბურგის თუ ფოშის?

აირია ყოველგვარი ცნება: არ იცი რას დაარქვა სიკეთე რას უწოდო ბოროტი! ვინ დაჰგმო, ვინ მოიწონო!

ყველაფერი ინგრევა, ყველაფერი იღუნება... სიკვდილი და სიცოცხლე, ალტაცება და გოდება, სიკრუე და სიმართლე... ყოველივე ერთმანეთში გაილეხა.

ამ საშინელი ყოფისა და ცნებათა არევის დროს ელვის სისწრაფით გავრცელდა:

— ნიკოლოზ ხელმწიფე ტახტიდან ჩამოაგდესო...

მეზივით გაეგრძინა ამბავმა განსაკუთრებით სოფელი ააჩუჩულა და ყურები აცქვეტია.

დაჩლუნგებულ და გრძობელობა მოდუნებულ ნერვებისათვის მეფის ტახტის დამხობა ახალი ელფერის მოვლენა იყო, ომის ფაქტებს არ ჰგავდა და ამიტომაც აზრთა სიციხოვლე გამოიწვია.

ბევრი ეჭვის თვალთ შეხვდა ამ ამბავს, — ასეთი გაჭირვების დროს „ოჯახის მამას და პატრონს ვინ აუჯანყდებოდაო,“ მაგრამ როცა კიდევ მოიტანეს გაზეთებმა ამბავი და თანაც სოფლად დარჩენილი თითო-ოროლა ინტელიგენტიც ამოძრავდა, — მაშინ კი დაიჯერეს ყოველივე...

და... ფრთა გაშალა უსახლგრო სიხარულმა.

— მაშ ომიც დასრულდება, ჩვენი შეილებიც დაბრუნდებიან... მოვა მამა... მოვა ოჯახის პატრონი... მომივა ძმა, სატრფო, მეგობარი... გაისმის ირგვლივ. ნიკოლოზ მეფის ძირს ჩამოგდება ჩვენმა ხალხმა ისე გაიგო, როგორც ომის დასრულება, სულ ერთია რა პირობებშიც არ უნდა მომხდარიყო იგი.

— გვეშველა!.. სულს მოვითქვამთ... ყველაფერი ძველებურად გაეფდება: პური, ფართალი, სასმელი, საჭმელი... სპეკულიანტებს დედა ეტირებათ... — ვაჩვენებთ შავათ!.. და დაიწყო მიტინგები, კრებები... დროშების ფრიალი, მკერმეტყველებიან ჭუბული... შთავრობის აგენტების გადაყენება, ახლების არჩევა.

სოფლად ბევრი იყო ისეთი გლეხი თუ ინტელიგენტი პირიც, რომელთაც კარგად ახსოვდათ ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია, ისინი მყისვე სოფელში ჩადგნენ და მსწრაფლად გაჩაღდა ის ცეცხლი, რომელიც ჩაფერფლილი იყო



პირველი რევოლუციის შემდეგ. საკმაო იყო მხოლოდ ერთი სკოლის შეტერვა, მხოლოდ ერთხელ კაეზე კვესის ჩამოკერა და ცეცხლიც სწრაფად აკენდა.

უმალ გაერკვიენ შექნილ მდგომარეობაში, მსწრაფლ აფრიალდენ დრო-შებში, ენას შეატყუდა დაეანგებული ბოქლოში და ნელი-ნელ ინთხევა საუქუნეთა განმავლობაში დაეკუბებული ბოღმა და უსაზღვრო სიძულვილი—წყვეა, კოულვა, აღფროთოვანება, ალტაცება!..

— ზურგი ვაააქციოთ ძველ ადაათ წესიეებს, შემოვიინბერტყოთ ფებთა-გან მტერიიი, — სიხარულით აღმოხდა დაგლოვებულ სოფელს.

— ჩვენ მხარი მიეცეთ ჩვენს ტანჯულ მოძმეებს, მშიერ ხალხს ხელიიი ჩვენ გავუწოდოოოთ...

II.

შალვა ღრუბელიანის მშობლების ყურებამდეც მიიღწია მეფის ჩამოგდების ამბავმა. მაგრამ ისინი მხოლოდ ისმენდენ სხეებისათვის სასიამოვნო ამბავს, ხოლო მათ სულსა და გულს არაფერი სწევდებოდა: გულჩათხრობილნი მისჩერებოდენ საერთო ჟრიაშულს და ისედაც ბეჩავნი კიდევ უფრო ბეჩავად გრძნობდენ თავს.

უკიდურესმა სიღარიბემ და განუზომელმა სევდამ ერთიანად დაასაწყლოა და დააჩაჩანაყა ისინი. წლიდან-წლამდე დარდით აღსავსე გულის ტარებამ განხორციელებულ მწუხარებად აქცია ისინი და ცრემლ-ამომშრალებს ყოველგვარი იმედი გადაუწურათ. „ქვეყანა ხარობს, მერე ჩვენ რა“ უსიტყვოდ ამბობდა მათი არსების ყოველი ნაკეთი. „სიხარული ჩვენთვის არც ყოფილა და არც იქნება“.

შალვას დედა, ბარბარე, მოხუცდა და წელში მოიხარა. პირმშოს დაკარგვამ და გაუბედურებამ ყოველივე ამ ქვეყნიური შეაძულა, გული დაუწყალულა და ხორც-შესხმული სევდის სახე მიანიჭა.

არ იყო დღე, არ იყო წამი, რომ ბარბარეს თავისი შალვა არ მოეგონებია, — საყვარელი შვილი, რომელიც ასე გააუბედურეს და, რომელსაც გვირგვინოსანმა ცოლმაც კი უღალატა.

შალვას მამაც ერთიანად გატყუდა წელში და გათეთრებული თმა წვერში ჩაფლულ შუბლს ნაოკთა ნაკეცებს ვერ იშორებდა. მის სახეზე ერთი გალიმე-ბაც არავის უნახავს. ის მხოლოდ ღმერთის ლოკულობდა და მწარედ ხენწოდა, როცა შალვას კატორღა მიუსაჯეს, შალვას მამამ რამდენჯერმე უსაყვედურა ცოლს: შენი დათინება იყო შალვას სწავლაში მიცემა, თორემ ჩემთვის რო დაგეჯერებია, დღეს ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდი; ჩენი შვილი ჩვენ ისე უნდა გამოგვეზარდა, როგორც ჩვენ შეგვეფერებოდა, ჩენსავით საწყლებს, ჩენსავით ღარიბებს გვესწავლებინა — რაიმე ხელობა, თუნდაც ხარაზობა, მჭედლობა და სიბერის დროს პურს გვაჭმევდაო.

მაგრამ რაკი დაინახა, რომ ეს სამღურავი ტყვიასავით ხვდებოდა ისედაც მოშხამულ თანამგზავრს, გადასწყვიტა სამუდამოდ შეეწყვიტა ასეთი ლაპარაკი და თავისი ბოღმა საკუთარ მწუხარებაში ჩაებრჩო, ასეთნაირად დაბეჩავებუ-



ლებმა და სევდით წელში გალუნულ ცოლ-ქმარმა გულგრილად მხარს მეფის ტახტის დამხობის ამბავი!

მაგრამ რამდენიმე დღის მერე გაიგონეს, რომ ნიკოლოზის ჩამოგდების შემდეგ ციხის კარები გაიღო და შალვასთანა დამნაშავენი გაანთავისუფლესო. ეს ამბავი მიტინგზე დამსწრე მეზობლებმა მოიტანეს. ამასაც გულგრილად შეხედენ მოხუცი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ ჩაბნელებულ გულელებშიც იმედის ციციანთელები გაჩნდნენ: დაეინებოთ ეუბნებოდნენ, ეს უსათუოდ ასე იქნებაო.

ქმარზე ადრე ბარბარეს არსებაში იფეთქა იმედის ნაპერწკალმა: მას მუდამ სწამდა, რომ სიმართლე მისკენ იყო და ერთხელაც არის ბედი გაუღივებდა. ბევრხელ მოტყუვდა ანგარიშში, მაგრამ მისი გული მაინც იმედით სცემდა და ყოველთვის რაღაც სასწაულს მოელოდა: ვინ იცის, ეგების არ გამწიროს ბედმაო.

ტუსალების განთავისუფლების ამბავი თანდათან იმონებდა მის არსებას და უცებ, ელვის სისწრაფით განხორციელებულ იმედათ აქცია.

ვინ იცის?! აკი ცხოვრებაში ბევრი რამ მოულოდნელი ხდება! ეს მშვენივრად იცის ბარბარემ.

და ეს მოხუცი ძელები, დარდით გატეხილი და სევდით დაქმული ადამიანი, — თითქოს ვახალგაზრდავდა, თითქოს ხელ ახლად იშეაო: ერთიანად ატორტმანდა, ვახალისდა და ბებერი ფრთები აიბერტყა, თითქოს გაუჩინებოდა...

— ვითომ დავიჯეროთ, დედაკაცო? ხომ არ გვატყვილებენ?

— დავიჯეროთ. დავიჯეროთ! აკი მუდამ გეუბნებოდი — როცა იქნება ჩვენი სიმარადლე გამოჩნდება და შალიყო დაგვიბრუნდებათქო! გრწამდეს, მოახლოვდა ეს დრო...

ბარბარეს მეტის თქმა არ შეეძლო. ცრემლების ამოშრობასთან ერთად სალაპარაკო სიტყვებიც შეუმცირდა, მისი გონებრივი შემოქმედებაც დაიშრიტა. მეტი სიტყვა არ მოსდიოდა ენაზე, მხოლოდ „ღმერთო, ღმერთო“-ს ძ.ხილში აქსოვდა თავის ვედრებას და ბოღმას, თხოვნას და მუდარებას.

შალვას მშობლებმა უკვე სარწმუნოთ გაიგეს, რომ მათი შვილი განთავისუფლებული იქნება, ვინაიდან ვაზეთებში სწერია: ყველა პოლიტიკურად დასჯილები თავისუფალნი არიანო.

ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ მათი შვილიც თავისუფალი იქნება, თუ... თუ...

ჰოი, საშინელება... თუ სული უდგას და ცოცხალია!

უკვე დიდი ხანია მისგან არაფერი იციან... ვაი, თუ უკვე ჩაკვდა რომელიმე ციხის ჯურღმულეებში.

ეს საშინელი ფიქრი მოხუცებს წამოეჭრათ მოულოდნელად და ასაფრინად გამზადებულ იმედებს ღამის ფრთები შეეკვეცა.

მაგრამ... მაგრამ ის „დალოცვილი ღმერთი ასე გულქვა როგორ იქნ ბა!“ ეგების არ მოიძულა არც შალვა და არც მისი მშობლები, ეგების... ცოცხალია, პირში სული უდგას და ამ ბედნიერ წუთს მათ სანახავად მოეშუოება... რა ბედნიერება იქნება! რა ნეტარება!..



მაგრამ... რა მოვლის მას აქ, სამშობლოში? რა დახვდება ტანჯვაში ჩამ-  
წვარს? მოიძებნის ცოლს, შეიღებს, მშობლებს...

მუდამ მისი ერთგული და მისი სულის ჩამდგმელი მშობლები; ყოველ წამს  
მის სიკეთეზე მაფიქრალი არსებანი ისევ ერთგულად დახვდებიან მას, ისევ  
წარბშეუბრელად და სპეტაკის სინიღისით შეხედავენ თვალეში.

მაგრამ ცოლი? შალვას სათაყვანებელი ცოლი, რომელიც მას ერთ დროს  
უერთგულეს არსებად მიაჩნდა და რომელიც ისე შეირთო, რომ მშობლების  
აზრს ყურადღებაც კი არ მიაქცია!.. ეგონა ის იქნებოდა მისი უერთგულესი და  
ყველა მეგობარზე უმეგობრესი არსება... და ასეთმა საიმედო ადამიანმა ის და-  
ივიწყა და სხვაზე ვაცვალა. შუა გზაში მიატოვა უთანასწორო ბრძოლაში და-  
ცემული ქმარი. ჟღერი არ გაუწია, სიღარიბეში ჩატოვა. შიმშილში და რაც  
ყველაზე უარესია—ციხეში და ბორკილებში! თვითონ კი ფუფუნებით ცხოვ-  
რობს, თავდავიწყებას მიეცა ახალი ბედნიერების კალთაში. ესეც არ იქმარა,  
შვილებიც კი მოგლიჯა უბედური მამის გულს, ცდილობს არ მოიგონონ ღვიძლი  
მამა და, ვინ იცის, რა აზრებს არ უნერგავს პატარებს მამის შესახებ. ბებბის  
და ბაბუას შვილის შვილებიც კი არ აჩვენა ერთი რაა.

მაგრამ... დეე, ჯანდაბის იქით იყოს ყოველივე, ოღონდ შალვა კი მოვი-  
დეს! ოღონდ ის კი ეჩვენოს მშობლებს! ამ ქვეყნად ყოველგვარი ჭრილობა გა-  
მართულდება, შალვაც გადაიტანს ამ უბედურობას... ოღონდკი მოვიდეს! მოვი-  
დეს და მოიტანოს თვისი ძვირფასი სიცოცხლე! მოიტანოს ის დავაგაკეცებული  
სხეული, რომლის ძარღვებში ზარბარეს სისხლიც სჩქევს! მოუვიდეს დედას მისი  
ხორცი-ხორციავანი და სისხლი სისხლთავანი! ყველაფერს მოესწრება. ყველა-  
ფერს ეღირსება, ოღონდ კი ცოცხალი იყოს, ცოცხალი!

— სხული გრძობს, რომ ჩემი ბიჭიკო ცოცხალია! მოვა, მოვა, მტრის  
გულის მოსაკლავად!—ამბობდა ერთიანად გარდაქმნილი და წელში გასწორე-  
ბული დედა.

— წავიდეთ, წავიდეთ, ვეძებოთ ჩვენი შალვა! ვკითხოთ ამხანაგებს, მის  
ნაცნობებს. ვიაროთ, კის კიდემდის, ვიაროთ, ოღონდ კი მოენახოთ ჩვენი ბი-  
ჭიკო, მოენახოთ... მოენახოთ...

### III

ევა და რეზო, ერთობ გაკვირდნენ, როდესაც სრულიად მოულოდნელად  
გაიგეს, რომ „ვილაკ“ შალვა ღრუბელიანის მშობლები ევას ეძებდნენ...

ერთხანს თავზარდაცემული იდგნენ და ხმის ამოღება ვერ მოებერებიათ.  
ევა საშინელის ძალდატანებით იმავრებდა თავს და ძლივს აკავებდა გაეარვა-  
რებულ შანთად დატრიალებულ აზრს,—თუ როგორ გაერთმია თავი შექმნილი  
მდგომარეობისათვის?

მსწრაფლ დაებადა ერთი გეგმა, რომლის შესრულებასაც ამ წუთშივე უნ-  
და შესდგომოდა: მის ოჯახში არავის არ უნდა გაეგო რაში იყო სექმე,—არც  
სოფიკოს, არც ვაჟს და არც შუშანიკას.

რეზო ანგარიშში ჩასათვლელად არ მიაჩნდა. მეორე, დაუბატონებელი სტუმრები თავიდანვე უნდა მოეშორებია.

ეს გეგმა ელვის სისწრაფით უნდა გატარებულიყო სინამდვილეში.

— მაშ დიწყო საშინლება! რასაც გაეუზროდი, რასაც ამდენი ხანი ვემალებოდი და რაც უკვე ამორებული მეგონა, — ფიქრობდა ცეცხლმოდებული ევა, — მაგრამ ენახოთ!.. ენახოთ!..

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ექნათ, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ბოლოს შემკრთალის ხმით რეზო.

— რა იყო, რა მოხდა ისეთი?! — ბასუხის მაგიერ მკვახელ შეეკითხა ევა, და რეზოც მსწრაფლ მომაგრდა. კილოზე შეატყო, რომ ევა სრულებით არ იყო შეშინებული. საქმაო იყო ეს ეგრძნო რეზოს, რომ მისი არსებაც კვლავ გამბედაობას მოეცემა.

— ისეთი არაფერი მომხდარა, — განაგრძო გადაპირლის ტონით ევამ, — სოფლელები არიან, შეუღნებელნი! ალბად გაიგეს, ამნისტია არისო და ჰგონიათ, რომ შეილი დაუბრუნდებათ. ის კი არ იციან, რომ მათი შეილი აღარ არის ამ ქვეყნად. ალბად არ გაუგიათ, მთავრობას არ უცნობებია, არ გამოუცხადებია თავის დროზე, მორჩა და გათავდა! მეტი აქ არაფერია! როცა უოველივეს შეიტყობენ, დაწყნარდებიან.

— დიახ, დიახ! მეც ასე მგონია. ხომ იცი, როგორი დაუდევარი იყო ძველი მთავრობა! ჰმმმ... ალბად არ მოიწერეს, დააიწყდათ...

ევა ტუჩების კვენტით ისმენდა კმრის ლაპარაკს, გარეგნულად კი სრულიად დამშვიდებული იყო.

— რეზო, შენ ეხლავე წახვალ და ეტყვი მათ, რომ მე აქ არა ვარ და არც ვიქნები კარვა ხნის განმავლობაში... სხვა ქალაქში არის ნათესავეებთან-თქო... გესმის?

— მესმის...

— რაც შეეხება მათ შვილს, ასე უთხარი; ჩვენ არა ვიცით რა მისი, დიდი ხანია არაფერი გაგვიგია, მიაკითხეთ თქვენი სოფლის ახალ მთავრობას და ის მოგანახვინებს-თქო... ხომ გესმის?

— მესმის, მესმის, გეთაყვა! ჩინებული აზრია. დეე, თითონ მთავრობამ უთხრას სიპართლე, რალა ჩვენ ვაწყენინოთ უბედურებს! დიახ, ასე აჯობებს, სწორედ ჩინებული აზრია!

— თანაც ისე დაიჭირე თავი, რომ... ხომ მიხვდი, რაშიც არის საქმე... ტკბილად ელაპარაკე, წყნარად...

— დიახ, დიახ, მე ყველაფერს მივხვდი, ყველაფერს...

— მოიცა, დამაცადე, ნუ ჩქარობ, — გააწყვეტინა ევამ კმარს, რომელიც მოწადესავეთ მიჩერებოდა თვალბში და ყოველ მის სიტყვას ხარბად იქერდა, — თანაც ისა... ნუ მიახედურებ, რომ შენ ჩემთვის მათი შვილის მაგიერი ხარ... ხომ გაიგე რისი თქმა მინდა?..

— გავიგე, როგორ არა, გავიგე, დიდებული მოსაზრებაა... არ ეამებათ, რასაკვირველია, დიახ, დიახ...



— ბავშვებს იკითხავენ... ეტყვი, რომ ბავშვებიც ჩემთან არაა? — ჰქვია ერთ-ერთი მათი ნახვა არ შეიძლება, ხოლო ახლო მომავალში, როცა ექვს დამბრუნდება, უთუოდ ორთავეს სოფელში გამოგიგზავნიან-თქო. ასე ეტყვი ხომ გაიგე? მოიცა, ნუ ჩქარობს!.. ლაპარაკში შიში არ დაგეტყოს, არ აჩქარდე, თანაც რამდენიმე ასი მანეთი მიეცი სამგზავროდ... ხომ მიხვდი?

— მივხვდი, მივხვდი, გენაცვალე, ყოველივე ჩინებულად არის მოსაზრებული

რეზო მაშინვე შეუდგა ყოველივე ამის შესრულებას და ჩინებული დიპლომატიკ გამოდგა! ტკბილად მი გება მოხუცებს, დაუყვავა, ანუგეშა და ბოლოს ურჩია ისევე სოფელად დაბრუნებულიყვენ და მათი სოფლის ახალი მთავრობისათვის გამოეყოხათ შალვას ამბავი. თანაც რამდენიმე ასი მანეთი გადასცა და მწუხარება გამოსთქვა, რომ ამ ეამად შეტი არ ჰქონდა. ერთის სიტყვით, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა, რომ... გულ ვაცეცხლებულ ბარბარეს ბევრ რამეში გვეი არ შეეტანა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს მაინც ვერ გავიგე, რამდენი ხანია შალვას მისი ცოლისთვის წერილი არ მოუწერია? რომელ ქალაქშია? სთქვით ყველაფერი, ნუ მიმაღავეთ! ჩემს შვილის შეილებს რად არ მიჩვენებთ? ისინი მაინც ხომ ჩემი სისხლი და ხორცია! ამდენი ხანისა არიან და მე ორჯელაც არ მივსიყვარულებივარ მათ!... შვილი დამელუბა, ისიც მეყოფა, ბავშვები მაინც მიჩვენეთ.

რეზოს დავთრები ებნეოდა. ბარბარემ გულ დასმით მოუსმინა რეზოს, მაგრამ დაქმეყოფილება მაინც ვერ მიიღო, რეზოს მიკიბ-მოკიბვამ ვერაფერი გაააროვა.

— ღმერთი არა გწამთ, პირჯვარი არ გიწერიან? თქვენ მე ბავშვებს მიმაღავეთ, ისინი კი აქ არიან, ევაც აქ არის... ის პირშავი. ვიცი ვინა ხართ თქვენაც, ჩემი შვილის მავიერი ხართ, ევას, უნამუსო ევას მეორე ქმარი, იმ ლეჩაქ-ახლილის. ვიცი, ვიცი მე ყველაფერი ვიცი!..

ბარბარე თანდითან ენთებოდა: გამწარებული დედა შვილის მოსანახავად მოვიდა და იმას კი რაღაც მიბანდულ-მობანდული აზრებით უპირებენ გასტუმრებას... თვალეზი ეღვარებენ... ბებერი ძვლები გაახალგაზრდდენ... რძით დაშრეტილი ძუძუები თავის მიერ აღზრდილს მოითხოვენ...

რეზო ერთიანად დაიბნა, რა ეთქვა არ იცოდა. ცივი ოფლი დაასხა და წამდაუწუმ შებლზე ცხვირსახოცს ისვამდა.

— არა, ბატონო, რატომ იკადრებთ ასეთ სიტყვებს?.. ჩვენი ბრალი აქ არაფერი არ არის, არაფერი... ღმერთს გეფიცებით...

— ვიცი, მე ყველაფერი ვიცი! ისიც ვიცი, რომ ჩემი შვილი ცოცხალია და თქვენ მკვდრად გინდათ მომაჩვენოთ! მე ყველაფერი გავიგე...

რეზო თავზარ დაცემული უსმენდა გაათრებულ დედას. — დაწყნარდი, დაწყნარდი, — ეუბნებოდა ბარბარეს ქმარი.

— როგორ თუ დაწყნარდე! — დაეწყნარდე კი არა სისხლი უნდა დავლიო მაგათი, სისხლი!





მარტინული  
მარტინული

ევა ბოლოს სრულიად დამშვიდდა და ასე მიმართა მას:

— რეზო, აბა შენ იცი! სიძვარე კი არის, მართალია, მაგრამ მე და სოფიკოს უსათუოდ დღეს რომ ავირჩიეთ, ის მატერია უნდა გვიყიდოდ, ორთავეს ერთნაირი კოსტიუმი უნდა გვექნეს. ხომ იცი?

— უსათუოდ... უსათუოდ...

— იცი კიდევ რას გეტყვი, ჩემო ძვირუფასო! შემომხედე, როცა ველაპარაკები, რა დროს გაზეთია! აი ავრე, მე არ მიყვარა, როცა ლაპარაკის დროს არ მისმენენ!.. დიახ, რას ვამბობდი? ჰო, ისა, მე დღეს ბავშვბიანათ ივანესას უნდა წავიდე, ამ დილით დებეშ-თ დამპატოება ორი ან სამი დღით.

— კარგს იზმათ, შეგიძლიათ ერთი კვირაც დაოჩეთ. დაისვენეთ...

რეზო მიხვდა, რასაც ნიშნავდა ივანესას წასვლა— ეს ერთგვარი გაპარება და უნიშარ ადვილას წასვლა იყო და მისი იტყუებიც გაძლიერდნენ. ევა შეშინდა, გარბის... მაშ საქმე არც ისე ოლი ყოფილა. ეგების შალვას მშობლები მართალნი არიან? და შალვა ცოცხალია? მაშინ რა ქნას რეზომ?

— მე ვხლავე შეფუდებები გამგზავრების თადარიგს.—საქვა ევამ და რეზო გრძნობით ჩაპკოცნა. რეზომ იგრძნო, რომ ეს კოცნა რაღაც ხელოვნური და ნაძალადევი იყო, მაგრამ ხმის ამოუღებელი ცოლს სამაგიერო გადაუხადა. მაგრამ ვაი ასეთ გადახდას: ამ კოცნის დროს არც ერთი მისი ნერვის ნაკეთი არ გალიზიანებულა და ისე შეეხო ევას ტუჩებს, როგორც ურწმუნო გაცივებულ ჯეირს.

ევამ ფანჯარაში გადაიხედა და ნაცელად იმისა, რომ საჩქაროდ შესდგომოდა გამგზავრების თადარიგს, გაშტერებული მიაჩერდა რაღაცას და წელანდელი ღიმილიც ერთიანად დაეკარგა. შალვას მშობლები მიდიოდნენ ქუჩაში და იმით მიიჯაჭვეს მისი ყურადღება. წინ მიდიოდა შავად მორთული ბარბარე, უკან ჯოხით მიჰყვებოდა ქმაოი, რომელიც ერთიანად გათეთრებულიყო და წელშიც მოხრილი იყო.

ევა განგმირული მოშორდა ფანჯარას და ოთახში გავიდა. დაეშვებულ რეზო მსწრაფლ მიეჭრა ფანჯარას. მაგრამ შვლის მატებარი მშობლები უკვე მიმალულიყვნენ. რეზო მოტრიალდა და უაზროდ შეუდგა გაზეთის თვალთვრებას.

#### IV

რეზო საშინელ მდგომარეობაში ჩაეარდა.

რა ხდება მის გარშემო? ვინ არიან მართალი, ევა, თუ შალვას მშობლები? ცოცხალია თუ არა შალვა ღრუბელიანი? ნუ თუ ევა? მოატყუე?

ეგების მოხუცები სტყუიან, თავს იტყუებენ? შეუძლებელია ევა სტყუოდეს,—როგორ იკადრებს! არ შეჭკვევის!

მთელი დღე რეზომ უგუნებოდ გაატარა; სამსახურში არ წასულა.

ან კი რა აქვს სამუშაო? ყველაფერი აფურიაქდა. ძალი პატრონს ვერა ცნობს, მოსამსახურეებიდან ნახევარი ან დღის.

უმცროსი მოსამსახურეები უფროსებად იქცენ: როცა მოებრიანებათ მა-



შინ მოვლენ. მიტინგი, პარტიული კრება, სურსათ-სანოვაგებზე ზრუნვა, კიდევ მიტინგი, კიდევ კრება და მოხსენება... პური... შაქარი... ფრინველები... კუქელას ეს სიტყვები აკერია ენაზე.

რეზო კი ძველებურის მუყაითობით დგას თავის ადგილას, ერთხელაც ფეხი არ დასცდენია: თავის დროზე მისვლა, თავის დროზე წამოსვლა... ჰო, და რა იტანება, რომ დღეს არ მივიდეს სამსახურში? არაფერი. ვთქვათ ევა მოტყუვდა, მართლაც მოტყუვდა. შალვა არ გადაცვლილა და მართლაც მოდის, ასეთი რამე სულ ადვილად შეიძლება მოხდეს. რა ჰქნას მაშინ რეზომ? როგორ მოიქცეს? რითი დაიღწიოს თავი გაჯოჯოხებულ ცხოვრებას? მართალია, შალვას მშობლებს უცებ უთხრა: თუ თქვენი შვილი ჩამოვა, ვეც მას ჰყავდესო. მაგრამ განა ასე ადვილად შეიძლება ამ საკითხის გადაქრა? გონება ასე სჯის, მაგრამ გულს რა უქნას? საკუთარ გულს, სიყვარულით გამსჭვალულს, სამარადისო ვნებით დაპურობილს, ევას წინაშე განართხულს და მოინად ქვეულს? განა ამას შემდეგ გროშათ ეღირება მისი სიცოცხლე? თითონ მდგომარეობას შეურიგდეს, საზოგადოებას რა პასუხი ვაცეს? როგორის თვალთ უნდა რო შეხედოს ნაცნობებს, ნათესაებს. შეილებს?

ამათ რა უხრას?

შალვა შეილებს, რასაკვირველია, წაიყვანს. მაგრამ რა უთხრას რეზომ თავისს ორ ანგელოზს, ერთი მათგანი რომ ევას ჰგავს, როგორც ორი წვეთი წყალი. მამის ნუგეში, იმედი და სასოება...

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბებია ჩემს თავს? ხომ არ ვიღუპები?

ასეთი ძნელი ამოცანა მას ჯერ არ შეხვედრია. მისი ცხოვრება მუდამ წყნარად და მშვიდად მიმდინარეობდა. არასოდეს კალაპოტი არ შეუცვლია, თავის დღეში არ აღელვებულა. ეხლა კი ლამის ძირიანად შეირყეს და გადატრიალდეს.

— ჰო, რა ცუდი აზრები მომდის ხანდახან თავში! განა შესაძლებელია ყოველივე ეს? სისულელეა! საიდან დამებადა ასეთი შეუსაბამო აზრები? რისთვის შევიშფოთე სული? რად აეყვიე აგრე ჩემ ნაცად და დასანდობ ნერვებს? სისულელეა! ცხოვრებაში დრამა არ არსებობს, დრამას ადამიანის დაივადებულ ნერვები ჰქმნიან... ადამიანს საკუთარი თავის გაბედნიერებაც შეუძლია და გაუბედურებაც, — გადაქრით სთქვა რეზომ და გული დაიწყენარა.

რეზოს ცხოვრება ბავშობიდანვე ზღაპრით მიმტობოდა მდინარეს ჰგავდა, რომელიც ზარმაცად გაწოლილა დაუსრულებელ ვაკეში და უსიცოცხლოდ აქანებს ნაპირებზე ამოსულ ლერწამთა ჯარს. მხოლოდ ერთი უჩვეულო რამ მოხდა მის ცხოვრებაში: ეს იყო ევას შეყვარება. მაგრამ ეს ძირიანად ამაფორიაქებელი გრძნობაც ერთობ წყნარად აითვისა, ერთობ უმტკივნეულოდ ჩაისვენა იგი თავის არსებაში.

ღრმა და უანგარო იყო გრძნობა, რომელმაც რეზოს გულში ჩამოკვსა და ცუცხლად აქცია ევას ღვთაებრივმა სილამაზემ, ლამაზმა ცხოვრებამ, ლამაზმა ბედმა...

ქმრის კატორღაში გაგზავნით გულდათუთულ მანდილოსანს ხშირად ხე-



დაედა იგი თავის აიენიდან. მთელი ქუჩა იცნობდა დატანულ მკვლელს. მკვლელობა იბრალებდა, ყველა თანაუგრძობდა.

რეზოს ჩელი გულიც ასეთნაირად უნდა ათრთოლებულიყო, მასზე გრძობიერი და გულმტკივნეული არაეინ იყო უბანში.

თავადიშვილის ლამაზი ქალი, საქვეყნო საქმით გატაცებული, უჩვეულო აზრებ-სათვის თავდადებული, იდეალური სიყვარულით ქმარს გაყოლილი, თავის აღმზრდელი წრის გმირულად უარისმყოფელი, დიადის რწმენით გატაცებული...

და, ჰოი, ბედის სიმუხთლევ!..

იმ დროს, როცა მას სამუდამოდ უნდა გაემარჯვა, როცა წამებულია უსახლვრო აღტაცებას მისი ხმაც უნდა შეერთებოდა, იი, ამ დროს სრულიად მოულოდნელად პირველ დაემხო და თავდაღმა დაეცა...

რეზოს მოაგონდა ერთი დრამის ერთი გმირი, რომელსაც იმ წამს გადმოუვარდა სამრეკლოდან ტანჯვით შექმნილი და ზედ ატანილი ზარი, როდესაც ის იყო უნდა დაეგუგუნებია. ამ მიზანს შეაღია ამ გმირმა მთელი თავისი ნაჭი და აღმაფრენა, კეცა და გონება. და უცებ აგრე შეუბრალებლად დაიწყდა ქმარს სიმები...

აი, ვის შეადარა რეზომ ევა და მისი ცხოვრება, რომელსაც იგი ჯერ კიდევ თავისი აიენიდან უთვალ-თვალეზდა.

ხშირად დაუნახავს მას აქედან, როგორ ბრუნდებოდა შინ ციხის კედლებთან ტრილით დაქანცული ევა, როგორ ჩაიკრავდა თვალცრემლიანი თავის ბავშვებს და როგორ ეალერსებოდა მათ... მერე რა სანახავა ლამაზის სევდით დასევდილი ლამაზი ქალი, რომელიც მტირალ ნიობესავით გულში იკრავს თავის მოზიზღლავ შეილებს ხშირად ხედავდა ამ სურათს თავის მდიდრულ ოთახიდან რეზო ნამიანიძე და ნელ-ნელ იმსკვალებოდა თანაგრძნობით.

ისინი, მართლაც, დაახლოვდნ და სამი წლის განმავლობაში რეზო ევა-სათვის მფარველი ანგელოზი იყო. მათი მეგობრობა შალეს რუსეთში ვაგზავნის შემდეგ უფრო მკვიდრო კავშირით დასრულდა: ისინი შეუღლდნ, მერე ეს ქალაქი დასტოვეს და სხვაგან გადაიბარგეს.

რეზო მუდამ ხელნაშთბარი იყო: მშობლების სიმდიდრე და პირადი ჯამაგირი ყოველთვის საშვალეზას აძლევდა მას ერთობ კარგ პირობებში ჰყოლოდა ცოლ-შვილი. და ევამაც თავისუფლად ამოისუნთქა: როგორც იქნა და აღწია თავი ლუკმა—პურისათვის ზრუნვას და შეილებზე ფიქრსა და დარდს...

ეს იყო და ეს: ამაზე არაჩვეულებრივი ამბავი რეზოს ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარა.

შალევაზე ზრუნვის საქმეში რეზო ერთგულ მეგობრად გაუხდა ევას. გულმტკივნეული ვაჟკაცი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ამ ჩარჩოს არ გადაშორებოდა. მაგრამ გადიოდა დრო და რეზო ამწვედა, რომ მისი გულის ერთი სიმი რალაცნაირად გათბა და სათუთის გრძნობით დაიღვენთა. რეზო შეკრთა; ის თავის თავსაც კი უშალავდა ამ თბილი გრძნობის ჩასახვას და ერთგულად ასაპარებდა მას გულის კუნჭულებში...



მაგრამ დროთა მიმდინარეობაში ეს გრძნობა ერთიანად ეფუძლებოდა მის არსებას, ვერ შეაჩერა მისი ვალევიება გონების წვალეობაზე და მისი რეზონანსი პირველად ერთობ მანკიერის ბუნების პატრონად ეჩვენებოდა. თავი, რომ ასეთი უღირსი გრძნობა აღედგინა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ღვთაებრივის უცოდველობის და მეგობრულის პირმეტყვიანობის საწყაულად ეჩვენებოდა.

ქალი, რომელსაც ევასავით ბრწყინვალე და გმირული წარსული აქვს, არ შეიძლება ცხოველური გრძნობის საგნად გახდეს, ამაში ღრმად არის დარწმუნებული ოეზო და მხოლოდ რეზონანსი უბრალო პიროვნებას შეიძლება დაბადებოდა ასეთი ჩვეულებრივი გრძნობები ევას შესახებ.

ეს კარგად იცის მან და ამიტომაც არის, რომ თავს იმაგრებს.

— განა არ ვხედავ, რომ ძმასავით მკაცრობა? ყველაფერში მინდობს, გულის სიღრმეს მიშლის, კარსა და ლხინს მინაწილებს. და მე განა ისეთი სულმდაბალი უნდა აღმოვჩნდე, რომ მის უნაგარო გრძნობას ჩემი ქვეყნა ზრახვანი დაუპირდაპირო? არა! მე ამას არასოდეს არ ჩავიდენ! ასე არ დავიმცირობ თავს! ის ღირსეული ადამიანია და მეც მისი ღირსი უნდა ვიქნე, — ფიქრობდა რეზო.

ესიქვით, ფეხ ქვეშ ჩაუვარდა და უთხრა თავისი გულის ნადები, აღიარა თავისი წრფელი გრძნობა და სამაგიერო მოითხოვა. მაგრამ ევამ რომ ფურთხით უპასუხოს? ასეთი საქციელი ჭეშმარიტად რომ შესაფერი იქნება ევას ხასიათისათვის? განა ამისთანა გმირობა ჩაუდგენია ევას?

განა მისი გმირობანი ჩვეულებრივი ადამიანის საქმეა?.. რეზონანსი წარმოდგენით, ევა არაჩვეულებრივი ადამიანია: მომქმედი, გამბედავი, აზრის მკვერავი, ტიტანიურის ნებისყოფით აღჭურვილი და ყოველივე ეს მშვენიერ სხეულში მომწყვდეული, მომხაზლავ მარმარილოდ ჩამოქნილი, მშვენიერის ტანჯვით ნაკურთხი და ნახტურები მოდი და ასეთი იშვიათი ადამიანის წინაშე ჩვეულებრივის გრძნობით წადექი!

სამი წელიწადი იტანჯა რეზო, უკანასკნელი წელი სულ საშინელება იყო მისთვის, და რომ თითონ ევას არ მიეცა მისთვის სიყვარულის გამგლანების საბაბი, რომ თითონ ევა არ მიყრდნობოდა მას სრულიად მოულოდნელად, რეზო თავს გაიუბედურებდა, შინაგანის ცეცხლით დაიწოდა და ევას კი სიყვარულს ვერ გაუმგლანებდა.

სათაყვანო ევა მისა, დიდებულმა პიროვნებამ თავის თავამდე ამაღლა იგი, სულით სპეტაკმა, ზორციტ მშვენიერმა...

თუ ასე წარმტაცად და განუზომელად უყვარდა იგი ევას, თუ ასეთი ღრმა და უსახლო იყო მისი სიყვარული, — და რომ ეს ასეა, რეზონანსი მთელის თავის, არსებით სჯერა, — დიან, თუ ეს ასე იყო, რამ აუხვია რეზონანსი თვალეები და აბლობამდის ვერ ამოიციო იმ ადამიანის გამოხედვაში იმ დაუშვებელი ვნების საბე, რომლითაც ასე შეპყრობილია ევა და რომელიც მთელი მისი სიკაცხლის დასაწყისი და დასასრული ყოფილა?..

როგორ შესძლო ამ ჭეშმარიტად საკვირველმა ადამიანმა ასეთი მრისხანე

გრძნობის ახლობამდის შეგრება? საშინელი ვნების ქარ-ბუქის დაოკება, იმ ქარ-ბუქის, რომელმაც ლამის არის შთანთქმის და ჩაყლაპოს ჩვენი ნიშნები გრძნობიერება...

რა ღრმა და უბსკერო მისწრაფება შეუკავებია ამ ადამიანს?

როგორ სიკვდილივით ძლიერი და შეუპოვარი ყოფილა მასში ბედნიერებისაკენ გაქანება, ს-ცოცხლის წყურვილი!..

არის წამი, როდესაც რეზოს შიშიც კი იპყრობს და თავზარდაცემული გიურბის ევას არსებაში ამოხეთქილ ვნებას, რომელიც უდაბნოს საშუამით დაწვას და დაფერულას უქადის მას...

— დიდ ბუნოვან ადამიანში ყველაფერი დიდი ბუნოვანია, — ფიქრობს რეზო და მოწიწებით იღრცეს ქედს ევას წინაშე.

და „აი ასეთი დიდი ადამიანის პარტიონებაში დღეს ლამის ეჭვი შეატანინოს!..

ვილაციის უღირსმა ხელმა მოინდომა მისი ლამაზი და წარმტაცი ცხოვრების მოწამელი და მოშხამა!..

მაგრამ არა, ეს შეუძლებელია!

რეზო ამის ნების არავის არ მისცემს!..

არა... არა!

შალვა მკვდარია და ევაც რეზოსია სამუდამოდ...

ეს უნდა იცოდეს ყველამ!..

ყველამ!..

## V

ევას დიდის ამბით მიეგებენ მასპინძლები. ისეთი სასურველი სტუმარი დიდი ხანია არ ჰყოლიათ. არ იციან რითი ამონ, რითი სცენ პარტივი, თავს ევლებიან, ხელით ატარებენ.

მაგრამ ევას გულს არაფერი არ ეკარება: ის მხოლოდ სხეულით არის აწყრონი, სულითა და შეგნებით კი ერთიანად წარსულშია, და მოგონებათა ბურუსში გახვეული, მთვრალივით დაბარბაცებს.

რევოლიუციის აქეთ სულ მოგონებებშია გახლართული, მაგრამ მაინც ვერ დაკმაყოფილებულა მათი თვალწინ გაშლით. შალვას მშობლების ჩამოსვლამ ხომ სულ გაამძაფრა მისი სულის აფორიაქება. ის უკვე სამუდამოდ მიეჯაჭვა წარსულს, დაწერილებით იგონებს მას და ჰგონია, რომ ყოველივე, რაც მას ამოდენ წელთა უკან თავს გადახდენია, თითქოს გუშინ განეცადოს. ხელახლა გაიხსნა ის იარები, რომელნიც თითქოს ჩაშუშებულნი იყვნენ. კიდევ ერთხელ გადაიფურცლა მოგონების შავი წიგნი.

აგონდება ის საშინელი დრო, წელი გამოთიშვის ხანა, შეუმჩნეველი გარიყვის, თან და თანი განმარტოების... ჩუმი და გულის მომკვლელი სიკვდილი, ცეცხლის ალზე წვეთ-წვეთად დნობა, პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ შავი რეაქციის ჩამოწოლა, დამსხვრევი, სამარეთა გამთხრელი, აღმაფრენის მომსპობი და დამაქვესკნებელი. სად არის უწინდებურად მასში გათ-



ქვედა, მისი სულის თქმითა და მიჯის ცემით ცხოვრებაჲ ქველფეხად გაქრა ყოველივე დაიღუპა! დაწყება შემაერთებელი ძაფები, დაიჭმს და დაიჭრის ფერხულის მონაწილენი. მებრძოლებიდან ზოგი საპყრობილესშია, ზოგის გეგმს ნიაფი არხევენ საღრწობელაზე. რიგი სუსხიან ქვეტენებში გადაპყარგეს, რიგი ტყე-ველად გარბის, რიგიც თავჩაქინდრული დგას და საკუთარ სულსა და გულში ფოთილს შესდგომია. ყველგან ფიქრი და სევდა, ყველგან კაეშანი და უიმედობა.

მართალია, არიან მეოცნებე ამხანაგებიც, რომელნიც დღე-დღეზე მოელიან ისტორიული ჩარხის შემობრუნებას: მრავალი უმნიშვნელო მოვლენა, რომელიც თანა, სდევს ხოლმე მაღალ ადგილიდან თავჩაღმართს. ჩაქანებას, მათ საქმის ხელ-ახალ დასაწყისად ეჩვენებოდათ და იმას კი ვერ ამჩნევდენ, რომ ეს იყო მხოლოდ განგმირული რაინდის კონვენუსიური მოძრაობა და არა გამოცოცხლების ნიშანი. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც გაკაცებულნი იდგნენ ძველ ნიადაგზე, ყოველგვარ მოვლენას ცივი გონების დარჯაკში ატარებდენ და გულგრილ დოსტაქრებივით სინამდელიის განაზილავნი,—გზის მაჩვენებელ ციციანათელებად ანათებდენ, შეურყვევლად იდგნენ ძველ პოზიციებზე და გასაუკლდე-ვებული გაპყურებდენ მომავალს, მაგრამ მათი ხმა გამარჯვებულთა ყიფინაში ინთქებოდა.

გადიოდა დრო და რაღაც არსება ნელი-ნელ აქედანედა იმ კუბოს ფიცარს, რომელშიც საქვეყნო აღმაფრენა ესვენა.

ეგას ყური გარკვევით ისმენდა ამ შავებდით ხმას და მისი არსებაც სვედითა და უიმედობით იტლინთებოდა. მასზე უკეთ, აბა, ვის უნდა ეგრძნო ამ დროის საშინელება? ამ ხანამ უყო, რომ მას ხელიდან გამოვლიჯა მისი ღვათება, შალვა ღრუბელიანი, მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია. და საზოგადო ბედნიერებასთან ერთად პირადიც მოუსპო...

კრიტიკისა და გვეის ქარტებილში ატარებდა როგორც წარსულს, ისე აწყმოს და ვინ იცის, რა დასკვნები არ იშლებოდა მის თემლ წინ?

— მიკვირს, სწორედ მიკვირს,—ფიქრობდა ეგა,—ნუ თუ მოეტყუედი? რამდენი მაღალი ფრაზა, რამდენი დიადი აზრი მოვისმინე და ბოლოს რა გამოვიდა? საქმის პირველ შეფერხებისთანავე გამოირკვა, რომ ყოველივე ცარიელი სიტყვები ყოფილა და მეტი არაჯერო... ვსთქვათ მოხდა ისე, რომ ყველა ეს მოწინავე პირები დაასახლეს ერთ კუნძულზე და მათ შექნეს საკუთარი სახელმწიფო; სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვითომდა ქვეყნის განმახლებელნი ერთი მეორეს დაერევიან და შემრიგებელიც კი არ აღმოჩნდება მათ შორის. ვისაც თითონ არა სწამს თვისი ქადაგება, განა სხვის წინამძღოლობას შეძლებს?

ეგას აგონდება ზოგ მოწინავეთა ანგარიშიანი ზრახვები, საქვეყნო საქმეზე სიტყვით ლაპარაკის დროს საკუთარი ჯიბების აესება და მისი კრიტიკაც ერთიანად უღმობელი და განმანადგურებელი ხდება.

— იმ ხალხსაც ჩავაკვირდეთ, რომლის გასაბედნიერებლად ამდენი ქვე-



ქუბილი იყო და ამდენი ოფლი დაიღვარა. რას ფიქრობს იქნა იმ დროს? როდესაც მისდა გასაბედნიერებლად მეზრძოლნი ერთი მეორეზე ილუპებია?

სფინსკივით დგას ის ცხოვრების ველზე და ერთის წუთითაც კი ვერ დაინახავ მის სახეზე რაიმე წუხილს ბედნიერების დაკარგვის გამო. ზურგი შეაქცია გუშინდელ ღმერთებს, თავი ანება სათაყვანო წინამძღვრებს და დღეს სულ სხვა მანგებზე მღერის, სულ სხვას გრძნობს, სულ სხვას ფიქრობს. აი თქვენი ხალხი! აი, თქვენი დემოკრატია!

ეჭვებით დაცხრილული ევას არსება ღრმად გრძნობს, რომ მისს ხსოვნაში ნელი-ნელ კედება რაღაც სანუკვარი არსება, სამარეში ესეენება რაღაც უტბილესი გრძნობა. სისხლით ეცლება გულის კუნჭულთა უძვირუასესი ნაწილი. მაგრამ რა ჰქნას, რითი გაუწიოს წინააღმდეგობა ამ საშინელ შეუმჩნეველ და ჩუმ სულის ამოხდომას? ან კი შესაძლებელია მისი წინააღმდეგობა? საჭიროა? ეგების აქ არის ცხოვრების ქეშმარიტება და ევას უწინდელი გატაცებანი მხოლოდ უნიადაგო თვითმოტყუება იყო? და ევაც სევდით აყოლებს თვალს ნიადაგ შერყვეულ გუშინდელ კეპებს. ნო თუ ასე წარმავალია ყოველივე? განა ხალხი იმისი ღირსი ყოფილა, რომ ვინმემ მისთვის თავი დასდოს და მისდა საკეთილდღეოდ იზრუნოს?

გუშინ, როცა ეს თავდადება იოლი და სასიამოვნო იყო, ყველა ცხვრის ფარასავით მისდევდა თავიანთ ბელადებს. დღეს კი, როდესაც სხვა ამინდი დადგა, ეს უტყინო ბრბო, ეს შეუგნებელი ჯოგი ჩაფიქრებული გაიჭრებულა და უტყინო ცხვარივით, უტყინოდ გამოიყურება! განა თავის მოტყუება არ არის მის გათვითცნობიერებაზე ლაპარაკი? როგორ უნდა გაათვითცნობიერო, რა გზით უნდა შეიყვანო მის გამოყვეყნებულ თავში რაიმე შეგნება? ეს არის გაუწვრთნელი ტყინი, რომელიც მოკლებულია რაიმეს ათვისებს უნარის! უყი კჳუა, მოუქნელი უჯრედები, ბუნებრივის ველურობით. და ყოველივე ამის დამაგვირგვინებელი — მისი მხეტური ინსტინქტი — ანგარება და ეშვებანი „მე“, რომელიც ყოველივეს ნთქავს და არავის ინდობს, რომელიც მუდამ ემს პირად ბედნიერებაზე ფიქრობს და ამ ფიქრში ჩაფლული, მუდამ მზად არის თავისი ბედი სხვის უბედობაზე ააგოს. მისი — ამ საშინელი ეშვებანი ვეშაპის — დაინტერესება თურმე შეიძლება მხოლოდ პურიით და კუკის ამოსავსების საშვალეებით. ის მაშინ არის გმირი, როცა შვი და სწყურია. ის ამ დროს ანგრევს ქვეყანას და, კჳუა-დაკარგული, ერთიანად ემონება თავის გამამხეცებელ ქვენა გრძნობას. და ხშირად, მსგავსად ბიბლიურ სამსონისა, თავში სისხლ ავარდნილი ყოველივეს აქცევს, ყოველივეს არყევს და იმასაც კი ვერ აჩჩნევს, თუ თვითონაც როგორ ილუპება ამ ნანგრევებში... სად არის ამ დროს მისი კჳუა, შეგნება, ნების ყოფა?

და ჩვენც შოკონებე ინტელიგენცია, ვითომდა ქვეყნის მარლი, ერას გონება და სინიღისი — მის სიგიფეს და მხეტურ გააფთრებას გმირობას ვუწოდებთ, შევხარით მას, ვაქებთ და ვადიდებთ.. საბრალონი! როგორ ვიტყუილებთ თავეს! ფანტასტიურ ლეჩაქში ვხვდეთ უსწინდელს სისამაგლეს და თან ხმა მალდა გაე-



კვით: უკვე იფხენით ამ ქვეყნიური ამოცანა! აღმოვაჩინეთ შეგურჩეული ჭეშ-  
მაროლებაო, და, ვინ იცის, კიდევ რა!

იღვთ ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი, ბიზანტია... მაშინდელი ბრბო განა  
ბევრით განიჩქევა დღევანდელისაგან? ეგვიპტელი მონა ისევე ეთავყენებოდა  
ცაში აწვდილ პირამიდებს, როგორც დღევანდელი ევროპელი რეიზის ტაძრის  
მწერვალებს... მაშინდელი ადამიანი ისე იხრიდა ქედს ფარაონის წინაშე, ვით  
დღევანდელი მოქალაქე განათლებული პრეზიდენტის ტახტთან. მაშინაც კუჭი  
ამოძრავებდა ბრბოს და დღესაც. მაშინაც იოლად მოისყიდით მას და დღე-  
საც. მისი გული მუდამ ისევე იაფი ყოფილა, როგორც მ.სი სხეული.

სად არის ის შეგნება და გარდაქმნა, რომელიც აგრე გრძელ ისტორიულ  
გზაზე ზოგიერთთა აზრით ადამიანს უნდა შეეძინა? სად არის ეს გაკეთილშო-  
ბილება? რისთვის არის, რომ დღევანდელი ბრბო თუნდაც ერთის ფეხის ნაბი-  
ჯითაც ევრ დაშორებია უძველესის დროისას? იმიტომ, რომ ასეთია ბრბოს  
ბედი და მისი ბუნება. ის მხოლოდ სახეს ატარებს ადამიანისას, ზოლო სინამ-  
დვილენი სულ სხვა ჯიშის არსებაა, ვინემ ჭეშმარიტი ადამიანი, ადამიანი მო-  
აზროვნე, ადამიანი გონიერი, გრძობიერი, გულჩვილი და შემბრაღე. იმაოტენ  
სოციალიზმი გარდაქმნის და გააუმჯობესებს ამ უკვანო ჯიშის ადამიანებსო.  
სულ ტყუილია!

თუ სოციალიზმი ამ უტენო და ანგარებიანმა ბრბომ უნდა დაამყაროს,  
მაშინ იგაც — ეს საოცნებო წესწყობილება — ისეთივე ანგარებიანი იქნება, რო-  
გორც მისი შემქმნელი ბრბო! მშობელი ყოველთვის თავისს მსგავს შობს. მე  
ვამტკიცებ, რომ ის სოციალიზმი, რომლის დასამყარებლად დღეს ბრბოს მოუ-  
წოდებენ, ისეთივე ანგარებიანი საფეხური იქნება ისტორიაში, როგორიც არის  
დღევანდელი კაპიტალიზმი! ძმობა, ერთობა, ჭიავისუფლება, სიყვარული და  
სხვა ამისთანა ლამაზი სიტყვები ბრბოს ხელში მხოლოდ და მხოლოდ ჯოჯოხე-  
თისაკენ მიმავალი გზის მოსაკირწლავი მასალაა და სხვა არაფერი.

განა ძმობა-ერთობის იდეია პირველად ბურჟუაზიამ არ დააწერა თავის  
დროშაზე? მერე რა წესწყობილება შექმნა მან? — საშინელი კონკურენციის სამე-  
ფო, გამარმარებული ეშვების ჯახუნი ერთმანეთის ჩასაყლაპავად და ადამიანის  
ხელ-ახალი გამხეცება უფრო მაფერი და უფრო გააღმასებელი საშვალეებით.  
ამსვე მოიქმედებს სოციალიზმის იდეაც, თუ ის დღევანდელმა ბრბომ დაამყარა.

მუდამ ყოფილა და დღესაც ასეა, — კაცობრიობა ორ დიდ უთანასწორო  
ნაწილად იყოფა: ერთ მხარეზეა მისი მცირე, მაგრამ საუკეთესო ნაწილი, მისი  
ნაღები, მისი ინტელიგენცია, რომელიც თავის გაწრთენილი ჭკუისა და ინსტი-  
კტების მეოხებით, ხშირად თავის დაუნებურადაც წინ უძღვის და მეთაურობს  
იმ მეორე ნაწილს, რომელიც განხორციელებული უტენობაა. და თუ როდისმე  
მართლაც მოძრაობს ეს უტენობა, — ეს მხოლოდ და მხოლოდ მგრძობელობისა  
და ნერვების გაღიზიანების ნიადაგზე ხდება, სხვა რამე იდეალური მამოძრავე-  
ბელი ძალა მასში არ არის. ის არის ადამიანთა უმდაბლესი, პირველყოფილი  
ინსტინქტებიანი ჯიში, რომელიც იძულებულია საფეხურად ემსახუროს თავისი-  
ვე მზგავს უმაღლეს ჯიშისა და განვითარების ადამიანებს... აკი არსებობს



სხვადასხვა ჯიშის ცხენი, ხარი, ძროხა... ზოგი მეტად სასარგებლო და გამო-  
სადევნი, ზოგი კი ნაკლებად...

ასეა ადამიანთა შორისაც: ბუნებრივი შერჩევის, თუ სხვა ნიადაგზე მათ  
წილში იქმნება ადამიანის გაუმჯობესებული ჯიში, რომელსაც მოწინააღმდეგეობა  
ეკუთვნის... ბრბოს არასოდეს ვინების წარმომადგენელი არ მოუცია!.. ის იბ-  
ღევა მხოლოდ ვინება-ჩლუნგსა და ნებისყოფა გახევებულ ტერორისტს; აზრით  
შეზღუდვილ დამარღვევლს, მოძმეთა სისხლის მსმელს, ყუმბარის მსროლელს,  
ჯოჯობეთის მანქანის მომწყობს... მხოლოდ ამაშია მისი ჰქუა, ჰქუა ვიწრო და  
შემოფარგლული, გაქვევებული და მიწაზე მლოდავი. და სულ ტყუილია იმისი  
ფიქრი, თითქოს ყველა ადამიანები ერთნაირნი გაბდებიან, გარდიქნებიან და  
გაკეთილშობილდებიან!.. ამის საწინააღმდეგოდ მკერმეტყველურად ღალიდებს  
წარსული ისტორია და გინა რაც წარსულში არ მომხდარა, ის მომავალში  
იქნება?

მევენბელიც კი იქნებოდა, რომ ყველა ადამიანები ერთნაინეთს ჰგავდენ.  
მაშინ ვინ იქნებოდა ხალხის წინამძღოლი, ინტელექტუალური ძალი?

ბუნება და ისტორია ჩვენზე უფრო ბრძენია. მას რომ ადამიანთა გათა-  
ნასწორება ნდომებოდა, ამას თითონ მოიქმედებდა.

ვიცი, რასაც მეტყვიან: ადამიანმა თუ ზღვა და ხმელეთი, ქვესკნელი და  
ზესკნელი დაიმორჩილა, თუ ბუნებასთან ბრძოლაში ძღვევა-მოსილი გამოვიდა,  
ადამიანთა ჯიშის გაუმჯობესების საქმეშიაც ის ბუნებასა და ისტორიას დაა-  
მარცხებსო.

ეს სულელური ოტიმიზმია: ადამიანის ბუნება მექანიკურად შეწყებებულ  
მატერიას არ წარმოადგენს, არა, ის უფრო სრული არსებაა.

ის არის უბილავ, განუზომელ და აუწონელ რაღაცის მატარებელი და  
სწორედ ეს რაღაცაა, რომ შეუცვლელად ძეგს მის არსებაში და არც დროს  
შეუძლია მისი გადასხვაფერება და არც გარემოს.

ეგას არსებობაში სრულიად შეუმჩნეველად და ბუნებრივის თანდათანობით  
წარმოიშენენ და გაიზარდენ ეს აზრები. საითაც არ უნდა გაეზედა, ყველგან  
აუარებელ საბუთებს ხედავდა ამ შეხედულების დისამქტიკებლად.

როცა ის რამოდენიმე წლის უკან გამირულად გამოექცა მშობლიურ კუ-  
რას, მან მშენიერად იკოდა, თუ სად მიდიოდა, ვინ დახედებოდა ახალ  
იდგოლს და რა წრეში მოხედებოდა. მაშინ მთელი თავისი არსებით სწამდა,  
რომ ეს იდგალი მიმზიდველი და წარმატავი იქნებოდა, სათაყვანო და სადიდ-  
ბელი; აქ იყო სიცოცხლე და ნეტარება, ვანახლება და აღმადრენა, საუკუნო  
ბედნიერება და უცვლელი ნეტარება.

მაგრამ... დღეს ევა აშკარად ხედავს, რომ სასტიკად მოტყუვდა, უღვთოდ,  
უმოწყალოდ მოტყუვდა... მოატყუა რვეოლიუციონერთა წრემ, მოატყუა ხალხმა.  
არც ერთი არ ყოფილა იმისი ღირსი, რომ ეგას თავისიანები უარ ეყო და მათ  
მიჰკედლებოდა.

თუ იქ—თავად-აზნაურულ წრეში—ეგოიზმი და გარყვნილობაა, აქაც არა  
ნაკლებად ყოფილა ფეხმოდგებული შენჩემობა და ანგარება, პირად ბედნიერე-



ბაზე ზრუნვა და ჭვეწის თვალის აბზა. იქაც გარყვნილად ვხედავ, იქაც ადამიანთა სისაძაგლე და აქაც. ადამიანი ყველგან აღმართნი ქრისტესად... მაშ საით წაივდეს ევა, ვის მიეკედლოს?

უკან დაბრუნება არ შეუძლია: ხიდები უკვე ჩააქცია, ხომალდებიც დასწვა, არც გზის გამნათი ცოცინათელა სჩანს და არც მებღაურის ხმა ისმის. სრული სიბნელეა უკან, განუჭვრეტელი წყედიადი.

მაგრამ... რა არის წინ?

## VI

ევას არსებობაში სწრაფად იბადებიან და იშლებიან სხვა და სხვა აზრები, ერთი მეორეზე ახალი, ერთი მეორეზე ჩამოთქმებული. ის ვერ ისვენებს, ბორჯავს, ფეხის მოსამაგრებელი ნიადაგი ვერ მოუძებნია და მუდამ წამს ახალის ძიებაშია.

-- ნეტავი რა იქნებოდა, რომ ახლა შალვა თავისუფალი იყოს? ისიც ზოგიერთ მის ამხანაგებივით გამოიცვლებოდა? ყოვლად შეუძლებელია, რომ შალვა სხვებს დამსგავსებოდა, — ფიქრობს ევა.

არის წამი როცა ევა თავის თავს ჰკითხავს: თუ ყველა ადამიანები უტყინონი და ჟღირსნი არიან, თუ ეს კეშმარიტებაა, — შალვაც მათ რიცხვში უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, არა, ეგ შეუძლებელია, წარმოუდგენელია! შალვა გამოირჩევა ჩვეულებრივ ადამიანთა ჯოგისაგან. დიახ, დიახ! ადამიანთა შოლის ყოველთვის მოიპოვება თითო-ორიოლა ობოლი მარგალიტი და, თუ მართლა წარმოსადგენია იდეალური საზოგადოება, სწორედ ასეთი მარგალიტებისაგან უნდა შესდგეს იგი.

დიხაც, საჭიროა ასეთ არსებათა შეკრება და ამონახვა... ესენი არიან ძალადი ჯიშის ადამიანები.

ევას რომ შეეძლოს ასეთ ადამიანებისათვის ახალ კუნძულს შექმნიდა, ახალის ცით, ახალი მიწაწყლით და იქ დასახლებდა იმ სათაყვანო არსებებს, ყველასათვის სამეგალითოდ, დანარჩენთა მისაბაძად.

ესენი იქნებოდნენ ახალი რომანზონები ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში. მაშინ დაინახავდა ყველა, თუ მართლაც რა არის ძმობა ერთობის სამეფო.

დღეს კი, განა შესაძლებელია დღევანდელი ადამიანის საშვალეებით იდეალური ჭვეწის შექმნა? დღევანდელი ადამიანის ტიპი ამისათვის არ არის მოწოდებული. მხოლოდ თითო-ორიოლა ერთეულები, განსაზღვრული უწყირესობა, ღვთიურის ცეცხლის მატარებელნი, — აი ესენი უნდა გამოიხინწონ, ესენი უნდა გამოირჩენ და მხოლოდ მათის საშვალეებით შეიძლება შეიქმნეს ამ ჭვეწიური სამოთხე.

როდის იქნება ეს, ან ვინ მოიმოქმედებს ამას? ეს არავინ იცის, მაგრამ სხვა გზა რომ არ არის ცხოვრების გადასაქმნელად, ეს აშკარაზე აშკარაა. მხოლოდ ასეთი ჯიშის ადამიანების გამოავლებაშია კაცობრიობის ხსნა და გაჯანსაღება.

ევა უკვე ჩამოშორდა იმას, რაც, იყო; ხოლო ახალსაც ჯერ ვერ მიკედ-



ლებოდა. ზის ჩაფიჭრებული და სასოწარკვეთილი მისჩერებდა ქუჩაქუჩადონს მსგავსად იმ მენაფისა, რომელსაც საშინელ ღელვის დროს მანქანის დასწვსაგრა, თითონ კი შემთხვევითი ტალღის წყალობით კუნძულზე გარიყულა. ზის განწირული და ამაოდ ეძებს შველას. არსაით ხმა, არსაით ძახილი!

ის ათრთოლებული გადაეშვა ძიების მორევში და შეუდრეკელად შეუდგა საკუთარი რუშენის უღპობელ კრულვას... იმ ნავთსადგურში, რომელშიც დღემდის იყო მისი აზრი და გონება, უკვე ვერ თავსდებოდა იგი, საჭირო იყო მეორე ადგილას თავშეფარება და ევაპაც გაშალა იალქანი ახალი ნავთსაყუდარის მოსანახად, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მშვიდად ცხოვრება, წრფელის გულით მოსვენება და თავისივე თავის წინაშე საკუთარი სიმართლის გრძობა.

ისიც საკვირველია—აბლობამდის როგორ შერჩა ევა იმ წრეს, რომელშიც მოხვდა.

ეს წრე არაფრით არ ჰგავდა იმას, საიდანაც ევა გამოიქცა,—თითქოს სხვა პლანეტიდან ჩამოვარდაო. ორივე წრეში ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვეულება მეფობდა: სხეანაირი წარმოდგენა ზრდილობაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, სიტყვა—პასუხში, სმა-ქამაში, ჩაცმადახურებაში.

უპირველეს ყოვლისა ევას ეჩოთირებოდა აქ არსებული საურთიერთო დამოკიდებულება: მოვა ოფლით და ნიორით აყროლებული ვილაც გლეხი, რომელსაც თავისი თავი დიდ „შეგნებულ“ და „წოწინავე“ სოციალისტად მოაქვს და უბოდიშოთ ამოგიჯდება გვერდით. ფებს წაგკრავს, გვერდს ჩაგაფხანს, ჯლიქვსაც გიძღვნის, პირში ჩაგამთქნარებს, მოურიდებლად აბლოყინებს, ჯალახიანი ფეხსაცმელით შამოდის, შენს წინ აფურახებს, ისე იცინის, თითქოს ცხენი ზეიხვინებსო. ერთი რა არის ბოდიშს არ მოიხდის... თუ რაიმე მიაწოდე, ისე შესჭამს, რომ ნამცეცსაც კი არ მოიჩჩენს, იმდენს სჭამს, რამდენიც მუცელში ჩაეხევა, გაძლომასაც ვერ გაივებს... ხშირად მიპატივებაც არ უნდა: ისე შეტყამბავს ყველაფერს, თითქოს მისი ფულით იყოს ნაყიდი.

„ამზანაგო“-საც ისეთას თავბედურის კილოთი გეძახის, თითქოს, მართლაც, შენი სწორი და ტოლი იყოს. ლაპარაკში ათასნაირ უზრდელ სიტყვებს ხმარობს, ხშირად ისე გამოვლანძლავს, რომ არც კი ესმის რა გითხრა. ბარბაროსული წარმოდგენა აქვს ოჯახურ ცხოვრებაზე: ცოლს კეტიტ სცემს, შვილებს ცხოველებივით ეპყრობა, ნეხკში სცხოვრობს, ბინძურ მიწნურში, ხელს არ იბანს, პირს, ვინ იცის, რა გვარ საბანს დაიხურავს ამელამ! და აი ასეთი ტიპი ევამ უნდა ამოისვას გვერდით, „ამზანაგო“ უძახოს და ანგარიში უნდა გაუწიოს მის ხეპრულ აზრებს, რომელთაც ის დაკორძებული ხელის აწევით გამოხატავს.

ოოპ, მერე რა მოაზროვნეა ეს სანაქებო „ამზანაგო“, რომლის მაჯამ და შეგნებამ ეს ქვეყანა უნდა გარდაქმნას! ხა-ხა-ხა!

ერთ სიტყვასაც კი არ იტყვის კრების დროს, დაუბრეცია თვალები და უტყინო ცხვარივით შემოგუჯრებს. კიდევ კარგი, თუ შეთაურ ინტელიგენტების



პირდორობლიანი კამათის დროს ხერინი არ ამოუშვა და კენჭები უკრძალავს დროს გასაღვიძებელი არ დარჩა!

რანაირად უნდა შეგვებოდა ევა ამ ადამიანებს? რომ შალვას ხათრი არა, ის ერთ დღესაც კი ვერ გაჩერდებოდა ამ წრეში.

— ხალხი და მის ინტერესებზე ლაპარაკი შორიდან ყოფილა კარგი, — ხშირად ფიქრობდა მაშინ ევა, — ახლო კი — ტუფ! ოფლი... დაუბანელი თავი... მწეირით ვატყვნილი პერანგი... ასეთმა უკულტურო არსებამ უნდა დაამყაროს ქვეყანაზე კულტურული საზოგადოება? განა ასეთები იყვნენ თავადები, რომელთაც ევა გამოექცა?

სიტყვა-პასუხი ზრდილობიანი, ადამიანური მოპყრობა, წმინდა საცხოვრებელი ბინა. შესათყერი ჩაცმა-დახურვა... ლაპარაკისა და აზროვნების უნარი. მართალია, ბევრი რამე იყო მათ შორის ცუდი და დასაგმობი — ეს კარგად იცის ევამ, მაგრამ... სად ეს ტლანქი და ხეპრე დემოკრატები და სად ისინი?..

ევას თანაგრძობა, სული და გული იმ წრისკენ არის, რომელშიც ის მოჰყვა: ცდილობს ყველაფერში გაამართლოს გლეხი, მისი უკულტურობა მის ბუნებრიობას და შეურაცხველობას მიაწეროს; უქებნის კარგ მხარეებს, მოწადინებულია ალტაცებული იყოს მისი სიტყვით, მოქმედებით; უნდა თავისი თავი დააჩქაროს რომ იგი არ მოტყუებულია, როცა მშობლიურ წრეს გამოექცა და სულ სხვა ადამიანებს მიეკედლა, არ უნდა მოტყუებულად ჩასთვალოს თავი.

მაგრამ არის წამი, როცა ევას არსებაში ხდება ერთგვარი უკუქვევითი აზროვნება და ისიც ერთიანად დატყუებული მორცხვად იხედება საკუთარ გულის სიღრმეში და სულ სხვა გვარ აზრთა ვრეხილს ჩაკიდებს ხელს.

— ვერ მივხდარავარ, რა არის ამ დემოკრატიაში ისეთი, რომ მისი მეობებით ვარდაიქმეს ეს ქვეყანა, — ფიქრებდა ხანდობან, — დამყარდეს სათნოება, სიკეთე, სამართლიანობა. მსგავსი ყოველთვის მსგავსს შობს, თითონ მეუფემაც კი ადამიანი თავის მსგავსად შექმნაო — გვეზღაპრება სამღვთო წერილი; შეხეთ, თითონ ღმერთსაც კი არ ჰქონებია საკუთარი შემოქმედება და ახალის შექმნისას მხოლოდ ის მოუხერხებია, რომ ადამიანი თავის მსგავსად გაუჩენია. მეტი შებოქვა შემოქმედების გაგონილა? მოდი და ამ ჩემ ახალ ამხანაგებს, ამ ხეპრეებს მიანდევ დიადი იდეები! განა ის ყოველივეს თავის ბეჭედს არ დაასვამს და ყოველივეს არ წაბილწავს? წარმოიდგინეთ ანკარა ცივი წყარო, რომელსაც დემოკრატის უცერემონიოებით მიეჭრა ტალახიანი ლორი და არხინად წამოგორდა მის ტალღებში, ღრუბუნითა და დინგის ფრუტუნით შეუღდგნებრობას. როგორი წყალი გადმოვა იმ წყაროდან? ასეთი იქნება ამ ბინძური გლეხის მზრვიაც ძმობა-ერთობასა და სოციალიზმის იდეებთან მისვლა.

შალვა ღრუბელიანი — ევას სათაყვანებელი შალვა, პირველ ხანებში პირდაპირ აკვირვებდა ევას. ის, სრულიად მოურიდებლად მიუჯდებოდა გვერდით ამ ძინძვლიან გლეხებს, ყურადღებასაც კი არ აქცევდა მათ ტლანქ მოქცევას, ხშირად თითონაც ასევე ტლანქად იქცეოდა, ალტაცებით მიჩერებოდა თითველ მათგანს და ისე გულდასმით უსმენდა, თითქოს წინასწარმეტყველის წინაშე იდგესო.



ინტელიგენტი კაცი, სტუდენტი და ასეთის გლეხურის ყოველთვის და გემოვნების! ალბად გლეხი ყოველთვის გლეხი იქნება, — სულ ერთია, სწავლას მიიღებს თუ არა. გაგიყვებით რო არ უყვარდეს ევას შალვა, უთუოდ შეიძლება, მაგრამ...

მოი! საშინელი აზრი! როგორ მიიკარა იგი ევამ სიახლოვეს?

განა სიყვარულის გვერდით ვინმეს შეუძლია ახსენოს სიტყვა „სიძულვილი“? ეს ზომ უდიდესი დინამიური იქნებოდა, უსამართლო, გაუსწორებელი, დაუნდობელი და უმოწყალო. შალვას გაუგებრობით ეძახიან შალვას, თორემ მისი ნამდვილი სახელი „სიყვარული“ უნდა იყოს. იგი დაუშრეტელი წყაროა ამ გრძნობის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მას სთესავს და აპნევს, მითი ათრობს კარ მიდამოს და იზიდავს მსმენელებს. და განა ასეთი არსების ხსენების დროს შეიძლება კაცმა სიძულვილი მოიგონოს?

სწორედ შალვას გულწრფელმა დემოკრატიზმმა შექმნა იგი სიყვარულის ემბლემად, სწორედ ამიტომ შეუყვარდა ევას ასე თავდავიწყებით.

და უცებ ასეთი დაფასება იმ წრისა, რომელმაც შალვა წარმოშვა და რომელმაც იგი გახადა სათაყვანო არსებად!..

ქ შმარტიად რომ ძველ თავადურ ფსიქოლოგიას იჩენს ევა თავის არსებაში! ფუჰ, ეშაქს, ფუჰ!

აკი დასწყველა ევამ ის წრე და დღეს შალვას გვერდით იბრძვის!..

ევა თავს ძალას იტანს და ცდილობს ყველაფერში გლეხებს მიჰბადოს; სწავლობს მათ ფსიქოლოგიას, მიმოხერხებს, ენას, ზნე-ჩვეულებას. იწყებს მათი ქალებივით უბრალო ჩაცმას, კობტაობას თავს ანებებს, ხშირად თმებ-აბურძგვნილია, ფეხებზე უბრალო ჩუსტები აცვია. ამხანაგებში ყოველთვის ხაზს უსვამს თავის გაუბრალოებას და სხვებისგანაც ამის აღნიშვნას მოითხოვს.

დიახ, ევას არსებაში ნამდვილი დემოკრატიული ქალი ზის... ტყულად კი არ გაუზრდია იგი გლეხის დედაცაც!

ტყუილად ჰკონია ევა ზოგიერთ ამხანაგებს თავადის ქალი, არისტოკრატი.

თქვენც არ მომიყდეთ! ევა ნამდვილი დემოკრატია, მწინდა წყლის დემოკრატი! ევა „ბასიაჩკა“ გახლავთ! განა სხვა ამხანაგები ევაზე უფრო დემოკრატები არიან? თქვენც არ მომიყდეთ!

გლეხებთან ევა მთლადი სიყვარულმა მოიყვანა და სხვა არაფერმა... მის გადაწყვეტილი აქვს მთელი თავისი სიცოცხლე შესწიროს ამ დაბეჩავებული ხალხისთვის ბრძოლას. ყოველგვარ დაბრკოლებას მოითმენს მათი სიყვარულის გამო, არაფრის წინაშე არ შედრკება, არაფერს არ შეუშინდება. რა ვუყოთ რომ ზოგიერთ შემთხვევაში გლეხები ვერ არიან მიმზიდველნი! ეს იმიტომ არის, რომ იმათ აქლიათ კულტურა და სწორეთ ამ კულტურისათვის უნდა იბრძოლოს ევამ. შალვა კი... ის ზომ გლეხია, უბრალო დედამამის შვილი, და ერთი შეხედვით რა მშვენიერია, რა მიმზიდველია, რა კულტურისანია! განა ენით აიწერება ის ბედნიერება, რომელსაც უნდა განიცდიდეს მისი გვერდით მდგომი მებრძოლი?

შალვა... მართო ამ ერთი გლეხის შვილისათვის ღირს საუუნო ტანჯვის



მიღება! ოოპ, რომ იცოდე, რა თავდადებით უყვარს ევას გულს, თვევა-  
მოდებით იბრძვის მათი ინტერესებისათვის! მას გულისკლავობის სწამს,  
რომ მშრომელი ხალხი ყველაფერია: მას შეუქმნია ყოველგვე და ყველაფერიც  
მას უნდა ეკუთვნოდეს, ხალხი ყოველგვარი სიკეთის საწყაულია, ხალხი უცოდ-  
ველია, შეუმცდარი, სათაყვანო.

ევა გაპოისუილის თავის წინაპართა დანაშაულს!

გარდა ამისა, ევა შენანებული თავადის ქალი რქნება, — შენანებული. და  
როცა ის ჩაგრულთა ინტერესებისათვის ბრძოლის დროს განგმირული ცეკმა,  
ალტაცებით დაიძახებს, რომ მისი საფლავის ქვას ასე წააწერონ: „აქ განისვენ-  
ნებს შენანებული თავადის ქალი“...

მაგრამ ეს იყო მაშინ, ასე არ არის ეხლა.

გადს დრო, ქარიშხალი გადივლის და ევაც ნაწყალდიდევზე თევზივით  
უმწეოდ ხტის ტურტულში. არც შალვაა მის ახლოს, არც ნესტორ ნაბადაძე,  
არც სხვა ამხანაგები.

## VII

რა უზრდელნი ყოფილან ეს ქალაქის მუშებიც! არაფერი ამის მსგავსი  
მათში ევას ჯერ არ შეენჩნია. ყველა მათგანი რაღაც უნდობლად და ეტყვის თვა-  
ლით უყურებს ევას. იმის ტანსაცმელს ისე ავირდებიან, თითქოს მათი ცო-  
ლებისთვის მოეპაროს, ლაპარაკში სულ „ბატონოს“ ეუბნებიან და კიდევაც  
გაუბრიან, თვალს არიდებენ. არა ერთხელ სთხოვა ევამ, რომ „ბატონო“-ს  
მაგიერ „ამხანაგო“ ეხმარათ, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ამაოდ ცდილობს და-  
უახლოვდეს, ჩაიხედოს მათ სულსა და გულში. ტყუილად გაუყრის ხოლმე  
თვალს თვალში, ფოლაკებზე მოჰკიდებს ხელს და თვალეებში ჩასკინის. სულ  
ფუჭად ემუსაიფება მდაბიოდ და მეგობრულად მათს ცოლებს და შვილებს.  
ვერ იქნა თა ვერ მოინადირა მათი გული.

როცა შალვა თავისუფალი იყო, არაფერ ამის მსგავსი არ ხდე-  
ბოდა.

ზოგიერთები მისცემდნენ ხოლმე ევას ორიოდ გროშს შალვას დასახმა-  
რებლად და — შორჩა, მეტი არარაფერი. სამუდამოთ მოიხადეს თავიანთი ვალი  
ამხანაგის წინაშე.

მერე და ასე უნდა უზდიდნენ ადამიანები სამაგიეროს. ასე უნდა მიი-  
ვიწყონ იგი და მისი ცოლშვილი?

საუბედუროდ, ეს ასე გამოდგა: ადამიანი პირუტყვთა შორის პირუტყვი  
ყოფილა.

შალვა კარგი იყო მაშინ, როცა მათი — მუშების — ცხოვრების გასაუმჯო-  
ბესებლად იბრძოდა: ხელფასის მომატება, რვა საათის სამუშაო დღე, ჰიგიე-  
ნური საცხოვრებელი ბინები, კულტურულად ამაღლება.

იმ ბედნიერ დღეებში შალვას მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა — ბა-  
ჯალღო ოქროს უდრიდა. მისი წინამძღოლობით და ხელმძღვანელობით იფი-



ცემოდენ, გაფიცვას გებულობდენ, ხელფასს იმატებდენ, **წინააღმდეგობა** ბოდენ.

დღეს კი, როცა გარემოება შეიცვალა, ზურგი შეაქციეს, მოკალათდენ თავიანთ ქერქში და არხეინად განაგრძობენ მშვიდ ცხოვრებას.

მაგრამ, არა, ევა არაფერს ამის მსგავსს არ ჩაიდენს!

ტყუილა ნუ იფიქრებენ ნურც მისი და შალვას გუშინდელი ამხანაგები,— მუშები არიან ისინი თუ გლახები,—რომ ევა მათი მსგავსი ადამიანია, მათსავით ეგოისტი, პირუტყვი და ქვენა გრძნობების მონა.

ის, ევა—კულტურული პიროვნებაა, ინტელიგენტი სულითა და გულით, კეთილ-შობილი, ამაყი, გაუტყეული... დიახ.. დიახ..

განსაკუთრებით ეზიზღება ევას ვეკილი სპირიტიზმი იამაძე, რომელთანაც ძალი უნებურად უნდა იქონიოს მიმოსვლა, როგორც შალვას სასამართლოში დამცველთან.

ვინ არის ეს მატრიკვეცა ვაჟბატონი? რა ცხოველია? რა წრისაა?

ვიღაც ქუჩის შვილი, უთვისტომო. მაგრამ ერთი შეხედვით, როგორ გამოპრანჭულა! მშვენიერი სახლი პირველ ქუჩაზე, ნოხებითა და ხალიჩებით ფენილი ოათხები, საუცხოვო დგამით... ზარების წყრიალი, მოსამსახურეები, საკუთარი ეტლი, სურნელოვანი წყლები, ძვირფასი ტანსაცმელი. ჰმ... ვინ სთესდა და ვინ იშვის!

ხალხისათვის თავდადებული ევა გადატიტვლებულ ტახტზე უნდა იწვეს, ერთ ოთახში უნდა იკრუნჩხებოდეს შეილებიანად, რამდენიმე თვის სახლის ქირა ჯერაც გადაუხდელი უნდა ჰქონდეს, ეს ვიკინდარა კი, რომელიც ურცხვად იწებებს ერთი დიდი პოლიტიკური პარტიის სახელს, ფუფუნებაში უნდა იტარებდეს დროს!

„მეც ხალხისათვის თავდადებული ვარო“,—იძახის,—მისთვის ვიბრძვიო. სად იყო მაშინ, როდესაც მართლა ბრძოლა იყო?

რომელ ხერგლში იმალებოდა მაშინ ეს სახელოვანი გვამი, რომელიც დღეს რევოლიუციის სახელით ოქროებს იხრიალებს ჯიბეში?

რამდენ დამცირებას გრძნობს ევა, როცა იძულებულია იამაძეს მიაკითხოს! რამდენჯერმე უნდა ჩამორაკოს ზარი. როგორც იქნება, მოსამსახურე გამოვა, მერე კაბინეტში უნდა იცადოს... ვეკილის ცოლი წარბებ შექმუზნილი რამდენჯერმე კარებს შემოალებს, ევას ბხედ-დახედვას—ეგების თავის ჩაქნევის ღირსიც გახადოს, რაღაც ეგვის თვალით უყურებს, არ უხარია მისი მოსვლა—მთავრობამ არ შეხედოს და რაიმე „დავიდარაბაში“ არ გაგვციოს.

როდის—როდის იამაძეც გამოვა. დინჯობს, ამაყია. გულმტკივნეულობს, შალვას იბრალებს, დამუშუბრებულ ევას დიდ იმედებს აძლევს და ცოტა ხნის შემდეგ მოსამსახურეს გასძახებს—ხომ არავენ მკითხულობსო, ეს იმის ნიშანია, რომ ევამ უნდა გზა მონახოს.

ერთხელ იამაძემ ევას მანეთიანი მიაწოდა და თან უთხრა: „გაკირვებულნი იქნებით, ამხანაგოო“. ევას თავში სისხლი აუარდა, უღრმესი შეურაცყოფა



იგრანო—მათხოვარი ხომ არა ვარ, ორიოდე გროშს რომ შეწვევს უარი განაცხადა—მაქვს, არ მჭიროდებო.

ახია ევაზე! ის ყველაურის ღირსია! რად ჩივდო თავი ასეთ პირობებში, რა უნდოდა ამ წრეში, დატეულიყო მშობლიურ პუდეში!

წყველიმც იყვენ ეს იამიძეები! უჰ, რას ემსგავსებოდა ქვეყანა, რომ ყველანი მისთანები იყვენ! მაგალითად, სრულებით არა ჰგავს სპირიდონ იამიძეს რეზო ნამიანიძე, დიახ, არა ჰგავს! იგი არც მაღალ ფარდოვან სიტყვებს ხმარობს არც იდეიის კაცად მოაქვს თავი, მაგრამ სინამდვილეში სწორედ რომ ქეშმარიტი ადამიანია, რჩეული პიროვნებაა, სათნო, კეთილშობილი, სპეტაკი, დიდ სულოვანი. დიახ, ასეთია რეზო ნამიანიძე, ამაში თითონ დარწმუნდა ევა, საკუთარის გამოცდილებით...

### VIII

პირველ ხანებში ევა ყურადღებასაც არ აქცევდა რეზოს; იგი მის თვალში „ვიღაც ბურჯუაზიული ინტელიგენტი“ იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ აითვალისწინა, როცა გაიგო, რომ ეს მუდამ კობტად მოართული, ახოვანი და ლამაზი კაცი, რომელიც, მგონი, ფერუშარილსაც კი იცხებს და ტუჩებსაც ხელოვნურად იწითლებს,—აი, ეს ჯენტლმენი, თურმე, ისეთ ბურჯუაზიულ დაწესებულებაში მსახურებს, როგორც არის ბანკი.

— სწორედ რომ მის შესაფერ აღგილას მოკალითებულაო, ირონიით სთქვა ევამ, „ბურჯუაზიული ინტელიგენტი“ კი გულმოდგინეთ განაგრძობდა თავისას: მუდამ სიყვარულით და მზრუნველობით ასაჩუქრებდა ევას ბავშვებსა და თითონ ევას კი ყოველთვის თავაზიანად, თანაგრძნობით და ჯენტლმენტურად ესალმებოდა. გადიოდა დრო და რეზოც სიმპატიურ ადამიანად ხდებოდა, როგორ არის შალვა ციხეში, გამოძიება დაცვა? ფული ხომ არ არის საჭირო? მზრუნველობით კითხულობდა რეზო. როგორც ევა რწმუნდებოდა, გარდა უანგარო თანაგრძნობისა და გულმტკივნეულობისა, არაფერი არ ამოძრავებდა.

რანდენად უფრო მეტად აკვირდებოდა ევა, იმდენათ უფრო რწმუნდებოდა, რომ რეზო მრავალის ღირსებით აღჭურვილი ადამიანია... სათნო გულის, მებრძოლთა თანამგრძნობი, სპეტაკი, უანგარო და კეთილშობილი.

ევასათვის ეს ამერიკის აღმოჩენას უდრიდა: „ბურჯუაზიული ინტელიგენტი“, მოკლებული ყოველგვარ თეატრალიზმს, არ მიძღები არც ერთი პოლიტიკურის რწმენის... და ასეთი უმანკო და კეთილშობილი და სპეტაკი! ევა ნამდვილ ადამიანებს, მხოლოდ თავის წრეში ეძებდა; თუ სხვა წრის ხალხში რაიმე კეთილშობილური იქნებოდა, ეს არც კი სჯეროდა მას და მისიანებსაც. „ბურჯუაზიული სინიღისი, ბურჯუაზიული აზრი, მორალი“ მზად იყო ყველასათვის ეს სიტყვები.

ამ დროს ევას გულში რომ ჩაგებედათ, დაინახავდით, რომ თავისი თავი მას წმინდათ ჰქაედა წარმოდგენილი—უცოდველად, შეუმცდარად, უანგაროდ. ხოლო მოწინააღმდეგე პოლიტიკური რწმენის ადამიანი კი ყოველგვარი სისაძაგლის საწყაულად. მისი გატაცება იქამდის მიდიოდა, რომ ის არაფერ შემ-





თხვევაში არ წაიკითხავდა „ბურჟუაზიულ ავტორის“, წიგნს, *ქვეყნისებრი* და არც მხატვრულს. „ბურჟუაზიული ლოლიკა“, „ბურჟუაზიული მკვლევარება“, „ბურჟუაზიული ხელოვნება“, მუდამ ენაზე ეკერა.

ქეშმარიტი ადამიანები მხოლოდ ერთ მხარეზე იდგნენ რა გასაკვირველია, და უცებ „ბურჟუა ინტელიგენტი“ სულ სხვა გამოდგა.

— იშვიათი ადამიანია, იშვიათი, — ფიქრობდა ევა და რამდენჯერმე ისიც კი განიზრახა, რომ ნახვის დროს შალვისათვის ეთქვა — ისეთი და ისეთი ადამიანი გავიცანო; მაგრამ თავი შეიკავა — ვინ იცის რას იფიქრებსო.

ევას ტანჯვა ერთი ასად გაძლიერდა და გაღრმავდა მის შემდეგ, რაც შალვას ისეთი საშინელი სასაგული მიუსაჯეს და მერე რუსეთშიც გაგზავნეს. უკვე დაიღუპა უკანასკნელი იმედი, სიცოცხლით დაასამარეს ევას სათაყვანო შალვა, გათიშეს ბედნიერი ცოლქმარი...

დაიღუპა ქმარი და დაიღუპა ცოლიც!

განა ღირს კიდევ ევას სიცოცხლე?

ცხოვრების ყავარჯენი აღარ აქვს. საით წავიდეს, ვის მიეცელოს? რა უქნას ბავშვებს? რითი არჩინოს, როგორ აღზარდოს?

შალვას მშობლებთან წავიდეს და იქ იწყოს გლეხური ცხოვრება? არა, ეს შეუძლებელია! ევას არ შეუძლია სოფლის სიბინძურეში წუმპლაობა. თავის მშობლებს დაუბრუნდეს? ესეც ხომ შეუძლებელია, ანაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ერთხანად იმას ფიქრობდა, რომ ქმარს გაპყლოდა ცივ რუსეთში და მისი უბედურება გაენაწილებია. მას აღფრთოვანებდა ერთი სურათი, რომელზედაც გამოხატული იყვნენ რუსეთის „დეკაბრისტების ცოლები“ ციმბირში რო მიჰყვებიან თავიანთ ქმრებს... იტაცებდა ევას ეს სურათი და ხშირი იყო ისეთი წამი, როდესაც მზად იყო მოწამის გვირგვინა დაედგა თავზე და შალვასთან ერთად ეზიდნა წამების ჯვარი გოლგოთის მწვერვალისაკენ. მაგრამ ეს შისწრაფებადევ დარჩა; ევა იძულებული შეიქნა სამშობლოში დარჩენილიყო და პირადის შრომით ერჩინა თავისი თავი და შეიღებაც.

მიდიოდა დრო, იმედების გემი თანდათან იძირებოდა. ევა თითქმის მიივიწყებს მისმა ამხანაგებმა და არც ის იტყვიებდა თავს მათი მოკონებით. ერთად ერთი ადამიანი, რომელიც გულშეუცვლელად ემხარებოდა, ოგხო ნამიანიძე იყო. სამსახურიც კი უშოვნა ევას ერთ საკრედიტო დაწესებულებაში. ევა თანდათან ჩიფელა სინანდელის მორევში და ძველი აზრები ისე ეჭვენებოდნენ, როგორც დიდი მდინარის გაცურვის შემდეგ გამოღმა დარჩენილი ხეები და ადამიანები.

ძნელი იყო საყვარელი ადამიანების და იღვების ზურგის შექცევა, შეუბრალებლად სუსხავდა სულსა და გულს ნაცნობი სურათების და გრანობებისა მორეცხვა. მაგრამ, ეს ხომ ევას ბრალი არ არის! ამაში ის ღრმად არის დარწმუნებული: ჯერ სრულიად გამოუცდელსა და ახალგაზრდა ევას ცხოვრება სულ სხვანაირად მოჩვენებია, სულ სხვანაირად წარმოუდგენია ადამიანები და მათი სამეფო.



რომ, რა ტკბილად მოსაგონია ის დრო! ნეტავი მართლაც შემქმნაყოფი-  
ლიყო ეს წუთისოფელი, როგორც მაშინ ეხატებოდა ევას! *მეცხე: მამისეჲსა*

რეზო ნამიანიძე... რა კეთილშობილურის სახით აღიმართა ეს ადამიანი-  
ევას წინაშე! როგორის კდემამოსილებით არის იგი შემოსილი, რა სიმპატური  
არსებია!.. საკვრველია, რომ ევას წინაშე მუდამ ერთნაირია და წონასწორობი-  
დან არ გამოდის! ერთი მადიანად ვაცინებულნიც კი არ უნახავს ევას: მუდამ  
სერიოზულია, საქმიანი. ეს კი ზოგჯერ მომამბურებელია: ევას ისიც ეყოფა,  
რომ თითონ დათ.ლხულია და რაა რომ რეზოც ასეთ სახეს იღებს! ერთხელ მა-  
ინც ვაიციხოს!

ერთ საღამოს რეზო თავის ამხანაგებში იყო და ისეთის გატაცებით მზი-  
არულობდა, ისეთნაირად იცინოდა, რომ ევა შურმა შეიპყრო: რასთვის ჩემთან  
არ მზიარულობს ასეო. დიხაჯ რომ სკირდება ევას გულს გამზიარულება, თო-  
რემ ერთიანად დამძინდა, დაისერა, დაშავდა, დაგლოვდა.

რეზო შესანიშნავი პიროვნებაა, კეთილი, თავდაპერილი, ზომიერი, გონი-  
ერი, მაგრამ ყოველთვის როდია გამოსადეგი ეს ქებული ზომიერება ერთხელ  
ზედმეტს არ გაიხუმრებს, ერთხელ თავდავიწყებას არ მიეცემა.

როდესაც მუსაიფობენ, ასე გეგონებათ, ნონასტრის წევრები შეყრილან  
და სულიყო საქმეზე მსჯელობენ.

ეს მეტის მეტია. სიყვარულზე ლაპარაკს საშინლად უფრთხის, იზნევა კა-  
ლიშვილივით წითლდება.

ეგების ვინმე უყვარს რეზოს და იმიტომ არის ასე თავდაპერილი? ნეტა-  
ვიც მართლაც ასე იქნებოდეს! რომ იცოდეთ რა ნაირად ესამოგნება ეს ევას:  
ხელს შეუწყობს თავის მეგობარს, რომ შეირთოს ცოლი, და მერე სამივე ტკბი-  
ლის ცხოვრებით განაგრძობენ ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

მაგრამ... ეს რა გრძნობაა, რომ გულში გაფრთხინა? იქვი? რა-აქვს საეკ-  
ვო? რა არის საერთო მისა და რეზოს შუა?

ისინი მხოლოდ დროებით შეხვდნენ ერთმანეთს. ვინც უნდოდეს ის შეირ-  
თოს, ევას რაში ესაქმება? მან მშვენიერად იცის თავისი მოვალეობა: შალვა-  
შვილები...

მაგრამ ისევე რეზო, რეზო!

რისთვის არის, რომ აგრე ხშირად ახსენებს მას ევა? უმისოდ ფეხი ვერ  
გადაუდგამს, ერთად მსჯელობენ სულ უმნიშვნელო საგნებზედაც კი... დაწერი-  
ლებით ვაიგეს ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობა. შალვის შესახებაც ხშირად  
ბაასობენ, ფულს უგზავნიან, ამბნათებს. რა დიდბუნოვანი ადამიანი უნდა იყოს  
რეზო, რომ ასე უანგროდ გაუწოდა ხელი საშინელ მდგომარეობაში მყოფ ევას-  
ყველასაგან დაეიწყებულს?

შალვა ღრუბელიანი რომ სათაყვანო არსებია — ეს კარგად იცის ევამ, მაგ-  
რამ რეზო ნამიანიძეც, რომ დიდებული ადამიანია, ისიც აშკარაა!..

მაშასადამე აქაც ბრწყინვალედ მართლდება ევას შეხედულება: დიდი შეც-  
დომაა, როცა წმინდანებს და ქვეყნის განმაახლებლებს მარტო ერთი კლასის  
წიაღში ეძებენ.

## მარტოობა

კარგი ადამიანები, რომელთა სახით კაცობრიობას შეგნებულად ეცოდინება ქვეყნად გაბნეული სიკეთე და სათნოება; სამაგალითო ადამიანები, რომელთა მოქმედებითა და ნააზრევ-ნაგრძობით გარდაიქმნის და წინ მიდის ეს ქვეყანა,—ყველგან არიან, ყველა წრეში მოიპოვებიან...

საქირთა მხოლოდ მათი ძეგნა, მათი გამოჩახვა და გამოხიზნვა...

ევას სწამს, ღრმად და შეურყვევლად სწამს, რომ ქვეყნიერების წინ წაწევა და განახლება შეუძლია არა იმ ტლანქ ბრბოს—გაუნათლებელს, უზრდელს, ცხოველურს,—არა იმ მასებს, რომელნიც ბოძობრობდენ რამდენიმე წლის უკან და რომელნიც ასე სასირცხოდ უკუიქცენ ბრძოლის ასპარეზიდან.—

ღიახ, არა ამათ, არამედ ისეთ სპეტაკ პიროვნებებს როგორც არიან შალვა, რეზო... და თუ გნებავსთ თითონ ევაც...

განა რომელიმე მუშა ან გლეხი, შეიძლება იმდენად ამაღლდეს, რამდენადაც მიუწვდომელი არიან შალვა და რეზო?

ეს ყოველად შეუძლებელია, ბრბო ასეთ სიმალღებზე ვერ ავა!

მართალია, რამდენიმე წლის უკან ევა ასე არ ფიქრობდა, ბრბო მაშინ ყოველგვარ საუნჯის წყაროდ მიანდა, მაგრამ დღეს, როცა საქმეს კარგად ჩაუყვირდა, სულ სხვა დაინახა, ღიახ, სულ სხვა.

და ამიტომ აღიარებს გადაქრით, რომ ბრბო ყოველთვის მასალა ყოფილა დიდი ადამიანების ხელში, უბრალო ცომი, რომელსაც ყოველთვის ისეთი ფორმა მისცემია, როგორც მის წინააღმდეგ, დიდ ბუნებოვან პიროვნებას მოუსურვებია...

ევას აქვს თავისი იდეალი, მალალი და სპეტაკი მისწრაფება, მაგრამ არა სხვების მსგავსი, არამედ განსხვავებული და ინდივიდუალური, მხოლოდ მისდამი კუთვნილი...

სწამს ხალხიკა და მისი მისწრაფებაც, მაგრამ არა იმ სახით, როგორც-თაც ახლობამდის ესმოდა...

მანამდე მარტო შალვას და მისთანების არსებობას ამჩნევდა იგი ქვეყანაზე, მარტო ამ წრეში ეძებდა იგი ქვეშაირთ ადამიანებს, მაგრამ თურმე რეზოებიც ყოფილან ამ წუთისოველში...

ევა დღეს გონებრივად მომწიფებული არსებობა, აზრებ გაჟართოვებული და ღრმად მოაზროვნე...

და ეს, მისი რწმენით, სრულებით არ არის ძველის სრული უარისყოფა და ახლის აღიარება! არა ეს მხოლოდ აზრთა ერთგვარი მიწვევა-მოწვევაა, გადაჯგუფება-გადმოჯგუფება, შეღამაზება, პრინციპიალურ სიღრმემდის აყვანა.

ევა შაბლონი როდია, მას არ უნდა სხვებს ემსახუროს, მას სწამს ადამიანას შემოქმედების ძალა, ის სრულებით არ არის „გარემოების საყვირი“, როგორც ეს სიტყვა ვულგარობაში ჩაყარდნილმა აკაკიმ.

არა, ადამიანში არის შინაგანი თავისუფლება, პირადი დამოუკიდებელი შემოქმედება, გარეშე დროის და სივრცისა... ღიახ, ღიახ... ევამ ეს მშვენიერად იცის...

მას ხშირად გაუზიარებია ეს აზრი რეტსაათვის და რეზოც ყველაფერში



ქართული

დათანხმებია მას, კეთილშობილი რეზო, ჯენტლმენი რეზო, რომელსაც მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ მუდამ ზომიერია, არასოდეს საზღვარს არ გადასცდება, და თავის თავს ისე ეპყრობა, რომ თითქოს წყლით საესე ჭიქა დაქონდეს ხელით და ცდილობს არ დაღუაროსო.

ეს კი არ არის ყოველთვის კარგი, საჭიროა დაბარბაცებაცა და წყლის დაქცევა! არ შეიძლება ადამიანი ყოველთვის ჰკვიანი იყოს, დინჯი, აუჩქარებელი... ეს ცხოვრება მონასტერი ხომ არ არის და ჩვენ კიდევ ბერ-მონაზვნები, რომ ყოველთვის დათაღბულნი ვიყოთ, სახე დაღალულნი და გულ-ხელ დაკრეფილნი!..

ევა ვერ შეურიგდება ასეთ რაიმეს, მისი არსება მუდამ უნდა სჩქედდეს, მუდამ უნდა ჰქუხდეს. მდორე ცხოვრება სიცოცხლის მომსპობია, ომის მომდები.

მხოლოდ ჩქეფაში და წონასწორობის დარღვევაშია ხსნა, აქ არის აღმოღება, აქ ინთება ცეცხლი...

დადევით ერთად საკვესი და კაეი, გაივლის ათასი წელი და ცეცხლი არ გაჩნდება.

მაგრამ აიღეთ იგივე კაეი და საკვესი, აამოძრავეთ, ერთმანეთს ჩამოკართით... და წამსვე გაკრთება დამწველი ელვა და გაჩნდება სულ ახალი მოვლენა—ცეცხლის ალი...

აი, ასეთ მოძრაობაშია ცხოვრების აზრი.

ოო, რამდენი ძალა იშმლება რეზოს არსებაში ხელშეუხლებლად, უმოკმედოთ, უსარგებლოდ!

რა კოდვია, რომ ეს ძალღონე საანგარიშო ჩოთქის რახუნში ილგვა დან საბუჰგალტერო წიგნეზის ხაზებში იღრჩობა! ეს არის ნიჭის მიწაში ჩამარბვა მსგავსად ზარმაცის მონისა.

არა, ევა ამას არ დაუშვებს!

განა მისი უგულთიადესი მეგობარი მოუხმარებელ ოქროს ზოდს უნდა წარმოადგენდეს? უსათუოდ უნდა ჩამოიკრას ტალკვესი, ასე არ შეიძლება!..

ეხ, შალვა, შალვა! სადა ხარ, სად?

შენ ხომ მუდამ ცეცხლი იყავი, ცეცხლი მდაგავი... დამწველი ჯერ შენი თავისა და შერე სხვების!..

მიდიოდა ხანი და ევას არსებაშიც ნელი ნელ გროვდებოდა ასაფეთქებელი ძალა, რომელიც უმიზეზო მოწყენის სახეს იღებდა. ბევრი სევდა უნახავს ევას: მშობლიურ ბუდიდან იცნობს მას, შალვას ბედმაც საშინლად აწამა იგი, მაგრამ ასეთის ძალით, ასეთის განმანადგურებელის სიძლიერით მის ბუნებას ჯერ არაფერი დაუფლებია.

ეს იყო სიამოვნებაში ჩაღესილი სევდა, სიტკბოებაში გახსნილი კაეშანი, მძიმე, ვით ლოდი, შემპყრობი, ვით საშინელი სენი...

შალვა, შალვა! შენ ხარ ევას სევდის სათავე, შენ დათაღხე მისი სული და გული.



მას უნდოდა აღტაცება, აღმადრენა, სიხარული, აღმადრენა... ამისათვის გამოიქცა ის შენთან, სიხარულის წყაროსთან, შეგნის მომხიბვლელთან, განმახლებელთან, გარდამქნელთან...

მაგრამ ვაი, რომ სრულიად მოულოდნელად გააუბედურე!..

რად დიტანჯე ასე?

რეზო, რეზო! რომ იცოდე რა უბედურია შენი მეგობარი ქალი, შენი მტირალი ნიობეია, რომელიც ცრემლებით უსველებს ხუჭუქ თმებს თავისი უდროოდ დაობლებულ ბავშვებს, უმამოდ დარჩენილებს, დასაწყულებულებს... რეზო... რეზო!.. შალვა!.. ეხე... ხე... ხე...

დიდხანს იბოძოდა ეს ორი სახე ევას არსებაში, ვინ იცის ვის დარჩებოდა გამარჯვება?

მაგრამ გადის დრო და ერთი მათგანი—შალვა—ვით წარმტაცო ციციანთელა ნელი ნელ შორდება ევას და შეუმჩნეველად ინთქება ღამის წყვედიადში...

სამაგიეროთ ევას სულსა და გულს რეზოს ხატება უახლოვდება, ხატება ცოცხალ, სიცოცხლით მუფთქავი, პასუხის მომთხოვნი, ვნების აღმძვრელი...

მისი სულის თქმაც კი ესმის ევას, მაჯის ცემა, გულის ფანცქალი... ათბობს მისი სახე, გულს უჩვილებს, სასიამოვნოდ ელტინება, ვნებით გულს უართოლებს, და დამადამბლებელის, განმანადგურებელის ვნებით...

რა ქნას, როგორ დაიღწიოს ევამ თავი ამ საშინელებას?..

ოოხ, უშველეთ ევას, უშველეთ!

და კიდევ აღარულდა...

ეს იყო რამდენიმე წლის უკან, რეაქციის დროს.. და დღეს, ხელახლა რევოლუციის აფეთქებისას მაშინ დათესილი უნდა მოიშკოს, ევამ, პასუხი უნდა გასცეს მაშინ გადადგმულ ნაბიჯს...

## IX.

სტუმრად წასულმა ევამ რამდენიმე დღის შემდეგ, ასეთი შინაარსის დებუში მიიღო: „სამიშროებამ გაიარა, ისინი წავეიდენ, შეგიძლიათ ჩამოხვიდეთ რეზო“.

ტყვიასავით მოხვდა ესიტყვები ევას..

როგორ? ვანა ევას რაიმესი ეშინოდა და იმიტომ გადმოიხიზნა?

მაშ, ევა ლაჩარა ყოფილა, მას არ შეძლებია თავისი თავის დაცვა?..

საბრალო რეზო! ამდენი ხანია ევასთან ცხოვრობ და ისიც კი ვერ შეგიგნია, რომ იგი შვიშარა არ არის და ყოველგვარ მოვლენას პირისპირ შეწყურებს!

ევას აზრით რეზოს ზერელე თვალებს, რასაკვირველია, მეტის დანახვა არც შეეძლო. ის ყოველთვის ჩვეულებრივით მსჯელობს, მუდამ სხვას გავს, ორიგინალობის მასში არაფერია, ფაქტებს იქით ვერას ხედავს, მოვლენათა სიღრმე მისთვის მიუწვდომელია...



ასე რომ არ იყოს, განა იგი აგრე ვულგარულად დაიფასებდა ევას წასვლას?

„საშიშროებამ გაიარაო“. ჰმ... ჰმ... რა ტლანქად შეეხო რეზო უნდა თავ, მოყვარობას!

მაგრამ ევა მარტო ამ შემთხვევის გამო როდი ემდღვრის რეზოს:

შეუღლების შემდეგ სულ მოკლე დროის განმავლობაში ევა დარწმუნდა, რომ რეზო იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც ორიოდ შეხვედრის შემდეგ გამოიცნობთ. საკმარისია ორი საზი ფაქტი იცოდეთ ასეთ ადამიანების ცხოვრებიდან და გამოსარკვევიც მათ არსებაში არა მოიძებნება ოა.

მათ გულს ხეულები არა აქვთ, ყველაფერი ნათლად და გარკვეულად სწერია შიგ, მათი კეჟა და გონება ყველასათვის გასაგებია და იოლად მისაღწევი. ასეთი სადა პიროვნება შეიქნა რეზო ნამიანიძეც: ევა გაოცდა, როცა მან რეზოსთან დაახლოვების შემდეგაც მხოლოდ ის შეიტყო, რაც შეუღლებამდის იცოდა მის შესახებ; და უცებ იგი გადაიქცა წაკითხულ წიგნად, უკვე ამოცანა არ იყო.

ჰო და, რა გასაკვირალია, რომ ასეთ პიროვნებას, რევოლიუციისაში თავბრუ დახვეოდა და ვერაფერი გაეგო!

მაგრამ ევას კი არ აღონებდა, რომ რეზო რევოლიუციისათვის უსარგებლო კაცი აღმოჩნდა და აქაფებულ სახალხო მოძრაობას ვერას შესძენდა; არა, ეს არ აფიქრებდა ევას: მას აწუხებდა მხოლოდ ის, რომ მისი მეორე შეუღლე, რომელიც შალვას შემდეგ ეუფლა მის გულს, სრულებითაც არ ყოფილა ევას ღირსი პიროვნება.

ვის ეძებდა და ვინ იპოვა? ის მოელოდა რაღაც ძლიერ ძალას, წარმტაცს, სისხლის ამჩქეფებელს, აზრთა აღმატუნებელს და...

შეხეთ რა ქაობში ჩაეფლო, რა ბადეში გაიხლართა!

მაგრამ ჯანდაბას ყოველივე ეს, ეხლა ევას არ უნდა ამაზე ფიქრი! მხოლოდ ეს კი უნდა იცოდეს რეზომ, რომ ევას არაფერის არ შეშინებია და არც ეშინია.

რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად მოულოდნელად რეზოც ევას მასპინძელთან ჩამოვიდა. ის ძალზე მზიარულობდა და წამდაუწუმ იცინოდა, მაგრამ ევას დაკვირვებულმა თვალმა მაშინვე შეამჩნია, რომ ამ გადაქარბებულ მზიარულებაში რაღაც შიში და ნერვიულობა იყო ჩაქსოვილი.

— ვერ წარმოიდგენ, შენის წამოსვლით რა გვარი მოწყენილობა და სულის ობლობა ეუფლა ჩემ არსებას! — ტკბილად ეუბნებოდა რეზო ევას.

— დიახ, ეს დაშორება პირველი იყო და მეც ერთიანად დავიტანე... ვერ მოვიტიმინე და წამოველი. ჩვენი სახლ-კარი და თანაც ჩემი გული უშენოდ მკვდარია, ცოცხალი ლეში ვარ და სხვა არაფერი...

— ევა, ევა რადა ხარ აგრე მოწყენილი? თითქოს არც კი მისმენ...

— რათა, ეგ საიდან მოგეჩვენა? პირიქით, დიდად მოზარული ვარ რომ...



— ოო, ეს კარგია გენაცვა, კარგი! რა გაქვს მოსაშენებელი სა-  
ვალალო?

ცხოვრებაში ჩვენ არაფერი არ გვაკლია, არასოდეს შეფერხება და უსიამოვნება არ მოგვსლია... კი, მართალია, ცოტა რაღაც საწყენი შეგვხვდა, მაგრამ ეგ არაფერია! განა მოიპოვება ჭეყვანაზე ისეთი ვინმე, რომელსაც რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდეს? მუდამ გამარჯვება და უზრუნველობა კიდევ მოეწყინება ადამიანს... ცხოვრებაში ერთგვარი სხვა და სხვაობაც საჭიროა დიახ, საჭიროა... მე... ჩემო, ძვირფასო ევა, ყოველგვარ შენს წყენას ისე გადავიტან და შევეგებები, როგორც საკუთარს; ჩვენი ცხოვრება ისეა გადახლართული, რომ მათი დაშორება და ცალ-ცალკე წარმოდგენა ყოველად შეუძლებელია, ჩემი და შენი ინტერესი განუყოფელი და გაუთიშავია. მე... მე ყოველთვის შენთან ვიქნები, შენს გვერდით, შენი განუშორებელი მონა და მოსამსახურე. მე მხოლოდ შენს სიყვარულში და შენ ახლო ყოფნაში ვპოვებ უაღრეს ბედნიერებას, უშენოთ ჩემი სიცოცხლე საშინელება იქნებოდა... დიახ, საშინელება...

რაშია საქმე? რა ალაპარაკებს ასეთ ნაირად რეზოს?—ეკითხება თავისს თავს ევა და პასუხი ვერ გაუცია. ასეთი აზრები რეზოს არასოდეს არ გამოუთქვამს, ასეთ სულიერ განწყობილებაში ის არასოდეს არ ყოფილა. ალბად რაიმე საშიშროების მოახლოვების გრძნობს. ევას დაკარგვა ხომ არ ეფიქრება?..

— ცხოვრება, რომ ძნელია და რთული, ეს მე შენგან გამოვიდა,—განავრძობს რეზო დარიგებითი ტონით.—ამიტომ „ჭირსა შინა გამავრება ისე გეშენის ვით ქვიტკირსა“. დიახ...

— რეზო,—გააწყვეტინა ევამ,—შენ ნურაფრის შიში ნუ გექნება, ტყველა ხარ დამფრთხალი!.. მე მუდამ შენთან ვიქნები და ჩვენ ბედნიერებას ვერავინ ვერ შეარყევს!.. ეხლა კი კმარა, მაგვარ ლაპარაკს თავი დაანებე!..

— კარგი, კარგი... შენ იცი ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ბედნიერებავე! უშენოდ მე სიცოცხლე არ შემიძლია, არ შემიძლია... რა მოუფიქრდა საწყალ ჩვენ ბავშებს..?

რეზო ნოულოდნელად აქვითინდა.

— რეზო, ეს რასა გავს? ეს ხომ ლაჩრობაა!

მხოლოდ ამ სიტყვების თქმა დასჭირდა ევას, რეზო მაშინვე გამოერკვა და წილში გასწორდა. მან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ევას მზრივ ეს ვაგაკური დაძახილი და თავიც უშიშარ ფრთათა ჭეშ იგრძნო.

მაშ არაფერი სახიფათო არ მოეღის, ხედმეტია მისი მზრივ ამისთანაობაზე ფიქრი...

ასე უპიროვნო, უნებისყოფო და მოთენთილი ჯერ არ ენახა იგი ევას.

ევამ მხოლოდ ეხლა დაინახა, რომ რეზოს პირადობა და ინდივიდუალობა მას შთაუნთქავს და გაუნდაგურებია, სრულიად შეუმჩნევლად ჩაუყლაპავს.

განა ასეთ პიროვნებად ეხატებოდა იგი მას პირველ ხანებში? აკი რეზოც

რჩეულთა რიცხვში ჩათვალა მან, აკი ისიც შელევს გვერდით დააყენა რა იყო ამის მიზეზი, რისთვის შეცდა ევა?

მაგრამ მაშინდელი რეზო სრულებით არ გავს დღევანდელს. მაშინ ევა იქით ემონებოდა მას, დღეს კი პირ იქით, — რეზო მისი უსიტყვო მსახურია. ძლიერი და საინტერესო პიროვნების მაგიერ, ჩვარი და შერჩა ევას ხელში.

მაგრამ ევა მაინც ბედნიერი იქნებოდა, რომ ეს წყველი რევოლუცია არ მომხდარიყო და ასეთ ნაირად არ აეფორიაქებია მისი ცხოვრება.

დიდხანს იყო ევა დაფიქრებული. მთელმა მისმა წარსულმა გაიარა მის თავალ წინ. ამ დრომ. ჩაიარა თრთოლევით და ცახცახით, ვით სინემატოვრათის ლენტმა... თითოეულ ფაქტს გულ გრილად ჩახედა მან, არც ერთის მოგონებას მისი ყურადღება არ მიუპყრია...

და მხოლოდ მაშინ აუჩქროლდა გული, როცა თავისი ბაბუა, დავითი — თოფის წაშლის ბოლში გაბევეული წარმოუდგა... — ახლად გასროლილ თოფით რო დაკვირვებით იცქირებოდა — აბა ჩვენს შეილს თუ გაუგვირე გულიო...

— პირადი „მე“ — დასაცავად იბრძოდა ამ დროს ბაბუა, დიახ, პირადის, — გაიფიქრა ევამ და დიდხანს არ მოუშორებია თავიდან ეს სურათი, — და მეც მისი სისხლი და ხორცი ვარ... მისი სისხლი და ხორცი ვარ, — ჩიფჩიფებდა იგი.

მეორე დღეს რეზომ სრულიად მოულოდნელად გადასცა მას ქალაქიდან ჯიბით ჩამოტანილი ვაზეთი, რომელშიც ერთი ადგილი წითლად შემოეხაზა. აი რა ამოიკითხა ევამ: „ახლო მომავალში რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდება ცნობილი რევოლუციონერი და მგოსანი კორდელი, რომელსაც ცხრაას ხუთის წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის მეფის მთავრობის მიერ ოცის წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი და რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ განთავისუფლებული თავგამოდებით წყევოდა რევოლუციონერ მოღვაწეობას ქალაქში... კორდელს დიდის ამბით უპირებენ შეხვედრას“.

ამის წამკითხავი ევა ხმის ამოუღებლივ ჩაიკეცა, რეზო კი ბალჩისაკენ იცქირებოდა...

## X.

ევას ქალი, სოფიო, საშინლად გაიტაცა რევოლუციამ. მუდამ მატინგებზე იყო, კრებებს ესწრებოდა, ისმენდა მოხსენებებს, ასრულებდა პარტიულ დავალებებს და სხვა. დღე და ღამე მისთვის ერთი იყო, მოქანცვა და უფულო მუშაობა მან არ იცოდა. ხშირად მშვიერიც კი რჩებოდა. მას, როგორც გამოუცდელს საინციატივო მუშაობის წამოწყება არ შეეძლო, მაგრამ უფროსი ამხანაგების დავალებებს სიტყვის შეგებრუნებლად ასრულებდა.

დღედა ბევრი არწმუნა, თავი დაენებებია ამ საქმიანობისათვის, მაგრამ სოფიოზე არაფერი არ მოქმედებდა.

— დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა აბობოქებულია, როცა ცა და დედა მიწა იციანის და ხარობს, ენერგიით ფეთქავს და შეუწყვეტელ მოქმედებაშია, —



განა მე, ახალგაზრდუროს ძალ ღონით მჩქეფი არსება, სახლში მშენებელი და გულზე ხელები დავიკრიბო? არა, დედი, ნუ გამაგონებ მაგვარ აზრებს, სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, ასე თავგამოდებით უნდა ვემსახურო საქვეყნო საქმეს,— ეუბნებოდა სოფიკო დედას და კიდევ უფრო მეტის გატაცებით კიდებდა ხელს მუშაობას.

— ნამდვილი მამაა, ნამდვილი! ასე თავდადებული იყო შალვაყო, — გაიფიქრებდა ევა და საკუთარის ფიქრით დამფრთხალი იმ წუთსვე ტუჩების კენჭით იბრუნებდა პირს.

ევას აგონდებოდა თავისი ახალგაზრდობა, იხსენებდა პირველ რევოლუციის ბრწყინვალე დღეებს, შალვას და მისდაძმი უსაზღვრო სიყვარულს, სახალხო მოძრაობის ზღვას, მასში თავგამოდებით გადაცურვას და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა თავისი ქალის ასეთი გატაცება...

იგი ახლად გაშლილი ყვავილია, ძალუზად სცემს მასში სიციცხლის სიტკბოების ნექტარი: მხოლოდ მშვენიერება და აღფრთოვანება, მხოლოდ გულწრფელობა და თავდავიწყება ელანდება მის მტოკავ და მთრთოლვარე სულს...

გულის სიღრმეში ევა მაინც კმაყოფილია იმით, რომ მის საყვარელ სოფიკოში ამდენი ენერგია და კეთილშობილური გრძნობები ყოფილა...

რისთვის მოუწამლოს გამობრძმედილობა დედამ აღმაფრენის უტკბილესი წამები?

მერე რა ნიჭისა და მიხვედრის მქონე აღმოჩნდა ჩვენი სოფიკო, რომელიც აქამდის ისე იყო დაშორებული ნამდვილ ცხოვრებას, როგორც ოთახში თანჯარაზე ჩამოდგმული ყვავილი!

პირველ ხანებში ერთობ გაუქირდა გარკვევა, მაგრამ ერთხელ ამოძრავებული მისი ინტერესი შეუსვენებლივ მიისწრაფოდა წინ და მისი გონებაც საშინელის სისწრაფით იხსნებოდა. კრებებზე დასწრება, წიგნაკების კითხვა და გაზეთები მუდმივ გონების საზრდოს აძლევდნ მის ნიჭიერ არსებას. ვილაციის უბილაღი ხელი ნელი-ნელ სწევდა ბნელეთის ფარდას, რდმელიც ჩამოფარებოდა სოფიოსათვის სრულიად უცნობ ქვეყანას, ქვეყანას ჯადოსნურს, მომზიბლავს და ნეტარების მომგვრელს.

სად იყო ამდენი ხანი სოფიო? რას სწავლობდა, რაზე ხარჯავდა თავის ძალ-ღონეს?

ვინ იყო, რომ ამ წარმტაც აზრებს არ აცნობდა მას? ვინ ჩაღიოდა ამ უდიდეს დანაშაულს?

ის რევოლუციის პირველ კვირებშივე ჩამოშორდა თავის უსაქმურ ამხანაგებს: ათასში ერთხელ თუ მოიცილიდა პოეტო პიერის გამოსაჯავრებლად; ასე ვასინჯეთ შუშანიკასაც კი ვერ შეეწყო იგი, ვინაიდან რაღაც ზებუნებოდა და უგულობა შეამჩნია. შუშანიკას ვერ მოეხერხებია თავისი თავის დავიწყება და ვერ იჩენდა რაიმე უხიანობას; ის თავიდან ემორჩილებოდა ევას გავლენას და განზე დგებოდა... ეს იგრძნო სოფიომ და კიდევ ჩამოშორდა მას.

ახალი აზრები, ახალი გრძნობები, ახალი აღამიანები, ახალი წრე!



რომელ ერთს გაართვას თავი გამოუცდელმა სოფიომ?

— იტიტინე ვინემ დრონი შენიაო,— ფიქრობდა მისი შემწვედნაჲ ვეა და თანაც დასძენდა: ალბად ვინმეს კიდევ შეიჭვარებს ჩემი სოფლისკჳს სჳსკჳვალოს დედაო,— და თირქმის შურის თვალით ადევნებდა თვალყურს.

სტუმრად წასული ვეა თავიდან ვერ იშორებდა სოფიოზე ფიქრს. შალვას ჩამოსვლის ამბის მემდეგ ეს ფიქრი საშინელ ლოდით გარდაიქცა.

კორდელი სოფიოს საყვარელი მგოსანია და მისი ჩამოსვლის ამბავი რომ ააფრთოვანებს, ეს ცხადზე უცხადესია. მერე და რა უნდა მოჰყვეს ყოველივე ამას?

თავზარდაცემული ვეა გარინდებულია... ყოველივე მხრივ უბედურებაა, გზები იჭრება, თავდახწვეა შეუძლებელი ხდება...

ოო, რა საშინელებაა ამაზე უბრალო ფიქრიც კი!..

როცა რეზო ქალაქში წავიდა ვეამ სოფიოს მისწერა: ავად ვარ და აღცილებლივ მნახეო; სოფიოც მეორე დღესვე გაჩნდა დედასთან და რაკი დიდი ავადმყოფობა ვერ შეამჩნია, სიხარულით გულში ჩაეკრა და ბავშურის უღარდელით მოყვა ათასნაირ ტიტინს.

— დედა, ჩემო დედიკო, გენაცვალოს ჩემი თავი! მაბატე, რომ თან არ წამოგყე, ათასნაირი საქმე მქონდა: იქ მუშები, აქ ჯარის კაცები, პარტიის წევრები და უბრალო მოქალაქენი... კავშირები, მოხსენებები, სიები... რომელი ერთი მოვიგონო?

— დედა, რამდენი ხალხი გავიციანი, რამდენი ამხანაგები შევიძინე? ვინ იცის რამდენი ახალი აზრი და გრძნობა აღმეძრა? ასე მგონია ერთიანად მოვშორდი იმ ცოდვილ დედა-მიწას, რომელზედაც რევოლიუციამდე დავდიოდი და სულ სხვა საოცნებო პლანეტაზე გადავფრინდი, სადაც სულ სხვა გვარი ზეცაა, სხვა გვარი მიწა-წყალი და ადამიანები.

— დედა, მიკვირს თუ რამ გარდაქმნა და გამოსცვალა ასეთნაირად მთელი ქვეყანა, მთელი ხალხი! თუ ამდენი აზრი და ენერჯია იყო მასში, რაფერად იკავებდენ აქამდის თავს? მართლაც საშინელი სიძლიერის პატრონი უნდა ყოფილიყო ის რეჟიმი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ასე შებოკილი და შესუთული ჰყოლია ადამიანთა ეს თვალგადუწვდენელი ზღვა. ოო, მიკვირს, რა აკავებდა ამ გადარეულ თქემს. ასეთი უდიდესი ძალის დამუხრუჭება ქემ-მართლად უდიდეს დამნაშავეს შეეძლო და კიდევ მიტომბა, რომ ყველას ასე ეხილუნება ძველი რეჟიმი...

— ამდენი ახალი სანახაობა, ამდენი ჯერ უბილავი სურათი! სადღაც წამიკითხავს: ზღვის სილამაზეს ადამიანი ისე ვერ მისწედება, თუ იგი მღელვარების დროს არ უნახავსო; სრული სიმართლეა. ხალხის ნამდვილ სახეს, მხოლოდ ამობოჭრების დროს გამოიცნობს კაცი. რამდენი იმედი და აღფრთოვანება ფეთქს ხალხში! ყველა დარწმუნებულია, რომ ბედნიერება მის ხელთ არის. წარმოიდგინე ასეთი სურათი: ჩვენი კომიტეტის შენობაში შემოდის უსაწყლესი, უღარიბესი ქვრივი დედაკაცი, რომელსაც შემოაქვს ასეთი თხოვნა: მიშველოს კომიტეტმა, ჩემი მისლი ასე და ასე მჩაგრავსო, ობლებს ლუკმა პურს ართმევსო



და სხვა. ბევრი ვეძებთ სამართალი ნიკოლოზის დროს, მაგრამ *ქრუფეული* გამოვიდა, ვიცი კომიტეტი სამართლიანია და უსათუოდ დამეგმირებამას! სახეზე იმედი და სასოება უთრთის, უსაზღვრო სიყვარულით შემოგვეყურებს. იცი, რომ მისი თხოვნის დაკმაყოფილება ზენ არ შეგიძლია, მაგრამ გული არ გიშვებს, პირში უთხრა ეს, აგრე მოიწედე დედაბერს... ამიტომ ტკბილად ელაპარაკები, გული არ გინდა გაუტეხო, ნიასწავლი სხვა დაწესებულებაზე, თანაც გებრალემა და გეშინია—ვაი თუ იქაც იმედი არ გაუმართლდესო. მერე რამდენი ასეთი შემთხვევა! ვინ ჩამოსთვლის?... ყველას სწამს, რომ ბოროტებას ბოლო ეღება და ჩაგრული წელში სწორდება. ოო, რა უზომო ბედნიერების მოტანა შესძლებია რევოლიუციას!

სოფიო დაუსრულებლივ ჭყლიპინებდა, ხან რას ამბობდა, და ხან რას!

— რა ბედნიერია ჩემი შეილიკო,—ფიქრობდა ევა,—რა ღრმად არის დარწმუნებული თავის ბედნიერებაში და ის .ი არ იცის, რომ დღეს თუ არა, ხვალ შეიძლება საშინელი ამოცანის წინაშე დადგეს და ამქვეყნიურმა პროზამ ერთიანად მოსწამლოს მისი უჩირქო სული და გული...

— დედა, იცი რას გეტყვი,—უთხრა დედას ბოლოს სოფომ,—ამ მხარიდან ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტში ხშირად შემოდის სხვა და სხვა პარტიულ საქმეებზე ერთი შესანიშნავი ამხანაგი—ნესტორ ნაბადაძე, რომელიც მე გაგივებით მომწონს, როგორც საქმიანი და კვივანი ადამიანი.

— ვინა? ნესტორ ნაბადაძე? გაკვირებით შეეკითხა დედა.

— დიახ, ნესტორ ნაბადაძე, პარტიულ მუშაობას აწარმოებს აქ, ძველი რევოლიუციონერია...

— ოო, ვიცნობ, ვიცნობ!.. და ევამ ვნა მოიკენიტა.

— აბა საიდან, დედა?

— ჩვენი სოფელელია, შეილო, ახალგაზრდობისას ვიცნობდი—ევა დაიბნა და მეტის თქმა ვერ მოახერხა.

— მითხარი დედა, მართლა ძველი მუშაკია? კარგი კაცია? მომზადებულია? დატუსაღებული ყოფილა? შენ როგორ იცნობ შორიდან თუ ახლო?

— ისე... შეილო, არც მაინცა და მაინც ახლო ვიცნობ... უბრალო მუშაა, მოწინავეთ მოაქვს თავი... ცოდნაც რასაკვირველია, მუშის შესაფერი აქვს... ციხეშიც ბევრჯელ მჯდარა... დიდი ხანია მისი არაფერი ვიცი...

— რამდენი ხანია არ შეხვედრიხარ?

— არ მახსოვს, შეილო... იქნება ასე ათი თოთხმეტი წელიწადი.

— დედიკო, მართლა... ლამის დამავიწყდა შენთვის მეთქვა,—უცებ შეიფრთხილა სოფიკო და აღფრთოვანებით მიმართა,—კორდელი ჩამოდის... კორდელი ჩემი საყვარელი მეგობანი... ხა... ხა... ხა...

ვინ კორდელი?... რომელი კორდელი?

ევას თავხარი დაეცა, ენა ჩიუვარდა და ის იყო საშინლად უნდა ამოეკივლა, რომ უცებ თავი შეიმაგრა და უგრძნობლად ჩაჯდა.

დედა, ის თურმე გამოჩენილი რევოლიუციონერი ყოფილა... პირველი რევოლიუციის აქეთ ციხეში მჯდარა... ის საუცხოვო ლექსები ციხეში დაუწერია...



სწორედ იქ, იქ უნდა დაეწერა მას ლეთაებრივის ცეცხლით გაქვინებული ლექსები!.. ამას მე ყოველთვის ვგრძნობდი და რა ბედნიერი... ჩემი წინათგრძნობა გამართლდა! ხა... ხა... ხა... დედი, დედი რა ბედნიერი ვარ!..

გაქვავებული ევა უგრძნობლად მიჩურებოდა სახეში თავის ქალს და მეხის გავარდნასავით მოელოდა მისგან საშინელი საიდუმლოების ამბავს.

— რუსეთში ყოფილა აქამდის, იქ უტანჯავსთ ჯალათებს... ოო, რა ამბით უპირებს ჩვენი პარტია შეხვედრას! მეც უნდა მივიღო მხურვალე მონაწილეობა ამ ზეიმში, უსათუოდ უნდა წაყიდე დედა ქალაქში მის შესახვედრად, ის ჩემი სათაყვანო პოეტია...

ეტყობოდა, რომ სოფიკომ სხვა არაფერი იცოდა კორდელის—იგივე შალვა ღრუბელიანის—შესახებ; როგორც კი დარწმუნდა ევა ამაში, ცოტა არ იყოს დაწუნარდა.

მაგრამ მან მშვენიერად იცოდა, რომ ეს დაწყნარება დროებითი იყო საშინელი ამბის ცოტათი წინგადანაცვლება იყო და მეტი არაფერი.

შემარკვეველი გრავინვა უკვე აყრუებდა მისი ცხოვრების ცის კაბადონს, მბრძანებელი ხელით დაიკლავებოდა გაპირქმეებულ ტატნობში ელვის რკალი და ჯერ მხოლოდ მეხი არ ჩამოეარდნილიყო დედა-მიწის გულის გასაპობად.

ევა გრანობდა, რომ ელექტროთ გაქვინთილი ზეცა უთუოდ მეხის ჩამოსტეორცნით დაიცილებოდა მაზანზაოებელ ძალისაგან...

— ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, — ფიქრობდა იგი, — შალვას მშობლები, შალვა, ნესტორ ნაბადაძე... ღმერთო ჩემო, რა საშინელი ნასკვია წინაშე ვდგვიარ!

იგი გრძნობს, რომ უფსკრულის პირას დგას... საშინელის სიძლიერით აღმოხეტყილი გრიგალი ქარი გააფთრებული აქანავებს მისი ცხოვრების გემს და ყოველ წუთს მზად არის უფსკრულში შთაინთქოს...

დედამიწა სკდება, ყოველივე იღუპება...

უღარდელი და ბედნიერი სოფიკო კი თავისებურად განაგრძობს:

— მე ვერ წარმომიდგენია ამ წუთს კორდელზე უფრო ბედნიერი კაცი! განა შეიძლება მისი ბედნიერება ადამიანმა ასწეროს? იბრძოდა თავგანწირვით, ეწამა საყვარელი იდეისათვის, მთელი ათი წელიწადი გოლგოთასე ჯვარი აქტონდა, რწმენით, იმედით, აღფრთოვანებით და...

და კიდევ მიაღწია თავისს სატრფიალო მიზანს...

ამაზე მეტი ბედნიერება განა შესაძლებელია?..

ოო, რამდენ ტანჯვას და სულიერ ჯოჯოხეთს გამოივლიდა იგი ციხეებში? დავიწყებული, მიტოვებული... შეიძლება მისი გულის ერთ ერთ ხვეულში-და უბეუტავდა იმედის ციციანათელა, რომელსაც ყოველ წუთს ფრთების შეტრუსვას უპირებდა საშინელი სინამდვილე... ეგების იმედიც კი გადაეწურა და...

უცებ ასე გაბედნიერდა... ოო, ნეტავი მას, დიდებულ მგოსანს, დიდებულ რევოლიუციონერს! როდის იქნება ველირსები მის ნახვას და თაყვანისცემის?

## მეფე ნახშირი

რომანი

წიგნი მესამე

### მეფე ნახშირის პასხალები

(ვაგრძელება\*)

§ 12.

ხოლო ჩემად იცქირებოდა თავის წინ. ნუ თუ ყოველი ცალკე პიროვნე-ბის ცხოვრებაში არის ისეთი პირობები, რომლებსაც შეუძლია მოულოდნელად შეაჩეროს იგი და უძლური გახადოს ბრძოლაში სოციალური სამართლიანობისათვის?

ბოლოს მან წუნარად წარმოსთქვა:

— ედუარდ, ეხლა მე ვფიქრობ ერთ ახალგაზრდა ირლანდიელზე, რომელიც აქ ნორტ-ვალში მუშაობს. იმასაც ჰყავს მამა, რომელიც მაღაროში იყო აფეთქების დროს, ის მოხუცია, მას ჰყავს ცოლი და შვიდი შვილი. ის კარგი კაცია და მისი შვილიც კარგი ახალგაზრდა არის. მე მოგიყვები ეხლავე თუ რა საქმე უქნა მათ პიტერ ხარივანმა.

— რაც არ უნდა ექნას, — სთქვა ედუარდმა — არავითარი უბედურება ჯერ კიდევ აქ არ არის. არაფერ არ გიწლის შენ დახმარება გაუწიო მათ, შიმშილით არ მოკვდებიან.

— ვიცი, მაგრამ არიან კიდევ სხვები, ხომ არ შემძლია ყველას დავეხმარო. შემდეგ, გაიგე ბოლოს და ბოლოს, ედუარდ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ქველმოქმედებას კი არა, სამართლიანობას შეეხება. ალბად ამ ახალგაზრდას, ტიმ რაფერტის იმგვარადვე უყვარს თავისი მამა, როგორც მე ჩემი, არის კიდევ ბევრი ასეთი მოხუცები, რომლებიც ძალიან უყვართ თავიანთ შვილებს.

— ხოლ! თუ ღმერთი გწამს! — გაცხარდა ედუარდი, — თითქოს იგი სიტყვებს ვერ ნახულობდა. — ნუ თუ შენ მთელი ქვეყნის ქირ-ვარაში გინდა აიკიდო ზურგზე?

ის წამოხტა და წაავლო ხოლს ხელი ხელში:

— შენ უნდა წამოხვიდე აქედან, გესმის!



ხოლიც წამოდგა უსიტყვოდ, ეტყობოდა ყოყმანობდა ეტყობოდა იგი კარისაკენ.

— იი ეგერ ჩემი ავტომობილი სდვას, ერთი საათის შემდეგ გადის მატარებელი...

ხოლი მიხვდა, რომ მან უნდა დაამტკიცოს თავისი ბოლომდე მისვლის გადაწყვეტილება.

— არა, ელუარდ, მე არ შემიძლია აქედან წასვლა.

— მე გეუბნები, რომ უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთად!

— არ შემიძლია, მე მივეცი მუშებს სიტყვა და უნდა შევასრულო ის კოდექსი.

— ღმერთო ჩემო! რას უნდა ნიშნავდეს შენთვის ყველა ეს ხალხი საკუთარ მიმართ შედარებით?

— მე ვერაფრის გზით ვერ შევსძლებ აკისნა ეგ, ელუარდ. უკვე ნახვეარი საათი გავიდა, რაც გელაპარაკები და შენ კი თითქოს ერთი სიტყვაც არ გავიგონია. მე ვებედავ, რომ ხალხი იმ მახეში გაება, რომლის გაბმას მე მთელი ჩემი სიცოცხლე ხელს ვუწყობდი. მე არ შემიძლია დაუშვა, რომ ისინი ამ მახეში დარჩენ. ამის გაგება რომ მიმაჩემს შეეძლოს, დარწმუნებული ვარ, ის მოიწონებდა ჩემს ქცევას.

ელუარდმა უკანასკნელი ძალა იხმარა, რომ თავი შეეკავებინა.

— მე არ მინდა სენტიმენტალური სულელი გიწოდო, მაგრამ მიპასუხე ერთ კითხვაზე: რა შეგიძლია შენ რომ ვაკეთო ამ ხალხისათვის?

— მოხმარება ბრძოლაში ადამიანური ცხოვრების პირობებისათვის.

— ღმერთო ჩემო!— ამოიკვნესა ელუარდმა.— აქ? პიტერ ბარიგანის მალაროებზე? განა არ იცი, რომ ის გარეკაეს აქედან ყველას, ყველას უკანასკნელ კაცამდე, მთელი ქალაქის მცხოვრებლებსაც, თუ კი ეს საჭირო იქნება.

— შეიძლება, — უპასუხა ხოლმა.— მაგრამ სხვა მალაროების მუშებიც რომ შემოგვიერთდნენ, მხარი რომ დაგვიჭიროს მუშათა დიდმა კავშირმა...

— შენ ეს მოგზმანებია, ხოლ, შენ ისე ლაპარაკობ, როგორც ბავშვი. მე ველაპარაკე მთავარ ზედამხედველს, მან ტელეფონით აცნობა ყოველივე მოხუც პიტერს, პასუხი უკვე მიღებულია და მან იღბად უკვე მიიღო ზომები.

— მიიღო ზომები? — გაიმეორა ხოლმა.— რა ვსურს სიტყვა ამით?

ის მოულოდნელი შიშით შებყრობილი მიაჩერდა ძმას.

— როგორ? მაშინ, როდესაც მე შენ აქ გელაპარაკები?

ხოლი მიტრიალდებდა კარისაკენ:

— შენ იცოდი ეს! შენ განზრახ მაჩერებდი მე აქ!

ხოლი აპირებდა გარედ გავარდნას, მაგრამ ელუარდი ეცა და მოხვია ხელები მაგრად.

— რა უნდა გექნა შენ?

— გამიშვი! — მრისხანედ დაუყვირა ხოლმა.

— ნუ სულელობ, ხოლ! მე მინდოდა ზითათისაგან გადამერჩინე იმ შემთხვევაში, თუ იქ აყალ-მაყალი ასტყდებოდა.



ედუარდმა გზა გადაუღობა ხოლს, მათ შორის ბრძოლა შეწყვიტა. მაგრამ უფროსი ძმა აღარ იყო ის ძლიერი მზემოკიდებული ღმერთი, როგორც იყო იგი ოდესღაც; იმ დროს, როდესაც ის განუყრელად საწერ მაგიდას უჯდა, უნცროსმა ძმამ მძიმე მუშაობით გაწერა თავისი კუნთები. ხოლმა შეაგდო ის გვერდზე, გაეარდა კარში და სიობილით გაქანდა ძირს ქუჩით.

§ 13

მთავარ ქუჩაზე რომ მიეარდა, ხოლმა კონტორის ახლო შეჯგუფებული მუშები დაინახა. პირველი შეხედვისთანავე სჩანდა, რომ აქ რაღაც მომხდარიყო. მუშები დარბოდნენ ყოველი მხრით აქნივდნენ ხელებს და ყვიროდნენ. როდესაც ხოლი შეინახნეს, ზოგიერთები ხმამაღალი ძახილით მიეარდნენ მასთან. პირველი მიეარდა კლოვოსკი, პატარა პოლონელი, მან აქლოშინებულმა და მღელვარებისაგან ათრთოლებულმა წაიდუღუნა:

- დეპუტაცია გარეგეს!
- გარეგეს?
- ჰო, კანიონის ქვემო ნაწილში.

პატარა კაცი გიჟივით აქნივდა ხელებს, გვეგონებოდათ, თითქოს მისი თვალები ბუდეებიდან აპირებდნენ ამოეარდნას.

— მათ წაიყვანეს დეპუტაცია... მთელი ასეული... თოფებით შეიარაღებულებს! როგორც კი გასცილდნენ კარებს, ყველანი შეჭკურეს. მცველებს გაკავებული ჰყავდათ ისინი, არ აღაპარაკებდნენ... არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. აქ იდგან ეს ურმები, უცხენოდ, რა ჰქვიათ?

- ავტომობილები?
- ჰო, ავტომობილები, სამი. ისინი ჩაყარეს შიგ, ერთი მეორეზე, შემდეგ ეშმაკებით დაეშვენ ძირს. ყველანი წაიყვანეს, ჩენი გაფიცვა ჩაიფუშა!
- არა, ჩენი გაფიცვა ჯერ არ ჩაფუშულა! — დაიყვირა ხოლმა — ჯერ არ ჩაფუშულა!

უცებ მან დაინახა მისკენ გამოქანებული ძმა. ედუარდი მოეარდა ქლოშინით და სტაცა ხოლს ხელში ხელი:

- მოშორდი აქედან!
- ხოლი ეკითხებოდა კლოვოსკის და იმავე დროს ძმის მოგერიებაც უბდებოდა. მოულოდნელად მას დამხმარე გამოუჩნდა: პატარა პოლონელმა გაათრებულ კატასავით წამოკარკლა თვალები და ეცა ედუარდს მაღლა ამართული მუშტებით. ხოლის კეთილშობილ ძმას საშიშროება უქადადა, მაგრამ ხოლმა დროზე ააცდინა მას კლოვოსკის ხელი.

- დანებეთ თავი, — უთხრა მან. — ეს ჩემი ძმა არის.
- პოლონელი გაქეპავდა და უკან დაიხია.
- ხოლმა შეინახა მასთან მიობენილი ანდროკულოსი. პატარა ბერძენმა დაინახა, თუ როგორ წაიყვანეს დეპუტაცია. ისინი ცბრა კაცი იყვნენ: უოჩოპი, ტიმ რაფერტი, მერი ბარკი, მარჩელი, ძამაკი, რუზიკი და კიდევ სამი სხვა, რომლებიც წინა დღით საღამოზე თარჯიმანობას ასრულებდნენ. ყველაფერი ისე



სწრაფად მოხდა, რომ ბრბოს ვერც კი მოესწრო მოფიქრებინა, რა უნდა იყო საქმე.

ხოლმა უცებ შეივსო მთელი საშიშროება, ის წააგავდა ადამიანს, რომელმაც ცეცხლმოკიდებული პატრუქი დაინახა. ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ეს მრავალ ენებზე მოუბარი ბრბო საჭიროებდა ბრძნულსა და დამშვიდებულ ხელმძღვანელს.

როდესაც ბრბომ შენიშნა ხოლი, ის მიაწყდა მას ყოველი მხრიდან, როგორც ზღვის აქაფებელი ზვირალები. მუშები ყვირილით შემოეხვიენ მას ირგვლივ. დეპუტაცია დაიღუპა, მაგრამ მათ დარჩათ ჯო სმიტი! ჯო სმიტი! გაუმარჯოს ჯო სმიტი! აბა გაჰბედონ რაზემელებმა და შეახონ მას ხელი! ისინი აქნევედნ ქულებს. სურდათ ხელეზე აეყვანათ ხოლი, რომ ყველას დაენახა იგი.

ზოგიერთები ყვიროდნ და მოითხოვდნ, რომ ხოლს სიტყვა წარმოეთქვა. ხოლი ავიდა ახლომდებარე სახლის კიბეზე. ეღუარდი მიჰყევობოდა მას და თან ხელში მისი პიჯაკის კალთები ეჭირა. ეღუარდს სჯლიკევედნ ყოველი მხრიდან, ამტერევედნ გვერდებს. მაგრამ ის ეხლა თავის კეთილშობილებამზე აღარ ზრუნავდა, მხოლოდ იმას ედილობდა, რომ ხოლს არ ჩამორჩენოდა როგორმე. როდესაც ხოლმა დაიწყო საფეხურებზე ასვლა, ის გამწარებული უყვიროდა მას:

— მოიცადე! შეჩერდი! შენ ამ ბრბოს უნდა ელაპარაკო?

— ჰო, მაშ ნუ თუ არ გესმის, რომ სხვაფრივ შეიძლება უბედურება დატრიალდეს?

— მოგკლავენ, შენ გამოიწვევ შეიარაღებულ ჩარევას, დაღუპვ ბევრს ამ საბრალო ხალხში. ხოლ, ვონს მოდი, კომპანიას თავის განკარგულებაში შეიარაღებული ხალხი ჰყავს, შენი მუშები კი უიარაღონი არიან.

ეს კამათი ძლიერ დამაბრკოლებელ პირობებში სწარმოებდა. უფროს ძმას მაგრად ეჭირა უნცროსის ხელი, უნცროსი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ განთავისუფლებულიყო, ძირს კი მთელი ბრბო ისე ღრიალებდა, როგორც ერთი კაცი: „ილაპარაკე! ილაპარაკე!“ ზოგიერთ ახლო მდგომს, ისე როგორც კლოვოისკს, არ მოეწონა, რომ ვილაც უცხო გადაჰკიდებია მათ ბელადს, და ისინი გაძერენ წინ საქმეში ჩასარეყად. ხოლოს ეღუარდმა მიანება ბრძოლას თავი. ორატორი ავიდა მაღლა საფეხურებით და მიმართა ხალხს.

#### § 14

ხოლმა ხელი ასწია მაღლა სიჩუმის დასამყარებლად.

— ამხანაგებო! — დაიყვირა მან, — მათ გარეკეს ჩენი დეპუტაცია, ჰგონიათ რომ მათ გაფიცვა ჩაქრეს, მაგრამ ისინი გაიგებენ, რომ სასტიკად სცდებიან მართალია! მართალი ხარ! — გაისმა აურაცხელი ხმების ღრიალი.

— მათ დაეიწყდათ, რომ ჩვენ გვატყს კავშირი! გაუმარჯოს მუშათა კავშირს ნორტ-ვალში!

— ვაშა! ვაშა!





ხმების ძლიერი გუგუნე მიაწყდა კანიონის კლდეებს და ათასობით უბოდ გაიშალა ქალაში.

— ვაშა! გაუმარჯოს მუშათა დიდ კავშირს, რომელიც მოგვეშველება ჩვენ,— გაუმარჯოს ამერიკის სამთო მუშების კავშირს!

და ისევ გაეშურა კლდეებისაკენ ხმების ქუხილი და ეხომ ისევ გაიმეორა იგი.

— ვაშა! გაუმარჯოს მუშათა კავშირს! გაუმარჯოს სამთო მუშების კავშირს!

გამოვიდა ხალხიდან ვიღაც ბრგე ამერიკელი, მალაროს მუშა, მისი ხმა ისე სჭექდა ბოლის ყურში, როგორც ქარხნის საყვირი.

— ამხანაგებო!— დაიწყო ისევ ხოლმე, როდესაც სიწყინარე დამკვიდრდა. — აბა მოიკრიბეთ მთელი თქვენი გონება. მე გაფრთხილებდით თქვენ, მე გეუბნებოდით, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რათა პროცენტების ანკესზე წამოვკებულყოთ. მათთვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა, რომ საქმე შეტაცებამდე მისულიყო; ეს საშუალებას მისცემდა მათ ჩაეშალათ ჩვენი კავშირი. არ დაივიწყოთ, ამხანაგებო, რომ თუ მათ შესძლეს ძალმომრეობის გამოწვევა ჩვენში, მაშინ ჩვენი კავშირი დაილუპება,— კავშირი კი ერთადერთი ძალა არის ჩვენში!

გაისმა ისევ ყვირილი სხვადასხვა ენაზე.

— გაუმარჯოს მუშათა კავშირს! ვაშა!

ხოლმე დაეცალა მათ ყვირილით გულის მოჯერება, შემდეგ განაგრძო:

— მათ გარეკეს ჩვენი დებუტაციო, შეიძლება გამაგდონ მეც...

— არა, ჩვენი არ მივსცემთ მაგის ნებას!— გაისმა ბრბოდან. თერარისმა მრისხანედ დაიღრიალა: — გამაგდონ აბა! ჩვენ ცეცხლს წააქიდებთ მათ!

— მაგრამ მათ შეუძლიათ ჩემი გავდება; თქვენ ხომ იცით, რომ ამ შემთხვევაში ისინი უფრო ძლიერები არიან ჩვენზე. ისინი გამოიწვევენ შერიუს, შეუძლიათ ჯარს გამოუძახონ თუ დასჭირდათ. ჩვენ უძღურები ვართ ამის წინააღმდეგ, მათ სრული შესაძლებლობა აქვთ გარეკონ სოფლიდან ვინც უნდა იქნეს, კაცები, ქალები, ბავშვები. მაგრამ ჩვენ მტკიცედ უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ ეს ზომაც კი ვერ ჩაშლის, ვერც ჩვენს კავშირს და ვერც იმ დიდ კავშირს, რომელიც ჩვენ შარს დაგვიკურს. მალოოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ ვიბრძოლოთ და ვაიძულოთ ისინი ბოლოს და ბოლოს ისევ აგვიყვანონ სამუშაოზე.

ზოგიერთი ბოლის მეგობრები, როდესაც შეატყვეს, თუ საით იბრება მისი სიტყვა, წაეშველენ მას:

— არავეითარი ჩხუბი! არავეითარი ძალმომრეობა! ჩააქიდეთ ხელი მაგრად მუშათა კავშირს!

ხოლი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ჩაევონებია მუშებისათვის თავისი აზრი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაითხოვს მათ, მაშინ მათთვის სახსარს გაიღებს დიდი მუშათა კავშირი, რომელსაც ოთხას ორმოცდაათი ათასამდე წევრი ჰყავთ, მიეშველებიან აგრეთვე სხვა ოლქების მუშებიც. ის ვაე-



ბატონები კი, ვინც შიშვლით ფიქრობს თქვენს დამორჩილებას, დასტურებენ ცალიერი მალარობის ცქერით. ისინი იძულებული იქნებიან დასაბრუნებლად წავიდნენ და სოლიდარობის ტაქტიკა გამარჯვებული დარჩება.

ხოლი განაგრძობდა ამგვარად ლაპარაკს. მან გაიხსენა ოლსონის დარიგებები და ეხლა პრაქტიკაში მათ გამოყენებას სცდილობდა. სიბრაზე და სამავგიროს გადახდის წყურვილი თანდათან ჰკარგავდნენ თავის გამოხატულებას მუშების სახეებზე, მათი თვალები იმედით გაშუქდა.

— ეხლა, ამხანაგებო, მე წაველ მთავარ ზედამხედველთან. ჩვენი დებუტაცია გაავდეს, მაგრამ მე თვითონ ვიქნები დებუტაციი!

ფერისის ორთქლის საყვირში დაიღრიალა:

— შართალია, ჯო სმიტ! შენზედ არის მთელი ჩვენი იმედი!

— კარგი, ეხლა გულმოდგინედ დამიგდეთ ყური, რას გეტყვით მე თქვენ: მთავარ ზედამხედველთან მოლაპარაკების შემდეგ, მე გავემზადებ პედროში; დღეს დილით იქ მოვიდა სამთო მუშათა კავშირის გამგეობის რამდენიმე წევრი. მე გადავსცემ მათ ჩვენი საქმის მდგომარეობის და ვსთხოვ, რომ დახმარება გაგვიწიონ. თანახმა ხართ, თუ არა?

— თანახმა ვართ. გაუმარჯოს დიად მუშათა კავშირს!

— კეთილი. მე ვეცდები მოგაწოდოთ როგორმე ცნობა, თქვენ კი იმავე დროს მაგრად დაიჭირეთ თავი. ზედამხედველები შეეცდებიან თქვენს მოტყუებას და შეცდომაში შეყვანას, მოგიზნებინან ჯამუშებს და პროვოკატორებს— მაგრამ თქვენ რაც შეიძლება მტკიცედ იყავით, ენდეთ ყველაფერში დიად მუშათა კავშირს.

ხოლი აკვირდებოდა აღტაცებულ ბრბოს, მას საკმაოდ დრო ჰქონდა, რომ შეესწავლა ზოგიერთების სახე. ეს იყო დაღლილი, დატანჯული სახეები, თვითთული მათგანი თითქოს შველას ითხოვდა, თვითთულ მათგანზე სილატაკისა და დამცირების ნაღვლიანი ამბავი იყო დაწერილი. ეხლა ისინი გაბრწყინებული იყვნენ, მათ ანათებდათ ის ახალი მშვენიერი შუქი, რომელიც ხოლმე პირველად წინა დღით საღამოს შეამჩნია მათზე. იყო მომენტი, როდესაც ეს შუქი ჩაქრა, მაგრამ ეხლა ის ისევ განათდა და არასოდეს აღარ ჩაქოება იგი იმ ადამიანების გულში, რომლებმაც სცნეს მისი ძლიერება. არასოდეს არავითარ სანახაობას არ აღუღვებია ხოლი ისე, როგორც ადღევამ ამ სულიერი აღორძინების ხილვამ. ეს მშვენიერი იყო და იმავე დროს საშინელიც.

ხოლმა შეხედა მას: იგრძნო თუ არა მანაც ამ სულის შემზარავი მომენტის სიდიადე? ედუარდის სახეზე კმაყოფილება იხატებოდა, მან ისეთი შემსუბუქება იგრძნო, თითქოს მთა მოაცილეს ზურგიდან: საქმე უმჯობესდებოდა— ხოლი ნორტ-ვალს დასტოვებს.

ხოლი ისევ მუშებისკენ მიტრიალდა; მას შემდეგ, რაც შოლოდ გაკვრით შეხედა მას, მან კიდევ უფრო მეტი სიბრაღული იგრძნო მათდამი. ედუარდი განზორციელება იყო იმ ძალის, რომლის წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ— ბრმა, უგნური ძალის, რომელიც ცდილობდა მათ განადგურებას. და უცებ ხოლი შესაძლო დამარცხების შიშმა აიტანა; მან წარმოიდგინა ბელადებს მოკ-



ლებული, შიტოვებული, დაბნეული მუშები; ის ხედავდა, როგორ იღვიძებს მათში ისევე მორჩილების ჩვეულება, რამდენი შიში იპყრობს მათ, რამდენი მათი მტრების მიერ გავრცელებული ყალბი ხმები ველური მხეცებზე მათ აფთორებს მათ. ისინი დაიტანჯებიან, დაიტანჯება მათი ცოლ-შვილიც, ყოველი მათგანი შეწუხდება იმ ზრუნვით, რომლითაც სწუხდა ხოლი, როცა ის იგონებდა მოხუცს უესტერნ სიტში, რომელსაც ეჭიშვებოდა ყოველგვარი მღელვარება აუკრძალეს.

თუ ისინი მაგრად იქნენ და შეასრულეს თავის მეთაურისთვის მიცემული სიტყვა, მათ გამორეკავენ მშობლიური თავშესაფარიდან; მათ ემეტკრებათ ზამთრის სიციფეები, შიმშილი, შავი სიები. ის კი? რას გააკეთებს ამ დროს? როგორ შეასრულებს ის თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას იმათ წინაშე? ის მოვლას არაკება მათ შესახებ მთავარ ზედამხედველს, გადასცემს მათ ბედს „დიად მუშათა კავშირს“, ხოლო თვითონ კი მზიარულს, უზრუნველ ცხოვრებას დაუბრუნდება. ის შეექცევა უფაქიზეს საქმელებს კლუბის ბრწყინვალე რესტორანში, მის გარშემო მარჯკედ და ჩუმიდ იტრიალებენ ყოველი მისი ბრძანების ასასრულებლად გამზადებული ოფიციანტები. ის იცეკვებს ქილაქ გარე-კლუბში მშვენიერ, შიფონში და აბრეწუში გამოწყობილ არსებებთან; არსებებთან, რომლებიც თითქოს სურნელებათა და ბედნიერი, უზრუნველი მომხიბვლელობით სავსე ლიმილთაგან არიან შეზავებული! არა! თათსჯერ არა! ეს მეტად ადვილი გადაწყვეტა არის საკითხის! დაე მან უწოდოს ამას მოვალეობა მამისადმი, ძმისადმი, მაგრამ თავის გულში ის მაინც ისე იგრძნობს, რომ ეს გამყიდველობა არის, ლალატი—სატანამ აიყვანა იგი მთის მწვერვალზე და აჩვენა ქვეყნის ყველა სამეფონი.

ხოლი დაემორჩილა რალაც უეცარ გრძნობას და ერთხელ კიდევ ასწია ხელი:

— ამხანაგებო, ჩვენ გავიგეთ ერთმანეთი. თქვენ მუშაობას არ დაიწყებთ მანამდე, სანამ დიადი მუშათა კავშირი არ დაგრთავთ ამის ნებას, მე კი თქვენთან ერთად ვიქნები. თქვენი საჯე იქნება, მე ვიბრძოლებ თქვენი გულისთვის მანამდე, სანამ თქვენ საშუალება არ გექნებათ ადამიანურად იცხოვროთ და იმუშაოთ. მართალია, თუ არა?

— მართალია! მართალია!

— კარგი. აბა შეეფიცეთ ერთმანეთს.

ხოლმა ასწია ხელი, მუშებმა მიჰბადეს მის მაგალითს. მზურვალე ყიფინით, ალტაცებით და მაღლა აწეულ ხელებით გარემოცულმა, წარმოსთქვა მან თავისი ფიცი, რომელიც შეჰკრავდა მის სინდისს. წარმოსთქვა ის მან კარგად მოფიქრების შემდეგ, ძმის თანდასწრებით. ეს აღარ იყო უბრალო შემთხვევითი წაწყდომა თბრილზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის თავის ნებით მიდიოდა საომრად. ხოლს რომ წარმოდგენილი ჰქონოდა ამ წუთში, თუ რამდენ ხანს გასტანდა მისი სამხედრო სამსახური, რა მიმეგ, საშინელი და მრავალწლოვანი ბრძოლა იდო მან თავს, მიუხედავად მისი ალფრთოვანებისა ის მაინც შედრკებოდა ამ საშინელებისაგან.



ქართველი  
წიგნწერების  
კავშირი

### § 15.

ბოლი ჩამოვიდა ძირს. ხალხი გაიშალა; და ის ძმასთან ერთად, რომელიც მოუშორებლად დაჰყვებოდა მას, გაემართა ქუჩით კანტორისაკენ; კანტორის ბალკონზე პოლისმენები იდგვნ. გზა რაღაც ტრიუმფალურ სვლად გადაიქცა. მოუხეშავი ხმები ცდილობდნენ მის გამხნეეებას, მუშები სჯლიკვავდნენ ერთმანეთს, უნდოდნენ წინ გაძრომა, რომ ჩამოერთმიათ მისთვის ხელი ან მხარზე თანაგრძნობით ხელი დაეკრათ. ისინი ედუარდსაც ართმევდნენ ხელს, და მხარზე ხელს ურტყამდნენ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ მას რაღაც კავშირი აქვს ბოლთან და აღჭურვილია მისი ნდობით. ბოლოს ხოლს ყოველთვის ეცინებოდა როდესაც ეს სცენა გაახსენდებოდა: ქეწნარიტად ედუარდისათვის ეს წარმოუდგენელი თავგადასავალი იყო.

ბოლი ავიდა ბალკონზე და მიმართა პოლისმენებს.

— მე მინდა მოველაპარაკო მისტერ კარტრაიტს.

— ის ეხლა თავის საბლში იმყოფება, — ტლანქად მიუგო ერთმა მითვანმა.

— ბოლი, ჯერაც ისევ ედუარდის თანხლებით, შევიდა მთავარი ზედამხედველის კერძო კანტორაში.

ბოლმა, მუშად ყოფნის დროს, ერთგვარი კლასობრივი შეგნება შეიძინა, და ამიტომ მას თვალში ეცა, რომ კარტრაიტი ზრდილობიანად მიესალმა ედუარდს, ხოლო მას, ედუარდის ძმას, თითქოს ვერც კი ამჩნევდა.

— მისტერ კარტრაიტი, — მიმართა ბოლმა, — მე მოვედი თქვენთან როგორც დეპუტატი მუშებისაგან.

ამ სიტყვებმა თითქოს არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინეს მთავარ ზედამხედველზე.

— მე უნდა განვაცხადო, რომ მუშები არ დაიწყებენ მუშაობას მანამდე, ვიდრე შესრულებული არ იქნება მათი შემდეგი ოთხი მოთხოვნილება. პირველი...

კარტრაიტმა სწრაფად და მკვახედ გააწყვეტინა მას სიტყვა.

— შეგიძლიათ აღარ გააგრძელოთ, მისტერ უორნერ. კომპანია ელაპარაკება მუშებს მხოლოდ ინდივიდუალურად, თითოს ცალკე, არავითარ დეპუტატებს ის არ იღებს.

ბოლმა ისევ სწრაფად მიუგო:

კარგი, მისტერ კარტრაიტი; ამ შემთხვევაში მე მოგმართავთ თქვენ ინდივიდუალურად.

მთავარი ზედამხედველი ერთი წამით თითქოს დაიბნა.

— მე მოვითხოვ ჩემთვის ოთხ კანონით მინიჭებულ უფლებას. პირველი, უფლება მქონდეს ვეკუთვნოდე მუშათა კავშირს, ისე რომ ამისთვის სამუშაოდან არ დამითხოვონ.

კარტრაიტმა ისევ აიღო თავისი მშვიდი, მკაცრი ტონი.



— თქვენ ყოველთვის გქონდათ და გაქვთ ეს უფლებები...  
 არავინ დაუთხოვია მუშათა კავშირის წევრობისათვის.

მან შეხედა ხოლს, მათი თვალები მტრულად შეხედენ ერთმანეთს. ხოლს სიბრაზე ახრჩობდა, მან ველარ შესძლო მეტის მოთმენა.

— მისტერ კარტრაიტ, — წარმოსთქვა მან, — თქვენ ხართ მონა და მსახური ერთი უდიდესი კომედიანტის მთელ ქვეყანაზე, და თვითონ თქვენ არაჩვეულებრივ აქტიორულ ნიქს ამგლავნებთ.

კარტრაიტი სულ ერთიანად გაწითლდა და დაიხია უკან.

— ხილ, — საჩქაროდ ჩაერია ედუარდი, — ასეთ ლაპარაკს არა აქვს არავითარი აზრი.

ხოლმა ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს და განავრძო:

— მისი მზაყურებელია მთელი ქვეყანა. ის თამაშობს, ჩვენს წინაშე ყოველად წარმოდგენულ ფარსს, და ამავე დროს, როგორც ის, ისე მისი აქტიორები, სრულ სიდინჯესა და სერიოზულობას იცავენ.

— მისტერ კარტრაიტ, — ღირსეულად წარმოსთქვა ედუარდმა, — თქვენ იცით, რომ ყოველი ღონე ვიზმარე, რომ შემეჩერებინა ჩემი ძმა.

— რა თქმა უნდა, მისტერ უორნერ, და მეც ჩემის მზრით უდიდესი სიფრთხილით მოვექმევი თქვენს ძმას.

— აი კიდევ! — წამოიძახა ხოლმა, სწორედ რომ გენიალურია ეს აქტიორი!

— ხოლ, თუ შენ მოხვედი მისტერ კარტრაიტთან საქმისათვის...

— მისი სიფრთხილე გამოიხატა იმაში, რომ ის თავს დამესხა ღამით თავის მხლებლებით, გამომათრია სახლიდან ქუჩაში, და მისი წყალობით კინალამ ხელი მომტეხეს! ეს მართლაც რომ კომედია არის!

კარტრაიტი ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მიმართავდა არა ხოლს, არამედ ედუარდს:

— იმ დროს...

— მისი სიფრთხილე გამოიხატა იმაში, რომ მან ჩამავლო მე სატუსალოში და მამყოფა შიგ ოცდათექვსმეტი საათი პურზე და წყალზე. შეგიძლია წარმოიდგინო უფრო სასაცილო კომედია?

— იმ დროს მე არ ვიცოდი...

— მან შესთითხნა ჩემი ყალბი ხელმოწერა და გაავრცელა იგი მთელ ნორტ-ვალში. დამოლოს — ყველაზე უფრო მარჯვე ტრიუჟი — მან აცნობა ერთ რემორტიორს, თითქოს მე ნორტ-ვალში შევაცდინე ერთი ახალგაზრდა ქალი!

კარტრაიტი კიდევ უფრო გაწითლდა:

— სიკრუეა! — წამოიძახა მან.

— როგორ? — შეუყვარა ხოლმა. — თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ „გაზეთის“ თანამშრომელ ბილლი კიტინგისათვის არ გითქვამთ, ვითომც მე ნორტ-ვალში ერთი ახალგაზრდა ქალი შევაცდინე? განა თქვენ არ აუწყებთ მას იგი — ჭერათმიანი ირლანდელი ქალი?



— მე გადავეცი მხოლოდ, მისტერ უორნერ, რომ ჩემი მთავარი მოტივია...

— ზოგიერთმა ხმებმა? ეს ხმები თქვენს თავში დაიბადენ. თქვენ სრულიად და გარკვეულად უთხარით მისტერ კიტინგს, რომ...

— ამ შემთხვევაში მე თქვენ ამას ეხლავე დაგამტკიცებთ.

ხოლმა გაუწოდა ხელი საწერ მაგიდაზე მდებარე ტელეფონს.

— რა გინდა, რომ ჰქნა, ხოლ?

— მე მინდა გამოუძახო ტელეფონთან ბილლი კიტინგს, რომ გაგიმეოროს მან თავისი განმარტება.

— ნუ სულელობ, ხოლ!—წამოიძახა ედუარდმა.—რაში მესაჭიროება კიტინგის განმარტება? ხომ იცი, რომ მისტერ კარტრაიტს არ შეეძლო სკოდნოდა, თუ ვინა ხარ შენ.

კარტრაიტმა ჩასვიდა ხელი ამ წახმარებას.

— უიქველია, მისტერ უორნერ, თქვენი ძმა მოვიდა აქ როგორც მუშა...

— აჰა!—დაიყვირა ხოლმა,—აი თურმე რაში ყოფილა საქმე!—თქვენ მაშ სრულ უფლებას აძლევთ თქვენს თავს ცილი დასწამოთ მუშას, არა?

— თქვენ საქმით ხანი დაჰყავით აქ იმისათვის, რომ შეგესწავლათ ამ ხალხის ზნეობა.

— მე აქ საქმით ხანი დავყავი იმისათვის, რომ გამეგო, თუ როდესაც საქმე ზნეობას შეეხება, მაშინ თქვენ უნდა დაიწყოთ ზედახედვულებისა და პოლისმენტაგან, რომლებსაც თქვენ თავზე უყენებთ მუშებს და ნებას აძლევთ ქალებთან...

ედუარდმა გააწყვეტინა:

— ხოლ, დამიჯერე, რომ არა აქვს აზრი ამ ლაპარაკს: თუ შენ აქ საქმისათვის ხარ მოსული, თუ ღმერთი გწამს, შეუდექი პირდაპირ.

ხოლი ცდილობდა თავის დაქვრას და ისევ დაიწყო ლაპარაკი გაფიცვაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგრამ მალე შენიშნა, რომ მთავარი ზედამხედველი საბოლოოდ ჰკარგავს თავდაპირილობის უნარს.

— მე უკვე მოგეციოთ ჩემი პასუხი ამის შესახებ—სთქვა კარტრაიტმა,—მე უარს ვაცხადებ ყოველგვარ დისკუსიაზე ამ საკითხის გამო.

— კარგი,—უპასუხა ხოლმა,—რადგან თქვენ ნებას არ აძლევთ თქვენი მუშების წარმომადგენელს, რომ საქმის შესახებ მოგელაპარაკოთ, ამიტომ პირადად მე გიცხადებთ თქვენ, რომ ყოველი სხვა მუშა ნორტ-ვალში უარს აცხადებს იმუშაოს თქვენთვის.

ამ სიტყვების ფაქიზმა სარკაზმმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა მთავარ ზედამხედველზე.

— შემძლია გითხრაოთ მხოლოდ, მისტერ უორნერ, რომ ხელ მალაროში № 2 მუშაობა განახლდება, და ყოველ მუშას რომელიც უარს განაცხადებს დაიწყოს მუშაობა, იმავე დღეს აცკვრის ბარგი ძირს კანიონით წასასვლელად.

— ასე საჩქაროდ, მისტერ კარტრაიტ? მუშები სცხოვრობენ კომპანიისაგან დაქირავებულ შენობებში, და თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ხელშეკრულების



მიხედვით მუშებს, იმ შემთხვევაში, როდესაც მათ დაითხოვენ, აქვე მოითხოვონ სამი დღის ვადა

კარტრაიტი ჩაიდინა სისულელე და გაპყვა კამათს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეღუარდი უგდებდა კამათს ყურს, და მას უნდოდა გამართლება იმის წინაშე.

კომპანია კი არ ასახლებს მუშებს, არამედ ქალაქის ხელისუფლება. რომლის სათავეში თქვენ იმყოფებით?

— შემთხვევით მე აღმოვჩნდი ნორტ-ვალის ქალაქის თავად არჩეული.

— მაშასადამე თქვენ, როგორც ქალაქის თავმა აგრძნობინეთ ჩემს ძმის, რომ გამაგდებთ, არა?

— მე ვსთხოვე თქვენს ძმას მოეწყო ისე, რომ თქვენ თქვენის ნებით წასულიყავით აქედან.

— და აგრძნობინეთ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ შესძლო ეს, თქვენ მე გამაგდებთ აქედან?

— დიახ, სწორედ.

— თქვენ მოგახსენეთ, რომ მოქმედობთ მისტერ ხარიჯანის დეპეშით გადმოცემულ ინსტრუქციების თანახმად. ნება მომეცით შეგვეკითხოთ, რა თანამდებობა უჭირავს მისტერ ხარიჯანს ქალაქის თვითმართველობაში?

კარტრაიტი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა.

— თქვენ ძმას ისე არ გაუგია, როგორც ვუთხარი, — გაბრაზებით შენიშნა მან და მიბრუნდა ეღუარდასაკენ.

— შენ ისე არ გაიგე, როგორც ვითხრა, ეღუარდ?

უკიდურესად გაბრაზებული ეღუარდი ფანჯარასთან იდგა ამ დროს; ის კონსერვის კოლოფებისა და ნაცრის ბეჭეების ყურებით ერთობოდა და არ უნდოდა მობრუნებულიყო მათკენ. მაგრამ კარტრაიტი იცოდა, რომ ის ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს, და სურდა, რომ თავისი შეცდომა გაესწორებინა.

— ყმაწვილო, — წარმოსთქვა მან, — თქვენ დაარღვიეთ ზოგიერთი ადგილობრივი კანონი.

— განა არსებობს ისეთი კანონი, რომელიც კრძალავს მუშათა კავშირის მოწყობას?

— არა, მაგვარი კანონი არ არსებობს, მაგრამ არსებობს კანონი, რომლის ძალით აკრძალულია ქუჩებში სიტყვების წარმოთქმა.

— შემიძლია შევიტყო ვინ გამოსცა ეგეთი დადგენილება?

— ქალაქის თვითმართველობამ.

— რომელიც შესდგება ფოსტის უფროსისა და საწყობის გამგე ჯონსონის, კომპანიის ბუბალტერის ელისონის, მაღაროს ზედამხედველის შტრაუსისა და მიკიტან ო'კალახანისაგან. სწორეა თუ არა ჩემი სია?

კარტრაიტი სდუმდა.

ხოლო თვით მართველობის მეხუთე წევრი კი თქვენა ხართ, ex officio — მისტერ ინოხ კარტრაიტი, ქალაქის თავო და კომპანიის მთავარო ზედამხედველო.



ქართველთა  
წიგნების კავშირი

საქართველოს  
წიგნების კავშირი

კარტრაიტი ვერ კიდევ სდუმდა.  
— თქვენ გაქვთ კანონი, რომელიც უკრძალავს ქუჩებში სიტყვის წარმო-  
თქმას, ხოლო იმავე დროს ყველა სამიკიტნოები, გასაქირავებელი შენობები,  
ეკლესია და სკოლა კომპანიას ეყუთენის. მაშ, სად უბრაძანებთ მოქალაქეებს ამ  
შემთხვევაში მიტინგების მოწყობას?

— თქვენგან კარგი ვეჭილი გამოვიდოდა, ყმაწვილო. ჩვენ ძალიან კარგად  
გვესმის თუ რას გულისხმობს ეგ თქვენი „სიტყვა“.

— თქვენ იმის წინააღმდეგი ხართ, რომ მოქალაქეები მიტინგებზე იკრი-  
ბებოდნენ?

— ჩვენ მხოლოდ საჭიროდ არ მიგვაჩნია საშუალება მივსცეთ აგიტა-  
ტორებს, რომ მუშები კეკუიდან შეგვიშალონ.

— ვებნადე და გეკითხებით, მისტერ კარტრაიტი, ვისი სახით შელაპარა-  
კებით ეხლა თქვენ მე: როგორც ამერიკული ქალაქის თვითმართველობის მე-  
თაური, თუ როგორც მალაროების მთავარი ზედამხედველი?

— კარტრაიტის სახე სულ უფრო და უფრო წითლდებოდა. ის მიუბრუნ-  
და მისკენ ხურგით მდგომ ეღუარდს.

— მე არ მესმის, რა საჭიროა მთელი ეს ლაპარაკი.

ეღუარდიც იმავე აზრის იყო. ის მოტრიალდა.

— მართლაც, ხოლ...

— ეღუარდ, ეს კაცი ბრალსა მდებს, თითქოს მე კანონი დამერღვიოს.  
შევიმჩნევი წინად შენ ოდესმე ჩვენს ოჯახში მიდრეკილებანი ბოროტმოქმე-  
დებისადმი.

ეღუარდი ისევ მიუბრუნდა ფანჯარას და გაერთო კონსერვის კოლოფე-  
ბის და ნაცრის თვალღერებაში. ის ამას ჩვეულებრივ, სულელურ დაეად სთელი-  
და, მაგრამ მას ესმოდა, თუ რა ხასიათზე იყო ეხლა ხოლი, მან იცოდა, რომ  
ის მანამდე არ გაანებებს კამათს თავს, სანამ მისი მოწინააღმდეგე იმდენად  
უპკუო იქნება, რომ არ მოიშლის პასუხის ვაცემას მის კითხვებზე.

— თქვენ სთქვით მისტერ კარტრაიტი, რომ მე დავარღვიე კანონი, რო-  
მელიც უკრძალავს ქუჩაში სიტყვების წარმოთქმას; ნება მომეცით გავიგო, რო-  
მელი ქუჩა არის ამ შემთხვევაში მიღებული?

— ამას თქვენ შემდეგ გაიგებთ.

ხოლმა გაიცინა.

— რამდენადაც მე თქვენი სიტყვებიდან გავიგე, სასჯელი ამის გამო  
არის გადასახლება. რამდენადაც მე ვიცნობ სასამართლოს პროცედურას, მე  
თავდაპირველად მომრიგებელ მოსამართლეს უნდა წარუდგომოდე, რომელიც,  
სხვათა შორის, შემთხვევით ქარხნის ღუქნის გამგე გამოდის? იმის ნაცვლად  
განაჩენს აცხადებს თვით ქალაქის თავი, ან შეიძლება კომპანიის მთავარი ზე-  
დამხედველი? შემიძლია ვიცოდე, თუ რა მოსახრება არის ის, საიდანაც თქვენ  
გამოდინართ?

— პატივისცემა...

— განა მე თქვენ გთხოვეთ ოდესმე პატივისცემა?





— მე მინდოდა შეთქვა, პარტიისკემა თქვენი ძმისადმი. *ქართული*

— ოჰ! მაშასადამე, კანონი დასაშვებად სცნობს, რომ ქალაქის სახეს — ანუ მთავარმა ზედამხედველმა — ბრალდებულის ძმისადმი პარტიისკემით სასჯელი გადასახლებად შესცვალოს? მაშ თქვენ ტომი ბორჯისადმი პარტიისკემის ნიშნად მისი და კანონის საზღვრებიდან გადაასახლეთ?

კარტრაიტმა მუშტები შეჰკრა.

— არა, ეხლა კი კმარა.

მისკენ ზურგიით მდგომი ედუარდი მოტრიალდა და სთქვა:

— მე საფეხებით მესმის თქვენი მდგომარეობა, მისტერ კარტრაიტ. შენ დღე ის მიუბრუნდა ხოლს:

— შენ მართლაც რომ გეყო ამდენი ლაპარაკი.

— იმედი მაქვს, — შენიშნა ხოლმა, მე საკმაო ვსთქვი იმისათვის, რომ შენ დარწმუნებულიყო იმაში, რომ ნახშირის მალაროებზე ამერიკული კანონის ფარისეულობა სხვა არაფერია, გარდა ყოვლად სულელური კომედიისა, რომელიც შეურაცყოფას აყენებს და ამცირებს ჭკოველ კაცს, ვინც დაწვეულია ჩვენი ქვეყნის თავისუფლების პარტიისკემას.

— მისტერ უორნერ, — წარმოსთქვა კარტრაიტმა, — თქვენ გამოცდილება გაქვთ ნახშირის მალაროების მართვა-გამგეობის საქმეში. თქვენ იცით, თუ რას ნიშნავს ეს, როდესაც საქმე უმეცარ უცხოელებთანაა გაქვთ, რომელთაც არავითარი წარმოდგენა ამერიკული კანონების შესახებ...

ხოლმა ხმამალა ვადიხარხარა.

— მაშ ასე, თქვენ ლექციას კითხულობთ ამერიკული უფლებების შესახებ! ლაპარაკობთ უფლებებზე და იმავე დროს ყურადღებას არ აქცევთ კანონს, ყოველ დადგენლებას, რომელიც ქალაქს ან შტატს გამოუცია, ყურადღებას არ აქცევთ კონსტიტუციას და მის მაგიერ პიტერ ხარიგანის მიერ დეპეშით გამოგზავნილი ინსტრუქციებით ხელმძღვანელობთ!

კარტრაიტი მოტრიალდა და გასწია კარისაკენ.

— უბაწვილო, — სთქვა მან თავის შემობრუნებით, — თქვენ დღეს რაც შეიძლება ადრე გმართებთ დასტავოთ ნორტ-ვალდი. მე იმედი მაქვს, რომ თქვენმა კეთილად შესძლებს თქვენს აქედან წაყვანას.

გამოთხოვების ნიშნად მან მაგრად მიიხურა კარი გასვლის შემდეგ.

§ 16

მთელი თავისი რისხვა ედუარდმა ძმის დაატეხა თავზე:

— რა ეშინიკად დაგჭირდა ჩემს წინაშე ასეთი სცენების დატრიალება. რა საზიზღრობა არის ეს. ეკამათები კაცს, რომელიც ვაცილებით დაბლა სდგას შენზე!

ხოლო ჯერაც ისევ იქ იდგა, წადაც ის მთავარმა ზედამხედველმა დასტოვა. მან შეხედა ძმის სიბრაზით დამანქულ სახეს.

— სულ ეს არის, რის თქმაც შენ შიგეძლია, ედუარდ?

— რა იდიოტური ხასიათი გაქვს! განა სულ ერთი არ არის შენთვის, თუ



რა შეხედულების იქნება შენზე ისეთი ვიღაც ოხერი, როგორც კარტრიატი?

— სრულებით ერთია, მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს, რომ ჩემს შესახებ მაგვეარი ცილისწამება არ გაავრცელოს. ბილლი კიტინგი ამბობს, რომ ეს მაგათთვის ჩვეულებრივი საქმეა.

ედუარდმა ცივად უპასუხა ამაზე.

— დამერწმუნე, რომ სკანდალური ამბავის უარყოფის თუ მოსდგები, კიდევ უფრო გაჰბერავ მას.

— სრული ჭეშმარიტება არის!—წამოიძახა ხოლმე.—აი მეც სწორედ ეგ მამრახებს. იფიქრე აბა, როგორი ვნების მოტანა შეუძლია ამას ახალგაზდა ქალისათვის.

— რა გესაქმება იმ ახალგაზდა ქალთან?

— აბა წარმოიდგინე, რომ კარტრიატი შეურაცყო რომელიმე დამაშენი ნაცნობების წრიდან, როგორ, მაშინაც გულდამშვიდებით შეხედები შენ ამ ამბავს?

— ის ვერასოდეს ვერ შესძლებდა მაგის ჩადენას; მე მეტად ფრთხილი ვარ ჩემი მეგობრების ამოჩვენაში.

— რა თქმა უნდა! შენ მდიდართა შორის ირჩევ მეგობრებს. სამწუხაროდ მე უფრო დემოკრატიული გემოვნება მაქვს.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს!—წამოიძახა გაჯავრებულმა ედუარდმა,— ყველანი თქვენ, რეფორმატორები, ერთი კომისიასგან შესდგებით; თქვენ მხოლოდ გალაპარაკოთ კაცმა, გალაპარაკოთ, დაუსრულებლად გალაპარაკოთ!

— მე გეტყვი შენ რისთვის ხდება ეგ აგრე; ისეთ კაცს, როგორც შენა ხარ, შეუძლია თვალები დახუჭოს, მაგრამ ყურებს კი ვერ დაიხშობს.

— შეგიძლია ცოტა ხანს თავი გამანებო, მანამდე მაინც, ყოველ შემთხვევაში, სანამ წავიდოდეთ აქედან? ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვულკანზე ვიჯდე და ველოდე, რომ აი ეს არის ამოხეთქავს.

ხოლმე გაიცინა.

— კეოილი. მე შენ ისედაც ვერ შეგხვდი მზიარულად; ვეცდები უფრო შეტლგახსნილი ვიყო. პედროში საქმეები მაქვს, შეგიძლია იქ ერთად წავიდეთ მაგრამ ცოტა რამ მაფერხებს...

— რა არის კიდევ?

— კომპანიის ფული ჰმართებს ჩემი.

— რა ფული?

— ის, რაც მე ნამუშევარში მეკუთვნის.

ახლა ედუარდის გაცინების რიგი მოვიდა.

— აბანოში წასასვლელად, თუ წვერის გასაპარსად გეყოფა ეგ ფული?

მან ამოიღო საფულე და გაუწოდა ხოლს რამდენიმე კრედიტის ქაღალდი. ხოლი აკვირდებოდა მას და უცერად იგრძნო რაღაც მომხდარი ცვლილება თავის სულში. მან შეითვისა არა მარტო კლასობრივი შეგნება მუშის, არამედ მისი დამოკიდებულებაც ფულისადმი. ხოლი სრულიად გულწრფელად იყო ვართული იმ ფიქრში, თუ როგორ მიეღო, რაც შეიძლება დროზე, ის ორიოდ



დოლარი, რომელიც მას კომპანიისაგან ერგებოდა. ისინი შეეძინებენ მძიმე შრომით, მათი გულისთვის მან მწარედ დაიჭრა ხელები ნაჭურჭელსა და ტყე-თვის დროს. ამ რამდენიმე დოლარით ერთი კვირა შეეძლო ეცხოვრნა რაფერ-ტის მიუღოჯახობას. და აი მის წინ სდგას ეღუარდი ვატენილი საფულეთი ხელში; უწყდის მას კრედიტების შეკვრას ისე, რომ არც კი ითელის მათ. თითქოს ეს ფულები თავისთავად ხეს მოეხსას.

ეღუარდს, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსვლია, თუ რა ხდებოდა მისი ამის სულში და განაგრძობდა დგონას გაწვდილი კრედიტებით.

— იყიდე რიგიანი კოსტიუმი, — უთხრა მან, — იმედი მაქვს შენი დემოკრატიული გრძნობები არ მოითხოვენ იმას რომ შენ ქუქუიანი და ჩამოვლეჯილი დადიოდე.

— არა, — უპასუხა ხოლმა. — მითხარით, როგორ წავალთ აქედან?

— ჩემი ავტომობილი უკვე მზად არის წასასვლელად.

— მაშ შენ ყველაფერი წინასწარ მოაწყვე?

მავრამ ეღუარდი გაუჭმდა, მას ეშინოდა, რომ ვულკანს ხელახლა არ ამოეხეთქნა!

§ 17.

ისინი გამოვიდნენ ბინიდან უკანა კარით, ჩასხდნენ ავტომობილში და ხალხის შეუმჩნეველად გავიდნენ სოფლიდან. იმ დროს, როდესაც ისინი კანიონს მიუყვებოდნენ ძირს, ეღუარდი, რაც შეეძლო არწმუნებდა ხოლს, რომ მიენებებია მთელი ამ ამბისათვის თავი და სახლში დაბრუნებულყო. მან ერთხელ კიდევ ისარგებლა მამის ტრავიული ფიჯურათ, მავრამ, როდესაც არც ამან იმოქმედა, მაშინ ის მოსდგა მუჭარას. ხოლი ველარ მიიღებს ამიერიდან სახლიდან ფულს, მამა ჩამოართმევს შემკვიდრობებს, — რაღა უნდა ჰქნას მაშინ იმან?

ხოლმა ძალიან სერიოზულად უპასუხა:

— ყოველთვის შემიძლია შევიდდე სამსახურში სამთო მუშების კავშირის ორგანიზატორად.

ეღუარდმა გამოსცვალა თავისი ტაქტიკა.

— თუ არ დაბრუნებულხარ სახლში, იცოდე ყველგან მოუშორებლივ ვიფელი შენს უკან.

ხოლმა უნებლიეთ გაიღიმა.

კეთილი, იარე ჩემთან. შენ გვეცნობი ჩემს მეგობრებს, მავრამ ერთი კი ვახსოვდეს, რის გაგონებაც არ უნდა მოგიხდეს, ყველაფერი საიდუმლოდ უნდა შეინახო.

ეღუარდმა წარბი შეჰკრა.

— რა ეშმაკად უნდა ველაპარაკო ვინმეს შენი მეგობრების შესახებ?

— რა ვიცი რა მოხდება? ერთიც ვნახოთ უცებ პიტერ ხარიგანს შეხედი და მისი მხარი დაიჭირე? მე ხომ არ ვიცი, როგორ ჩასთვლი თავს მოვალედ მოიქცე ამ შემთხვევაში?

უფროსი ძმა უცებ გაცხარდა.



— აი ეხლავე გაიგებ ამას. თუ შენ კიდევ შეეცადე მარტოაქრონი დაბრუნებას, ღმერთს გეფიცები, მე მიემართავ სასამართლომ და სწავლავს შენს ჩავსვამ. ვფიქრობ, რომ მე არ გამიძნელებდა დაეარწმუნო მოსამართლენი იმაში, რომ შენ კეთილდანი შერყეული ხარ.

— რა თქმა უნდა, — გაიცინა ხოლმე, — განსაკუთრებით ამ ოლქის მოსამართლენი.

მაგრამ, გაიფიქრა მან, როდესაც მის სახეს შეხედა, თუ ეს აზრი მაგრად ჩაუჯდა ედუარდს თავში, მაშინ არც თუ უშიშარი იქნება მართლაც მისი მდგომარეობა ამ მხით.

— მოიცადე პატარა, სანამ ჩემს მეგობარს „გაზეთის“ თანამშრომელს ბილი კიტინგს არ გაიცნობ, მაშინ შენ დაინახავ, თუ რისი გამოყვანა შეუძლია მას ამ ამბიდან. ის იწვის და ელის, რომ „გამოუშვა“ და საშუალება მივსცე „გამოაქვეყნოს“ ჩემი ბრძოლა მოხუც პიტერთან.

ორივე ვაჩუქდა, მაგრამ ხოლმე შენიშნა, რომ მისი უკანასკნელი სიტყვები ტყუილად არ იყო წარმოთქმული.

პედროში რომ ჩავიდნენ, მაკ კელარის სახლთან გაჩერდნენ. ხოლი შევიდა სახლში, ედუარდი კი ავტომობილში დაელოდა. მოხუცი შოტლანდიელი ძალიან ტყბილად შეეგება ხოლს და აცნობა ყველაფერი, რაც იცოდა. დილით მასთან ჯეროი მინეტტიმ შეიარა. მისი თხოვნით მაკ კელარმა ტელეფონით დაურეკა შერიდანში კავშირის ბიუროში და შეიტყო, რომ წინა დღით სალამოს ჯექ დევიდმა აცნობა მათ გაფიცვის შესახებ. თუმცა ტელეფონში ლაპარაკის დროს სიფრთხილის გამო სახელუმს არ ამბობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცნელი არ იყო იმის მიზევედრა, თუ ვინ ლაპარაკობდა. ამის მიზეზით პედროში მოვიდნენ მალაროს მუშების ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარე იოჯან ხარტმანი და საოლქო ორგანიზაციის მდივანი ჯემს მოილენი. ამ წუთში ორივე ისინი „ამერიკენ ოტელში“ იმყოფებოდნენ.

ყოველივე ეს ცუდი ამბავი არ იყო, თუმცა მაკ კელარმა დაუშატა ამას ისეთი რამ, რაიც სერიოზულ საშიშროებას ჰპადებდა, სახელდობრ: კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ მომენტში გაფიცვის ვერ დაუჭერენ ისინი მხარს. ვაფიცვა, ამბობდნენ ისინი, ეხლა ნადარევია, და ამას შეუძლია ცუდად იმოქმედოს მათ მიერ განზრახულ დიდ მოძრაობაზე.

ხოლი თავიდანვე უწყვედა ანგარიშს ასეთი ამბის შესაძლებლობას. მაგრამ თავისუფლება ნორტ-ვალში მისი თვალის წინ დაიბადა, მშვიერი, მისკენ იმედით და ნდობით თვალზე მიპყრობილი დაქანცული ხალხის სანახაობამ გულის სიღრმემდე შესძრა ხოლი; ის ფიქრობდა, რომ ვერც კავშირის წარმომადგენლები დარჩებიან გულგრილი ამ შემთხვევაში.

— უნდა დაგვიპირონ მათ მხარი! — წამოიძახა მან. — არ შეიძლება გული გაუტეხოთ ამ ხალხს! წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე იმედი ჩაყვდება მათში, მათ დაახრობს სასოწარკვეთილებამ! მე ყველაფერს ამას აუხსნი იმათ.

მოხუცმა შოტლანდიელმა უპასუხა, რომ ჯეროი მინეტტიც ვერც მიუდგა ამ ცნობას, დაივიწყა ყოველგვარი სიფთხილე და პირდაპირ ოტელში გაქანდა



ხარტმანთან და მოილენთან. ხოლმაც გადასწყვიტა იქ წასვლა და დაბრუნდა ავტომობილთან.

ზან აუხსნა ძმას საქმის ვითარება. ეღუარღმა, რა თაქმა უნდა, უპასუხა, რომ ის სხვას არც მოელოდა რამეს. საბრალო, შეცდომაში შეყვანილი მუშები იძულებული იქნებიან ისევ შეუდგენ მუშაობას, ხოლო მათი მეთაური კი თავის სიგიჟეში უნდა გამოტყდეს. რამდენიმე საათის შემდეგ უსტერნ სიტიში გადის მატარებელი; კარგი იქნებოდა, ხოლმე მოაწყოს საქმე ისე, რომ შესაძლებელი იქნეს ამ მატარებლით გამგზავრება.

ხოლმე ნოკლედ უპასუხა, რომ ეხლა ის „ამერიკენ ოტელში“ უნდა წავიდეს აუცილებლად, უნდა ძმამ მიიჯენოს ავტომობილით. ეღუარღმა უბრძანა შოფერს ოტელისაკენ გამგზავრება. გზადაგზა ის ათვალერებდა შეკერილი ტანსაცმელის მალაზიებს პედროში. ვიდრე ხოლი ოტელში ახალი მუშათა კავშირისათვის სიცოცხლის მინიჭების გამო ვედრებას გაათავებდეს, ძმა შეუდგება ტანსაცმელის მოძებნას მისთვის, რომელშიაც ის ცოტათოდნ „ადამიანურ“ სახეს მაინც მიიღებს.

§ 18

ოტელის ერთერთ ნომერში ხოლმა ნახა ჯერი მინეტტი და მუშათა კავშირის ორივე წარმომადგენელი. პირველი მათგანი, ჯიმ მოილენი, მალალი ახალგაზდა ირლანდიელი, შეთვალა. შეთვმიანი, მარდი და გრძნობიერი, ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომლებიც პირველი შეხედვისთანავე აღძრავენ კაცში სიმპატიას და რწმენას თავისადმი. მეორე—იოვან ხორტმანი, წმინდა სისხლის გერმანელი, ჭალარათმიანი მალაროს მუშა იყო, თავდაჭერილი, ლაპარაკობდა დინჯად, აუჩქარებლად; ეტყობოდა რომ ფიზიკურად და მორალურად ეს ძლიერი ადამიანი იყო. ეს ძლიერება სწორედ რომ საჭირო იყო მისთვის, ვინაიდან ის ხელმძღვანელობდა ერთერთ ცენტრალურ კავშირს, რომელიც „რეიმონდის სამეფოს“ შიგ გულში იყო მოთავსებული.

ხოლმა აცნობა მათ, თუ როგორ იქნა დეპუტაცია მოტაცებული. კავშირის წარმომადგენლებს თითქოს სრულგბითაც არ გაჰკვირვებიათ ეს ამბავი; ყველა აქციონერული კომპანიები ჩვეულებრივ ვგრე იქცევიან, თუ კი იჯანყების საშიშროება არსებობს. ამიტომ ზედმეტია მუშების აშკარა შეკავშირების ყოველგვარი ცდა; გამარჯვების იმედი მხოლოდ ფარული პროპაგანდის გზით უნდა გვქონდეს, რომლის წარმოება საჭიროა მანამდე, ვიდრე ყოველ მალაროზე საორგანიზაციო უჯრედი არ მოეწყობა.

— მამასალამე თქვენ არ შეგიძლიათ შხარი დაუჭიროთ ჩვენს გაფიცვას?— ჰკითხა მათ ხოლმა.

— ეს შეუძლებელია, — უპასუხა მოილენმა. — გაფიცვა თავიდანავე წაგებულია; არ არის გამარჯვების არავითარი იმედი, ვიდრე წინ ამოდენი საორგანიზაციო სამუშაო გვაქვს კიდევ.

— მაგრამ მამინ ნორტ-ვალის მუშათა კავშირიც დაიმსხვრევა ერთიანად? — შენიშნა ხოლმა.



ძალიან ადვილი შესაძლებელია, — იყო პასუხი, — მაგრამ ქრეწვეულების გვაქვს ახალის შექმნის შესაძლებლობა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა: სწინა მუშათა მოძრაობაში.

ჯიმ მოიღენი ახალგაზდა იყო, მან მაშინვე ვაიგო ხოლის განწყობილება.

— ყალბად არ ვაიგოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან — წამოიძახა მან. — მართალია, ყოველივე ის, რაც თქვენ გვიამბეთ, საშინელება არის, მაგრამ დახმარების ვაწევა მათთვის ჩვენს ძალას აღემატება. ჩვენს ამოცანაში შედის მუშათა კავშირის შექმნა; ხოლო თუ ჩვენ ჩვენი ძალ-ღონე ყოველივე იმის მხარის დაქვრას მოვანდომეთ, რაც ცოტად თუ ბევრად გაფიცვას წაიგავს, მაშინ ჩვენ ერთი წლის შემდეგ ვაკოტრდებით. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა ხშირია მაგგვარი შემთხვევები; ერთი თვე არ გავა ისე, რომ ასეთ მდგომარეობაში არ მოვექცეთ.

— მე მესმის თქვენი აზრი, — სთქვა ხოლმა, მაგრამ მე ვფიქრობდი რომ სწორედ აქ, ასეთი კატასტროფის შემდეგ... მუშები ისე აღშფოთებულნი არიან...

ახალგაზდა ირლანდიელმა ნალელიანად ვაიღიმა:

— თქვენ ჯერ გამოუცდელი ხართ ამ საქმეში. მარტო კატასტროფა რომ იყოს საკმაო გაფიცვის ჩასატარებლად, მაშინ ჩვენი ამოცანა, ვარწმუნებთ მე თქვენ, ძალიან მარტივი იქნებოდა. ბორელში, კანიონის ქვემო ნაწილში, მოხდა სამი დიდი აფეთქება, შარშან იქ ხუთას კაცზე მეტი დაიღუპა.

ხოლი გულში უტყუდებოდა თავის თავს საკუთარ გამოუცდლობაში.

ის უცქეროდა კავშირის ორივე წარმომადგენელს და უნებლიეთ იგონებდა, თუ რა სახით ჰკავდა წარმოდგენილი მას ასეთი ხალხი, როდესაც პირველად გამოცხადდა ნორტ-ვალში — გულფიცი, თავდაუტყველი აგიტატორები, რომლებიც პატიოსან მშრომელებს მუშაობაზე აცდენენ. აქ კი სულ სხვაფრივ იყო საქმე. ის იწოდა, ლელავდა, ხოლო ორი მუშა, შეთაურები, ცივ წყალს ასხამდნენ მას. მათ მშვიდად ეპირათ თავი, ლაპარაკობდნენ საქმიანი კილოთი და გამოჰქონდათ განაჩენი ნორტ-ვალის ტყეებისათვის: — უკან, ქვასკენლის ღამის სიბნელეში!

— რა უნდა უთხრათ შერმე ჩვენ მუშებს? — იკითხა ხოლმა დაფარული ნალელით.

— ის, რაც გითხარით: ჩვენ უძლურნი ვართ რითიმე დავებმართოთ, ვიდრე მთელი ოლქი არ იქნება დარაზმული. უნდა მოითმინონ როგორმე და იმავე დროს მთელი ძალ-ღონე მოახპარონ იმას, რომ კავშირი მთლიანად შეინარჩუნონ.

— მაგრამ ყველა აქტიური მომუშავენი დაუყოვნებლივ იქნებიან დათხოვილნი.

— არა, ყველა არა, — ძალიან იშვიათად ხერხდება ყველას გამოჩხრეკა.

ებლა ლაპარაკში მოხუცი, მშვიდი გერმანელიც ჩაერია.

— უკანასკნელი წლის განმავლობაში კომპანიამ დაითხოვა ექვსი ათას მუშაზე მეტი, ზოგი იმისათვის, რომ კავშირის საქმეებში იღებდნენ მონაწილეობას, ზოგიც კიდევ იმის გამო, რომ საექვოლ მიაჩნდათ.



- ექვსი ათასი! — გაიმეორა ხოლმა. — მარტო ამ თვეში დაიწყო
- დიახ.
- მაგრამ მთელ ოლქში ხომ თორმეტი, სულ ბევრი, ხუთმეტი ათასი კაცი თუ იქნება!
- ვიცი.
- როგორღა არსებობს თქვენი კავშირი?

ხოლს უცებ ელსტრომის ქიანჭველები გაახსენდა. აი ისინი, იმის წინ — ისინი აშენებენ თავის ხიდს, ლელეს მიაქვს იგი, ისინი კი ისევ აშენებენ და აშენებენ. მათ ჰქონდათ ჯიუტობა და მოთმინება, რომელსაც არ იცნობს შეძლებული კლასების ახალგაზდობა, რომელიც შეჩვეულია, რომ მისი სურვილები დაუყოვნებლივ მოჰყავდეთ სისრულეში, რომელიც თავისუფლებასა და სამართლიანობას ისე უცქერის, როგორც ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობებს. ხოლმა ბევრი რამ ისწავლა ამ ხალხის სიტყვებიდან, მაგრამ კიდევ უფრო მეტს ეუბნებოდა მას მათი სიჩუმე და სიმშვიდე, ისეთი ფაქტების წინაშე, რომლებსაც ხოლი ვაცოფებამდე მიჰყავდა. მან თანდათან გაიგო მთელი მნიშვნელობა იმ ფიცისა, რომელიც იმან იმ ლატაკებს მისცა ნორტ-ვალში. მას ვაცილებით მეტი დასჭირდება, ვიდრე ერთი წუთის მზურკაღე აღფრთოვანება, რომ შეასრულოს მიცემული პირობა, მის დასჭირდება მთელი მისი გონება, მოთმინება და დისციპლინა, მის მოელის სწავლისა და მძიმე შრომის მრავალი წლები წინ.

§ 19

ხოლი იძულებული იყო დამორჩილებოდა კავშირის წარმომადგენლების გადაწყვეტილებას; მათ მღადარი გამოკდილება ჰქონდათ, საქმე მათთვის ნათელი იყო უგრო. მუშები ისევ უნდა შეუდგენ მუშაობას; კარტრაიტი, ალექსტონი და ჯეფ კოტონი ძველებურად ამოსდებენ მათ ლაგამს პირში. ერთადერთი, რაც დარჩენოდათ მემამბოხეებს, — ეს არის ხელშეუბებლად მათი საიდუმლო ორგანიზაციის შერჩენა.

ჯერრი მინეტტიმ უამბოთ იმის შეზახებ, რომ ჯემ დევიდი გაბრუნდა უკან, ისე რომ კავშირის წარმომადგენლებსაც კი არ მოლაპარაკებია. შესაძლებელია მან მოახერხოს ყოველგვარი ეჭვების თავიდან აცილება და შესძლებს შემდეგში, სარგებლობა მოუტანოს მუშათა კავშირს.

- შენ? — ჰკითხა ხოლმა. — შენ უკვე აგებული გაქვს წესი?
- რა გაეწყობა! საბოლოოდ მაქვს აგებული!
- ვესტიბიულში ჯამუშები ვერ შენიშნეთ? — იკითხა ხარტმანმა.
- ასე უკვებ ვერც იცნობ კაცი.
- შეეჩვევით მაგათ ცნობას თანდათან, თუ თქვენს მოღვაწეობას გაავრძელებთ. მის შემდეგ, რაც ჩვენი ცენტრალური სამმართველო გაიხსნა, არ ვაივლის ერთი წუთი, რომ ვე საძაგლები ქუჩის გადაღმა კუთხეში ხუთი-ექვსი არ იქნეს ატრუხული. თუ რომელიმე მუშა მოვიდა ჩვენთან, ისინი მისდევენ მას თვით მაღარობამდე, და იმავე დღეს მუშის ითხოვენ ადგილიდან. ერთხელ



ქართული  
განმანათლებელი

მათ გატეხეს ჩემი საწერია მაგიდა და წერილები და ქაღალდები მოიძარეს. ეს-  
ლა რამდენჯერ მოკვლით გვეშუქებოდნენ!

— და თქვენ მაინც განაგრძობთ მუშაობას?

— რა თქმა უნდა, როდესაც ჯაშუშები ჩემს საწერ მაგიდასა სტეხდნენ,  
მათ ეგონათ, რომ ისინი იქ ჩვენი ორგანიზატორების სიას ნახავდნენ, მაგრამ  
სია მე თავში მაქვს შენახული.

— და ეს ნიშნავს რამის თუ არა, ჩაუროთო მოილენმა

— იცით რამდენი ორგანიზატორი მუშაობს ჩვენთან? ოთხმოცდაჩვიდმე-  
ტი, და არცერთი მათგანი ვერ ხელში არ ჩაეარდნით.

ხოლი გაოცებული უჯდებდა ყურს; ყოველივე ეს ახალ შუქსა ჰქენდა მე-  
შათა მოძრაობას. ეს მშვიდი ნიჟურე გერმანელი, რომელსაც ადვილად მიიღებ-  
და კაცი რომელიმე გოსტრონიომიული სავაჭროს პატრონად, ეს ახალგაზრდა,  
მხიარული ირლანდიელი, რომელიც ქალიშვილთან ხელგაყრილი და ცეცხლის-  
მქრობელთა ბალზე მიმავალი შეგებლათ წარმოვედგინათ,—ი ვინ არის იმ მე-  
სანგრე ათასეულის კაპიტანი, რომელსაც თხრილი გაჰყავს პიტერ ხორიგანის  
გაუმადლობის ციხე-სიმაგრეების ქვეშ.

ხარტმანი უჩევედა ჯერრის ამ მოღვაწეობისთვის მოცილდა ხელი. იმას  
სულ ერთია დაითხოვენ, ამიტომ უმჯობესია, თუ ის ეხლავე აცნობებს ოჯახს,  
რომ გადმოვიდეს პედროში, ამით ის ჯაშუშებს ვადღურჩება და საორგანიზაციო  
მუშაობისათვის შეინახავს თავს. მაძიებლები ჩვეულებრივ მალაროებამდე მის-  
დევენ მუშას, რომ გამოარკვიონ მისი პიროვნება. თუ ჯერრი ეხლა უე-  
სტერნ სიტისაკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდება, ისინი დაჰკარგავენ მის  
კვალს. შემდეგ ის შესძლებს მოეწყოს სადმე სხვა მალაროზე და იქ იტალიე-  
ლები დარაზმოს. ჯერრიმ სიხარულით ჩასკიდა ხელი ამ გეგმას; ამგვარად რამ-  
დენიმე ხნით გვიანდებოდა ის დღე, როდესაც როზა თავის შვილებით ბედის  
ანბარა უნდა დარჩენილიყო:

ისინი განაგრძობდნენ ლაპარაკს, უცებ ტელეფონმა დარეკა: ხარტმანის  
მდივანი იუწყებოდა შერიდანიდან, რომ მან ეს არის ეხლა ცნობა მიიღო მო-  
ტაცებული დემუტაციის შესახებ. ყველა ისინი, რვა მამაკაცი და მერი ბარკი,  
სადგურ ხორტონზე მოიყვანეს და სასტიკი განსჯის შიშ ქვეშ ვაგონში მოათა-  
ესეს. მაგრამ ისინი, როგორც კი გაჩერდა მატარებელი, ჩამოხტნენ ძირს, და  
ეხლა პედროსაკენ მოდიან; რამდენიმე ხნის შემდეგ ოტელში იქნებიან.

ხოლს უნდოდა ენახა ისინი, და გაემართა, რომ ძმისთვის ეცნობებინა ეს  
ამბავი, რა თქმა უნდა, გაცხოველდა კამათი ისევე. ედუარდმა უარაკა ხოლს,  
რომ პედრო თავისი მდებარეობის ერთფეროვნებით მეტად მოსაწყენია; ხოლმა  
უთხრა, რომ ის ვააცნობს მას თავის მეგობრებს, თუ ისურვებს. ედუარდს შე-  
უძლია ბევრი რამ ისწავლოს ამ ხალხისაგან, მას საშუალება ექნება დაესწროს,  
კომიტეტის სხდომას, ნახოს იქ ქალი და რვა კაცი, რომლებიც ისე მოიქცენ  
როგორც ნამდვილი გმირები—ყველა ისინი ბოროტმოქმედების მსხვერპლნი  
არიან. ედუარდს არ მოეწყენება ასეთ საზოგადოებაში. მათ შორის ის ნახავს,  
მაგალითად ცისფერთვალემა ტიმ რაფერტის; არის იქ ავრეთვე ჯუმი ჰეარტ-





ლით შემორული გნომი, რომელიც გამოდის ხოლმე ბნელი გვირაბიდან და მიეჭანება მოოქროვილ მჭევრმეტყველების ფრთებით; ნახავს მსრ. მჭევრმეტყველებს, რომლის შესახებ იგი „უესტერნ ვაზეთის“ საღამოს ნომერში წერდა: „მაღარობის ორღეანელი ქალწული“. მაგრამ ედუარდს ნაკლებად ხიბლავდა ყოველივე ეს, მას ფიქრით წარმოედგინა საღამოს ვაზეთში ირლანდიელი ეანა დარკის გვერდით თავისი ძმის სურათი.

ხოლი წავიდა ჯერრი მინეტტისთან ერთად სასადილოდ სამიკიტნოში, „ბეროში“, როგორც ეს ედუარდმა მონათლა; თვით ედუარდი კი ზვიადად განმარტოებული „ამერიკენ ოტელის“ რესტორანში დაბრმანდა. თუმცა მისი მარტოობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მას გვერდით მოუჯდა და დავლაპარაკა ვილაკ გამპირიაზე თვალის მჭონე ახალგაზდა კაცი. მან გააცნო თავი საგალანტერიო ვაჭრობის კომისიონერად და ჰკითხა; თუ რა საქმეების გამო მოგზაურობს ედუარდი. ედუარდმა ცივად უპასუხა, რომ არაერთიანი საქმეები არა აქვს. მაგრამ ახალგაზდა კაცი სრულიადაც არ დარცხვენილა ამ გარემოებით— ეტყობოდა მისმა პროფესიამ ყოველგვარი თავმოყვარეობა ჩაჰკლა მასში. ვგებ ედუარდი ნახშირის წარმოებით იყოს დაინტერესებული? ის ისე დაბეჯითებით იძლეოდა კითხვებს, ისეთი სიჯიუტით უბრუნდებოდა ამ თემას, რომ ედუარდმა მოიფიქრა ბოლოს, რომ უცნობი, რომელიც მას ასეთი ყურადღებით ეპყრობა, მაძიებელი უნდა იყოს უეჭველად. საკვირველია, ამ გარემოებამ გაცილებით უფრო იმოქმედა ედუარდზე პიტერ ზორიგანის რეჟიშის წინააღმდეგ, ვიდრე მისმა ძმის მთელმა მჭევრმეტყველობამ.

§ 20

გავიდა ცოტა ხანი სადილის შემდეგ და გამოსევეებული დეპუტატებიც მოვიდნენ, ყველანი, მტვერში და ტალახში ამოსვრილი, აწეწილ-დაწეწილი, სულიერად გატანჯული და გულგატეხილი იყვნენ. იმათ მაშინავე იოვან ხორტმანი იკითხეს, მათ უჩვენეს მისი ნომერი, მაგრამ აქ მძიმე სცენა დატრიალდა. ზორტმოქმედების მსხვერპლნი, რვა კაცი და გმირი ქალი, ადვილად ვერ შერიგებოდნენ იმ გარემოებას, რომ მთელი მათი შრომა და მსხვერპლი უშედეგოდ რჩებოდა. ისინი სრულებითაც არა პთარავდნენ თავიანთ აზრს იმათ შესახებ, ვინაც, მათი შეხედულებით, მოღალატენი იყვნენ.

— თქვენ აგვაგულიანეთ ჩვენ! — ყვიროდა ტიმ რაფერტი. — რაც ჩემი თავი მახსოვს, თქვენ მუდამ სტანჯავდით ჩემს მოხუცებულ მამას, რომ მოგზმარებოდათ, ეხლა კი, როდესაც ჩვენ შევასრულეთ თქვენი მოთხოვნილება, თქვენ ბედისამარა გვიპირებთ დატოვებას!

— ჩვენ არასოდეს არ მოგვითხოვია თქვენგან გაფიცვა, — უპასუხა მოილენმა.

— ევ მართალია, ჩვენ მოგვეთხოვებოდა მხოლოდ საწევრო გადასახადის თავის დროზე შეტანა, რომ თქვენ საუცხოოვო ჯამაგირი მიგელოთ.

— ჩვენი ჯამაგირი არც ისე საუცხოოვოა, როგორც თქვენ ფიქრობთ, —



დამწეიდებით წარმოსთქვა ახალგაზრდა მეთაურმა.—მოიკითხეთ ცნობა ამის შესახებ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

— როგორც არ უნდა იყოს თქვენი ჯამეაგირი, თქვენ მის არა ჰკარგავთ, ჩვენ კი გვეკარგება ჩვენი ხელფასი. ჩვენი საქმე გათავებულა, ქუჩაში ვართ გამოყრილი. ამავე დროს უნეტესობა ჩვენს შორის ოჯახის პატრონია. მე, მყავს მაგალითად, მოხუცი დედა, რამდენიმე და და ძმა, მანას მეტი მუშაობა აღარ შეუძლია. რა გვეშველება ჩვენ ყველას?

— მოგეხმარებით ცოტაოდენს, რაფერტი.

— მოშორდით თავიდან!—დაიყვირა ტიმმა.—არ მინდა მე თქვენი დახმარება! თუ მოწყალეა დაძმობა ოლქში მიემართავ; იქაც ოხრები სხედან, მაგრამ ისინი თავიანთ თავს მუშების მეგობრებს მაინც არ უწოდებენ.

აი ის მომენტია, რომლის შესახებ ოდესღაც ოლსონი ლაპარაკობდა: მომენტი, როდესაც მუშების თავში ისე აირია ყველაფერი, რომ მათ აღარ იციან ვის დაუჯერონ და ეჭვით ეპყრობიან იმათ, ვისაც ნამდევალად უნდა მათთვის დახმარების გაწევა.

— ტიმ—უახია ხოლმე, —შენ არ უნდა ლაპარაკობდე აგრე. უნდა მოვითმინოთ როგორმე...

აქ კი ეტაკა ტიმი ხოლს:

— რა გესმის შენ ამაში? შენთვის ეს ხუმრობა არის მხოლოდ, წახვალ, როდესაც მოისურვებ, და დაგაგიწყდება ყველაფერი. მე გაგონილი მაქვს, შენ მდიდარი ხარ.

— არც მე ვარ ისე არხეინად, როგორც შენ ფიქრობ, ტიმ. შეიძლება ხომ ბევრმა სხვა რამემაც ვაგტანჯოს კაცი, არა თუ სიღარიბემ წარტო...

— ჰო, კი აღარ გამოკლევა ტანჯვა შენს მდიდარ ნათესავებთან,—გესლიანად წარმოსთქვა ტიმ რაფერტიმ.

დამსწრეთა შორის უკმაყოფილო დუღუნე გაისმა.

— თუ ღმერთი გწამს, რაფერტი!—ჩაერია მოილენი.—გაიგეთ, რომ ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ; ჩვენ იმგვარადვე უძღურნი ვართ გავაყეთოთ რამე როგორც თქვენ!

— თქვენ ამბობთ, რომ უძღურნი ხართ, მაგრამ თქვენ არც კი გინდათ სცადოთ!

— არ გვინდა ვსცადოთ? როგორ შეგვიძლია მხარი დაუჭიროთ ისეთ გაფიცვას, რომელიც აუცილებლად დამარცხდება. მაგარივე უფლებებით თქვენ შეგიძლიათ მოგეთხოვოთ, რომ რკინის გზის ლიანდაგზე დაეწვეთ და დატვირთულ რონოდას ნება მიეცეთ ზედ გადაგვიაროს. ამ ჯამად ჩვენ არ შეგვიძლია გავიპარჯოთ, გაიკეთ ეს! მე თქვენ გეუბნებით, რომ არ შეგვიძლია გავიპარჯოთ! ჩვენ მხოლოდ სრულიად უსარგებლოდ, მსხვერპლად მივიტანთ მუშათა კავშირს!

მოილენი ერთბაშად აენთო. მისი თვალის წინ ამ ოლქში სულ უკანასკნელი თორმეტიოდე თვითნება გაფიცვის შემთხვევამ მაინც გაიარა, აუარე-



ბელი ახლად გამომცხვარი გაფიცულები გულგახეთილი, გეწამებოდათაგ შე-  
ათარს მოკლებული დახმარებისათვის მიმართავდნენ მას. შიშვენიერებას

— თქვენის აზრით, ჩვენ შევძლებდით ჩვენი საშუალებებით ხელი შეგ-  
ვეწყო და დახმარება გაგვეწია თქვენთვის იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კომბა-  
ნია ჩინელებს აიყვანდა მალაროებში? სანამდე მიგვიყვანდა ჩვენ ეს, რაფერტი?  
მიუხედავად ჩემი ახალგაზრდობისა, მე არა ერთი და ორი კავშირის დაღუპვის  
მოწმე ვყოფილვარ. ბანკი რომ გექონდეს, ჩვენ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით  
ვაუბრთავდით ხელს მთელი რაიონის მუშებს, ყოველ მათგანს საშუალება  
ექნებოდა მაშინ ეცხოვრა უმუშევრად მანამდე, ვიდრე ყველა მისი მოთხოვნი-  
ლებები დაკმაყოფილებული არ იქნებოდა, მაგრამ იმ ფულს, რომელიც ეს  
ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, ჩვენ ვიღებთ ჩვენივე ამხანაგ მუშებისაგან,  
ეს მალაროებში შეტყეილი ფულია შრომით ისე, როგორც თქვენ და თქვენი  
მოხუცი მამა იყენთ. ჩვენ გვაძლევენ ფულსა და გვეტყებინათ: „შეჭუნით ამ ფუ-  
ლით მუშათა კავშირი, გამოიყენეთ ის იმათ დასახმარებლად, ვინც ვერ კიდევ  
შეკავშირებული არ არის, აიძულეთ ისინი შემოვიდნენ ჩვენს კავშირში, რომ  
ბელი არ შეგვიშალოს ბრძოლის დროს და შტრეკებებზე არ მოგვევლი-  
ნონ. მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, უკმადა კი ნუ დახარჯავთ ფულს; ის მძიმე  
შრომით არის მონაპოვარი, თუ ვერავითარი შედეგი ვერ დავინახეთ, მაშინ  
თქვენ მეტს ველარას მიიღებთ ჩვენგან“. ნუ თუ ეს ნათელი არ არის თქვენ-  
თვის? ნუ თუ თქვენ არ გინდათ გაიგოთ, თუ რა დიდმნიშვნელოვანი საკით-  
ხია ეს ჩვენთვის, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შიში იმის წინა-  
შე, როგორმე ეს ჩვენი უბადრუკი ჯამაგირი არ დაგვეკარგოს? თქვენ არა  
გაქვთ უფლება მელაპარაკოთ ისე, თითქოს მე პიტერ ხარიგანის შვილი ვიყო.  
ცხრა წლის ბავშვი ვიყავი რომ უკვე მალაროში ვმუშაობდი; მე აკერ ამას წი-  
ნად დავსტოვე მალარო, მაგრამ არასოდეს არ დამავიწყდება იგი... მერწმუნეთ,  
ათ ღამიანი მობით არა მძინავს, ეს იმიტომ კი არა, რომ თავის რჩენის შესახებ  
ბევრსა ვფიქრობდე, — დღე და ღამ მუშაობის დროს მე ცოტა რამ ცოდნა  
წევძინე და ყოველთვის შემძლია ასე თუ ისე მოვეწყო სადმე, — მე არა მძი-  
ნავს იმიტომ, რომ ბევრსა ვფიქრობ მუშების ფულის რაც შეიძლება მიზანშე-  
წონილად გამოყენებაზე. ტამ რაფერტი, როდესაც წუხელი ვაგონში მჯდომი  
ვურს ვუგდებდი ბორბლების ბმაურს, მე სულ ერთს ვფიქრობდი: აი ენახავ  
კიდევ ტანჯვას, გაკირვებას, ენახავ, როგორ მომშართავს დახმარებისათვის, რო-  
ნიერი ხალხი, რომელსაც ის მაინც ვერაფრის გზით ვერ გაურკვევია, თუ რო-  
გორ ხდება ეს, რომ ჩვენ ჯამაგირს ვიღებთ იმ დროს, როდესაც მათ ადგი-  
ლებიდან ითხოვენ. როგორ დაუმტკიცო მე ამ ხალხს, რომ მე მათ სასარგებ-  
ლოდ ვმუშაობ რაც ძალი და ღონე მაქვს, რომ მე არავითარი დანაშაული მათ  
უბედურებაში არ მიმიძღვის.

უოჩოპა გააწყვეტინა სიტყვა:

— ეჰ, რა საჭიროა ლაპარაკი! მე ვხედავ, რომ ჩვენ არაფერი გამოგვივა,  
ჩვენ არა გვსურს ტვირთად აგვეკიდოთ, მოიღწენ.

— ტვირთად აგვეკიდო! — წაბოძება მოიღწენმა. ტვირთად მხოლოდ მა-



შინ იქნებით აკიდებული ჩვენზე, თუ კავშირში შემოსვლას ვერ მოუხერხებთ!  
 უოპობა მწარედ გაიცინა.

— თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ თუ სად წავალ მე აქედან. ხომ კარგად იცით თვითონ, რომ ქუჩაში მივდებთ.

— სადაც არ უნდა წახვიდეთ, ამითი საქმე არ შეიცვლება: თქვენ ან იბრძოლებთ მუშათა კავშირისათვის, ან ზედმეტი ტვირთი იქნებით, რომელიც ჩვენ უნდა ვათრიოთ.

ახალგაზრდა მეთაურმა მიმართა დემუტაციის დანარჩენ წევრებს, სთხოვდა არ გამწარებულიყვნენ, არ გაისტეხოდათ გული, ეს დამარცხებაც სასარგებლოთ გამოეყენებიათ და მომავალში ხელი შეეწყობთ სამთომადნო მუშების სოლიდარობისათვის. ყველამ უნდა გაიღოს მსხვერპლი და თავისი წვლილი საერთო კეთილდღეობას მოაწვდინოს. და უმათერესი, დაე ყოველი დათხოვილი მუშა გადაიქცეს მუშათა კავშირის იდეის იმ ნაპერწკალად, რომელიც ამბოხების აღს შეერთებული შტატების სხვა ნაწილებშიც გადაისვრის. თუ ყოველი ჩვენგანი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, მაშინ აღარ იქნება მალე ისეთი ადგილი, სადაც მემპატრონეები ჩინელების გამოყენებას შესძლებენ სამუშაო ძალის სახით.

### § 21.

ხოლო განსაკუთრებული გულის ტკივილით მერი ბორკს ადევნებდა თვალს. სხვა დემუტატები ლაპარაკობდნენ კამათობდნენ, პროტესტებს აცხადებდნენ, ის კი იჯდა ჩუმად. ხელებდაკრებილი, ტუჩებმოკუმული. ხოლმა იცოდა თუ რა რისხეა და სინანული უნდა გამოეწვია მასში საქმის ასეთ დაბოლოებას. ის აჯანყდა, იბრძოდა, იმედოვნებდა, შედეგად კი, როგორც ის ამას ყოველთვის წინასწარმეტყველებდა, — ნული, არაფერი. ხოლი აკვირდებოდა, თუ დალილობისაგან ჩაეარდნილი მერის თვალები როგორ მოუწყვეტლად მისჩერებოდნენ მხურვალე ახალგაზრდა ბელადს. ნუ თუ მერი გამოვა მებრძოლთა რიგებიდან? ამ შემთხვევას უნდა გამოეცადა როგორც მისი ისე ყველა დანარჩენების ხასიათის სიმტკიცე.

— თუ ჩვენ საკმაო სიძლიერესა და გმირობას გამოვიჩინებთ სულით — სთქვა ჯიმ მოილენმა, ჩვენ შევძლებთ ჩვენი დამარცხება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავანათლოთ მუშები, აუხილოთ მათ თვალები, შევკავშიროთ ისინი ერთნანეთთან. თუ ჩვენ შევძელით ნორტ-ვალის მუშების დარწმუნება ამაში, ისინი აღარ იგრძნობენ დამარცხებულად თავს, არ დააყვედრიან მუშათა კავშირს უმოქმედობას, ისინი მიხვდებიან, რომ საჭიროა ცდა შესაფერ მომენტამდე. და განა ეს საუკეთესო გზა არ არის ჩვენი მტრების მალაროების მემპატრონეთა — გასანადგურებლად, როდესაც გავაგრძელებთ მუშაობას და გავაძლიერებთ მუშათა კავშირს მანამდე, სანამ შეკავშირებული არ ვიქნებით, რომ ჩვენს გაფიცვის აუცილებლად გამარჯვებაც მოჰყვეს თან?

მკირე პაუზის შემდეგ სიტყვა მერიმ აიღო:

— რა გზით უნდა ვაცნობოთ ჩვენ ეს მუშებს?



მისი ხმა ცივი და უგრძობელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გული სიხარულით ათრთოლდა: ჰქონდა რაიმეს იმედი მერის, ანაჲ ჰქონდა რაიმეს იმედი მერის, რომ ის არ დასტოვებდა თავის ადგილს კიანჭველების რიგში.

იოვან ხარტმანმა ასეთი გეგმა წარმოადგინა: ის დაბეჭდავს სხვადასხვა ენებზე ფურცლებს, სადაც ნათქვამი იქნება, რომ მუშები უნდა შეუდგენ მუშაობას; ეს ფურცლები დარიგებული იქნება მთელ ნორტ-ვალში.

ჯეროი ამგვარი გზის წინააღმდეგ წავიდა: მუშები არ დაუჯერებენ ფურცლებს, ისინი იფიქრებენ, რომ ფურცლები ზედამხედველებიდან გამოდის. ერთხელ ზედამხედველებმა ხომ კიდევ უკეთეს ხრიკსაც მიმართეს, როდესაც ჯო სმიტის ყალბი წერილი შეადგინეს და გააერცვლეს მუშებში. ერთადერთი საშუალება არის წავიდეს უკანვე ნორტ-ვალში დეპუტაციის რომელიმე წევრი და მოელაპარაკოს მუშებს.

— ეს დაუყოვნებლად უნდა გაკეთდეს — ირწმუნებოდა ჯეროი. — დილით მუშები უნდა დაადგენ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაითხოვენ, მაგრამ დაითხოვენ, რა თქმა უნდა, საუკეთესო ნიშნებს, რომლებიც ჩვენ ჩვენთვის უნდა შევინახოთ.

ყველანი შეუერთდნენ ამ წინადადებას. სლოვიანელმა რუზიკმა, რომელიც მძიმედ ახროვნობდა და ძალიან წელა ლაპარაკობდა, სთქვა:

— მუშები ძალიან გაბრაზდებიან, თუ სამუშაო დაკარგეს, ვაფიცვა კი მაინც არ იქნება.

ბერძენმა ძამაკიმ კი მისთვის ჩვეულებრივი სიჩქარით და ნერვიულად დაუმატა:

— ჩვენ ვუთხარით: გაიფიცეთ! ჩვენვე ვეტყვი: ნუ გაიფიცებთ! შემდეგ რა უნდა ექნათ? პირველი დაბრკოლება იმაში გამოიხატებოდა, თუ როგორ მოახერხებდნენ შეუმჩნეველად გასვლას ოტელიდან, რომელსაც ვაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მაძიებლები. ხორტმანმა უჩინათ ოტელიდან გასვლა და ყოველი მხრით გადაწყვიტა, — მაშინ მაძიებლები ვერ შესძლებდნენ ყველას დადევნებას. მათ, ვინც აიცდნენ მაძიებლებს შეუძლიათ საბარგო ვაგონში დაიმალონ და ამგვარად დაბრუნდნენ ნორტ-ვალში.

მოიღვნა ამაზე უპასუხა, რომ კომპანიამ აღბად გაითვალისწინა ასეთი შემთხვევა, ხოლო რუზიკმა, რომელიც ერთ დროს მოხეტე იყო, შენიშნა:

— ისინი უეჭველად ჩხრეკას დაუწყებენ ვაგონებს. თუ გამოგვჩხრეკეს ძალიან ცუდ დღეს დაგვაყენებენ.

პო, ეს სახიფათო მისია არის. მერი ისევ ჩაერია ლაპარაკში.

— ეგებ ქალისათვის უფრო ადვილი იქნეს გასვლა?

— ისინი არც ქალს მოეზოდნენ იმედიან ძალიან, — შენიშნა მინეტტი.

— ეიცო, მაგრამ ქალი უფრო ადვილად შესძლებს იმათ ყინულზე გაცურებას. პედროში მუშების ქვრივები მოვიდნენ მრავლად კატასტროფის მსხვერპლთა დასამარხავად. ეგებ მე შეესძლო როგორმე ნორტ-ვალში ჩასვლა თუ ქვრივის ტანსაცმელს ჩავიცვამ.



კაცებმა ერომანეთს გადახედეს: ეს ქვესთან ახლოა <sup>ქარქინესული</sup> მტრეველებამ ტიმ რაფერტის სახეზე ფართე ღიმილის დაუთმო ადგილი.

— მე შეეხედი ქუჩაში მისის ცამბონის, სთქვა მან.—მისი შავი ვულის ქვეშ ყველას შეგვიძლია დავიმალოთ.

ხოლმაც ამოიღო ხმა, პირველად მას შემდეგ, როცა ტიმ რაფერტიმ მის წინააღმდეგ გაილაშქრა.

— ვინ იცის თქვენგანმა, თუ სად შეიძლება მისის ცამბონის ნახვა?

— ის ჩამოხტა ერთ ჩემ ნაქნობ ქალთან, მისს საყოფასთან,—უპასუხა რუზიკმა.

— კეთილი,—სთქვა ხოლმა.—ეხლა მე უნდა გაუწყოთ თქვენ ის, რაც თქვენ ჯერ არ იცით. მას შემდეგ, როდესაც თქვენ გამოგრეკეს, მე ველაპარაკე მუშებს და ფიცი ჩამოვართვი მათ, რომ ისინი შტაკიკედ იქნებიან და არ მოხსნიან გაფიცვის. ამიტომ მე ჩემს მოვალეობად ვსთვლი დაუბრუნდე იქ და თვითონ უარყო ჩემი სიტყვები თუ ჩვენ იმედი გვაქვს რაღაც გადაცმისა, ყოველივე ამას მამაკაცი კარგად შესძლებს.

ყველამ განცვიფრებით შეხედა მას.

— რომ გიციონ მოგკლავენ იქავე—უთხრა უოჩოპმა.

— არა, უპასუხა ხოლმა.—არა მგონია. ყოველ შემთხვევაში ეს ჩემი საქმეა, ვინაიდან მე ხომ, და ამ სიტყვებთან მან ტიმ რაფერტის შეხედა,—ერთადერთი ვარ ისეთი, რომელსაც არაფერი ეზარალება გაფიცვის დამარცხებით.

ჩამოვარდა სიჩუმე.

— მე ენანობ, რომ ვსთქვი ეს!—გულწრფელად წამოიძახა ტინმა.

— არაფერია, ძამია. შენ მხოლოდ სინართლე სთქვი, მე კი ნობარული ვიქნები, თუ საშუალება მექნება ცოტა შევიმსუბუქო სინდისი.

ხოლი წამოდგა სიცილით.

— მე მივიღებ მშვენიერი ქვრივის სახეს და გაკემგზავრები ნორტ-ვალში ჩაის დასალევად ჩემს მეგობარ ჯეფ კოტონთან.

## § 22.

ხოლს უნდოდა მოეძებნა მისის ცამბონი, მაგრამ მოილენი ამის წინააღმდეგ წავიდა, მან სთქვა, რომ ხოლს აუცილებლად მიძიებლები აედევნებიან უკან. ყველანი ერთადაც, რომ გამოვიდნენ ოტელიდან, მაშინაც კი მიძიებლები მთავარ შეამბოხე ჯო სმიტს გაქევიბიან უკან. ხოლს გადასწყვიტეს მოეწვიათ აქ მისის ცამბონი, დაე მან მისის სეაიკა ან რომელიმე სხვა ინგლისურად მოლაპარაკე ქალი წამოიყვანოს თან და იკითხოვს ოტელის კონტორაში მერი ბორკი; ამავე დროს შეუძლია განუმარტოს, რომ მერის მართებს მისი ფული, რომელიც ეხლა მას ქმრის დასამარხად ესაქროება. ოტელის მოსამსახურემ შეიძლება არც იცოდეს თუ ვან არის მერი ბორკი, მაგრამ მიძიებლები, რა თქმა უნდა, გაიგონებენ ამ სახელს; თუ ის ყოველივე ამას იმასაც დაუმატებს,



რომ მერი ბორკი ნორტ-ვალიდან მოვიდა, მაშინ რომელიმე ქართველთაგანი უძველესად მიხედება, რომ მერი გამორეკილ კომიტეტს ეკუთვნის.

ყოველივე ეს დაწერილებით განუმარტეს რუზიკს და ისიც საჩქაროდ გაუდგა გზას. ნახევარი საათის შემდეგ ის დაბრუნდა უკან და აცნობით, რომ ორივე ქალი უკვე წამოსული არიან. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა კაკუნი კარებზე და გამოჩნდა შავებში გამოწყობილი მოხუცი ქერივე თავისი მეგობრით, როდესაც შემოვიდნენ, მათ გაფაციცებით დაუწყეს სხვადასხვა ამბების გამოკითხვა, რუზიკმა კი განაცხადა, რომ მისის ცამბონიმ თავისი შაეები ჯოსმიტს უნდა დაუთმოს.

— ის ამბობს, რომ ეს მისი ერთად ერთი ტანსაცმელია, — განუმარტათ სლოვიანელმა.

უთხარი, რომ მე მივცემ მას ფულს მაგგვარივე ტანსაცმელის საყიდლად.

— ოჰ, ღმერთო! — წამოიძაბა მისის ცამბონიმ და მოსდგა ქაქანს.

— ის ამბობს, რომ მას არაფერი აქვს ჩასაცმელი, არ არის კარგი ჩაუცმელი სიარული.

— ნუ თუ ქვედა კაბა არა აქვს?

— ამბობს, აქვს, მაგრამ დახეულიაო.

დანარჩენებმა გაიციინეს, მოხუცი ქალი კი გაწითლდა.

— ჯერ საბანში გამოეხვიოს, — სთქვა ხოლმა — მერი ბარკი უყიდის მას ტანსაცმელს.

მეტისმეტად ძნელი იყო მისის ცამბონის იძულება, რომ გაშორებოდა იგი თავის შავებს, რომელიც ისე ძვირად და ისეთი ცრემლებით ჰქონდა მას ნაყიდი. არასოდეს არაფერი ამგვარი არ შემთხვევია პატიოსან ქალს, რომელსაც ქვეყნად თექვსმეტი ბაეში წარმოუშვია: თავის მწუხარების სიმბოლოს გაუიღდა და მერე ისიც ოტელის ოთახში, ამდენი მამაკაცების თანდასწრებით! მათი უადგილო მხიარლება კიდევ უფრო ამძიმებდა მდგომარეობს. „ოჰ, ღმერთო!“ ოხრავდა მისის ცამბონი.

— უთხარით მას, ეს მეტისმეტად საჭიროა. — სთქვა ხოლმა. — უთხარით, რომ მე აუცილებლად მესაჭიროება ტანსაცმელი და როდესაც შეებდა, რომ რუზიკი ვერ ახერხებს დაარწმუნოს საბრალო ქალი, მან თვითონ დაუწყოს მას ლაპარაკი მალაროებზე მიღებული ბარბაროსული ინგლისური ენით.

— მე მიწნა, მიწნა. უნდა დავიმალო. მალე, გაუძვრე ხელიდან ზედა-მხედველს. გესმით? თორემ დავიღუპე!

ბოლოს შემინებული მოხუცი დანებდათ.

— ის ამბობს, მიიბრუნონ ყველა პირიო, — გადმოთარგმნა რუზიკმა. და ყველანი სიცილით მიტრიალდნენ, ხოლო ამავე დროს მერი ზდიდა ტანთ მისის საკოაიკის ზურგს უკან დამალულ მოხუც ქალს და ზრდილობისათვის საბანი დაბურა მის წითელ მხრებს. როდესაც ხოლმა ჩაიცივა, ის ერთი ჩარეკით მაინც აღმოჩნდა უფრო სრული მას ჩაუწყვეს ორი ბალიში და შემოუჭირეს ისინი წელზე; ამ სახით გადაეცა მოხერხებულად ჩატარდა. ხოლმა ჩაიცივა მოხუცი ქა-



ლის დახეული სრული ფეხსაცმელები ხოლო მერი ბარკმა კმარა დახეული და ვეალი გაუსწორა. ამის შემდეგ მისისის ცამბონის საკუთარ შენესში კი შეცდომაში შევიდოდენ მის დანახვაზე.

რამდენიმე წუთის მზიარული განწყობილება სუფევდა; მიუხედავად იმისა, რომ მერი ბარკი ძალიან დაღლილი და მოტეხილი იყო, იმანაც კი მიიღო მონაწილეობა ხუმრობაში. მაგრამ მალე შეწყდა სიცილი; დადგა მოქმედების დრო. ხოლმა სთხოვა ჯიმ მოილენს მოენახა ედუარდი და გადაეცა მისთვის, რომ ხოლი სწერს მანიფესტს მაღაროს მუშებრისათვის და მხოლოდ ლამის მატარებლეთ შესძლებს აქედან განგზავრებას.

ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, და ყველა თერთმეტი აღმამანი ერთად გავიდენ ოთახიდან, გაიარეს ვესტიბიული და ქუჩაში გაიფანტენ. როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ მისისის საგოაიკას და ყალბი მისისის ცამბონი ნომრიდან გამოვიდენ, ხოლის მოლოინის თანახმად ვესტიბულში აღარც ერთი მამიებელი აღარ აღმოჩნდა.

### § 23.

ხოლი გამოემშვიდობა მისისის საგოაიკას და გაემართა სადგურისაკენ. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადასდგა, ის შეეყარა თავის ძმას, რომელიც პირდაპირ მისკენ მიდიოდა.

ედუარდს მეტად მოწყენილი სახე ჰქონდა; ის, თუ როგორ ჰქონდა გამოჩრილი ილიაში ვაზეთი, ამეღანებდა, რომ მან იყიდა იგი, როგორც უკანასკნელი ბრძოლის საშუალება პედროს მონოტონიურობისა და ერთფეროვნობის წინააღმდეგ. ასეთი საქმე უყო მას ბედმა! მიუხედავად იმისა, რომ მისი სახლში ყოფნა საქმისათვის აუცილებელია, ის უნდა დაბანდდეს აქ, ამ ღვთისაგან მიტოებულ მადნების ქალაქში, ვიღაც გიეის სულიერი განწყობილების მიხედვით, რა უნდა გაეკეთებინოს ამ ბუდეში მცხოვრებ ხალხს? იხდიდენ ისინი ორიოდე შაურს იმისთვის, რომ კინემატოგრაფში ყაჩაღები და ყალბი ფულის მჭრელები ენახათ?

ედუარდის შეხედულობამ ძალიან მზიარულ გუნებაზე დააყენა ხოლი. გარდა ამისა მას თავში შემდეგი აზრი მოუვიდა, ხომ არ გამოსცადოს მან თავისი გადაცემის ეფექტი მანამდე, სანამ ნორტ-ვეალში ნამდვილი საშიშროების წინაშე დადგებოდეს?

ის გადაუდგა გზაზე ძმას და უთხრა მისისის ცამბონის მაღალი შესაბრალისი ხმით:

— მისტერ!

ედუარდმა შეხედა შავ ფიგურას.

მისტერ, თქვენ ხომ ჯო სმიტის ძმა ხართ,

საკირო შეიქნა კითხვის განმეორება, ვიდრე ედუარდი უგულოდ უპასუხებდა; ის არც თუ ძალიან ამეყობდა ასეთი ნათესაობით.

— მისტერ, — განაგრძობდა შესაბრალისი ხმა, — ჩემი მოხუცი ქმარი დაიღუპა აფეთქების დროს. გუშინ მე დავმარხე სასაფლაოზე ჩემი ქმარის ხუთი





ქართული

ცალკე ნაფლეთი. ოცდაათი დოლარი დამიჯდა ამ ნაფლეთებში; მე მეტი ფული აღარა მაქვს. მოვიდა ვიღაც წუწკი ვეკილი და მითხრა რომ მე შემძლია მივიღო ფული, თუ კი ენას გავაჩერებ. მაგრამ მე თერთმეტი შეი-ლის ბატონი ვარ, მისტერ, ქმარი აღარა მყავს, ხოლო ასეთი მოხუცი ქალი როგორც მე ვარ ახალ ქმარს ველარ იშოვის, როდესაც სახლში დავბრუნდები დამშეული ბავშვები ტირილს მოსდგებიან, მე კი არაფერი არა მაქვს მათთვის, კომპანიის ქარხნის დუქანიც აღარაფერს იძლევა. თუ თქვენ ჯო სმიტის ძმა ხართ, შეიბღება შეიკოდოთ საბრალო ქვრივი და ცოტაოდენი ფული მომცეთ, რომ საჭმელი ვუყიდო ბავშვებს.

— კარგი, — უთხრა ედუარდმა, ამოიღო საფულე და გაუწოდა ხელს ათ დოლარიანი ქალაღის ფული. მისი სახე თითქოს ამბობდა — აჰა და მომწორ-დი თავიდან, თუ ღმერთი გწამსო!

„მისისი ცამბონიშ“ ჩაავლო ფულს ხარბი თითები, მაგრამ მაინც არ მოისვენა.

— თქვენ ბევრი ფული გაქვთ, მისტერ; თქვენ მდიდარი კაცი ხართ. ეგებ თქვენ მთავად მომცეთ რაც საფულეში ფული გაქვთ, რომ მე შეძლება შექნეს კარგად გამოგვებო ბავშვები. თქვენ არ იცით რა არის კომპანიის ქარხ-ნის დუქანი, მისტერ; ფასები ისეთი მაღალია, როგორც მთები, ბავშვები კი მშვივრები არიან და დღე და ღამე სტირიან; ცოტა ფული დიდხანს არ მგყოფა. კიდევ მომცეთ რამე, მისტერ.

— შე მოგცემთ თქვენ კიდევ ათ დოლარს, — უთხრა ედუარდმა. — დანარ-ჩენი მე თვითონ მჭირდება.

მან გაუწოდა „მოხუც ქალს“ კიდევ ერთი ასიგანცია.

— რათ გინდათ ფული, მისტერ? თქვენ ხომ ამდენი ბავშვები არა გყავთ? თქვენ სახლში აღბად კიდევ უფრო მეტი ფული გექნებათ!

— მეტის მოცემა აღარ შემძლია, — სთქვა მან და გადასდგა განზე ნა-ბიჯი, რომ შემოეელოს გზაზე გადალობილ დაბრკოლებებისათვის. მაგრამ დაბრკოლებამაც გადასდგა ნაბიჯი, რომლის დროსაც მან გასაოცარი სიმარდე გამოიჩინა.

— მისტერ, გამდლობთ ფულისათვის. მე ვეტყვი ბავშვებს, რომ ეს ფული კარგი ადამიანის მიერ არის მოცემული. მე თქვენ ძალიან მოწონხართ, მის-ტერ სმიტ, თქვენ ფული მიეციოთ საწყალ ქვრივს. თქვენ კარგი ადამიანი ხართ.

და თანაც საშინელმა არსებამ გასწოდა ერთერთი თავისი თათი ედუარ-დის ლოყაზე მოსასმელად, ან ნიკაპზე მოსაკიდებლად. ედუარდი წაბანდალდა უკან, თითქოს შავი ჭირი მდგარიყოს მის წინ. მაგრამ საშინელი არსება აედევნა თან, აზღად რაღაც უნდა ექნას მისთვის, თვითონაც არ იცოდა რა. მას გაე-გონა, რომ ამ უცხოელებს უცნაური ჩვეულებები აქვთ.

— ჰო, კარგი, კარგი! — უზუნებოდა ედუარდი და თანაც სულ უკან უკან იხევდა და გარშემო იყურებოდა, რომ გაეგო, ხომ არ იყვნენ იქ ამ სასაცილო-სცენის მოწმენი.



— თქვენ საუცხოვო ადამიანი ხართ, მისტერ, საუცხოველად მამან! — იძახოდა მოხუცი ქალი უფრო და უფრო გაძლიერებული ხმით, — თქვენს მძღველებს ოდესმე ვნახო მე ისეთი კაცი, როგორც თქვენა ხართ, მისტერ სმიტ, — რომ ქვრივი არ დავრჩე! შეიძლება თქვენ ისტრუვებით ცოლად შეგერთოთ კარგი სლოვიანელი ქალი, რომელსაც ამდენი საუცხოვო ბავშვები ჰყავს?

ელჟარდმა შეხედა, რომ საქმე სახიფათო მიმართულებას იღებს და გადახტა განზე; თითქოს ნახტომს უნდა გაენთავისუფლებინა იგი; მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გულის გახეთქა, როდესაც სლოვიანელი ქვრივი გადახტა მასთან ერთად — მისი ბრწყალები ჩააფრინდნენ მას გვერდებში და საწინააღმდეგო დაუწყეს მას ჯიჯგნა. შემდეგ ბრწყალებით აღჭურვილი ქვრივი გაეშურა წინ ქუჩით და თან უცნაურად ქოთქოთებდა, რაიც იმდენადვე წააგავდა მწუხარე სლოვიანელი ქვრივის ქვითინს, რამდენადაც რაღაც სულ სხვა რამეს.

#### § 24.

ნორტ-ვალის მატარებელი გვიდბ. ხოლი შეუქმნეგლად დაჯდა თავის ადგილზე ვაგონში და იჯდა იქ, სანამ მატარებელი უკანასკნელ სადგურს არ მიაღწედა. ვაგონში მალაროს მუშების რამდენიმე ცოლი იჯდა; ხოლმა აირჩია ერთი მათგანი, მისის ცომპონის თანამემამულე და გადაჯდა მის გვერდით ქალმა რაღაც წარმოსთქვა და მიიწია. ხოლი ჩუმად ქვითინებდა, და მეზობელმა ქალმა, ნუგეში რომ ეცა, ხელი მოჰკიდა მას ხელში. მათ ეჭირათ ვუალის ქვეშ ერთმანეთის ხელი, და ქალი, დასამშვიდებლად მუბლებზე ხელს უსვამდა ხოლს.

მატარებელი გაჩერდა სადგურზე. ვაგონში ბუდ ედამსმა გაიარა, ის დაკვირვებით ათვალერებდა ყველას. მის დანახვაზე ხოლი ისევე აქვითინდა და რაღაც გაუგებარი წასწორებულა მეზობელ ქალს. ისიც დაიხარა მისკენ და თავის ენაზე რაღაც სწრაფად ჩაილაპარაკა. ბუდმა გაუარათ გვერდით.

მატარებელიდან რომ ჩამოვიდნენ, ხოლმა გაუყარა მკლავში ხელი თავის მეზობელ ქალს და ამგვარად გაიარეს პლატფორმა ზედ პიტ ბენემის ცხვირის წინ. მათ კიდევ ვიღაც ქალი შეუერთდათ და გააბეს სლოვიანურად ლაპარაკი. ეტყობოდათ, რომ ხოლს არავითარი გჭეი არ აღუძრავს მათში.

ამ დროს განმავლობაში მან გეგმაც გამოიმუშავა. ცალკე თითო კაცთან საიდუმლოდ მოლაპარაკება არ ივარგებს, — ეს მას ბევრ დროს დააკარგვინებდა, და ამოცანის შესრულებამდე კიდევაც შეეძლოთ ეცნოთ იგი. საჭირო იყო გაბედული ნაბიჯი. ნახევარი საათის შემდეგ რემინიციკისთან ივანშეზბდენ, აი იქ ვადასცემს მათ თავის ცნობას.

ხოლის თანამგზავრები ძალიან ვაოცდნენ, როდესაც ის გასცილდა ცამბონის ქობს, სადაც მას ბავშვები უნდა ჰყოლოდა დატოვებული მეზობელი ქალის თვალყურის ქვეშ; ხოლი პირდაპირ მინეტრის სახლისაკენ გაემართა.

იქ ის გაუტყდა განცვიფრებულ როზას, გადასცა მას ქმრის ამბავი და უთხრა, რომ ეხლავე ბავშვებით პედროში გამგზავრებულიყო და დამშვიდებით ელოდნა იქ შემდეგი ამბებისათვის. როზა საჩქაროდ წაეიდა და დაბრუნდა უკან



ჯამ დევიდთან ერთად, რომელსაც ხოლმა ყველაფერი აუხსნა. ჯიძი ჯაკი ეპეს გარეშე იყო; ის, მისი ცოლი როვეტა, ერესმაკი და ქვემოთსკა; შვიდგუნენ უჯრედს, რომლის საშუალებით მუშები მუშათა კავშირის შექმნას.

დადგა ეახშმის დრო, და აი, ყალბი მაისის ცამბონი გამოვიდა ქოხიდან და წაყანტალდა რემინიციის სახლისაკენ. სასადილოში რომ შევიდა, ზოგიერთმა მამაკაცმა შეხედა მას, მაგრამ არც ერთი არ დალაპარაკებია. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ყოველი მათგანი პირში იტენიდა, რაც კი ხელში ნიხედებოდა, რომ მეზობლისათვის გაესწრო. შავად გამოწყობილმა ფიგურამ გადასქრა ოთახი და მეორე კუთხეში მივიდა; იქ თავისუფალი სკამი იდგა, მან მოაცილა იგი მაგიდას შედგა ზედ, და აი ოთახში გაისმა ძახილი: „ამხანაგებო! ამხანაგებო!“

ვახშად დამსხდარებმა თვალები აშართეს მალღა, ვუალი ჩამოვარდა და მის ქვემოდ მათი ბელადის ჯო სმიტის სახე გამოჩნდა. „ამხანაგებო! მე მოვიტანეთ ამბავი მუშათა კავშირისაგან!“

გაისმა საშინელი ხმაური. მუშები წამოვარდნენ ზეზე, სკამები იწყოდნენ და ბრუნდებოდნენ ძირს იატაკზე. შემდეგ უეცრად ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა; ვინმეს რომ საქმელი ეღეკნა ანასაც კი გაიგონებდნენ.

— ამხანაგებო, მე ვიყავი ქვევით, პედროში, და ველაპარაკე იქ მუშათა კავშირის წარმომადგენლებს. მე ვიცოდი, რომ ზედამხედველები არ დამანებებდნენ აქ მოსვლას და ამიტომ ტანსაცმელი გადავიცვი.

მხოლოდ ეხლა გაიგეს მისი ფანტასტიური ჩაცმულობის მიზეზი; სიცილმა და ვაშას ძახილმა ოთახი შეაძრია.

ხოლმა ასწია ხელი, და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნოშისმინეთ, ბეგრ ლაპარაკს ზედამხედველები არ დამაცილიან, და მე კი ძალიან მნიშვნელოვანი ამბები უნდა გაიდმოგვეთ. მუშათა კავშირის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ამ ცამად ჩვენ ვერ შევსძლებთ გაფიცვის გამარჯვებამდე მიყვანას.

ყველას სახეზე იმედის გაცრუება გამოიხატა, გაისმა უკმაყოფილო ხმები, ხოლი განაგრძობდა:

— ჩვენ მხოლოდ ერთი მალარო ვართ, და გვითხოვენ დიქტირებენ შტრეიკებებერებს და განაგრძობენ მუშაობას. ჩვენ გვესაჭიროება საყოველთაო გაფიცვა ყველა მალაროებზე; დიადი კავშირი, დიადი გაფიცვა! თუ ჩვენ ეხლავე დავიწყეთ მოქმედება, ამით შეპატრონეების საქმეს გაავაკეთებთ მხოლოდ; მაგრამ ჩვენ მათ მოუგებთ კეკუსს, სამუშაოსაც შევინარჩუნებთ და კავშირსაც განვამტკიცებთ! თქვენ კავშირის წევრები ხართ და მომავალშიც კავშირისათვის იმუშაებთ! გაუპარჯოს ნორტ-ვალის სამთა-მადნო მუშათა კავშირს.

წუთით სიჩუმე ერთადერთი პასუხი იყო მისი სიტყვების. ხალხს უძძიმდა ასეთი პერსპექტივის მისალმება. ხოლი მიხვდა, რომ მან რილაე სხვა სიმი უნდა ააძგეროს მათ გულში.

— ამხანაგებო, ჩვენ სულმოკლენი არ უნდა ვიქნეთ, ჩვენ უნდა ავლაგმოთ როგორმე ჩვენი ნერვები. მე ჩემი ამოცანა შევასრულე—ძალიან კარგი ნერვე-



ბი იყო საჭირო აქ მოსვლისათვის მისისის ცამბონის ტანსაცმელში, <sup>ორი ბალი-</sup>  
შით მკერდზე.

მან დაჰკრა ხელი ბალიშებს, გაისმა მეგობრული სიტყვები: „მეგობრობა და მისისის ცამბონის; საჭირო იყო ამ როლის მეტად მარჯვედ და თავდაპირვლად შესრულება. სიცილი მზიარულების ქარტეხილად გადაიქცა; გაისმა ხმები — „გაეა! გაუმარჯოს ჯო სმიტს! ნამდვილი ქალიშვილი ხარ! გამომყვები ცოლად, ჯო?“ და ეხლა, როდესაც ხოლმა ხელმეორედ დაიძახა: „გაუმარჯოს ნორტ-ვალის მუშათა კავშირს!“ — მას შეეძლო კმაყოფილი დარჩენილიყო პასუხით.

მან ისევ ასწია ხელი.

— ყური დამიგდეთ, ბიჭებო. მე ვამაგდებენ აქედან, მაგრამ თქვენ არ უნდა აღლდგეთ ამას წინ. თქვენ უნდა იმუშაოთ, მიიღოთ თქვენი შრომის ხელფასი და ემზადოთ ახალი გაფიცვისათვის. გადაეცით ჩემი სიტყვები ყველა დანარჩენებს. მე ვერ მოვასწრებ ყველასთან მოლაპარაკებას, მაგრამ თქვენ გადაეცით დანარჩენებს, რაც კავშირის შესახებ ვითხარით. არ დივიწყოთ. რომ სადღაც იქ არიან ისეთები, რომლებიც თქვენი გულისთვის იბრძვიან და მუშების საერთო საქმეზე ფიქრობენ. ჩვენ უველანი მზარს დაუჭერთ კავშირს, ვიდრე ეს მალაროები ამერიკის კუთვნილებად არ გადაიქცევა!

კედლებს არყვედა ალტაცების ყოჩინა. დიახ, სწორედ ეს არის, რაც მათ უნდათ — ამერიკაში ცხოვრება!

ხმაურით მოზიდული ხალხი კარებთან შეეგუფათა: ხოლმა შენიშნა, რომ იქ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, მალე თავისი მტერის პიტ ბენემის თავი და ფართე მხრები დაინახა.

— ყარაულები მოდიან, ბიჭებო! — დაიყვირა მან და მისი სიტყვების საპასუხოდ ბრბოს მრისხანე დუღნი გაისმა. მუშები მუშტებ მოღერა და თავლებ ანთებული მიტრიალდენ კარისაკენ. მაგრამ ხოლმა საჩქაროდ უთხრა:

— ამხანაგებო, ყური დამიგდეთ: ჰკუას არ გადასცდეთ! თქვენ ხომ იცით, რომ მე ნორტ-ვალში არ დაქრები! მაგრამ მე შევესრულე ჩემი ამოცანა და გადმოგეცით მუშათა კავშირის ცნობა. მაშ ასე, გადაეცით დანარჩენებს, რომ მზარი დაუჭირონ კავშირს!

კიდევ და კიდევ, გაინეროა ხოლმა ეს უკანასკნელი სიტყვები. ის უცქეროდა მუშაობისაგან გამხდარსა და დაღლილ სახეებს, გაახსენდა თავისი ფიცი, და ერთხელ კიდევ წარმოსთქვა:

— მე ვიქნები თქვენთან! მე გავაგრძელებ, ამხანაგებო ბრძოლას.

კარებში ჩოჩქოლი გაძლიერდა. უკებ გამომჩნდა ჯეფ კოტონი რამდენიმე პოლიციელით. ისინი შეეცვიდენ ოთახში გაწითლებულნი, ჩქარა სირბილის გამო მძიმედ სუნთქავდენ.

— ა! აი სამთო ინსპექტორიც! — წამოიძახა ხოლმა. ნუ ლეღავთ ვგრე, კოტონ, ყველაფერი თავისთავად დაწყნარდება. ჩვენ მუშა ხალხი ვართ და ჩვენ ვიცით თავის შეკავება. ბიჭებო, ჩვენ ბრძოლის პოზიციებს არა ვსთმობთ, ჩვენ არა ვართ დამარცხებული, ჩვენ მხოლოდ სხვა მალაროების მუშებს ვუცდით.



ჩვენ გვაქვს კავშირი, ჩვენ შევინარჩუნებთ მას. გაუმარჯოს კავშირს! გაისმა  
„ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს კავშირს, ჯო სმიტს, ქვრივ ქალს და მის ქმარს“

— თქვენ გკუთვნიტ კავშირს! გახსოვდეთ ეს რაც არ უნდა მოხდეს! თუ  
სამუშაოდან დაგითხოვენ, დაე კავშირზე ფიქრმა განამტკიცოს თქვენი მხნეობა.  
შეაჩვიეთ სხვებიც ამ აზრს, იმედი არ უნდა მოჰკვდეს თქვენს გულში! კავ-  
შირშია იმედი! არ დაივიწყოთ ეს ამხანაგებო!

გაისმა სამთო ინსპექტორის ხმა:—თუ წასვლა გინდათ, ქალბატონო, წაბ-  
ძანდით ეხლავე!

ხოლმა რევერანსი გააკეთა:—ო, მისტერ კოტონ. ეს მოულოდნელია მე-  
ტად!

ბრბო ხარხარებდა, ხოლი ჩამოვიდა თავის ტრიბუნიდან. კეკლუცური ეეს-  
ტით გაისწორა მან შავი ვული და იმგვარადვე კეკლუცად გაირა სასადილო  
ოთახში. ის მივიდა სამთო ინსპექტორთან, გრაციოზულად გაუყარა მკლავში  
ხელი და ამგვარად, „ბულდოგით“ გვერდში და ბუდ ედამსით უკან, ისინი გა-  
ვიდნენ ოთახიდან და გასწიეს ქუჩით. მშივრებმა მიატოვეს თავიანთი ვახშამი,  
რომ დამტკბარიყვნენ ამ სანახაობით. ისინი მიჰყვებოდნენ მათ უკან სიცილით,  
ხმაურით დაცინვით. ყოველი მხრიდან ხალხი გამორბოდა,—როდესაც პატარა  
კორტეჟი სადგურს მიუახლოვდა, მთელი სოფელი უკვე შეკრებილი იყო, ყველ-  
გან გაისმოდა: „ეს ჯო სმიტია! მან ამბავი მოიტანა კავშირიდან“ ჩასკვნილს,  
კვარტლით გასვრილ შილაროს მუშებს სიცილისაგან ცრემლები სცვივოდათ,  
ცრემლები ჩამოდიოდნენ ლოყებზე და თეთრ ზოლებს ავლებდნენ ხაზებს. ისინი  
ეხვევოდნენ ერთმანეთს ალტაცებულნი იმ სეირით, რომელიც მათ მტანჯველებს  
დამართეს.

თვით ჯეფ კოტონსაც კი ქედი უნდა მოეხარა ამ მარჯვე ხრიკის წინაშე.  
„ღმერთს გეტყვებით, თქვენ თქვენს თავს გადააჭარბეთ“,—წაიბუზღუნა მან.  
მან მხიარული ტონი მიიღო, რომელიც მას ყველაზე უფრო შესაფერისად მიაჩ-  
ნდა, რომ როგორმე ამ აბეზარი სტუმრისაგან განთავისუფლებულიყო. შემდეგ  
მან გააცილა ქვრივი მატარებლამდე, მოეხმარა ასვლაზე და ვაგონის კორი-  
დორში ყარაულები გააჩერა. ამ კავალერის თავაზიანობა მხოლოდ მაშინ ვა-  
თავდა, როდესაც მატარებელი ნორტ-ვალის გალაგანს გასცილდა.

(გაგრძელება იქნება)

თარგმ. კ. ჰიკინაძისა.

კრიტიკა მხატვრობა  
და  
კუბლიცისტიკა

## რევოლიუცია და ხელოვნება

### I

#### ზოგადი მოსაზრებანი.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ სულ ერთიანათ დაღწია ძველი კერპები. გადაათვალიერა და გადაათასა ყველა ძველი ღირებულებანი. უარყო ამ ღირებულებათა დიდი უმეტესობა. მრავალი ის, რაც კაცობრიობას გუშინ სათაყვანო კერპათ მიაჩნდა, დღეს მხოლოდ სამუზეუმო ღირებულებას წარმოადგენს... და რევოლიუციის ცეცხლით ფენიქსსავით განახლებული კაცობრიობის დიდი ნაწილი დღეს ახალ ღირებულებათა შექმნას შეუდგა...

ასე მოხდა ადამიანის ყოველგვარ შემოქმედებაში. ასევე უნდა მომხდარიყო აზროვნებაში და ისეთ უაღრესად სათუთ და მგრძობიარე დარგში როგორც ხელოვნებაა...

დღეს ყველა ხელოვნების კრიზისზე სწერს და მსჯელობს. სწერენ ახალ-ახალ რეცეპტებს ხელოვნების განსაკურნებლად, მის აღსადგენად და ძველებურად ასაყვავებლად.

სწარმოებს ბრძოლა ორ შეურიგებელ მიმართულებათა შორის: რევოლიუციის მომხრეთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. და როგორც ყოველ ბრძოლაში, ისე აქაც ადგილი აქვს გატაცებასა და გადაჭარბებას.

რევოლიუციის მომხრე პუბლიცისტები თითქოს არ სჯერდებიან რევოლიუციისათვის ნიადაგის მომზადებას. ისინი თითქოს ძალით ცდილობენ შეიყვანონ თუ შეიტანონ რევოლიუცია ცხოვრების ყველა კუნჭულში, ყველა კუთურკუთანებში. მათ სურთ, რომ ძალით აგრძობიონ ხელოვნანს რევოლიუციის სიდიადე, მისი ყოელის შემძლებელობა და უნივერსალობა.

როცა მათ ედას უკვირდებით, ასე გვონდათ, რომ ამ რევოლიუციის მომხრეებს რევოლიუცია წარმოუდგენიათ რაღაც ფრინველად, რომელსაც ძალით ერეკებიან ამა თუ იმ ბუდეში და ცდილობენ ამ მათ მიერ არჩეულ ბუდეში დაადებიონ კვერცხები. რევოლიუციონური ბრძოლით გატაცებულებს ხშირათ ავიწყდებათ, რომ რევოლიუცია უნივერსალური ძალაა, რომ ის თვითონ შეანათებს ცხოვრების ყველა უჯრედებში. ხშირად ივიწყებენ, რომ რევოლიუციამ უკვე მოახდინა უდიდესი გადატება იდეოლოგიურ სფეროში და მაშასადამე ხელოვნებაშიც.



რევოლუციის მტრებზე ლაპირაკიც მეტია. იმათ რევოლუციის მიზნებს დღიდანვე გააპირეს თავისი საყვარელი ხელოვნების გადარჩენა, მასში სხვათა ვე აღმართეს მაგარი ჯებირები რევოლუციის ტალღების შესაჩერებლათ, მისთვის გზის მოსაკრელად. მაგრამ დღეს ისინი თვითონ ხედავენ, რომ რევოლუციამ ერთის სულის მობერვით დაანგროა მათი ჯებირები, დაღწეა მათ მიერ აღმართული კედლები...

ეს ასეა, მაგრამ ხელოვნების კრიზისი მაინც ფაქტია. დღეს ხელოვნება კრიზისის განიცდის არა მარტო ჩვენში, არა საბჭოთა დიდ კავშირში, რომელიც უდიდესი რევოლუციის ვულკანის კრატერს წარმოადგენს, ის კრიზისის განიცდის ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოებსა და ამერიკაშიც.

მაგრამ აქ არის ერთი ძირითადი განსხვავება.

არის კრიზისი და კრიზისიც.

საბჭოთა დიდ კავშირში ეს კრიზისი გამოწვეულია **გამარჯვებული რევოლუციით**, დანარჩენ სახელმწიფოებში — **დამარცხებულით**.

ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს ამ გარემოებას, რადგან **გამარჯვებული რევოლუციის** მიერ გამოწვეული კრიზისი სულაც არა ჰგავს იმას, რასაც ჩვენ ამ ტერმინის ქვეშ ვგულისხმობთ, ყოველ შემთხვევაში. ის არა ჰგავს დამარცხებული რევოლუციის მიერ გამოწვეულ კრიზისს.

ჩვენი კრიზისი ჰგავს იმას, რასაც განიცდის „სათუოდან გამოსული“ სნეული, რომელსაც სიკაფილისთვის თავი დაუღწევია, რომელსაც სასტიკობლით უქნია პირი... რევოლუციის ცეცხლში გამოვლილი საბჭოთა დიდი კავშირი ჰგავს საშინელი ზღვის დღუვის შემდეგ სამშვიდობოზე გასულ მოგზაურს, ან ახლად ფეხადგმულ ბავშს, რომელიც თვითონ იწყებს თავის საკუთარ ცხოვრებას, ქმნის თავის საკუთარ ისტორიას. ის ჯერ კიდევ გამოუცდელია, ის გაუბედავად მიდის წინ, რადგანაც მას გარდა თავისი საკუთარი ძალისა არა ყავს დამხმარე და გზის მჩვენებელი, არა აქვს მისაბამი მაგალითი არა აქვს ტრადიცია...

აი საიდან გამომდინარეობს მისი უზერხული, გაუბედავი და ხშირად შემცდარი ნაბიჯები. მისი კრიზისი — ახალი გზების ძებნაშია... და ნუ თუ ამასაც კრიზისი ჰქვია?!

სულ სხვაა **დამარცხებული რევოლუციის** მიერ გამოწვეული კრიზისი, სულ სხვაა ის, რასაც ვეღა სხვა სახელმწიფოებში კრიზისს ეძახიან... იგი გამოწვეულია საზოგადოებრივი შემოქმედების ძალთა მოდუნებით, სისხლნაკლულევანობით. იქ ჩვენ საქმე გვაქვს სასიკვდილოთ გამზადებული მოხუცის ბორგვასთან...

პირველ შემთხვევაში „კრიზისი“ გამოწვეულია ახალი ცხოვრების შეუჩერებელი დღეილით, მისი შეუჭრებელი ტემპით, ძველის უარყოფით და ახალის შექმნის საპირობით: ჭაბუკ სხეულში სისხლი სდღღს და გადადის. რევოლუციით განახლებული კაცობრიობა მიისწრაფის ახალი ცხოვრების შესაფერი შემოქმედებისაკენ...

სულ სხვაა ჯერის არის ძველი ქვეყნების კრიზისი. იქ სისხლი შედედებულია





გული აღარ მუშაობს უწინდელი სიძლიერით; ძველი კაცობრიობის რევილიონიზმში მაგრამ მოუკიდია ფეხი იმ სნეულებას, რომელსაც ექიმები სკლეროზს ეძახიან... მისში უკვე ნელ-ნელა ქრება სიცოცხლის ნიშანი-წყალი.

ასეთია განსხვავება საბჭოთა დიდი კავშირსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის...

\* \* \*

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ არა თუ საბჭოთა კავშირში დაანგრია ძველი კერპები, მან ყველა, აგრეთ წოდებულ, განათლებულ სახელმწიფოებშიც მოახდინა ძველ ღირებულებათა გადაფასება და ახალის ძიების საპირობა გამოიწვია.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო: როცა დედამიწის ერთ მეექვსედზე რევოლიუციონურ ძალთა დულილი სწარმოებს, არც დედამიწის დანარჩენ ნაწილებზე შეიძლება იყოს დაწყენარებული და მოსვენებული ცხოვრება. ჩვენი რევოლიუცია უდიდეს გავლენას ახდენს მთელი განათლებული კაცობრიობის, როგორც ეკონომიკაზე, ისე აზროვნებაზე, ის სულ სხვაფერ ატრიალებს მის ფსიქიკას... მართალია, დედამიწის ხუთ მეექვსედზე ჯერ კიდევ არსებობენ ძველი კერპები, მაგრამ მათ უკვე საგრძნობლად დაჰკარგეს ძველებური ძალა-გავლენა და მათი დღეები უკვე დათვლილია.

რევოლიუციის თავისი საკუთარი კანონები აქვს. ის ანგრევს და ანადგურებს ყოველივე ძველსა და დროგადასულს, ქმნის ახალს, ახალ ცხოვრების შესაფერ ღირებულებას.

ყოველივე იმას, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, რაც ასე აკვირვებს და აშინებს თანამედროვე კაცობრიობას, ადგილი ქონდა ყველა რევოლიუციის დროს.

მაგრამ აქ განსხვავებაც დიდია.

და ეს განსხვავება ჩვენი რევოლიუციის მარტო დიდ მამულებსა და ტემპში როდია... ასეთი რევოლიუცია ჯერ არ იცის ისტორიამ. ყველა დღემდე ცნობილი რევოლიუციები რუსეთის დიდი რევოლიუციის მხოლოდ პროლოგია. ეს რევოლიუცია ყველა ცნობილ რევოლიუციებზე უფრო დიდია. ის უსაზღვრო, ღრმა და ფართოა... და ეს არაა მარტო ტერიტორიალურით და მასში მონაწილე ხალხების რიცხვით, კიდევ უფრო მითი, რომ ის ერთად-ერთი სოციალური რევოლიუციაა.

ასეთი რევოლიუცია და ისიც გამარჯვებული ჯერ კაცობრიობის ისტორიამ არ იცის.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, ვიმეორებთ: სოციალურმა რევოლიუციამ, სულ ერთიანად გადაათასა,—კიდევ მეტი:—მან სულ ერთიანად წააშალა და გაანადგურა ბევრი ისეთი ღირებულებები, რომლის ხელის შეხებაც არც ერთ წარსულ რევოლიუციას არ გაუბედავს.



საქართველოს

მწიგნობართა კავშირი

დავიწყით იქედან, რომ საბჭოთა დიდ კავშირში რევოლუციამ ერთის დაკვრით გაანიათ ათასის წლობით გამეფებული ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა, საუკუნოთ დაშრიტა მისი წყარო—რელიგია. მან ძირს დასცა როგორც ღმერთები თავისი წმინდანებით, ანგელოზებითა და სამოთხით, ისე ჯოჯოხეთი თავისი ტარტაროზებითა და ბოროტი სულელებით.

მან რელიგიის ბურუსიდან საუკუნოთ გაათავისუფლა ადამიანი და როგორც ზეცა, ისე ქვესკნელი დაუქვემდებარა მის ყოვლის შემძლებელ გენიას...

და თუ კრომველის ძლევა-მოსილი ჯარები დავითის ფსალმუნის გალობით მიდიოდნენ მტრებზე, თუ ისინი ზეცის სახელით იბრძოდნენ ამ ქვეყნიური ტირანების დასამზობათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მაგიერად სხვა ახალი ტირანები გაემეფებიათ, დღეს ჩვენ თვით ადამიანის სახელით ვებრძვით, როგორც ზეციურ, ისე მიწიერ ტირანებს. დღეს ჩვენი შვილები რევოლუციონური ინტერნაციონალის სიმღერით ეკვეთებიან მტრებს და უკვე უარყოფილ ფეტიშების ნაცვლათ მათ წინ მიუძღვის შრომის შეილების წმინდა სისხლით შეღებილი შრომის სუფევის წითელი დროშა...

კიდევ მეტი!

რუსეთის რევოლუციამ ერთის დაკვრით გამოაცალა ძველ ქვეყანას ის საძირკველი, რომელსაც კერძო საკუთრება ქვია. და თუ მან ჯერ სრულებით ვერ მოსპო იგი, მან უკვე შექმნა კერძო საკუთრების ინსტიტუტზე ისეთი შეხედულება, ისე შებღალა და გააბითურა იგი მთელი კაცობრიობის წარმოდგენაში, რომ ეს ყველაზე ძლიერი, ქვეყნათ ყოველი ბაროტების მიზეზი საკუთრების ინსტიტუტი დღეს არც ერთი ქვეყნის ბურჟუაზიისათვის არ წარმოადგენს საიმედო დასაყრდნობს... და თუ უწინ კერძო საკუთრების კანონიერებაში იჭვის შემტანს ციხეებითა და საგაეე სახლებით უმასპინძლდებოდნენ, დღეს ყველამ თავისი საკუთარის თვალებით დაინახა, რომ რევოლუციამ ერთის სულის წაბერვით გაანიათ იგი და მის ადგილზე საზოგადოებრივი საკუთრების იდეალი დააქანონა...

**ათასის წლობით განმტკიცებული რელიგიისა და კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამზობა!**

ასეთია ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენს რევოლუციისა და ძველა წარსულ რევოლუციებს შორის!

ამ გარემოებას თავისი ლოლიკური შედეგი მოყვა. მან შესაფერი ცვლილება მოახდინა ადამიანის ფსიხიკაში, მისი შემოქმედების ყველა დარგებში და, რა თქმა უნდა, ხელოვნებაშიც...

ძველ დროს ხელოვნებაც თავისი შესაფერი ჰქონდა.

როცა ძველი კერბები იყვენ გამეფებული, ხელოვნებაც,—მწერლები იყვენ ისინი, მხატვრები, მსახიობები თუ მემუსიკე-მომღერლები,—თავის შემოქმე-



დების მიზნათ ამ კერპების:—ფარაონების, მეფეების, უმღერის, წმინდანის, —ქებათა-ქებას ისახავდნენ... უმღერდნენ და ამკობდნენ მეფეთა და დიდებულთა სამაგალითო ვმირობას, აგვიწერდნენ მათ სულგრძელობას, მათ კეთილშობილურ ხასიათს... ცამდე აყავდათ მალალი წოდების ასულების მშვენიერება...

ერთი სიტყვით, ძველი ხელოვნება მიზნათ ისახავდა გაბატონებულ წოდებისა და კლასების სამსახურს.

ხალხი, ყოველ ღირებულობათა შემქნელი მუშა, ქვეყნის მარჩენალი, ურომლისოდაც ეს გაბატონებული კლასები ერთ დღესაც ვერ იცხოვრებდნენ, უწინდელ ხელოვნებას სულაც არ აინტერესებდა, ან აინტერესებდა მხოლოდ იმდენად რამდენადაც ეს საჭირო იყო გაბატონებულ კლასების უფრო კარგი ფერადებით დასახატავად, მხოლოდ კონტრასტებისთვის, რადგან ნათელი უბნელოთ არ დაიხატება და ბნელი უნათლოთ.

ასეთი იყო ვალშიკისა და ვიასას ხელოვნება, ასეთი იყო ჰომეროსის, რუსთაველის, ასეთი იყო ძველი და ახალი ხელოვნება.

მაშაბ-ჰარატაში ხალხი იმდენად არის წარმოდგენილი, რამდენადაც ეს საჭიროა პანდუიდებისა და კუროიდების შორის ბრძოლის საწარმოებლად. ილიადაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მეფეებს, მხოლოდ გმირებს. იქ ხალხი სრულებითაც არ არსებობს, ის სცენაზე სულაც არ გამოყავს ავტორს. ის ხალხს მხოლოდ სადღაც სცენის გარეთ აღვრევიანებს სისხლს იმიტომ, რომ თვით სცენაზე გამოვიშვო მუფეებსა და გმირებს ვაიმარჯვების, მათ სახელი და დიდება მოუპოვოს...

ჰომეროსი სასაცილოთ იღებს ტერსიტს, რომელიც ჰბედავს გმირებისა და მეფეების ყრილობაზე ხმის ამოღებას. მისი უსაკუარლესი გმირი ოდისე ხელითა სცემს ამ ხალხის წარმომადგენელ ტერსიტს ასეთი „თავხედობისათვის“...

დიდმა რევოლიუციამ სულ ერთიანად დაამხო მეფეებისა და გმირების კულტი, ძირს დასცა გაბატონებული კლასები და სოციალური სიმამის ცენტრი მათ მოწინააღმდეგე, გუშინ ყოველივე პოლიტიკურ უფლებას მოკლებულ კლასებში გადაიტანა. მან ერთი დაკერით დასცა მეფისა და მალალი წოდების დიქტატურა და პროლეტარიატისა—და საერთოდ მშრომელ ხალხის—დიქტატურის დროშა ააფრიალა.

\* \* \*

ამ გარემოებამ სულ ერთიანად შესცვალა საერთოდ ხელოვნებისა და კერძოდ მწერლობის მიმართულება.

თქვენ დღეს ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ განათლებულ მკითხველს, რომელსაც შეეძლოს გულდადებით გადვიტხოს ლიტერატურის ისეთი შედეგები, როგორიც არის ლ. ნ. ტოლსტის „ვანა ი მირ“. ძველი ლიტერატურა ჩაბარდა ისტორიას; მან ადგილი დაუთმო ახალს, რევოლიუციონურ ლიტერატურას, რომელიც სრულიად ახალ იდეალებს, ქვეყნის ახალი პატრონი კლასების—მშრომელთა ინტერესებს უნდა ემსახუროს, რომელმაც სრულიად ახალი პრობლემატი უნდა გაშალოს, ცხოვრების ჯერ უცნობი კონკულემი უნდა გაანათოს.



ძველი, დღეს უარყოფილი ხელოვნება, ძველს, დიდი ხნიდან ჩამოყალიბებულ ჩარჩოებში ტრიალებდა. ის დიდი ხნიდან, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, მრავალ თაობის მიერ გაკვალული გზით მიდიოდა. ის მდიდარი იყო როგორც ფერადების ისე თემების მხრითაც. მის სრულ განკარგულებაში იყო: ქვესკნელი და ზესკნელი, სამოთხე და ჯოჯოხეთი, ძველი და ახალი აღთქმა, მეფეთა და დიდებულთა ბრწყინვალე ცხოვრება... სარჩევი დიდი ქონდა: რაზედაც უნდოდა სწირდა.

დღეს ხელოვანი მოკლებულია ასეთ პირობებს. დღეს ხელოვანისთვის ეს თემებიც არ არსებობენ. დღეს პოეტი ვერ მომართავს თავის სევდიან ქნარს „დაკარგულ სამოთხეზე“ სამგლოვიაროთ. ის ვერც „ღვთაებრივ კომედიას“ დაისახავს თავისი შეგოქმედების ობიექტათ. დღეს ხელოვნებასა და ხელოვანს არა აქვთ ერთი განსაზღვრული ჩარჩო, მას არა აქვს გაკვალული გზა, არა აქვს შესწავლილი ფარვატერი, ის ოკეანეში მცურავ გემსა ჰგავს, რომელსაც მხოლოდ შორეული შექურა უნათებს გზას...

დღეს ხელოვანი ვერ ივლის იმ გაკვალული გზით, რომლითაც მიდიოდნენ მისი წინამორბედები: ეს გზები უკვე წაშალა რევოლიუციამ... დღეს ხელოვანმა უშეალოთ, უმაგალითოდ, უხელმძღვანელოთ, სხვის დაუხმარებლად უნდა ადგენოს თვალყური ცხოვრებას, მარტო თავის პირად დაკვირვებებს უნდა დაეყრდნოს, მან პირველმა უნდა შეისწავლოს როგორც თავისი ახალიზის ობიექტი, ისე ახალი გზებიც და იმავე დროს მან უნდა შექმნას ახალი დროისა და გარემოების შესაფერი ახალი ფერადებიც.

დღეს მწერალს არა აქვს ტრადიცია. მას არა აქვს შკრა, არა ყავს მისაბაძი და დასაყრდნობი ავტორიტეტი, ურომლისოდაც არც ერთ მწერალს არ დაუწყია თავისი ლიტერატურული კარიერა.

დღევანდელ მწერლის შკოლა, მისი მასწავლებელი და მისაბაძი მაგალითი თვით ცხოვრებაა, ცხოვრება აბოზოკრებული, რევოლიუციონური, ფაფარ აყრილი ზღვა, რომელიც დულს და გადნოდის ნაპირებიდან!..

და ასეთ ადუღებულ ცხოვრებაში ძნელია—თუ შეუძლებელი არა,—დიდი მიღწევები ხელოვნების რომელიმე დარგში.

ასეთ დროს მხოლოდ დასაყრდნობის, ფეხის დასადგმელი და მოსაკიდებელი ნიადაგის ძებნაშია ხელოვანი. ის მხოლოდ ცდის, მხოლოდ ძებნის პროცესშია!

და სანამ რევოლიუციის ქარიშხალი არ დაწყნარებულა, სანამ არ დამშვიდებულა თვითონ ცხოვრება, ხელოვანსაც, რაც უნდა დიდი ნიჭითაც იყოს იგი დაჯილდოვებული, არ შეუძლია დიდი რაიმეს, ახალი ცხოვრების შესაფერი და საკადრისი ნაწარმოების შექმნა.

ჩვენ ისიც არა გვჯერა, რომ ახალ გამარჯვებულმა კლასმა მალე მიიღოს ხელოვნების სფეროში ისეთი დიდი მიღწევები, როგორიც ბურჟუაზიას ჰქონდა.

ყველასთვის აშკარაა, რომ ბურჟუაზიას ჰქონდა ხელოვნებაში თავისი ოქროს ეპოხა, მას ჰქონდა ამ სფეროში უდიდესი მიღწევები. მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ბურჟუაზია თავის თავად პროლეტარიატზე, ეტა-იგი მთელ



ხალხზე, უფრო დიდი შემოქმედების ნიჭით ყოფილიყოს მდგრადი ქვეყნების სრულიადაც არა.

ბურჷყუანას ხელოვნებაში ჰქონდა უდიდესი მიღწევები, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კლასის იმავე დროს დაბნული ჰქონდა ბრძოლის პოლიტიკური და ეკონომიური მხარეები. ის ხელოვნურად იყო იძულებული მთელი თავისი შემოქმედებითი ძალ-ღონე ხელოვნების სხვა და სხვა დარგებში დაეხანდებია...

ეს ჩვენ თვითონ დავინახეთ რევოლიუციის წინანდროის რუსეთში. სწორეთ ამიტომ აყვავდა, მაგალითად, რუსეთის ბალეტი და ტეატრი, რომლის მსგავსიც არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონია. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ თვითმპყრობელი მთავრობა, რომელიც სულ სხვა შინაარს ზდებდა ხელოვნებაში პოლიტიკურის მიზნებით, თვითონ ერეებოდა ხელოვნებისაკენ ხალხის უფრო ნიჭიერს, რადიკალურსა და შემოქმედების უნარით აღჭურვილ ნაწილს. თვითმპყრობელობა უამრავ ფულს ხარჯავდა ტეატრალურ ხელოვნებისათვის და მით ფიქრობდა ხალხის მეტბრძოლი ენერჯიის დაბანდებასა და ამოწურვას.

საბედნიეროდ, სულ სხვა პირობებშია დღეს საბჭოთა დიდი კავშირის მშრომელი ხალხები. მათ სრულიად თავისუფალი აქვთ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ასპარეზი. ისინი იძულებული არიან ამ სფეროებში დახარჯონ თავისი შემოქმედებითი ძალების უდიდესი ნაწილი. ხელოვნებისათვის მათ სულ მცირე ოდენი თუ დარჩება ამ შემოქმედი ენერჯიისა. ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ფრ. მერინგის დებულება: ხანამ პროლეტარიატი ყველა ფრონტზე აწარმოებს თავგამოდებულ ბრძოლას, მის საშოში ვერ შეიქნება დიადი ხელოვნება და დიადი ხელოვნები...

და ჩვენ სრულიადაც არ გვეშინია ვთქვათ, რომ რევოლიუციის ხანაში ხელოვნების დარგში არ შეიძლება გვექნადეს დიდი მიღწევები. რევოლიუცია — ომია. ომს კი მხოლოდ დიდი მეომრებისა და სტრატეგების წარმოშობა შეუძლია. ამ სფეროში ჩვენ უკვე გვაქვს დიდი მიღწევები... როცა ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალა, მთელი მისი ენერჯია რევოლიუციონური ბრძოლით არის გატაცებული, მას ერთობ მცირე რამ რჩება ხელოვნებისთვის.

მწერლის შემოქმედება, — თუ ის, რა თქმა უნდა, ნიჭიერი მწერალია, — ხალხის სულიერი და სოციალური განწყობილების სინტეზია. ძველი ტრაფარეტის მიხედვით: ხელოვნება თვით ხალხია ცხოვრების სარკეა.

და თუ თვით ხალხი დღეს რევოლიუციით არის გატაცებული, თუ ცხოვრების ყოველი კუთხე, მისი ყოველი უჯრედი რევოლიუციით არის შეპყრობილი, მწერალმაც ამა მეტი რა უნდა დაისაზოს მიზნათ თუ არა ამ რევოლიუციის გამოხატვა, მისი სამსახურო? დღეს ხელოვანი და ქერძოთ მწერალი გვერდს ვერ აუქცევს რევოლიუციის, მისი ყოველი მხარეების აღნუსხვას.

მაგრამ ესწარც ისე ადვილი საქმეა. რაც უნდა დიდი ხელოვანიც უნდა იყოს, მისთვის ძნელია, თუ შეუძლებელი არა, — აღიღებულ ზღვის არა თუ სრულყოფით, ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლათ მიინც გამოხატვა. ძნელია ლიტერატურული შედეგების შექმნა მაშინ, როცა მწერლის ფეხებ ქვეშ ნიადა-



ქართული

გი ინგრევა, როცა მოძრაობაშია როგორც თვითონ მწერალის, ისე მწერლობის ობიექტიც.

დღეს საუკეთესო მწერალი იმავე დროს საუკეთესო რევოლუციონერი, შეუდრეკელი მებრძოლიც უნდა იყოს. დღეს საუკეთესო მწერალი ის არის, ვისაც ლ. დ. ტროცკიმ „Лихой кавалерист слова“ უწოდა. ასეთი მწერალი დემიან ბედნია, რომელსაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში კალამი და ოროვე ამ იარაღით ერთნაირად ებრძვის რევოლუციის მტრებს. მან შესძლო ამ ორი იარაღის შეერთება. ამიტომ დემიან ბედნი შეიძლება მივიღოთ რევოლუციონერი დროის მწერლისა და ხელოვანის სიმბოლოთ.

დემიან ბედნი სერგეი ესენინი არ არის. მეტსაც ვიტყვი: დემიან ბედნის შემოქმედება ეს უბრალო „ავტაკაა“, რაც, შეიძლება, ავტორზე ადრეც მოკვდეს.

მაგრამ დემიან ბედნი რევოლუციონერი ებრძვის დამახასიათებელი მწერალია. ესენინი კი რევოლუციის ცეცხლში რაღაც გაუგებარი, ბრმა შემთხვევით შემოურენილი პეპელაა...

ის მწერალი, რომელიც ვერ ახერხებს ხმლისა და კალმის ერთიან ხმარებას, განწირულია. ის უნდა ჩამოეცალოს რევოლუციისა და რევოლუციონურ შემოქმედებას.

ეს დავიანახა სერგეი ესენინის ტრადედიამ.

ეს მწერალი უხვათ იყო დაჯილდოებული ლირიკული ნიჭით. მაგრამ ის არ იყო მებრძოლი პოეტი. მართალია, ესენინმა სცნო რევოლუცია, მან მიიღო წითელი ოქტომბერი, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით... მისი ნაზი, მისი ლამაზი, მეტისმეტად სათუთი და მგრძობიარე ბუნება ვერ შეურიგდა ძველი კერპების დამსხვრევას, ვერ შეურიგდა მათი შეუბრალებელ ნგრევის პროცესს... და ის დაეცა, როგორც ცეცხლის აღზე ფრთებ შეტრუსული ფარვანა...

საკმაოა მოვიფიქროთ ამ ორი მწერლის დამოკიდებულება რევოლუციის მიერ უარყოფილ რელიგიასთან. დემიან ბედნი სწერს „სახარებას“, ააწკარავებს მასში გამეფებულ ცრუმორწმუნეობას. ესენინს უცრემლოთ არ შეუძლია ამის წაკითხვა. ის მხათ არის დულში გამოიწვიოს ქრისტეს რელიგიის მსხარათ ამგდები მწერალი:

Пусть Будда, Мойсей, Конфуций, Христос—

Далекий мир,—мы это понимаем.

Но все таки нельзя-ж, как годовалый пес,

На все и вся Захлебываться лаем.

Пусть миф Христос, как мифом был Сократ.

Так чтож, от этого и надобно подряд

Плевать на все, что в человеке свято?...

ასე სწერდა ესენინი დემიან ბედნის.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორი მწერლის ორ სხვა და სხვა დამოკიდებულებასთან რევოლუციისადმი. დემიან ბედნი ებრძვის რელიგიას, როგორც მონობის იდეოლოგიის საფუძველს. ესენინისათვის კი რელიგია და მისი მეთაური მშვე-



ნორებაა, ძველი ღირებულებაა, რომელიც უნდა დარჩეს, რეველიუციონერისა და რეველიუციის მსახურად ხელი.

\* \* \*

ხელოვნება დამუდარ, დაფიქრებულ, დასვენებულ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ ამისათვის ის კი არ არის საკმაო, რომ მწერალი დაჯდეს მყუდრო კაბინეტში და სწეროს.

ხელოვნური ნაწარმოების შესაქმნელად აუცილებლად საჭიროა, რომ მყუდროებას განიცდიდეს თვით ხელოვნების ობიექტი, დაწინარებული და დაშვებულ იყოს თვით ნიადაგი რომელზეც ცხოვრობს, მოქმედებს და ჰქმნის თვით ხელოვანი.

**მაჰაბ-ჰარატა**, — თუ ის პაროლა ერთი მწერლის დაწერილია და არა საუკუნეთა განმავლობაში რამდენიმე მწერლისა, — უნდა შექმნილიყო არა იმ დროს, როცა ინდოეთის ხალხები რეველიუციის ცეცხლში იყვნენ გახვეული, არამედ მაშინ როცა ეს ქვეყანა მყუდრო ცხოვრებას განიცდიდა, როცა მოპოებული ჰქონდა სრული გამარჯვება იმ საზოგადოებრივ კლასებს, რომლებსაც ინტერესების დაცვასაც ჩვენ ვხედავთ აღმოსავლეთის ამ უდიდეს ეპოსში. მეცნიერები კიდევ ფიქრობენ, რომ იმ ბრძოლიდან, რომელიც აწერილია ამ ეპოსში, **მაჰაბ-ჰარატას** დაწერამდე 200—300 წელი გვიდაო.

ასევე უნდა ყოფილიყო **ჰომეროსის** შემოქმედებაც. იმ ლეგენდას, რომელიც ილიადამია აწერილი და **ჰომეროსის** დროს შუა, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, 200—300 წელი იყო გასული.

რას გვასწავლის ეს ვარაუდი?

ეს იმას გვასწავლის, რომ **რეველიუციის** დროს შეუძლებელია თვით გენიოსი მწერლისთვისაც ამ რეველიუციის ყოველმხრივი შესწავლა, მისთვის სინტეზის გაკეთება, მისი ღირსეულად გამოხატვა.

ჩვენს დროში მთელი დედამიწა ინძრევა და ბორბავს. ცხოვრება დღეს და ნაპირებიდან გადადის. ყოველივე ძველი იხრწება და ისპობა. ყოველდღე ახალ-ახალი მიღწევები აქვს კაცობრიობას... ასეთ დროს მხოლოდ კონტურების მოხაზვა, მხოლოდ ახალი გზის აღნიშვნაა შესაძლებელი და ისიც უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული მწერლისთვის... დღეს მხოლოდ უდიდესი მწერლები თუ ახერხებენ მხოლოდ ამას. და ისიც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაეთვალოს მათ.

დღეს ჩვენ ხელოვანს ვერ მოვთხოვთ: ყოველმხრივ დასრულებული ნაწარმოები მოგვეცეო, რადგანაც მისი შემოქმედების ობიექტი, თვით ცხოვრება დაუსრულებელია, დინამიკურ მდგომარეობაშია, რადგანაც თვით ცხოვრება არ არის დაწინარებული, ის ხან ერთ მხარეს აჩვენებს ხელოვანს და ხან მეორეს... ჩვენი დროის ხელოვნება, თუ მართალი გნებავთ, ხელოვნება კი არ არის, ეს მხოლოდ მახალაა მომავალი ხელოვნებისთვის.

დასრულება რეველიუცია. ჩამოყალიბდება და განმტკიცდება ახალი კულტურა. მიიღებენ გარკვეულ ფორმებს ის ახალი მიღწევები და ღირებულებები, რომლებიც ჯერ კიდევ ასე სუსტი და უსრულია. რეველიუციონერ ბრძოლაში

დღეს დაბანდებული ხალხის ძალები თანდათან განთავისუფლებიან და ბრუნდებიან თავის კერას. ისინი უფრო მეტის ენერგიით შეიძლება მოქმედებდნენ მშვიდობიან აღმშენებლობასა და ყოველგვარ შემოქმედებაში.

მაშინ და მხოლოდ მაშინ გაჩნდებიან გენიოსი ხელოვნები, რომლებიც ამ ჩვენი თაობის მიერ მოგროვილ მასალას გაატარებენ თავისი შემოქმედების პრიზმაში, გააფხვენ ახალ გზებს, შექმნიან თვალწარმტაც შედეგებს და ააყვავებენ ხელოვნების ყველა დარგებს.

აქ კიდევ ერთ გარემოებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

როცა ზოგიერთ მწერალს ეკითხებით:

— რატომ არაფერს სწერო? — გიპასუხებს:

— რაზე ვსწერო? ვისზე ვსწერო? თემა არა მაქვსო.

ეს სრულიად მართალი პასუხია, რევოლუციონური ეპოხის მწერალს თემა ვერ უპოვია, გმირი არა ყავს.

ეს მეტის მეტად პარადოქსალური აზრია, მაგრამ ეს ძართალია. ბაირონი თავის დონ-ჟუანს ასე იწყებს:

Герой я ищу... Не странно-ль это,

Когда у нас что месяц, то герой!

ბაირონის მზრით ეს უდიდესი სატირაა თანამედროვე ინგლისის საზოგადოებაზე.

მაგრამ დღევანდელი მწერალიც თითქმის ასეთ მდგომარეობაშია. დღეს ისიც გმირს ეძებს და არა სატირიული მიზნით. დღეს — ამ მართლაც გმირებისა და გმირობის ხანაში მწერალს გმირი ვერ მოუწახავს.

რაშია საქმე?

რევოლუციამ მოსპო ძველი კერპები, ძველი გმირები, რომლებიც ამდღებდნენ ძველ ხელოვნებას, აძლედნენ ხელოვანს საუკეთესო თემებს. დღეს გახუნებული და უარყოფილია ბიბლიური და ქრისტიანული თემები და გმირები. მაგრამ არც ძველი საეროვნო თემებია უკეთეს პირობებში. აბა ვის ყურადღებას დაიმსახურებს დღეს თუნდაც დონ-ჟუანის ტიპი, მისი თავგადასავალი, რის განსახიერებასაც რამდენიმე ათეულ დიდ მწერალს შეუღწევია თავისი ძალ-ღონე?

დღეს ვერც იკარისა და დედალის ტიპი და მათი ისტორია წარმოადგენს ხელოვანისთვის საინტერესო თემას. ან რომელი გიცი ხელოვანი იკისრებს ჩვენს დროში თავის შემოქმედების ობიექტათ ამ ფაბულის აღებას? ვისთვის იქნება საყურადღებო თავლის სანთელით გაფისული ნარმისაგან გაკეთებული ფრთებით იკარი მაშინ, როცა დღეს ყველა თავისი საკუთარი თვალებით ხედავს, რომ უბრალო მომაცქდავე ადამიანი არწივისავით დასრიალებს ჰაერში და იქედან მთელი ქალაქების აფეთქება შეუძლია?

კენი? ამირანი?

არც ესენი გამოდგებიან სადღეისო თემებათ. რა საჭიროა მითების გან-





სახიერება მაშინ, როცა აღამიანებმა სინამდვილეში დაამარცხეს ტყუილად და ტარტაროზიც?

ფაუსტი რომელიც, ისე ასულდგმულება ხელოვნებას, რომ მარტო გერმანიაში გიოტემდე ოცდა ცხრამეტმა დიდმა მწერლმა გაიხადეს იგი თავისი შემოქმედების საგნათ!..

ჩვენს დროში ფაუსტი — ეს ყოველგვარი ცოდნის შეძენით აღტყინებული, ამბობი სული კი არ არის, რომელიც უარყოფს „საუკუნო ნეტარებას“, მხოლოდ ამ ქვეყანად განიცადოს ყოველიფერი... სინამდვილემ უკვე გაახუნა, გააბითურა ეს ტიპი, უკვე ახადა მას ყოველგვარი მიმზიდველობის შარვანდელი. ფაუსტი, რომელიც გუშინ ცისა და დედამიწის შუა არ ეტყოდა, დღეს კომსომოლების რომელიმე იაჩიკაშიც ჩინებულად მოთავსდება, მაგრამ საეკვია, რომ მან იქაც დაიჭიროს „პოლიტგრამოტაში“ გამოცდა.

დღევანდელ ფაუსტს არც ეშმაკი სჭირდება გზის მაჩვენებლათ და არც ანგელოზი. მან უკვე ამ ძალების დაუხმარებლად იცის გზა ქვეყნის საიდუმლოებისაკენ.



მაშ ვინ არის? ვინ უნდა იყოს დღეს ახალ შემოქმედების საკადრისი გმირი?

ვის განსახიერებას, ვის გამოხატავს უნდა შესწიროს ხელოვნება თავისი ნიჭი და შემოქმედებითი ძალ-ღონე?

ახალი შემოქმედების თემა — რევოლუციაა, მისი ტიპი — რევოლუციონური მებრძოლია!

მაგრამ ჯერ ეს ტიპი ვერ გამოდგება ხელოვნების დიდი ნაწარმოებისთვის. ჯერ შეუძლებელია ამ ტიპის განზოგადება, მისი, — თუ შეიძლება ასე ითქვას — გატიპება, მისი ცხოვრების სინტეზით გამოყენება. სანამ რევოლუცია არ დამთავრებულია, სანამ კიდევ სწარმოებს ბრძოლა, რევოლუციის გმირები მხოლოდ რადიკალ-დებეშების, მხოლოდ საგაზეთო ცნობების გმირები შეიძლება იყონ. უკეთეს შემთხვევაში მათ შესახებ მხოლოდ საგაზეთო ფელეტონები თუ დაიწერება.

სახალხო რევოლუციის გმირი რომ ტიპათ გადაიქცეს, საჭიროა დრო, დიდი დრო, საჭიროა ეს გმირი და მისი საგმირო საქმეები მოხუცდენ, გაქაღარავდენ, ლეგენდის თეთრი ფერფლით შეიფერფლონ, როგორც შემოდგომის გრიგალით გატიტვლებული ტყე იბურება თოვლით და იღებს თვალის მომპყრელ ხახის...

სახალხო გმირი ღვინოსა ჰგავს: რაც უფრო ძველდება იგი, მით უფრო იწმინდება პეკსგან, მით უფრო მეტ ბუკეტსა და სიმაგრეს იძენს, უფრო ძვირფასი ხდება.

საუკუნოები იყო საჭირო, რომ ალექსანდრე მაკედონელი უდიდიდეს გმირად გამხდარიყო.

ღვინის მთელი ქვეყნის პროლეტარიატის უდიდესი ბელადია, მაგრამ ღვინის სახელი ერთი ათათ და ასათ უფრო დიდი და საყვარელი იქნება რამ-



დენიმე ასიოდე წლის შემდეგ, საუკუნეთა უსაზღვრო სიფრთხილე, როცა იგი მოძველდება, როცა მისი აკლდება სუროთი და ხაესით შეიშოსება, როცა მისი სახელი ლეგენდის თეთრი ფერფლით შეიფერფლება.

თანამედროვეები ვერ აფასებენ ნამდვილ გმირებს და მათ საგმირო საქმეებს. თანამედროვეებს აშინებს რევოლიუცია და რევოლიუციონერები. ეს ასეც უნდა იყოს: რევოლიუციონერი არ შეიძლება გკუთვნოდეს ყველა თანამედროვე კლასებს, თანამედროვე საზოგადოებას ერთათ აღებულს. ის ერთს ამარცხებს და ატირებს, მეორეს გამარჯვებას ანიჭებს და ახარებს. ამირანმა ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და მით ჩაგრული ადამიანები გააბედნიერა. მაგრამ. მან დაიმსახურა წყვეა მჩაგვრელებისა, რომლებიც განცხრობით ცხოვრობდნენ პარნასზე ამ უბედური ადამიანების ხარჯით.

ეინ მოათელის რამდენი პოეტის ჩანგი სიამოვნებით ატლერებია იმას, რომ მაკედონელმა, როცა სპარსეთი დაიპყრო, ერთ ღამეს ათი ათასი ბერძენი მეომარი დაქორწინა ათი ათას სპარსელ ასულზე.

ჩვენ ეს გვაკვირვებს, როგორც ნიმუში მაკედონელი გმირის ზე-კაცური ნების ყოფისა და გაბეღებისა. მაგრამ ერთი ჩაგებდათ იმ სპარსელი მშობლების გულში, რომლების ასულებსაც ასე შეუბრალებლად ნამუსი ახადეს!

მაკედონელს ჩვენ ვთვლით უდიდეს გმირათ, თანამედროვეები მას აღმად მხეცათ და ჯოჯოხეთის მოციქულად თელიდენ.

ადამიანი დიდი მანძილით უნდა დაშორდეს მებრძოლებსა და ბრძოლის ველს; მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ფაქტის გულდაშევიდებით აწონ-დაწონეას, მის ღირსეულათ დაფასებას. თვით ბრძოლის ველზე და ბრძოლის დროს არავის, თვით გენიალურ მწერალსაც კი არ შეუძლია მებრძოლისა და მისი საქმეების დაფასება.

ამის უტყუარ მავალითს ჩვენ უკვე ვხედავთ:

ლენინი, ეს უდიდესი ფიგურა კაცობრიობის ისტორიაში—მოკლდა. მან უდიდესი, ჯერ არ ნახული და გაგონილი მემკვიდრეობა დაუტოვა მოელ კაცობრიობის მშრომელ ნაწილს. ლენინის შესახებ ბევრი დაიწერა და იწერება. მაგრამ დაშისაბეღეთ თუნდ ერთი ისეთი ნაწერი, რომელიც მართლაც შეეფერებოდეს და ეკადრებოდეს ამ უდიდესი ტიტანის სახელს.

ასეთ ნაწარმოებს ჩვენ ვერ ვხედავთ. ასეთ ნაწარმოებს ჩვენი თაობა ვერ მოესწრება. ეს მომავლის საქმეა.

\* \*

რევოლიუცია და რევოლიუციის ბელადები აშინებენ თანამედროვეებს. მხოლოდ შთამამავლობა აფასებს მათ ღირსეულათ.

ჩვენის აზრით მხოლოდ ამ გარემოებაში უნდა ვეძებოთ ახსნა იმ პირველ-შებნდვით გაუგებარი მოვლენისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ის მწერლები, რომლებიც დიდი რევოლიუციის წინამორბედებათ მოგვეკლინენ, რომელთაც ყველაზე ადრე შეიგნეს რევოლიუციის მოახლოება, რომლებიც გრივალასავით (буревестник) დასრიალებდნენ ზღვის ზედა პირზე და საომრად გვიწვევ-



დენ ძველი ქვეყნის წინააღმდეგ, დღეს როცა ეს მათი სასურველია და ფაქტად იქცა, ჩაჩუმებული არიან, მათი ხმა აღარ გვესმის. მათ თითქმის უკვე ამოწურეს თავისი როლი: ამცნეს ქვეყანას ძველი ქვეყნის დასასრულის მოახლოება და როცა ახალი ქვეყნის შესია თავისი საკუთარის თვალებით დაინახეს, შეშინდნ და მიმალ-მოიმალენ.

დღეს ჩვენ არ გვესმის არა თუ ჩვენი, ქართველი, პატარ-პატარა გრიგალა მწერლების ძველი გაბედული და გამამხნეებელი, ბრძოლის ველზე მიმწევენი ხმა, დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ ჩვენი რევოლუციის უდიდეს გრიგალა მწერალს, მაქსიმე გორკის, რომლის თვალწარმტაცი ლიტერატურული კარიერა რევოლუციის პირველ დღესვე დამთავრდა.

მაქსიმე გორკი თვითპრობლემათა ბრძოლის დროს თავის სფეროში გრძნობდა თავს. ის მთელის თავისი ძალ-ღონით ემსახურებოდა რევოლუციას, საომრად იწვევდა და წვირთნიდა რევოლუციონურ მებრძოლთა ძალებს. მაგრამ როცა მას ნატვრა აუტყვალდა, როცა რევოლუცია ფაქტად გადიქვა, „გრიგალას“ ავტორი დარჩა წყლიდან ამოღებული თევზივით.

მან ვერ მოახერხა, ვერ შესძლო ახალი მოვლენილი მესიის შესაფერ ფორმებში განსახიერება... მან უკუ აგდო მხატვრული კალამი და პუბლიცისტიკის მიყო ხელი. რევოლუციის პირველ დღიდანვე მან დაარსა ყოველდღიური გაზეთი „Новая Жизнь“, რომლის საშუალებითაც ცდილობდა ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას, კალაპოტიდან ამოსული ტალღების ისევ ძველ კალაპოტში ჩავდებას...

მაგრამ გორკიმ სულ მალე დაინახა რამ, ის ერთობ მძარე ღირსების პუბლიცისტი იყო და ძალა-უნებურად უნდა ჩამოცლოდა ბრძოლის ველს. მისი თვალის მომჭრელი ლიტერატურული კარიერა რევოლუციის პირველ დღიდანვე დამთავრდა. რევოლუციის წინამორბედი გრიგალა მწერალი უკან ჩამორჩა რევოლუციას. გორკის დღევანდელი შემოქმედება—ეს უბრალო „მემუარისტობა“ და არა ნამდვილი ხელოვნება, გორკისებური შემოქმედება...

მაგრამ რევოლუცია აშინებს არა მარტო ისეთ მგრძნობიარე პუნების აღამიანებს, როგორც მხატვრები და პოეტები არიან, ის აშინებს თვით რევოლუციონერებსა და ზოგიერთ მის ბელადებსაც.

**გ. ვ. პლენანოვი**, ამ ჩვენი დროის უდიდესი რევოლუციონერი მწერლისა და თეორეტიკოსის თვალწარმტაცი კარიერის მოულოდნელი და უსახელო დასასრული საუკეთესო ილიუსტრაციაა ჩვენი ასეთი აზრის. **გ. ვ. პლენანოვი**, დამაბრსებელი რუსეთის ს.-დ. პარტიისა, თითქმის ნახევარი საუკუნე ზრდიდა და წვირთნიდა მებრძოლთა ძალებს... მაგრამ, როცა რევოლუცია დაიწყო, ის შედრკა...

და ის **პლენანოვი**, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ განუცდია კომპრომისი, კომპრომისისებზე წაყვია. ის გვერდში ამოუდგა რევოლუციონური ხალხისა და მისი მტრების მორიგების მოციქულმს; ის კლასთა შორის ხიდის გადების იდეოლოგიებს მიემბრო.



ეს ფაქტი უაღრესად საყურადღებოა. თუ თვით რევოლუციის ბელადმა ვერ გაუმავრა თვალი რევოლიუციის სიმკაცრეს, თუ ისიც კი დაბრუნდა და კომპრომისებს დაადგა, რა უნდა მოვთხოვოთ ხელოვნების წარმომადგენლებს: მხატვრებს, მწერლებს, მუსიკოსებსა და სხვებს, როგორ უნდა ვავამტყუნოთ ეს უაღრესად მგრძობიარე ბუნების აღამიანები, როცა იმათ რევოლიუციისთვის თვალი ვერ გაუსწორებიათ?

დახლოებით აი ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს საზოგადოთ თანამედროვე ხელოვნების და განსაკუთრებით საბჭოთა დიდი კავშირის ხელოვნების კრიზისი.

ამავე მიზეზებმა გამოიწვიეს ქართული ლიტერატურის კრიზისი.

ქართულ ლიტერატურასაც ჰყავდნენ თავისი გრივალა მწერლები, რომლებსაც გულის ძვრით უსმენდა საბრძოლველად აღტყინებული ხალხი.

სად არიან დღეს ეს გრივალა მწერლები?

ისინი ფიზიკურად დღესაც ცოცხლები არიან; მაგრამ მათი ხმა თითქმის სრულებით არ ისმის ქართული ლიტერატურის საერთო კონცერტში და თუ რომელიმე მათგანს ხანდისხან კანტი-კუნტად რაიმე წამოსცდება, ისიც ზარმაცად, უენერგიოდ, რაღაც სევდიანად, უსიცოცხლოდ, უსიზარულოდ, თითქოს ძილში წამოაკენესაო.

მათ უკვე დაუკარგავთ ფოლადი, ურომლისოდაც ხმალი არ ხმალობს და კალამი არ კალპობს. მათ უკვე დაუკარგავთ ენერჯია, ურომლისოდაც ცოცხალი სიტყვა სნეულის კენესას, მომაკვდავის სლოკინს უფრო ჰგავს, ვიდრე გამამხნეველ, მწერლის გულიდან ამონახეთქ მომჯადოებელ სიტყვას, ბრძოლის საყვირს...

ახალ ლეონოს ახალი ტიკი უნდა. ძველი მას ვერ გაუძლებს.



ასეთია რევოლიუციის ან მისი მომყოლი დროის ლიტერატურა და ხელოვნება. ის ცდის ერთს, გადადის მეორეზე, წონის, ზომავს ერთი სიტყვით, ეძებს ახალ ფორმებს, ეშინის ახალ ფორვატერს და საერთოთ აგროვებს მასალებს უფრო დიადი ხელოვნებისათვის.

მაგრამ **გამარჯვებული** რევოლიუციის დროის ლიტერატურას ყოველთვის და ყოველგან ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს:

მასში არ არის და არც შეიძლება იყოს დაცემულობის ნიშნობლივი თვისებები. მასში არ არის მისტიციზმი, არ არის ეროტიზმი, არ არის პორნოგრაფია... მსაწი არ არის ბურჟუაზიული ლეში...

სულ სხვაა **დამარცხებული** რევოლიუცია და მისი ლიტერატურა.

ასეთი რევოლიუციის ლიტერატურას, პირიქით, ახასიათებს დაცემულობის ზემოთ დასახელებული ნიშნები.

მაგალითისთვის საკმაოა მოვიგონოთ 1848 და 1905წლების დამარცხებული რევოლიუციების მომყოლი წლების ლიტერატურა.



1848 წლის რევოლუციის თან მოყვენ მთელი რიგი დიდნი მუხღმურნიკე ბისა". საკმაოა დაეასახლოთ: შარლ ბოდლერი, ვილიე-დე-ლანგლანსამდე უსმანი და სხვები... ბოდლერი რევოლუციის დამარცხებამდე „ხალხის მეგობარი“ იყო. ის სოციალურ რევოლუციებაზე ოცნებობდა. ის „დალილ-დაქანცული ხალხის“ განთავისუფლებისა და აღდგომის მოციქულად გამოდიოდა. 1848 წლის რევოლუციის დროს ბოდლერი ბარიკადებზე გარბოდა...

მაგრამ როცა რევოლუცია დამარცხდა, როცა გამარჯვება ბურჟუაზიას დარჩა, ბოდლერი ვერ შეურიგდა „გალაღებულ ჩარჩებს“ და ბურჟუაზიული ქვეყნის წინააღმდეგ აღიჭურვა.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს გამარჯვებული „ჩარჩების“ შეურიგებელი მტერი დამარცხებულ ხალხს შეუერთდა, მისი ინტერესების დამცველად გამოვიდა. სრულიადაც არა. ის განშორდა ბურჟუაზიასაც და ხალხსაც. მან დაჰგმო როგორც ერთი, ისე მეორე. მან დაჰგმო დემოკრატიის იდეალებიც, და ძველ წესწყობილების მდგარ დამცველად გამოვიდა.

რა სურდა ბოდლერს? როგორი იყო მისი ცრდი!

ამ კითხვის ასე თუ ისე გარკვევა ჩვენთვის მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენში, ქართულ ლიტერატურაში, დღესაც არსებობს მწერალთა მთელი ჯგუფი, რომელიც ბოდლერსა და მისი შკოლის პოეტებზე ლოცულობს, მისი კულტის მოციქულად გამოდის.

ბოდლერი, როგორც ვთქვით, მტერია დემოკრატიული წეს-წყობილებისა. მისი და მის აზნანაგების იდეალი წარსულის აღდგენაა. მათი იდეალური გმირები, მათი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი მხოლოდ სამი ტიპია: „მღვდელი, მეომარი, პოეტი“. ადამიანის სრულყოფილ ტიპად ბოდლერი აღიარებს მხოლოდ „დენდს“ (მუქთახორა, მხოლოდ სხვისი ოფლითა და შრომით მცხოვრებ ფრანტს), რომელიც არაფერს არ აკეთებს, არავეითარ ღირებულებას არა ქმნის, რომელსაც სძულს ხალხი, „ტალახიანი ბრბო“ და ცხოვრობს სხვის ხარჯზე.

ასეთია ყველა სხვა დასახლებული მწერლების იდეალიც. არც ერთ იმათგანს არა აქვს მომავლის იმედი. მათი იდეალი წარსულშია. მათ არა სწამთ ქვეყნის განახლება, სოციალისტური ცხოვრების მორალური შესაძლებლობა.

„ხალხი თანდათან უარესდება და ირყუნება. მოავგონეთ კომუნა. მოავგონეთ ნახევრად შეიარაღებული ბრბოს სიმშეცე... ვაი რა შორსა ვართ საშუალო საუკუნოებიდან, გულუბყერილო, მართალი, უბრალო ხალხისგან!“ „ქვეყნის გასააზნებლად უძღურია როგორც სოციალიზმი, ისე სხვა ბოძვა გაუნათლებელი და გაბოროტებული მუშებისა“.

სწერს ბოდლერი.

ამ მწერლების წარმოდგენით, წარსული მკედარია. მომავალი არაფერს საიმედოს არ იძლევა. მათ დარჩენილ მხოლოდ ერთად-ერთი იმედი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გემი, რომლის კაპიტანი სიკედილია, მალე წაიღებს მათ სხვა ქვეყანაში. მათთვის სულ ერთია უკეთესი ოქნება ეს „სხვა ქვე-



ყანა" თუ უარესი, მხოლოდ ახალი, ჯერ უცნობი კი იყოს იგმარება მხოლოდ ასე მიმართავს სიკვდილს:

„ო, მოხუცო კაპიტანო! ო, სიკვდილო! ჩქარა! გვეყოფა სიზარ-  
მატე. მომძულდა ეს ქვეყანა. დროა აღმართოთ იალქნები! დღე გა-  
შავდეს ცა და დედამიწა, როგორც მელანი. ჩვენს გულში ალტაკება  
და მზიანი დღეა!... ჩვენ, მაშვრალთ, გავვიღე საუკუნეთა კარები.  
სულ ერთია ედემში თუ ჯოჯოხეთში, მხოლოდ უცნობ და უცხო  
ქვეყანაში კი იყოს, რომ ახალი ვიხილოთ!... (იხ. В. М. Фриче:  
„Очерк развития западно-европейской литературы“ გვ. 195-196).

\* \*

ყველა ჩვენგანს ახსოვს თუ როგორი იყო 1905 წლის დამარცხებული რე-  
ვოლიუციის მომყოლი დროის ლიტერატურა რუსეთში.

პირველი სიტყვა, რომლითაც რუსეთის ბურჟუაზიამ აღნიშნა თავისი გა-  
მარჯვება დამარცხებულ ხალხზე—იყო ერთიანობა და პორნოგრაფია. ეს იყო  
ლიტერატურის გარყვნა, მისი გამპროსტიტუტება; ეს იყო დამარცხებული ხალ-  
ხის სულიერი საზრდოს მოწამელა.

მხოლოდ მისტიციზმისა და სექსუალური პრობლემების ირგვლივ ტრია-  
ლებდა 1906 და მისი მომყოლი რეაქციის წლების ხელოვნური ლიტერატურა.  
დიდ ტანიან ეურნალებსა და აღმანახებში სულ ერთიანათ გაბატონდნ არცი-  
ბაშეები თავისი სანიინებით.

მაგრამ ეს კიდევ რა? ხალხის დამარჯვებით ისარგებლა ნამდვილმა, ირ-  
წავარდნილმა პორნოგრაფიამ. ის თვითმპყრობელი მთაურობის ლოცვა-კურთხე-  
ვით თავისუფლად გამობრძანდა მზის სინათლეზე: უკუ ავღო თავისი ლეღვის  
ფოთლებიდან შეკერილი სამოსელი, რომლითაც უწინ ტიტველ „ტანს იფარავდა  
და თვით სატახტო ქალაქების ცენტრალურ ქუჩებში სრულიად გამიშვლებუ-  
ლი ვიმოვიდა, როგორც ცხოველების კანონიერი შვილი, როგორც საზოგადოე-  
ბის სრულფუნქციონირი წევრი.

საგულისხმოა, რომ 1907 წელს, მეორე სახელმწიფო სათათბიროს, ამ, აგ-  
რეთ წოდებული, „ხალხის შრისხანების სათათბიროს“ („Духа народного гнева“)   
არსებობის დროს, სწორედ მაშინ, როცა თავრიზის სასახლეში გაისმოდა და-  
უსრულებელი მალალ ფარდებიანი რეჩები, პეტერბურგში, თვით ნევის პროსპექ-  
ტის ყოველ კუთხეში, აშკარად, ყველასთვის დასანახათ, ათასობით იყიდებო-  
და ნახევარ კაპეიკიანი, კაპეიკიანი, ერთ ნახევარი და ორ კაპეიკიანი სახიზ-  
ღარი პორნოგრაფიული ბროშურები, რომლის ყდებზეც გამოხატული იყვნენ  
სრულიად გატატლებული ღამაზი ქალები სხვა და სხვა ცინიკურ, ენებიათა ამ-  
შლელ პოზებში, ცინიკურისავე წარწერით ლექსებათ...  
და არ გეგონოთ, რომ ასეთ ბროშურებს მარტო პროსტიტუტკები და

მათი კავალრები ყიდულობდნენ. არა. ასეთ ბროშურებს ათასობით ყიდულობდა  
ორივე სქესის მოსწავლე ახალგაზრდობაც, დაწვებული მოსამზადებელი კლასების  
ბალებიდან და გათავებული სტუდენტებითა და კურსისტებით. ყიდულობდნენ



ყველას დასანახათ. მოზარდი თაობა იწამლებოდა გამარჯვებულმა რუსეთის მიერ მიწოდებულ საწამლავეთ და მთავრობა ამას მფარველობას უწყვედა!

აი ის რაც ახასიათებს ყველა დამარცხებულ, წაგებულ რევოლუციის ლიტერატურას!

განა შესაძლებელია ასეთი ლიტერატურა ჩვენი რევოლუციის დროს? გამარჯვებული ხალხი განა ვისმეს გააბედინებს ასეთ რასმეს? რუსეთის ლიტერატურაში დღეს ადგილი არა აქვს ასეთ რასმეს. იქ დღეს არა თუ უმინდა ქუჩური ლიტერატურა არ არსებობს, ძნელი დასანახია ისეთი ცკი, რასაც „დაცემულობის“ ლიტერატურას ეძახიან. იქ დღეს მხოლოდ ბრძოლისა და ძიების ლიტერატურაა. შესაძლებელია რევოლუციის რომელიმე „თანამგზავრ“ პოეტს იქაც წამოცდეს რაიმე ისეთი, რასაც ბურჟუაზიული ლეშის სუნი უდის. მაგრამ ეს სულ უმნიშვნელო გამონაკლია, რომელიც კიდევ უფრო ამტკიცებს საერთო კანონს და რომელიც შეუმჩნეველ წვეთად იკარგება რუსეთის ლიტერატურის ოკეანეში...

\* \*

რაც უნდა ბრძანოთ დღეს რუსეთის ლიტერატურისა და საერთოთ რუსეთის ხელოვნებაში კრიზისის შესახებ, მე მაინც ვიტყვი, რომ თანამედროვე რუსეთის ხელოვნებაში არ არის ის მოვლენა, რასაც ჩვეულებრივად კრიზისი ეძახიან. დიდმა რევოლუციამ განკურნა როგორც მთელი ხალხი, ისე, მისი ხელოვნება, გაათავისუფლა იგი ბურჟუაზიულ ლეშიდან, მან ადგილი მოაშხადა ახალ დროის შესაფერი შემოქმედებისთვის.

მაგალითისათვის ავიღოთ თეატრი, რაც ხელოვნების ყველა სხვა დარგზე უფრო მგრძნობიარე თუ არ არის, უფრო პოპულიარული მაინც არის.

თეატრი ყოველგან და ყოველ ეპოქაში წარმოადგენდა ასე თუ ისე, თავისუფალ ტრიბუნას. სცენიდან თითქმის ყოველთვის ესმოდა ხალხს თავისუფალი სიტყვა თავისუფალი ხელოვანისა. თეატრს არა თუ ითმენდენ, ხშირად მას კიდევ ემხარებოდნენ რუსეთის დესპოტები... თეატრი შეიქნა რუსეთის ხალხის პოლიტიკური ბარომეტრი. რუსეთის თეატრის ისტორია იმავე დროს რუსეთის ხალხის პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა. თეატრი, როგორც ფოტოგრაფიის მგრძნობიარე ფირფიტა ისე ისახავდა რუსეთის ხალხის სულიერ მდგომარეობას. საყურადღებოა, რომ რაც უფრო მეტად მძინეარებდა რუსეთში დესპოტიზმი, მით უფრო უჩნდებოდა რუსეთის თეატრს დიდი ტრალიკოსები. ნიკოლოზ I, ალექსანდრე III და ნიკოლოზ II-ს დესპოტიური ხანა იმითაც იყო შესანიშნავი, რომ სწორეთ ამ დროს მოევიდნენ რუსეთის თეატრს უდიდესი ტრალიკოსები, როგორაც იყვნენ მაგალითად: მოჩალოვი, კარატიგინი, შჩეპკინი, ორლენიევი და მრავალი სხვები. ზოგი მათგანი დღესაც ცოცხალია.

სად არიან, რატომ არ გვესმის დღეს ამ ტრალიკოსების, ამ გენიალური ნევრასტენიკების სახელები?

სად არიან დღეს ორლენიევი და სხვა მისთანა დიდი ტრალიკოსები, რომლებიც რევოლუციის წინა ხანებში ხალხს თავის საუკეთესო გმირებათ, თავი-



სი საკუთარი ტანჯვების გამოშხატელოდ მიაჩნდა? რა მოხდებოდა მათგან?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება:

ეს გენიალური ნევრასტენიკები გუშინ ხალხს უყვარდა, მათ ალტაცებით უსმენდა, უჯერებდა.

თვითმპყრობლობის ხუნდებში მომწყვედეული ნევრასტენიკ საზოგადოების სულიერ მდგომარეობას საუკეთესოდ ხატავდნენ ასეთი დიდი ნევრასტენიკები. როცა თვით ხალხი აუტანელ ტანჯვას განიცდიდა, როცა იგი სასოწარკვეთილებამდე იყო მისული და თვითონ ნევრასტენიკი იყო, ეს დიდი ტრალიკოსები, როგორც თავისი ერის სულიერი სინტეზი, თვით განიცდიდნენ და გამოხატავდნენ ხალხის სულიერ ტანჯვებს...

მაგრამ დღეს ხალხი განიკურნა. დღეს მოსპობილია ნევრასტენიის წყარო: ხალხი განთავისუფლდა თვითმპყრობლობის ბორკილებიდან. რევოლიუციამ გადააგორა რუსეთის ხალხის გულიდან საფლავის ლოდი...

მართალია, ხალხი დღესაც აუტანელ ტანჯვებს განიცდის. მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რაც უნდა ცუდი აზრისაც უნდა იყოს რევოლიუციისაზე და მის მიერ გამოწვეულ ხალხის გაკვირებაზე, რაც უნდა შეურიგებელი მტერიც იყოს დღევანდელი საბჭოთა წყობილებისა, ერთი რამ მაინც უნდა აღიაროთ:

ხალხის დღევანდელი გაკვირება—ისეთი გაკვირებაა, როგორსაც, ალბათ, განიცდიდა მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე... ხალხს უჭირს, მაგრამ მას უჭირს ისე, როგორც უჭირს დიდ სწულებებში უკვე გამოვლილს, უკვე «სათუოში გამოსულს» აღამიანს.

ის ჯერ კიდევ საეგზეთ ვერ გამოსწორებულა. ის თავს ჯერ კიდევ სუსტად გრძნობს. მაგრამ მან იცის, რომ ის აღსდგა მკვდრეთით, რომ ის გაექცა სიკვდილს და პირი სიციცხლისაკენ იბრუნა. რევოლიუციის ცეცხლში გამოვლილ ხალხს უჭირს; მაგრამ მან იცის, მას სწამს, ის გრძნობს, რომ ყოველი დღე ყოველი წუთი მას ძალას უმატებს; ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი მას უკვდავებასთან აახლოებს...

დღეს ხალხი განიკურნებულია ნევრასტენიიდან...

და ამ გარემოებამ დიდ ტრალიკოსებსაც, დიდ ნევრასტენიკებსაც დაუკარგა ძალა და მნიშვნელობა.

ნამდვილი ხელოვანი სინამდვილეს უნდა ხატავდეს. ამაშია მისი სიძლიერე, მისი დიდი გავლენა მსმენელებსა და მაყურებლებზე...

თუ ეს ასეა, აბა რა გავლენას მოახდენდნენ დღეს: **ორღენიევი**, **ალექსი-მესხიშვილი**, **კაჩალოვი** «ოტელოსა» და «ჰამლეტის» როლებში, როცა რევოლიუციამ უკვე გაწმინდა საზოგადოებრივი ატმოსფერო, როცა მან უკვე დაშრიტა ნევრასტენიის წყარო და ხალხი ნევრასტენიიდან განიკურნა.

ვინ ამბობს: «ჰამლეტი» სამარადისო პრობლემაა. ის კიდევ დარჩება სცენაზე ადამიანების სატანჯველოდ. მაგრამ დღეს, რევოლიუციის ხანაში ნევრასტენიკებს ცხოვრებაში არა აქვთ ადგილი და მათსადაც ისინი ვერც სცენაზე იქნებიან.




 პარტიული

ამიტომ არის, რომ დღეს რუსეთში დიდი ტრალიკოსენმაძს წმტჩგეჩაჰ დიდი ნევრასტენიკების ხმა არ ისმის. თითქმის ერთად-ერთი ტრალიკოსი, რომელზეც დღეს შეიძლება შეგზრდეთ, ეს ა. ჩეხოვია, მაგრამ მისი ტრალედიცა—ეს ლირიკული ტრალედიცა. მის მიერ „ჰამლეტის“ გაგება—ამ ტიპის სრული გამართივებაა, რაც სრულიად ეთანხმება სულიერ მოთხოვნილებას მოსკოვის საზოგადოების იმ ნაწილისას, რომელსაც მისი და საუბედუროდ ვერ მოუსწრია საზღვარგარეთ გაქცევა და ძალა-უნებურად დარჩენილა საბჭოთა რუსეთში როგორც შინა ემიგრანტი.

აი ამ ხალხის „დამსხვრეულ იდეალების“ გამოხატველია დღეს ჩეხოვი და არა თავისუფალი, გაჯანსაღებული ხალხისა...

თვით ჩვენ თვალწინ, აქ, საქართველოს დედა-ქალაქში, ამ წარსულ სეზონში ადგილი ქონდა ისეთ მოვლენას, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ჩვენი ცხოვრების მკვლევარმა.

ის დრამები, რომლებზეც აღიზარდა ქართველი თეატრალური ხალხის რამოდენიმე თაობა, წელს ხალხს ერთობ ნაკლებათ იზიდავდნენ. თვით ჩვენი საზოგადოების საკვირველი „ჰამლეტი“ არასოდეს არ დადგმულა და არ შესრულებულა ისე ქართულ სცენაზე, როგორც ეს ჩვენ წარსულ სეზონში დაეინახეთ. მაგრამ ხალხი მას ძალიან ცოტა ესწრებოდა და ქართული თეატრი, მიუხედავად მთავრობის დიდი მატერიალური დახმარებისა, ვალებში დაიხრჩობოდა, რომ „დეზერტირკას“ არ ეშველა.

რას ნიშნავს ეს? რა თქმა უნდა, ეს არ აიხსნება „დეზერტირკის“ სცენიური და ლიტერატურული ღირსებით. იგი მოკლებულია ერთსაც და მეორესაც.

მაშ რა იზიდავდა საზოგადოებას?

ამ საკითხზე დამაკმაყოფილებელი პასუხის მიცემა იმავე დროს ჩვენი დრამატურგებისთვის ახალი გზის ჩვენება იქნებოდა.

ამიტომ ეს კითხვა არც ისე პატარაა, რომ მათე მსჯელობა არ ღირდეს და არც ისე ადვილია, როგორც ეს პირველ შეხედვით გვეჩვენება.

ჩვენის აზრით, პასუხი მხოლოდ ერთია:

**ხალხს დღეს არ ესაქიროება ტრალედიები და დრამები, რადგანაც მისი მდგომარეობა არც ტრალიკულია და არც დრამატიული.**

დღეს ხალხი განთავისუფლებულია იმ საშინელი კოშმარიდან, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ახრჩობდა მას. მან უკვე გადაიტანა თავისი დიდი სწეულება და მას არა სურს იმავე კოშმარების სცენაზე დანახვა.

მას ესაქიროება მხიარულება, სიცილი, ხუმრობა, გართობა. მას დღეს არც ცრემლიანი სიცილი უნდა, რადგანაც მას არ ეტირება. მას უნდა გულიანათ სიცილი, მხიარულება. აი რას მოსთხოვს იგი თეატრს...

## II.

### ჩვენი.

#### 1. „ცისფარი ჟანვალმაი“.

„ჩვენი კავშირი ღირსეულის პასუხისმგებლობით ასრულებდა წარსულ წელიწადში თივის მალაღ დანიშნულებას: ახალი ქართული შეგნების მეთაურობას.“

პაილო იაშვილი.



ასეთია კანონი **დამარცხებული და გამარჯვებული რევოლუციონერებისა**.  
ეს კანონი უნდა მოქმედებდეს ჩვენშიც, ქართულ ხელოვნება-ლიტერატურაშიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. აქ ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რის გამართლებაც არაერთი კანონით არ შეიძლება.

საქმე იმაშია, რომ ამ **გამარჯვებული რევოლუციონერების** ხანაში, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ქართულ ლიტერატურაში ჩვენ ვხედავთ ისეთ რამესაც, რასაც წმინდა ბურჟუაზიული ლევის სუნი უდის და რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეადგენს **დამარცხებული რევოლუციონერების** თვისებას.

მებრძოლი ლიტერატურის აყვავებასთან ერთად—და, სამწუხაროდ, კიდევ უფრო მეტად,—თქვენ ხედავთ დაცემულობისა და „ფალღუხის“ კულტის ლიტერატურას.

ეს მიმართულება „ხელოვნების თვითმიზნობის“ სახელით ათიოდე წელიწადია, რაც შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში.

შემოიჭრა ზურნა-დუღუკით, დაფითა და ნალაოით, როგორც შავი ორშაბათის ყენი, რომელსაც გამოიჩინილი სკიპეტრის ნაცვლად „მღვრიე აბსენტით“ სავსე „ციხფერი ყანწები“ უპყრიათ ხელში.

მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ეს ლიტერატურა ისე მორცხვით კი არა გრძნობს თავს ამ პროლეტარიატის დიქტატურის დროს რევოლუციონერ ჟურნალ-გაზეთებში, რაგორც ველური მტენარე, რომელიც რაღაც უცაბედ შემთხვევას გადაურჩენია ჩინებულად მოვლილსა და გამარჯვებულ გამოროდებულ ბაღში. სრულიად პირ-იქით, ეს მტენარე, რომელიც დამპალი ლენის სუნიტ წამლავს გარემოს, სრულიად შესაფერ ადგილზე გრძნობს თავს და ამ ბაღში ტონის მიცემასაც ცდილობს, თავს „ახალი ქართული შეგრძნების მეთაურათ“ აცხადებს.

„ჩვენი კავშირი [„ციხფერი ყანწები“] ღირსეულის პასუხისმგებლობით ახრულებდა წარსულ წელიწადში თავის მაღალ დანიშნულებას: ახალი ქართული შეგნების მეთაურობას.“

სწორს ამ „კავშირის“ ერთი ლიდერი პაოლო იაშვილი. (იხ. „პოეზიის დღე“. № 2, 1924 წ.)

ასეთია „ციხფერი ყანწელების“, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდი პრეტენზიები.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის: რევოლუციონერისა და პროლეტარიატის დიქტატურის დროს ახალი, რევოლუციონერი **„ქართული შეგნების მეთაურობა“**!

ეს ჯგუფი მართლაც ღირებულა იმით, რომ მასზე რაც შეიძლება უფრო დაწერილებით შევაჩუროთ ნკითხევის ყურადღება!

\* \*

„ციხფერი ყანწელები“ ქართულ ლიტერატურას წოველინა 1916 წელს, სწორედ იმ დროს, როცა ერის მთელი შემოქმედებითი ძალა დაბანდებული იყო მსოფლიო ომში და რევოლუციონერ ბრძოლაში. გაჩნდნენ იმ დროს, როცა ხელოვნებისთვის თითქმის არავის ეცალა.



აი სწორედ ამ დროს ეს ჯგუფი, როგორც ვთქვით, მუშაობდა მუშაკთა, სრულიად მოულოდნელად, გამაჩნდნენ „საგარდო და სამაისო“ ქუთაისის ბულვარზე და სრულიად უბრძოლველად, უშრომლად, ოფლის დაუღვრელად, ასე ვთქვათ სხვისი ხარჯით, დაბანაკდნენ იმერეთის დედა-ქალაქში.

მოგახსენებთ: დღეს ქართული ლიტერატურის გეგმონი იმერეთია, და ის, ვინც იმერეთის დედა-ქალაქი დაიპყრო ქართულ ლიტერატურაშიც უნდა მოკალათებულიყო...

მწერალთა ეს ჯგუფი, რომლის დაბადების დღიდან წელს ათი წელიწადი სრულდება, ალბათ, მალე იუბილესაც გადაიხდის და თავისი დიდი დამსახურების სიასაც წარუდგენს ქართველ საზოგადოებას.

ამიტომ კარგათ უნდა გვახსოვდეს როგორც მისი დაბადების თარიღი, ისე დაბადების ადგილი. ჩვენთვის საჭიროა როგორც ერთი ისე მეორე. საჭიროა ვიცოდეთ თუ რა დროს, რა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების ხანაში წარმოიშვა ქართულ ლიტერატურაში, ეს „წმინდა“ ხელოვნების მოციქულების ორდენი.

საჭიროა ვიცოდეთ ისიც თუ სად, რომელ ქალაქში, რა დიდი წარმოებისა და მიღების ულარტსა და ორთქლში გააბილეს თვალები ამ „მღვრიე აბსენტით“ დამთვრალმა, ვერლენისა და ბოდლერის ძმა ბიჭებმა... ესეც არ იყოს, ამ გარემოების ცოდნა იმ მხრითაც არის საჭირო, რომ შესაძლებელია ამ იუბილეს დროს, საქართველოს სხვა და სხვა ქალაქები ერთმანეთს გამოედანონ: ამ ესტეტ მწერალთა ჯგუფი არა ჩემს წიაღში დაიბადა და არა ჩემსაშიო...

ამიტომ ვთხოვთ დაიხსოვოთ, ამ ჯგუფის დაბადების თარიღი და ადგილი 1916 წელი და ქ. ქუთაისი!

1916 წლის ერთ კვიმატიან დღეს ქუთაისის ბულვარზე გაჩნდა მწერალთა დამსახურებული ჯგუფი. მან გაიოსცა რაღაც უფერული რვეული „ციხფერი ყანწების“ სახელით, რომელშიც გარდა „პირველ თქმისა“ რაც იგივე მანიფესტია“, შიგ იყო რამდენიმე პორნოგრაფიული ლექსი და ქართულ ლიტერატურისა და ლიტერატორების დაუსრულებელი ლანძღვა-გინება.

ამ ახალგაზრდების ჯგუფი რომ სადმე სხვაგან, აი თუ გნებავთ ტფილისში, გაჩენილიყო, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მის მობრძანებას ვერც კი შეიმჩნევდა ვინმე. აბა საქართველოს დედა-ქალაქში, რევოლუციის კერა ტფილისში, ვის ეკალა ასეთ რასმესთვის?

მაგრამ მეწერილობანიებისა და მეწვანილეების ქალაქში ასეთი რამეც ღვთის წყალობათ უნდა მიეღოთ. ამ დროს, ალბათ, ქუთაისს აკლდა საკორიკანო მასალა. ბულვარზე მოხეტიალე უსაქმო „საზოგადოება“ აბა როგორ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას და „ყანწულებიც“ ნამდვილ გმირებათ გადაიქცენ.

ყველაზე მეტი ყურადღება ეღვენე დარჩანის ლექსებმა დაიმსახურეს, რადგანაც ამ ლექსებში ზოგი რამ სრულიად ახალი იყო ქუთაისის ხანჯლოსნებისა და იმ ჯურის ქალებისთვის, რომლებზედ ოდესღაც აკაკიმ იოხუნჯა:

„სკუკა მკლავს, სკუკა მაწუხებს,



მიჭივრებს დიხანისას.  
გადადებრუნდები პოსტელზე,  
დავიწყებ მეტანისას.\*

ასეთ აუდიტორიაზე როგორ არ უნდა მოეხდინა დიდი გავლენა ელენე დარიანის თუნდაც შემდეგ ლექსს:

უკანასკნელად მოვიხსენი ტანსაფარავი,  
დადუმებულ ხელს ელანდება შეხება ნელი...  
ძილში ჩემს მუცელს ვილაც ვაფი ეამბორება  
და ვნებისაგან ილუნება ჩემი მუხლები...  
ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა!  
და დაღონებულს ვაფის კოცნას, კოცნას ნამიანს,  
ვარდისფერ ენით მომ-გონებს გამთბარი კატა!..\*

ქუთათური ხანჯლოსნებისა და „მოსკუნჩაო“ მანდილოსნებისთვის ეს ნამ-დეილი ამერიკის აღმოჩენა იყო. წყნარად და უღარდელად ცხოვრობდა ეს ხალხი ქეიფსა და განცხრომაში, მას კატებიც ბევრი ყავდა და ძაღლებიც. მაგრამ ამდენ ხანს მას ვერც კი წარმოედგინა კატების ასეთი სასარგებლო როლი.

ეს მართლაც რომ დიდი აღმოჩენა იყო!

მახსოვს, რომელიღაც გაზეთში წავიკითხე: როცა თეირანში პირველად აჩვენეს კიხო-სურათები, ტილოზე ლამაზი ქალების დანახვაზე სპარსელ „არისტო-კრატებს“ მეტისმეტათ აღეძრათ შიდა და ერთმანეთს ასწრებდენ კინოში. ყველა მათგანი ცდილობდა: დროებით, ერთი ლამით, ერთი სათით მაინც ეყიდა ეს ლამაზი ქალები და მათი სიყვარულით დამტკბარიყო. როცა მათ აუხსნეს: ეს მოჩვენებაა და არა ნამდვილი ქალებიო, მათ არ დაიჯერეს და იყო თურმე ისეთი შემთხვევაც რომ შეიარაღებული ძალით თავს დაესხენ კინო-თეატრს ლამაზი ქალების მოსატაკებლად...

თითქმის ასეთი ამბავი გამოიწვია ქუთაისის ბულვარზე ელენე დარიანის ლექსებმა. ხანჯლოსნები დღე და ღამე იმის ცდაში იყვნენ თუ როგორ მოე-ნახათ ეს ვილაც ელენე დარიანი, როგორ გაცნობდენ მას, როგორ დამტკბა-რიყვენ მისი ტემპერამენტით. ქუთაისის მანდილოსნები კი ჩვეულებრივის კდემა-მოსილებით აძაგებდენ დარიანს ასეთი „პორნოგრაფიული ლექსებისთვის“, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად დაინახვდა, რომ ყველა ძაბვანს დიდი სურვილი ქონდა ელენე დარიანობისა. ყველას ენატრებოდა ელენე დარიანათ თუ არ გახდომა, ერთი დღით, ერთი საათით მაინც მის როლში ყოფნა...

„გამთბარი კატა ვარდის ფერი ენით!..“

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. მთელი ათეული წლები ცხოვრობდენ ქუთა-თურები და ასეთი რამე ვერ წარმოედგინათ. მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ ეს ადვილი საქმე ყოფილა. ამიტომ ქუთაისის „მოსკუნჩაო“ ბანოვანები ცდილობდენ როგორმე „ყონწყელეს“ დაახლოებოდენ, მათთან ბულვარზე ესეირნათ. ხუმრობა ხომ არ იყო თუნდა ერთის წუთით ელენე დარიანათ თავის გასაღება!

ქუთათური ხანჯლოსნები სექსუალურ საკითხებში არც უწინ იყვნენ ლაჩრები. მაგრამ დღემდე ჩვენში მათ იდეოლოგები არ ყავდათ. მართალია,

ოდესღაც ეს საჭმე პროფესორმა ფილიპე გოგინაიშვილმა მკითხველს მკითხა, როგორც ვიცით მაშინ მას „მესამე დასელებმა“ შეუშალეს ხელი. ახლა კი ერთი გოგინაიშვილის ნაცვლად ათიოდე მწერალი გამოვიდა, რომლებმაც ქუთაისის ხანჯლოსნებს სინას მთიდან შეძვეცი მცნება მოუტანეს:

„გოგინაიშვილი ქალი ვნებით და დაუზოგავად ამრავლეთ ხალხი!..“

ასეთი მოძღვრება გასაგებადაც ადვილი იყო და შესასრულებლადაც. და „ყანწელებმაც“ მალე მოიხვეჭეს სახელი.

\* \* \*

ვისაც ვებრძვი, არ მებრძვიან,  
მაშ შე ვარ გამარჯვებული.

ხორი

ქორი ბუხს არა იკადრებს  
არც სდევს საკმელად ნდომითა  
სონლული მუმლის შეპყობად  
ფრთებსა არ ვაშლის ზომითა.

ილია ჭავჭავაძე.

„ყანწელები“ მიზანს დასწდნენ.

ისინი რეკლამის ხალხია. მათთვის სულ ერთი იყო, თუ რათი მოიხვეჭდნენ სახელს. მათი მიზანი მხოლოდ სახელის მოხვეჭა იყო.

ამ პირველი ცდით გათამამებულმა „ყანწელებმა“ თავი რაინდებთან წარმოიდგინეს და პირველ „ციხევერ ყანწებს“ იმავე 1916 წელს შეორე „ყანწიც“ ზედ წაიყოლეს.

ისინი, როგორც თვითონ აცხადებდნენ, ხელ-ახლა გამოვიდნენ „ბრძოლის ველზე“.

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო მათი განცვიფრება, როცა ბრძოლის ველი ცარიელი დაუხვდათ და მტერი ვერსად ვერ დაინახეს. ეს დიდი სკანდალი იყო: ხალხი დაუა-ზურნით, დამაყრუებელი ხმაურით, აურ-ზაურითა და ყველასი ლანძღვა-გინებით მოვიდნენ. ყველას დუელში იწვევდნენ და თითქოს ქუთაისის ბულვარზე ბუხიც არ გაფრენილიყოს, ქართული ლიტერატურა და ლიტერატორები სდუმდნენ. ეტყობა მათ კარგათ ჰქონდათ შეგნებული ხალხის საბრძენი: „უბედს მხოლოდ თავისი ენა მოღალავსო“. ისინი სერის უყურებდნენ და სდუმდნენ.

მაგრამ „ყანწელები“ რისი ყანწელები იქნებოდნენ, რომ ასეთი ჩუმი და-მარცხებით ფარ-ხმალი დაეყარათ. იმათ მაინც არ გაიტყვნეს ისტინბარი და მორთეს ყვირილი: მტერი შეშინდა, მან საომრად გამოსვლა ველარ გაბედაო!..

„გვესურდა რაინდების შეხვედრა: გვეყამს რაინდი, მხედარი გზაზე მოთამაშე, რომელიც ჩვენთვის უცნობ და დაშორებულ ბრძოლის ველიდან გამოსული, მოგვხიზმავს სიძლიერითა და ვადმოვცდამხებს პასუხს სასტიკს“...



„ყანწილებს“ ისე არაფრის არ ეშინიათ, როგორც საზოგადოების უკუ-  
რადღებობისა. ისინი თავისი არსებობის მეშვიდე წლის თავზე დაიწყეს უჩივიან  
ქართველ მწერლებს: არ გამოგვეკამათოსო:

„ჩვენი მორიგი გამოსვლა ფილისტერების ლიტერატურამ ნაჩვევი სიჩუ-  
მით ჩაატარა. მართალია არც ჩვენ დაგვიწერია ბევრი რაზე იმათზე, მაგრამ  
ამ ხალხს არ სჩვევია ბრძოლის მიღება. ჩვენი მხრითაც სისასტიკე იქნებოდა მო-  
გვეთხოვა საგაღვანიზაციო ლეშიდან რაიმე ლიტერატურის ლირსი პასუხი“.  
(იხ. „ბარბიკადი“, № 5, 1922 წ. მოწინავე წერილი).

დაუსრულებელი თავის ქებისა და ტრაბახობის შემდეგ ეს „რაინდები“  
იჩენენ ლმობიერებას და მოჩვენებულ მტერს ასე ანუგეშებენ:

„გვწამს მოვა წინასწარმეტყველი, რომლის სამლოცველოში  
შეკალთ ყველა დროებით განშორებულნი“.

თუ ვინ იქნება ეს „წინასწარმეტყველი“, რომლის სამლოცველოშიც უპი-  
რობენ შერეკას. ყველა დროებით განშორებულებს“, ამას ჩვენ ცოტა ქვემოთ  
დავინახავთ. ახლა კი მოვისმინოთ ამ თამამი ხალხის რეკომენდაცია და ცოტა  
უფრო ახლო გავეცნოთ მათ.

„ყანწილები“ ასე უხსნიან „უსხვიო“ ქუთაისის თავის წარმოშობის ამბავს:

„საყვარელმა ნიშნებმა ასწიეს ფარდა ჩვენი სცენისა, და ვგა-  
ლობთ ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხვიო ხალხის  
წინაშე. პირველთქმა ჩვენი არის შხამური. იგი ადუღებულ ფოლა-  
დივით დასწავეს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვნების მტერნო,  
თქვენ, ვისაც არა გწამთ ხელოვნების მეფობა და მისი მაღალი  
ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას!... „ჩვენ  
ვეინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო მეოცნებე ქალაქათ“...  
„ჩვენ გვსურს შევქნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენს  
სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალ ფერებს, რომელთა ხალისია-  
ნი ცეკვა გააგიგებს თქვენს მიბნელებულ თვალთა ცქერას. ყოველი  
სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყოფს თავის სიცოცხლით ისე, როგორც  
ამიერიდან ვიამაყებთ ჩვენ ჩვენი „პირველთქმით“, ჩვენი გაბედუ-  
ლი აღსარებით“...

ასეთი რეკომენდაცია გაუკეთეს თავის თავს „ყანწილებმა“ თავისი ორგა-  
ნოს პირველ ნომერში, თავის პირველთქმაში.

იმავე პირველთქმაში ისინი მოკლედ და გარკვეულად იძლევიან თავის  
ლიტერატურულსა და პოლტიკურ credo-ს:

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი.

ადიდებ ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიგური გა-  
ტაცებით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი მშები—ვერლენი და ბოდლერი,  
მაღარმე სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმზო, სიამაყით  
მთვრალი, დაწვევლილი ქაბუკი!... (იხ. „ციხფერი ყანწები“, № 1,  
გვ. 2—3).



ზემოთ ჩვენ უკვე გავიყვანით ბოდლერისა და სხვა აქ ჩამოთვლილი მწე-  
რლების ლიტერატურულსა და პოლიტიკურ credo-ს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველა ისანი შეურიგებელი მტრები იყვნენ რო-  
გორც დემოკრატიისა, ისე ყოველგვარი ბრძოლისა და პროგრესისა. ჩვენ უკვე  
დავინახეთ, რომ ისინი სასაცილოდ იღებდნენ კაცობრიობის საუკეთესო მერმი-  
სისთვის თავგანწირულ მებრძოლ კომუნარებს...

ეს მეტისმეტად თამამი ყმაწვილები კი გამოსულან და 1916 წელს რევო-  
ლიუციონური ბრძოლით გატაცებულ ქართველ ხალხს ეუბნებიან.

„ადიდე მრისხანე ქალაქი პარიზი, სადაც ვიფურის გატაცე-  
ბით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები ვერლენი და ბოდლერიო“.

აი ვინ ყოფილან ის წინასწარმეტყველები, რომლების საზოგადოებაში  
შესვლასაც ალუთქვამენ „ყანწილები“ ქართველ ხალხს.

\*\*\*

„ყანწილებმა“ კარგად იცოდნენ, რომ ყოველივე ახალი ძველის უარყო-  
ფაა. და ისინიც ძველის დანგრევას შეუდგნენ.

ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებაში ძველის ნგრევა და უარყოფა  
ახალი ამბავი არ არის. ასე მოიქცნენ „თორგდაღიფულები, და „ცრურუსთვე-  
ლები“, რომლებმაც შეურიგებელი ომი გამოუცხადეს გრ. ორბელიანსა და მის  
შკოლას.

ასევე მოიქცა ჩვენი თიობაც.—დაწყებული მესამე დასიდან და გათავე-  
ბული ს.-დემოკრატიის ორივე ფრთით, რომელმაც საჩვენრო სასიცოცხლო ომი  
გამოუცხადა ილიასა და აკაკის შკოლას...

მაგრამ არის უარყოფაც და უარყოფაც!

თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატია მეტისმეტ კონსერვატორობასა  
და ანტირევოლიუციონერობას უსაყვედურებდა ილიასა და აკაკის, ყანწილები,  
სრულიად პირიქითა, მეტისმეტ რევოლიუციონერობაში ამტყუნებენ დასაბეღე-  
ბულ ქართველ კლასიკებს და მათი შკოლის მწერლებს.

„ყანწილების“ თეორეტიკოსი ტიციან ტაბიძე ილიასა და აკაკის ამტყუ-  
ნებს მეტისმეტ რევოლიუციონერობაში, სწამებს მათ „წმინდა ხელოვნების“  
ლაღატს, აცხადებს მათ „მეარღნეთა“ შკოლის მეთაურათ და გამოდის გრი-  
გოლ ორბელიანის დამცველად...

1916 წელს, როცა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მოხინაღ-  
რე ხალხების მთელი შემოქმედებითი ენერჯია რევოლიუციონურ ბრძოლაში  
იყო ვართული, როცა ეს-ეს არის უნდა გადაწყვეტილიყო საუკუნოებით წარ-  
მოებული საჩვენრო-სასიცოცხლო ომი ხალხსა და თვითმპყრობელობის, შორის,  
როცა ქართველი ხალხის მთელი ძალ-ღონე ამ ბრძოლის აღში იყო გახვეული,  
ქუთაისის ბულვარზე ახლად გამოჩეკილი „ყანწილები, მებრძოლ მწერლებს „მე-  
არღანეებათ“ ნათლავენ!

ისინი დასცინიან რევოლიუციის და რევოლიუციონერებს და ცდილობენ  
მებრძოლი „საქართველო გადააქციონ მეოცნებე ქალაქად“.



მთ სურთ განაიარაღონ ქართველი ხალხი, ჩამოაშორონ რევოლუციონურ ძალებს და სამაგიეროდ ურჩევნ სექსუალური საკმეებით გართობას: „დაუშოვავად ამრავლეთ ხალხიო...“

სწორედ იმ დროს, როცა უკვე გაისმოდა რევოლუციის პირველი გრგვიწვა და ქართველი ხალხი მთელი რუსეთის ხალხებთან ერთად რევოლუციონურ ბრძოლაში იყო გაართული, „ყანწულები“ „მღვრიე აბსენტით“ დამთვრალი ვერლენის, ბოდლერის, მალარმესა და სხვა ასეთი მწერლების „სამლოცველოში“ ერეკებიან ქართველ ხალხს.

საბედნიეროთ, ჩვენ მოკლებული ვართ ტიციან ტაბიძის გამბედაობას და ამიტომ ვერ მივსცემთ თავს ნებას ასეთი მოქმედებისთვის „ყანწულებს“ თვითმპყრობელობის აგენტები უწოდოთ. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ობიექტიურად ისინი მართლაც თამაშობდნ ასეთ როლს. ხალხს რომ მართლაც „ყანწულებისთვის“ დაეჯერებია და ბრძოლისთვის თავი გაენებებია, თვითმპყრობელობასაც მეტი რალე უნდოდა?..

და ამის შემდეგ ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, „გადამლახველი“ „რაინდები“ გამოსულან და გვეუბნებიან:

„ჩვენი კავშირი ღირსეულის პახუხისმგებლობით ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას: ახალი ქართული შეგნების მეთაურობას“.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: საიდან წარმოსდგა ეს ახალი ქართული შეგნება?

ის ხომ რევოლუციის ნაყოფია? „ყანწულები“ ხომ წინააღმდეგი ბრძანდებოდნ რევოლუციონური მწერლობის?

ამ „ახალი ქართული შეგნების“ შექმნას ათასობით შეეწირა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა სიცოცხლე. „ცისფერ ყანწულებს“ რა წილი მიუძღვისთ ამ ბრძოლაში?

სრულიად არაფერი?

Их там не было когда все низвергая

И сквозь картечь стремясь,

Та чернь великая и сволочь святая

К бессмертию неслась!..

\* \* \*

რევოლუციის დროს „ყანწულები“ ტიციან ტაბიძის მეთაურობით გამოდიან ბრალმდებლის როლში და დამნაშავეის სკამზე სვამენ ქართულ ახალ მწერლობასა და აზროვნებას.

ისინი გამოდიან გრ. ორბელიანისა და „სამშარეულო წიგნის“ ავტორის კნინა ბარბარე ჯორჯაძის დამკველებათ, მწუხარებით აღნიშნავენ „თერგ-დალულების“ გამარჯვებას და შავით თეთრზე სწერენ:

„გრიგოლ ორბელიანის დამარცხება იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან მოიშალა ქართულ პოე-





ზიაში ძველი სული. ამ „ცრუ რუსთველებმა“ და ლიბერალმა მწერლებმა მწერლობა გაიხადეს სამიტინგო წალად და გაზეთად“. (ხაზი ჩენია).

„რუსთველისა და ბესიკის პოეზიის „თვითმიზნობას“ იმათ უპასუხეს ცნობილი ფორმულით. ილია ჭავჭავაძემ სამუდამოთ დასწყევლა „ფრინველი ვარგანი“ და „ტკბილი ხმები“. (იხ. „ცისფერი ყანწები“, № 2).

ამ რიგად „ყანწელებმა“ წესი აუგეს ილიასა და აკაკის მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ მიიღეს „ხელოვნების თვითმიზნობა“ და ქართულ ლიტერატურაში სამოქალაქო მოტივები გააძევეს. „ყანწელებს“ პირდაპირ ზიზლსა გვრიან ილიასა და აკაკის შკოლის მწერლები.

„ყანწელები“ სწერენ:

„აკაკისა და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას. შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე და დღეს უიმედოთ გაჰკივის მოქალაქეობრივი არღანი კაკოფონიას“. (ხაზი ჩენია). (იხ. „ცისფერი ყანწები“, № 2).

„მღვრიე აბსენტით მთვრალ“ „ყანწელებს“ აბა რათ მოეწონებოდათ „მოქალაქეობრივი არღანის კაკოფონია“. ტყუილად კი არ ბრძანებს ტიციან ტაბიძე:

და ჩემი ჩანგი სირცხვილისგან (?) დაიმსხვრეოდა,

თუ მისი ლექსი გიტარაზე მომესმებოდა.

ორიგინალობის მოტრფიალე „ყანწელები“ ვერც აქ იწინენ ორიგინალობას. პუშკინმა დიდი ხნით მათზე ადრე თთხრა ბრბოს:

Подите прочь Какое дело

Поэту мирному до вас!?

მაგრამ პუშკინმა ეს თთხრა ბრბოს, თვითმპყრობელობისა და ეკლესიის მონებს. ტიციან ტაბიძე კი რევოლუციონერ ხალხს არა ხდის მისი ლექსების მოსმენის ღირსად. „ყანწელი“ ტიციანი სირცხვილით დაიწვევბოდა, რომ მისი ლექსი გიტარაზე დამღვრებული გაეგონა!.



„ვერღენი! ბოდღერი! მალარმე! ამ სამებაში მე ყველა მიუვარს!“ გვარწმუნებს პაოლო იაშვილი.

მალარმეზე ის სწერს:

„ის იყო ბრძენი ერთადერთი, გაუგებარი,

როგორც „სონეტი“ თეთრ სხივებში გამოკვეთილი.

და ჩვენი ქება სილამაზის რომ გათამამდეს,

ოქროს ტაძრებში ლოცვების დროს მალარმე გვწამდეს!“.

იმ დროს, როცა ხალხი ტაძრებიდან ძველ კერპებს ერეკება, პაოლო იაშვილი მათ ახალ კერპებს უდგამს. ასეთი კერპი მალარმეა.



რატომ? რით დაიშაბურა მან ასეთი პატივი?  
იქნება მან ხალხი მონობიდან იხსნა? იქნება მტრებს დასაჯებდა? მოუ-  
პოვა მას, ან „ზღვა მეწამული კვერთხით გააპო?“

გვითხვით თვით პაოლო იაშვილს:

ვინ არის ეს ოქროს ტაძრებში ლოცვის დროს სათაყვანებელი მალარმე,  
ვერლენი და სხვები?

რა არის ამ მის მიერ გაღმერთებული მწერლების ლიტერატურული და  
პოლიტიკური მრწამსი?

პ. იაშვილი გვიპასუხებს:

...„ვერლენს თრთოლვით ვისმენდი...

მას სწამდა ღამე, ეკლესია, მღვრიე აბსენტის,

სნეული ღმერთი ეძახოდა დაღამებაში“.

აი ვინ ყოფილან ვერლენი და მისი ამხანაგები!

და ასეთი მისტიკი, ლოთი-ფოთი მწერლების იდეალებს ახვევენ თავს ქარ-  
თველ ხალხს „ყანწელაბი“.

და როცა ეს ხალხი არ იღებს ასეთ წინასწარმეტყველებს, „ვაშას“ ძახი-  
ლით არ ეგებება და დაფნის გვირგვინით არ უშკობს შებლს ამ რაინდებს,  
ისინი ამ ხალხს შეურაცხყოფასაც აყენებენ:

უსხიფოს, ბნელს, გაუნათლებელს ეძახიან... რევოლუციონერ მწერლობას  
„არღანის კაქოფონიით“ აცხადებენ.

„ყანწელი“ ტიცინ ტაბიძე „არღანის“ უსაყვედურებს:

„ქართული მწერლობა ისე გაასაქურისეთ, რომ პორნოგრაფიად ითვლება  
გრიგოლ რობაქიძისა და ელენე დარინის ლექსებიო“.

„მღვრია აბსენტით დამთვრალ“ რაინდებს უკვირთ, რომ რევოლუციონერ-  
რად განხუცილი ქართველი ხალხი და მისი მწერლობა ვერ ეწყობიან „გამთ-  
ხარი კატის ენით“ დატკობის პოეზიას.

ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ მერე აქ სად არის ლიტერატურის გა-  
საქურისება?

ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი და მისი მწერლობა, „ყან-  
წელების“ მოვლინებამდე, არ იყვნენ გარყვნილებას დაჩვეული. ისინი იმდენად  
ქალწულებრივ კდემამოსილები იყვნენ რამდენადაც პარიზის ბურჟუაზიისთან  
შედარებით კდემამოსილი იყო და არის ქართველი ხალხი, რამდენად პარიზის  
„პრიტონებთან“ შედარებით კდემამოსილია მეწვენილებების ქალაქი, „სავარდო  
და სამაისო“ ქუთაისი, ის ქუთაისი, სადაც პირველად აიღწო აკვანი „ცი-  
ფერი ყანწელებისა“ (იხ. „ცისფერი ყანწები“ № 2 1916 წ.)

„ყანწელების“ კანდიერება ისე შორს მიდის, რომ ისინი იმავე ტიცინ  
ტაბიძის პირით თვითმპყრობელი რუსეთის აგენტობასაც უყენებენ ბრალდებით  
„მოჭალატეობრივი არღანის კაქოფონიის“ მომხრე ქართველ მწერლებსა და სა-  
ზოგადო მოღვაწეებს. ისინი ტალახში სერიან ქართველ მარქსისტების ლო-

ზუნგს ყველა ხალხების მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა სოლიდარობის შესახებ. აბა მოუსმინოთ ამ ყოველიფრის გადამლახველ რაინდებს!

„რუსეთის ცენტრალურ მთავრობას რომ ისეთი გამრჯელი აგენტები ყოლოდა საქართველოში როგორც რუსეთის დემოკრატებს, ამდენ ხანს საქართველო არ იქნებოდა, თუმცა არც ახლა არის ცუდად საქმე, რადგანაც რუსული საქმე და იმპერიალიზმი დემოკრატიული სოლიდარობის ეგვიდით უფრო მოსატყუებელი მიზანია!“ (ხაზი ჩვენია).

ვის უყენებენ „ყანწელები“ ასეთ საზიზღარ ბრალდებას?

ეს ადვილი მისაბედრია. ვინ არ იცის თუ ვინ გამოდიოდა საქართველოში წერთა და სიტყვით რუსეთისა და ქართველ ხალხებს შორის „დემოკრატიული სოლიდარობის“ მქადაგებლად...

მაშასადამე ქართველი მარქსისტების მთელი მოღვაწეობა პირდაპირ ხალხის გამყიდველობა ყოფილა!...

ყველა ისინი რუსეთის იმპერიალისტების მოსყიდული აგენტები ყოფილან, რომლებსაც ხალხთა შორის სოლიდარობის პრინციპი მხოლოდ ქართველი ხალხის მოსატყუებლად გამოუგონიათ!..

„ყანწელებმა“ ჩინებულად იცოდენ თუ რას სჩადიოდენ, როცა ასეთ საზიზღარ ბრალდებას უყენებდენ ქართველ მარქსისტებს.

რათ მიმართეს ამ საზიზღარ კორს?

მათ კარგათ იცოდენ, რომ მათი დღე დათვლილი იყო, რომ ისინი ვერ ვასცილდებოდენ ქუთაისის ბულვარს და იქვე სადმე „ნოეს მარანში“ ჩაიბრახოდენ, შემოდგომის ბუხებსავეთ, თუ თავს ძალას ჭარ დაატანდენ და რაიმე დასარყუნობს არ მონახავდენ თვით ქართველი საზოგადოების რომელსამე ნაწილში.

მათ თვითონაც კარგად იცოდენ, რომ ვერლენისა და მალარმეს კულტით ხარშოსა და ღომის ქალაქში ვერავინ ვერ გაიტაცებდენ.

რაც შეეხება დარიგებას: გიყვარდეთ ქალი ვნებიანად და დაუზოგველად ამრავლეთ ხალხიო“. ამანაც ზავეისი დრო მოეპოვა...!

საჭირო შეიქმნა რამე ახალი საშუალება ცხოვრებაში ფეხის მოსაკიდებლად და „ყანწელებმაც“ ამ ახალ საშუალებას მიმართეს.

ასეთი საშუალება იყო საზიზღარი ბრალდება, რომელიც „ყანწელებმა“ წამოუყენეს ქართველ მარქსისტებს და რომელიც მანამდეც ათასჯერ ვესმენია ქართველი ნაციონალისტებისა და ფედერალისტების ბანაკიდან.

მართალია ეს ბრალდება იმდენად ვაცვეთილი და მოძველებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს თვით დედერალისტებსაც მოსძულდათ იგი.

მაგრამ ამ ვაცვეთილ ბრალდებას სრულიად ახალი იერი და ფერი ეძლეოდა იმ ახალ მოვლენილი ჯგუფის ხელში, რომელმაც ვითომ და უარყო ყოველი მიწიერი, რომელიც ვითომ წმინდა ესტეტიური, ზე-კლასიურ მიზნებს ისახავდა...

ყველა ჯურისა და რანგის ქართული ნაციონალისტები ერთიანად გამოცდილი მებრძოლები იყვნენ, რომ ასეთი ნადით არ ესარგებლავთ და ვერც შეიძლება მტრების, ქართველი მარქსისტების წინააღმდეგ.

ქართველი ნაციონალისტები ყოველთვის სარგებლობდნენ ასეთი ნადით. ასე გამოიყენეს 1905—1907 წლებში ქართული ანარქისტები, რომლებთანაც ქართველ ნაციონალისტებს მხოლოდ ის ქონდათ საერთო, რომ ანარქისტები ქართველ მარქსისტებს ებრძოდნენ, რუსების აგენტებსა და მოსყიდულებს ეძახოდნენ მათ.

„ყანწელებმა“ ეს კარგად იცოდნენ და სწორედ ამ ნაცად ხერხს მიმართეს თავისი არსებობის შესანარჩუნებლად.

კიტა აბაშიძემ, რომელიც მეთაურობდა ქართულ ნაციონალისტურ ბანაკს, ძალიან დაუფასა „ყანწელებს“ ასეთი ღვაწლი. მან სცნო ისინი, ადგილი მიუჩინა ქართველ მწერალთა შორის...

ამით გათამამებული „ყანწელები“ კიდევ უფრო შორს წავიდნენ.

იმათ ილიას მკვლელობის ირგვლივ შეითხზინილი ჯორებიც გამოიყენეს ახალი მფარველის გულის მოსაგებად, აბა მოუსწინათ იმავე ტიციან ტაბიძეს:

„...ვინ არის დაშნაშავე, რომ „ყანწელების“ შეჩვენებას ბედავს კაცი, რომელმაც პირველათ გაბედა რუსთველისთვის დაუეფა და რომლის სახელს ხშირათ ამბობენ მეორე ტრალიკულათ აღსრულებული მწერლის ხსენებაზე“. (ხაზი ჩვენია). („ციცინფერი ყანწეები“, № 2. 1916 წ.)

ტიციან ტაბიძის ასეთ ლაინტაციებს დღევანდელი მკითხველების უმეტესობა ვერცკი მიხვდება, აბა მიხვდით: რომელმა „კაცმა პირველათ გაბედა რუსთველისთვის დაუეფა“, ან ვის „სახელს ამბობენ ხშირათ მეორე ტრალიკულად აღსრულებული მწერლის ხსენებაზე“.

მაგრამ ათი წლის წინათ, როცა ტაბიძე ასეთს, მეტი რომ არა ვთქვათ, არა ესტეტიურ ფანდებს მიმართავდა ხოლმე, მკითხველებმა ძალიან კარგად იცოდნენ თუ რაში იყო საქმე. და ეს კიდევ უფრო კარგად იცოდნენ ქართველმა ფედერალისტებმა და მათი ფეხის ამყოლ-დამყოლმა გუნია-ხეობელის რაზმმა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ტრალიკული სიკვდილი ქართველ მარქსისტებს დააბრალა და მით ქართველი ხალხის თვალში მათი სახელის გატეხს შეეცადა.

მინც რაში იყო საქმე?

საქმე შემდეგში იყო:

1905 წელს, რევოლუციის წინა ხანებში ვაზეთ „მოგზაურში“ დაიბეჭდა რამდენიმე კორესპონდენცია ილია ჭავჭავაძისა და გლეხებს შორის გამწვავებული მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენტი და ვაზეთი ამ საქმეში გლეხების მომხრეთ გამოდიოდნენ.

„მოგზაურს“ ხელმძღვანელობდა ფილიპე მახარაძე, რომელსაც 1907 წელს, ილიას ტრალიკული სიკვდილის შემდეგ, თავს დაესხა მთელი ქართული ნაციონალისტური პრესა. იმავე ფილიპე მახარაძემ 1904 წელს თავის მონოგრაფიაში: „დანიელ ქონქაძე და მისი დრო“, — კრიტიკულად შეეხო შოთა რუსთაველს.



საქართველო

ეს იყო დაეს..

ილიას ტრალიკულმა მკვლევარმა გამოიწვია პირდაპირი გამართებული ბრძოლა ქართულ პრესაში. ყველა ჯურის ქართველი ნაციონალისტები მარქსისტების წინააღმდეგ აღიქურვენ. ბევრმა ახალგაზრდა მწერალმა და არა მწერალმა გააკეთა კარიერა ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებით. საკმაო იყო რომელიმე ქართველ ახალგაზრდას, ხშირად სრულიად უნიჭი მკვლევარს, ქართველი მარქსისტებისთვის ილიას მკვლევრობა წამოუყენებია ბრალდებათ და მისი ბედის ვარსკვლავი ამოვიდოდა: ან ბანკში მიუჩენდენ თბილსა და კარგ ჯამაგირიან ადგილს, ან სხვა რომელიმე ქართულ დაწესებულებაში და თანაც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიპლომიც მხად იყო...

ასეთი იყო ეს ყოველ შემთხვევაში არა ესტეტიური ბრძოლა.

და როცა „ყანწელებმა“ თავისი სიცოცხლის იმედი დაკარგეს, მათ გუნია-ხეობელის მდიდარ არქივს მიმართეს და იქიდან თერთმეტი წლის შემდეგ ეს ყოველად უფარგისი, დამპალი და აყროლებული ბრალდება ამოაცოცეს და ქართველ მარქსისტებს „წმინდა ხელოვნებისა“ „ხელოვნების თვითმიზნობისა“ და „პარნასის“ სახელით წამოუყენეს.

ამ საზიზღარი ქორის განმეორება და „ყანწელების“ საქართველოს დამცველებათ გამოცხადება ერთი იყო!

აწ განსვენებულმა კიტა აბაშიძემ, რომელსაც ისე ეჯავრებოდა ქართველი მარქსისტები და მათი მწერლები, რომ როცა ვიღაც რუსი გაპომცემლის შეკვეთით რუსულათ ქართული ლიტერატურის ისტორიის რალაც მავვარი დასწერა, ერთი სატყვიათც არ მოიხსენია ეგნატე ნინოშვილი, ლალიონი და მათი წრის მწერლები, თუმცა იმავე დროს ქართველ „პატრიოტთა“ ბანაკიდან ისეთებიც კი გაასალა ქართველ მწერლებად და ისიც მალალ ნიჭიერად, რომლებს არსებობის კვალს დღეს არა თუ დიოგენის ფარნით, თვით ზაპესის მთელი ენერგია რომ მოანდომოთ, მაინც ვერ იპოვნით...

ქართველ მარქსისტებთან ასე განწყობილმა კრიტიკოსმა, კიტა აბაშიძემ, დიდათ დააფასა „ყანწელები“ ასეთი „მამულიშვილური“ ღვაწლი მან აქურთხა და ცნობის „გრამატა“ უწყალობა მათ.

ჩვენ განვებ შევაჩრეთ შკითხველის უტრადლება „ყანწელების“ ასეთ არა ესტეტიურ და არა „პარნასული“ „მოღვაწეობის“ ნიმუშებზე, რადგანაც უამისოთ მნელი ასახსნელი იქნებოდა ის პირველი შეხედვით გაუგებარი მოვლენა, რომ ამ ჯგუფმა, მიუხედავად მისი იდეური შეუფერებლობისა, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება და არც შეიძლება მოეპოვებოდეს რევოლიუციის დროს და რევოლიუციონურად განწყობილ საზოგადოებაში, მაინც მოიკიდა ფეხი ქართულ ლიტერატურაში.

\* \* \*

ჩვენ ვამბობთ: „ყანწელებს“ საქართველოში არავითარი ნიადაგი არ ქონდათ და არც შეიძლება ქონოდათ. ისინი სრულიად ხელოვნურად გაჩნდნენ ჩვენში. ისინი სწორეთ იმ დროს დაესხენ თავს ქართულ ლიტერატურას, როცა მათ



არავინ მოელოდა, როცა ქართველი ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალ-ტონე დაბანდებული იყო რევოლუციისაში, როცა მათთვის არავის ეცდებოდა, რომ

1916 წელს ქართველი ხალხის მთელი შემოქმედება თვითმპყრობელობასთან ომში იყო გართული. და ასეთ დროს საკვირველი არ არის, რომ „ყანწელების“ მობრძანება გარდა ქუთაისის ბულვარებზე „მოსკუნჩაო“ მანდილოსნებისა და ხანჯლოსებისა, არავის არ შეუნიშნავს...

ამ გარემოებით ჩინებულად ისარგებლეს „ყანწელებმა“ და არბეინათ მოიკალათეს ქართულ ლიტერატურის პანთეონში... ჩვენში ცხადად განმეორდა ის, რაც პომპროსის გენიამ ოცდა რვა საუკუნის წინეთ დაგვიხატა...

როცა ქართული ლიტერატურის ოდისხე საომრად იყო წასული, სასიძოვები ურცხვად დაეპატრონენ ქართული ლიტერატურის პენელოპას და მისი დასაკუთრება მოინდომებს...

ეს ერთი უდიდესი მიზეზია იმისა, რომ „ყანწელებმა“ ჩვენში ფეხი მოიკიდეს. მეორეც ის, რომ მათ თავისი გაჩენის პირველ დღიდანვე „საქართველოს შინაურ მტრებზე“ ვალაშქრება დაიწყეს, რითაც ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის გული მოიგეს და მით ფეხქვეშ ნიადაგი მოიპოვეს.

თავის არსებობის შესამე მიზეზს თვითონ „ყანწელები“ ასახელებენ.

როგორ გასძლეს მათ საქართველოში ამდენი ხანი? ამ კითხვებზე აი რა პასუხს იძლევა „ყანწელებში“ ყველაზე უფრო ნიჭიერი პოეტი პაოლო იაშვილი:

„შვიდი წელიწადი გაუძელით საქართველოში, რადგან სიყვარულის გარდა, ვიცოდით ერთმანეთის პატივისცემა. ვერავითარი შკოლა მწერლობაში ნუ დარწმუნდება, რომ გასტანს, თუ არ იქნა შინაგანი ვაბტანლობა. აღამიანური ერთობა პოეტებისა ქნის მათი შკოლის შინაარსს. მხოლოდ ნუღმივი კავშირი არკვევს თუ რა იქნება ხვალ“. („ბარბოკადი“, №1, 1924 წელი.)

ეს სრული ქეშმარიტებაა. უამისოთ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა „ყანწელების“ არსებობა საქართველოს თანამედროვე პირობებში.

„სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა“.

დაკვირვებული თვალი ადვილათ შეამჩნევს ამის „ყანწელებს“ შორის. სრულიად მართალია ტიციან ტაბიძე, როცა სწერს:

„ცისფერი ყანწელების“ ორდენი წარმოადგენს სრულიად უცნობ მისტიურ კავშირს პოეტების და-ძმობისას, რომლის მავალითი შეიძლება ქვეყანას არ ახსოვდეს“. (იქვე)

„ქვეყნის“ რა მოგახსენოთ და ჩვენში რომ არასოდეს არ არსებობდა და დღესაც არ არსებობს ასეთი ძნელი კავშირი სხვა რომელიმე შეჯგუფებაში, ეს ცხადია.

ქართველი კაცი, მწერალია ის თუ უბრალო მომაკვდავი, ბუნებრივად სოციალისტი და კოლექტივისტი. მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში მასზე უფრო ინდივიდუალისტი წარმოუდგენელია. ყოველ შემთხვევაში ქართველი ქართველს ვერ ეგუება, ვერ ურიგდება.



ქართველებს ძალიან ძნელად ეხერხებათ ხელი-ხელ ჩაკიდებული, კულექტიური მუშაობა. და თუ ეს მათთვის აუცილებელი ხდება, ეხერხებიან, როგორც აუცილებელ ბოროტებას, როგორც არა სასიამოვნო მდგომარეობას.

სამწუხაროთ, ეს საერთო მოვლენაა ქართველ ტიპში. მაგრამ იგი კიდევ უფრო განვითარებულია ქართველ მწერლებსა და ხელოვნებში. ოცდაათი, ოცდა თხუთმეტი წელიწადია რაც ქართველ მწერლებს ეიცნობ და ამ შედარებით დიდი დროს განმავლობაში არ მახსოვს, რომ მათ შორის ყოფილიყო მართლა და შეგობრული, რაიმე ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც ინტიმის ნიშან-წყალი ქონებოდეს.

ქართველ მწერლობას თავის დღეში არ ქონებია ერთი ოჯახი, ერთი კერა...

ერთმანეთს ვერ ურიგდებოდნენ ერთი შკოლის, ერთი მიმართულების, ერთი პოლიტიკური და ლიტერატურული იდეალების მსახური მწერლებიც.

ილიასა და აკაკის იდეურათ, პოლიტიკური მიმართულების მხრით, არაფერი არ ქონდათ გასაყოფი. მაგრამ იმავე დროს იმათ, მეტი რომ არა ეთქვათ, ერთმანეთი არ უყვარდათ.

ასეთი იყო ყველა სხვა ქართველი მწერლების დამოკიდებულებაც.

ამ მხრივ ქართველის ფსიქოლოგიაში ცოტა შესწორება შეიტანეს „მესამე დახელებმა“, რომელთაც თავის არსებობის პირველ წლებში მართლაც ჰქონდათ ინტომი, ჰქონდათ თავისი საკუთარი კერა.

მათ მართლაც უყვარდათ ერთმანეთი. მე მახსოვს, რომ „მესამე დასის“ მწერლების დებიუტები პირდაპირ სიხარულის ცრემლებს იწვევდნენ ჩვენს თვალებზე...

ეს ადვილი მისახვედრია: „მესამე დასი“ სულ რამდენიმე კაცისაგან შესდგებოდა; პირველად თხუთმეტ-ოცი კაცი თუ იქნებოდა. ეს იდეურათ გატაცებულ პატარა კასტას წარმოადგენდა. და ყოველი კასტა ზომ თავისი წევრების ურთი-ერთი სიყვარულითა და პატივისცემით არის ძლიერი.

მას შემდეგ კი რაც „მესამე დასის“ კასტა უზარმაზარ პარტიათ გადაიქცა, ეს ინტიმი თავისთავად უნდა დაშლილიყო და კიდევ დაიშალა.

შეიძლება ეს იყოს უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს მწერლებში, თუნდაც ერთი მიმართულების მწერლებს შორის, ინტიმი არ არსებობს.

აიღეთ თუ გნებავთ ჩვენი პროლეტარული მწერლები. მათ იდეურათ არაფერი გასაყოფი არა აქვთ. პირიქით, იმათ ერთი მტერი ყავთ, მათ საერთო მიზანი ასულდგმულებათ.

მაგრამ იმავე დროს მათ არა აქვთ ერთი ოჯახი, არა აქვთ იმისი მსგავსი რამ, რასაც ინტიმის ნიშან-წყალი აქვს...

„ყანწელები“ ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენენ ქართულ ლიტერატორთა შორის.

ყველა იმათ, როგორც თვითონ გვეუბნებიან და ჩვენც ამჟამად ვამჩნევთ, ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს აფასებენ, ახალისებენ, გულს უკეთებენ, ეხმარებიან და ეს კი მეტისმეტად საჭიროა მწერლისთვის.



და ჩვენის აზრით, ეს ერთი დიდი ფაქტორთაგანია, <sup>„საწილები“</sup> არ-  
სებობისა.

დღე ისინი ნურავის ნუ უყვარს, თუნდაც ყველამ ბოიკოტიც გამოუტყა-  
ლოს მათ. ისინი მაინც მაგარი არიან და იქნებიან თავისი შინაური ინტიმით.  
დღე ნურავინ ნუ ილაპარაკებს მათზე, ისინი თვითონ იტყვიან თავის-  
თავეზე.

ამიტომ არის, რომ „საწილები“ მუდამ თავის თავზე ლაპარაკობენ.  
ისინი მუდამ ერთმანეთის ქება-დიდებაშია არიან, მუდამ ბერევენ, სჭიმვენ და  
ადიდებენ ერთმანეთს.

საწილების ლექსებს, უმეტეს ნაწილათ, მათი ოჯახური ხასიათი აქვს;  
მათი პოეზია ერთმანეთთან მიწერ-მოწერას უფრო ჰგავს. ისინი ლექსებს უძღვ-  
ნიან ერთმანეთს, მათ ცოლებს, მათ შვილებს, მათ ძაღლებსაც კი...

ერთმანეთის ქებით სავსეა მათი ლექსი და პროზა. ჩვენ აქ ამის მხოლოდ  
რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ.

ყველაზე მეტი ქება გრ. რობაქიძის მისამართით იწერება.

აი რასა სწერს მას რაყდენ გვეტაძე:

„ხართ უსათუოდ პოეზიის თეთრი გიორგი:

„ცასფერ საწიების“ ოქროს ღერბი და სიამაყე.

გვაგიყებ ყველას ბრვე ლექსების ცეცხლის ორგით.

და საქართველოსკ-ვლავ ანელლებს თქვენი ამაგი“.

(„პოეზიის ღღე“, № 2).

პაოლო იაშვილი იმავე გრ. რობაქიძეს სწერს:

„... სჭრი ლექსებს მაგარ რკინის ღვედებით

და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით:

საქრთველო კი გვიმედება

ირუბაქიძის ვადამახებით“.

(„რუბიკონი“, № 5, 1925 წ.).

ცნობილი რეისორი კოტე მარჯანიშვილი „საწილებს“ „მზის შვი-  
ლებს“ ეძახის და გრ. რობაქიძეს „მზის ქურუმს“:

„მე დავინახე მზის შვილები—პოეტები და მათ სათავეში ქუ-  
რუმი, ქეშმარიტი ქურუმი მზისა, გრ. რობაქიძე“ („რუბიკო-  
ნი“, № 5, 1923 წ.).

„გრიგოლ რობაქიძეს არ ესაქიროება მიღება პოეზიის კათაკ-  
მეველთაგან. იგი თავისი ზედვით ზომავს ხაუყუნობებს. (ხაზი  
ჩვენია). ხოლო თანამედროვე პოეზიამ იგი აღიარა როგორც თა-  
ვისი მეტრი. გრიგოლ რობაქიძე პოეზიაში არის ახალი და  
განუყოფილებელი მიმღებობა მსოფლიოსი“ („რუბიკონი“  
№ 5, 1923 წ.).





ამის სწერს პავლე ინგოროყვი, რომელსაც ვიცნობდით როგორც პ. ინგოროყვის ნი-  
კიერ მკვლევარს ძველი ქართული საეკლესიო ძეგლებისა. ეტყობა—ეს მწერალიც  
მოუჯადოებია „ყანწელების“ ინტიმს და მათდასაქებრად მოუმართავს თავისი  
ჩანგი. სამაგიეროდ არც „ყანწელები“ დარჩენ მას ვალში. ისინიც ლექსით და  
პროზით აქებენ პ. ინგოროყვას:

„შენ ჯოჯოხეთი მთლათ ვაიარე  
და გააცოცხლე მარადი დანტე.  
ახლაც გამშვენებს ბევრი იარა  
და იმ სიერცეთა სიანდამატე.

შენი ოცნება—თეთრი მესსია—  
მარტოობაში დიდხანს ჰკიოდა.  
და ესალმება თვით პოეზია  
შენს დაბრუნებას საიქიოდან“.

ასე სწერს პ. ინგოროყვაზე ვალ. გაფრინდაშვილი. („რუბიკონი“, № 6,  
1923 წ.). მაგრამ არც თვითონ გრიგოლ რობაქიძე რჩება პ. ინგოროყვის  
ვალში:

„პავლე ინგოროყვას სახელით ახალი მწერლობის რიგში სდგას  
ერთი მეტათ მძლავრი ტალანტი... იგი არიულ სიწმინდეს შვიტანს  
ჩვენს ლიტერატურაში... იგი უეცრად თავდამტკიცებულ პოეტად  
შემოიჭრება ქართულ პოეზიაში. მე ეს მწამს“.

გრ. რობაქიძე არც სხვა თავის მეხოტბე ამხანაგებს რჩება ვალში.  
ისიც უდიდესი ჭება-დიდებით უხდის მათ... მაგრამ ამასზე აქ მეტს ვერ  
შევჩერდებით.

ეს რაინდები ერთმანეთის ჭებას და გადიდებას არ სჯერდებიან. ისინი  
ქვეყანას აყრუებენ ყვირილით: რაცა ვართ ჩვენა ვართ; ქართული ლიტერატურა  
ჩვენით სულდგნულობსო:

„ჩვენ ვამბობთ და ყველამ იცის, რომ „ყანწელები“-ს შემდეგ  
მთელმა ლიტერატურამ სრულიად იცვალა ფრონტი, დაეყრდნო  
„ყანწელების“ იდეოლოგიას, მიიღო მისი პოეზიის პრინციპები“  
(იხ. „ბარბაქადი“, № 5, 1922 წ. მოწინავე წერილი).

ქართულმა ლიტერატურამ „ყანწელების“, იდეოლოგია მიიღო!  
რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მან უარყო ბრძოლის ფილოსო-  
ფია და ვერლენის, ბოდლერის, მაღარმესა და ძმათა მათთა კულტი შე-  
პოიტანა.

ნუ თუ ეს უდიდესი ცილის წამება არ არის ქართული ლიტე-  
რატურისადმი?!

ეს რაინდები ამასაც არ სჯერდებიან. ისინი ყოველ გზა-გვარედინზე  
ვაჭკვიან:

გვიშველეთ! გვძარცვავენო.

„გვძარცვავენ ყოველ დღე სახეებში, რითმებში, ლექსებში.  
და რომელნიც ზეპირად ნათქვამსაც იმეორებენ, თუ არა დაწერი-



ლის გამეორებას ვინ დაასწრებთ“. (იქვე. იგივე მოწინავე) **ქართული  
განმათავსებელი**  
რეკლამა, რეკლამა და კიდევ რეკლამა!

აი ის ავლა-დიდება, რომლითაც „ყანწელები“ შეიჭრენ ქართულ ლიტერატურაში. მათ ჩვენში არაერთი ახალი და ორიგინალური აზრი არ მოუტანიათ. ბოდლერისა და მალარმეს პოპულიარიზაცია ხომ ახალი საქმე არ არის?... ყოველი ამის ნაცვლად მათ თავის დაბადების პირველ დღიდანვე მიმართეს მდაბალი ღირსების რეკლამებს, რაც რუსის პოეტი ბალმონტის გაბრუებით დაიწყო.

მოგეხსენებათ: როცა 1915 წელს ქართველ მწერალთა ერთმა ჯგუფმა გრიგოლ დიასამიძის მეთაურობით ბალმონტი „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნის მიზნით საქართველოში მოიწვია, მას ქართულ თეატრში ნამდვილი მეფური შეხვედრა გაუმართეს. ქართველმა „მამულის შეილებმა“ ქართველურის სტუმართმოყვარეობით მიიღეს ნიჭიერი პოეტი, რომელსაც ჩვენი კახური თურმე უწინაც არ სძულდა.

მას მთელი კვირების განმავლობაში ტფილისისა და ქუთაისის ქართველი არისტოკრატების სალონებსა და საუკეთესო რესტორნებში აქტიუბდნენ...

და ამ დროს ვინ უნდა ყოფილიყო ბახუსის მოყვარე პოეტის აფსონი თუ არა პროფესიონალი ყანწელები?..

მართალია, ბალმონტმა **რუსთაველს** ვერაფერი გაუგო, მან „ვეფხისტყაოსანი“ ვერ გადათარგმნა. მაგრამ საქართველოში მის სტუმრობას ის რეალური შედეგი მოჰყვა, რომ „ყანწელები“, — ყველა თუ არა, ორი მიანიც, — რუსთაველის „სოდრუენიკებათ“ გამოაცხადა:

Как нежный ленил колыбели,  
Как странный шорох птичьих крылий,  
Люблю содружных Руставели —  
Гаприндашвили и Яшвили...

ასეთი ლექსი უძღვნა ბალმონტმა თავის აფსონ „ყანწელებს“.  
ყველა სხვა ქართველ მწერალს, — თუნდაც ის აკაკი ან ილია ყოფილიყო — ასეთი ქების კიდევ შერბევბოდა და მის შესახებ არც კი გაამხელდა.

მაგრამ „ყანწელები“ აბა ასე როგორ მოიქცეოდნენ! მათ იიღეს და ამ მეტი რომ არა ვსთქვათ, კანდიერი ლექსის ფაქსიმილე თავისი „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერშივე დაბეჭდეს:

— აბა ერთი შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართ! რუსეთის ცნობილმა პოეტმა, რომელიც თქვენ თვითონ მოიწვიეთ და დიდის პატივით მიიღეთ, ჩვენ რუსთაველის „სოდრუენიკებათ“ გვიცნოვო...

\*  
\*

ახლა შევჩერდეთ თვით იმ იდიოლოგიაზე, რომლის გავრცელებასაც „ყანწელები“ ცდილობდნენ და ცდილობენ ქართულ ლიტერატურაში.

მართალია, ამ იდიოლოგიაში მათი საკუთარი არაფერია. მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, ვისარგებლოთ შემთხვევით და ლიტერატურის „თვითმიზნობაზე“ ვთქვათ.



ქართულმა ლიტერატურამ არ იცოდა, არ იცის და არც შეძლებდა იცოდეს „ლიტერატურის თვითმიზნობა.“

ჩვენ არ გვეგულება ისეთი ქართველი მწერალი, რომელსაც ოდესმე „წმინდა ხელოვნება“ დაესახოს მიზნათ, რომელიც მალა იდგეს ეროვნულსა და კლასიურზე, რომელსაც სამოქალაქო მოტივები არ გაეხადოს თვის შემოქმედების საგნათ...

ამას თავისი მიზეზები აქვს. ქართველი ერი ყოველთვის განიცდიდა საშიშროებას თავისი ფიზიკური არსებობისათვის, მის წინ მუდამ იდგა მისი უფნა არ უფნის საკითხი.

ასეთი ერის ლიტერატურას არ შეიძლება „ლიტერატურის თვითმიზნობის“ სამსახურზე ეფიქრა და მშობელი ერის ტკივილებისთვის ანგარიში არ გაეწია.

ეს ყველასთვის აშკარა და ამაზე მსჯელობა იმას ემსავესებოდა რომ დავეწყო მტიციება: შაქარი ტკბილია, ცეცხლი სწვავს, ყინული ცივია, და სხვა ასეთები...

ესეც არ იცოს შეუძლებელია, რომ „ლიტერატურის თვითმიზნობის“ ემსახურებოდეს ლიტერატურა იმ ერისა, რომლის 90% სოციალისტები არიან და რევოლუციონერ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და იღებენ? ვიმეორებთ:

ქართულმა ლიტერატურამ არ იცის „თვალთმისნობა“, მაგრამ ის არც სხვა რომელიმე ერის ლიტერატურამ იცის.

„წმინდა ხელოვნება“ „ხელოვნება ხელოვნებისათვის!“ „ხელოვნების თვითმიზნობა!“—აი ის ჩვენი კარგათ ნაცნობი, ძველი, გაცვეთილი და გაცხუნებული ფორმულები, რომელთაც ყოველგან და ყოველთვის გამარჯვებული კლასები ატყუებენ ხალხის მასებს.

ხელოვნების „თვითმიზნობიდან“ გამოდიოდნენ რომის პაპები, როცა რაფაელსა და მიქელ ანჯელოს თავის სასახლეებსა და ტაძრებს ახატვინებდნენ. მაგრამ დღეს ვინ არ იცის, რომ ეს ხელოვნება ემსახურებოდა ხალხის გონებრივ დამონებისა და ეკლესიისა და საერთოთ გამარჯვებულ კლასების ტახტის გამაგრებისა და განმტკიცების საქმეს...

გამარჯვებული კლასები არაფერს არ ზოგავდნენ ეკლესიების გასამშვენიერებლად და ისინი სიტყვით ყოველთვის და ყოველგან გამოდიოდნენ „წმინდა ხელოვნების“ ინტერესებიდან, მაგრამ საქმით ამ ხელოვნებას ისინი იყენებდნენ თავის საკუთარი კლასობრივი მიზნებისათვის.

„ხელოვნება ხელოვნებისთვის!“

შეუძლებელია, რომელიმე ხალხის ენაზე წიანიხოს ისეთი ორი სიტყვა, რომელიც ამდენ ტყუილისა და პირმოთნეობას შეიცავდეს!

შეიძლება ბულბულის სტენა ან ვარდის მშვენიერება და სურნელება მართლაც მიიღოს ადამიანმა „მშვენიერებათ მშვენიერებისათვის,“—თუმცა ბუნების მეტყველები აქაც უტილიტარულ მიზანს მონახვენ,—მაგრამ ხელოვნება და მშვენიერება, რომლის შექმნაშიაც ადამიანის თავისუფალი ნებისყოფა ან



შემოქმედებითი ენერჯია ურევია, ყოველთვის იყო, არის და იქნება წმინდა კლასობრივი მცნება, და ეს ასე დარჩება მანემ, სანემდი იარსებებენს საზოგადოებრივი კლასები...

„ხელოვნება ხელოვნებისთვის“ საღლებოდა მაშინ, როცა იგი მარტო შეფუებისა და მაღალი წოდების კუთვნილების შეადგენდა. მართალია, გაბატონებულ კლასებს ხელოვნება ესტეტიურ სიამოვნებათა მომგვრელ საგნათაც მიანიჭდათ, მაგრამ იმავე დროს ეკლესიები ხელოვნებას იყენებდნენ მოწინააღმდეგე, ისედაც დამონებული კლასების კიდევ უფრო დასამოვნებლად და დასაშინებლად იარაღად...

გაბატონებული კლასები აშენებდნენ უზარმაზარ ტაძრებს, ხუროთმოძღვრების საკვირველებას, რთავდნენ და აშშენიერებდნენ მათ პრაკტიკელის, ფიდიის ლეონარდო და—ვინჩის, მიქელ ანჯელოსა, რაფელისა და სხვათა გენიალური შემოქმედების ნაყოფით...

რა თქმა უნდა, აქ იყო ესტეტიური მიზანიც. მაგრამ ყველაზე უფრო აქ ერთი მიზანი იყო:

**ხალხის მასების დამონება, მათზე თავისი საკუთარი ბატონობის განმტკიცება!**

მკითხველი ნუ ჩამოგვართმევს, „პისარევშინით“ და ესტეტიკის დამრღვეველთა არგუმენტების გადაჭარბებულ სიყვარულში, თუ გაეკადნიერდებით და ვიტყვი, რომ ყველა ამ ხელოვნების საკვირველებას სარგებლობაზე ათასჯერ მეტი ზარალი მოუტანია, რადგანაც იგი გაბატონებულ კლასების ხელში მხოლოდ ხალხის მასების დასამონებელ იარაღად იყო გადატყვეული, რადგანაც იგი ღვთისადმი შიშსა და მონობის გრძობას უნერგავდა ხალხს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში.

აბა ერთი მიზრძანეთ:

ვინ ივლიდა ეკლესიებში, თუ იქ კარგი ხუროთ მოძღვრება, კარგი ქანდაკება—მხატვარმა, კარგი მუსიკა ან გალობა არ იქნებოდა?

ეს კარგათ შეიგნო ყველა რელიგიის კულტის მეთაურებმა, შეიგნეს ყველა გაბატონებულმა კლასებმა და თვისი საკუთარი, სრულიად მიწიერი ინტერესებისათვის, ხალხის თვალების ასახვევად და დასაბრმავებლად გამოიყენეს ხელოვნების უდიდესი შედეგები...

აბა რომელი ჯარისკაცი გავიდოდა ბრძოლის ველზე, თუ მას მუსიკითა და სიმღერით არ შეახურებდნენ, სისხლს არ აუშობრავებდნენ?

ამ რიგად, გაბატონებულმა კლასებმა, იმ კლასებმა, რომლებს იდეოლოგიებიც ყოველთვის და ყოველგან „ხელოვნების თვითმიზნობაზე“ გაპკიოდნენ და გაპკივიან, ხელოვნების ყოველივე დარგი გამოიყენეს თავის საკუთარი კლასობრივი მიზნებისათვის.

ხალხის გამოვლიძებას, მის გონებრივად და პოლიტიკურად გაძლიერებას ყოველთვის თან მოსდევს ის, რომ თვით ხალხი ეპატრონება ხელოვნებას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ხალხი ხელოვნებას უბრალოდ დროს გასატარებელ საგნათ გამოიყენებს, რომ ხელოვნებას ის საღდაც ცხრაკლიტულში შეინახავს და როცა მოეხასიათება, მაშინ ამოიღებს თავის გასართობათ.



გამარჯვებული ხალხი ხელოვნებას ყოველთვის იყენებდნენ, *ესეი* *ტვენტის* თავისი კლასობრივი მიზნებისთვის!

თუ ვნებათ ყოველივე ხელოვნება ხელოვნებისათვის არის და იმავე დროს იგი კლასობრივია. მაგრამ „ხელოვნების თვითმიზნობაზე“ ლაპარაკი ყოველთვის მაშინ იწყება, როცა გაბატონებულ, ამ ხელოვნების პატრონ კლასს მეტოქე უჩნდება.

ჩემთვის ერთი რამ აშკარაა: როცა მე მესმის წუწუნნი „ხელოვნების თვითმიზნობის“ წაბილწვის და ხელოვნებაში „არღანჩიკების კაკოფონიის“ გაბატონების შესახებ, ჩემთვის, როგორც მარქსისტისთვის, აშკარაა, რომ გაბატონებული კლასების ბანაკში სულიერი სიმშვიდე უკვე დარღვეულია, რომ გაბატონებულ კლასებს უკვე გამოჩენია მძლავრი მეტოქე, რომელიც ჯერ ხელოვნების სფეროში იწყებს ბრძოლას, მაგრამ მალე სხვა სფეროებშიაც და განსაკუთრებით პოლიტიკურში წამოიწყებს მას მოთხოვნილებებს...

ეს ჩემთვის იმდენად ცხადია, რომ მე *VXIII* საუკუნის მიწურულის საქართველოს ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად გარდა ბესიკის სასოწარკვეთილი ლექსების მეტი ლიტერატურული მასალა რომ არ მოგვეპოვებოდეს, მე მაშინაც ვიტყვოდი, რომ პოეტის თანამედროვე ქართველ მაღალწოდებაში დიდი იქვიანობა შეკრილა, რომ ის დიდ შიშს განიცდის, რომ მას უკვე უგრძნია ისეთი მეტოქე ძალის მოახლოება, რომელიც მას უკვე აცლის ხელიდან სამეფო კერისთვის...

ბესიკის პოეზია—ეს ნამდვილი „გველოტია“, ეს შიშის ზარია პოეტის თანამედროვე ქართველი მაღალი წოდებისა!.

ბესიკის პოეზიის მწუხარე კილოს პოეტის პირადი ცხოვრებით, მარტო იმით ახსნა, რომ მას „ანა დედოფალი უყვარდა“ და როცა იგი თავის ყარობს შემოსწყრა, ყარიბი მწუხარებას მიეცაო,—ეს ერთობ პრიმიტიული ახსნაა ღრმა ფსიქოლოგიური მოვლენისა.

\* \* \*

„პისარევშინა,“ „ესტეტიკის დამრღვეველობა“ და სხვა ასეთები „წმინდა ხელოვნების“ იდეოლოგებს სისაცილოდაც არა უოფნით. მაგრამ თუ საკითხს მეცნიერულად მივუდგებით, აქ სისაცილო არაფერია.

არის ხოლმე ხალხის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა ხალხისთვის „ერთი წყვილი წაღები“ კი არა, ერთი წყვილი ქალამენებიც უფრო ძვირად ღირს, ვიდრე თვით რაფაელის მიღონა, ან ლეონარდო და-ვინჩის ჯიოკონდა.

სწორედ ასეთი მომენტი იყო რუსეთის ისტორიაში მაშინ, როცა „პისარევშინა“ წარმოიშვა. ასეთივე მომენტი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში მაშინ, როცა დანიელ ჰონჭავჭავის „ხურამის ციხე“ ან ილია ჭავჭავაძის „კაკო დაჩალი“ დაიწერა.

„წმინდა ხელოვნების“ იდეოლოგების თვალსაზრისით ეს დასაბეღებული ნაწარმოები პუბლიცისტიკაა, ტიციან ტაჭიძის ენაზე—ეს „არღანის კაკოფონია“.



მაგრამ ერთი მიბრძანეთ: სად არის აქ ხელოვნების კანონები? და არადა? აქ მხოლოდ ხელოვნების, ამ ბრძოლის დიდი იარაღის ერთადერთი კლასის ხელში გადატანა იყო და არა ხელოვნების კანონების დარღვევა.

გაკვადნიერდები და ვიტყვი: ნეკრასოვის **ВАНЬКА** ისეთივე სრულყოფილი ხელოვნური ნაწარმოებია, როგორც პუშკინის საუკეთესო სონეტები — მხოლოდ **ВАНЬКА** სურათია ბატონის მონობაში მგმინავი გლეხისა, რომელსაც როზგს არ აკმარებენ, რომელსაც სანემ კბილები ჰქონდა, კბილებში სცემდნენ, როცა კბილები ჩაულეწეს, მერე ქოჩრით ათრევდნენ.

**Были зубы—били в зубы.**

**Нет—трещит скула!**

აი ეს ვანკები ვერ შეურიგდნენ თავის მონურ მდგომარეობას; მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუტყდადეს თავის ჯალათებს... და როცა ბრძოლის სასწორმა ხალხისკენ იწყო გადაბრა, ძალა-უნებურად უნდა გაჩენილიყვნენ: ნეკრასოვები, კონქაძეები... მებრძოლ ხალხს უნდა შეეძქნა თავისი საკუთარი პოეზია, თავისი ბრძოლის სიმღერა.

დღე რაფაელის მადონნასთან შედარებით ეს სიმღერა „წვეილი ჩემები“ იყოს!

მაგრამ ეს საომრად გამოსული, აჯანყებული ხალხის სიმღერაა; ეს მისი ბრძოლის ჰიმნია!..

და თუ მართლაც „პოეზია ნელ ნიავეზე მოწყობილ ეოლის „აბფაა,“ როგორც ამას ხელოვნებაში ყველა მიმართულების იდეოლოგები გვასწავლიან, ასეთ მგრძნობიარე „არფას“ ანგარიში არ უნდა ვაეწიო „განახლების ქარის ქროლვისთვის“?

თუ პოეზია თვით არის მშვენიერება, მშვენიერების სამსახური, როგორც იგივე იდეოლოგები გვასწავლიან, განა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა თვით განხორციელებული მშვენიერება არ არის? მაშ პოეზია როგორ უნდა დარჩენილიყო ბრძოლის გარეშე?

აკაკიმ პოეტს „გარემოების საყვირი“ უწოდა. ეს კეშმარიტებაა. ნამდვილი ხელოვანი მართლაც „გარემოების საყვირი“ უნდა იყოს, მან გარემოება სუნდა გაუწიოს ანგარიში. ეს იგივეა, რასაც ჩვენ, მარქსისტები, შემდეგ დებულებებში გამოვთქვამთ

**მდგომარეობა ქმნის შეგნებას!..**

მწერალს, თუ ის მგრძნობიარე მწერალია, მდგომარეობა თვით უჩვენებს გზას და მიმართულებას. ჩვენ ბევრი დიდი მწერალი ვიცით, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს, „გარემოებას“, „მდგომარეობას“ მებრძოლ პუბლიცისტად გადაექციოს. შეიძლება პუბლიცისტი არ იყოს ხელოვანი მწერალი, მაგრამ ნამდვილი ხელოვანი, როცა ამას გარემოება მოითხოვს, პუბლიცისტი უნდა იყოს.

აქ თავისთავად იბადება საკითხი: რა განსხვავებაა პუბლიცისტსა და ხელოვან მწერალს შორის?



ხელოვანი მწერალი ხატავს, ის ქმნის მშვენიერებას. ის ვასცეს ადამიანის სულიერსა და ესტეტიურ მოთხოვნილებებს.

მაგრამ ის პასიური წევრია საზოგადოებისა. ის ავალ-ყურს ადევნებს ცხოვრების დუღილს, ის სწავლობს იმიტომ, რომ შემდეგ გულდასმით მიუჯდეს თავის სამწერლო მაგიდას და თავისი დაკვირვებისა და შესწავლის ნაყოფი ლამაზ სურათებში გამოხატოს.

მხატვარი უფრო ღრმად მიდის ცხოვრების ანალაზში, რადგანაც მას, როგორც ცხოვრების დუღილის გარეშე მდგომს, უფრო ობიექტიურად შეუძლია მისი შესწავლა, აწონ-დაწონა, რადგანაც იგი ერთნაირად ხედავს ორივე მებრძოლი ბანაკის სუსტსა თუ ძლიერ მხარეებს, ავსა თუ კარგს.

სულ სხვაა პუბლიცისტი.

ის თვითონ მებრძოლი, აქტიური ძალაა. ის თვითონ ტრიალებს ცხოვრების შუა გულში, ის თვითონ არის ბრძოლის აქტიური მონაწილე.

პუბლიცისტი სწავლობს მოვლენას იმტომ კი არა, რომ შემდეგ, ოდესმე მშვიდად და დაწუნარებით მიუჯდეს მაგიდას და ხატოს ამ მოვლენის ლამაზი სურათები.

პუბლიცისტი სწავლობს იმიტომ, რომ ახლავე, ამავე წუთში, დაუყოვნებლივ შეებრძოლოს ყოველივე იმას, რაც მისი აზრით უარყოფის ღირსია...

პუბლიცისტი ნამდვილი დონ კიბოტია: როცა ის ხედავს რომ ბოროტებათა თაღი იზინა ის მთელი თავისი ძალ-ღონით გამოდის ბრძოლის ველზე და ყველას საომრად მოუწოდებს.

პუბლიცისტი ებრძვის ბოროტებას დღესვე, აწმყოში, მხატვარი—ხვალ, მომავლში.

უკანასკნელი სურათებში ხატავს ცხოვრების ყოველგვარ მოვლენას, ცდილობს შეაყვაროს ან შეაძულოს იგი მკითხველებს.

პუბლიცისტს ლამაზი სურათებისათვის არა სცალია. ის მეციხოვნე დარაჯსა ჰგავს, რომელიც, თუ მტერი დაინახა, პირველათ გაისერის უმაბარას და მით მეომრებს ატყობინებს:

— მტერი მოდის, ხელი ხმალოს!

ასეთი განსხვავებაა ხელოვან მწერალსა და პუბლიცისტს შორის.

მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ ერთობ ბევრი იცის იმის მაგალითები, რომ თვით უდიდეს ხელოვან მწერალს უკუ-გედოს მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტის მკვეთრი კალამი აელოს ხელში. ვოლტერისა და ზოლას ეპიზოდური გამოსვლები რომ არ მოვიგონოთ მარტო დევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის მაგალითიც გვეყოფა.

ვის არ ახსოვს, რომ ამ მე-XIX საუკუნის მთელ მსოფლიოში უდიდესმა რომანისტმა თავის სიცოცხლის ბოლო ათწელს წლებში სულ მიაწება თავი მხატვრულ მწერლობას და ხელი პუბლიცისტობას მიყო.

რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის ისედაც აუტანელი პოლიტიკური ცხოვრება წასული საუკუნის მიწურულში და მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა.



შეგნულმა თვითმპყრობელობამ მთელი რუსეთი მორწყა და მთელი ხალხის ინტერესებისათვის საუკეთესო მებრძოლთა სისხლით...

ვის ეცალა ლამაზი სურათებით დატკობისათვის იმ დროს როცა ყოველ ქალაქში სახრჩობელა იყო ამართული?

ხალხს ახლავე ესაჭიროებოდა დახმარება, გამოსარჩლება, წამილი...

და ტოლსტოიმ ეს კარგათ შეიგნო. მან პირდაპირ დანაშაულად მიიჩნია ასეთ დროს ცხოვრების გარეშე შეყურებლად დარჩენა; მან ვერ აიტანა ცხოვრების ობიექტიური მეთვალყურის როლი.

ის ძირს დაეშვა პარნასის მწვერვალებიდან და საომრად გამოვიდა.

„არ შემძლია გავჩუმდე!“ — ლომივით დაიქექა მან დათვით ცხოვრების კიდილში ჩაერია.

ასეთი იყო ვლადიმერ კოროლენკოს ლიტერატურული კარიერის დასასრულიც. რუსეთის სინამდვილემ მალე აიძულა გრძნობიარე სინიდიის მქონე პოეტი თვით ცხოვრების კიდილში ჩაეროდა, როგორც აქტიური მებრძოლი, როგორც პუბლიცისტი. და „ბრმა მემუსიკის“ ავტორმა კოროლენკომ „მულტანების პროცესითა“ და „ბეილისის საქმით“ გაათავა.

ეგნატე ნინოშვილზე აქ სიტყვის გაგრძელებაც მეტია. მისმა ყოფილი აზნაანგებმა კარგათ იციან, რომ ეგნატე ცდილობდა მხატვრული ლიტერატურისთვის თავი გაენებებია და პუბლიცისტიკისთვის მოეკიდა ხელი. მებრძოლი ტემპერამენტის მწერალს არ აკმაყოფილებდა ბელეტრისტიკა.

„ბელეტრისტიკიდან არაფერი არ გამოდის. მინდა ახლა პუბლიცისტური კალამი ვცადო, იქნება გამოვიდეს რამეო“, — ამბობდა ეგნატე. (ამის შესახებ იხილე ჩემი შრომა: „ეგნატე ინგოროვა-ნინოშვილი“. „რევოლიუციის მატთან“ 1924 წ. №№ 2 და 3.).

ხელოვანი მწერლის თანამედროვე კითხვებით, სამოქალაქო მოტივებით გატაცება, მისი სუბიექტივობათ და ტენდენციოზობათ არის მიჩნეული.

ასეთი აზრი რაღაც გაუგებრობაზეა დამყარებული.

ყოველ შემთხვევაში ამას ვერ დაეთანხმებით ჩვენ, მარქსისტები, რომლებსაც ვვწამს, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას...

თუ მდგომარეობა ისეთია, რომ ის არ ითმენს მოცდას, თუ ცხოვრება დღესევე ამ წუთშივე მოითხოვს პასუხს, ხელოვანი როგორც საზოგადოების ყველაზე უფრო გრძნობიარე წევრი როგორც „გარემოების საყვარი“, ანგარიშს უნდა უწევდეს „გარემოება“.

როცა 1905 წლის დამარცხებული რევოლიუციით თავგასულმა თვითმპყრობელობამ დამარცხებული ხალხის საუკეთესო შეილების სისხლით შეღება მთელი რუსეთი, ლევ ტოლსტოის: „Не могу молчать!“ — ისეთივე დიდი ხელოვნური ნაწარმოები იყო, როგორც მისივე „Холстомер“-ი, ან „После бала“.

„Не могу молчать!“ — ეს სისხლიდან დაწრტილი რუსეთის ხალხის უდიდესი პროტესტი იყო.

ტოლსტოიმ, როგორც თავისი ერის უდიდესმა მწერალმა, ამ ერთ ფრაზაში განაზოგადა, შეაჯამა მთელი რუსეთის ხალხის პროტესტი და მთელ მსოფლიოს წარუდგინა იგი...





როცა ტოლსტოის „Ненюгу молчать“-ს იგონებთ, თქვენს წინსვლაზე მებრძოლი, რომელიც საყვირით ხელში უფლის იერიქონის ქედლებს და მებრძოლთ უყვივის მის დასანგრევათ...

და ამა ვინ იტყვის, რომ ნილაბ ახილი, ხალხის ტანჯვებით გაცოფებული მებრძოლი უფრო ნაკლებ მბატერული სურათია, ვიდრე მთელი ტომები თვით უნიჭიერესი ბელეტრისტისა?

მწერალი თავისი დროისა და გარემოების შვილია. და რამდენადაც ის უფრო გრძობიარეა, იმდენათ უფრო მეტათ გაუწევს ანგარიშს თავის დროსა და მის მოთხოვნილებას, მაშასადამე, მით უფრო სუბიექტიური და თუ გნებავთ მით უფრო ტენდენციოზურია იგი.

მხოლოდ უნიჭო მკვლავნელს შეუძლია სადმე რაღაც ნახოს ან ყური მოკრას და მერე წარა-მარათ, თუთიყუშით, იმეოროს, არც დროს გაუწიოს ანგარიში და არც გარემოებას.

„ხელოვნება ხელოვნებისთვის, „წმინდა ხელოვნება“, „ხელოვნების თვითმიზნობა“!

ეს ისეთი მოარული სენია, რომელიც აგრეთწოდებულ დაწინაურებულ ქვეყნების ყველა ხელოვნებამ უნდა მოიხადოს განსახლვრულ ისტორიულ ეპოქაში, ესე-იგი მაშინ, როცა ხელოვნების განვითარება უკვე მისულა თავის უაღრეს წერტილამდე, როცა მას მეტი გზა აღარ დარჩენია წინ გასაქანათ, როცა ძალაღწებურად იწყება მისი დეკადანსი, რაც შეტერებას, დასწულებას, უკან დაქანებას ნიშნავს.

ან, ესევე აზრი უფრო გასაგებად რომ გამოვთქვათ: ეს ხდება მაშინ, როცა ხელოვნების ბატონ-პატრონი, გაბატონებული კლასები, უკვე მოხუცებულან, როცა მათ უკვე ამოუწურავთ თავისი მთელი ენერგია, მთელი შემოქმედებითი, ძალ-ღონე, გამოფიტულან და თავის სრულ წინააღმდეგობად გადაქცეულან...

ამიტომ არის, რომ დეკადანსის სამშობლო დიდი მრეწველობის, დიდი ინდუსტრიის ქვეყანაა... ამიტომ არის, რომ ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს და ყველა სხვა „დაცემულობის“ მოციქულთა სამშობლო პარიზი,—ეს, აგრედწოდებული, კულტურული კაცობრიობის ცენტრი ქალაქია...

სამუშაოთ, საქართველოს ჯერაც არა აქვს განვითარებული წარმოება. თვით „ყანწილების“ სამშობლო ქუთაისში, ყოველ შემთხვევაში იმ დროს, როცა ამ დეკადანსის მოციქულებმა „მზრძანებითა თვისითა გაამხიარულეს“ იგი, ფაბრიკის ერთი მილიც არ სწამლადა ჰაერს თუ ასეთებათ სამოკრის მილებს არ მივიღებთ.

ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ქართულ ხელოვნებას, არა თუ დეკადანსი არ განუცდია, ესე-იგი არა თუ არ მისულა იგი განვითარების უაღრეს წერტილამდე, არა თუ არ ამოუწურავს მას თავისი შინაგანი შემოქმედებითი ძალ-ღონე, ჯერ ვერც კი მოუხერხებია მისი საესებით გაშლა და განვითარება.

აქედან აშკარაა, რომ „ყანწილების“ დეკადანსი ქართულ ლიტერატურის დეკადანსი არ არის. ვერლენისა და მისთანა დაცემულობის მოციქულთა „მღვრიე აბსენტის“ კულტი სადღაც პარიზის ყავახანებში მოპოებული და ქართულ ლიტერატურაში ძალით შემოტანილია.



დეკადანსი ხელოვნებაში—ულელტეხილია. როგორც უკვე ვთქვამდეთ, როგორც უცნაური მიზეზით შეჩერებული მდინარე შეიძლება დაქუცმაცდეს, გველ-ბაყაყების ბუდეთაც გადაიქცეს, მაგრამ თუ ამ მდინარის მისაზრდოებელი წყაროები და სათავე ისევ მდიდარია, ის დიდხანს ვერ შეჩერდება; ის გადალახავს ნაპირებს და ახალი გზით მიეშორება წინ...

ასევე ხდება ხელოვნებაშიც: თავის წინ სულაში შეჩერებული, იგი იკიდებს ობს, იღებს სიღამპლისა და გახრწნილების სუნს.

მაგრამ ხელოვნების მაცოცხლებელი წყარო, მისი სათავე ხომ თვით ცხოვრებაა? მაშასადამე ის დიდხანს ვერ დარჩება ასეთ მდგომარეობაში, ის ანგრევს ნაპირებს, პოულობს ახალ გზებს და შეუჩერებლად მიექანება წინ, ფეხდაფეხ მისდევს თვით ცხოვრებას.

ხელოვნების ასეთი გაჯანსაღება უდრის თვით ხალხის, თვით საზოგადოების გაჯანსაღებას, რაც მხოლოდ ბრძოლის მეოხებით ხდება...

მხოლოდ ბრძოლა აჯანსაღებს ხელოვნებას, მხოლოდ რევოლიუცია აძლევს მას სასიცოცხლო იმპულსს.

ამის უტყუარი მაგალითი ჩვენ უკვე გვაქვს რუსეთის ლიტერატურაში, რომელმაც 1905 წლის შემდეგ განიცადა დეკადანსი, მაგრამ რევოლიუციის ქარის დაპქროლვასთან ერთად გამოვიდა იგი „სათუოდან“ და რევოლიუციის გამარჯვებასთან ერთად სრულიად განიკურნა...

საკმაოა მოვიგონოთ, რომ რუსეთში ყველა ჯურის დეკადენტები და ფუტურისტები 1905 წლის რევოლიუციის დამარცხებიდან თვით მსოფლიო ომის დაწყებამდე განიცდიდნენ ამ სნეულებას.

საკმაოა მოვიგონოთ, რომ მთელი ამ დროს განმელობაში მათ პირდაპირ მიუღებლად მიაჩნდათ, ისინი მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძოდნენ ხელოვნებაში მოქალაქობრივი მოტივების შეტანის უბრალო ცდასაც კი.

— „ხელოვნების ვადემოკრატებაზე ლაპარაკი ისეთივე სისულელეა, როგორც ის, რომ დემოკრატიული დასკვნები მოთხოვით ოთხკუთხედს... ხელოვნებისათვის ისევე შეუძლებელია მუშათა იდეალების მიღება, როგორც მიუღებელი და შეუწყნარებელია სამკუთხისთვის ოთხკუთხის ფორმის მიცემა.“ —

სწერდა შერშენევიჩი 1914 წელს (იხ. „Первый журнал русских футуристов.“)

ამასვე გვეუბნებოდნენ რუსის ყველა ჯურის ფუტურისტები.

მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა. დარეკა თუ არა მსოფლიო ომის გლოვის ზარმა და დაპქროლა თუ არა პროლეტარული რევოლიუციის სიომ, ფუტურისტების ბოგემა სრულიად ობიექტიურად დაეშვა ძირს პარნასიდან, ჩაერია სოციალურ ძალთა კიდილში და მებრძოლი პროლეტარიატის ბანაკში მონახა თავისი შესაფერი ადგილი.

1915 წელს ყველაზე ნიჭიერი ფუტურისტი მაიაკოვსკი ბეჭდავს „Облако в штанах“, რაც მომავალი რევოლიუციის წინასწარმეტყველებათ იქნა მიღებული. იმავე დროს გამოდის გამომცემლობა „Лирень“-ში (1914—1916 წ. წ.) თავმოყრილი: ხლებნიკოვის, ნ. ასეევის, ბოთიდარისა და გ. პეტნიკოვის მიერ



ხელმოწერილი: „მარსიანელთა საყვირი“ (Труда Марсианцев) — მდიდრული პოლიტიკურ პროკლამაციით უნდა ჩაითვალოს.

ბურჟუაზიული ესტეტიკის სიძულვილმა რუსი ფუტურისტები ჩამოაშორა არსებულ საზოგადოებრივობას, მაგრამ იმათ წარსულისაკენ კი არ უქნიათ პირი, საშუალო საუკუნოების აღდგენა კი არ მოუნდომებიათ, — როგორც ამას ბოდლერი და მისი ამხანაგები ჩადიოდნენ, — არამედ გვერდში ამოუდგენ ბურჟუაზიის მესაფლავე მებრძოლ პროლეტარიატს და უშუალო მონაწილეობა მიიღეს რევოლუციაში.

თებერვლის რევოლუციის დაწყებისთანავე რუსი ფუტურისტები გამოდიან უალრესი ინტერნაციონალიზმის მქადაგებლად. (იხ. „Временник“, № 2. კამენსკი, პეტნიკოვი, ხლეზნიკოვი და სხვები).

ოქტომბრის რევოლუციამ კიდევ უფრო ალაფრთოვანა ეს პოეტები, მეტი რევოლუციონური ენერჯია ჩაჰბერა მათ.

სწორეთ ამ დროს იგივე მაიაკოვსკი ისერის ლოზუნგს:

„Улицы—наши кисти!“

Площади—наши политры!“

მაიაკოვსკი სწერს: „მიხტერია ბუფფხ“, რომელიც კრიტიკამ „ჩვენს დროს საგმირო, ეპიურს და სატირიული განსახიერება“ უწოდა, იგივე მაიაკოვსკი სწერს მალალ ნიჟიერ რევოლუციონურ მარშებს.

1920 წელს კამენსკი გამოიღის „ხეტენკა რაზინით“ და „მანქანის პანაშვილით“ („Паровозная обедня“).

1921 წელს მაიაკოვსკი სწერს პოემას „150 მილიონი“... რომელშიაც პოეტი ცდილობს გამოხატოს 150 მილიონი ხალხის ტანჯვის ეპოსი...

ამ რიგად, რევოლუციის მოახლოებასთან ერთათ რუსეთის ყველა ჯურის ფუტურისტები თანდათან გადაიქცენ რევოლუციის მწერლებათ, მათ უკუაგდეს „ხელოვნების თვითმიზნობის“ შესახებ ბოდვა და რევოლუციის მრისხანე საყვირი აიღეს ხელში...

მათ შეიგნეს „მუშათა იდეალების მიღების“ აუცილებლობა.

ეს რუსეთში.

ჩვენში? ქართულ ლიტერატურაში?

აქ სრულიად წინააღმდეგ მოვლენას იქვს აღვლი.

აქ, როგორც დაეინახეთ, მსოფლიო ომის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, თვით რევოლუციის დაწყებისთან ერთად, „ყანწელები“ გამოდიან ხელოვნების თვითმიზნობის იდეოლოგებათ, ისინი უარსა ყოფენ, „მუშათა იდეალებს“, სასაცილოდ იღებენ მოქალაქეობრივი მოტივების მომხრე მწერლებს, „არლანჩიკებად“ ნათლავენ მათ და რევოლუციონურ ხალხგერლუნისა და მალარმეს ტაძარში ეპატივებიან სალოცავად.

თებერვლის რევოლუციამ დასცა ძველი ქვეყანა, ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოთ აუგო წესი „დენდიზმის“ იდეას და შრომის სუფევის დროშა ააფრიალა.



მოახდინა თუ არა ამ უდიდესმა რევოლუციამ გადატეხა „მწერლებში“ რევოლუციის თითქმის არაფერი გავლენა არ მოუხდენია.

პირიქით: იმდენად, რამდენადაც ისინი ებრძოდნენ რევოლუციონურ მწერლებსა და მწერლობას, რამდენადაც ისინი ხალხს ეხიდებოდნენ დაკუმულობის ტაძრებისაკენ და „მღვრიე აბსენტით“ უპირებდნენ დათრობას, იმდენად ისინი ემსახურებოდნენ რევოლუციის მტრებს, ხელს უშლიდნენ რევოლუციას. ხელს უშლიდნენ, რა თქმა უნდა, ობიექტიურად, ძალა-უნებურად. მაგრამ არსებითად ეს სულ ერთია...

რამდენადაც ისინი დღესაც შერჩენია თავის ძველ იდეოლოგიას, იმდენად ისინი დღესაც ებრძვიან რევოლუციის და რევოლუციონურ საზოგადოებას.

ახლა კი ერთი შენიშვნაც:

მართალი მოგახსენოთ, მე არა მწამს იმის შესაძლებლობა, რომ უკვე დადუღებულმა და გადადუღებულმა მწერალმა ვისიმე რჩევით ან ძალ-დატანებით შესძლოს თავისი ქნარის რევოლუციონურ კილოზე მომართვა. მე ეს ისე არა მწამს, როგორც არა მწამს იმის შესაძლებლობა, რამ უღარესი შოვინისტი ერთი ხელის მოსმით გულწრფელ ინტერნაციონალისტად გადაიქცეს.

მართალია, ისტორიამ იცის არა ერთი და ორი მაგალითი იმისა, რომ სავლე პავლედ გადაქცეულიყოს, მაგრამ სანამ ასეთი „გარდაქცევა“ მოხდებოდეს სავლე რითიმე მაინც უნდა ჰგავდეს პავლეს.

ასეთია ადამიანის ბუნება და მწერალიც ხომ ადამიანია?

ვინც იმას ფიქრობს, რომ ძველი მწერლები რევოლუციის ალღოს აღდებენ და მისი ნამდვილი გამოძახატელები და ტონის მიმცემლები იქნებიანო, ის შემცდარია: ის არ უწყევს ანგარიშს ცხოვრების გამოცდილებას, რომელმაც დაგვანახა, რომ თვითონ რევოლუციის გრიგალა მწერლები გორკისთან ერთად გამოვიდნენ „ოტსტავეკში“...

ძველმა მწერლებმა ვერ შესძლეს და ვერ შესძლებენ რევოლუციის განსახიერებას, ისინი ვერ იგზნებენ რევოლუციას.

და მართალი იყო ტრალიკულად დაღუპული სერგეი ესენინი:

„...Ну, где же старикам

За юношами гнаться?

Они несжатою рожью на корню

Остались доживать и осыпаться

მაგრამ კიდევ უფრო შეცდომა ის იქნებოდა, რომ მწერლებისთვის რევოლუციონური მიზნები თავს მოგვეხვია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რევოლუცია ისეთი სტიქიაა, რომელიც თვითონ უნდა შეიჭრეს ცხოვრების ყველა კუთხეში, თვითონ უნდა გააცოცხლოს და მოიყანოს მოძრაობაში ყველა სასიცოცხლო ძალები.

უამისოთ რევოლუცია რევოლუცია არ არის.

მაგრამ მწერალს, რაც უნდა ძველი აზრების მქადაგებელიც არ უნდა ყოფილიყო იგი წარსულში, რაც უნდა მომხრე ყოფილიყო იგი „ხელოვნების თვითმიზნობისა“, ერთი რამ მაინც მოუთხოვება: ეს არის იმის შეგნება, რომ



მწერლობა და საზოგადოთ ხელოვნება, როგორც ყოველივე სხვა რევოლუციური ხელოვნება, შექმნილია ადამიანებისთვის და არა ადამიანები ხელოვნებისთვის.

მწერალმა, რაც უნდა შეუღობებელი მტერიც იყოს რევოლუციისა, უნდა შეიგნოს, რომ ხელოვნება, როგორც შემოქმედების ყველა სხვა დარგი, მხოლოდ იმდენად არის ძვირფასი და სასურველი, რამდენადაც იგი ემსახურება ადამიანის ინტერესებს. თუ ხალხის ინტერესები მოითხოვს, თუ ეს საჭიროა რევოლუციის გამარჯვებისთვის, დეე დაინგრეს ძველი კულტურის თვით უდიდესი შედეგები დაინგრეს საუკეთესო ხეროთ მოძღვრება შიგ დაგროვილი ხელოვნებათა საკვირველებით!

ეს, რა თქმა უნდა, დიდი უბედურება იქნებოდა. მაგრამ ყოველ ეს დიდება და მშვენიერება შექმნილია ხალხის ვენით და თუ საჭიროება მოითხოვს, ხალხს უნდა შეეწიროს იგი.

ხელოვნება და ხელოვანი მხოლოდ ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდენ.

უამისოთ ხელოვნება ხელოვნება არ არის!

ასე ესმოდა ხელოვნება მარქსს და ენგელს. ასე ესმოდა და ესმის ხელოვნება ყველა მარქსისტს.

ასე ესმოდა ხელოვნების მნიშვნელობა მე XIX საუკუნის უდიდეს ხელოვანს ლევ ტოლსტოის და, წარმოიდგინეთ: ასე ესმის იგი მისტიციზმის სამშობლო ინდოეთის უდიდეს მწერალს რაბანდრანატ თაგორებს.

გადაათვალერეთ მასი მისტიკური სულით გაელენილი და იმავე დროს პოეტური შემოქმედების უდიდესი შედეგი: „გიტანჯალი“,—ეს ლოცვის დროს საგალობელი უსაღმუნები,—და თქვენ იქ დაინახავეთ, რომ ეს ზენი დროის უდიდესი ხელოვანი წმინდა მიწიერს, ამ ქვეყნიურს და, თუ გნებავთ იმავე „მოქალაქობრივ“ მიზნებს უყენებს ხელოვანსა და ხელოვნებას, რომ ის არ იღებს, არ სცნობს „ხელოვნებას ხელოვნებისთვის“, რომ მას მხოლოდ ადამიანების ბედნიერებისთვის, მათთვის გზის გასანათებლად უნდა ხელოვნება და არა ზეციური, განუცნებული მიზნებისთვის.

აი ამის ორიოდ ნიმუში „გიტანჯალიდან“:

„თავი ანებე შენ კანცონებსა და საგალობლებს. დაივიწყევი ლოცვის ბუტბუტი კრიალოსნის თვლით! ვის შეჭალადებ კარებ დაბზულ ტაძრის კუთხეში?.. ღმერთი შენი იქ აღარ არის! ის სუფევს იქა. სადაც გულ-გაუღილი გუთნის დედა დედამიწას გულ-მკერდს უსერავს, სადაც ოფლიანი ქუჩის მკირწყველი დიდ ლოდებს ამტვრევს თავ-ჩაქინდრული. ის მათთან არის მხისსიტეში და ყინვის დროსაც. მოახსენი შენი ლაპაზი წამოსახსამი და პუბლები მოიყარე მტერიან მიწაზე, როგორც ამის სჩადის თვით შენი ღმერთი...“

შორს გადააგდე შესაწირავად გამზადებული ყვავილები და გუნდრუკი. მუშის ტანსაცმელში შეხვდი შენს მეუფეს, როგორც ოფლის მღერელი, შწრომელი და ტვირთმძიმე“. (იხ. „გიტანჯალი“, მე II კანცონა.)



ქართული

კიდევ ერთი კანკონაც:

„მდინარის პირათ მწვანეზე მდგომმა მას მწველი ჩემი“

— მარტვი, ასულო: რათ დავიმაღავს ეგ სანთური წამოსასხამით? საით მიდიხარ? წყვილიდს მოუტყავს ჩემი სახლი ბნელი ეული. მათხოვე მე სანთური შენი!

— შე მდინარესთან მისთვის მოვედი, რომ ამ მწუხრის ეამს მდინარის ზვირთებს ჩრდილოეთისკენ გავატანო სანთური ჩემი!

„მარტო ვიდრე მდინარის პირად და მწუხარებით თვალს ვადგენებდი მისი სანთურის ზოლაპლაპე აღს, რომელიც ყოველად უმიზნოდ მისრიალებდა ტალღათა შორის.“

„წყვილიდსი მყოფმა მოკრძალებით შევეციებე მას:

— ასულო, წყალში უკვე ციმციმობენ სანათურები!. მათხოვე სანათური შენი, რომ გავინათო ეს ღამე ბნელი!

— მე აქ მოვედი, ზეცას მივუძღვნა სანთური ჩემი!

„სულ განაბული მიეჩერებოდი სანთურს, რომელიც უმიზნოდ ლაპლაპებდა ღამის წყვილიდში...“

„მე მას ვუთხარი:

— მარჯვე ასულო: რათ დავიმაღავს სანთური შენი? წყვილიდით არის მოცული ჩემი ეული სახლი. მომეც სანთური, რომ გავინათო მე ღამე ბნელი!

„მან ერთი წუთით მომაპყრა თვალი ბნელით შესუღრულს.“

— ამ ჩემ სანთურს მე შევერთებ სანათურთ ფერხულს!

„გულდაწყვეტილი მივსჩერებოდი ასულის სანთურს, რომელიც უსარგებლოთ ლაპლაპებდა სხვა სანთურთ შორის.“ (იხ. „კრიტიკანიჯალი“. მე 64 კანკონა).

რა დიდი მანძილია რაბინდრანატ თავორეს მისტიციზმსა და „მღერიე აბსენტი“ გაბრლებულ ჯამბაზებს ვერლენს, მალარმესა და ძმათა მათთა დენდრიზმს! შორის!

ზემოთ მოყვანილი კანკონებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ რაბინდრანატ თავორე ზედმიწევნით რეალისტია თავის მისტიციზმში...

ვინც კი იცის ინდოეთის ცხოვრებისა და ლიტერატურის მიმართულება, ვინც კი იცის, რომ იქ ცხოვრების ყოველ დარგში გამეფებულია მისტიციზმი, იმას პირდაპირ გაუგვირდება ჩვენი დროის ინდოეთის უდიდესი პოეტის წუხილი იმის გამო, რომ უცხო ასული ტყუილად, უმიზნოდ, ქვეყნისთვის უსარგებლოთ სწირავს ზეცას თავის სანთურს და უარს ამბობს, რომ იმით ბნელში მყოფ ადამიანს გაუნათოს.

ინდოეთის უდიდესი მწერალი და მაშასადამე ინდოეთის ყოველგვარ მისწრაფებათა სინტეზი პოეტი, სალოცავად წამდგარ ადამიანს ურჩევს:

შორს გადაადგე შეხაწირავათ გამწაფებული გუნდრუკი და ყვავილუბი. მოჰკიდე ხელი ტალახიანს, მაგრამ ადამიანების ბედნიერებისთვის აუცილებლათ საქირთ საქმეს და შეხვდი თავის მეუფეს, როგორც ოფლის მდვრელი მუშა...



თავორეს მისტიკა არა ჰგავს ვერლენის, ბოდლერისა და სხვათა მისტიკას. მისტიკა „უბადონიკების“ მისტიკას.

მაგრამ იგი არა ჰგავს არც თვითონ ინდოეთის დიდი ეპოსის მისტიკას. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც განსხვავება ძველსა და ახალ ინდოეთსა და ინდოელს შორის.

**ვალშიკიხა და ვიასას** მისტიკა ზეცისკენ იყო მიმართული. ძველი ინდოელი ზეცაში ეძებდა ბედნიერებას.

სულ სხვას გვაჩვენებს დღეს ინდოეთის ცხოვრების სინამდვილე... თუ ძველი ინდოელი ზეცას სწირავდა ყოველ იმას, რაც მას საუკეთესო ებოდა, თანამედროვე ინდელისთვის უკვე აქ, ამ ცოდვილ დედა-მიწაზე ცხოვრება შექმნილია სიცოცხლის მიზნით. აქ, ამ „დაწყვეტილ“ დედა-მიწაზე ეძებს იგი ღმერთსაც და თავის იდეალების განხორციელებასაც.

„შენ გსურს ამ ქვეყნიდან განთავისუფლდე?

ეს შეუძლებელია!

შენ უნდა იმეწიო, მონაწილეობა მიიღო შემოქმედებაში.

თვით ღმერთმა თვისი საკუთარის ნება-სურვილით

თავს იღო შემოქმედების კირთები!...“

აი რას ეუბნება თავორე თავის გმირს.

ეს მთელი რევოლუციაა მისტიკის სამშობლო ინდოეთში და მის ლიტერატურა-აზროვნებაში... და ეს სრულიად ბუნებრივია. რადგანაც იქ, ამ ოდესღაც ჩანდალების ქვეყანაში, უკვე ხდება რევოლუცია...

და მისტიკი თავორე, როგორც თვისი ერის სულიერი სინტეზი, გვიხატავს და ემსახურება ამ რევოლუციას, რევოლუციონური ხალხის ინტერესებს.

ის ყველას ურჩევს:

უკუაგდე შესაწირავთ განმზადებული გუნდრუკი, დაუბრუნე ზეცა, დაუბრუნდი დედა-მიწას და დაეხმარე ადამიანებს, საუკეთესო მერმისის შექმნის საქმეშიო.

\* \* \*

„წმინდა ხელოვნება!“ „ხელოვნება ხელოვნებისთვის!“ „ხელოვნების თვით-მიზნობა!“

აბა დამისახელეთ თუნდაც ერთი ნიმუში მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც ამ დებულებებს ამართლებდეს!

მაჰაბ-ჰარატა, რამაიანა, ბიბლია, ილიადა—ყველა ეს ნამდვილი ბრძოლის წიგნებია.

ყველა ისინი მიზნით ისახვენ გამარჯვებული კლასების ინტერესებს და ცვავენ.

ინდოეთის კულტის მსახურნი საუკუნეთა განმავლობაში „ასწორებდნენ“ და აფუჭებდნენ ინდოეთის გენიის საუკეთესო შედეგის მაჰაბ-ჰარატას ცდილობდნენ „საღმრთო წიგნათ“ ექციათ იგი და მით ხალხის მონობის ბორკილები უფრო



გამეგრებიანთ, ხალხის გენიის უდიდესი ნაყოფი ინდოეთის ეკლესიის ხალხის კირთებათ გადააქცია, ისე, როგორც ქრისტეს სახარება წაქეზებული ქვეყნის კლასობრივ იარაღთ აქცია ქრისტიანეთა ეკლესიამ.

მაგრამ მიუხედავად ამდენი ცდისა **შაშა-შარატა** მაინც ბრძოლის წიგნათ დარჩა.

**ზიზლიახა** და **ილიადაშე** ლაპარაკიც მეტია, ისინი ბრძოლის წიგნები იყვენ და დღესაც ასეთები არიან.

აიღეთ თვით „**ღვთაებრივი კომედია**“. ის ხომ განხორციელებული მისთიკაა და იმავე დროს იგი უდიდესი ბრძოლის, „სამოქალაქო მოტივების“ წიგნია.

დანტე მებრძოლი იყო და თავის „ღვთაებრივ“ წიგნში პუბლიცისტზე ნაკლებად არ ესმოდა თავს თავის პოლიტიკურ მტრებს. ის საიქიოს, ჯოჯოხეთის დათვლიერების დროსაც, არ ივიწყებს იმათ ვინც ის და მისი პოლიტიკური პარტია სამშობლოდან განდევნეს. ის ჯოჯოხეთში უშხადებს ადგილს თავის პოლიტიკურ მტერს, ჯერ კიდევ ცოცხალს რომის პაპს **ბენეფიცი VIII**.

„**ბოროტმოქმედის ეგ დასჯაა** სასართლიანი!

მანდ შეინახე ოქროს ზაზინა,

რის გამოც კარლზე ილაშქრებდი რიხით, გაბეღვით.

და რომ მე პატივს არა გცემდე წმინდა გასაღებს,

რომლით ამ ქვეყნად შეიმოსე მალალ ღირსებით

და ბრძანებლობდი, შენ ბოროტო, ნათელ ცხოვრებას,

უფრო უარეს საცვედურით მე მოგმართავდი.

თქვენი უძღვები, ხარბი სული ქვეყნად წაირყვნა,

კეთილს ჰქელავდი, ამაღლებდი ბიწიერებას,

ვერცხლს სცემდი თავყანს, გააღმერთე ოქრო ხალასი.

რითი სჯობიხართ ურჯულოებს და ხალხს ურწმუნოს!

იმით ჰყავთ მხოლოდ ერთი ღმერთი, თქვენ კი—ათასი!..“

დანტე. ჯოჯოხეთი. (თარგმანი **შანშიაშვილისა**.)

აი როგორ უხსმის თავს მისთიკი დანტე თავის პოლიტიკურ მტრებს, რომის პაპებსა და ნათ შოზრებს. ეს ნამდვილი ბაირონის გაბეღებული ბრძოლაა პოეტის თანამედროვე ინგლისის საზოგადოების შეწინაური სულის წინააღმდეგ!

„**ღვთაებრივი კომედიის**“ ავტორის აზრით, ადამიანი უნდა იბრძოდეს, ის, რაც შეიძლება მეტი აქტიური წევრი უნდა იყოს საზოგადოებისა. მისი აზრით ადამიანი ან ერთ მებრძოლ ჯგუფსა და პარტიას უნდა ეკუთვნოდეს, ან მეორეს.

მას ვერ წარმოუდგენია ადამიანი პარტიის გარეშე. ის პატივისცემით ესენიებს თავის მოსისხლე მტერს, მოწინააღმდეგე პარტიის ბელადს, **ფარინატა დელა-უბერტის**, რომლის მეთაურობით 1254 წელს გიბელინებმა სამშობლოდან განდევნეს გველეხები პოეტთან ერთად.

მაგრამ დანტე შეუბრალებელია იმისთვის, ვინც არავითარ მონაწილეობას არ იღებს ცხოვრების კვიდილში, ვინც ბრძოლის გარეშე დარჩენას ამჯობინებს, ვინც შეკლასობრივობას ჩემობს.





დანტესთვის ყველა საზიზღრებზე უფრო საზიზღარი მწერალია: ნაზარატიანი. პოეტი ჯოჯოხეთის ღირსადაც არა თვლის ასეთ ადამიანს. მისი მწერლობის სფეროს გარეშე, საუკუნე წყვილიდში უჩნის ადვილს.

დანტე იმათ ლაპარაკის ღირსადაც არა თვლის:

— შეხედე და გვერდი აუარე.

ეუბნება ვირგილი ჯოჯოხეთში მყოფ პოეტს...

ასეთია ყველა გენიალური ნაწარმოები. ყველა ისინი ბრძოლის საყვირი, ბრძოლის იარაღია. ყველა ისინი ბრძოლის შედეგია!..

აბა დამისახელეთ ერთი რომელიმე მოძღვრება, ერთი რომელიმე თუნდაც სულ უმნიშვნელო სექტა, რომელიც ბრძოლით არ უყოს წარმოშობილი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არ აწარმოებდეს თავისი არსებობისთვის!..

და როცა ბრძოლის ცეცხლში ნაწილობი ქართველი ერის მწერლები ბრძოლაზე სწერენ, როცა ისინი სამოქალაქო მოტივებს აძლევენ უპირატესობას, არიან ჩვენში ისეთი კადნიერი ადამიანები, რომლებიც მათ „არღანჩიკებად“ ხელოვნების წამბილწელებად აღებადებენ.

რა გვეთქმის? თუ ეს კადნიერი ხალხი მსოფლიო გენიოსებს არად ავდებენ პატარა ქართველი ერის პატარა მწერლებზე რაღა გვეთქმის?

ტყუილა კი არა სწერს პაოლო იაშვილს ტიციან ტაბიძე:

„მომეწყინა ყვირელი დანტე,

ვაქებდი შექსპირს, — მაგრამ ფარდა!.. შექსპირს უარი!..

რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთპოვენი მხოლოდ ყრუ არი,

და რომ წარსულმა ვერ გადმოშვა შე ანდამატი“..

\* \* \*

დასკვნა:

„ციხური ყანწელება“ შეიძლება სულ რამდენიმე სიტყვით დაეხასიათოთ: ისინი უსახლერო მისტიკები არიან ლიტერატურაში, უარყოფენ ყოველივე მიწიერს და „ხელოვნებას მხოლოდ ხელოვნებისთვის“ აღიარებენ. პრაქტიკულ ცხოვრებაში კი მეტისმეტად „მიწიერი“ ბრძანდებიან. ისინი ბოდლერ-სავით არ მიმართავენ ბებერ კაპიტანს — სიკვდილს: — ამ ქვეყნიდან ჩქარა გაავიყვანეთ...

ეს რაინდები ამ მათ მიერ უარყოფილ სიანმდვილეშიც თავს ძალიან კარვად გრძნობენ და საკვირველ ნიქს იჩენენ რეალურად შეგუებისას.

მათი მისტიკიზმი განირჩევა ევროპიულ მისტიციზმიდან. თუ პირველი მსხვილი, იმპერიალისტური ბურჟუაზიის წიაღში სრულიად ბუნებრივად აღმოცენებული მცენარეა, „ციხური ყანწელობა“ ძველი ფეოდალური საქართველოს გამოფიტულ ნიადაგზე გადნობიერილი მცენარეა.

ამიტომ არის რომ „ციხური ყანწელების“ იდეოლოგია, მათი სევდი-ვა-რაში იგივეა, რაც ისტორიის მიერ უარყოფილი ფეოდალური საქართველოს



სვედა-ეარამი. არა თუ რევოლიუციონური მწერლები იმით უკმაყოფილონი იყვნენ, არა აკაკი და გრიგოლ ორბელიანისა და ბარბაღე ჯორჯაძის დროსით გამოვიდნენ ჩვენში. „ციხფერი ყანწელები“ თავისი იდეოლოგიით ნამდვილი თავად-აზნაურების წარმომადგენლები არიან, თუმცა მათში უმეტესობა გლეხების წრიდან-არის გამოსული.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ „ციხფერ ყანწელებს“ საქართველოს რევოლიუციონურ სინამდვილეში ნიადაგი არ მოეპოვებათ, რომ ისინი: ქართული ახალი საზოგადოებრივობისა და ლიტერატურის პენელოპის სასიძოები არიან.

და დღეს, როცა ქართველი ხალხის ბრძენი ოდისე უკვე დაუბრუნდა თავის კერას, „ყანწელების“ იდეოლოგიას ადგილი არ უნდა ჰქონდეს განახლებულ საქართველოში..

უკვე კარგა ხანია დადგა დრო, როცა ქართველმა ხალხმა მათივე სიტყვებით უნდა უთხრას „ყანწელებს“:

„არული, არული, თქვენ ხაცოდაო საქურისებო!

დაშორდით ჩვენს გზას და გადაიკარგეთ უთვალო უფსკრულში!“

(გავრძელება იქნება.)

## თანამედროვე ქართული მხატვარი

(ლადო გუდიაშვილი)

პატივცემულ ნ. ი. მარის წყალობით ჩვენ მოგვეცა საშეაღება გავცნობოდით მეტად საინტერესო პუბლიკაციას, რომელიც გამოვიდა პარიზში 1925 წ. და იძლევა გუდიაშვილის შემოქმედების დახასიათებას. წიგნში მოთავსებულია ათი სურათის და ათი ნახატის რეპროდუქცია, შესრულებული ავტოტიპით. მოკლე ტექსტი (ფრანგულ ენაზე) ეკუთვნის ცნობილ კრიტიკოსის მორის რაინალის კილამს (22 გვერდი), წიგნს დართული აქვს გუდიაშვილის პორტრეტი, დახატული ტომას გენდფორსის მიერ.

შემოქმედება გუდიაშვილის, რომელიც არის ევროპისაგან დაშორებულ საქართველოს შვილი და რომელმაც ნახა თავისი ტრიბუნა თანამედროვე ცხოვრების ცენტრში—პარიზში, მეტად მნიშვნელოვანია. გუდიაშვილის სურათები საზოგადოებრივობის საგულისხმო დოკუმენტია და თვალსაჩინო სოციალური მოვლენაა.

სანამ შევედგებოდეთ იმის გამოჩვენებას, თუ რას წარმოადგენს გუდიაშვილი, როგორც მხატვარი, ვადმოვცემთ ზოგიერთ ცნობებს მხატვარის ცხოვრების შესახებ. მან „ბევრი ტანჯვა განიცადა რუსიფიკაციისაგან, რომელსაც ყოველ ზომაზე მეტად აურაცხელბდა ცარიზმი საქართველოში, სადაც არ იყო არც ერთი ქრონული მხატვრული დაწესებულება“. მხატვარმა მაინც შეინარჩუნა ორიგინალური სახე და მოესწრო უკეთეს დროს. გუდიაშვილი აღფრთოვანებით შეუდგა ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების და ძველ ფრესკების შესწავლას. თავისი მხატვრული ნაწარმოებები მან გამოაფინა ტფილისში და კიდევაც მოიხვეჭა სახელი. შემდეგ გაგზავნილ იქნა მთავრობისაგან საზღვარგარეთ, მუშაობდა პარიზში, სადაც გამოაფინა თავისი სურათები „შემოდგომის სალონში“ და „დამოუკიდებლობისა“. შემდეგ იყო მისი გამოფენები ბელგიაში და ამერიკაში. მხატვარს ყველგან კარგი მიღება ჰქონდა.

სურათები და ნახატები, ნაჩვენები რაინალის წიგნში, შეჰქმნა გუდიაშვილმა 1919 წ.—1923 წლამდე. რას წარმოადგენს გუდიაშვილის შემოქმედება? როგორი ახალი ფორმები შეჰქმნა მან? ვისი ვრძობები, სულიერი განწყობილებანი, იმედები და აზრები სჩანან მის შემოქმედებაში? ვისთვის არის საქირო



ყოველივე ეს და როგორ უნდა დაფასდეს ეს შემოქმედება თანამედროვეობის თვალსაზრისით?

გუდიაშვილი უმკველად ორიგინალური ტალანტია. მისი სტილი თავიდანვე გვეგონებინებს, რომ მისთვის ცნობილია ძველი ტრადიციები, მაგრამ გუდიაშვილს აქვს სიახლე. ის თავისი სახეებით დამაჯერებელია და ხშირად წარმტაცი. მისი სურათები გვაუწყებენ რაღაც ახალ სიმართლეს.

დიდი კულტურული მოძრაობის და ახალი სტილის გამმაფრებულ ძიებათა მომენტში, რომელიც მისცემს ნამდვილ დამკაფიფილებას ახალ საზოგადოებრივ ფსიქიკას ცხოვრების საფუძვლიან შეცვლის შემდეგ, ჩვენთვის ფრიად საყურადღებოა მხატვარის ყოველი ახალი სიტყვა, გრძობების და აზრების ყოველი გაწოთქმა ახალ სახეებში. მომავალი ახალი ხელოვნება ვერ დასტოვებს უყურადღებოთ რომელიმე ტენზიკურ და ფორმალურ მიღწევებს, და აგრეთვე ცხოვრების იმ გაკვეთილებს, რომელთაც ჰქმნიდა წარსული ხელოვნება და ჰქმნის თანამედროვე ხელოვნება.

ხელოვნება—ყოველთვის გადახრია სინამდვილისაგან, რომელიც ემორჩილება საზოგადოებრივ პირობებს. „როგორი ფანტასტიკურიც არ უნდა იყოს ხელოვნება, მას განკარგულებაშია მხოლოდ ის მასალა, რომელსაც აძლევს მას სამი განზომილობის სამყარო და კლასობრივ საზოგადოების უფრო განსაზღვრული სამყარო“ (ტროცკი. „ლიტერატურა და რევოლუცია“). ყოველ მხატვარის შემოქმედებაში სჩანს შივი ეპოქის სახე; მხატვარის შესწავლა ნიშნავს იმ კულტურის და საზოგადოებრივობის მომქმედ ძალების შესწავლას, რომლებმაც შექმნენ ის. მხატვარის პირით ლაპარაკობს ცალკე კლასი, რომელიც აფასებს ასეთს, და არა ისეთს მხატვრულ ფორმებს, რომელიც ჰქმნის ასეთს და არა სხვა მიმართებებს ხელოვნებაში.

ვის რას ეუბნება გუდიაშვილის შემოქმედება და რასეც ლაპარაკობს იგი? გუდიაშვილის სურათების სიუეტები განსაკუთრებით ეროვნულია, ქართულია. ჩვენს წინ ერთის მხრივ იშლება მდიდარ და გავლენიან საზოგადოების მზიარული ცხოვრება (ქეიფი ბაღებში, სეირნობა, ლოთობა, ცეკვა, სიყვარული, სილაპაჟე, ნადირობა), მეორე მხრივ—სურათები ქვეყნის, მისი ორიგინალური ბუნების, პეიზაჟების. გუდიაშვილი ზატავს სხვა და სხვა ტიპებს, ტყუპებს, ძმებს და ოჯახებს. ცალკე დგანან სურათები პარიზულ ცხოვრებიდან („ოჯახი მონმარტრიდან“, „ტერასაზე“), და გამონიკლის წარმოადგენს „მოგვების თავიანისცემა“. მხოლოდ სიუეტებით არ ამოიწურება ჰუმანიტი მხატვრული შინაარსი. როგორია სიუეტების ტრაქტოკვა? საქართველო სჩანს გუდიაშვილის მხატვრობაში მთელი თავისი კოლორიტით და სრულიად განსაკუთრებულ სახით. შეიძლება მხატვარი ადიდებს ამ მოქმედეთ? სრულიადაც არა. ჩვენ წინ სრულიად არ არის სიუეტისა ქვეყანა. ეს იდამიანები ხშირად გვაოცებენ თავისი სილაპაჟით და მოქნილობით. მაგრამ რას ნიშნავენ ეს მეტად დაკომული და ნერვიულად დაგრეხილი სახეები? ისინი გვეცხადებიან ყველგან და უცვლელად. მეტად შეაცრია დახასიათება მხარულ საზოგადოების „ტერასაზე“. მათი სიზარული საეკვა. სახეებზე ისეთი საშინელი სიშტერვა, თითქოს ამ



ადამიანებმა სრულიად დაკარგეს თავისი სახე. ისინი ავადმჯობელებულნი იდიოტები არიან. ავტორი აქ იბრუნება „საუკეთესო ქვეყნის“ უსასტიკესი მფარველისა, და არა მის ქება-დიდებას, ეს რეალობის გაერთიანებული, მტკივნეული სახეებია და საშინელ სინანდელი სინამდვილეშია. ქართულ სურათებშიდაც სიმბოლოებია, მაგრამ უფრო დარბილებული, თუმცა ისინიც იწვევენ ანალოგიურ გრძნობებს. ეს არის გაუთავებელი კოშმარი, და არა ნეტარება უღამაზეს ქვეყანაში. თვით ქვეყნის პეიზაჟი („პეიზაჟი“) კლდეების და წენობების გატეხილ ხაზებით, გაქვავებულ ხეებით, მოწყენილი გლეხით და ვირით,—იწვევენ სევდას და მწუხარებას.

ჩემი ფიქრით „მოგვების თაყვანისცემა“ საესეა ღრმა აზრით: ტრადიციული ძველი სახე გადაიტეა ადამიანთა შეცოდების სიმბოლოთ, რომელნიც თითქმის არ განიორჩვიან პირუტყვებისაგან. სურათი „ოჯახი მე-17 საუკუნეში“ ანვითარებს მხატვარის აზრს: სახეებში არ არის ის პირუტყვეული აღვირახსნილობა, რომლითაც გუდიაშვილი ახასიათებს ახალ დროს. მაგრამ ეს განა უკანასკნელი იდეალი არის? მე-17 საუკუნის ოჯახის წევრები არიან ძველი დროის გულუბრყვილო და საყვარელი ადამიანები, ისინი არ იცნობენ ცხოვრებას და კმაყოფილდებიან ცერემონიებით და ეტიკეტით. ეს არის „Sancta Simplicitas,“ რომლის ქებას სრულიად არ აპირებს მხატვარი.

მაშ რა უნდა გუდიაშვილს? საით გეგმახის და საით მივყავართ მას? თანამედროვეობის საშინელებიდან, რომელიც მხატვარის ასახვაში იტანელია, მას, შეიძლება მივყავართ მე-17 საუკუნეში, სადაც არიან პირველყოფილი მცხვარეები და უბრალო ადამიანები, მზიარული ინსტიტუტით და დაუფიქრებლობით. ჩვენ ვერ მივიღებთ პასუხს მხატვარისგან, ალბათ ამიტომ რომ მას არ შეუძლია პასუხის მოცემა. გუდიაშვილის შემოქმედებაში არის შინაარსი, და მეტად მკაფიო.

თუ მისი სურათების სიუჟეტები უფრო ხშირად ქართულია, მათი შინაარსი არა მარტო ქართულია, არამედ საერთო—ევროპულია. ეს არის დაუძლეველი სევდა და იწყების ვაცრულება—დამახასიათებელი ევროპისა და ყველა მის ქვეყნების ახალ ხელოვნებისათვის. ეს პესიმიზმი განვითარდა განსაზღვრულ ფსიხიკის ფონზე, ცნობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნიადაგზე, რომელნიც არსებითად ანალოგიური არიან სხვა და სხვა ქვეყნებში. ეს ურთიერთობანი შექმნა არა საქართველომ. მაგრამ ისინი მასაც შეეგნ. და აი კაბუჭურად უშუალო ქართველი, შეიარაღებული თავის ტემპერამენტით, ენაუბრება ცხოვრებას. მაგრამ ვინაიდან ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა განვითარდა არა საქართველოში, არამედ ევროპულ ცხოვრების ცენტრებში, მხატვარის შემოქმედება ნაზულობს განსაკუთრებულ თაყვანისცემლებს არა სამშობლოში, არამედ საფრანგეთში, ბელგიაში, ამერიკაში, სადაც მას ისეთი მიღება ჰქონდა. ფსიხიკა, რომელიც სჩანს გუდიაშვილის შემოქმედებაში, არ არის ეროვნული. პირობით, ის არის იმ სესწყობილების შედეგი, რომელმაც გაათანასწორა ყველა ერები, და დაუტოვა მათ საშვალეება სხვა და სხვანიარად უპასუხონ ცხოვრებას, ამა თუ იმ ტემპერამენტის მიხედვით. მხატვარის შემოქმედება შექმნა არა მის



ფიზიკურმა სტრუქტურამ, არამედ იმ სოციალური წრის და შესაბამისი განვითარების პირობებში, რომლებშიდაც გაიზარდა და მოქმედებდა. გუდიაშვილის ხელოვნების შინაარსი და არსი არ არის ქართული; და მხოლოდ ის ენერჯია, რომლითაც მას გამოაქვს ეს შინაარსი, შეიძლება მიეწეროს მის ეროვნებას. თუ მთელი ფსიხიკა გუდიაშვილის და მისი შედეგი—ძირითადი გუნება, განწყობილება სინამდვილესთან, მთელი ტონი მისი ხელოვნების საერთაშორისოა, ის საშვალეებში, რომლითაც ის აღწევს მიზანს, მისი ტენიკა, ფაქტურა, კომპოზიცია, პერსპექტივა, რიტმები, ჯგუფების სქემები და ფიგურების დახასიათება წარმოადგენენ თანამედროვე „განათლებულ“ ქვეყნის საერთაშორისო ხელოვნების ნამდვილ ანალოგიას. გუდიაშვილის ცოცხალმა ტემპერამენტმა აქაც შეუწყო ხელი იმას, რომ მხატვარმა ნაზა დიდი მიღწევები უპირველეს ყოვლისა გუდიაშვილი არის პირველი ხარისხის ვირტუოზი თავის საქმეში, გამოცდილი ოსტატი, ხედმიწვენივით რბილი და ფაქიზი. რაინალი, რომელიც იცნობს ოსტატის ორიგინალებს, დიდი ქებით ლაპარაკობს გამჭვირვალე ტონებზე, ხაზების გარმონიაზე და ჯანსაღ თბილ კოლორიტზე. მუდამ შეხამებული კომპოზიციები სავე არიან დეკორატიულ ეფექტით და ფერადობის გარმონიით. მხატვარი მსგავსად ზოგიერთ ფრანგებისა (მატისის) ნახულობს შთაგონებას აღმოსავლურ ხელოვნებაში.

გუდიაშვილის ბევრი კომპოზიციები უდავოთ ამტკიცებენ, რომ საქართველოს ბიზანტიურ ფრესკების შესწავლამ მოახდინა გავლენა მის ხელოვნებაზე. მისი „ნადირობა“ კი გვიჩვენებს, რომ მისთვის ძველ სპარსულ ხელნაწერების მინიატიურებსაც ჰქონდა მომხიბლავი ძალა. ეს ლტოლვა აღმოსავლეთისაკენ სრულიად არ არის მხატვარის ნაციონალურ შთამომავლობის შედეგი, როგორც ეს წარმოადგენილი აქვს რაინალს. ამ გატაცებას აღმოსავლეთით იზიარებს ევროპის თანამედროვე ხელოვნება, რომელსაც მოსწონს ყოველივე არქაიული, ამ ქვეყნის დეკორატიული ძალა და მისი დიდება. მხატვარი, რასაკვირველია იცნობს აღმოსავლეთს, რადგან მისი შეილია, და ის აძლევს ევროპას იმას, რაც ამ მომენტში უფრო უზარმაზარს მის გუნებას და, რასაკვირველია, გუდიაშვილისც სახეები უფრო ძლიერია, ვინემ ის კომპოზიციები აღმოსავლურ ყაიდაზე, რომელთაც ჰქმნიან მხატვრები—წმინდა ევროპელები. გუდიაშვილის ხელოვნებას ჰყავს მხედველობაში, როგორც მაყურებელი, არა საქართველო, არამედ ევროპა, მისი ცენტრები, საერთაშორისო საზოგადოება.

გუდიაშვილი შესანიშნავად გადმოგვეცემა მოძრაობას. ყველა მისი კომპოზიციები გაელენთილია მოძრაობის ენერჯიით. გუდიაშვილის ტემპები, რაინალის თქმით, — არიან „სტანისებური ხრი“. მაყურებელი მხატვართან ერთად მოხვედრილია თვით ცხოვრების ქარიშხალში და გატაცებულია ამ ქარიშხალით გუდიაშვილის ხელოვნება დინამიურია. ის ენებიანად დაძვებს რიტმის პრობლემას და აქ ის მუშაობს ევროპულ ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობათა კალაპოტში. და აქ სტალიზაციაში, თავისუფლად აშენებულ პერსპექტივაში, მოძრაობის და ფიგურების დაყვანაში მარტივ, მაგრამ საგულისხმო ფორმულებამდე, გუდიაშვილი სარგებლობს, რო-



გორც სხვა ოსტატები, თანამედროვე ევროპულ ხელოვნების წარმომადგენელია. როდესაც ჩვენ ვათვლიერებთ მისი ფიგურების მკაფიო, მკაცრ სახეს არიან ღირსებით და კეთილშობილებით, თავისთავად გვაგონდება ბიზანტიური, რუსული და ქართული ხატები და ძეგლებურ სპარსულ მინიატიურის ფიგურები. მეტად დამახასიათებელია, ევროპიელებთან შედარებით, რამდენად უფრო გაღვინთილია ქართველი მხატვარი აღმოსავლეთის ძველი ხელოვნების კემზარიტ სულით; მის შემოქმედებაში ჩვენ არას დროს არ ვნახულობთ რამე ვულგარულს, იმ მასხრობის და ბალაგანის ტონს, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ევროპულ მხატვრების ხელოვნებაში, რადგანაც მათ აკლიათ შეთვისება აღმოსავლეთის, ჩაწვდომა მის მხატვრულ და კეთილშობილ კონცეპციების სიღრმეში. გუდიაშვილის ფიგურების დახასიათებაში არავითარი ზედმეტი არ არის. მთავარი მისი ძალა—გამომეტყველებაშია. ის გვაძლევს თავის სურათებში იმას, რასაც შეიგნებს, და არა იმას, რასაც ხედავს. აქედან არის ფიგურების დეფორმაცია და მათი დაშორება ბუნებრივ ფორმებისაგან; მათი მიზანია მეტი დამჯერებლობით გადასცეს მაყურებელს ის, რაც შეიგნო თვით მხატვარმა. გუდიაშვილის ფიგურები მსუბუქია, ელასტიური გველივით, ენერგიული, ძლიერი და ნაკეთიანი. სახეები—ვიწრო და სახეს უჩვეულო სიკოცხლით. მეტად საგრძობელია მოქნილი და ძელიანი ხელის გული და ფრჩხილები. განსაკუთრებული სიმახვილით განირჩევიან ნახატები ქალების ფიგურებით. გუდიაშვილის ფიგურების თვალთა ცქერა მოუგვრებელია და წარმტაცია. მხატვარს უყვარს ცხოვრება, მიუხედავად მისი ტრაგიზმისა და კოშმარებისა. საშიში ანსამბლები, გამხდარი, დატანჯული სახეები გუდიაშვილის შემოქმედებაში არის შედეგი არა ცხოვრების უარყოფისა: აქ მოქმედობს რაღაც ბედი, რომლისგან თავის დაღწევა არ არის შეუძლებელი. ძირითადი სულიერი განწყობილებით გუდიაშვილი ენათესავენა ყველა მიმდინარეობათა მხატვრებს თანამედროვე ხელოვნებაში. რომელ მიმდინარეობას უფრო უახლოვდება გუდიაშვილი? მისი ხელოვნება მეტად სუბიექტიურია და ორიგინალური. მის თავისი სახე აქვს. რასაკვირველია, გუდიაშვილმა შეითვისა თანამედროვე ოსტატების ტენზია, ის შშვენვირად იცნობს თანამედროვე მხატვრობას და თუმცა მან განიცადა გავლენა მხატვრობის სკოლებისა, ის მაინც არ გამხდარა წარმომადგენელი ამა თუ იმ მიმდინარეობის იმის მიხედვით, რაც მე ვთქვი ზევით გუდიაშვილის შესახებ, ცხადია, რომ ხელოვნების ამოცანათა ვაგებით ის უნდა მივაკუთვნოთ ნეო-იმპრესიონიზმის განმავრძობათა და სიმბოლიზმის სკოლას. სტალიზაციის პრინციპებით და ფორმებით გუდიაშვილი უახლოვდება იმ მხატვრულ-მიმდინარეობებს, რომელთაც ბევრი ნაწრდილები აქვთ და რომანულ ქვეყნებში ვაერთიანებული არიან ფუტურისმის სახელით, გერმანულ ქვეყნებში კი ეკსპრესიონიზმის სახელით. იტალიელ ნაწარმოებში, და აგრეთვე ფრანგ ოსტატების: დერენის, ტობინის, მარი ლორანსენის, გერმანულ მაიდნერის, წარმომადგენელ შემოქმედებას, რომელიც ანალოგიურია და ენათესავენა იმას, რასაც ჩვენ ვხვდებით გუდიაშვილის ხელოვნებაში, თუმცა ყველა დასახელებული ოსტატები, ისე, როგორც გუ-



ქართული

დიაშვილი, მეტად ორიგინალური არიან და აქვთ საკუთარი აზრები. გუდიაშვილი ამ მიმართებათა წარმომადგენლებზე უფრო „მემარჯვენეა“. მას უფროს ვარს ცხოვრება და სინამდვილე მისთვის მშვენიერი. ის ანგარიშს უწევს წარსულის მხატვრულ ტრადიციებს და ღირებულებებს. და ამ წარსულნიდან მას გამოყავს საკუთარი კანონები. მისთვის აშკარაა აუცილებლობა კანონიერად ზრდისა, კომპოზიციის ზერხემლის სიმაგრისა და ფორმების სიცხადისა. კიდევ ერთი ხაზი ანცალკეცებს გუდიაშვილს ევროპიულ მხატვრებიდან: ის უფრო თავისუფალი იმპრიალისტურ ტენდენციებიდან, რომელნიც იშვიათია ფრანგებისათვის. უკანასკნელად ჩვენ უნდა გვეთქვა, რომ გუდიაშვილი უფრო ახლოა მხატვრულ „ცენტრის“ მიმდინარეობასთან, და არა ხელოვნების მემარცხენე ჯგუფებთან. სხეანაირად რომ ვთქვათ, მისი ხელოვნება ერთი ვარიანტია იმ მიმართებისა, რომელიც გაბატონებულია ევროპაში.

აღნიშნული იყო სხეადასხეა კრიტიკოსების მიერ, რომ მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებულ ქვეყნების ხელოვნებას დაეტყო მეტი მემარჯვენეობა, რომელიც მიდის კლასიციზმის ტრადიციების განახლებამდე. საინტერესოა, რომ ყველაზე უფრო „მემარცხენეები“ (კუბისტები და მათი ბელადი პიკასო) ყველაზე ადრე დაადგენ კლასიკების გზას. ეს გარემოება, რასაკვირველია, საყურადღებოა. აშკარაა, რომ ცნება „მემარცხენე“ ხელოვნებაში სხეა და პოლილიკაში კიდევ სხეა.

მხატვრულ გემოვნებათა გადახრა „მარჯვნივ“ იყო მიზეზი გუდიაშვილის გამარჯვებისა, როგორც მისი დამოუკიდებლობა იმპრესიონისტებისაგან. ევროპიული იმპრესიონიზმი, რომელიც აჯანყდა ობიექტის უფლებათა წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ხელოვნება არის მხოლოდ პიროვნების დოკუმენტი, იყო, რასაკვირველია, ინდივიდუალურ პიროვნების და თავისუფლების აპოლოგეტი ხელოვნებაში. ევროპიულმა კულტურამ, რომელიც პატივს სცემდა ინდივიდუალურ თავისუფლებას, ვინაიდან სთვლიდა მას თავის განვითარების დედა ბოძად, ნახა იმპრესიონიზმში ყველაზე უფრო ადეკვატური გამოსახვა თავისი გრძნობებისა და იდეალების. მაგრამ უკვე სეზანიდან დაიწყო იმპრესიონიზმის კრიტიკა და მოხდა მისი გაკოტრება ხელოვნებაში. ყველა ჯახლოესი მიმდინარეობანი ხელოვნებაში გამოსავალ წერტილად თვლიან იმპრესიონისტულ დოქტრინის პრინციპიალურ უარყოფას და მოითხოვენ არა თავისუფლებას, არამედ კანონზომიერებას ხელოვნებაში. და თუმცა ევროპიული ხელოვნება გამოდის ახალი ლოზუნგებით, ის მაინც ებრძვის იმპრესიონიზმს, რომელიც ამრიგად გვეცხადება როგორც ყველა მიმართებათა მაჰამთავარი იმპრესიონიზმში მიიღო მეტი განვითარება იქ, სადაც უფრო ძლიერი იყო ინდივიდუალისტური კულტურა. ევროპიული კულტურის ასეთი ცენტრი ხელოვნებაში იყო საფრანგეთი. იქ, პარიზში, ჩამოყალიბდა მხატვრული სკოლა, რომელიც, ცხადია რატომ, აძლედა და აძლევს ტონს ევროპის ყველა სკოლებს. მაგრამ იმპრესიონიზმის უარყოფით ევროპიული მხატვრები არსებითად უარყოფდნენ იმ ინდივიდუალისტურ კულტურას, რომელიც არის ევროპიულ კულტურის მთავარი მახა. ევროპა უარყოფს პრინციპიალურად იმპრესიონიზმს და





ებებს ახალ გზებს, მაგრამ ემყარება იმას, რასაც თვითონ უარყოფთ. შედეგია—დიდი მერყეობა ხელოვნებაში, დიდი რიცხვი სხვადასხვა მიმართულებათა, რომელნიც ცვლიან ერთმანეთს, ეინაიდან არ შეუძლიათ მოკლე ხნით მაინც დააკაყოფილონ ვინმე. უახლოესი ხელოვნება უმეტეს შემთხვევაში სწვევტს ფორმის და ტენზიკის პრობლემებს და თანდათანობით კარგავს შინაარსს. ევროპიული ხელოვნება მოექცა ჩიხში, რომლიდანაც გამოსავალს ვერ ნახულობს. როგორ გადაიტანს ხელოვნება ამ ხანგრძლივ კრიზისს? ვფიქრობთ, რომ ჯერ არ არის ამოწურული ყველა „ცდები კალმისა“. ევროპიელები უფრო და უფრო ხშირად იტყვიებიან წარსულში, შორეულ ქვეყნებისაკენ, სადაც კიდევ შენახულია ხალასი ხელოვნება და ხალასი ადამიანი; ევროპულ ხელოვნებაში უფრო ხშირად თამაშობენ როლს „ახალი ერების“ და ევზოტიურ ქვეყნების წარმომადგენლები. თითქოს აქედან მოდის ხსნა. გუდიაშვილის პოპულიარობის სკერეტი იმაში იმალება, რომ ეს ნიჭიერი ქართველი, ევროპულად აღზრდილი, ამეტყველდა ევროპულ ხელოვნების ენაზე უფრო თავისუფლად და გაბედულად, და იმ თემებზე, რომლებზედაც ევროპიელები, გატაცებულნი ტენზიკის და ფორმალისმის საკითხებით, სრულიად არ ლაპარაკობდენ. იმავე დროს ეს თემები ყველას აღელვებენ. რატომ ლაპარაკობს გუდიაშვილი ამ თემებზე? იმიტომ რომ ის გამოვიდა ისეთ წრიდან, სადაც ევროპულ ინდივიდუალისტურ კულტურას არ მიუყვანია ხელოვნება კრიზისამდე, და სადაც ძველი დროის ტრადიციების მიხედვით ხელოვნება არის ურთიერთობის საშვალეობა ადამიანთა შორის და არ ცდილობს ჩაიკეტოს „კოსმში სპილოს ძელისაგან“, როგორც ფრანგული ხელოვნება, ფრანგი პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ. რად ლაპარაკობს გუდიაშვილი საზოგადოებისათვის ამაღლვებელ თემებზე უფრო თავისუფლად და გაბედულად? იმიტომ რომ ის არ არის შეზოკილი, როგორც ევროპიელი მხატვრები იმპრესიონისმის ტრადიციებით, რომელნიც ამ მომენტში უთუოდ საჭიროა, მაგრამ რომელთაც ვერ იღებენ ქეშარიტი ევროპიელები. ქართველი-მხატვარი უფრო პარიზელი გამოდგა, ვინემ თვით პარიზელები. ეს არ არის პარადოქსი. მაგრამ რას ნიშნავს ეს მოვლენა? რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ მსოფლიო კულტურის ცენტრში მისი გრძნობების გამომხატვლად გამოდიან ადამიანები პერიფერიებიდან, რომელნიც ჩამორჩენ ცენტრს. აშკარაა, რომ ცენტრის ადამიანები უფრო სუსტები არიან. ჩიხში ყოფნა და ხანგრძლივი კრიზისის განცდა იწვევს გადაგვარებას. ცენტრისათვის საჭიროა გადახალისება. ხელოვნების მოვლენები გვიჩვენებენ კულტურის ამა თუ იმ მდგომარეობის და საზოგადოების სიმპტომებს. მე ვთქვი, რომ ქართველ გუდიაშვილის ხელოვნება ახასიათებს სპეციალურად არა საქართველოს, არამედ პარიზის საერთაშორისო საზოგადოებას. რაზედ და როგორ ლაპარაკობს გუდიაშვილი ჩვენ ვიცი. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ერთ კითხვას: საზოგადოების რომელ ნაწილს მიმართავს გუდიაშვილი? საერთაშორისო განათლებული საზოგადოება, სადაც გაერთიანდა ყველა ეროვნება, არის ქმნილება კაპიტალის. კაპიტალისტური საზოგადოება არის კლასობრივი საზოგადოება. მაშასადამე გუდიაშვილის ხელოვნება უნდა იყოს დაკავშირებული განსაზღვრულ კლასის ინტერესებთან, უნდა განისაზღვრობოდეს მის საომარ ამოცანებით და კითხვა იმაშია,



ქართული

საზოგადოების რომელ კლასს მიმართავს გუდიაშვილი, ვის მიმართავს და რა რჩევას იძლევა კლასის მდგომარეობის გაძლიერებისათვის. ჩვენ დავინახეთ, რომ გუდიაშვილის მხატვრული მიმართულება უახლოვდება „ცენტრის“ გაბატონებულ მიმდინარეობას. გუდიაშვილი სპობს ძველ იდეალებს და საზოგადოების რეაქციონურ ელემენტებისაგან დაშორებულია.

თავისი ფსიხიკით და იდეოლოგიით ის არ უახლოვდება „ემმარჯვენე“ მიმდინარეობებს, რომელნიც ხელოვნებაში არსებობენ და ელტვიან კლასიციზმს გუდიაშვილი რადიკალია, ის სასტიკად ასამართლებს თანამედროვეობას, რომელიც მის ასახვაში—კომმარია. რას გვირჩევს ახატვარი, რომ ვიხსნათ თავი ამ საშინელებისაგან? მე უკვე ვთქვი, რომ პასუხს გუდიაშვილი ვერ იძლევა როგორც ვერ იძლევა ამ პასუხს ევროპიული ხელოვნება და გუდიაშვილის ხელოვნება არის „გამომსახველი ისტორიულ ჩიბის“. მე ვთქვი, რომ ეს განოსახვა განსხვავდება სხვა ანალოგიურ ხელოვნებათაგან მხოლოდ უჩვეულო ვნებიანობით.

ჩვენ კიდევ ერთხელ გვესმის მალალი ხმა ამ ცხოვრების უვარგისობის შესახებ, მაგრამ არ გვესმის ძახილი, რომ გავაუქმოთ ეს ცხოვრება და გადავასხვაფეროთ ის. გუდიაშვილი არ არის რევოლიუციონერი, თუმცა მისი ვნებიანი კრიტიკა თანამედროვეობის-არის ერთი აუცილებელი წინამორბედი ევროპის მომავალ რევოლიუციისა. არა დიდი ხნის წინად ლერმონტოვმა გვიჩვენა საქართველო, როგორც აღმოსავლეთის ქვეყანა, რომელსაც ძინავს ღრმა ძილით. ეხლა ყველაფერი გამოიცვალა. შეიძლება გაღვიძებულმა აღმოსავლეთმა გამოაღვიძოს ჩიხში მოქცეული და მთელმხარე დასაეღეთი. ქართველ მხატვარის „გამარჯვება, რომელმაც ვაბედულად სთქვა თავისი ანთებული სიტყვა კაპიტალისტურ ქვეყნის წყლულების წინააღმდეგ, გვადლევს ჩვენ უფლებას ვაკეთოთ ასეთი დისკვნა.

თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილის.

## ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან\*.

მესამე საფეხური.

(1875—1920)

როგორც ვნახეთ, 1875 წელს დაიბურა ძველისა და „საშუალო“ ქართულის ერთადერთი თავშესაფარი „ცისკარი“ და მწერლობაში უდავო ბატონობა ახალ სალიტერატურო ქართულს დარჩა. სამაგიეროდ თვით ახალში დაიწყო შინაგანი დუღილი და ფორმათა შორის ბრძოლა ძველი ენის დანალექის საფუძველზე. თავისთავად იგულისხმება, რომ პირველბანად ეს ბრძოლა და დუღილი მხოლოდ პრაქტიკულად წარმოებდა, შემდეგ კი თანდათანობით მისი გამაშუქებელი და ხელშეღებელი თეორიებიც გაჩნდა.

პრაქტიკულად ამ პროცესის დამახასიათებელი იყო მწერლობაში პროვინციალური ფორმებისა და სიტყვების უხვად შემოტანა და თვით ამ შემოტანის პროცესში ორი მთავარი მიმართულების, ორი გეზის, თანდათანობითი გამორკვევა: პირველს მათგანს შეგვიძლია ამერული გეზი ვუწოდოთ, მეორეს—იმერული. პირველს ახასიათებდა ამერული ფორმებისა და სიტყვების კარბად ხმარება, მეორეს პირიქით—იმერული სიტყვებისა და ფორმების სიკარბე. ძირითად კილოებს (ე. ი. ქართლ-კახურს, ერთი მხრით<sup>1</sup>, და ზემო და ქვემო იმერულს მეორე მხრით<sup>2</sup>) მალე გვერდში ამოუდგენ მათი მონათესავე მეზობელი კილოკავებიც, სახელდობრ ამერულს მოხეთრ-ფშაური და ქიზიყური (ყაზბეგისა, აშ. რაზიკაშვილებისა და დ. შაჩხანელის მეოხებით<sup>3</sup>, ხოლო იმერულს—გუ-

\* იხ. „მნათობი“ 1925 წ. № № 1 და 3.

<sup>1</sup> მოვიგონათ ახალი სამწერლო ქართულის დამაარსებელნი და შემოქმედნი: ვიორჯი ერისთავი, ანტონოვი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, შემდეგ ვანო მამახელი.

<sup>2</sup> მოვიგონეთ „დროება-კრებულის“ მესვეურნი: ვიორჯი და აკაკი წერეთლები, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და დავით მიქელაძე.

<sup>3</sup> ფშაურისა და ქიზიყური ელემენტების შემოტანას მწერლობაში უკვე 1868 წელს უკუყინებდა პ. შირიანაშვილი ვაგასა და მარხანელს („ივერია“ № № 166 და 180: საერთო ენა და სათემო კილოზე).



რული კილო (ჯერ ნინოშვილისა და შემდეგ საერთოდ „მწერლობის“ მეორე ნაწილი) და მწერლობამ შესუტრა საერთო ფორმითა ნაწილი ანარქიის პორეფში. ამ პორეფში ზემოხსენებულ ორ მიმდინარეობას თავისი გემებიც მოეპოვებოდა; ეს გემები იყო: ამერულისათვის გაზეთი „ივერია“, ხოლო იმერულისათვის — ჯერ ისევ „დროება“ და შემდეგ ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“<sup>1)</sup>; მეოცე საუკუნეში კი შესაფერა ორგანოების რიცხვმა საგრძობლად იმატა, თუნცა ძირითადი გემი ახალი ფორმებისა და სიტყვების შემოტანაში იმდენივე დარჩა, რამდენიც მანამდე იყო, ე. ი. იმერული და ამერული. იმატა მხოლოდ უცხო ენებიდან ახალი ტერმინების შემოტანამ. ამავე გზებით წარმოებდნენ დღესაც ჩვენი სამწერლო ენის გამდიდრება ახალი სიტყვებითა და ახალი ფორმებით.

ასეთი იყო და არის პრაქტიკა.

რაც შეეხება თეორიის, პირველ ხანად ძველის საფუძველზე ახალი ნორმების შეხვედრამ და აქედან წარმოშობილმა ენის საოცრად ატრელებამ ჩვენი ენის იდეოლოგები გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ გამოურკვეველობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, უმკველია, დიმიტრი ყიფიანისა და თედო ფორდანის „გრამმატიკები“ და გრიგოლ ყიფშიძისა და პეტრე ჭარბიას წერილები „მოამბეში“, რომელთაგან პირველი ეკუთვნის 1882 წელს, მეორე 1889 წელს, ხოლო უკანასკნელი 1895 წელს.

დავხასიათოდ თვითვეული მათგანი.

თუმცა დიმიტრი ყიფიანის ნაშრომს „ახალი ქართული გრამმატიკა“ აწერია და ავტორის სიმშათეაც, როგორცა ჩანს, ახალი ენისა და გამარტივებული მართლწერისაკენაა<sup>2)</sup>, მაგრამ იგი მიღად მაინც ვერ განთავისუფლებულა ძველი ენის გავლენისაგან და თავის პარადიგმებში, ახალი ქართულის ფორმებთან ერთად, მუდამ ძველ „სამწიგნობრო“ ფორმებსაც იძლევა: ამჟამაა, ავტორი რყევაშია, საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია, თუ რომელ ფორმებს უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა მწერლობაში: ახალ ცოცხალ ფორმებს, თუ იმას, რომელსაც ავტორი „სამწიგნობროს“ ეძახის, ერთი სიტყვით, თავისი დუალისტური ხასიათით, თავისი „ორფორმიანობით“, დიმიტრი ყიფიანის „გრამმატიკა“ მკითხველსაც გამოურკვეველ მდგომარეობაში აყენებს და უკანასკნელს ვეღარ გადაუწყვეტია, როგორი განწყობილება დაიქიროს ძველი ენისადმი: უარპყოს იგი ახალ მწერლობაში, თუ ახალ ფორმებთან ძველი ფორმების სწორუფლებიანობაც აღიაროს.

<sup>1)</sup> ძველთაგან აქ იყვნენ: გიორგი და აკაკი წერეთლები.

<sup>2)</sup> „ახალი ქართული გრამმატიკა სხარტულად დაწერილი მანისაგან შეიდგებათვის“. სანკტ-პეტერბურღი. 1882. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცოტა უფრო ადრე: სასულიშობრო „187...“ ე. ი. 70-იან წლებში ბაქარ ქართლელმა, ე. ი. დიმიტრი ყიფიანმა, სალიტერატურო ქართულის სადავო ფორმებს უპყვნა ფრიად სანატრესო წერილი მართლად უცნაური სათაურით: „უცნაური ნადირობა“, რომელშიაც იგი ეძიებდა შეიტანოს (და ბშირად მართლაც შეატანა) სათანადო შესწორებანი სალიტერატურო ენის ანარქულად ნაზარ ფორმებში (ეფრ. „იმერია“ 1880 წელი, № 1, გვ. 92—106).

<sup>3)</sup> ი. ი. შავალითად შედგები ასობის შესახებ გვ. 12; შეად. გვ. 9—10, 57 და სხვანი.



ამგვარადვე ან უფრო მეტიდ გამოურკვეველია თ. ენუქიძის მიერ აღწერილი მხილვები ახალი ენისადმი.<sup>1</sup> სამაგიეროდ საკმაოდ ნათელი ფაქტობრივების თანაგრძნობა ძველი ენისადმი. საკმაო იქნება დავასახელოთ თუნდაც ავტორის ნაგვიანევი მზრუნველობა ზედმეტი ასოების შესახებ და „მეტ-ასოდ“ გამოცხადება მხოლოდ ჟ-სი (ჟ-სა და ჟ-სთან ერთად), ისიც უცნაური შენიშვნით: „გარნა მწერლობითგან მისი განდევნა უსამართლო იქნებაო“.<sup>2</sup> ამისთანავე, თუმცა ავტორი ხშირად ხმარობს ტერმინებს „ძველი“ და „ახალი“ ენა, მაგრამ არსად არ იძლევა იმის განსაზღვრას, თუ რას ჰგულისხმობს იგი ამ სიტყვებით. პირიქით, როგორც მთელი გრამატიკა, ისე ავტორის ენა თავიდან ბოლომდე წარმოადგენს ძველისა და ახალი ფორმების ერთმანეთში არევას, რომელშიაც შეუძლებელია მოუშნადებელმა მკითხველმა გაარჩიოს, სად თავდება ძველი ენა და სად იწყება ახალი. სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ახალი სამწერლო ქართულის შექმნების ისტორიაში თ. ფორდანიას გრამატიკა, დიმიტრი ყიფიანის „ახალ გრამატიკასთან“ შედარებით, ერთი ნაბიჯის უკან გადადგმას მოაწვევდა.<sup>3</sup>

მაგრამ დრო გადიოდა. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ახალი სამწერლო ენა თანდათან იყვებოდა და მდიდრდებოდა ცოცხალი დიალექტური ფორმებითა და სიტყვებით, პირიქით ძველი ენის ნორმების გავლენა და ნალექი თანდათან ილერდა და ისტორიის სამკვიდროდ ხდებოდა. სამაგიეროდ უკბო ენათა (განსაკუთრებით რუსულის) ნორმებისა და ლექსიკის გავლენა თანდათან აღიერდებოდა და ქართული ენის სიწმინდეს საფრხეში აგდებდა.

ამ ახალი საფრხის გაჩენამ თავისებური გავლენა ენის თეორიაზედაც იქონია, სახელდობრ ზენი თეორეტიკოსების ყურადღება უმთავრესად ენის სიწმინდისკენ გადახარა და შათი საბრძოლველი ენერგია განსაკუთრებით გრამატიკულისა და ლექსიკური ბარბარისმების (კერძოდ რუსიციზმების) წინააღმდეგ მიპირობა. სამაგიეროდ ამ მიმართულების თეორეტიკოსთათვის უმნიშვნელო ფაქტად იქცა ის საოცარი შინაგანი დუღილი და ფორმათა ანარქია, რომელსაც იმ დროს ახალი ქართული ენა განიცდიდა. ამ მიმართულების ტიპიურ

<sup>1</sup> ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი). თბილისი და გამოცემული თ. ფორდანიასაგან. ტფილისი. 1869.

<sup>2</sup> იქვე გვ. 18; წვდ. ავტორის აზრი. კ—არის საჭიროების შესახებ თანამედროვე მწერლობაში, 17—18 გვერდი.

<sup>3</sup> ამ უკუქცევას ჩვენ ვერ გავამართლებთ ვერც იმ გარემოებით, რომ მე-60-ე წლებში, როცა ფორდანიას გრამატიკა დაიწერა (1868), ზენს მწერლობაში სტუმრის სახით ძველი ენის ნიშნებიც ირუნდა ხოლმე თავს, როგორც მაგალითად ილია ჭავჭავაძის უკედევი პოემა „განდევნილი“ (1868 წ.), რომლის სტილი და ენა კლასიკური პერიოდის სტილს და ენას მოგვაგონებს, ასეთი სტილი და ენა მაშინდელი (მე-50-ე წლების) ქართულიაათვის ნაშანადობლივ და დამახასიათებელ კუთვნილებად ვერ ჩაითვლება, არამედ, როგორცა ვთქვით, უფრო მიმავალი სტუმრის ადგილი უჭირავს, ამას ნათლად გვიჩვენებს იმავე ილ. ჭავჭავაძის სხვა ორი ნაწარმოები: „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1860 წ.) და „ოთარაანთ ქოივი“ (1867 წ.) მათი შეუდარებელი ახალი ენით. აღარას ვაშბოთ ილიას თანამედროვე დანარჩენ პოეტიკურ ნაწარმოებზე, რომელთა ენა მხოლოდ ახალი ქართული იყო (ილ. ჭავჭავაძის შემომსვენებელ ნაწარმოებთა დათარიღება იხ. მიხ. გედეანიშვილის გამოცემაში გვ. IV სარჩევი).



წარმნმადგენლად გასული საუკუნის მე-90-ე წლებში უნდა ჩაითვალოს გრიგოლ ყიფშიძე თავისი წერილით: „ორიოდე მოსაზრება ქართული ენისა და გრამატიკის შესახებ“, რომელიც 1895 წლის „მოამბეში“ დაიბეჭდა.<sup>1</sup>

ეს წერილი იმდენად დამაბასიათებელია დროისა და თვით ავტორის მიშინდელი თვალსაზრისათვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მთავარი ადგილები სიტყვისიტყვით მოვიტანოთ.

ავტორის ღრმა რწმენით, ენის თავიდათავე ღირსება, მისი სული და გული სინტაქსური „კანონიერება და სისუფთავეა“ და არა „ასოები, მარცვლები“ და ვინდ მთელი „სიტყვები“ მათი მორფოლოგიური ფერადსახეობით.

„ჩვენის ფიქრითო, — ამბობს ავტორი, — ქართულის სისუფთაისა და კანონიერებისათვის საქმე ასოები, მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხვრა, მისი ზოგადი აგებულება. საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია, ლექსათახულებაა, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა“<sup>2</sup>.

ამ თვალსაზრისის თანახმად ავტორს შემდეგ მოაქვს რამოდენიმე ნიმუში სინტაქსური ბარბაროზმისა თანამედროვე ქართულში, არჩევს მათ და იძლევა სამაგიერო „წმინდა“ ქართულ სასინტაქსო ფორმებსა და გამოთქმებს. ასე მარტივი და ცალმზრივია პატივიცემული ავტორის მზრუნველობა სალიტერატურო ქართულის კანონიერებისათვის. როგორც ვნახეთ, მთელი ეს მზრუნველობა ენის სასინტაქსო ფორმებს არ სცილდება.

პირიქით, პირდაპირ გასაოცარი და შეუწყნარებელია ის პრინციპიალური ინდიფერენტობა, ის შეგნებული გულგრილობა, რომელსაც ავტორი იჩენს ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური მრავალსახიანობისა და ანარქიული მდგომარეობისადმი. აი მისი სიტყვები:

„პირის ვანა დავა-კამათი, მოცდენა და ბარჯვა მელნისა და ქალღდისა იმაზედ, როგორ სჯობიან ესწეროთ ისეთი სიტყვანი, რომელთაც ორნაირი და სამნაირი ფორმა აქვთ და რომელთაც ერთი მწერალი ასე სწერს, მეორე ისე? მაგალითად: ილია სწერს — წინად, ივანე — წინეთ, გოგია — წინედ; პეტრე სწერს: სოფლიდგან, პავლე — სოფლიდან, ნიკა — სოფლითგან, ტეტიკა — სოფლიდამ. ჩვენის აზრით, არცერთი ფორმა უკანონო არ არის: ყველა ერთნაირად კანონიერია, როგორც კანონიერი: კაცები და კაცნი, ხენი და ხეები, წიგნთა და წიგნებისა და სხვ.“

ცოტა ქვემოთ: „აი ამისთანა წერილმანი სხვადასხვაობა და სრულიად კანონიერი ორ-სამ ფორმიანობა ზოგიერთის ქართულის სიტყვისა: წინეთ, წინედ, წინად; რათგან, რადგან; აგრეთვე, აგრედვე; ეხლა, ახლა; შევიდა, შევიდა; მევიდა, მოვიდა; მეიტა, მოიტა; იყვეს, იყოს; თავის, თავისს; კიდენ, კიდევ; ძალიან, ძიან, ძალან; ძრიელ, ძლიერ; შეიღმეტი, ჩვიღმეტი; თერამეტი, რვამეტი; მომწვანე, მომწვანო; უკეთ, უკედ და სხვანი, რომელთა რიცხვი, ვიმეორებთ, მრავალია.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> „მოამბე“ 1895 წ. № IV, გვ. 49-64.

<sup>2</sup> იქვე გვ. 57.

<sup>3</sup> იქვე გვ. 54.

ბოლოს ავტორი იძლევა ასეთ დასკვნას:

„ამ ფორმებში ზოგს საქართველოს ერთ კუთხეში ჰმზარებენ, ზოგს—მეორეში და, მაშასადამე, ორივე ფორმა კანონიერია, სამართლიანი, ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მიერ შეწყყარებული, და არავის არავითარი არც ნება აქვს და არც შეუძლია მოითხოვოს: ასე იხმარეთ ეგ სიტყვა და არა ისეო. გრამატიკა თავისთავად კი არ არსებობს, იგი ცოცხალს ენას ექვემდებარება და მის ფუნქციებს აღნიშნავს მხოლოდ.“<sup>1</sup>

ალარ შევაწყენთ მკითხველს თავს დანარჩენი ადგილების ამოწერით. რაც ამოვწერეთ, იქიდანაც ნათლად ჩანს პატივცემული ავტორის პოზიცია ახალი ქართულის ფონეტიკურისა და მორფოლოგიური მრავალსახიანობისადმი, დიალექტურ-პროვინციალური ფორმებისადმი. ავტორის თვალსაზრისს თამამად შეგვიძლია დავარქვათ ანარქიული თვალსაზრისი, რომელიც არამც თუ იოტის ოდენადაც არა მშველიდა სამწერლო ენის ანორმალური მდგომარეობის გამოკეთებას, პირიქით თეორიული, შეგნებული დადასტურება და მოწონება იყო ამ მდგომარეობისა. ცხადია, ვერც ავტორის და ვერც საზოგადოდ ქართველი იდეოლოგიის შეზღუდულება დიდხანს ვერ დადგებოდა ამ ანარქიულ თვალსაზრისზე, და მართლაც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ პატივცემული ავტორი 15—16 წლის შემდეგ სრულიად შეიცვლის პოზიციას და მეორე უკიდურესობაში ჩავარდება. იმ საფეხურზე კი, რომლის შესახებაც აქ მოგახსენებდით, სახელდობრ 1895 წელს, ვრ. ყიდფიძის თეორია იყო თეორია გაურკვევლობისა, შეგნებული ინდიფერენტისა და ანარქიული განწყობილება ენის ფორმათა ანარქიული მდგომარეობის მიმართ.

არსებითად ანარქიული არ არას, მაგრამ საჭირო ღირსებებს მოკლებულია ახალი სალიტერატურო ქართულის მოწესრიგების მეორე პროექტი, რომელიც იმავე 1895 წელს „მოამბეში“ დაიბეჭდა. ვგულისხმობთ პ. ქარაიას წერილს: „ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა.“<sup>2</sup>

ამ, თავისი დროისთვის შესანიშნავს, წერილში ბევრი საგულისხმო დებულება და მოსაზრებაა გამოთქმული, ზოგი მითვანი დღესაც უცვლელად ან მკირგოდენის ცვლილებით მისაღებია და შესაწყყარებული, მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, „ტონი ჰქმნის მუსიკას“ და ამ პროექტს, როგორც მთლიან შენობას, სწორედ შესაფერი ტონი, საჭირო სიმტკიცე და არსებითს მომენტებში სათანადო გარკვეულობა აკლია.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ ამ პროექტის დადებითი მომენტები. ასეთ მომენტებს პროექტში შეადგენენ, ჩვენის ფიქრით, შემდეგი დებულებანი:

ა) „ქართულ ენასაც აქვს თავისებური—საკმაოდ ძნელი—მართლწერა“ და მართალი არ არის გავრცელებული აზრი, თითქოს „ქართულ ენაზე ქართული აღფავიციის სისრულის წყალობით სრულიად არ არსებობდეს ორთოგრაფია.“<sup>3</sup>

<sup>1</sup>. იქვე გვ. 54—55. ხაზგასმა ჩვენია (ს. ზ.).

<sup>2</sup>. „მოამბე“ 1895 წ. № IX, გვ. 81—98.

<sup>3</sup>. იქვე 83 81.



ბ) ჩვენი „წერა გამოთქმაზეა დაბეჭდებული“,<sup>1</sup> ანუ, როგორც ჩვენი უკიდრ-  
ლასაა ნათქვამი, „ორთოგრაფია ასულია გამოთქმისა და არა უწინააღმდეგეა“.

გ) სისწორით აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ „სხვადასხვაობა ჩვენს წერა-  
ში ჯერ იქიდან წარმოსდგება, რომ ერთნი მისდევენ ისტორიულ გამოხატვას  
სიტყვებისას, ისტორიულ-ორთოგრაფიას, მეორენი კი ფონეტიკურს, ესე იგი ერთნი  
ხმარობენ სიტყვებს იმ ფორმით და სახით, როგორც ისინი შეგხვდებით ძველს  
საღვთო და საერო ნაწერებში, მეორენი კი—როგორც ისინი გამოითქვიან თა-  
ნამედროვე სახალხო და სალიტერატურო ენაზე.“<sup>2</sup>

დ) სრული კეშმარიტებაა ის დებულება, რომ „ქართული ენა მკედარი  
ენა როდია, არამედ ცოცხალი“ და, როგორც ასეთი, სხვა ენების მსგავსად,  
იგიც განვითარების გზას ადგა, თანდათან ფორმებს იცვლის; და ამიტომ,  
„ათასი რომ ვეცადოთ, მაინც ვერ შევინახავთ პირვანდელ ძველად-ძველ  
ფორმებს სიტყვებისას,“<sup>3</sup> განსაკუთრებით მაშინ, „როდესაც ეს ძველი მწიგ-  
ნობრული ფორმები დღეს არსად საქართველოში არ იხმარება“<sup>4</sup>.

ე) ამგვარივე უდავო კეშმარიტებაა ისიც, რომ „ხალხის ენა (ცოც-  
ხალი დიალექტები) უნდა იყოს საძირკველი, რომელზედაც თანდათან უნდა  
შენდებოდეს სამწერლო ენა“, რომ „ლიტერატურულ ენას ცოცხალ სახალხო  
დიალექტებში უნდა ჰქონდეს ფესვები გამჯდარი“ და ამ დიალექტებით, „რო-  
გორც ზღვა მასში ჩამავალი მდინარეებით, უნდა იკვებებოდეს იგი“. ხოლო,  
„როცა სალიტერატურო ენა განზე გაუდგება სახალხო კილოებს, უკადრისობას  
გაუწევს იმათ, გასწყვეტს იმათთან მტკიცე და განუწყვეტელ კავშირს, მაშინ  
თვით მისი აღსასრულის დღეც მოახლოვებულია“.<sup>5</sup>

ვ) მაგრამ კიდევ უფრო უდავო და ურყეველი დებულებაა ის კეშმარი-  
ტება, რომ „არც ერთი ლიტერატურული ენა დედამიწის ზურგზე ისე არ გა-  
ჩენილა, რომ მასში წინდაწინ მოფიქრებითა და შეთანხმებით და ერთგვარის  
პროპორციით შეეკრიბათ და შეეტანათ ყველა ელემენტები ამადაამ ენის ყველა  
კილოკაეებისა; არამედ ერთს რომელსამე კილოზე, როგორც უმთავრეს ბაზისზე,  
აგებულია სალიტერატურო ენა“.<sup>6</sup> ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ ახალ სა-  
ლიტერატურო ქართულს, აქ ამგვარ ბაზისად უნდა ჩაითვალოს ენა საქართვე-  
ლოს იმ „შუაგულ ნაწილებსა, რომლებიც იმთავიდანვე შედგომია დედაბოძად  
ქართულ სალიტერატურო ენას“,<sup>7</sup> სახელდობრ „ის კილო (დაარქვით მას  
ქართლ-კახურ-ზემო-იმერული, ანუ სხვა, რაც გენებოსთ, ჩვენ კი ზოგად ქარ-

<sup>1</sup> იქვე 82.

<sup>2</sup> იქვე 83. 96.

<sup>3</sup> იქვე 83. 82—83.

<sup>4</sup> იქვე 83. 83.

<sup>5</sup> იქვე 83. 84.

<sup>6</sup> იქვე 83. 85.

<sup>7</sup> 83. 85.

<sup>8</sup> იქვე 83. 90.





წილის დაუქმებლობა), რომელზედაც უწერიათ ძველი მწიგნობრული ენის ზეგავლენით ჩვენს საუკეთესო მწერლებს\* მეცხრამეტე საუკუნეში.<sup>1</sup>

ზ) დანარჩენი კილოებიდან ზოგად სალიტერატურო ენაში სახმარებლად უნდა შემოიტანებოდეს მხოლოდ „მარჯვე და მოხდენილი სიტყვები“,<sup>2</sup> რომელთა საბადლო სიტყვა სალიტერატურო ენაში არ მოგვეპოება, ან მათი აღვლილი უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვას უჭირავს\*. რაც შეეხება თვითველი დიალექტის დანარჩენს ლექსიკურ მასალას და გრამატიკულ თავისებურობათ, ე. ი. მხოლოდ იმ დიალექტში ხმარებულს სიტყვებსა და ფორმებს, ამისთანა სიტყვები და სიტყვის ფორმები, მეტად საინტერესონი მეცნიერულის მხრით, სალიტერატურო ენაზე სახმარებლად ვერ გამოდგებიან, რადგან იმათ ალაგას ისეთი სიტყვები ან სიტყვის ფორმები უკვე შემოღებული, რომლებიც იხმარება ქართული ენის უფრო ვრცელს ტერიტორიაზე. ამისთანა პროვინციული მებრეცე თუ საერთო სახმარებლად შემოვიღეთ, მაშინ აგვერევა მონასტერი და ვერ შევექმნით ერთს საყოველთაო მტკიცედ დამყარებულს სალიტერატურო ენას, და მაშასადამე ვერ შევექმნით თვით ხაკმაო-ვრცელს ლიტერატურასაც.<sup>4</sup> თუ გვინდა ამგვარი საფრთხე თავიდან ავიშორეთ, „სალიტერატურო ენაზე ჯერ ისეთი ფორმები და სიტყვები უნდა იხმარებოდეს, რომლებიც საჭირონი არიან“, რომლებიც შეგვხვდებოთ ყველგან საქართველოში, ან მომეტებულ სივრცეზე მაინც.<sup>5</sup>

ც) მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე სიტყვა ან გრამატიკული კატეგორია ორის ან მეტი ფორმით გვხვდება, და ისიც „არა საქართველოს განაპირა კუთხეებში, არამედ შუაგულ ნაწილებში, რომლებიც იმ თავიდანვე შედგომია დედა-ბოძად სალიტერატურო ენას“, და ამავე დროს ეს ფორმები „ისეა გავრცელებული, რომ ძნელი მისახვედრია, რომელს მათგანს უკავია მეტი ალაგა“ დასახელებულ ტერიტორიაზე? ამ კითხვაზე ავტორი სრულიად სამართლიანად გვიპასუხებს: „ამგვარ შემთხვევაში, ამ ხანად მაინც, უნდა მივსცეთ უპირატესობა ისტორიულ ორთოგრაფიას: რაკი რომელიმე ფორმას ხალხიც ხმარობს და ძველს ნაწარმოებშიაც ის შეგვხვდებათ, ჯერხანობით მაინც ასეთი ფორმა უნდა დავიცვათ მწერლობაშიცო“, ე. ი. თანაბარს, ანუ დაახლოებით თანაბარ, პირობებში უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ცოცხალ ფორმას, რომელიც იმავე დროს ისტორიული ფორმაცაა. მით უმეტეს ასე უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა სადავო ფორმათა შორის პირობები სრულიად თანაბარი არაა, ე. ი. „როცა რომელიმე სიტყვის გან-

<sup>1</sup> იქვე გვ. 87.

<sup>2</sup> გვ. 88.

<sup>3</sup> გვ. 88. ავტორი სამართლიანად აღიქვამს, ანგვარსავე შემთხვევებში ჩვენ შეგვიძლია ძველ ენასაც მივმართოთ და ძველი მწერლობის ლექსიკური მასალიდან დავისესხოთ წინდა ქართული ძირის საჭირო სიტყვები, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმ სიტყვების ალაგას დღევანდელ ქართულში „სრული სივალეობა ან უცხო ენათგან ნასესხები სიტყვების შემოღებული. იქვე გვ. 84.

<sup>4</sup> იქვე გვ. 87.

<sup>5</sup> იქვე გვ. 89.



სხვაეგვარი, ფორმა იხმარება მხოლოდ ერთ კუთხეში, ხოლო დანარჩენ საქართველოში ყველგან და ძველ მწერლობაშიაც მეორე ფორმა სიტყვისა, მაშინ ამ უკანასკნელს (ჯერხანად) უნდა მიეკეს უპირატესობა.<sup>1</sup>

თ) არავითარ დავას არ იწვევს სტატიის ის ადგილიც, სადაც ავტორი მსჯელობს: „ჩვენ გვგონია, ბგერათა ოსტრაკიზმით გაგდება სიტყვებიდან მართო იმ საფუძვლით, რომ ამა და ამ სიტყვის ძირს არ ეკუთვნის ესა და ეს ბგერაო (როგორც მაგალითად ნ-არი სიტყვაში „წმინდა“, ან მ-ანი სიტყვაში „მშვენიერი“), ჩვენ ყოველთვის სამართლიანად არ მიგვაჩნია: რაც შეუქმნია ისტორიულ ზრდა-განვითარებას ენისას, ის არ უნდა ვადაქმნის ორთოგრაფიამ, რომელიც ასულია გამოთქმისა და არა წინააღმდეგ.“<sup>2</sup>

ი) დასასრულ, სრულიად სამართლიანი და მეცნიერულად დასაბუთებულია (მაქს მიულლერის მოწმობით) ის დებულება, რომ მართლწერის საფუძვლად კეთილზმოვანების პრინციპი არ გამოდგება. „როგორც სხვაგანაც ბევრგან უთქვამთ, ჩვენშიაც გაიძიხან: სიტყვები დროთა განმავლობაში იმიტომ გადაცვლილან და მიუღიათ ესა და ეს სახე, რადგან ამას თხოულობდა კეთილზმოვანება, ყურისთვის საამო იყო. მაგრამ (როგორც მაქს მიულლერი სამართლიანად ამტკიცებს) ენა თავის განვითარების გზაზე არ მისდევს ეფთხიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას“, რადგან, მისი სიტყვით, „კეთილზმოვანება არის მეტად განუსაზღვრელი და არამეცნიერული ცნება. თითოეულ ნაციას თავისი საკუთარი ენა, თითოეულ ტომს თავისი სამშობლო დიალექტი მიაჩნია კეთილზმოვანად, და თითოეული ადამიანისათვის, ვარდა თავისი სამშობლო ენისა, ცოტა მოიძებნება ისეთი ენა, რომელიც მიაჩნდეს ყურისათვის სასიამოვნოდ, როცა ამას ესმის აესეთი პირველგზის“<sup>3</sup>. ამიტომ სრულიად მართებულია ავტორის გაოცებითი შეკითხვა იმ პირთადმი, რომელნიც, თავისი პირადი გამოცდილებისა მიხედვით, სიტყვების „გაკეთილზმოვანებასა და გამარტივებას“ სკდილობენ: „ენა და მისი სიცოცხლე განა ჩვენს ნებაზე დაიარებინან, რომ ერთი სიტყვა გვაკეთილზმოვანოთ, მეორე განვამარტივოთ სურვილისამებრ ჩვენისა?“ — ჰკითხულობს ავტორი და ქვემოთ განაგრძობს: „ჩვენ აქ ერთი ანგელოტი გვაგონდგება: ტიბერიოსს მოუვიდა ერთხელ გრამატიკული შეცდომა, რაიცა გაუსწორა გრამატიკოსმა მარკელიუსმა. ამის შესახებ შენიშნა კარის-კაცმა კაპიტომ, რომ ის, რასაც იმპერატორი ბრძანებს, არის ანუ უნდა იქნეს საუკეთესო ლათინურიო. კაპიტო სტყუისო, — მოახსენა იმპერატორს მარკელიუსმა, — შენ ძალგძს, ცეზარო, მოქალაქობის უფლება მიანიჭო ყოველს ადაიანს, მაგრამ ერთად-ერთს სიტყვასაც კი ვერაო“.<sup>4</sup>

ასეთია დადებითი მომენტები და თითქმის უდავო დებულებანი ბ. პ. კარაიის პროექტისა, მაგრამ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ დადებით მხარებთან ერთად პროექტი მოკლებულია სათანადო საერთო სიმტკიცესა და ზოგიერთ კერძო მომენტში სათანადო ვარკვეულობასაც.

<sup>1</sup> იქვე გვ. 89-90.

<sup>2</sup> იქვე გვ. 95-96.

<sup>3</sup> იქვე გვ. 96.

<sup>4</sup> იქვე გვ. 97.



აი ამისი დამამტკიცებელი საბუთები თვით პროექტიდან:

ა) ზემოთ, მეშვიდე დებულებაში, ჩვენ გავეცანიტ ავტორის, ავტორის მტკიცედ დამყარებული სალიტერატურო ენის შექმნის<sup>1</sup> საქიროების შესახებ; თავისი წერილის ბოლოშიაც ავტორი არ უარყოფს, რომ „ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სალიტერატურო ენა და, მაშასადამე, ორთოგრაფიაც უნდა იყოს ერთი“, მაგრამ იმავე გვერდზე, ორიოდ სტრიქონის წინ, ისეთ განმარტებას იძლევა, რომ ავტორის მიერ აღსარებულს „ერთობის“ საქიროებას ყოველგვარი ძალა და მნიშვნელობა ეკარგება; სახელდობრ ავტორი ამბობს: „სხვადასხვაგვარ გამოხატვას ერთდამთავრებულ სიტყვებისას და სიტყვის ფორმებისას ჩვენ მაინცდამაინც ისე დიდ მნიშვნელობას არ ვაწერთ მაშინ, როცა ასეთი სიტყვები და ფორმები ყველგან გასაგები არიან. მშვენიერი სწერეთ, გინდ „შვენიერი“, ოღონდ ორივე კი იყოს გასაგები ქართველებისათვის და შეპფეროდეს ქართული ენის თვასებასა და ხულისაო“.<sup>2</sup>

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ენის ფორმითა მოწესრიგების მთავარ საკითხში, რომელიც პროექტის ქვაკუთხედს უნდა შეადგენდეს, ავტორი აშკარა რყევასა და უმტკიცობას იჩენს: მისთვის, როგორც სჩანს, ეს საკითხი მხოლოდ „საყოველთაო შემთხვევით“ და „სამაინცდამაინცო“ საკითხია, რომლის ასე თუ ისე გადაჭრას არც ერთი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ავტორისთვის სულ ერთია „მშვენიერს“ დასწერო, თუ „შვენიერს“, „წავიდენ“, თუ „წავიდენ“ „თფილი“ თუ „თბილი“, „მიდევს“ თუ „მისდევს“ და სხვანი, ოღონდ ორივე ფორმა კი იყოს გასაგები ქართველი კაცისთვის და შეპფეროდეს ქართული ენის „სულს“. და რადგან, ავტორისავე განმარტებით (შეიდიოდე გვერდით ადრე), ქართული ენის სულს არ ეწინააღმდეგება არც ერთი ფორმა, რომელიც კი ქართულ ენაზე იხმარება და უცხოთაგან არ არის ძალად „შემოხობორიკებული“,<sup>3</sup> ამიტომ, აშკარაა, ფორმითა ანარქიას სალიტერატურო ქართულში დასასრული არ ექნება. ასეთია მოსალოდნელი შედეგი ბ-ნის ქარაიას პროექტისა, მისი მთავარი მუხლის უმტკიცობისაგან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ბ-ნი ქარაია დიდად უახლოვდება თავის თანამეკალმეს, ბ-ნ გრ. ყიფშიძეს: მათი პროექტების მოსალოდნელი შედეგი ერთიდაიგივეა—სალიტერატურო ენაში დაუსრულებელი ანარქია.

ბ) მაგრამ პ. ქარაიას პროექტში მეორე დიდი დეფექტიც გვხვდება, ვგულისხმობთ მისი პროექტის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია ახალი სალიტერატურო ქართულის „საძირკველზე“ (იხ. ზემოთ მეექვსე დებულება). მაგრამ

<sup>1</sup> შუად. გვ. 87.

<sup>2</sup> იქვე გვ. 97. ხაზგასმა ყველგან ავტორისაა.

<sup>3</sup> აი ეს ადგილი სრულად და სიტყვისიტყვით: „მშვენიერი საბუთის წარმოდგენა ერთის ამგვარ ფორმათაგანის გასათვთრებლად და მეორის გასაშვებლად, ესე იგი მტკიცება იბნის, რომ ერთი ფორმა ან სიტყვის საზე ქართულის ენის სულს უფრო შეპფერის, მეორე ნაკლებ, შეუძლებლად და უაღაგოდ მიგვაჩნია: ის გარემოება, რომ ორივე ფორმა ქართულ ენაზე იხმარება (როცა არც ერთი მათგანი უცხოთაგან ძალად „შემოხობორიკებული“ არ არის) საკმაო საბუთია, რომ არც ერთი მათგანი არ არის ქართული ენის წინააღმდეგი“. იქვე გვ. 90.



ეს ადგილი იმდენად დამახასიათებელია ჩვენი ავტორისათვის, რომ სრულად და უცვლელად მოვიტანოთ შიგაჯანია მისი ტექსტი აქ სრულად და უცვლელად მოვიტანოთ:

„რომ ხალხის ენა უნდა იყოს საძირკველი, რომელზედაც თანდათან უნდა შენდებოდეს სამწერლო ენა, ეს ვგონებთ, უძველესია, მაგრამ ქართული ენა თავის ტერრიტორიაზე საკმაო დიფერენციაციის წარმოადგენს: ქართულის მონათესავე — მოძვე დიალექტები, — მეგრული: ლაზური და სვანურიც რომ არ ვახსენოთ, აი საკუთრივ ქართულსაც რამდენი სხვა-და-სხვა კილო ლაპარაკისა შეუქმნია: ფშავ-ხევსურული, მთიულდი, ქართლ-კახური, ზემო და ქვემო იმერული, რაჭული, გურული და სხვა. რომელ ამ კილოთაგანზე უნდა იყოს მომეტებული სიმძიმით დამყარებული ჩვენი სალიტერატურო ენა? ყველაზე, სამართლიანად მიპასუხებს მკითხველი, და ჩვენც მაგრე ვგვონია, სადაც და რამდენად(აც) კი ეს შესაძლებელია. ქართული სალიტერატურო ენა უნდა იღებდეს წმინდა ქართულ ელემენტებს ყველა ამ წყაროებიდან და შეითვისოსორცებდეს, რათა თვითონაც მათთან შეთვისოსორცებული იყოს. დაწუნება ერთის (წმინდა ქართულის) სიტყვისა ან ფორმისა მხოლოდ იმიტომ, რომ იგინი იხმარებიან იმერეთსა ან გურიაში, მოწონება მეორეთა იმიტომ, რომ ესენი ქართლ-კახეთში შეგებდებოთ, და ან წინააღმდეგ, — მეცნიერული და სამწერლო ენისათვის სახეირო მოქმედება არ არის. რაც ხალხს ბუნებისა და განსაკუთრებულის თავის მდგომარეობის ზეგავლენით შეუქმნია, ის ენა ჩვენ მისთვის უკეთეს ენად უნდა ჩავთვალოთ“ 1.

ამგვარად, ჩვენი სამწერლო ენა მთელის ან, როგორც ავტორი ბრძანებს, „მომეტებულის სიმძიმით“ „ყველა“ თავის კილოს უნდა ეყრდნობოდეს, „სადაც და რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება“. მაგრამ ამ ვრცელ ამონაწერში ბევრი რამ საჭიროებს გამორკვევას, ხოლო ზოგი რამ არა თუ პრაქტიკაში შესაძლებელი არაა, ლოლიკურადაც კი წარმოუდგენელია. ავიღოთ მაგალითად თუნდ ეს „მომეტებულის სიმძიმით“ დამყარება „ყველა კილოზე“, ასეთის რისამე სინამდვილეში წარმოდგენაც კი შეუძლებელია, არამც თუ პრაქტიკულად განხორციელდება, რადგან თვით ასეთი დებულება ლოლიკურს წინააღმდეგობას შეიცავს: თუ რომელიმე სავანი ან ტვირთი ყველა თავის საყრდნობ წერტილზე მომეტებული სიმძიმითა დაყრდნობილი, ჩანს ყველაზე ერთნაირად დაყრდნობილი ყოფილა და მაშასადამე რაღა აზრი აქვს მომეტებულ სიმძიმეზე ლაპარაკს?! ან პირიქით: თუ მომეტებული სიმძიმით დაყრდნობას იქ მართლა აქვს ადგილი, მაშინ უძველესია ამგვარი დაყრდნობა მხოლოდ ზოგიერთ წერტილს უნდა შეეებოდეს და მაშასადამე ყველა საყრდნობზე ლაპარაკი ზედმეტია.

მაგრამ ვთქვათ, აქ ავტორს ევრეთწოდებული lapsus-ი მოუვიდა, ნამდვილად კი უნდოდა უბრალოდ ეთქვა: „ყველა კილოს უნდა ეყარებოდეს“ო, — მაშინაც ავტორის აზრი არსებითად შეუწწმარებელია, ხოლო ისტორიულად სინამდვილის წინააღმდეგა. ეს ავტორმაც კარგად იცის და იმიტომ ორიოდ სტრიქონის შემდგომ განაგრძობს:



„თუმცა თეორიულად სამართლიანად ვამბობთ, რომ სალიტერატურო ენა ამაღიანდა ენის ყველა კილოებზე (rospan) უნდა იყოს დამყარებული, — მაგრამ ნამდვილში ამ პრინციპის სრულად და შეუცვლელად გატარება შეუძლებელი იყო და არის. არცერთი ლიტერატურული ენა დედამიწის ზურგზე ისე არ გაჩენილა, რომ მასში წინდაწინ მოფიქრებითა და შეთანხმებით და ერთგვარის პროპორციით შეეკრიბათ და შეეტანათ ყველა ელემენტები ამა თუ იმ ენის ყველა კილოებისა. არამედ ერთს რომელსაზე კილოზე, როგორც უმთავრესს ბაზისზე, აგებულია სალიტერატურო ენა.<sup>1</sup> ნუ შევჩერდებით ზეენ დროინდელ ენების მაგალითზე, თვით კლასიკური ლათინური ენა<sup>2</sup> იყო ერთი იმ მრავალ დიალექტთაგანი, რომლებითაც ლაპარაკობდნენ იტალიის მცხოვრებნი. იგი იყო დიალექტი ლაციუმში, ლაციუმში დიალექტი რომისა, რომში დიალექტი პატრიციებისა... პლებეებს რომ ჩაეგდოთ ხელში მთავრობა (ბრძანებლობა) პატრიციებზე, მაშინ ლათინური სულ სხვა შეიქმნებოდა, ვინემ ლათინური ციკერონისა“. ის კილო (დაარქვით ამას ქართლ-კახურ-ზემო იმერული, ანუ სხვა რაც გვინებოსთ, ზეენ კი ზოგად ქართულს დაეუძახებთ), რომელზედაც უწერიათ ძველი მწიგნობრული ენის ზეგავლენით ზეენს საუკეთესო მწერლებს: ორთავე ჰავჭავაძეებს, ორთავე წერეთლებს, ორთავე ორბელიანებს, ბარათაშვილს, ყაზბეგს და სხვ., — ი. ამ მწერლების ენა უნდა ჩაითვალოს საძირკვლად ზეენის სალიტერატურო ენისა. კარგია თუ ავი, იმათმა ენამ ისეთი გზა გააკვალა, რომ ახლა სხვა მხარეზე გადახვევა მოუხერხებელია“<sup>3</sup>.

ეს ვრცელი მსჯელობა სავსებით და უცვლელად მისაღები იქნებოდა, რომ ავტორი ერთმანეთში არ ურევდეს ძირითად „კილოსა“ და „მწერლების ენას“ და ამ უკანასკნელში არ იხსენიებდეს „ორთავე ჰავჭავაძეთა“, ორთავე ორბელიანთა“ და „ბარათაშვილის“ ენას, თითქოს ამ უკანასკნელისა, გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე ჰავჭავაძის სამწერლო ენა იგივე ყოფილიყოს რაც ილია ჰავჭავაძისა, „ორთავე წერეთლებისა“, ერისთავებისა, „ყაზბეგისა“ და სხვათა სამწერლო ენა არის, თითქოს პირველსა და უკანასკნელს შორის არავითარი განსხვავება არ იყოს.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ახალი სალიტერატურო ქართლის ნამდვილი ისტორია მხოლოდ 1850 წლიდან იწყება და მაშასადამე ნ. ბარათაშვილი და ვანსაკუთრებით ალ. ჰავჭავაძე ამ ენის შემოქმედთა რიცხვში ვერ მოექცევიან, ხოლო გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანების განწყობილება ამ ახალი ენისადმი ზომ პრინციპიალურად მტრული იყო და შეურიგებელი: მათი იდეალი, როგორც მოგახსენეთ, „დარბაისლური“ ანუ „საშუალო ქართული“, ე. ი. კლასიკური და განახლების პერიოდის საერო მწერალთა ენა, იყო.

ამგვარად აშკარაა, პატივცემულ ავტორს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმ „საძირკვლის“ რაობასა და შემადგენლობაზე, რომელსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართული ეყრდნობა. ავტორის ისტორიული დიაგნოზი ამ

<sup>1</sup> აქ ავტორი იმაშებს ნაქს მივლდერს (Vorlesungen über die Wissenschaft der Sprache. ლაიპციგის გამოცემა 1876. ლექციების პირველი რიგი, გვ. 72—75).



შემთხვევაში სწორე არ არის და ამიტომ მთელ მის პროექტს უკუნიშნავს სა-  
ფუძველი ეცლება: მთელი პროექტი გაურკვეველობის ხასიათს იღებს. თუ ჩვენ  
იმგვარს საფუძველს დავემყარეთ, რომელიც ავტორსა აქვს წარმოდგენილი, ახა-  
ლი სალიტერატურო ქართულის საქმეში შორს ვერ წავალთ, მუდამ ორბელია-  
ნთებურ რუკედასა და უკუშემატებელი ვიქნებით, დიმ. ყიფიანისა და თ. ეორდა-  
ნიას „გრამმატიკათა“ ფარგლებს ვერ გავცილდებით და ბოლოს შესაძლოა  
იმ ანარქიის მოჩვენებაც ამოვყოთ თავი, საითკენაც ვრ. ყიფშიძის 1895 წლის  
პროექტს მივყევართ.

ამგვარად, არც ერთი თეორია, არც ერთი შემოგანხილულ პროექტთაგანი  
(ქართული ენის მოწესრიგებისა) სასურველ შედეგს არ იძლეოდა და, თუ მხედვე-  
ლობაში მათ საერთო ხასიათს ვიქონიებთ, არც შეეძლო დადებითი შედეგი  
მოეცა: ზოგი მათგანი ორკუთხუბის აშკარა ბეჭედს ატარებდა და ძველსა და  
ახალს შუა რუკედას განიცდიდა, ზოგიც პირდაპირ სამწერლო ენის ფორმათა  
ანარქიის ჰქადაგებდა, ზოგიც ამგვარ ანარქიას მწერლობაში კარს უღებდა,  
ხოლო საერთოდ ყველანი საქირო სიმტკიცესა და გარკვეულობას იყენენ მო-  
კლებულნი.

## 2.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი ენის პრაქტიკასა და თეორიაში ხსე-  
ნებული რუკედა და გაურკვეველობა სუფევდა, „დროების“ სამწერლო ტრადიცი-  
ებზე დაარსებულ „კვალში“ მოკლე წინასწარი მოხსენების სახით გამოქვეყნდა,  
ხოლო შეიდიოდე წლის შემდეგ ვრცელ გამოკვლევად დაიბეჭდა ერთი, მკა-  
ფიოდ ჩამოყალიბებული და საკმაოდ ფართოდ განზრახული, მაგრამ, როგორც  
ქვემოთ დავინახავთ, ვიწრო სუბიექტიური ხასიათის პრინციპზე დაყრდნობილი,  
პროექტი სამწერლო ქართულის მოწესრიგებისა, რომელმაც ამ უკანასკნელ  
ოც წელს ფართო ხელმძღვანელობითი როლი შეასრულა და თავისებური კვა-  
ლი გაავლო ჩვენს სამწერლო და სასკოლო პრაქტიკაში.

ეს პროექტი ეკუთვნოდა დამსახურებულ პედაგოგს და ქართული ენის  
ფხიზელ გუშავს, ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს, რომელმაც 1894 წელს „კვალში“  
დაამბეჭდა პატარა წერილი სათაურით: „ახალი თუ ძველი ენა?“<sup>1</sup>, ხოლო  
1901 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ვრცელი გამოკვლევა: „სალიტერატურო,  
ქართული“<sup>2</sup>.

პირველი წერილი იმდენად საყურადღებოა, რომ საქიროდ მიგვაჩნია მისი  
მთავარი დებულებანი სიტყვა-სიტყვით ამოვწეროთ:

„ჩვენის აზრით, — ამბობს ავტორი, — ყოველივე ენა ახლდება, იცვლება,  
მაგრამ ისე კი, რომ საძირკველათ ანუ სარჩულად მაინც ძველი ენა აქვს. ენის  
მცოდნე მკვლევარი, ხეირიანი მწერალი ბრმათ არ უნდა ემორჩილებოდეს არც  
ძველსა და არც ახალ ფორმებს, არამედ მათ შორის ერთ-ერთი აირჩიოს, რო-

1. „კვალი“ 1894 წ. № 32, გვ. 11—12.

2. „სალიტერატურო ქართული“ სილ. ხუნდაძის გამოკვლევა. ქუთაისი 1901 (X—236  
გვერდი).



მელიც უფრო კეთილშოვანი იყოს და ენის ზოგად კანონსაც უმჯობესად შეესაბამებოდეს<sup>1</sup>. ხოლო ცოტა ქვემოთ ესევე აზრი უფრო ანალიტიკურად უნდა შეხედოდეს. ამას გამოთქმული: „ხოლო, რაც შეეხება ენის განახლებას, გამდიდრებას და საზოგადოდ პროგრესს, ჩვენ ეს ამგვარად გვესმის: 1) გავეთავისუფლოთ ჩვენი დღევანდელი ენა ძველი ენის მიმე ფორმებისაგან (მაგალითად ვიხმაროთ: ავედი, გავათავისუფლეთ, და არა ადვედი, განვათავისუფლეთ, და მით ნაკლებ გავათავისუფლეთ, სადაც ნ-ს არავითარი სიმართლე აქვს); 2) გავეკეთილშოვანოთ ენა სიტყვებში მრავალ თანხმოვანობის მოსპობით (მაგალითად ვიხმაროთ: მიხმანე და არა მიხმანე, წავიდენ და არა წავიდენ, ცდილობს და არა სცდილობს, ცხოვრობს და არა სცხოვრობს და სხვ.); 3) სიტყვები წინადადებაში მარტივით, უბრალოთ დაეაწყეთ (მაგალ. „ქვეყნის დიდი საქმე თავგანწირვას ითხოვს“, და არა „ითხოვს თავგანწირვას დიდი საქმე ქვეყნისა“).“<sup>2</sup>

ამგვარად ამ ამონაწერში სამი მთავარი დებულებაა და სამშივე წითელ ხაზად გატარებულია ენის ფორმების სიმსუბუქის ანუ კეთილშოვანობის პრინციპი.

არსებითად ამასვე გვეუბნება ავტორი თავის ვრცელ გამოკვლევაშიაც. აი რამოდენიმე ადგილი მისი „წინასიტყვაობიდან“:

„არცერთ ლიტერატურულ ენაში არ არის ფორმების იმისთანა მრავალგვარობა, როგორც დღეს ქართულში არსებობს. ძველათ ჩვენი მწერლობის ენა თითქმის არ ყოფილა ერთმანეთისაგან განსხვავებული, და დღეს კი, რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმაა და სიტყვების თუ წინადადებათა სხვადასხვაგვარი წყობილება“.<sup>3</sup>

შემდეგ ავტორი ამ ფორმათა მრავალგვარობის მიზეზსაც უჩვენებს. მისი აზრით, „ამ მრავალგვარობის მიზეზი ის არის, რომ ხალხს ენის ფორმები თანდათან შეუცვლია, მწერალნი კი ამ თანდათანობას არ მიყოლიან: ზოგი ძველს ფორმაზე შეჩერებულა, რადგან მათთვის შეუჩვევია თვალ-ყური, ზოგს კი უახლესი ფორმები შეუთვისებია და იმით აძლევს უპირატესობას.“<sup>4</sup>

ფორმების მრავალგვარობის მეორე მიზეზს, ავტორის სიტყვით, „კიდევ ის გარემოება შეადგენს, რომ საქართველოს ხალხი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად ლაპარაკობს, განსხვავებულ ფორმებს ხმარობს“.<sup>5</sup> „ჩვენი მწერალნიც თავის თხზულებებში ხშირათ იმ ფორმას ხმარობენ, რომლისთვისაც პატარაობიდან შეუჩვევიათ სმენა, ე. ი. თავის კუთხის ენას. ამ მხრით განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილის მწერალნი იტყვიან თავისუფლათ, და, რა სიტყვასაც ან ფორმას ყურს მოკრავენ თავის სოფელში, ყველაფერი ლიტერატურულ ენაში შეაქვთ. ეს მათი საქციელი იმ ცრუ აზრზეა დამყარებული, რომ ლიტერატურული ენა თავიდანვე ჩვენი კუთხის ენა ყო-

<sup>1</sup> „კვალი“ 1894 წ. № 32, 12.

<sup>2</sup> „სალიტრატ. ქართული“, გვ. III.

იქვე, გვ. IV.

იქვე გვ. V



ფილოს და დღესაც ის უნდა იქნესო“... „რა თქმა უნდა, — განაგრძობს — სტო-  
რი, — სადაც ხალხის ცხოვრება უპირველესად განვითარდა, მხარველი მსჯელობ-  
ლაწივებიც იქ გაჩნდნენ და სამწერლო ენის საფუძვლათაც იქაური კოლო დად-  
გინდა. ამისდა მიუხედავად „ვისრამიანიში“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე-სი-  
რულეში“ და სხვ. ბევრი ადგილი მოიპოვება, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი  
ძველი მწერალნი პროვინციებს უყურადღებოდ არ სტოვებდნენ და, თუ რაიმე  
იქაური ენაში მოეწონებოდათ, ლიტერატურულ ენაში შექონდათ“.<sup>1</sup>

აქედან ავტორს დასკვნაც შესაფერისი გამოაქვს:

„ჩემი აზრიც ლიტერატურული ენის შესახებ ეს არის: 1) ქართველი ლი-  
ტერატორი რომელიმე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არა-  
მედ საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს ყურადღებას და  
იმათგან უსაკიროესი სიტყვები უნდა გამოკრიფოს და უკეთილზმოვანესი  
ფორმები იხმაროს; 2) ჩვენი მწერალნი აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ — ერთ-  
გვარი ფორმები იხმარონ, ერთგვარი კანონებით იხელმძღვანელონ სიტყვების  
ცვალებასა და წინადადებათა წყობილებაში“.

ამგვარად სალიტერატურო ქართლის მოწესრიგების საბოლოო მიზნად  
ავტორს დასახული აქვს ფორმათა ერთგვარობის დამყარება და წინადადებათა  
წყობილებაში ერთგვარი კანონების დადგენა; მასალად ამ მიზნისათვის უნდა  
გამოყენებულ იქნეს საქართველოს ყოველი კუთხის ენა; ხოლო სახელმძღვანე-  
ლო პრინციპად სხვადასხვა ფორმათაგან ერთერთის არჩევის დროს უნდა მი-  
ღებულ იქნეს წმინდა სუბიექტური პრინციპი „უკეთილზმოვანებისა“ (უკეთილ-  
ზმოვანესი ფორმები). და მართლაც მთელს გამოკვლევაში ავტორი მტკიცედ  
მისდევს ამ პრინციპს. მაგრამ, რადგან ეს პრინციპი არც მეცნიერულია და თან  
უკიდურესად სუბიექტურიცაა, — ამიტომ ავტორი, როგორც შეილი განსზღვრუ-  
ლის დიალექტური წრისა და პროვინციისა, უზრუნველყოფილი არ არის სწო-  
რედ იმ პროვინციალური ცალმხრივობისაგან, რისთვისაც თვითონ სრულიად  
გულწრფელად და მართებულად აღმოსავლეთის მწერლებს ემღერის. მართ-  
ლაც, თუ ამ გარემოებით არა, სხვით რით შეგვიძლია აეხსნათ ის მოვლენა, რომ  
ბატონის ს. ხუნდაძის „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ უარყოფილია მთელი  
რიგი ლიტერატურაში მიღებულის ფორმებისა და სამაგიეროდ მიღებულია  
შემდეგი ფორმები: აზდა, აზდილი, ამიდი, აქით, აქითური, ახთა, ახთენა, გან-  
საცთელი, ვახთა, ვახთომა, გაქივრება, გაქივრებული, გოზნაყი, დასოვლება,  
კენისთვე, თვარა, თუთხმეტი, კვეთრი, კვდარი, მაქ (და არა მანდ), მიდორი,  
მოცთა, მოხთა, მოხთენა, მოხთომა, მწყესი, ნამუშავერი, პალური, პირაქით,  
რგვალი, საზდო, საზდოება, საშვალი, საშვალება, სიმიდი, სხვერპლი, სხელი,  
ტკაველი, უზდელი, უზდლობა, ქორგა, კურდგელი, შეცთენა, შეცთომა, შეა-  
დღე, შეამაველი, შეამდგომელი, ჩვარი, ძევალი; ძივი, წამხთარი, ქვალი, ქვარ-  
ტლი, ქივრება, აგრეთვე მიმართულებითს (ვნებითს) ბრუნვაში დაბოლოება

<sup>1</sup> იქვე გვ. V—VI.

<sup>2</sup> იქვე გვ. VI—VII.

<sup>3</sup> სალიტერატ. ქართლელი, გვ. 206—229. შეად. „ქართ. გრამატიკა“ 1907 წ. გვ. 258—260.





თ-ანი<sup>1</sup> და სხვანი?... ამგვარი შეკეცილი და «დარბილებული» ტერმინები უმთავრესად იმ კილოს ახასიათებს (იმერულ-გურულს), რომელსაც ჩამომავლობით პატივცემული ავტორი ეკუთვნის.<sup>2</sup> მართალია ზოგიერთი ფორმის სასარგებლოდ ავტორს შეუძლია ძველი მწერლობა და გრამატიკული «კანონიერება» მოიშველიოს (ის ზოგჯერ ასეც იქცევა), მაგრამ, როცა სადავო ფორმათა შორის არჩევანს იწყებს, ბოლოს და ბოლოს უპირატესობას იმ ფორმას აკუთნებს, რომელიც მისთვის «უფრო კეთილბოვანია», «მსუბუქია» ან «მარტივი», ე. ი. სწორედ იმას, რომლისთვისაც ბავშვობიდან ყური შეუჩვევია. სხვათაგანად რომ ვთქვათ, საბოლოოდ გადაწყვეტი პნიშვნელობა ამ შემთხვევაში ეძლევა არა ხაკუთრივ ისტორიულსა და გრამატიკულ «კანონიერებას», არამედ წმინდა სუბიექტურს მოტივს პროვინციალური «გემოვნებისა».

მაგრამ, როგორც ვიცით, ავტორს «კეთილბოვანების» პრინციპი თავის პროექტში საყოველთაო პრინციპად აქვს გამოცხადებული, რომლითაც ყოველმა მწერალმა უნდა იხელმძღვანელოს. და, რადგან ყოველი მწერალი უსათუოდ ეკუთვნის აღზრდითა და ჩამომავლობით ან იმერეთს, ან აშერეთს, ან რომელსამე შორეულს თუ მახლობელ პროვინციას, ამიტომ, უგუველია, პროექტი დადებითს შედეგს ვერ მიახწევს: მწერლობაში არსებულ ანარქიას ირამცთუ ეს პროექტი ვერ მოსპობს, პირიქით შესაძლებელია უფროც გააღრმავოს იგი და გააძლიეროს.

ამგვარად ბ-ის ს. ხუნდაძის პროექტსაც ბოლოს და ბოლოს ანარქიისაკენ მივყავართ: გრ. ყიფშიძისა და პ. ჭარაიის 1895 წლის პროექტების მსგავსად ეს პროექტიც გამოუსადეგარია იმ ფორმათა მრავალგვარობის მოსასპობად. რომელიც ჩვენი დროის სამწერლო ენას ახასიათებს. ამასთან ერთად დასახელებული პროექტი, რასაკვირველია ავტორის სურვილის წინააღმდეგ, სულ ადვილად შეიძლება გადაიქცეს სამწერლო ენის საკეში და საერთოდ მწერლობაში პროვინციალური განხეთქილებისა და განკერძოების საფუძელად. ამ მოსალოდნელი საფრხის წინააღმდეგ არსებითად არაფერს ლაპარაკობს არც ის ფართო შემოხაზვა საენო მასალისა, რომელსაც ავტორი იძლევა: «ქართველი ლიტერატორი რომელიმე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს ყურადღებას». გამბობთ: ეს ფართო შემოხაზვაც საენო მასალისა ხელს ვერ შეუშლის პროვინციალურს განკერძოებას სამწერლო ენის ფორმებში, რადგან არჩევანი ამ ფართო მასალიდან ბოლოს და ბოლოს თვითონ მწერალმა უნდა მოახდინოს «კეთილბოვანის» პრინციპის თანახმად, ან როგორც ავტორი ბრძანებს: ყოველმა

<sup>1</sup> სალიტ. ქართ. გვ. 17-18; ქართ. გრამატ. გვ. 4-7. აგრეთვე წმინდის ფორმებიდან თბილქტურთ პრეფიქსის ჰა-ეს განუყვანა. იხ. «სალიტ. ქართული» გვ. 48-51.

<sup>2</sup> რომ არცერთი ზემოწამოთვლილი ფორმა ავტორის შეთხვეული არ არის, ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ავტორი შემდეგ სიტყვებში: «პრიტიკამ ერთი რამე არ უნდა დაიფიქსოს: შე თვითონ არაფერს არ ვთხზავ, არამედ სხვადასხვა კუთხის (ამერეთ-ის თუ იმერეთი) ფორმებსა და სიტყვებში უპირატესობას იმას ვაძლეე, რომელიც ჩემი სმენითა და გემოვნებით უფრო კეთილბოვანია და მასთან ქართული ენის თვისებასაც არ ეწინააღმდეგება» («ქართ. გრამატიკა» 1907 წ., გვ. II).



მწერალმა ამ მასალიდან „უსაპიროვისი სიტყვები უნდა გამოკრძალოს“<sup>1</sup> და უკეთილ-  
 ხმოვანესი ფორმები იხმაროსო“; და, რადგან კეთილხმოვანესმა „ქმარში“ სრულ  
 პროვინციას თავისებურად ესმის, ამიტომ ადვილად შეიძლება ასარჩევი მასა-  
 ლის ტერიტორიალურად გაფართოებამ არამცთუ ხელი არ შეუშალოს ზემო-  
 ხსენებულ საფრზეს, არამედ პირიქით, ფორმათა შეგვიბრებაში ახალ-ახალი  
 რაიონების ჩათრევით, უფრო გაამრავლოს განკერძოებისა და განხეთქილები-  
 საკენ მიმდინარე ნაკადულები. ერთი სიტყვით, იმ ვიწრო სუბიექტური პრინ-  
 ციპის გვერდით, რომელიც პატივცემული ავტორის პროექტს საფუძვლად უძევს,  
 ყოველგვარი გაფართოება საენო მასალის რაიონისა შესაძლებელია თვით სამ-  
 წერლო ენაში ბოლოსდაბოლოს თავისავე წინააღმდეგობად იქცეს, ან, უკეთეს  
 შემთხვევაში, სადავო ფორმების რიცხვი გაამრავლოს და ანარქია გააძლიეროს.  
 ასეთია ჩვენი საბოლოო დასკვნა ბ-ის ს. ხუნდაძის „სალიტერატურო  
 ენის“ შესახებ.

თავისი ნაშრომის წინასიტყვაობის ბოლოში ბ-ნი ს. ხუნდაძე იძლევა საინ-  
 ტერესო ცნობას იმ პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ, რომელიც, ავტორის ინი-  
 ციატივით, გადაუდგამს ქუთათურ ინტელიგენციას სამწერლო ენის სადავო ფორმე-  
 ბის მოწესრიგების საქმეში. „ამ გამოკვლევას ვკითხულობდიო, — ამბობს იგი, — 1899  
 — 1900 წლების განმავლობაში, ზამთრობით, ქართული ენის მოყვარეთა მცირე-  
 რიცხოვან წრეში, ქუთაისში. კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით — და ბევრი დრო  
 მოვანდომეთ სადავო კითხვების გამორკვევას. პირველ სდომაზე შემდეგი წინა-  
 დადება მიგვიცხი ხსენებულ კრებას: დავასახელოთ საქართველოს ორივე მხრი-  
 დან ქართული ენის მკოდნე პირები, მოვახთინოთ მათგან კრება სადმე, დაევალოთ:  
 — შეიმუშაონ ქართული ენის სადავო ფორმები, და, რასაც ისინი დაადგენენ,  
 სავალდებულოდ გაეხადოთ ყველამ და სამწერლო ენაში საერთოდ ის ფორმები  
 ვიხმაროთ მეთქი. — ჩემი წინადადების დედააზრი ყველას მოეწონა, მაგრამ მისი  
 პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებლათ ვერ დაინახეს — და ამიტომ კერ-  
 ძო წრეში დავიწყეთ იმ შრომის კითხვია“.<sup>2</sup>

სწორედ ხუთი წლის წინათ (1895 წლის) ამგვარსავე წინადადებას აძლე-  
 ვდა ბ-ნი პეტრე ჭორაიაც მკითხველ საზოგადოებას (ენის მკოდნე პირთა ური-  
 ლობის მოწვევის შესახებ) თავის წერილში, რომელსაც ზემოთ გივეყანით,<sup>3</sup>  
 მაგრამ იმ წინადადებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. როგორცა ჩანს,  
 ბ-ნის ს. ხუნდაძის განზრახვა უფრო ბედნიერი გამომდგარა: იმის წინადადებას  
 ის ნაყოფი მიიღე გამოუღია, რომ კერძო წრეში დაწყებულა ამ დიდისა და  
 საშვილიშვილო საქმისათვის მუშაობა.

მაგრამ ბატონ ს. ხუნდაძეს, როგორც მასწავლებელსა და ლიტერატორს,  
 სხვაგვარი პრაქტიკული გზებიც მოეპოებოდა თავისი პროექტის ცხოვ-  
 რებაში გასატარებლად. ეს გზები გახლდათ: სკოლა (ქართული ენის კათედრა)  
 და გაზეთი, რომელშიაც ავტორი თანამშრომლობდა. მართლაც 1904 წელს  
 გამოვიდა მისი „ქართული გრამატიკა“, რომელიც მთლად მის გამოკვლევაზე

1. სალიტერ. ქართული, გვ. VIII.

2. „მოამბე 1895 წ. № IX.



(„სალიტერატურო ქართულზე“) იყო დამყარებული, ეს სახელმძღვანელო ისეთის ხელოვნებითა და მოწადის ბუნების ცოდნით იყო დაწვრილებული, რომელიც სამი წლის შემდეგ ახალი გამოცემა შეიქნა საქირო და მასუკან კიდევ რამდენჯერმე დაიბეჭდა.

მაწინ ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ ბ-ის ს. ხუნდაძის სალიტერატურო ქართული და გრამატიკა თანდათან ფართო სარბიელს ჰპოულობდა და ფებს იკიდებდა სწორედ იმ დაწესებულებებში, საიდანაც ჩვენი მოზარდი თაობა გამოდის. 1911 წელს ამას შემდეგი ნაბიჯიც დაერთო: გაზეთ „კოლხიდის“ სარედაქციო კოლეგიაში მყოფმა ბ-ნმა სილ. ხუნდაძემ გამოსცა „ამ გაზეთის თანამშრომელთა საყურადღებოდ“ მოკლე სახელმძღვანელო (სულ 14 გვერდად) სათაურით: „ქართული მართლწერა“, რომელიც მისი „სალიტერატურო ქართულისა“ და „გრამატიკის“ კომპენდიუმს წარმოადგენდა. მართალია, წიგნაკი მხოლოდ „კოლხიდის“ თანამშრომელთათვის იყო გამოცემული პრაქტიკულის მიზნით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფართო საზოგადოებრივ ინტერესსაც არ იყო მოკლებული და ამიტომ დაუყოვნებლივ მიიქცია ყურადღება. რადგან ამ წიგნაკში, ისე როგორც „სალიტერატურო ქართულსა“ და „ქართულ გრამატიკაში“, ავტორის აშკარა თანაგრძნობა არაამერული ფორმებისაკენ იყო, — ამიტომ ყველაზე მეტი ყურადღება ამ პატარა წიგნაკს სწორედ ამერეთში მიიქცევს. სახელდობრ მის წინააღმდეგ ყველაზე ადრე და ყველაზე უფრო ენერგიულად ბ-მა გრ. ყიფშიძემ გაილაშქრა, ე. ი. იმ პირმა, რომელიც 16 წლის წინათ, როგორც ვნახეთ, ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სამწერლო ენაში ფონეტიკურ-მორფოლოგიურ მრავალსახეობას და ყველა კუთხისა და დიალექტის ფორმათა სრულ სწორულელებიანობას ჰქადაგებდა. ესეც, ალბად, ჩვენი ახალი სალიტერატურო ენის ისტორიის მეორე კუროხად უნდა ჩაითვალოს (პლატონ იოსელიანის გამოცემის შემდეგ ახალი ენის მიმრქმელის როლში).

ამ ნიადაგზე ამტყდარი პოლემიკა იმდენად საინტერესოა წინამდებარე საკითხის ისტორიისათვის, რომ საჭიროდ ვრაცხთ, მისი მთავარი მომენტების აღნუსხვას ჩვენს მოხსენებაში ცალკე ადგილი დავუთმოთ.

3

თავის პირველ წერილში<sup>1</sup> ს. ხუნდაძის წიგნაკის გამო ბ. გრ. ყიფშიძე სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩვენს ძეგლებს „თავიანთი მართლწერა ჰქონდათ შემოშვებული“, „ახალმა მწერლებმა კი დომხალივით აურთიეს ძველი და ახალი სიტყვები, საგრამატიკო ფორმები, ეტიმოლოგია და სინტაქსიოა“.<sup>2</sup> მაგრამ ავტორს აღარ ახსოვს, რასაც 16 წლის წინათ თვითონ ჰკადაგებდა და ურყველ მცნებად აღიარებდა: ყველა წერა, რომელიც კი უცხო ენიდან არაა შემოტანილი და საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში იხმარება, „კანონიერია, ხამართლიანი და მორფოლოგიის მიერ შეწყყარებული, და არა-

<sup>1</sup> ბიბლიოგრაფია: „ქართული მართლწერა“. იხ. ურნალი „ჯანათლება“ 1911 წ. № VIII, ოქტომბერი, გვ. 497—500.

<sup>2</sup> იქვე გვ. 498, სვეტი მე-2.



ვის არავითარი არც ნება აქვს და არც შეუძლია მოითხოვოს „**იხმარეთ  
ეს სიტყვა და არა იხეო**“.<sup>1</sup> ამიტომ პირდაპირ ვაუგებთ ამ „**იხმარეთ**“  
რომლითაც ბ.ნი გრ. ყოფშიძე ახლა „მესამე დასვლების“ მწერლებს იხსენიებს:  
„ახირებულის მართლწერით უფრო იმ ეურნალ-გაზეთებმა გაითქვეს სახელი,  
რომელსაც ჰბეკდადნენ და ჰბეკდავენ ახლაც ესრეწოდებულნი მესამე დასვლ-  
ნი და მარქსის მოძღვრების მიმდევარნიო. ეს ბატონები თან უარპყოდნენ ერს.  
ეროვნებას, ეროვნულ საქმეს და თან ტრაბახობდნენ, ქართული სხვაზე უაქ-  
ლებად არ ვიცითო. რანაირი ქართულიც იციან და ან ქართულია თუ არა ის  
ჩიქორთული, რომლითაც უმრავლესი მათგანი სწერდა თავისიანების გაზეთებ-  
ში, ეს საკმაოდ იცის ყველამ, ვისაც წმინდა ქართულისათვის გული შესტკი-  
ვაო“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, პატივცემული და დამსახურებული ლიტერატორი  
16 წლის წინათ „კანონიერი“ და „მორფოლოგიის მიერ შეწყენარებულ“  
ფორმად აღიარებდა ყველა ფორმას, რომელიც კი ჩამომავლობით წმინდა  
ქართულია და საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში იხმარება. მაშასადამე უნდა  
ვიფიქროთ, რომ იმ თვალსაზრისით „კვალის“ (იმავე „მესამე დასვლების“)  
ენაც კანონიერი და მორფოლოგიის მიერ შეწყენარებული ყოფილა, რადგან ვე-  
რაეინ ვერ დაამტკიცებს, რომ ის მორფოლოგიური თავისებურობანი, რომელ-  
ნიც დასახელებული ჯგუფის ენას ახასიათებენ, საქართველოს რომელსამე კუთ-  
ხეში და კილოში არ იხმარებოდენ.

დღეს კი ავტორი გამოსულა და ამ ენას „ჩიქორთულს“ და „არაქარ-  
თულს“ ეძახის. უნდა ვიფიქროთ, მაშასადამე, რომ ამ თექვსმეტი წლის განმავ-  
ლობაში ავტორს რაღაც ახალი კრიტერიუმი, ახალი საზომი გამოუჩნდავს იმის  
გამოსაცნობად, თუ რომელი ფორმაა „წმინდა ქართული“ და რომელი „ჩიქორ-  
თული“.

იკითხება: რა საზომია ეს საზომი?

ყოველ ექვს გარეშეა, რომ პატივცემულ ავტორს ასეთ საზომად ფორმა-  
თა „კეთილზნოვანება“ არ მიაჩნია, რადგან თვითონვე გვეუბნება: „კეთილზნო-  
ვანება სუბიექტიური კრიტერიუმი და საბუთოდ არ გამოდგებაო“.<sup>3</sup>

ისიც ექვს გარეშეა, რომ ავტორს ამგვარ საზომად არც ძველი ენა და  
მისი ფორმები მიაჩნია, რადგან თვითონვე აღიარებს, რომ „ძველს ენაზედ და-  
შვარება და ძველის სავესებით მიბამევა სიკვდილი იქნება ჩვენის სულიერის შე-  
მოქმედებისათვის, რადგან იმას სიცოცხლის ძარღვი ჩაწყვეტილი აქვს, სახი-  
ცოცხლო დღლილში აღარ არის და არც დაუცავს ფერადნი, ელვარე გამოთ-  
ქმანი, არა თუ მრავლად, არამედ მცირედაც-კი. გარნა სწორედ ეს ფერადნი,  
ეს ელვარე გამოთქმანი, ეს უცნაური ბრწყინვა ენისა და შრავილგვარი კომბი-  
ნაცია სიტყვებისა ახალ ცნებათა გამოსატქმელად მხოლოდ ცოცხალს, დღევან-

<sup>1</sup> „მოამბე“ 1395 წ. № IV, გვ. 51—55.

<sup>2</sup> „ჭანათლება“ 1911 წ. № VIII, გვ. 498, სვეტი 1.

<sup>3</sup> იქვე გვ. 498, სვეტი 2, სტრიქ. 18—20.



დელს ენას ეხერხება და არა ენას წარსულისას, თითქო უკვე გვეყვებოდეს: „გაქვე-  
ებულს“<sup>1</sup>.

რახან ავტორი «კეთილხმოვანების» პრინციპს მისი «სუბიექტურობის»  
გამო იწუნებს, ხოლო ძველ ენას იმიტომ უარპყოფს, რომ ეს ენა ცოცხალი აღარაა:  
არამედ „თითქო უკვე მკვდარია და გაქვეყებული“, — ჩანს, თვითონ რაღაც ობი-  
ექტურ საზომსა და რაღაც ცოცხალ საფუძველს უნდა ემყარებოდეს.

რა საფუძველია ეს საფუძველი?

ამის პასუხს ავტორი იქვე იძლევა:

„მაშ რას დაუფლოთ ყური? რასა და ქართლს, იმ პროვინციას, საცა ხა-  
ლხი, მდაბიო და დიდებული, ლაპარაკობს ლიტერატურულის ენის კილოთი,  
საცა ვგ კილო და ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო ენა თითქმის არ გან-  
სხვავდება და უბრალო გლეხი და გლეხის დედაკაციც-კი ისე ლაპარაკობს,  
თითქო ჩვენს საუკეთესო სალიტერატურო ნაწერებზედ აღზრდილია“<sup>2</sup>.

ამგვარად: ქართლი და ქართლის კილო, — აი ის ობიექტური საზომი და  
თან საფუძველი, რომელზედაც უნდა გყრდნობოდეს ჩვენი თანამედროვე სამწერ-  
როლო ენა, და რომელსაც ყურს უნდა უგდებდეს ყოველი მწერალი და მკვლე-  
ვარი, „ვისაც წმინდა ქართულისთვის გული შესტკივა“.

ასეთია ბ. გრ. ყიფშიძის ახალი შეხედულება თანამედროვე სალიტერა-  
ტურო ქართულზე, ასეთია მისი ახალი პროექტი სამწერლო ქართულის მოსა-  
წესრიგებლად.

ამ პროექტს, როგორცა ჩანს, თანამგრძობლებიც ჰყოლია: ამას ამტკი-  
ცებს „განათლების“ იმავე ნომერში მოთავსებული წერილი ვინღაც „იმერლია-  
სა“, რომელიც ასეთის უშვერი სიტყვებით ლანძღავს იმერულ კილოს (ალბად  
„ქართლის კილოს“ ასამაღლებლად):

„იმერული ბუნებით მოუხეშავი, მკვებე კილოა, ფონეტიკურ-გრამატიკუ-  
ლად ხშირად მახინჯიო“<sup>3</sup>.

ამგვარად, ახალი პროექტის გამოჩენა იმერული კილოს ლანძღვა-გინები-  
თა და ქართლის კილოს განდიდებით დაიწყო.

ამ გამოსვლების წინააღმდეგ სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი სილ. ხუნდა-  
ძე თავის საპასუხო წერილში, <sup>4</sup> რომ „სალიტერატურო ენისათვის მარტო-  
მარტო არც ქართლის ენა გამოდგება, არც კახეთისა, არც იმერეთისა და  
არც სხვა კუთხისაო... მართალია, ჩვენს ძველ სალიტერატურო ენას საძირკვე-  
ლად ქართლის ენა დაედვა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართლს ვის-  
განმე ნება ქონდეს მინიჭებული — ყოველ სხვა კუთხეს შემოკმედეგის ნიჭი და-  
უხშოს და კედლების აშენებასა და საზოგადოდ შენობის გამწვინეირებაში მო-

<sup>1</sup> იქვე გვ. 499—500.

<sup>2</sup> იქვე გვ. 499, სტრიკ. 21—23.

<sup>3</sup> იქვე გვ. 504 (წერილი: „განა ჰაე ხორცმეტაო“).

<sup>4</sup> „ქართული თუ ქართლური“ (ჯერნ. „განათლება“ 1911 წ. №1X—ნომბერი, გვ. 527—533) გადმობეჭდილია ვახ. კოლხიდიძის, როგორც რედაქცია შენიშნავს, „მცირე შემოკ-  
ლებით“.



ნაწილეობის მიღების საშეაღება მოფსპოს. ქართლის ენის **საქორკველთბებ** ჩვენ არ უარყოფთ. ხოლო კედლებისა და საზოგადოთ ენის შენობისძარცვამძის შემოქმედებაში სრული ნება გვაქვს მონაწილეობა მივილოთ და სწორუფლებიანობა მოვითხოვოთ. ბატონყმობა არავითარ სფერაში სანატრელი და სასიხარულო არც ყოფილა და არც იქნებაო<sup>1</sup>.

ამასთან ერთად ბ-ნი ს. ხუნდაძე ჩამოსთელის ქართლურ ფორმებს, რომელთა შეწყწინარება სალიტერატურო ენაში, მისი აზრით, შეუძლებელია:

„ქართლში, როგორც ვიცი, ხალხი ხმარობს, მაგალითათ, შემდეგ სიტყვებსა და ფორმებს: **ამთენი, იმთენი, ამოტელა, რამოტელა, მუშაობას დავიწყობ, მოვესწრობი, წავიკითხამ, წყალსა სვავთ, გახხნილი, ხხნილი, ხუთნი ძმანი, მყოლიყო, მქონიყო, გვანდა, მყვანდა, გამიბედნია, შემიბედნია, ესე (ახე-ხ მაგიერ), კიდენ ან კიდონ, ღმთის წყალობა და სხვა. როგორ გვიბრძანებთ, ბ. გრიგოლ: ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენაში უნდა შევიტანოთ?!...<sup>2</sup> ხოლო ცოტა ქვემოთ განაგრძობს: „ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი ხალხი, მთელი ერი, და არა რომელიმე ერთი კუთხე, რადგან ზოგიერთი ტერმინი ან ფორმა ერთი კუთხისაა აზრიანი და კეთილხმოვანი, ზოგი კი—მეორე კუთხისა. **ხალხის შემოქმედება** მარტო ერთ კუთხეში კი არ ამოძრავებს ადამიანის ნიქს, არამედ ყოველ კუნჭულში; და, თუ იმერლის ნიქიერებამ რაიმე სასიამოვნო ფორმა და აზრიანი ტერმინი შექმნა, ქართლელს ნება არა აქვს კრინტი დასძრას, რომ ეს **იმერულია** და ამიტომ არ მიინდა მივილოყო“<sup>3</sup>.**

დასასრულ, თავისი მეორე მოკამათის „იმერლის“ საგულისხმოდ, ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ „თუ იმერული ოდესმე ქართლის კულტურისათვის სტუმრის როლში ყოფილა“ (როგორც „იმერელი“ ბრძანებდა), მუდამ სტუმრად ვერ დარჩებოდა და—საუკუნეთა განმავლობაში—უნდა „მოშინაურებულიყო“ და ისიც მასპინძლების როლში უნდა ჩამდგარიყო. და კაი ხანია კიდევაც ჩადგა იმერეთი ამ როლში და მისი შეგნებული ნაწილი **ქართული კულტურის** (და არა მხოლოდ **ქართლურის**) პროგრესისათვის შედგრაით იბრძვის. ბ. იმერელს, ბ. გრ. ყიფშიძესთან ერთად, გონია, რომ ქართველი ერის შესვეურობა უთუოდ **ქართლელმა** უნდა იკისროს. და ჩვენი აზრით კი ქართველ ერს ყოველგვარს კულტურულ წინსვლაში **ნამდვილი ქართველი** უნდა შესვეურობდეს, იმერელი იქნება ის, ქართლელი, კახელი, გურული, სვანი, ფშავი თუ ხევსური—სულ ერთია, და არა მხოლოდ **ქართლელი**... მაშ გამარჯვება ვესთუოთ მთელის ქართველი ხალხის, ქართველი ერის ენას, გამარტივებულსა და გამშენიერებულს **ქართულ ენას**, და არა **მხოლოდ ქართლურს**“<sup>4</sup>.

1. იქვე გვ. 528-529. ხაზგასმა ავტორისაა.

2. იქვე გვ. 528, სვეტი 1-2.

3. იქვე გვ. 528, სვეტი 2 და გვ. 528 სვეტი 1.

4. იქვე გვ. 532-533.

ქართული

ამ სიტყვებით თავეებს თავის პასუხს ბ-ნი ს. ხუნდაძემ: „ბ-ნი ს. ხუნდაძისა და „იმერლის“ მიმართ.

როგორც ჩანს, ს. ხუნდაძის შენიშვნებს უშედეგოდ არ ჩაუვლია, და ბ-ნი გრ. ყიფშიძე თავის მეორე წერილში: „პასუხად ბ-ნი სილოვან ხუნდაძეს“, <sup>1</sup> თუმცა არსებითად იმავე პოზიციაზე დგას, რომელზედაც წინა წერილში იდგა, მაგრამ ამასთანავე ისეთს განმარტებებს იძლევა, რომ აშკარაა მის აზროვნებაში ევოლუცია მომხდარა. აი ამისი დამამტკიცებელი ადგილები თვით ამ სტატიიდან:

ა) „ბ-ნი სილოვანი ქართლს უწუნებს ზოგიერთ ფორმასა და სიტყვას. მართალიც არის ამ შემთხვევაში. არც მე ვყოფ უარს, რომ, როგორც ქართლში, ისე სხვაგან ბევრია დამახინჯებული სიტყვა და გრამატიკული ფორმა. არც მითქვამს სადმე, რომ ეგ დამახინჯებული ფორმები და სიტყვები იხმარეთ სამწერლო ენაშიო. მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ, თუ გვინდა კარგის სალიტერატურო ენათა ვსწეროთ, ქართლს უნდა დაუგდოთ ყური მეთქი. ახლაც ამასვე ვიტყვი. თქვენც ხომ მემოწმებით და სხვანიც ამტკიცებენ..., რომ ქართლის კილო დაედო საფუძვლად ქართულს სალიტერატურო ენას. ხოლო, რაკი ეს გარემოება უტყუარი და შეუარყველი ფაქტია, მაშ, უნდა ისიც შევიწყნაროთ, რომ ბუნება და სული ამ კილოსი საესებრთ გამოჰყვა მაგ კილოზედ დამყარებულს ჩვენს სალიტერატურო ენას. და, თუ ამას შევიწყნარებთ, აუცილებელია, ის აზრიც უნდა შევიწყნაროთ, რომ, თუ გვინდა არ დავამახინჯოთ სული და ბუნება ჩვენის სალიტერატურო ქართულისა, ყური უნდა დაუგდოთ უმეტესად ქართლის კილოს, ქართლის ლაბარაკს, რომელიც საძირკველია მაგ სალიტერატურო ქართულისა. ეს იმას როდი ჰნიშნავს, ბ-ნი სილოვან, რომ ქართლის კილოში დამახინჯებული ფორმები არ შეპარულიყოს, დამახინჯებული სიტყვები არ მოიქმნებოდეს. ეს იმასა ჰნიშნავს მხოლოდ, რომ ქართლის კილოს აგებულება, სული და ბუნება უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვინდა კარგისა და ლაზათიანის სალიტერატურო ენის შეთვისება“.<sup>2</sup>

ბ) „ამის თქმა, — განაგრძობს ავტორი, — სრულიად არა ჰნიშნავს აგრედვე, რომ ჩვენთა კლასიკოსთა ნაწერები უყურადღებოდ დავტოვოთ, ჩვენი ძველი მწერლობა აბუჩად ავიგდოთ და ყურადღება არ მივაქციოთ. ჩვენ კარგად ვიცით..., რომ სალიტერატურო ენის გამშვენიერებისათვის რამდენიმე წყაროა: **ხოფელი**, საცა ქართული თავისუფლად იბრუნებს სულს და სჩქეტს ანკარა წყაროსავით შეურყვნელ-გაფრყვნელი, ძველი **მწერლობა**, მაშინდელი, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო, თავისუფალი, აღუვალებული და როცა ყოველს დარგსა და სფეროში ქართული ჰბატონობდა, უფლობდა, თავისუფლად ჰნაეარდობდა, და **მწერლობა ახალი**, საუკეთესო მწერალთაგან შემუშავებული“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იქვე გვ. 558-569.

<sup>2</sup> იქვე გვ. 558.

<sup>3</sup> იქვე გვ. 559-560.



ქართული

გ) კერძოდ პირველი წყაროს შესახებ ავტორი ამბობს: „ეს არის ის, რა ვიგულისხმობთ სოფელად, რომელი სოფელი ვიგულისხმობთ: საზოგადოდ სოფლები მთლად საქართველოსი, თუ სოფლები ქართლისა? ჩემი აზრით, უნდა ვიგულისხმობთ ქართლის სოფელი, ქართლის სოფელში მოუბარი ხალხი და ისიც ყველა ვიგინდარა კი არა, არამედ რჩეულნი, ენამეტყველნი, ენის ალღოთი და ნიჭით ზედაჯილდოებულნი, სულ ერთია, რა წოდებისა და სქესისა არ უნდა იყოს ასეთი ბუნებით მცოდნე ენისა. მათი კილო და შინა ქართულის წმინდად და ლამაზად ლაპარაკისა დაცულია სხვათა შორის საერო პოეზიაში, ავრედვე პოეტურ პროზაში: ზღაპარ-არაკში, გამოცანა-ანდაზაში და სხვ. ქართლი და ქართლის სოფელი მაინცადამაინც არ უნდა შევხლდეთ მეტისმეტად მის არც წმინდა გეოგრაფიულის და მით უმეტეს არც დღევანდელ მის ადმინისტრაციულ სამზღვრებით. ქართლი, ზემო და ქვემო ქართლი, იყო და არის ხაკმაოდ ვრცელი ტერიტორია და მისი სივრცე ეფინებოდა დაახლოებით: ტფილისისა, დუშეთისა, გორისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრას, საბარათიანოს ანუ ბორჩალოს მაზრის ნაწილს, სწვდებოდა შორაპნის მაზრის ნაწილსაც, მთელს ძველ მესხეთს, რომელიც იყო ვახუშტის გეოგრაფიით, ზემო-ქართლი, ქართლის ცხოვრებით—ქვეყანაა ზემოისა ქართლისაა.“<sup>1</sup>

დ) შემდეგ ავტორი დაწვრილებით ეხება კილოებისა და მონათესავე ენების საკითხსაც: „საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი აზრი გამოვთქვათ სხვადასხვა პროვინციის კილოების შესახებაცო“—ამბობს იგი და განაგრძობს: „ჩვენ სრულიადაც ათვალწუნებით არ ვეკიდებით ამ კილოებს, როგორც იქნებ ბ-ნ სილოვანს ეგონოს; პირიქით, დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ და დიდის სიხარულითა და აღტაცებით ვეწიფებით ამ კილოებს, მეტადრე მაშინ, როცა ბელეტრისტიკაში შევხვედრივართ მოთხრობის მოქმედთა დასახასიათებლად. იმერული და გურული კილო, სავსებით დაცული მოქმედთა დასახასიათებლად განსვენებულ ნინოშვილის ამა თუ იმ მოთხრობაში და ბ-ნ დ. კლდიაშვილისაში და ამ უკანასკნელის სადრამო ნაწერებში, ჩვენს დიდს აღტაცებას და აღფრთოვანებას იწვევდა და მუდამ იწვევს, რაიცა საჯაროდა მაქვს, გამოთქმული ქართულ პრესაშიცა და რუსულშიც...“<sup>2</sup> ასევე აღტაცებით ვეკიდებოდი და დღესაც ვეკიდები ფშაურ კილოს, რომელსაც ასე გულუხვად მიჰპართვენ ხოლმე ძმანი რაზვიკაშვილნი: ვაგა-ფშაველა და ბაჩანა თავიანთ პოეტურ ნაწერებში... რაიცა შეეხება მათ პროზას, მეტადრე ვაგა-ფშაველას პროზას, იგი პირდაპირ საქრისტიანობითა მასალაა თვისის ქართულის სიწმინდითა. გაიხსენეთ, მაგ., თუნდა იმისი „შელის ნუკრის ნაამბობი“ და სხვა პატარა ეტოდები პროზად.“ შემდეგ ავტორი დიდი ყურადღების ღირსად სთვლის „ლაზურ-მეგრულ-სვანური“ ენების შესწავლას უმთავრესად სამეცნიერო მიზნით, განსაკუთრებით იმ მნი-

<sup>1</sup> იქვე გვ. 560-561. ხაზგასმა ჩვენია.

<sup>2</sup> ავტორი სხვათაშორის უჩვენებს თავის ფელეტონებს 1894 წლის „Новое Обозрение“-ში.







ის ახალი პროექტი, რომლის მომხრეც 1911 წელში გამოჩნდა მხატვართად მისი აზრი მეორე წერილშიაც იგივე დარჩა, რაც პირველ წერილშია: ახალი ქართლი და მისი ცენტრი მცხეთა-ტფილისის ისტორიულ-კულტურული ცენტრი იყო საქართველოსი, ამგვარივე ცენტრია იგი დღესაც და შემდგომაც ამგვარადვე დარჩება ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში. თუ მცხეთა-ტფილისისა და ქართლის კილო ლიტერატურაში გაბატონდა, ეს მოხდა ბუნებრივ და არა ვისიმე ძალდატანებით, ისტორიულ ევოლუციის კანონის თანახმად. ამ კანონს უნდა დაემორჩილოს დღესაც და შემდგომაც ყოველი მწერალი და ინტელიგენტი ქართველი, ვისაც სალიტერატურო ენის ერთობისა და სიწმინდისთვის გული შესტკივა.

არსებითად ამგვარისავე აზრისაა ჩვენი მეორე თანამედროვე გუშავი სალიტერატურო ენის სიწმინდისა, დამსახურებული პედაგოგი და ლიტერატორი ბ-ნი პ. მირიანაშვილი, რომელიც 1888 წლიდან მოყოლებული<sup>1</sup>. მუდამ ქართლისა და მესხეთის კილოს პრიორიტეტის აღმსარებელი იყო, არ მოსწონდა პროვინციალურ-თემური ფორმებისა და ლექსიკის შემოტანა სამწერლო ენაში, — და ეს შეხედულება საბოლოოდ გადაშალა თავის უკანასკნელ წერილში, სათაურით: „ქართველ ფილოლოგთა მომავალი ყრილობისათვის.“<sup>2</sup>

ამ წერილის ზოგიერთი ადგილი, განსაკუთრებით ის, სადაც ავტორი იმერულ „უარგონზე“ ლაპარაკობს, ძლიერ მოგვაგონებს ბ-ნის „იმერლის“ ზემოხსენებულ სტატიას თავისი სტილითა და იმერული კილოს დახასიათებით. აშკარაა, ჩვენ აქ მონათესავე შეხედულებასთან გვაქვს საქმე.

ამ წერილის მთავარი ადგილი ასეთია: „ორი სიტყვა, ორნაირი სახე მისი ქვეყნისა (მწერლობაში) მიუღებელია, უფრო მაშინ, როცა ერთ სიტყვა, ერთი სიტყვის, ერთი ფორმის დასამყარებლად საქირაა მიემართოთ აღმოსაღლეთის საქართველოს, რომლისგნითაც შექმნილა ძველი მწერლობა, რომლის ენის ფორმებიც დღეს ჰპოებს სიმართლეს იმე ძველ მწერლობაში. მაშასადამე სამწერლო სამოქალაქო ენა მხოლოდ ქართლის ყოფილა, არის ეხლაც უფროს ერთ შემთხვევაში და მომავალშიაც უნდა იქნეს, მაგრამ განწმენდილ-გასუფთავებული ყოველგვარი ხორცმეტისაგან. პროვინციალიზმი მაშინ არის კარგი, როცა მისი ბადალი არ არსებობს დედანაში.“<sup>3</sup>

ასეთია ზოგადი დებულება ჩვენი მხტოვანის პედაგოგ-ლიტერატორისა. როგორც ვხედავთ, ბ-ნი პ. მირიანაშვილის შეხედულება სადავო საგანზე იგითივეა, რაც ვრ. ყიფშიძისა და „იმერლისა“. სამისავე აზრით, თანამედროვე სამწერლო ქართული არის და უნდა იყოს არსებითად მხოლოდ ქართლური კილო მისის ისტორიულ-სტატიკურის მნიშვნელობით, ე. ი. იგი უნდა ემყარებოდეს ერთს მხრით ძველ სალიტერატურო ქართულს, რომელიც აგრეთვე ქართლის კილო იყო, და მეორე მხრით დღევანდელი ქართლის ენას, რომლი-

1. პ. მირიანაშვილი: „საერო ენა და სათემო კილო“. („ივერია“) 1888 წ. №№ 166 და 180). ავტორი წინააღმდეგია თემურისა და პრიორიტეტისა.

2. ვახ. „სახალხო საქმე“ 1920 წლისა, № 835 (26 მაისი).

3. იქვე ვგ. 2, სვეტი 3 - 4.



დანაც მწერლობაში უნდა შემოტანილ იქნეს მხოლოდ „გაგაიათკეცოთ“ ფორმები და სიტყვები. რაც შეეხება დანარჩენ კილოებს, განსაკუთრებით დასავლეთის საქართველოსას, ესენი, პ. მირიანაშვილის თქმით, „ქარგონს“ წარმოადგენენ, ხოლო „იმერლის“ დაბასიათებით, „მ.ზინჯსა, მოუბეშავსა და მკვახე კილოს“, და ამიტომ ამ კილოებიდან ან სრულებით არაფერი უნდა შემოვიტანოთ, ან, თუ განვიზრახავთ რისამე შემოტანას, „სიფრთხილვ და თავდაქერა“ უნდა „გაგაიათკეცოთ“ და „გაგაიასკეცოთ“, როგორც ბ-ნი ვრ. ყიფშიძე ბრძანებს, რათა რომელიმე შეუფერცბელი პროვინციალური ფორმის ან „ელვარე გამოთქმის“ (ე. ი. ფიგურა-შეტაფორის) შემოტანით დედაენის „სული და გული“ არ შევბლალოთ, მს „სიწმინდეს“ ლაქა არ მოვატხოთ.<sup>1</sup>

ასე განყენებულად მსჯელობენ პატივცემული ავტორები და სცდილობენ დაგვარწმუნონ თავისი აზრის სრულს ლოდიკურსა და ისტორიულ აუცილებლობაში, თითქოს ყველანი მარსზე ვიყოთ და არა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. სრულიად ავიწყდებათ პატივცემულს ლიტერატორებს, რომ დღევანდელი „ქართლი“ და განსაკუთრებით მისი ცენტრი ტფილისი, ეს ბუდე ჩვენი კულტურულის საქმიანობისა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში, ეთნოგრაფიულად და ლინგვისტიკურად უკვე ის აღარ არის, რაც მეფეების დროს იყო, რომ ტფილისში განსაკუთრებით, ქართლის „სოფლის“ წმინდა ქართულთან ერთად, მუდამ ისმოდა და დღესაც ისმის სომხური ენის ნორმებთან ნაზავი ავღაბრული ფარგონი, აგრეთვე ქართლურის მსგავსად ანკარა ნაკადულად მოჩუჩხუხე კახური კილო, დინჯა რაქული, ქართლურთან ძლიერ ახლოს მდგომი ზემოიმერული და მკვირცხლი გურულ-ქვემოიმერული; დამეწყებით ის ისტორიული ფაქტიც, რომ თვით ძველი სალიტერატურო ქართულის შექმნა იმიერ საქართველოს მუშაკთა და კილოების ვარგე არ მომხდარა, არამედ ყოველ კილოს თავისი წვლილი შეუტანია საერთო ენის ძვირფას საღაროში; დასასრულ, თითქმის სრულიად უგულვებელ უყვიათ ის ფაქტი, რომლის უგულვებელყოფა და უარყოფა თვით ჩვენი ახალი ისტორიის უარყოფას მოასწავებს, სახელდობრ ის, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი სალიტერატურო ენის განახლება ისტორიამ ატვირთებინა არა ერთს რომელსამე კუთხეს ჩვენი ქვეყნისას და არც მხოლოდ ერთს რომელსამე თემსა და ტომს, არამედ იმ კულტურულად უპირატეს ნაწილს ჩვენი ერისას, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია ეწოდება; ხოლო ეს ინტელიგენცია გახლდათ არა მხოლოდ ქართლიდან და არც მარტო იმერეთიდან, არამედ საქართველოს ყველა ნაწილიდან, უმთავრესად კი ქართლ-კახეთიდან და იმერეთ-გურიიდან (გიორგი და რაფიელ ერისთავები, ანტონოვი, დ. კონჭაძე, ილია ქაეკავაძე, შემდეგ ივ. მაჩაბელი, ყაზბეგი, რაზიკაშვილები და სხვანი; აგრეთვე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, მამია გურიელი, ცნატე ნინოშვილი, საერთოდ „მესამე დასის“ მესვეურები და სხვანი). და, აი, ამ უგულტურესმა ნაწილმა მთელი ჩვენი ერისამ შექმნა, როგორც ვნახეთ, ის, რასაც ახალი სალიტერა-

1. ვრ. ყიფშიძე: „პასუხად ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს“ („ენათმეცნიერება“ 1911 წ. № IX, გვ. 566-567).



ტურო ქართული ეწოდება. როგორც მოგებხენებათ, დღესაც ესევე უცხოურენოვანი ნაწილი (ინტელიგენცია) უდგას სათავეში ჩვენს მწერლობას და შეუფერხებლად აწარმოებს სალიტერატურო ენისგანვითარებას. ამიტომ იკითხება: განა შეიძლება კაცმა იოცნებოს „ქართლის სოფლის“ წმინდა ქართულის უმწიკვლოდ დაცვაზე იქ, სადაც სალიტერატურო ენის ბედს ასეთი ფაქტორები განაგებენ? ნუთუ ჩვენს ახალ მწერლობაში „ბუნებრივის აუცილებლობით“ ადრე თუ გვიან არ უნდა მომხდარიყო ის, რაც უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო ფაქტია (გარდა იმ ბატონებისა, რასაკვირველია, რომელნიც ვინც არაფერსა ჰხედავენ), სახელდობრ ახალ სამწერლო ქართულში მძლავრად შემოქრა, ქართლ-კახურთან ერთად, ჯერ ზემოიპერულისა და შემდეგ ქვემოიპერულისა და გურული კილოებისა, და იქ სრული მოქალაქობრივი მდგომარეობის მოპოებაა?... მაგრამ, როგორც ვიცით, ეს დღეს უკვე შესრულებული ფაქტია; ამავე დროს ეს ფაქტი მთელი ჩვენი წარსულისა და აწმყო კულტურული ვითარების აუცილებელი შედეგია, და ამიტომ დღეს საქმის სხვაგვარად შეტრიალება არც სასურველია და აღარც მოსახერხებელი: ისტორიამ თავისი ჰქმნა, და ქვეყანაზე არ მოიპოება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი ჩარბი უკულმა შეატრიალოს ან თავის ნებაზე გადაატრიალოს.

ამ ფაქტს კარგად გათვალისწინება და ანგარიშის გაწევა უნდა და საერთო საქმის გონივრულად მოგვარება, შექმნილი მდგომარეობისა და მიხედვით, და არა მზესავით ნათელ სინამდვილეზე თვალის დახუჭვა და უნაყოფო ოცნებით თავის მოტყუება. ასეთია ერთადერთი ობიექტური მსჯავრი იმ თეორიაზე, რომელსაც ქართული სამწერლო ენის შესახებ ბ-ნი პ. მირიანაშვილი, გრ. ყიფ-შიძე და მათნი თანამოაზრენი იძლეოდენ.

## 4

გვჩნება განსახილველი კიდევ ოთხი პროექტი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის თ. სახოკიას, მეორე ამ სტრუქტონების ავტორს, მესამე — პროფ. აკაკი შანიძეს და მეოთხე სასწავლო კომიტეტს. ოთხივე პროექტი ჩვენი საუკუნის მეორე ათეულს (1911—1920 წლებს) ეკუთვნის და ოთხივე თითქმის თანაბრად თავისუფალია იმ გაურკვევლობისა, სუბიექტივობისა და პროვინციალური განკერძოებისაგან, რომელთაც წინა პროექტებში ვამჩნევდით. საუუძველი გვაქვს, ეს ახალი პროექტები ერთ ჯგუფში მოვათავსოთ და საერთოდ **სინთეტურ-ობიექტური პროექტები** ვუწოდოთ.

წინამდებარე ნაკვეთში ჩვენ მხოლოდ თ. სახოკიას პროექტს შევხებით, რადგან ახრად გვაქვს აკ. შანიძის პროექტს განსაკუთრებული წერილი ვუძღვნათ<sup>1</sup>, ხოლო ჩვენი საკუთარი პროექტი ცალკე დამატებად იქნება წარმოდგენილი, სათანადოდ შევსებული და შესწორებული; რაც შეეხება სასწავლო კომიტეტის პროექტს, რომლის დამუშავებაში ამ სტრუქტონების ავტორიც იღებდა ახლო მონაწილეობას (როგორც მდივანი კომისიისა და წევრი კომიტეტისა),

<sup>1</sup> რამდენადაც ვიცით, აკ. შანიძე აქვამად თვითონაც აღარ უჭერს მხარს თავისი პროექტის ხელსაღებულებას და თვით შინათა კლასიფიკაციაც სხვანაირი აქვს.



მისი უდიდესი ნაწილიც, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, აგრეთვე ჩვენს პროექტში იქნება წარმოდგენილი.

თ. სახოკიას პროექტი 1911 წელს დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ სათაურით:

**„ქართული ენა (თანამედროვე ლაპარაკი და წერა)“.<sup>1</sup>**

ეს ვრცელი წერილი გაყოფილია რვა თავად ანუ პარაგრაფად, რომელნიც შემდეგს საგნებს შეეხებიან: I. ზმნა; II. მართლწერა ზოგიერთ სახელთა; III. დასართავნი სახელნი და მათი ბრუნვანი; IV. ნაცვალსახელნი და მათი ბრუნვა; V. ზმნისაზედი და ცვალებითი ბრუნვა; VI. უკუთქმა; VII. თანდებული ვით და ვითარცა; VIII. რთული სიტყვები.

წერილს წინ არავითარი შესავალი, არავითარი წინასიტყვაობა არ მიუძღვის, სადაც ცალკე გამოყოფილი და აღწუსებული იყოს ის მთავარი პრინციპები, რომელზედაც მთელი პროექტი აგებულია. მაგრამ თვით წერილის საფუძვლიანი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტორი ობიექტურ ნიადაგზე დგას: მისი პროექტი თავისუფალია როგორც პროვინციალური ცალმხრივობისაგან,<sup>2</sup> ისე არა ნაკლებ ცალმხრივი სუბიექტივიზმისაგან,<sup>3</sup> და მთელი შენობა თვით ქართული ენის გარდუქალი კანონების გათვალისწინებაზე და ძველისა და ახალი საუკეთესო მწერლების ენის შესწავლაზეა დაფუძნებული. შართალია, პროექტში გვხვდება დეფექტები, მაგრამ ეს დეფექტები შედეგია არა ძირითადი პრინციპების უფარვისობისა, არამედ იმისი, რომ ავტორი ზოგიერთ შემთხვევაში სისწორით ვერ არკვევს, ვერ ითვალისწინება ენის ამა თუ იმ კანონს, რომელზედაც თავისი დასკვნა უნდა დაამყაროს.<sup>4</sup> მიინციდამინცი პროექტის დამთავრებულობას საკმაოდ ჰენებს პრინციპებისა და მასალის ერთმანეთში ირევა და პრინციპების ცალკე გამოყოფილობა: ამგვარ პროექტებში, როგორც მოგვხვდებათ, თავიდათავი საზოგადო წესების დადგენა და არა უამრავი კონკრე-

<sup>1</sup> „სახალხო გაზეთი“ 1911 წლის 1—10 ივლისამდე, №№ 340, 343, 344, 345, 346 და 348

<sup>2</sup> ამ აზრის ნათელსაყოფელად იხ. მაგალითად ის ადგილი, სადაც ავტორი სრულიად სამართლიანად უწუნებს ქართულენებსა და კახელებს სპარაფიქსის „წარამარა“ ხმარებას და სამაგიეროდ იმერულ ენაში იწონებს საშუალო გვარის ზმნებში ამ პრეფიქსის არ-ხმარებას („სახ. გაზ. 1911 წ. № 340, გვ. 2, სტრიქონი 5—მ).

<sup>3</sup> სუბიექტურ საზომს, მაგალით., ფორმათა სიმძიმე-სიმსხტუქისას, ავტორი ათასნი ერთზედ თუ მიმართავს და იაიცი მხოლოდ მას შეზღვევ, როცა ამა თუ იმ ფორმას საქმაო საფუძვლი თვით ენის კანონებში მოუპოვია, და არა როგორც თავისთავად საქმოსა და დამოუკიდებელ პრინციპს, იხ. მაგალ., იქვე გვ. 3, სადაც ვრცლად ლაპარაკია ზმნებში „ნენ“ დაბოლოების უკანონობასა და „სიმძიმეზე“.

<sup>4</sup> ასეთია, ჩვენი ფიქრით, მაგალითად, ის ადგილი, სადაც ავტორი ასო ს-ანს გარდამავალ ზმნებში მხოლოდ არაპირდაპირი დამატების აღმნიშვნელის ობიექტური პრეფიქსის როლს მიაწერს (იქვე, გვ. 2, სტრიქონი 5). ამგვარივე დეფექტია, ჩვენი ფიქრით, ავტორის შეზღუდულება ვითარებისა ზმნისართზე („ზმნისაზედი“), როგორც მიმართულებითი („ცვალებითი“) ბრუნვისაგან განსევაებულ ფორმაზე: ნამდვილად კი (მორფოლოგიურად), როგორც მოგვხვდებათ, ეს ერთიდაიგივე ფორმაა, სახელდობო მიმართულებითი ბრუნვა. იხ. № 346, გვ. 2—3 (თავი V).



ტული მაგალითების სათვითოდ განხილვა და თვითნებურად სწორედ ფორმის ცალკე გამოკვეთვა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგებია: „სიტყვების სიტყვები მისი წერილის ბოლოში: „სიტყვა გავევიგრძელდა... და, რაც სათქმელი ვეკონდა, მაინც ვერა ვთქვით ყველაფერიო.“ იმ გეგმით, რომლითაც ავტორი სადაო ფორმების განხილვას შესდგომია, რასაკვირველია, ადვილი საქმე არაა სალიტერატურო ენის კმასაყოფელად მოწესრიგება. ავტორს რომ საზოგადო პრინციპები შეემუშაებინა და კონკრეტული ფორმები მხოლოდ საილუსტრაციო ნიმუშებად მოეტანა, მაშინ „ყველაფრის თქმა“, ყველა სადაო ფორმის ჩამოთვლა, საქირო აღარ იქნებოდა, რადგან თვით პრინციპები იტყოდნენ საზოგადოდ ყველაფერს, რაც დასახული მიზნისათვის საქირო და საქმაია.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ და შეძლებისადაგვარად კრიტიკულად გავაშუქეთ თითქმის ყველა პროექტი, ყველა თეორიული ცდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მწერლობაში ახალი სამწერლო ქართულისა და მართლწერის მოსაწესრიგებლად. განვიხილეთ აგრეთვე ისტორია იმ ბრძოლისაც, რომელსაც აწარმოებდნენ ჩვენი მოწინავე მწერლები და მოღვაწეები ახალი სალიტერატურო ენის დასამყარებლად და გასაბატონებლად.

ამ ისტორიულ-კრიტიკულმა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ საკითხი სალიტერატურო ქართულისა და მართლწერის შესახებ ახალი საკითხი არ არის ჩვენს მწერლობაში: მას აქვს თითქმის 70-წლოვანი ისტორია, ისე როგორც თვით ახალ სალიტერატურო ქართულსაც.

ამ ხნის განმავლობაში არ დანჩერილა საკითხის არც ერთი მთავარი მხარე, რომელსაც მწერლობაში არ შეგებოდნენ: პირველად კითხვა დაისვა ძველი სალიტერატურო ენის ნომაცვლავი ნორმებისა და ლექსიკის შესახებ ძველებური ორთოგრაფიითურთ, და კითხვა გადაწყდა ძველი ნორმებისა და ძველი ორთოგრაფიის დამარცხებით.

შემდეგ მწერლობამ წამოაყენა საკითხი ცოცხალი კილოების შედარებითი მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: უპირატესობა მართო ქართლის კილოს მიეცეს, თუ სხვა კილოებსაც დაეთმოსთ ადგილი საერთო სალიტერატურო ენაშიო. დღემდე ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა თეორიულად ზოგმა ამერელმა მწერალმაც აღიარა ცოცხალ კილოთა თანასწორუფლებიანობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. პრაქტიკულად კი უკვე მე-60-ე წლებიდან (განსაკუთრებით „დროების“ დაარსებიდან) იმერულმა კილომ მძლავრად გაიკვალა გზა მწერლობაში და შემდეგ მას გვერდში გურული კილოცავიც ამოუდგა.

ამავე დროს კითხვა შეეხო იმასაც, თუ ენის რომელ მხარეს უნდა მიეცეს უპირატესობა, როცა მოავალ ფორმათა შორის საქირო ხდები არჩევანი: ფონეტიკასა და კეთილზმოვანებას, თუ მორფოლოგიასა და სინტაქსს? „კეთილზმოვანების“ დამცველად გამოვიდა ბ-ნი სილოვან ბუნდაძე, რომელიც დღესაც მტკიცედ იცავს ამ პრინციპს სალიტერატურო ენაში: „სტილისტიკურ-სინტაქსურ“ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიაკუთვნა განსვენებულმა გრ. ყიფშიძემ,

ქართული

ხოლო ისტორიულად განვითარებულს ფონეტიკასა და მორფოლოგიასთან ერთად—სათანადო ანგარიში გაუწიეს პ. ჯარაიამ და თ. სახოკიამ.

ასეთი იყო ჩვენი საკითხის თეორიული მსვლელობა, რაც შეეხება მის პრაქტიკულად გადაწყვეტას, ამ მხრივაც იყო გადადგმული ნაბიჯები უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში. ჯერ ერთი, თითქმის ყოველი მწერალი, რომელიც პრესაში ამ საგანს ეხებოდა, მუდამ გამოსთქვამდა სურვილს, რათა მოწვეული ყოფილიყო მკოდნე პირთა კრება ან ყრილობა სადაო საკითხებზე მოსალაპარაკებლად და არეული მართლწერის მოსაწესრიგებლად. როგორც ბ. ს. ხუნდაძე მოგვითხრობს<sup>1</sup>, ამ მიზნით ქუთაისში პატარა წრეც კი დაარსებულა და მუშაობა დაუწყო გასული საუკუნის მიწურულში (1899—1900 წლებში). ხოლო ამ ათიოდე წლის წინეთ (1915 წ.), ამავე მიზნით, მუშაობა წარმოებდა ტფილისშიაც, პატარა წრეში, ჩემს ბინაზე, სადაც ეოკრიბებოდით: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, განსვენებული პროფ. იოს. ყიფშიძე, პროფ. კ. კეკელიძე, იუსტ. აბულაძე, პავლე ინგოროყვა და მე; აქ განხილული ჩემი მოხსენება („ქართული მართლწერა“) შემდეგ განხილულ იქნა ტფილისშივე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამ სხდომაზე 1915 წელს (20 სექტემბერს, 21 ოქტომბერსა და 5 დეკემბერს), ხოლო 1916 წლის დამდეგს ქუთაისში საისტორიო საზოგადოების ორ კრებაზე (3 და 4 იანვარს). დასასრულ, როცა განვლილი რევოლუციის მეოხებით, შესაძლო შეიქნა ეს საქმე სახელმწიფოს მხრუწველობას გადასცემოდა, 1920 წელს სასწავლო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება მოწვეული ყოფილიყო მკოდნე პირთა ყრილობა მართლწერაში ერთგვარობის დასამყარებლად და სადავო სალიტერატურო ფორმების მოსაწესრიგებლად. ამ მიზნით კომიტეტმა აირჩია, საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა საკირო მასალების ცნობაში მოყვანა და პროექტის დამზადება მომავალი ყრილობისათვის. კომისიამ იმავე 1920-სა და 1921 წელს შეასრულა კომიტეტის დავალება<sup>2</sup>. და მის მიერ შემუშავებული პროექტი, შემდეგ კომიტეტის მიერ შესწორებული და მიღებული, დღეს უკვე დაბეჭდილია სათაურით: „სალიტერატურო ქართულიხათვის“, როგორც მასალა მომავალი კონფერენციისთვის (სახელმწიფო გამოცემლობა, ტფილისი 1921 წ.).

პარალელურად სასწავლო კომიტეტმა დაავალა ამ სტრიქონების ავტორს საკირო ცნობათა შემოკრება ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან მომავალ კონფერენციაზე მოსახსენებლად. როგორც უკვე მოვიხსენეთ, წინამდებარე გამოკვლევა ამ დავალების შედეგს წარმოადგენს.

<sup>1</sup> „სალიტერატურო ქართული“. წინასიტყვაობა, გვ. VIII.

<sup>2</sup> კომისიის შემადგენლობა იყო ასეთი: პროფ. აკაკი შანიძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. გ. აბულაძე, იუსტ. ბერიძე და სურგ. გორგაძე. ამათ გარდა კომისიის მუშაობაში ჩანდებან მონაწილეობას იღებდა პროფ. დიმიტრი უზნაძე, კომისიამ სისტემატური მუშაობა დაიწყო 1920 წლის 4 აპრილიდან და უკანასკნელი სხდომა ჰქონდა 1921 წლის 16 აპრილს.

## ეროვნული პრობლემის გარშემო

ეროვნულ პრობლემას ორი მხარე აქვს: იგი ორი ძირითადი კითხვისაგან შესდგება. პირველი მომენტი შეეხება თვით ერის რაობის პრობლემას, და არსებითად წმინდა სოციოლოგიური შინაარსის არის: რა და რა განსაკუთრებული თვისებები ახასიათებენ ეროვნებას, როგორი ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზმი არის ერი, როგორი ურთიერთობა, ან სწორწონაობა არსებობს ეროვნულ მთლიანობასა და კლასიურ განკერძოების შორის, ერთის მხრივ, და ერსა და კაცობრიობის შორის მეორეს მხრივ; როგორ წარმოიშვა ეროვნება და რა მოელის მას მომავალში,—აი ის ძირითადი კითხვები, რომელნიც წამოიჭრებიან ჩვეს წინაშე როდესაც ეროვნულ პრობლემას სოციოლოგიურ საზომის სიპრტყეზე გადავიტანთ და განვიხილავთ მას, როგორც საზოგადოებრივ ფორმაციას.

ეროვნული საკითხის მეორე მხარე წმინდა პრაქტიკულ-პოლიტიკური შინაარსისაა და იგი უმთავრესად ეროვნული ცხოვრების მოწესრიგების მომენტს შეეხება; აქაც მთელი რიგი კითხვებისა არის ერთი მეორეზე გადამხული. პრობლემის ეს ორივე მხარე,—სოციოლოგიური და პოლიტიკურ-პროგრამული,—მეტად საინტერესო და ერთობ რთულ მომენტებს წარმოადგენენ. სოციოლოგიური მეცნიერებისათვის ეროვნება, ეროვნული საზოგადოება დიდი ხანი არ არის რაც გადაიჭყა კლევია-ძიების ობიექტათ. ხოლო მასზე აღრე, მე XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ევროპის კონტინენტზე, ეროვნულ საკითხს პოლიტიკური მოღვაწენი, პუბლიცისტები და უფრო ნაკლებად კი იურისტები ეხებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ პრობლემას ანგარიშს უწევს თანამედროვე სოციოლოგია, იგი მაინც გადაუწყვეტელია და იმ შრავალ გვარ დეფინიციებში, რომელნიც არსებობენ ერის შესახებ, ბურჟუაზიულ მეცნიერებას არც ერთი არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად. ცნობილი სოციოლოგი პროფ. გუმპლოვიჩი სწერდა: „არც ერთი ცნება სახელმწიფო მეცნიერების დარგიდან არ წარმოადგენს იმდენად მერყევსა და გამოურკვეველს, როგორც ცნება ეროვნების შესახებ: <sup>1)</sup> ამრიგად ბურჟუაზიულ მეცნიერებისათვის ერის ცნება ჯერ კიდევ არ არის საესებით გარკვეული; მიუხედავად ამისა თქვენ შეხედვებით ასეულ თეო-

<sup>1)</sup> პროფ. Л. Гумплович: „Общее учение о государстве“, გვ. 142, 1910 წ.





რიებს ერის შესახებ, რომელნიც სხვა და სხვა საზომით არკვევენ ეროვნებას: ზოგიერთათვის ეროვნება არის სული; მეორეთათვის—ნებისმიერი მოსახლეობა, მესამეთათვის—შეგნება; დანარჩენებისათვის—რალე დამოკიდებულ მოსახლეობა და ასე ამ გვარად.

ჰქონდათ თუ არა მეცნიერული სოციოლოგიის მამამთავართ—მარქსა და ენგელსს—გარკვეული შეხედულება ერის პრობლემაზე და ეროვნულ პოლიტიკაზე?—მარქსისთვის ისტორიკოსები ბურჟუაზიის ბანაკიდან (მაგ. მასარიკი) გადაჭრით უარყოფენ ამას.<sup>1)</sup> ხოლო მარქსისტების მხრივ ეს საკითხები არ გამზდარა სპეციალური გამოკვლევის საგნად.

ჩვენ შევეცადეთ ცალკე წერილში (მარქს-ენგელსი და ეროვნული პრობლემა) გამოგვეჩვენა მარქს-ენგელსის, როგორც სოციოლოგიური შეხედულება ეროვნებაზე, ისე მათი პროგრამულ-პოლიტიკური ხაზი ამ საკითხში. ამ წერილებიდან აქ იბეჭდება მხოლოდ პირველი ნაწილი; პირველ წერილში ჩვენ ვეხებებით სხვა და სხვა თეორიებს ერის შესახებ, ხოლო მეორეში—მარქს-ენგელსის სოციოლოგიურ შეხედულებას ეროვნებაზე, მის წარმოშობასა და განვითარებაზე; როგორ ყალიბდება და ლავდება ეროვნული შენობა სხვადასხვა სამეურნეო ფორმაციების პერიოდებში. მესამე წერილი კი ატარებს სათაურს: გარომავალი პერიოდი, კომუნალიზმი და ეროვნება.

## 1. სხვადასხვა თეორიები ერის შესახებ

ნაციონალური საკითხი პოლიტიკური აზროვნებისათვის განსაკუთრებული სიძლიერით წამოიჭრა საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების შემდეგ; მთელი მეცხრამეტე საუკუნე მოწამე შეიქნა უდიდესი ნაციონალური მოძრაობისა და ნაციონალური ომების, რეალურმა სინამდვილემ კი თავის მხრით პოლიტიკასაც და მეცნიერებასაც ანგარიშის გაწევა მოსთხოვა. პროფ. ა. გრადოვსკი, ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერი ნაციონალური საკითხისა რუსეთში, 70-იან წლებში სწერდა: „საშუალო საუკუნეების კათოლიკურმა და ფეოდალურმა ევროპამ არ იცოდა ნაციონალური საკითხი. იგი არ იცოდა არც ვესტფალის ზავის მიერ შექმნილმა ევროპამ; ევროპამ, რომელიც წარმოადგენდა ხელოვნურ სახელმწიფოებს, შექმნილს გარეშე პოლიტიკური მოსაზრებით, და რომელიც მას შემდეგ არა ერთხელ გადაყოფილა ტრაქტიტების, დაპყრობის, ყიდვა-გაყიდვის და სხვა საშვალელებით.“

ნაციონალური საკითხი წამოყენებული და ჩამოყალიბებული იქნა მე-XIX-ე საუკუნეში. ის გამომდინარეობდა ერში ზნეობრივ და თავისუფალ პიროვნების ცნობის ფაქტიდან, რომელსაც აქვს უფლება დამოუკიდებელი ისტორიისა, მანასადამე, უფლება თავისი საკუთარი სახელმწიფოს მოწყობისა. ეს ფილოსოფიური და პოლიტიკური პრინციპი გამაგრებული იქნა ჩვენს ეპოქაში შემუშავებულ მეცნიერებათა დასკვნებით: ანტროპოლოგიითა და ენათმეც-

<sup>1)</sup> Масарик: „Философские и социологические основания марксизма“. 1900 წ. გვ. 394 და შემდეგ.



ნიერებით; ის მტკიცდება ისტორიის დასკვნებითაც, რომელმაც „განვითარებას მიადგინა მე-XIX-ე საუკუნეში. იმ დრომდე, სანამ წარმოიშობებოდა ანტროპოლოგია და ენათმეცნიერება, თანამედროვე ისტორიის მიღწევამდე, „კაცობრიობა“ წარმოდგენილი იყო რაღაც უფორმო „განუყოფელ“ მასად, რომელნიც არ განიჩქვოდნენ ერთი მეორისაგან. ახლა კაცობრიობა წარმოდგენილი არის როგორც სისტემა სხვადასხვა ადამიანური ჯგუფებისა (ერებისა), რომელნიც ხმა მალა აცხადებენ თავიანთ უფლებას თვითარსებობისათვის“<sup>1)</sup>.

მე XIX-ე საუკუნე მით არის ლირშესანიშნავი და თავისებური სახის მატარებელი, რომ მისი დასაწყისის პირველ დღეებიდან, ევროპის აზროვნების წინაშე პირველად წამოიჭრა უდიდესი ახალი პრობლემა, რომლის წამოყენება მაშინდელი სოციალური პირობების გამო არ შეეძლო არც ანტიურ აზროვნებასა და არც საშუალო საუკუნეების სხოლასტიკას. ამ პრობლემის ძირეული შინაარსი გამოიხატებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების, როგორც ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი კატეგორიების, დაპირისპირებაში. მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოების (общество) დაპირისპირება, მათი ურთიერთობის გამოკლევის კითხვა წამოყენებული იყო თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობით და აზროვნებაც იძულებული შეიქნა ამ პრობლემისათვის არსებითი ყურადღება მიექცია.

მე XIX-ე საუკუნე ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებაში ხასიათდება რაციონალიზმის ბატონობით. განმანათლებელი (просветительная) ლიტერატურის წარმომადგენელნი ქედს იხრიდნენ ინტელექტუალიზმის წინაშე და სწამდათ, რომ ადამიანის გონებას ყოველივეს გაგება შეეძლო ბუნებაში, ჩამოგყალიბებინათ თავიანთი მიზნები ლოჯიურ სხემაში, შემდეგ კი მოეწყო ცხოვრება ინტელექტის კარნახის მიხედვით. ადამიანის გონება ვადაპყრელ როლს თამაშობდა მსოფლიო ისტორიის სხემაში; თვით სახელმწიფო, მათი შეგნებით, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების ნაყოფს და ამიტომ იმუშავებდნენ საუკეთესო რაციონალისტურ გეგმებს სახელმწიფოს კარგ საფუძვლებზე მოსაწყობად და სწამდათ, რომ ამ იდეალების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ადამიანის გონების საშუალებით; ხოლო სახელმწიფო წარმოადგენდა ცენტრალურ ფოკუსს, რომლის საშუალებითაც უნდა გატარებულყო ცხოვრებაში საზოგადოებრივ წყობილების გარდაქმნის გეგმები. ინდივიდი და სახელმწიფო, საზოგადოება და სახელმწიფო მე XVIII-ე საუკუნის მოაზროვნეთა შეგნებაში სრულიად არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს. მათ გაილაშქრეს პოლიციური სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ არსებითად ჭედი მოხარეს სახელმწიფოს პრინციპის წინაშე<sup>2)</sup>.

უფრო მეტი. სახელმწიფოს (ენება გადაიქცა საერთო ყურადღების საგნად. „...სახელმწიფო იწამეს, როგორც რაღაც უდიდესი და უძლიერესი ღვთა-

<sup>1)</sup> А. Градовский: „Национальный вопрос в истории и в литературе“ гл. 2, 1873 წ.

<sup>2)</sup> Проф. В. Хвостов: „Социология“ т. I: „Исторический очерк учений об обществе“ гл. 124, 1917 წ.



ება, როგორც განათლებულმა ავტორებმა, ისე რევოლუციურმა დიქტატორებმა, ბუნებრივი სამართლის მასწავლებლებმა და ისტორიკოსებმა, რომლებმაც შეიმუშავეს წინამორბედებმა. სახელმწიფოსადმი რწმენის გავლენისაგან არ იყო თავისუფალი მეცნიერების დარგებიც, რომელთა მასალა, ალბად, მოითხოვდა უფრო ფართოდ შიდაგომის საკითხისადმი<sup>1)</sup>. სახელმწიფოს ცნებამ დაფარა როგორც პიროვნება, ისე საზოგადოება. უკანასკნელი ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა როგორც დამოუკიდებელი სოციალური არსი მე XVIII-ე საუკ. მოაზროვნეთა თვალში. აქედან წარმოსდგა ის გარემოებაც, რომ მე XVIII-ე საუკუნემ ჯერ კიდევ ვერ შესძლო საზოგადოების შესახებ მეცნიერების (სოციოლოგიის) შექმნა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, რომელსაც შეგნებული ექნებოდა თავისი განსაკუთრებული ძიების საგანი და კვლევის მეთოდი. ეს ამოცანა მხოლოდ მე XIX-ე საუკუნემ განახორციელა<sup>2)</sup>. განახორციელა სწორედ იმიტომ, რომ მოხდა რეალური დაპირისპირება სახელმწიფოსა და საზოგადოების; მათ შორის უფსკრული გაითხარა და მოაზროვნე ელემენტებმა ნათლად დაინახეს ერთის მხრით სახელმწიფო ორგანიზაცია, ხოლო მეორეს—დამოუკიდებელი საზოგადოება სხვადასხვა ფორმებითა და მიზნებით. მაგრამ სად უნდა ვეძიოთ იმის მიზეზები, რომ მე XIX-ე საუკუნეში შესაძლებელი გახდა სახელმწიფოებრივი პიპონისაგან განთავისუფლება და სახელმწიფოს გვერდით დამოუკიდებელ და თავისებურ საზოგადოებრივ ორგანიზაციების—საზოგადოების დანახვა? უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა ეკონომიური ცხოვრების განვითარებასა და სოციალურ კლასთა შორის წინააღმდეგობის უფსკრულის გათხარაში მარხია. XVIII-ე საუკუნეში მომხდარმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა გარდატეხამ უდიდესი სამეურნეო პროგრესი გამოიწვია ევროპის კონტინენტზე. ხოლო საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ყველასათვის თვალსაჩინო გახადა ის ღრმა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა სოციალურ კლასებს შორის. აქ ნათლად ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ის სოციალური წრე, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც არამც თუ არ გრძნობდა თავს პარამონულ ურთიერთობაში სახელმწიფო აპარატში გაბატონებულ ელემენტებთან, არამედ იარაღით ხელში ებრძოდა მას. ამრიგად თვით ცხოვრების სიღრმეში ისტორიული ვითარების გამო სახელმწიფოს სახე გამოჩნებულა ნათელი ფერადებით, იგი დაუპირისპირდა სოციალურ კლასს და ამ გზით ნათელი შეიქმნა მისი არა ზეკლასითური და შესაზოგადოებრივი ბუნება. მეორეს მხრით, სახელმწიფომ ვერ გაიმართლა ის იმედები, რომელსაც მისგან მოელოდნენ ფულბრუკელი მე XVIII-ე საუკუნის მოაზროვნე; მან ვერც ერთი პროგრამა ვერ განახორციელა და ვერ მოაწყო ცხოვრება იმ სემების მიხედვით, რომელიც XVIII-ე საუკუნის რაციონალიზმის ნაყოფს წარმოადგენდა. სახელმწიფოს ცნება გააკოტრა რევოლუციის შედეგებში. აზროვნებამ სახელმწიფოს გარეშე დაიწყო ძებნა იმ ფაქტორებისა, რომელნიც ცხოვრების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ: ეს ძალა—საზოგადოება და მისი სხვადასხვა სახის ორგანიზაციები აღმო-

1) Проф. М. Реснер: „Государство и общество“. წიგნი: „Итоги Науки“ ტ. XI გვ. 167, 1914 წ.

2) ხვისტოვის „სოციოლოგია“ გვ. 119.



ჩნდნ. „ამრიგად, — სწერს ანბ. რეისნერი, — რეაქცია შეუძლებელია შეიშაობდა სახელმწიფოებრივობის მონაპოვლის დამსხვრევისათვის, საზოგადოებრივ შეგნებისა და ინტერესის გაფართოებისათვის, მასთანვე სახელმწიფოს გარეშე მდგარ ზოგიერთ საზოგადოებრივ სფეროების ცნობისათვისაც.“<sup>1)</sup>

ამრიგად მე XIX-ე საუკუნეში წებქმნილმა პირობებმა, ობიექტიურმა გარემოებამ პირდაპირ წამოაყენეს ახალი პრობლემა სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ. ყველა ამ გარემოებამ კი ისეთი ნოყიერი ნიადაგი შექმნა, რომელმაც ძირიანი გარდატეხა გამოიწვია მე XVIII-ე საუკუნის რაციონალისტურ აზროვნებაში და დაიწყო რეაქცია ბუნებრივ სამართლისა და სახელმწიფოს მექანიკური თეორიების წინააღმდეგ. მეცნიერება პირდაპირ შეეჯახა საზოგადოების პრობლემას. ის მნიშვნელოვანი ნაკადი სოციალოგიური კვლევა-ძიებისა, რომელიც სჩანდა მე XVIII-ე საუკუნის ლიტერატურულ ნაწერებში,<sup>2)</sup> მე XIX-ე საუკუნის დასაწყისიდან დამთავრებულ სისტემაში უნდა ჩამოყალიბებულიყო და სოციოლოგიას სხვა მეცნიერულ დისციპლინათა შორის უნდა მოეპოვებინა თავისი დამოუკიდებელი იდგილი. ეს ასედაც მოხდა და ოგიუსტ კონტი (1798—1857) შეიქმნა სოციოლოგიური მეცნიერების მამათათავარი. საზოგადოებამ და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღება მიიძყო. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ეროვნება, როგორც ასეთი, შეიქმნა მეცნიერული კვლევა-ძიების დამოუკიდებელ ობიექტად. პირველ პერიოდში, შეიძლება ითქვას, ეროვნული პრობლემა პოლიტიკურ მოღვაწეთა და ლიტერატორ-პუბლიცისტების საზრუნავი საგანი შეიქმნა, ვინემ უშუალო ობიექტი მეცნიერული კვლევა-ძიებისა. სოციოლოგიამ უმთავრესად ყურადღება მიააპყრო ზოგად ცნებას — საზოგადოებას და მის მეცნიერულ შესწავლას შეუდგა, ვინემ კონკრეტული ცნება ეროვნებისა და ისახა თავის კვლევის ობიექტად. თეორიული გამოკვლევა საზოგადოების შენობისა, აღნუსხვა „სოციალური სტატისისა“ და „სოციალური დინამიკის“, გამოკვლევა პროგრესის ფაქტორებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილ პერიოდების, — აი ის მთავარი ამოცანები, რომელსაც ისახავდა ახლად ფებადგმული სოციოლოგია მე XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარსა და შემდეგ ათეულ წლებში მიზნად. თვით საზოგადოების განმარტების დროს, როგორც პროფ. კ. ტახტაროვი აღნიშნავს, როგორც მე XIX-ე საუკ. პირველი ნახევრის სოციოლოგები, ისე მათი წინამორბედნი ძირიანად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. ისინი უყურებდნენ საზოგადოებას ან როგორც ხალხთა თანაცხოვრების (сожитие) და ურთიერთობის (общение) წმინდა ბუნებრივ მოვლენას, (არისტოტელი, მონტესკიე, სტატისტიკო-სოციოლოგიურ მიმართულების დამაარსებელნი — კეტლე), ან როგორც წმინდა ხელოვნურ ნაწარმოებს, როგორც ნაყოფს საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა (ჰობსი, ნაწილობრივ ლოკი, რუსო), ან როგორც თავისებურ საზოგადოებრივ ორგანიზმს (კონტი და სპენსერი).<sup>3)</sup> ეს არის

<sup>1)</sup> იბ. მ. რეისნერის შრომა. „სახელმწიფო და საზოგადოება“. გვ. 172

<sup>2)</sup> იბ. ზეოსტოვის „სოციოლოგია“

<sup>3)</sup> К. Тахтарев: „Наука об общественной жизни“ (социологии) გვ. 92



ის სამი უმთავრესი მიმართულება სოციოლოგიაში, რომელთაგან ერთ-ერთი მარქს-ენგელსის მოღვაწეობის პერიოდში, და რომელიც შემდეგ სრულყოფილად დაედევნა თანამედროვე სოციოლოგიურ მიმართულებებს.

მაგრამ არ არის საკმარისი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, რომ საზოგადოებას ხან ბუნებრივი მოვლენა, ხან ხელოვნური ერთობა, და ხან ორგანიზმი უწოდოთ. ეს არის საკითხის თეორიული განმარტება, უკეთ პრობლემის აბსტრაქტიულ-თეორიული გაშუქება. საჭირო არის აგრეთვე ჩვენება იმ კონკრეტული ფორმისა, რომელშიაც აბსტრაქტიული ცნება საზოგადოებრივობისა რეალურ სახეს ღებულობს და სინამდვილის ხორცილ იმოსება. მაშასადამე, საჭირო არის არა მარტო თეორიული მსჯელობა, არამედ საზოგადოების რეალური ფორმის, მისი კონკრეტული სახის ჩვენება—გამორკვევა. ჩვენ უკეთ მრავალნაირი ფორმა საზოგადოებისა, რომელი მათგანი წარმოადგენს ნამდვილ საზოგადოებას, მტკიცესა და მქალაქს? ამ საკითხში კი აღნიშნული სოციოლოგები და მათი წინამორბედნი საკმაოდ განსხვავდებოდნენ. უკეთ, მათი სოციოლოგიური კვლევა-ძიება უფრო აბსტრაქტულ საზოგადოებრივობას ეხებოდა, ვინემ საზოგადოების კონკრეტულ ფორმებს. მოკლეთ, თვალი გადაავლოთ ამ მხრივ საკითხს.

**არისტოტელემ** საფუძველი დაუდვა რეალისტურ შეხედულებას საზოგადოებაზე; მანვე შეიტანა მეცნიერებაში ევოლუციონიზმის პრინციპი. არისტოტელს ადამიანთა საზოგადოების არსებობა ესმის როგორც წმინდა ბუნებრივი მოვლენა, როგორც ფაქტი; პროვინება საზოგადოების გარეშე არისტოტელს ვერ წარმოუდგენია და ამიტომ საზოგადოება მას მიაჩნია ბუნებრივ მოვლენად ადამიანის წარმოშობიდანვე. მოითხოვს, რომ საზოგადოების შესწავლა ხდებოდეს მისი მარტივი ფორმებიდან. რთული საზოგადოებრივი მოვლენა, არისტოტელს განმარტებით, შესაძლებელი არის დანაწილებული იქნეს უმარტივეს ელემენტებად. ამრიგად საზოგადოება არისტოტელს მიაჩნია მეტად რთულ მოვლენად, რომელიც თავისი მხრით შეიცავს კიდევ მარტივ საზოგადოებრივ ფორმებს, რომლის საშუალებითაც თანამცხოვრებნი იკმაყოფილებენ თავიანთ სხვადასხვა გეარ მოთხოვნილებებს. არისტოტელს განმარტებით, ყველაზე უფრო რთულს, ფართო საზოგადოებას წარმოადგენს ის პოლიტიკური ურთერთობა მოქალაქეთა, რომელსაც ეწოდება **პოლიტიკური საზოგადოება**. ეს ფორმა საზოგადოებისა შეიცავს ყველა სხვა ურთერთობის ფორმებს (შრომითი ურთერთობა ან თანამშრომლობა, კოლქმარული ურთერთობა, გონებრივი, ზნეობრივი, ესტეტიური) და ამით ქანის მოქალაქეთა ცხოვრებას მთლიანსა და სრულს. არისტოტელე სწერს: „როდესაც მრავალი სოფელი ერთდება ერთიანს თემში (ὄψαχον). საკმაოდ განვითარებულსა და ფართოს იმისათვის, რომ შეიქმნეს თითქმის ან სრულიად თვითმაკმაყოფილებელი (αυτάρκτικος), მაშინ წარმოიშობა პოლიტიკური საზოგადოება (πολιτική κοινωνία), რომელიც ღებულობს თავის დასაწყისს ცხოვრების ყველაზედ უფრო გარდაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ნიადაგზე და რომელიც განაგრძობს თავის

არსებობას უფრო სრულყოფილი ცხოვრების მიზნისათვის.<sup>1)</sup> ამ რჩევად ურთულესი კონკრეტული ფორმა საზოგადოებრივობისა არისტოტელემ **პოლიტიკურ საზოგადოებაში**, უკეთ, **სახელმწიფოში** პოვა, და ეს არც განსაკვირობის, რადგან არისტოტელეს პერიოდში ადამიანთა თანამშრომლობის ერთ ურთულეს ფორმას მხოლოდ **ქალაქი-სახელმწიფო** წარმოადგენდა. არისტოტელემ არ იცის ცნება—**ერი, საზოგადოება-ეროვნება**.

თავისი კონცეპციით **ტომას ჰობსი** წარმოადგენს არისტოტელეს ანტიპოდს; უკანასკნელი საზოგადოებაში ხედავდა ბუნებრივ მოვლენას: მისთვის საზოგადოება არსებობდა თავიდანვე, ჰობსი კი რომელსაც მოღვაწეობა მოუხდა გაცხარებულ სამოქალაქო ომის დროს, საზოგადოებაში ვერ ხედავს ბუნებრივ მოვლენას. პირველ ყოვლი პირობებში იგი ამჩნევს დაუსრულებელ „ომს, როდესაც თვითოეული ადამიანი წარმოადგენს მტერს ყველა სხვებისათვის.“ „ისინი იმყოფებიან იმ მდგომარეობაში, რომელსაც ეწოდება ომი ცალკე პიროვნებისა ყველა სხვა ადამიანთა წინააღმდეგ.“ „საზოგადოება არ არსებობს... ადამიანის ცხოვრება განმარტებული, გალატაკებულია, ველური და ხანმოკლე.“ ჰობსი საზოგადოების წარმოშობას ხსნის წმინდა **ხელოვნური გზით**, როგორც ნაკოფს მებრძოლ პირთა შეთანხმებისა და ხელშეკრულებისას. როგორც არის ამ საზოგადოების კონკრეტული სახე? ეს იგივე არისტოტელეს პოლიტიკური საზოგადოება, სახელმწიფო არის, მხოლოდ სხვა გზით, და სხვა საშუალებით წარმოშობილი. „ხელოვნურად არის შექმნილი ეს უზარმაზარი ლევიათანი,—სწერს **ჰობსი**,—რომელსაც ეწოდება პოლიტიკური საზოგადოება ან სახელმწიფო... ეს იგივე არის, როგორც ხელოვნური ადამიანი... რომლის ხელოვნური სული წარმოადგენს უმაღლეს ხელისუფლებას, რომელიც იძლევა ცხოვრებას, და მოყავს მოძრაობაში მთელი საზოგადოებრივი სხეული.“ ამრიგად, ჰობსის განმარტებით, საზოგადოება წარმოადგენს ნამდვილ საზოგადოებრივ-ხელშეკრულებითი ორგანიზმს, სახელმწიფოს. ჰობსმა რამდენადმე ნიადაგი ჩაუყარა ორგანიულ შეხედულებას საზოგადოებაზე. იგი სწერს საზოგადოების კვებისა და გამრავლების შესახებ. ჰობსი აღარებს მთავრობას ნერვებსა და კვანძებს, რომელთაც მოყავს მოძრაობაში საზოგადოებრივი სხეულის სხვადასხვა წევრები; ნაფიცთა-მსაჯულთ ის აღარებს საზოგადოებრივ-ხელშეკრულებითი პირების სიტყვის ორგანოს; ჯაშუშებს—მისი მხედველობის ორგანობებს; ფულის ტრიალი არის სისხლის მოძრაობა პოლიტიკური საზოგადოებისა; **კოლონიები დაარსება** შეიღობილი **შეძენა პოლიტიკური ხეულისა**.<sup>2)</sup> ასეთი არის ის კონკრეტული საზოგადოება სახელმწიფო, რომელიც ჰობსის აზრით ხელოვნურად წარმოიშვა და აკმაყოფილებს თავისი ფუნქციებით თავისი წევრების მოთხოვნილებას. ჰობსის კონცეპციაშიც ეროვნება, ეროვნება-საზოგადოება ჯერ კიდევ უცნობი ხილია.

**ლოკის** კონცეპცია დიდათ არ განსხვავდება ჰობსის განმარტებისაგან, თუმცა მან მეტად საყურადღებო მომენტები შეიტანა თეორიულ კვლევა-ძიე-

1) იხ. K. Тахтарев: „Социология“ გვ. 76-7; აგრეთვე მ. ზესტოვის—სოციოლოგია ტომ. პირველი.

2) იხ. ტაბტარიოვის დასახელებული წიგნი—79.



გარეშე

ბაში. მისი აზრით „პირველი ადამიანური საზოგადოება აქაა — აქვეა ურთობაზედ ცოლისა და ქმრის, რომელიც იძლევა შემდეგ მშობლებისა და შვილის ურთერთობას.“ აქაც ლოკის განმარტებით საქმე გვაქვს ადამიანთა ბრძოლასთან თვითარსებობისათვის, რაც იწვევს მათ შორის შეთანხმების აუცილებლობასა და ამ რიგად იქმნება თავისუფალი საზოგადოება — თემი, როგორც მთლიანი სხეული. ლოკი ხაზს უსვამს თავისუფლების პრინციპს და უარყოფს ძალდატანების მომენტს თემ-საზოგადოებაში.

მზგავსივე განმარტებით გაპოვიდა რუსოც. იგიც პირველსა და უმარტივეს ფორმას საზოგადოებისას ხედავდა ოჯახში, ოჯახურ თანაცხოვრებაში. საზოგადოების უფრო ურთულესი ფორმა რუსოს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ურთიერთობა, ან ასოციაცია, რომელიც იცავს და უზრუნველყოფს მთელი თავისი გაერთიანებული ძალით თვითუფლი მონაწილის პირიქნებას.

კონდორსე გვაროვნულ საზოგადოებაში ხედავდა საზოგადოებრიობის ყველაზე უფრო უძველეს ფორმას. როგორც მან, ისე მონტესკიემ უარყვეს ხელშეკრულების თეორია და არისტოტელს კონცეპციას დაუბრუნდნენ.

კონტის სოციოლოგიური კონცეპცია უახლოვდება კონდორსესა და მონტესკიეს განმარტებას. მას იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც ბიოლოგიური მეცნიერება საქაოდ განვითარდა. კონტი საზოგადოებას უწოდებდა საზოგადოებრივ ორგანიზმს. ანეტიარებს რა თავის ორგანიულ თეორიას საზოგადოების შესახებ, კონტი ამტკიცებს, რომ ნამდვილ საზოგადოებრივ სოციოლოგიურ ელემენტს წარმოადგენს ოჯახი და მისგან წარმოსდგებიან უფრო რთული საზოგადოებრივი ჯგუფები. ამრიგად საზოგადოება კონტის აზრით არის რთული საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც შესდგება ნაკლებად რთულ და ბოლოს მარტივ ოჯახურ თანაცხოვრებით. ოჯახური თანაცხოვრებანი წარმოადგენენ უმარტივეს საზოგადოებრივ ერთეულს, საზოგადოებრივი ან კოლექტიური ორგანიზმის უჯრედის ელემენტებს. კონტის განმარტებით, ისინი ერთნაირად შედიან, როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში, კლასებში ისე, მთლიან საზოგადოებებში, სამოქალაქო თემებში, რომელნიც შესდგებიან სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებისა და კლასებისგან. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, კლასები, თემები თავის მხრით შეადგენენ უფრო რთულ საზოგადოებრივ მთელს და წარმოადგენენ ორგანოებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზმის, რომელსაც შეიცავს ყოველი ხალხი, ყოველი სახელმწიფო და ბოლოს მთელი კაცობრიობა, რომელიც აერთიანებს ყველა ხალხებსა და წარმოადგენს კონტის განმარტებით უმაღლეს და ერთიან ორგანიზმს. კაცობრიობა, რომელშიაც ერთიანდებიან ყველა ხალხები ერთს მთლიანს უმაღლეს ერთეულში, კონტისათვის წარმოადგენს უმაღლეს საზოგადოებრივ ორგანიზმს. შემდეგ სოციოლოგებმა ამ ორგანიზმს სუპერორგანიზმი უწოდეს.<sup>1)</sup> როგორც მკითხველი ხედავს კონტის კონცეპცია მეტად რთულია და მრავალფეროვანი. იგი საინტერესო არს მით, რომ კონტი პირდაპირ მიიღვა ეროვნულ პრინციპს. კონტმა მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზმის გრადა-

<sup>1)</sup> იხ. ტაბტარიოვის დასახელებული შრომა.



ციებისა წამოაყენა, რომელნიც უფრო მარტივიდან ურთულესში შედიან, ურთულესი ორგანიზმი კიდევ უფრო ურთულესში შედის. და ამე პულოს ერთიან სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენს კაცობრიობა. აქ არის ერთმანეთზე გადაბმული მთელი იერარქია სხვადა-ხვა ხასიათის საზოგადოებრივ ორგანიზმებისა. მაგრამ აქვე სჩანს კონტის სისუსტიც და მისი სიძლიერეც. კონტის მთავარი სისუსტე მის თეორიულ დებულებებში მარბია; კონტს აქვს ტენდენცია ბიოლოგიური მეცნიერებისაკენ და ორგანიულა თეორია შეაქვს საზოგადოების დახასიათების საკითხში. მისი განმარტებით, დაწყებული ოჯახიდან და ვათავებული კაცობრიობით, მთელი რიგი საზოგადოებრივი მოვლენებისა წარმოადგენენ დამოუკიდებელ ორგანიზმს. მაგრამ ამ მრავალ საზოგან ორგანიზმების შორის გაურკვეველი რჩება—რომელი არის უმთავრესი ორგანიზმი. კონტის რეალიზმი იმაშიაც გამოიხატება, რომ იგი სისწოროთ აღნიშნავს მთელ რიგ საზოგადოებრივ მოვლენებს, რომ ღთაიც ადგილი აქვთ რეალურ სინამდვილეში. მაგრამ სასწოროს მეორე მხრით ხრის და ზოგიერთ მათგანს (ოჯახს, თემს.) გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს. კონტის კონცეპციის მკორე დადებითი თვისება ის არის, რომ იგი არ შეჩერდა ხალხთა დამოუკიდებლად არსებობაზე და კაცობრიობა დასახა, როგორც მთლიანი საზოგადოებრივი ორგანიზმი. მაშინდელი პერიოდისთვის ეს იყო ტენდენცია და არა ფაქტი. კონტს მოუხდა მოღვაწეობა სამრეწულო კაპიტალიზმის პერიოდში, როდესაც რევოლიუციები და ნაციონალური ომები გზას უხსნიდენ კაპიტალისტური ეკონომიკის ფართე განვითარებას მთელი ევროპის კონტინენტზედ. ეს გარემოება კი არღვევდა სახელმწიფოთა და ერთა კარჩაკეტილობას და გზას უხსნიდა მკიდრო ურთერთობას ხალხთა შორის. ამ გარემოებამ თავისი დალი დაასვა კონტს თეორიულ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ კონტმა აღნიშნა ერის საზოგადოებრივი ორგანიზმობა, მაინც ვერ მოგვცა ამ ორგანიზმის დამახასიათებელი მომენტები და თვისებები. კონტი მიუხლოვდა ერის პრობლემას, მაგრამ მეცნიერული დასკვნები მის შესახებ არ მოგვცა.

ორგანიული თეორიის ერთ უდიდეს წარმომადგენლად ითვლება მერ. სპენსერი. მან, ასე ვსთქვათ, განავითარა და ლოგიურ შესაძლებლობამდე მიიყვანა ჰობსისა და კონტის თეორიების ორგანიული მიდრეკილებანი. საზოგადოება, სპენსერის განმარტებით, არის ორგანიზი საზოგადოებასა და ინდივიდუალურ სხეულს შორის შესაძლებელი არის სრული ანალოგიის გაყვანა. ერთიდაიგივე განმარტება ცხოვერებისა საეცებით გამოსაყენებელია ორივესათვის. „კიდევ ურფო მნიშვნელოვანი განხორციელება ამ ანალოგიისა შეიძლება აღმოჩენილი იქნეს იმ ფაქტში—განაგრძობს სპენსერი,—რომ სხვადასხვა სახის ორგანიზაციები, რომელსაც დებულობს საზოგადოება, დაწყებული თავის განვითარების უმდაბლეს საფეხურიდან და დამთავრებული ყველაზე უმაღლესით არსებითად წააგავს ცხოველთა ორგანიზაციების სხვადასხვა სახებს.“ წინააღმდეგ კონტის დებულებისა, რომელიც საზოგადოების უმარტივეს ელემენტს ოჯახში ხედავდა, სპენსერისათვის ასეთი ერთეული არის ინდივიდი, პიროვნება. „ძველი საზოგადოების ერთეულს წარმოადგენდა ოჯახი, თანამედროვე საზო-





გადოების ერთეულს წარმოადგენს ცალკე პიროვნება\* — ამბობს სპენსერი. მაგრამ სპენსერისათვის საზოგადოება არ არის უბრალო ჯამი ინდივიდთა. საზოგადოება რთული ორგანიზმია, რომელსაც კმნის არა მექანიკური შეერთება ინდივიდებისა, მათი მათემატიკური დაჯგუფება, არამედ რთული სისტემატიური ორგანიზაცია. უბრალო შეერთება ინდივიდთა ჯგუფებად. — სწერს სპენსერი — ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საზოგადოებას. საზოგადოება სოციოლოგიურის აზრით, მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც გარდა ინდივიდთა დაახლოებისა, არის მათ შორის კოოპერაცია.† მაგრამ ეს კო-პერაცია ინდივიდთა შორის, საზოგადოებაში ხდება როგორც შეგნებულად, სპონტანიურად, ისე შეგნებულად, რომელიც ვულისხმობს საზოგადოებრივი მიზნების ნათლად შეგნებას.

ამრიგად სპენსერმა ბიოლოგიური კანონი გადმოიტანა ცხოველთა სამეფოდან საზოგადოებაში და ინდივიდუალურ სხეულსა და საზოგადოებრივ ორგანიზმის შორის სრული პარალელიზმი გაატარა მათი სხეულის შენობისა, ზრდისა და განვითარების საქმეში. „ამგვარად ჩვენ არა მარტო ენახულობთ, — განაგრძობს სპენსერი, — რომ ანალოგია საზოგადოებასა და ცოცხალ ორგანიზმს შორის მართლდება იმდენად, რომ მისი წარმოდგენა არც კი შეეძლოთ ამ შედარების გამტარებელთ, არამედ აგრეთვე ნათელი ხდება ის, რომ ერთი და იგივე განმარტება სიცოცხლისა სრულიად გამოსაყენებელი ხდება ორივესათვის. ეს მრავალ ადამიანთა შეერთება ერთს თემში, ეს ურთიერთული დამოკიდებულების ზრდა ერთეულთა, რომელნიც წინად დამოუკიდებელნი იყვნენ, ეს თანდათანობითი დაჯგუფება მოქალაქეთა ცალკე ერთეულებად, ურთიერთ დამხმარე ფუნქციებით, ეს წარმოშობა მთელისა, რომელიც შესდგება მრავალრიცხოვან მნიშვნელოვან ნაწილებისაგან, ეს ზრდა ორგანიზმისა, რომლის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაზიანებული იქნეს ისე, რომ არ იგრძნონ ეს სხვა ნაწილებმაც, ყოველივე ეს შესაძლებელი არის ინდივიდუალიზაციის კანონის ქვეშ იქნეს მოქცეული. განვითარება საზოგადოებისა, ისე როგორც განვითარება ადამიანისა და საერთოდ სიცოცხლისა, შეიძლება აწერილი იქნეს, როგორც მისწრაფება ინდივიდუალიზაციისაკენ, როგორც მისწრაფება არსად გადაქცევისა.‡) თანახმად ბიოლოგიური კანონისა, სპენსერს შესაძლებლად მიაჩნია საზოგადოებრივი ორგანიზმის ზრდა, მისი თანდათან გართულება და უმარტივეს ერთეულიდან კიდევ უფრო უსრულეს ერთეულად გადაქცევა. ასე მაგ. სპენსერის განმარტებით საზოგადოებრივი ორგანიზმის სოციალური ზრდა ისტორიულად გამოიხატა დაახლოებით შემდეგ ფორმებში: ორდიდან საზოგადოებრივი ორგანიზმი გადავიდა ტომში, ხოლო რამოდენივე ტომის შეერთებამ მოგვცა ნაციონალური ორგანიზმი. ეს ზრდა საზოგადოებრივ ორგანიზმისა საესებით შეეფერება, სპენსერის განმარტებით, ბიოლოგიის კანონს.

ორგანიული თეორიის ერთ-ერთი დამსახურება მეცნიერების წინაშე იმაში გამოიხატებოდა, რომ ის შეეცადა, ერთგვარი მეცნიერული დაჯგუფება შეეტანა საზოგადოებრივ მოვლენებში, ერთგვარი სისტემატიზაცია დაეწყებინა იმ რთულ ერთეულთა შორის, რომელნიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიუ-

\*) იხ. ტატარიოვის დასახელებული წიგნი.



ლი განვითარების დროს იქმნებოდნენ და ამა თუ იმ ფუნქციას ასრულებდნენ საერთო მიმდინარეობაში. როგორც დაინახეთ, მე XVIII-ე საუკუნის ბოლოსთვის ჯერ კიდევ ვერ ანსხვავებდნენ სახელმწიფოს საზოგადოებისაგან. ჯერ კიდევ მათთვის არ არსებობდა ის სოციალური საფუძველი, რომელიც ქმნიდა სხვა და სხვა სახის საზოგადოებრივ ერთეულებს. რუსომ სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის ვერ დაინახა განსხვავება და სახელმწიფო-საზოგადოება სოციალური ხელშეკრულების, თავისუფალ პიროვნებათა შეგნებული მუშაობის ნაყოფად დასახა. ორგანიულმა თეორიამ, ამ მხრივ სხვა და სხვა გვარი დაჯგოფება მისცა სხვა და სხვა სახის სოციალურ მოვლენებს, და ისინი ახსნა არა შეგნებული, წინასწარ შენუშავებული გეგმების ნაყოფად, არამედ ორგანიული ზრდის შედეგად, თვით მოშქმედ (самопроизвольно) ბიოლოგიურ განვითარების რეზულტატად აქ არის მეორე დამსახურება ორგანიული თეორიისა: მან დამტკიცა სრული შეუსაბამობა სახელმწიფოსა და საზოგადოების თავისუფალი ხელშეკრულებითი წარმოშობის შესახებ. მაგრამ მთავარი და ძირეული შეცდომა ორგანიული თეორიისა მის მიერ საზოგადოებასა და ცოცხალ ორგანიზმის შორის გატარებულ იგივეობაში მარბია. საზოგადოება — და ერთი — ისეთივე ორგანიზმია ორგანიული თეორიისათვის, როგორც ცალკე ინდივიდი. რასაკვირველია საზოგადოებასა — ერსა და ორგანიზმს შორის არსებობს რაღაც მსგავსება, მაგრამ ეს არ ქმნის მათ შორის იდენტურობას, ერთდღაიგივეობას. საზოგადოებას, საზოგადოებრივ ორგანიზმს, ერს თავისი სოციალური კანონები აქვს, თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს, რომელიც არსებითად განსხვავდება ინდივიდუალური ორგანიზმის ბიოლოგიური კანონებისაგან. შენობა საზოგადოებრივი ორგანიზმისა, ერისა სულ სხვა ელემენტებისა და სოციალური კვანძებისაგან შესდგება, ვინემ ცოცხალი ადამიანის სხეული. მათ შორის ძირეული განსხვავება არის.

თუ კონტი და სპენსერი უმთავრეს უფრადლებას თვით საზოგადოების მეცნიერულ გამოკვლევას ანდომებდნენ და უმთავრესად ანსტრაქტულ ცნებებით მსჯელობდნენ, სტატისტიკურ-სოციოლოგიურმა მიმართულებამ განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებრივ ადამიანს მიიპყრო და არსებითი ყურადღება რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრების შესწავლას მონადომა. კეტლესათვის საზოგადოება არის ბუნებრივი მოვლენა და ამიტომ, მისი აზრით მეცნიერებამ, ამ ბუნებრივი მოვლენის რეალური სახე უნდა შეისწავლოს, მისი დამახასიათებელი თვისებები უნდა გამოარკვეიოს. არისტოტელე ათვის ურთულესს ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა პოლიტიკური საზოგადოება — სახელმწიფო. კეტლესათვის საზოგადოების მთელი რიგი რეალური ფორმებისა არსებობდა ისტორიის ვითარებაში. მისი აზრით ბუნებრივი მოვლენა საზოგადოებრივობისა ხორცს ისხამდა, რეალურ სახეს ღებულობდა, როგორც ტომის, ისე ზაღის, ერისა და სხვათა რეალურ კომბინაციების ფორმებში. ამ მოვლენებში ხედავს კეტლე ადამიანთა თანაცხოვრების ბუნებრივ ფორმებს. არკვევს რა მათი არსებობის პირობებს, კეტლე სწერს: „ერთიანობა შთანთქმავლობისა, ჩვეულებისა, ენისა, რელიგიისა, ისტორიულ მოვონებათა, ერთი და იგივე ტერიტორია, ერთი და იგივე მტრები, ურთიერთ დახმა-

საქართველო

ობის მოთხოვნები, — აი ჩვეულებრივად რაზედ იყრდნობა უნდა იქონიას. კომპინაციები.\* კეტლეს განმარტებით, ნაცია არის „ერთნაირი ელემენტებისაგან შემდგარი, ერთხლოვნურად მოქმედი და ერთდამადვე ცხოველი პრინციპით გამსჭვალული სხეული“. „ეს სხეული, განავრცობს კეტლეს, — იბადება, ვითარდება, ვიცილის ორგანიულ არსებათა სხვადასხვა ფაზებს, და მათ მსგავსად, კედება (платит свою дань смерти). რომ კარგად გაიცინოთ ეს სხეული, ის უნდა შევისწავლოთ სამი მხრით, როგორც ჩვენ ვსწავლობდით კერძო პიროვნებას, სახელდობ: მისი ფიზიკური მორალური და გონებრივი თვისებათა მხრით.“<sup>1)</sup> აქ უკვე სწავნის ბიოლოგიისა და ორგანიული თეორიის გავლენის ნიშნებით მაგრამ კეტლეს დასაყრდენ შედარებას წარმოადგენს არა ბიოლოგია, არამედ ფიზიკური მოვლენები, მექანიკისა და ფიზიკის კანონები.

როგორც აღვნიშნეთ, მე XIX-ე საუკუნის ისტორიულმა ცხოვრებამ რეალურად წამოაყენა საზოგადოების პრობლემა. როგორც პოლიტიკური აზროვნება, ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგები იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეწიათ ამ ფაქტისათვის, კერძოთ საზოგადოებათ მეცნიერებამ (სოციოლოგია), რომელიც აღნიშნულ საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, არსებითი ყურადღება მიაპყრო საზოგადოების პრობლემას, მოგვცა პირველი სისტემატიური ცდა, როგორც განყენებული საზოგადოების ცნების ვარკვევისა, ისე მისი კონკრეტული ფორმების დახასიათების.

კონტისათვის საზოგადოება არის „კოლექტიური ორგანიზმი“, სპენსერი-სათვის — სუპერ-ორგანიზმი, ზოლო კეტლესათვის — ერთნაირი ელემენტებისაგან შემდგარი ფორმა<sup>2)</sup>. კონკრეტულ საზოგადოების გამოკვლევისა და მისი ფორმების შესწავლის დროს მეცნიერება პირდაპირ მიადგა ეროვნულ პრობლემას. მეცნიერებამ წამოაყენა ეროვნული პრობლემა, მაგრამ მისი სისწორით გადაჭრა მას არ შეეძლო, რადგან, როგორც ორგანიული თეორია, ისე სტატისტიკურ-სოციოლოგიური მიმართულება მოკლებული იყო სწორ მეთოდს. როგორც ამბატრაქტიულ საზოგადოების ცნების გამოკვლევაში, სადაც სოციოლოგიურმა აზროვნებამ საკმაოდ წინ წასდგა ნაბიჯი შედარებით-მე XVIII-ე საუკუნის მეცნიერებასთან და მთელი რიგი ღრმად მნიშვნელოვანი პრობლემების წამოაყენა, მხოლოდ სისტემა შეიტანა, მაგრამ მისი სისწორით გამოკვლევა კი ვერ შესძლო, ისე ეროვნულ საკითხში მხოლოდ პრობლემა დასვა, მაგრამ ვერ გადასწყვიტა. ეს ადვილი გასაგებია არის. ეროვნება არის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოება. თუ მეცნიერებისათვის არ არის სისწორით გამოკვლეული ის, თუ რას წარმოადგენს საერთოდ საზოგადოება და როგორი ნიშნებით ხასიათდება იგი, მაშინ მეცნიერება უძლური არის ამ საზოგადოების კონკრეტული ფორმის — ეროვნების სრული და ნათელი დახასიათება მოგვცეს. ორგანიულმა

1) იხ. ტანტაროვის სოციოლოგია. გვ. 91.

2) უახლესი სოციოლოგიური მიმართულებათა შესახებ იხ. М. Ковалевский: „Очерк истории развития социологии в конце XIX и в начале XX века.“ წიგნში: „История нашего времени“ т. VII, 27 и 28.



თეორიამ სრული პარალელიზმი დაამყარა საზოგადოებასა და ინდივიდუალურ ორგანიზმს შორის<sup>1)</sup> და ამ რიგად საზოგადოების ცნების განმარტება ბიოლოგიურ საფუძველზედ აავგო, რაც ძირშივე შემცდარი იყო; აქედან ცხადია, რომ ეს ორგანიზმი თეორია, რომელიც გადატანილი იქნა ეროვნულ საზოგადოების შესწავლის საქმეშია. — ასეთივე დამარცხებით უნდა დამაიერებულყო ამ სფეროშია. წაბრძოკებულ ნიადაგზე შემდგარი მეცნიერება უძლური იყო, ეროვნულ პრობლემისათვის ნათელი სხივები შოფენია. მაგრამ ჩვენი მსჯელობა შემცდარი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეროვნული პრობლემა მეცნიერების ფართო კვლევა-ძიების საგნად გადაიქცა იმ პერიოდში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბატონი თავის წიგნში,<sup>2)</sup> ეროვნულ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მეცნიერებამ უკანასკნელ ხანებში ძლივს მიაკყრო, ხოლო აქამდე სოციოლოგიის დამოუკიდებელი კვლევა-ძიების საგნად იგი არ გამხდარა. მით უფრო ეს ითქმის იმ პერიოდზე, როდესაც პირველად გამოვიდნენ მარქსი-ენგელსი სამოღვაწეო ასპარეზზედ და წარმოადგინეს თავიანთი შეხედულებანი სხვადასხვა საზოგად. მოვლენების შესახებ. ეროვნული პრობლემა იმ დროინდელი მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ შემთხვევითი საგანი იყო, ჯერ კიდევ მისი გამოკვლევა არ შეადგენდა მეცნიერების დამოუკიდებელ ამოცანას. როგორც სოციოლოგია, ისე საერთაშორისო სამართლის მეცნიერება და სახელმწიფო მეცნიერება არ ცდილობდა ეროვნული პრობლემა წამოეყენებინა როგორც დამოუკიდებელი ამოცანა და მისი მნიშვნელობა განესაზღვრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1866 წ. აბ. კოშუტი სწერდა: „ნაციების არსებობა დღემდე დაყრდნობილი არის ტრაქტატებზე. მაგრამ უკვე შეიძლება შეამჩნიოთ ნაციათა ახალი უფლებების ზრდა. ჯერ კიდევ სანამ ის განუმარტავთ, ახალი პრინციპი, მხოლოდ გუშინ, დაბადებული, უკვე არყევს მსოფლიოს. ახალმა დოგმამ იმდენად მძლავრად დაიპყრო შეგნება, რომ აუცილებელი ზდება მისთვის ანგარიშის გაწევა მას მოკავს მოძრაობაში შეფეები და ხალხები, და უკილოა, რომ მრავალ მათ, რომელნიც უარყოფენ ამ პრინციპს, უკვე შეუმუშავდათ წარმოდგენა, რომ მომავალი ეკუთვნის მას.“<sup>3)</sup> ამ რიგად 1866 წლისთვის, საერთაშორისო უფლების მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული ინდივიდუალური პრინციპი. ხოლო 1815 წლიდან გაიშვებული ლეგიტიმიზმი და მისი მიმდევრ-

<sup>1)</sup> ორგანიზმულ თეორიას შემდეგში თავისი ერთგული მიმდევრები გამოუჩნდნენ ლილიენფელდის, შეფლესა და რ. ვორშის სახით, რომლებმაც უკიდურესობამდე განავითარეს საზოგადოებასა და ინდივიდუალურ ორგანიზმს შორის მსგავსება. ლ. შტინმა ორგანიზმული თეორიის ისტორიული განვითარება (მსგავსების აღმოჩენა საზოგადოებასა და ინდივიდუალურ ორგანიზმს შორის) შემდეგნაირად დააბასათა: „ატონისათვის ატი წარმოადგენდა მეტაფორას; არისტოტელესათვის — ალგორითმს; სენეკისათვის — პარალელიზმს; ლილიენფელდისათვის — აბსოლუტურ ერთდაიგივობას იმ. მ. კავალესკის დასაბუღებული ნარკვევი. გვ. 9).

<sup>2)</sup> იმ. ბატონი: „ფრი და კაპობრიობა“ 1910 წ.

<sup>3)</sup> В. Даневский: „Системы политического равновесия и легитимизма и начало национальности в их взаимной связи“ გვ. 238, 1892 წ.



ბი (ლეგიტიმისტები) პირდაპირ უარყოფდნენ ცნობით ეროვნულ-სახელმწიფო-საერთაშორისო ურთიერთობაში. <sup>1)</sup>

**ბულმერიანი** სწერდა: „ეროვნებათა უფლება სრულიად არ არის ძლიერი იმ უფლებაზე, რომელიც სცნობს რამდენიმე სახელმწიფოს შეერთებას ერთს სახელმწიფოში.“ <sup>2)</sup>

**მოლიც** იზიარებდა ასეთსავე მოსაზრებას, მისი აზრით სახელმწიფოთა საზღვრები უნდა იქნეს გამორკვეული „საერთო ტრაქტატებით, ნაწილობრივ ყველა ევროპულ სახელმწიფოთა დაბმარებით: ცალმხრივი სურვილი ხალხისა საკმარისი არ არის მათი „უფლებაშეწონილი“ (правомерное) შეცვლისათვის.“ <sup>3)</sup>

იტალიელი მწერალი **გვიდო-პადელუტი** სწერდა: „ეროვნება იყო შემთხვევითი და სრულიად კერძო გარემოებათა ნაყოფი“; მას სურს ყოველ სფეროდან გამოდენოს ნაციონალური პრინციპი, როგორც უსარგებლო და საშიშარი. <sup>4)</sup>

საერთაშორისო სამართლის დარგში ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპი; მაგრამ, მეორეს მხრით, გამოსარკვევი ვახდა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ელემენტი უნდა იქნეს სამართლის საგნად ცნობილი: ერი თუ სახელმწიფო. პირველ საკითხში ფორმალურად გაიმარჯვა თანასწორობის პრინციპმა, ხოლო მეორეჯერ კიდევ გამოურკვეველი დარჩა. **ბატონი** სწერს: „თვით პრინციპი „ერთა“ თანასწორობისა სახელმწიფოთა თანასწორობისა საერთაშორისო სამართლის წინაშე—დიდებული რამ პრინციპია, მაგრამ უმედურება ის არის, რომ არასოდეს საერთაშორისო სამართალი სწორ-უფლებიან წევრად არ იღებს ისეთ ერს, რომელიც ფაქტიურად არ არსებობს, როგორც სუვერენული სახელმწიფო.“ <sup>5)</sup>

მაგრამ აღსანიშნავი არის ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სამართლის მეცნიერებს, როგორც ბატონი მოწმობს ერისა და მისი უფლებების განსაზღვრაზედ ნაკლებად უზრუნვია... ავტორი სწერს: „საუბედუროდ საერთაშორისო სამართლის ლი ჯერატურაში და საზოგადოთ სოციალური მეცნიერების ლიტერატურაში ერისა და მისი უფლებათა შესახებ ისეთი ვრცელი და ღრმა გამოკვლევანი არ მოიპოვებინან, როგორც სახელმწიფოსა და მის უფლებათა შესახებ. ამ უკანასკნელ საგანზედ უფრო მეტიც ულაპარაკნიათ და უფრო მეცნიერულადაც, მაშინ როდესაც ერის ნამდვილი მეცნიერული განსაზღვრაც კი ძვირად მოიპოვება, არა თუ მისი უფლებანი სისწორით არ არიან განსაზღვრულნი.“ <sup>6)</sup>

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ, მართალია, XIX საუკუნის ისტორიულმა ეითარებამ რეალურად წამოაყენა ნაციონალური საკითხი, პრობლემა ერის შესახებ.

<sup>1)</sup> იქვე

<sup>2)</sup> В. Давенский: „Система политического равновесия и легитимизма и начало национальности в их взаимной связи“. გვ. 300.

<sup>3)</sup> იქვე გვ. 300

<sup>4)</sup> იქვე გვ. 269. ავტორივე მესამე განყოფილების მესამე თავი: Возрождения против национальности.

<sup>5)</sup> ბატონი; ერი და კეთბრობა“ გვ. 226.

<sup>6)</sup> იქვე გვ. 231.



მაგრამ ოფიციალურ მეცნიერებაში მან აღნიშნულ საუკუნის პირველ ნახევარში ვერ მოიპოვა საპატიო ადგილი. იგი მხოლოდ შემთხვევითი სტუმარი გადაიქცა როგორც საზოგადოებათა მეცნიერების, ისე საერთაშორისო სამართლისა. პრობლემა ერისა — ეს სრულიად ახალი პრობლემა იყო, არა მარტო ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, არამედ მეცნიერული კლავა-ძიებისათვისაც. საერთაშორისო პოლიტიკაში, გამარჯვებულმა რეაქციამ, 1815 წ. ვენის კონგრესზედ ეს პრობლემა ფეხქვეშ გათელა, ხოლო ოფიციალურმა მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ მოუძებნა მას შესაფერისი დახასიათება და განმარტება, ჯერ კიდევ ვერ აღნიშნა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ასეთი იყო ის საერთო მდგომარეობა და ატმოსფერა ეროვნული საკითხის გარშემო, როდესაც მარქს-ენგელსი გამოვიდნენ პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზედ სამოღვაწეოდ.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: ნაციონალურმა პრობლემამ განსაკუთრებული გამოხმაურება პოვა მაშინდელ დროის პუბლიცისტურ ლატერატურაში და დაჩაგრულ ერთა საზოგადო მოღვაწეთა მხრივ. პუბლიცისტიკა, რომელიც უახლოეს კვანძებით არის გადაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, იძულებული იყო არსებობით ყურადღება მიექცა ისტორიული ცხოვრების მოთხოვნილებებისათვის და ამიტომ ნაციონალურმა პრობლემამ აქ უფრო მეტი თანაგრძნობა პოვა, ვინემ ოფიციალურ მეცნიერთა სფეროში.

სანამ ჩვენ შეუდგებოდეთ მარქს-ენგელსის შეხედულების გამორკვევას ერის ცნებაზედ, აქ ზედმეტი არ იქნება დავახასიათოდ საერთოდ ის თეორიები, რომელნიც არსებობენ ერის შესახებ. რადგან ჩვენი თემა ისტორიული მოვლენათა ფარგლებით ვანისაზღვრება, ჩვენ შევეცდებით უმთავრესად ისეთი მწერლები დავასახელოთ, რომელთაც უახლოესი კავშირი აქვთ მარქს-ენგელსის ეპოქასთან, ან საერთოდ მარქსიზმის პერიოდთან. თეორიები ერის შესახებ, — იმის გამოსარკვევად, თუ რა არის ეროვნება — უამრავი არსებობს. ჯერ კიდევ 1882 წ. პროფ. ვხ. დანევსკი თავის უკვე დასახელებულ წიგნში სწერდა: „მართლაც, შესაძლებელი არას ჩამოთვლილი იქნეს 100-დე განმარტება ეროვნების შესახებ. ზოგიერთ მათგანს (განმარტებას) საფუძვლად უდევს ერთ-ერთი რომელიმე ნიშანი, რომელიც მიღებული არის არსებითად. (ასე მაგ. რახა — დელოზის განმარტებით, ენა — ბეკის, მიზნის ერთიანობა — ბუშეს); მეორენი განმარტების საფუძვლად უდებენ რამოდენიმე (Совокупности) ნიშანს; მასთანვე ამ ჯგუფის ზორგიერთი მწერლები განსაკუთრებით ყურდნობიან ზნეობრივ და სულიერ ნიშნების მთლიანობას (ჯონ-სტუარტ-მილი, ფიორე და ნაწილობრივ მამიანი), მეორენი — განსაკუთრებით ფიზიკურ ნიშნებს (ეროვნების მატერიალური ელემენტები). მაგ. მანინი; მესამენი, ბოლოს, სულიერ და მატერიალურ ელემენტების სწორ შეერთებას, რომელთა შორის ამა თუ იმ ნიშნებს, მაგ. ენას, ისტორიულ ტრადიციებსა და მთავრობის ხელისუფლების ერთიანობას მთლიანად შეუძლიათ შეადგინონ ეროვნება, როგორც პოლიტიკური სხეული“ (დუბო-ვიტი)<sup>1)</sup> ეროვნულ თეორიების უფრო სწორი კლასიფიკაცია მოგვცა

<sup>1)</sup> იხ. დანევსკის შრომა გვ. 270.

მეცნიერული

ოტტო ბაუერიმა თავის ცნობილ შრომაში, „ნაციონალური კაცობრიობის სოციალ-დემოკრატია“<sup>1)</sup>. ბაუერი აქ მიგვიჩივებს იმზე უმთავრეს თვალსაზრისზე ნაციის ცნების გამოკვლევაში; ესენი არის: 1. **მეტაფიზიკური თეორია ნაციისა:** ა) ნაციონალური მატერიალიზმი და ბ) ნაციონალური სპირიტუალიზმი; 2. **ფსიხოლოგიური თეორია:** ა) ფსიხოლოგიურ-ინტელექტუალური და ბ) ფსიხოლოგიურ-ეოლენტარისტული; 3. **ემპირიული თეორია** და 4. **მატერიალისტური თეორია** ნაციისა.<sup>2)</sup>

1. **მეტაფიზიკურ თეორიაში**, ბაუერის განმარტებით, არსებობს ორი მიმდინარეობა; პირველი მიმდინარეობა, — **ნაციონალური მატერიალიზმი** — „ნაციის სთვლის თავისებურ მატერიალურ სუბსტანციად, რომელსაც აქვს საიდუმლო ძალა შექმნას თავისგან ნაციონალური ხასიათის მთლიანობა. ამიტომ კაცობრიობის ისტორია მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ისტორია ბრძოლისა და ურთიერთშერევათა მუდმივ, უცვლელ რასიულ, მემკვიდრეობით გადმოცემულ სუბსტანციებისა“.<sup>3)</sup> სოციოლოგიაში ნაციონალური მატერიალიზმის გამოხატულები შეიქმნენ გრავ გობინოს მიმდევრები; რომელმაც 1853-55 წლებში წამოაყენა წმინდა რასის თეორია. ანტოპოლოგიურ-ეტნოგრაფიული სკოლის ზოგიერთი მიმდევარი სოციოლოგიაში, წმინდა რასაში ხედავდნენ კულტურული პროგრესის უმთავრეს პირობას. ურანგი გობინო ამტკიცებდა, რომ თავისი ბუნებრივი თვისებებით თეთრი, ან არიული რასა ყველაზე უფრო დაჯილდოებული არის კულტურული განვითარების ნიჭით და მისი სწმინდის დაცვიდან არის დამოკიდებული კაცობრიობის შემდეგი კულტურული განვითარება, რადგან რასათა შერევა ნიშნავს გადაშენებას და მხოლოდ წმინდა რასას შეუძლია შექმნას მტკიცე კულტურა; ამავე თვალსაზრისზე სდგას მეორე ფრანგი შწერალი ვაშე-დე-ლაპუჟი<sup>4)</sup> ამრიგად რასა და ხშირად ერი, ნაციონალური მატერიალიზმის შეხედულებით ხდება ისეთ მატერიალურ სუბსტანციად, ისეთი თვისებებით დაჯილდოებულ არსად, რომელიც თავისებური ნიჭით და შემოკმედებით არის დაჯილდოებული.

**„ნაციონალური სპირიტუალიზმი**—სწერს ბაუერი,—ნაციის სთვლიდა ხალხის საიდუმლო სულად, ნაციის ისტორიას—საბალაო სულის თვითგანვითა-

<sup>1)</sup> ნაციის თეორიების შესახებ საინტერესო მასალებს იხილვიან: ა) ოტტო ბაუერი, „Нав вопрос и соц.-демократия“, გვ. 125—177, 1909წ ბ) ეს. დანდესი: „Система политического равновесия и легитимизма и начало национальности в их взаимной связи“, 1892 წ. განსაკუთრებით შესაშვ განყოფილების მეორე თავი; ვ) ნ. რუბაკინის: „Среди книг“ ტ. III, ნაწ. I გვ. 100 და შემ. 1915 წ. დ) ა. გრადოვსკი: „Национальный вопрос в истории и в литературе“, 1873 წ. ე) მ. კოვალევსკი: „Национальный вопрос“ გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ტ. XXX, გვ. 59; აგრეთვე მხოვე „Очерк истории развития социологии и в конце XIX и в начале XX века“, 1914 წ. ე) ბატონი: „ერი და კაცობრიობა“ გვ. 198 და 258; 307—346, 1910 წ.; ბ) Ал. Штиглиц: „Исследования о началах политического равновесия легитимизма и национальности“ ტ. III: Начало национальности 1892 წ.

ა) ოტ. ბაუერის წიგნი გვ. 178.

ბ) იქვე—გვ. 125.

გ) В. Хвостов: Социология ტ. I გვ. 255-56.



ქართული

განმარტებული

რებად, მსოფლიო ისტორიას — სახალხო სულების ბრძოლად, რომელშიც, თავისებურებათა გამო, ხან მეგობრობენ, ხან კი ებრძვიან ერთი მეორეს<sup>1)</sup>. სპირიტუალიზმი (ლათინური სიტყვაა — სული) არის მეტაფიზიკური მიმართულება, რომელიც რეალურად სთვლის სულს და სხეულში ხედავს მხოლოდ სულის ფენომენს ან ნაყოფს. სპირიტუალიზმის განმარტებით, სული შეიძლება წარმოადგენდეს ან სუბსტანციას, ან ენერგიას, ხოლო სხეული, როგორც წმინდა ფენომენს ან ისეთს რამეს, რაც დამოკიდებული არის სულისაგან, მაგრამ მიიწვ აქვს შედარებითი დამოუკიდებლობა. ნაციონალური სპირიტუალიზმი ერში ხედავს განსაკუთრებული სულის გამოხატულებას, მის ფენომენს: არის ნაციონალური სული, ნაციონალური სუბსტანცია სულისა, რომელიც რეალურ სახეს ღებულობს ერში. სპირიტუალისტური მიმდინარეობის უდიდეს წარმომადგენლად, ეროვნულ თეორიის შემუშავების საქმეში, შეიძლება ჩაითვალოს ჰეგელი. ჰეგელმა წამოაყენა ცნება მსოფლიო სულისა, ყოველი სულისა, თავისში (B. 466) და თავისათვის არსებულის, რომელიც წარმომადგენს უმაღლეს მართვებსა და სხვადასხვა ნაციონალური სულების შემავრთებელს. ამ მართვების საბრძოლველს წარმომადგენს — სწერს ჰეგელი, — მსოფლიო ისტორია, ის არის მსოფლიო მოსამართლე, რომელიც მართავს ერების უფლებას და ბედს... ისტორიაში გამოდიან ერთი მეორეზედ ერები, რომლებშიც სახიერდება მსოფლიო-ისტორიული იდეა მისი განვითარების განსახლებურ მომენტში. ასეთი ხალხი (ერი) აძლევს თავის ეპოქას საერთო ხასიათს, და ამიტომ წარმომადგენს გაბატონებულ ერს სხვა ხალხთა შორის<sup>2)</sup>. ჰეგელიანურმა შეხედულებამ თავისი დაღი დაასევა ერის ცნების განმარტებას. ერი გადაიქცა განსაკუთრებული ხულის გამომხატველი: ხან, წმინდა ჰეგელიანური საზომით, იგი ღებულობდა მსოფლიო სულის ვითარებას, ხან კი — დამოუკიდებელ სულის, განსაკუთრებულ ისტორიულ-ტერიტორიალურ გარემოებაში შემუშავებულ სახალხო სულის განსახიერებას. ასეთი სპირიტუალისტური გაგება უდევს სარჩულად სლავიანოფილების ზოგიერთ განმარტებასაც. ეროვნება — სწერს კ. აქსაკოვა — ეს არას ხალხური პიროვნება, ცოცხალი მთლიანი ძალა, რაღაც მიუწვდომელი, როგორც სიცოცხლე: ამ ძალაში ღებულობენ მონაწილეობას, როგორც სული ისე მხატვრული შემოქმედება, ადამიანის ბუნება და ადგილობრივი ბუნებაც<sup>3)</sup>. სლავიანოფილურმა იდეოლოგიამ განსაკუთრებული სულის მატარებლად დასახა რუსის ერი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს სხვა ერებთან და რომელმაც თავისი განსაკუთრებული გზა უნდა განელოს ისტორიის ვითარებაში. ამავე საფუძვლებზე ააგო ნ. დანილევსკიმ თავისი თეორია ცალკე კულტურულ-ისტორიულ ტიპების შესახებ; ავტორმა ჯერ კიდევ 1866 წ. უარყო საერთო კაცობრიული ცივილიზაციის არსებობა. ასეთი საერთო ცივილიზაცია არ არსებობს — სწერდა დანილევსკი, — არსებობს მხოლოდ განკერძოებული ცივილიზაციები, არსებობს მხოლოდ ცალკე კულტურ-

1) ბუერი — გვ. 125.

2) რუბაინის ტ. III, ნაწ. 1 — გვ. 103.

3) იქვე — გვ. 103.





რულ-ისტორიული ტიპების განვითარება, (ევგებტურის, ინდიურის, ებრაელის, ბერძნულის, რომაელის, არაბულის, ევროპიულის).<sup>1)</sup> ისტორიულად აი ამ კულტურულ-ისტორიულ ტიპებში მხილდებოდა თავისებური სული, თავისებური ნაციონალური თვითარსებობა. ასეთი თეორიის წამოყენებით დანილევსკიმ ჯერ კიდევ 50 წლით ადრე მოხაზა ის კონტურები, რომელიც შემდეგში ოს. შპენგლერმა დაუღვა სარჩულად თავის შრომას. „კოლექტიური და მიანიკ საბოლოო არსების—კაცობრიობისათვის—არ არსებობს სხვა დანიშნულება, სხვა ამოცანა, გარდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილებში (ე. ი. სხვადასხვა ერებში) გამოხატვისა იმ ცხოველმყოფური მოღვაწეობის მრავალფეროვან მხარეთა და მიმართულებათა, რომელიც არსებობს მის იდეაში და რომელიც შექმლებული არის ხშირად მოათავსებული თქნეს... ერთ კულტურულ-ისტორიულ ტიპის განვითარებაში.“<sup>2)</sup> მეტაფიზიკური თეორიები ერის შესახებ ჯველაზედ უფრო დაშრებული არის სინამდვილისაგან. და იგი გამოხატავს თეოლოგიურ-მსოფლმხედველობის ნაშის. ამ თეორიას გამანადგრებელი მახვილი ჩასცა ბუნების მეტყველების განვითარებამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ, რომელმაც დაამტკიცა, რომ არა მდგომარეობა არის განყენებული და მიუწვდომელი სულის ნაყოფი, არამედ თვით „სული“ არის განსაკუთრებული ობიექტიური მდგომარეობის შედეგი. არა სულმა შექმნა ეროვნება, არა სული არ-ს მისი დამახასიათებელი თვისება, არამედ ობიექტიურმა გარემომებამ შექმნა ნაცია—საზოგადოება და ამავე ობიექტიური გარემოების ნიშნებს ატარებს იგიც. საერთაშორისო ომმა ფრთები შეასაა ერის მეტაფიზიკურ თეორიას,<sup>3)</sup> მაგრამ საერთაშორისო რევოლიუციამ საბოლოოდ ფრთები შეაჭრა მას; ნაციონალური მთლიანობა, გამოხატული განსაკუთრებულ სულში, საბოლოოდ დამარცხდა მას შემდეგ, რაც ამ „სულის“ ვიომდა მატარებელი სოციალური კლასები იარალით ხელში დაუპირ-პირდენ ერთიმეორეს. „ბუცების“ თეორია საბოლოოდ გაირიყა მეცნიერების სფეროდან.

1) Н Данилевский: „Россия и Европа“ гл. 91, 1888 г.

2) ნ. დანილევსკი „რუსეთი და ევროპა“ გვ. 124:

3) იხ. Н. Бердяев: „Судьба России“, 1919 г.

# გიგლიშკრაფია.



„ქართული მწერლობა“. სრულიად საქართველოს მწერლობის ცენტრის ყოველ თვეური ორგანო. № 1, იენისი 1926 წელი. ტფილისი, პოლიგრაფ-ტრესტის 1-ლი სტამბა. ტირაჟი 2500.

თუ ლიტერატურას მართლა ცხოვრების საოკეთ მივიღებთ, მაშინ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ორგანო „ქართული მწერლობა“ არ შეიძლება გამართლებული და მიღებული იქნეს, როგორც თანამედროვე საქართველოს ცხოვრების სარკე, როგორც ქართველი ხალხის მიღწევითა, მისი მისწრაფება - იდი-ლების გამომხატველი ორგანო.

შეითხველს შეიძლება შემთხვევით მოვლენათ, ან უბრალო ტენიკური პირობების შედეგად მოქიყვნოს ის გარემოება, რომ ამ ჟურნალში ერთად არიან თავმოყრილი ქართული ხელოვნებისა და აზროვნების ყველა მიმართულების წარმომადგენლები.

მოხდება ხოლმე, რომ სხედასხვა მიმართულების მწერლები ერთ მხატვრულ ჟურნალში სწერენ, მაგრამ თავის საკუთარ ინდივიდუალობას კი ინარჩუნებენ. მართალი მოგახსენოთ, პირველად ჩვენც, ამ შემთხვევაში, ასე გვევანა, მაგრამ როცა ჟურნალის შინაარსს დააკვირვებით გავეცანით, მაშინ კი იმუღებული შევიქნებით ეს აზრი სრულიად შეგვეცვალა.

ორში ერთი: ან ქართველ ხალხს უკვე გაუვლია კლასთა ბრძოლის ხანა, მასში უკვე მოსპობილა კლასობრივ ინტერესთა ჭიდილი, ან პარტიკულ ჟურნალს ვერ აუღია სწორი გეხი... მას ყველა მიმართულების მწერლების ტენიკური შეერთება ისე გაუგია, როგორც საქართველოში წმინდა „მამაშვილურა“ ხანის დედამა და ამის შესაფერად მოუმართავს თავისი ქნარი.

ამის დასამტკიცებელ საბუთებს ჩვენ მრავლობით ვხედავთ ამ ჟურნალში მოთავსებულ პუბლიკისტურ წერილებში. ნიკოლოზ მიწიშვილი, ვასტანგ კო-

ტეტიშვილი და ნ. საქარელი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმის დამტკიცებაში, რომ ხელოვნებაში კლასობრივი ფილოსოფია მთლებელი და მანებელია.

ამა მოვესმინოთ დასახელებულ მწერლებს: რა უშლის ხელს მწერალთა ხაქმინობას?

ასე აყენებს საკითხს ვასტანგ კოტეტიშვილი და თვითონვე ასეთ პასუხს იძლევა:

„პირვილი მიზეზი გამომხატება იმ ფსიქოლოგიურ გაყრაში, რომელიც რაღაც გაუგებარი ფრაქციულობით ხელს უშლიდა ხაერთო მაჯის ცემის გამოწვევას მწერალთა შორის“. (ხაზი ჩვენია) (იხ. ქართ. მწერ. № 1. გვერ. 8).

კიდევ უფრო გარკვევით ლაპარაკობს ამ საგანზე ნ. საქარელი. ის სწერს: — „სახელდახელოთ, მოდაში შემოსული ხელოვნების გამარტოებული აფილოსოფია“, რომლის მიხედვით ყოველ ხელოვნების ნაწარმოები ან „ჩვენს“ უნდა იყოს ან „სხვისი“, ან ამ კლასს უნდა ეკუთვნოდეს, ან იმ კლასს, — მდგომარეობას საესებით ვერ გაგვიშუქებს“. (იქვე. გვ. 13).

ვერ გაგვიგია, როდის შემდეგ შეიქნა „მოდის“ საკითხათ კლასთა ბრძოლის ფილოსოფია, რომელსაც ნ. საქარელი შეუბრალებლად ამწყვედევს ფრჩხილებში. ნ. საქარელს ოდესღაც მარქსისტათ ვიცნობდით და მან უნდა იცოდეს, რომ მარქსისტებისათვის ეს ფილოსოფია სრულიად ბუნებრივი და თანაც ისეთი ძველი ამბავია, როგორც თვით საზოგადოების სხედასხვა, ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასებით დაყოფა და მათ შორის ბრძოლა...

აქედან ამკარაა, რომ „ქართული მწერლობიდან“ გამორიცხულია მარქსი-



სტული სოფელმხედველობა. კლასთა ბრძოლის ფილოსოფია ფრჩხილებშია გამომწყვდეული.

სამაგეროდ მეტისმეტად ორიგინალური და თანაც მეტისმეტად უზერხემლოა ნიკოლოზ მიწიშვილის არგუმენტები იმ ფაქტის გასამართლებლად, რომ „ქართულ მწერლობაში“ ყველა მიმართულების მწერლებს მოუყრიათ თავი. ნიკოლოზ მიწიშვილი სრულიად მართალია, როცა ბრძანებს:

„მწერლობას არა აქვს ზნეობრივი უფლება, ანგარიში არ გაუწიოს იმ ფაქტებს, რომლებიც ქმნიან ჩვენი ეპოქის შინაარსს“.

მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ავტორს, რომ ამ ყველასთვის აშკარა და მარტივი დებულების დასამტკიცებლად საჭირო და გამოსადეგი იყოს ისეთი არგუმენტები, როგორცაა მიმართავენ ნიკოლოზ მიწიშვილი:

„რამდენადაც ეს ფაქტებია სოციალური. საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი ხასიათის, იმდენად მწერლობაც ვალდებულია გამოეხმას მათ საზოგადოებრივად, მოქალაქეობრივად, კოლექტიურად.“ (ხაზი ჩვენია) (იქვე გვ. 4).

თუ მიწიშვილს დაუჯერებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართულ მწერლობაში“ თავიანთი მწერლები ერთობ მშინაარსი ხალხი ყოფილა. მათ არ შეძლებიათ „ცხოვრებისთვის ანგარიშის გაწევა“ თუ არა „საზოგადოებრივად“, თუ არა „კოლექტიურად“... ისე, ორსები რომ იტყვიან: На людях и смерти красна!

ამ რიკად „ქართულ მწერლობის“ პუბლიცისტები გაუბრძიან კლასთა ბრძოლის ფილოსოფიას; მათ გაუმართლებლად, მანებლად მიამჩნიათ მწერლების სხვა და სხვა „ფრაქციებით“ და „გვუყვებათ დაყოფა“.

ყველაზე უფრო საყურადღებოა იმავე ნიკოლოზ მიწიშვილის მეორე წერილი: „ქართული კულტურის ახალი გზები“ მართალი ბრძანდება ავტორი, ოცია იგი ებრძვის „საქართველოს ჩინური კედლებით შეზღუდვის“ მოსურნეებს.

მაგრამ ამ სრულიად მარტივი აზრის დასამტკიცებლად, მრულოდ არ იყო საჭირო „კულტურის გეოგრაფიული ტერიტორიის“ მთელი მეტაფიზიკის ვადმოღვაება.

დღეს ყველასათვის აშკარაა და ეს მით უფრო უნდა იცოდეს სერიოზული ჟურნალის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მიწიშვილმა, რომ კულტურას მხოლოდ ბრძოლა, მხოლოდ კლასთა შორის ინტერესების ჭიდილი ქმნის, რომ უამისოდ კულტურა არ არსებობს.

და თუ ეს ასეა, რა საჭიროა დედამიწის ტემპერატურის ვაზომვა?..

დასახლეთ ჩრდილო პოლიუსი ჩვენსთან ადამიანებით, შექმენით იქ ისეთივე სოციალური და ეკონომიური პირობები, როგორც არსებობდა რუსეთში მსოფლიო ომის დაწყებამდე, და მე თქვენ უტყუარად გიწინასწარმეტყველებთ რევოლუციის აუცილებლობას, თუმცა, როგორც ვიცით, ჩრდილო პოლიუსზე ტემპერატურა მეტის მეტად დაბალია.

რევოლუციას ქმნის სოციალური და ეკონომიური პირობები და არა ტემპერატურა. რევოლუცია კი ქმნის ახალ ღირებულებათა მთელ კომპლექსს, ახალ კულტურას.

თუ ჩვენ ამას შევიგნებთ, მაშინ საჭირო არ იქნება რეკომპეტრის შექმნა და დედამიწის ტემპერატურის ზოქვა.. ყოველ შემთხვევაში სოციალოგიაში ყოველ მიუღებელია ისეთი არგუმენტები, რომლებსაც ნიკოლოზ მიწიშვილი ხპარობს მარტივი და ყველასთვის ცხადი აზრის დასამტკიცებლად..

ჟურნალში მოთავსებულია გერონტი ქიქოძის კრიტიკული წერილი: „ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი“. ეს წერილი ყოველად მიუღებელია ორივე მწერლის დასახასიათებლად. მაგრამ იგი მიუღებელი და გაუმართლებელია იდეოლოგიის მხრივაც.

„სოციალიზმს, როგორც ავტორიტარულ აზროვნებას, შეიძლება მეტი ჰქონდეს საერთო არისტოკრატიის იდეოლოგიასთან, ვიდრე ლიბერალი-



ზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან...  
 ან: „სოფრების განვითარების დია-

ლექტიკა დღეს აცოჯნობს ისეთ კულტურულ ფლენტებს, რომელნიც სამუდამოთ მკვედარი გვევონა ფეოდალურ საზოგადოებასთან ერთად“.

გერცენმა დიდი ხანია სთქვა: ყოველი დროგადასული იდეა, როგორც მკვედრითი აღმდგარი ქრისტე, კიდევ დიდხანს ევლინება თავის ადეპტებსო.

შეიძლება ამ დროგადასულმა და უკვე დასამარებულმა „კულტურულმა ელემენტებმა“ თავის ადეპტათ გერონტი ქიქოძე აირჩიეს და მას ევლინებთან. მაგრამ სოციალიზმის არისტოკრატის იდეოლოგიასთან დანათესავება და ისიც ჩვენ დროში, უდიდესი რევოლუციის ტერიტორიაზე, ეს სოფლიად ახალი აღმოჩენა და იმედია გერონტი ქიქოძე ახლო მომავალში შეეცდება მის დასაბუთებას.

ასეთია „ქართული მწერლობის“ ბუბლიცისტია.

\* \* \*

ხელოვნურ ნაწარმოებს შორის საყურადღებოა ნაკო ლორთქიფანიძის მინიატიურა: „თავსაფრანგი დედაკაცი“.

ნიჭიერი და თანაც სიტყვებში მეტის მეტად ტუნწი ბელეტრისტი ეჟონალის მხოლოდ სამ გვერდზე გვეუბნება და გვაძლევს იმდენს, რამდენსაც ზოგი მწერალი მთელ ტრამს მოანდომებდა.

„თავსაფრანგი დედაკაცი“ — ე. სპილოს ძვლიდან გაკეთებული მშენიერი „სტატუეტკა“, რომელსაც სიამოვნებით დაიდგამს თავის საწერ მაგიდაზე ხელოვნების ყველა მკოდნე და მოსიყვარულე.

ჩვენს დროში, როცა ყველა თემების უქონლობაზე ლაპარაკობს, როცა ძველი მწერლები გომობენ, რომ ძველი თემების უმეტესობა დღეს უარყოფილია და ახალი, რევოლუციონური დროის შესაფერი თემების დამუშავება კი შათ ვერ მოუხერხებიათ, ნაკო

ლორთქიფანიძის „თავსაფრანგი დედაკაცი“ მისაბად მაგალითად უნდა ჩითვალოს. ამ პატარა „სტატუეტკით“ სრულიად ახალი გზა და შესაძლებლობა დაანახა ხელოვნებს ბელეტრისტიკა.

კიდევ უფრო პატარაა მეორე ბელეტრისტიკის დეოქიანის მინიატიურა: „უცნაური ამბავი“, რემელიც „ქართული მწერლობის“ მხოლოდ ორ გვერდს იკერს. ჩენის ფიქრით, ეს მინიატიურა რაღაც ნაძალადეგად დაუწყებია ავტორს; ის ვერ არის დამუშავებული და საეჭვოა, რომ მკათბელება გაიგოს თუ რის თქმა სურდა მას.

უტყუარი ნიჭით არის გამთბარი დემნა შენგელაია ესკიზი: ლაფშა, თუმცა შიგა და შიგ შეხედებით ისეთ რამესაც, რაც სრულიად აფუტებს მხატვრული ნაწარმოების ელფერს.

იმის დასამტკიცებლად, რომ მეგრელებს კარგი ცნები უყვართ, სულაც არ არის საჭირო ისეთი რამესი თქმა, როგორც, მაგალითად:

„მეგრელები სისხლს გადიოდენ შარდად ლაფშას დანახაზე“, ან: ლაფშას დანახაზე თენგინმა შარვალში დაახველა“.

ვერ არის მობერხებული შედარება: „ლაფშა ხეთისმშობელივით გონიერი იყო“... ქართული გოამტიკა არ გაამართლებს ასეთ მართლწერასაც: „თენგინი“ შეყვარებული იყო მეკუბო ეჯანჯლივას ქალიშვილ პასიკოში. ეს წმინდა რუსულია: Тенгиз был влюблен в Пасию.

ხერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარი“ უფერული და უსხვიოა. ის სულაც ვერ ანათებს „ქართული მწერლობის“ ფურცლებს. დიდად კადნიერი უნდა იყოს ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ასე სუსტად დაწერილი ნაფლეთებით გამოდის საზოგადოების წინაშე.

\* \* \*

ეჟონალში ერთობ ბევრი ლექსებია. თხემეტი ლექსიდან უმეტესობა



„ცისფერი ყანწების, ორდენის პოეტებს ეკუთვნის.

ფრანგმა პოეტმა, პოეტი ეოლის ქნარს შეადარა. თუ ეს მართალია, უნდა გვეთქვას, რომ ამდენ ლექსებში თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივობის სუსტი ანარეკლი მაინც გვექნებოდა. სამწუხაროდ ეს ასე არ არის.

საშა აბაშელის ლექსს გარდა, ეურნალში არც ერთი ისეთი ლექსი არ არის, რომელიც არა თუ დღევანდელ საქართველოს ახალ საზოგადოებრივობას, —მე-XIX საუკუნის მიწურულის საქართველოს საზოგადოებრივობას, გამოხატავდეს. ეურნალში წარმოდგენილი პოეტების დიდი უმეტესობა პირდაპირ გაურბის თანამედროვე ცხოვრებას. ისინი ძველი პატრიარქალური ცხოვრების წიაღში ეძებენ მუდრო საფაფს.

დღეს, როცა ხალხის მთელი შემოქმედება ინდუსტრიის აყვავებისაკენ არის მიმართული, როცა ქალაქი კულტურისა და პროგრესის კერათ აოის აღიარებული, ეს პოეტები არა თუ გაურბიან ქალაქს, პირდაპირ წყველაკულღვით იხსენიებენ მას.

ასეთ პოეტებში პირველობა ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის:

„წყველი იყოს დიდი ქალაქი, ჩემგან, ვით ციხე, უარყოფილი. მე მიჩრეენია ქუჩას-ქალაქი, ჩემი სამშობლო არის სოფელი!“

პოეტი ეტრდის ჩამორჩენილობას და პატრიარქალურ ცხოვრებას:

„და ცისარტყელა სჯობია კინოს, ჩრდილს კოშკებისას — ქადარის ჩრდილი,

ავტომობილის მკეჭავ სირინოზს სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი!“

სოფლის იდილიას უნდერის კოლაუ ნადირაძეც თავის „თეთრ ტყემლებში“. ისიც გაურბის ქალაქს, ამის და მიუხედავათ „თეთრი ტყემლები“ ჩინებული ლირიკული ლექსია.

„ყანწლები“ რომ ქალაქს გაურბიან და ავტომობილის გრიალს ურემსა და ურმულს ამჯობინებენ, ეს სრულიად

ბუნებრივია. მაგრამ ვერ გავივია თუ რატომ ვადაბარგებურს სოფელში პროლეტარული მწერლების ორდენის პოეტი ნოე ზომღეთელი... მასაც „გაუშილიყვებია“ „მოლიანი მწვანის ხალხე“ და მისცემია სოფლის იდილიას. ზომღეთელს მაინც მოეთხოვებოდა თანამედროვე ცხოვრებისთვის ანგარიშის გაწევა...

სრულიად ბუნებრივია, რომ „ცისფერი ყანწლების“ ორდენის მწერლები თავს კულად გრძნობენ რევოლუციონურ საზოგადოებრივობაში: აღორძინების ხანაში დაკემულობის მოციქულები კარგ გუნებაზე ვერ იქნებიან. მაგრამ ისინი პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე მისულან და ეს კი მეტისმეტია.

აი რასა სწერს რაუდენ გვეტაძე.

გულო საწყალო, გესმის ჩვენს ქვევით ვილაცა მღერის თარზე ბაიათს.

ჩვენ კი მღულარე ცრემლების ფრქვევით

ლამის ჩავვიშრეს თვალთა ბაია.

ჩვენს გულს გარიყულს არავინ იცავს, არავინ არის გვაპუროს ცვარი.

არ გვახსოვს ჯერ ჩვენ დღე უნაკულა,

ეხლაც ამიტომ გამოვიქცეით.

იტირე გულო... გულო დაკლული, ასე მგონია ლოდად იქეცი.

კიდევ უფრო უსაზღვროა ტიციან ტაბიძის კავშიანი. ის სრულიებით ვერ ურიგდება თანამედროვე ცხოვრებას. მას ძველებურად სწამს პოეზია და მისი ყოვლის შემძლებელობა:

არ გამოცვლილა ხომ პოეზია — მუხები ცისკრის კარებს აღებენ.

მაგრამ ტაბიძე დროს უჩივის:

მხოლოდ ჩვენ სხვა დრო, წამოგვეწყია,

ჩვენც მალე სადმე ჩავგაძალღებენ!

ასეთი უიმედო აზრები უტრიალებს თავში ტიციან ტაბიძეს. მას სიცოცხლის იმედი დაუკარგავს და მხოლოდ სიკვდილში მოელის ნუგეშს. ტრადიკულად დაღუპულ სერგეი ესენინს იგი ასე შესჩივის:



სული დააღუპეს და მერე ძორი—  
ძორიც ძერებმა გამოათავეს.

მაგონ ტრკინი ტაბიქის ასეთ სასო-  
წარკვეთილების დროსაც არ ავიწყდება  
„ყანწელ ბასთის“ ჩვეულებრივი ტრა-  
ბაში და პოზიორობა:

ასე უჭირდა ალბათ ამირანს,  
რომ დაუღუპეს ჩვენსავით მკერდი...  
როდის? სად? რომელ ომში? — ეკით-  
ხებით პოეტს მაგრამ ის პასუხის ნაც-  
ვლად თავის მკვლელაბით გვემუქრება.

ესენინის „ალავერდს“ „აბნეოლით  
უპასუხებს:

შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც  
მირონს.

პრევილად შენ სიტყვას ალავერდი.

აქედან აშკარაა, რომ „ყანწელების“  
ორდენი სასოწარკვეთილებას მოუტაცეს:  
დაცემულობის მოკიჭულკბრა თავს ცუ-  
დდ გრძობენ ახალ საზოგადოებრი-  
ვობაში და ეს კი სოფლიად ბუნებრი-  
ვი მოვლენაა.

\* \*

ნიკოლოზ ჩაჩავას „ჯაფრა“ ლა-  
მბათ არის დაწერილი. პოეტს ჩინე-  
ბოლად ებერებება— ვაჟა ფშაველას ნი-  
ბაძეა ლექსის ფორმის მხრით მინიც,  
ეს არც დასაძახი საქმია: ვაჟა დიდი  
პოეტია და ცუდ ორიგინალობას კარ-  
გი მიზნაძეულობა სჯობს.

ვარლამ რუხაძის „ცხოვრება“ კარ-  
გია. პოეტს ცოტათი ავიც ეტყობა  
ამ ვეფხთავენი პოეზიის მოარუნება. ამ  
ლექსიდან სჩანს, რომ ის უკვე უიჯ-  
დება რეკოლიფციას, რომლის ვრიგა-  
ლა პოეტებში ის საქართველოში იყო-  
თი პოეველთაგანი იყო. დიდი ხნის  
ფიქვის შემდეგ პოეტი უკვე ძისულა  
იმ დასკვნამდე, რომ თუ „ცხოვრება“  
არღვევს ძველსა და დრო მოკმულს,  
ახალ უთავისაკ ის არის საქანე“.

სილომონ თავაძის „შით არავგისპი-  
რელი“ ჩინებულია ვიც შიოს კარვად  
იქნაიდა, ის აუტილებლად დაეთანხმე-  
ბა პოეტს, რომ ათავისპირელი:

მოვიდა მთროლიაუ გრძობებით  
მთვრალი  
და... ეკვის თვლია შეხ და უველას...

ჩინებულია საშა აბაშელის „ტფი-  
ლისი“. ამ ლექსით პრეტენზიულ  
კიდევ დაანახა პოეტის თვითმზნობის  
მოტოფილაღებს, რომ შესაძლებელია მა-  
ლალი პოეტური ლექსის დაწერა ისეთ  
პროზაიკურ რამეზე, როგორც არის ტფი-  
ლისის ზავისის ენერგიით ვანათების მი-  
ხნით ქუჩებში სვეტების დამზადება.

ნაძვის ხეები თეთარ ურდობად  
შეივსია ტფილისის ქუჩებს,  
და დაირახა შიშველ სვეტების  
რკინის ფეხებზე შემდგომი ჯარი,  
დატყვევებული ცეცხლის წვეთები  
რომ დაარვივოს მეტის სიჩქარით.  
ის ავკალიდან სინათლეს ვლის  
და მსოფლიო ღამე არ დაიძინებს.  
მეწიის კბილებით უჭირავს ქსელი,  
სადაც ძორილი ელვა იდინებს.  
როცა სვეტები გადაიქცევა  
ათასი მთვარის ვშაფოტებად,  
სწეული ჩრდილი ცად იიწვევა,  
იმატვის ღამის ვაბოროტება.

პოეტს სწამს, რომ ნათელი ვაიმარჯ-  
ვებს ბნელზე

ვერას ვახდება—მგერიც იბრძოლოს,  
და რომ ინათებს დილა სისხამი,  
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს  
თავს ჩამოიხზობს ტფილისის ღამე.

ეს ლექსი იმის მაჩვენებელია, რომ  
პოეტი ფეხ და ფეხ მისდევს ახალ  
ცხოვრებას, რომ მას დიდი შესაძლებ-  
ლობა აქვს თანამედროვე საზოგადოებ-  
რივობის ვანსახიერებისა.

ჩვენს პოეტურულ მწერლებს ჯერ  
კიდევ ბევრი რამ შეუძლიათ ისწავლონ  
საშა აბაშელისაგან... პოეტს არ შე-  
გვიძლია ან ვუსაყვედუროთ მხოლოდ  
მეტის მეტი სიხარბაცე. ის მეტის მე-  
ტად იშვიათად სწორს. ეს კი ცუდია.

სიმონ ჩიქოვანის „ნაწვევები“ არ  
შეიძლება მივიღოთ ხელოვნების ნიმუ-  
შად. ის მეტის მეტად ვულგარული და  
მიუღებელია თვითონ ფუტურისტები-  
სთვისაც.

„მომწორდი... მომწორდი... თორემ  
სინდისს გეფიცები, შემომვლახები!...  
ვერავფერი პოეზიაა. ასეთ რასმეს ხში-  
რად მოკრავთ ყურს სადმე ქუჩებში.



მაგრამ ამის პოეზიის „ნაწყვეტებად“ გამოტანა მეტიც მეტი კადნიერებაა. ქალღმერთი ყოველიფერს ითმენს, მაგრამ მაინც დიდი შეცდომაა ჟურნალის მხრით, ასეთი „ხელოვნური ნაწარმოების“ დაბეჭდვა.

ან ასეთი შედარება იმავე ჩიჭოვანისა.

„შრილობენ ფოთლები და შენი უმანკოება აკრია ცას, როგორც სურდო!“

საბჭოთა, რომ ასეთ შედარებებს ფურცლისტების რომელიმე ჟურნალმა დაუთმოს ადვილი.

საერთოდ „ქართულ მწერლობას“ ძალიან აკლია გამოცდილი რედაქტორის ხელი. შეიძლება ეს იმისი ბრალიც იყოს, რომ—

В одну телегу впрячь не можно Коня и трепетную лань.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც:

ჟურნალის პირველ ნომერში ჩვენ

ვერ ვხედავთ ისეთი მწერლების უმეტესობას, რომლებიც საქართლოდან ითვლებიან ქართული ლიტერატორის ხერხემადად.

რაშია საქმე? იქნება მათი ნაწერებისთვის რედაქციას ადგილი არ აღმოაჩნდა?

სხვაფერ რით შეიძლება ავხსნათ, რომ ისინი არსადა ჩანან. არ გვსურს დაეიჯეროთ, რომ მათ სათქმელი არაფერი ქონდათ. ჟურნალის გამოცემას წინ უძღოდა მწერალთა ყრილობა, ვითქმა-მოთქმა, მოლოდინი და იმედები.

ყოველი ამის შემდეგ საზოგადოება სრულიად სამართლიანად ამკარგდა დიდ იმედებს ამ ჟურნალზე. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით მან მხოლოდ ხალხის თქმულება გაამართლა:

შთამ დაიხუვლა და თაგვი გამოხტაო!

Гора родила мышь!

ბებრე გელეიშვილი.

**ფილიპე მახარაძე: „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“.**

ს.ს.ს. სახელგამი.

იშვიათია ისტორიაში მოინახოს ისეთი გრანდიოზული გარდატეხის და ძველი ტრადიცია-წესწყობილებაში შეცვლიანების ეპოქა, როგორც იყო 1905 წლის ხანა ჩვენში. ის მორფოლოგიური სახე ისტორიისა, რომელსაც ისტორიის ჩვეულებრივი მიმოხილვა შეისწავლის, ყოველთვის გაშლილია ხალხს გარეშე, ხალხი მას მოსდევს, როგორც მებრძობი მოსახმარი მასალა. ხალხი, რომელიც ისტორიას ჰქმნის, ისტორიაში არ მოსჩანს. თუ ახალგაზრდობაში ჩვენი დიდი თანამემამულე ი. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში ხალხს დაემებს და, აქ კი ის მხოლოდ შეფეხებს და ფეოდალებს ნახულობს და ამ გარემოებას საქართველოს ისტორიულ უკუღმართობათ აცხადებს, ამას ჩვენ ის უნდა დაუმართო, რომ ეს უკუღმართობა ახასიათებს ყველა ერის ისტორიისა.—

მაგრამ ის ახასიათებს მას მხოლოდ განსახლებურულ დონეებზე; ამას იქით

კი იწყება ისტორიის ახალი ხანა. ყოველის შემძლე მეფეები, ფეოდალები, არისტოკრატები, გმირები და წარჩინებულნი მიდიან ისტორიის ჩრდილებში და ასპარეზზე გამოდის თვით ხალხი.— ეს უსახელო, მაგრამ შემომქმედი ხუბიექტი.

პირველად 1905 წლის რევოლუციის დროს გამოჩნდა ძველი რუსეთის იმპერიის ჰორიზონტზე, ეს, „უსახელო სულექტი“,—ეს ისტორიაში ყოველის შემძლე ელემენტი, და ეს გამოჩენა იყო გრანდიოზული. უცრად შეირყა ყველაფერი ის, რაიც ათას წლებს უცვლელი მიაჩნდათ: დაიწყო ისტორია თვით ხალხის.

ისტორიული აუცილებლობა, რომელსაც ხალხი ისტორიის უღელში შეეგება, ამ საფეხურზე განცდილ იქნა, როგორც თავისუფლება—და თავისუფლებისათვის ბრძოლა შეიქმნა ღობეზგი ისტორიისა და იდეალი ხალხის.— შემუშავდა ფსიქოლოგია მასის და



თავდადების, ერთობის და რევოლუციონური სინდისიერების.—მე მახსოვს თუ რა გრანდიოზული მნიშვნელობა მიეცა 1905 წელს ჩვენ ქართველ რევოლუციონერების თქმაში სიტყვა „სინდისი“. ასი ათასი ტრადიციული კერპის ნანგრევებზე რევოლუციონერს პირში შეჩაერათი სიტყვა—„რევოლუციონური სინდისი“ და ეს სიტყვა ხალხის ცნობიერებაში იყო ასს მილიონჯერ უფრო მტკიცე, აღმალეული და სარწმუნო, ვიდრე ძველი ქვეყნის მთელი პატიოსნება, მორალი და მოკრძალება...

**ამხ. ფილ. მახარაძე** სწორედ ამ დიდებული ეპოქის ისტორიას სწერს. როგორ უნდა დაიწეროს ასეთი ისტორია? მე ეს ვიგრძენი, როდესაც ამხ. ფილ. მახარაძის წიგნი გადავიკითხე. ეს „ისტორია“ დაწერილია ახალი მეთოდით, ეს არის ისტორია სადაც არ მოსჩანს გმირი და სასწაულომომქმედი და ეს არის ისტორია, სადაც არც ერთი პიროვნება არ არის დასახელებული. ხალხის ისტორია სწორედ ამ ახალი მეთოდით უნდა დაიწეროს. ამხ. მახარაძემ უდიდეს შედეგს მიიღწია ამ დარგში, მან პირველად დაგვანახა, რომ ასეთი, ასე ვთქვათ „კოლექტიური ისტორია“, შესაძლებელია.—

გადაპარბება რასაკვირველია საქირო არ არის: ამხ. ფილიპეს წიგნს ნაკლიც აქვს, თვით ავტორიც დაგვეთანხმება იმაში, რომ მან, თუმცაღა—ისტორიის დაწერის ამ ახალ მეთოდზე მივიტოთა, მაგრამ მას სრული ისტორია მაინც არ დაუწერია. წიგნის ერთი უდიდესი ნაწილი უფრო მასალების დლაგებაა, ვიდრე ისტორია. და მეორე ისიც, რომ თითქმის უყურადღებოდ დატოვებულია ის გრანდიოზული გარდატეხა და რევოლუცია ხალხის სოციალურს შეგნებაში, რაიც ყოველ დიდ რევოლუციას ამავე სახის ეკონომიური ყოვალყოფრების და პოლიტიკური ორგანიზაციის სფეროში, თან მოჰყვება.

ამხ. ფილ. მახარაძის წიგნი შეიცავს

1905 წ. რევოლუციის მიმოხილვას აკაკიასის ფარგლებში და ნიკოლოზ მახარაძის, თითქმის ერთი ნიშნისადაც საქართველოს ამბებს შეეხება—ეს იმიტომ, რომ, როგორც ავტორი ამბობს, 1905 წლის რევოლუციაში, თითქმის ყველა განაპირა ქვეყნიებიდან, საქართველოს განსაკუთრებული რევოლუციონერობის როლის შესრულება მოუხდა. ძველი იმპერიის არც ერთ ნაწილს, გარდა დიდი სამრეწველო ცენტრებისა, ისე არ მოსდებია, რევოლუციის ქარცხელი, როგორც საქართველოს.—ეს ისტორიული ფაქტია. თუ რა იყო ამის გამომწვევი ობიექტური მიზეზი, ამას მკითხველი საკმაოდ დასაბუთებულს ნახავს ამხ. მახარაძის წიგნის პირველ ნაწილში.—

ეს იყო ჩვენი ისტორიის და სოციალ-ეკონომიური განვითარების ახალი ეტაპის თავისებურება—ე. ი. ჩვენი ხალხის ისტორიის სარბიელზე ორი ახალი ელემენტის, ლარბიზ გლეხის და ქალაქის მუშის გამოსვლა.

ის ობიექტური პირობები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის აუცილებლობას ამზადებდნენ აკაკიასიაში და კერძოთ საქართველოში, ამხ. ფ. მახარაძის დალაგებით იყო სამ გვარი.

1) პირველი რევოლუციონური სულისკვეთების გამომწვევი პირობა იყო ის რომ „ამიერ კავკასია წარმოადგენდა რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანას, ეს იყო ხმალით, თოკით და ხარბახნით დამორჩილებული ქვეყანა“. ცხადია, მას როგორც დაპყრობილ ქვეყანას ცენტრალური მთავრობა უყურებდა, როგორც ხელსაყრელ კოლონიას—ამიტომ ხალხი ჩაგვრას და შევიწროებას მართა მოხელეებიდან კი არ განიცდიდა, არამედ მთელი რუსი-ვაქარიც კი უქვევდა მას უფლებებს და მოქმედების თავისუფლებას. (იხილეთ ფ. მახარაძის წიგნის შესავალი).—ეს იყო, ასე ვთქვათ პოლიტიკური პირობა—გარეგნული შესაძლებლობა.

მაგრამ იყო ამაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი მომენტები. ეს იყო გლეხობის მდგომარეობა ერთი მხრით





და მუშათა კლასის წარმომოხმად მერორე მხრით—ბაქოს და ბათუმის ფანჯრები.

2) დიდი ოსტატობით აგვიწერს ამხ. ფილიპე მახარაძე ჩვენი გლეხობის მდგომარეობას მე 19 საუკუნის მერორე ნახევარში. გლეხობა, სამოციან წლებში თუმცა ბატონყმობიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ ის გაუშვეს უმიწაწყლოთ და მისი ეკონომიური მდგომარეობა გამოკეთების მაგვირად, გაუვარესდა. ანას ზედ ისიც დაეძატა, რომ მთავრობამ გლეხობას დიდი ხარკი და ბევარი შეაწერა. მთავრობის დამქაზებმა თვით ბატონყმობის საერთო კანონსაც კი თავისებური „ინტერპრეტაცია“ გაუკეთეს ჩვენი გლეხობის მიმართ. მაგ. ე. წ. გამოსასყიდი თანხები, რუსეთის შიდა გუბერნიის გლეხებმა დაპირებულის 80% მიიღეს, ქართველ გლეხებს კი რაღაც 30% ძლივს გაიმოუგდეს (იხ. გვ. 27). განსაკუთრებით მწვავე იყო გლეხობის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში და სწორედ ეს მხარე გადაიქცა 1905 წლის რევოლუციის ასპარეზით.

ასეთ პირობებში ჩავარდნილ გლეხობას ხომ რაიმე გამოსავალი უნდა გამოენახა?—

3) გამოსავალი იმაში იქნა ნახული, რომ სწორედ ამ დროს, ბაქოს ნავთის ამოღების კოლასალურ ზრდასთან და ბათუმის ნავთსადგურში ქარხნების აგებასთან, ჩვენი წარმოიშვა ქალაქის ქუჩა. უმიწაწყლო გლეხობამ მიატოვა სოფელი და მიამოწრა ქალაქს. განაღდა მუშათა კლასი და ამ მუშათა კლასი გაუჩნდა საკუთარი კლასობრივი რევოლუციონური მსოფლმხედველობა; მან პოლიტიკური პარტიის სახით იწყო ჩამოყალიბება. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს პროცესი საქართველოში.

ამ ახალ გაჩენილმა მუშათა კლასმა ჯამში გაუკეთა ყველა რევოლუციონურ შესაძლებლობას და გადაიქცა რევოლუციის ქვა-კუთხედად. მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან უკვე იწყება მუშათა კლასის რევოლუციონური საბრძოლველი იარაღების ხმარება. იწყება პირველ მა-

ისის დღესასწაული, ეკონომიური და პოლიტიკური ვაფიციები, პოლიტიკური (1902—წ წლების გუროის „პოლიტიკები“—ს შესახებ სველ ტანიანი წიგნების დაწერა შეიძლება). საქართველოში ამ მოძრაობას, სხვათა შორის, ჩვენი ინტელიგენციის პროტესტანტული და, ზოგ-შემთხვევაში, რევოლუციონური წარსულიც ხელს უწყობდა.

სულ მალე მუშათა მოძრაობა და მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატია, საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ექცევა და აქ, არამც თუ საპატიო ადგილს იჭერს, არამედ 1905 წლის გარიჟრაჟზე ის პირდაპირ გვეგმინის უფლებას იხვევს.—ამით თავდება ამხ. ფილიპე მახარაძის წიგნის პირველი ნაწილი. მერორე ნაწილში მოთხრობილია თვით 1905 წლის ამბები.

ამ რიგად, მე 20-ე საუკუნის დასაწყისში, ა/კავკასია მზად იყო შეერთება და რუსეთის სამრეწველო ცენტრებს და დაწყებული მოძრაობა გრანდიოზულ რევოლუციით ექცია. რუსეთის მაშინდელი მთავრობა, რომ რევოლუციის საშიშროება თავიდან აეშორებია, ავანტიურის გზას დაადგა. მან ომი დაიწყო იაპონიასთან. მაგრამ მთავრობა ანგარიშში შეეცა, რევოლუცია მან, არამც თუ ვერ აღავმა,—არამედ მას ასპარეზი გაუშალა. 9 იანვრის (1905) ამბებით უკვე ფაქტობრივი რევოლუცია დაიწყო. და მთელი ა/კავკასია და განსაკუთრებით საქართველო, ხელად, რევოლუციის პირველ რიგებში დგება. იწყება გრანდიოზული გაფიცების, სისხლიანი შეტაკებების, მთავრობის ადგილებიდან განდევნის, და ტერორის ეპოქა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მერორე განყოფილების III თავი. „გუროის ამბები.“ ცნობილია რომ, 1905 წ. რევოლუცია საქართველოში, ისე არც ერთ მხარეს არ მოსდებია, როგორც გუროის. გურია გადაიქცა რევოლუციის აკვნად. დიდის დაცვირებით და სიყვარულით აგვიწერს ამხ. ფილ. 1905 წლის გუროის ამბებს. დიდად საინტერესო და ბევრის მოქმელია, ზოგ შემთხვევაში მკერმეტყველიც, ის დოკუმენტები,



რომელსაც მაშინდელი საიდუმლო პოლიციის აგენტები, გურიის შესახებ ცენტრალურ მთავრობას აწვედიდნენ, და რომლებიც ამჟამად მხარაძის წიგნშია მოთავსებული.

მალე რევოლიუციონური მოძრაობა მოედო მთელ საქართველოს გლეხობას და თითქმის ყოველგან გაუქმებული იყო მთავრობის პოლიცია და სასამართლო.

მე-V თავში აღწერილია რევოლიუციონური ტფილისის 1905 წელს. გაფიცვები, დემონსტრაციები, მიტინგები, ტერორი და ბრძოლა, — და ამ ვახურებულ ატმოსფეროში, 18 ოქტომბერს დილის 10 საათზე ტელეგრაფის შოაქეს ცნობილი 17 ოქტომბრის მანიფესტის ამბავი. რევოლიუცია ვითომც და ლეგალურ სახესღებულა.

ბევრი რევოლიუციონერი მანიფესტს ისე ხსნის, ვითომც ეს მთავრობის დანაკლები იყოს; მაგრამ მალე ირკვევა, რომ ამ მანიფესტით მთავრობას დროებითი შესვენება უნდოდა ვდა შარაზმულ ძალებს აგროვებდა. ამის გაკვეთილი სულ მალე მიიღო ტფილისის პროლეტარიატმა. კიდევ, 22 ოქტომბერს ტფილისის ქუჩები სისხლით შეიღებდა. ბრძოლა ხელახლა დაიწყო და რეაქცია ამ შემთხვევისათვის უკვე მომავრებული აღმოჩნდა.

ნოემბრისთვის რეაქციამ უკვე მოახერხა ტფილისშიც გაემართა ე. წ. სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტვა. სარგებლობდა რა მეფის მთავრობა, ამ ორიერის მასების ჩამორჩენილობით და თათარული რელიგიური ფანატიზმით, ბაქოს და სომხეთის ქალაქებში აწყობდა ასეთ შეტაკებებს; ახლა ის ტფილისისკენ იწვია. მაგრამ რევოლიუციონური მუშათა კლასი, აქაც სადაზოჯოზე აღმოჩნდა. სოციალ-დემოკრატიკა აიძულეს მთავრობას, — მიიღოს იარაღი და თავიანთი წითელი რაზმების საშუალებით აჩერებს უმიზნო შეტაკებებს.

დეკემბერში საერთო პოლიტიკური ატმოსფერო კიდევ უფრო დამძიმდა.

მთავრობის დამქაშებრი უკვე სერეოზულათ ოცნებობენ რევოლიუციონერების ხლიანი საშუალებით ლიკვიდაციაზე.

16 იანვარს, დილის 10 საათზე არხენა ფორჯაშვილმა სიკოცხლეს გამოსალმა რეაქციის ყველაზე უფრო ერთგული მსახური — გენერალი გრიგოლი. ეს ტერორი მოეწყოს სოც-დემოკრატიული კომიტეტის დავალიანთ.

და ამით 1905 წლის ამბები გათავდა..

შემდეგ, თავის წიგნში ამხ. ფილ. მხარაძე განიხილავს 1905 წლის რევოლიუციასთან დამოკიდებულ სპეციალურ საკითხებს. ასეთებია: საკითხი ჯარისა და რევოლიუციის შესახებ, საქართველოს თავად-ახაურობის როლის შესახებ რევოლიუციაში, რუსული შავრანული ორგანიზაციების მოღვაწეობის და ადმინისტრაციული აპარატის შესახებ; სომეხ-თათართა შეტაკების უფრო დეტალური განხილვა და საქართველოს ავტონომიის საკითხი 1905 წელს. მე-XII და უკანასკნელ თავში მოკლედ დახასიათებულია, ყველა იმ რევოლიუციონერი (თუ ნახვერად რევოლიუციონერი) პარტიების პროგრამა და პრაქტიკა, რომლებიც 1905 წლის რევოლიუციის დროს მოქმედებდნენ ჩვენში.

დასასრულ, წიგნს დართული აქვს 21 დამატება.

დამატებანი სამ ნაწილად განიყოფიან. 1) მოწოდებები და პროკლამაციები სოციალ-დემოკრატიის მიერ გამოცემული 1905 წელს. 2) ამონაბეჭდები მაშინდელი რევოლიუციონური გაზეთებიდან. მეტ ნაწილად ურ. „მოგზაური“-დან, რომელსაც თვით ამხ. ფილ. მხარაძე რედაქტორობდა და 3) ასლები მთავრობის საიდუმლო დოკუმენტებისა 1905 წლის რევოლიუციის შესახებ.

მოკლედ ასეთია ამხ. ფ. მხარაძის საინტერესო წიგნი. ის შეიცავს 349 გვერდს დიდი ფორმატისა. გამოცემულია თბილისი სუფთად, მაგრამ სახელ-



გამს ამ ლირსეული ნაშრომისათვის უფრო შესაფერი გარეგნობა უნდა გამოენახა, ვიდრე ეს მას ახლა აქვს.

აუცილებელია აგრეთვე ეს წიგნი ითარგმნოს რუსულ ენაზე.

**ბ. დანელია: „ქსენოფანე კოლოფონელი“**

ტფ. უნივერსიტეტის გამოცემა 1926 წ.

როგორც წინამდებარე ნაშრომის სათაური ვვეუბნება მისი მიზანია შეისწავლოს ბერძენთა ფილოსოფოსი ქსენოფანეს (დაახლოებით 570 წლევ.ში ქრ. წინ დაბადებულია) მოძღვრება.

ქსენოფანეს პრობლემას დღემდე არ დაუკარგავს ინტერესი. მისი შესწავლის აუცილებლობა გამართლებულია სამი თვალსაზრისით:

1) ქსენოფანე მამამთავარია ელეატიზმის მეტაფიზიკის და მათი რეალისტური იდეალიზმის ე. ი. იმ ფილოსოფიური მოძღვრების, რომელიც ბერძენთა თეორიულ ცნობიერების გაშლაში წარმოდგენილია, როგორც ძეაიო და უკელელი, წინააღმდეგ პერაკლიტეს პარადი ცვალებადობისა. ორივე მიმართულებამ შექმნა თავისებური დიალექტიკა: პერაკლიტეს „პანტა-რეი“, რომლის ძალით ყოველივე მოძრაობაშია გაშლილი და ძეიონის „აპორია“, რომელიც არამც თუ მოძრაობას უარჰყოფს არამედ თვით ერთისა და მრავლის არსებობის პრობლემასაც კი ეჭვიადევნა.

2) ანტიური კულტურის ისტორიაში ქსენოფანე ის მოაზრება, რომელმაც პირველად საესეებით გარკვეულად უარჰყო პოლითეიზმი და მის ადგილზე საესეებით გარკვეულათ ერთი ღმერთის ცნება წამოასკუპა. ამ რიგად, ქსენოფანე ცოცხალი, ლიტერატურულ - თეორიული დოკუმენტი კულტურის ისტო-

რიის იმ დონისა, როდესაც ეს თუ ის ხალხი სტოვებს რა ყოფა-ცხოვრების და საზოგადოებრივი წარმოების პატრიარქალუ უფორმებს მასთან ერთად სტოვებს. ძველ ღმერთებსაც და ღებულობს ისეთ ახალ ღმერთს, თუ როგორ და რა გზით წაეა მისი ახალი სოციალური ცხოვრების მოწყობის იმპულსი და სტილი.

ძველ საბერძნეთში სწორედ ქსენოფანეს დროს ირღვიოდა ძველი პატრიარქალური—ზღაპრული ეპოქა და ქსენოფანე რეგულიუციონური იყო ძველი ეპოქის მიმართ. ის მოციქული იყო ახალი დროის, —ადამიანის უფო დიდი ინდივიდუალობის, —ამიტომ მის ცნობიერებაში აღბეჭდილი სახე კულტურისა ერთი მხრით არის იდეალიზმი და მეორე მხრით მონათეზმი, —თუ საბერძნეთის ხელნმა, მიუხედავათ მისი დიდი ფილოსოფოსების, ან ათეისტური (დემოკრიტი და ზოგი სოფისტები), ან მონოთეისტური (პლატონი, არისტოტელე) მსოფლმხედველობისა, მაინც ვერ შექმნა საკუთარი მონოთეისტური რელიგია, ეს უსათუოდ იმიტაც აიხსნება, რომ ამ ხალხმა, რომელმაც კაცობრიობას ყველაფერი აჩუქა, რის ჩუქება კულტურის საგანძულოდან კი შეიძლებოდა, თავისთვის ვერ შექმნა ერთი ნაციონალური ბერძნული სახელაწიფო. მონო-



თეისტური რელიგიის იდეალი დარჩა ფილოსოფოსების ფანტაზიაში. და ეს „ფანტაზია“ გვაჩვენებს ჩვენ, თუ რა საზოგადოებრივი პირობები იწვევდნენ მონოთეიზმის იდეის წარმოშობას.

3) მესამე საკითხია, თუ რა დამოკიდებულებაში იყო ქსენოფანეს იდეალიზმი და მონოთეიზმი მაშინდელი დროის ასე ესთქვით პოზიტიურ მეცნიერებასთან, განსაკუთრებით კი ნატურფილოსოფიასთან და იონიელების ფიზიკასთან.

აი ის სამი საკითხი, რომელიც ფილოსოფიის ისტორიკოსმა უნდა გადაჭრას. ქსენოფანეს მოძღვრებას, დღეს, ცხადია რომ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ს. დახელოიამ ძალიან კარგად იცის ეს, როდესაც ის უკვე წინასიტყვაობაში აცხადებს: „ჩვენი დამოკიდებულება ქსენოფანეს მოძღვრებასთან არის დამოკიდებულება ისტორიკოსისა თავის საგანთან: არც მეტი, არც ნაკლები“.

უნდა ითქვას, რომ სამივე ჩვენს მიერ შემოხაზული, პრობლემა, ავტორს საგნებით და უნაკლოთ მიღებული აქვს და გამოკვლევის სხვა და სხვა ადგილებზე საკმაო პასუხს იძლევა სამივე საკითხის შესახებ. თუმცაღა ცალკე სათურის სახით მის ის (გარდა მეორე საკითხისა) არ გამოუყვია.

როდესაც ძველი ფილოსოფოსების შესახებ ვმსჯელობთ, ან მეცნიერულ ტრაქტატებს ვწერთ, რასაკვირველია, ის არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ეს უპირველეს ყოვლისა ფილოლოგიის და ტექსტის კრიტიკის საკითხია, თითქმის ყველა სრკობატეს წინა ფილოსოფოსების ნაწერები დაკარგულია და მათი შესწავლა, მეტ ნაწილად შემთხვევითი ხარისხის დროს დაკული ციტატებით და ნაწყვეტებით ხდება. ამ ბედს, არამც თუ ქსენოფანე, არამედ მეცნიერების ისეთი უდიდესი კლასიკოსი, როგორიც დემოკრიტე იყო, ვერ გადაურჩა და სწორედ დანელია თავის გამოკვლევის პირველ ნაწილს ანდომებს იმას, რომ მისთვის საჭირო ფრაგმენტებს და ძველი ფილოსოფოსების თუ ისტორიკო-

სების მოწმობას ქსენოფანეს შესახებ თავი მოუყაროს. ავტორის მერ სინდისიერად მოყვანილია და დასახელებულია ყოველივე, რის დასახელება კლასიკური ფილოლოგიის თანამედროვე განვითარებას კი შეეძლო.

წიგნის მეორე ნაწილში კი უკვე გარკვეულია ყველა ის პირობები, ობიექტიური, თუ სუბიექტიური ხასიათისა, რომელიც ქსენოფანეს წინ დაუხვდა, ის ისტორიულ-სოციალური ზეგავლენა, რომელსაც ქსენოფანე განიცდიდა. ავტორი აღნიშნავს, რომ ქსენოფანემ ძველი საზოგადოების პატრიარქალური წესწყობილების დაშლისთან ერთად, უკუ ავღო იმ საზოგადოების იდეოლოგია, პომეროსის და ჰესიოდის ეპოსში დაკული პოლითეისტური მითოლოგია. და როგორც ეპოსმა „სუბიექტის მშფოთარე სულიერი ცხოვრებით დაინტერესებულს ლირიკას დაუთმო ადგილი“, ასე ქსენოფანეს ზნეობივმა შეგნება-მაც სუბიექტივისტურად იცვალა ფერი. მესამე ნაწილში განხილულია ქსენოფანეს დამოკიდებულება პოლითეისტურ იდეოლოგიასთან: მოცემულია ანთროპომორფიზმის კრიტიკა და ქსენოფანეს შეხედულება ბუნებაზე ე. ი. მისი ფიზიკა. ქსენოფანეს ფიზიკა გამოდის იმ დებულებიდან, რომ ბუნებას ვაიმეროების ღირსი არ არის, რომ შეცდომაა ბუნების კანონების თავყვანისცემა — ე. ი. ეს დამოლოს ფიზიკა კი არა ანთროპომორფიზმის კრიტიკაა.

ქსენოფანეს ქვეყანა სისტემის სახით დალაგებულად ოა აქვს წარმოდგენილი, მის ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რომ ვალმერთების უწყდების შემდეგ, შესამლებულია თვით ზონების კანონების მსვლელობაში აღმოჩნდეს მიზეზობრიობის პრინციპზე დამყარებული აუცილებლობა და კანონიერება — ეს პირველად დემოკრიტეს გენიამ აღმოაჩინა.

შემდეგ მოცემულია მონოთეისტური ტრანსცენდენტალიზმის დასაბუთება. ქსენოფანე აღმოაჩენს, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს და ცხადია მან ამ ღმერთისთვის ადგილი უნდა გამოხაზოს. ქსენოფანე — ტრანსცენდენტალი-



სტისათვის, უპირველეს ყოვლისა, ცხადია ის დებულება, რომ „ღმერთს არ შეიძლება ის პრედიკატები მიეწეროს, რომელიც ბუნებას ვაჩნია“. სწორედ ამიტომ ქსენოფანეს ტრანსკედენტური ღმერთი წარმოდგენილი აქვს დროის და სივრცის გარეშე არსებული რეალობის სახით. ქსენოფანე ერთად ერთ რეალობათ ღმერთს აცხადებს. მისი აზრით არ შეიძლება რაიმე რეალური დამოკიდებულება არსებობდეს ღმერთსა და ქვეყანას შორის, რადგან რეალური დამოკიდებულება მხოლოდ რეალობათა შორის შეიძლება. ღმერთი კი ერთად ერთი რეალობაა, ბუნების არსებობა მხოლოდ მოჩვენებაა.

ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქსენოფანე ამ თეზებით იძლევა იდეალისტური ფილოსოფიის პირველ სათავეს და ამავე დროს, ეს თეზებით თეოლოგიის მთავარი დებულებების შემცველიც არის. ეს გარეგნობა იდეალიზმს უმაღლესი განვითარების მწვერვალზედაც ახასიათებს,—ის აქ ბზირად თეოლოგიად იქცევა.

ბოლოს მოყვანილია ქსენოფანეს თეოლოგიის გნოსეოლოგიური პრინციპები: კემზარიტება არის არსებულის განმეორება. არსებული კი მხოლოდ ღმერთია ე. ი. აქაც იდეალისტურ სამოსელში გახვეულია თეოლოგიური სხეული.—ეს შეცდომა თითქმის საერთოა იდეალიზმის ყველა მიმართულებისათ-

ვის. იდეალისტებს უნდა მცოდნეთ ერთ-ერთ ის კემზარიტება: თავნიჟ მესახებ, რომელიც მათ გააჩნიათ და ის საგანი, რომელიც სინამდვილეში არსებობს. ე. ი. იდეალიზმი უბრალოდ ვერ ხედავს იმ გარემობას, რომ კემზარიტება არსებობა კი არ არის, არამედ აზრის გამოთქმა არსებობაზე—ობიექტიური ნაწილი ყოველთვის მერტია სუბიექტიურზე.

ყველა, ვისაც კი ფილოსოფიის ისტორია და მასთან დამოკიდებული სისტემატიური საკითხების შესწავლა აინტერესებს, სიამოვნებით წაიკითხავს ს. დანელიას წიგნს ქსენოფანეს შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ეს წიგნი როგორც მასალა იდეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის. მაგრამ ს. დანელიას არ შეგვიძლია საყვედური არ უთხრათ: მას მხედველობაში არ მიუღია, რომ კლასიკური ენების ცოდნა გავრცელებული არ არის და თავისი საინტერესო გამოკვლევა უამრავი ფრაგმენტებით აღვსია და არც ერთი ფრაგმენტი ქართულად არ უთარგმნია. ჩვენი აზრით კი აუცილებლად საჭირო იყო თვითველ ფრაგმენტს ქართული თარგმანი თან ხლებოდა. ეს წიგნი ხომ ფილოსოფიური პრობლემებით და ინტერესებულებმა უნდა წაიკითხოს და არა ფილოლოგებმა.

მოსე გოგობერიძე.



ბ. სტალინი: ლენინიზმის საკითხებისათვის

ეს წიგნი, რომელიც მიძღვნილია საკავშირო კომპარტიის ლენინგრადის ორგანიზაციისადმი, წარმოადგენს წინასიტყვაობას აშხ. ი. სტალინის ცნობილი წერილების კრებულისა სათაურით: „ლენინიზმის საკითხები“ ამიტომ შეესაძლოა მკითხველს საკითხი დაეხადოს, თუ როგორ შეიძლება წინასიტყვაობის ცალკე წიგნად გამოცემა, როდესაც თვით წიგნი არ გამოვიცია. მაგრამ საჭიროა ამ „წინასიტყვაობის“ გაცენობა, რომ ხელად დარწმუნდეთ ასეთი საკითხის უსაფუძვლობაში. აშხ. სტალინი ამ წინასიტყვაობაში მოუყვია საესებით დამოუკიდებელი და თან მონოლიტური ნაშრომი.

ამ ნაშრომის მიზანია მოკლეთ და კონსპექტიურად დააღაგოს ლენინიზმის ძირითადი საფუძვლები და განამტკიცოს მისი სიმაგრე განსაკუთრებით მე-XIV პარტყრილობაზე წარმოებულ კამათის შემდეგ. მე-XIV პარტყრილობაზე წარმოებულმა უკანასკნელმა დისკუსიამ—ამბობს აშხ. სტალინი—ჯამი გაუყვია პარტიის იდეოლოგიურსა და აღმშენებლობის მუშაობას. მან ამასთანავე ერთგვარად შეამოწმა ახალი ოპოზიციის მიერ თავის დროზე წამოყენებული დებულებანი. ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვეკითხოთ: როგორია ამ შემოწმების შედეგი?

თანამხმდე ამ საკითხისა წიგნი ეკამათება ოპოზიციის ლიდერებს აშხ. კამენევს და ზინოვიევს, და მიუთითებს მათი მსოფლმხედველობის გადახრას ლენინისტური ხაზისაგან.

წიგნაკის პირველი თავური: „ლენინიზმის განსაზღვრა“, გვასწავლის, რომ „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლიუციის თეორია და პრაქტიკა, განსაკუთრებით კი პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და პრაქტიკა“ (გვ. 7.) ამოვიგად ის წმიდა ინტერნაციონალური - პროლეტარული მოძღვრება და არა რუსეთის განსაკუთრებული მდგომარეობის იდეოლოგია, როგორც ეს კრიტიკოსებს ჰგონიით.

კუთრებული მდგომარეობის იდეოლოგია, როგორც ეს კრიტიკოსებს ჰგონიით.

ამიტომ ლენინიზმის მაგარი ძარღვი გლენტა საკითხში კი არ არის მოცემული, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში. მაგრამ ლენინი არც გლენტობის დიდ მნიშვნელობას უშვებს მხედველობიდან და ე. წ. პერმანენტისტებს იმიტომ ეკამათება, რომ ეს უკანასკნელი სათანადოთ არ ათვისებენ გლენტობის როლს და ვერ ამჩნევენ, რომ გლენტობა პროლეტარიატის უდიდეს სათადარიგო ნაწილს წარმოადგენს.

შემდეგი თავური (IV) იძლევა ლენინის თეორიას შესახებ პროლეტარული რევოლიუციისა და პროლეტარული დიქტატურისა. ექ ჩვენ ვტყობილობთ, რომ ლენინის სწავლით, პროლეტარიატის დიქტატურა კიდევ არ ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის დამთავრებას, პირიქით, იგი კლასობრივ ბრძოლის ახალ ფორმებში აგრძელებს. ის კლასი, რომელიც ხელთ აიღებს პოლიტიკურ ბატონობას, შეიგნებს, რომ იგი ერთი იღებს ამას. ასე უნდა მოიქცეს პროლეტარიატიც. მან ერთმა უნდა განახორციელოს დიქტატურა და არ უნდა დაავიწყდეს რომ დიქტატურა, გარეშე შრომის ახალი ორგანიზაციისა, ძალიან დამყარებულ ხელისუფლებასაც ნიშნავს. ამიტომ დიქტატურის განხორციელების საქმეში უნდა ჩაებას მთელი მუშათა კლასი, ყველა მისი ორგანიზაციებით, როგორც არის პროფესიონალური ორგანიზაციები, საბჭოები, კოოპერაცია, ანაღვარდობათა კავშირი და სხვ.

მაგრამ მთავარი პოლიტიკური ხელმძღვანელის როლი კი უნდა დარჩეს პროლეტარიატის ბრძოლაში გამობრძმედილი პოლიტიკური პარტიის ხელში. რასაკვირველია, ერთი მეორეში არ უნდა აფრიოთ მუშათა კლასის დიქტა-



გ ა რ ე ბ ე რ ი

ტურა და პარტიის დიქტატურა. ლენინიზმი სწრობს მუშათა კლასის დიქტატურას პარტიის ხელმძღვანელობით და არა პარტიის დიქტატურას. როდესაც ლენინი „პარტიის დიქტატურას“ ხმარობს, მაშინ სიტყვა დიქტატურა ნაბმარია, არა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ მეთაურობისა და ხელმძღვანელობის აზრით.

პარტიას უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი და არა ძალადობა. ძალადობა მუშათა კლასსზე აბსურდია და ის არ ეთანხმება ლენინიზმს. „პარტიის ავტორიტეტს მუშათა კლასის ნდობა უნდა ამტკიცებდეს“. მუშათა კლასის ნდობას პარტია ძალადობით კი არა, სწორი პოლიტიკით და თეორიით მოიპოვებს (გვ. 34).

თავისი აზრის საბოლოო დასამტკიცებლად ამხ. სტალინს მოჰყავს ლენინის უკვდავი სიტყვები:

„ხალხის მასაში ჩვენ (კომუნისტები) წვეთი თუ ვართ ზღვაში, და ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მართავადამგეობა, როდესაც სწორად გამოვხატავთ იმას, რასაც ხალხი გრძნობს. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაუძღვება პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი ვერ გაუძღვება მასებს და მთელი მანქანა დაინგრევა (სიტყვა წარმოთქმული მე-XI პარტყრილობაზე).

მე-VI თაურში: საკითხი სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ—ამხ. სტალინი იცავს მე-XIV პარტყრილობაზე ამ საკითხის გამო მიღებული რეზოლიუციის თეორიულ საფუძვლებს. სტალინის აზრი ეს არის, რომ ს. ს. რ. კავშირში, თუმცაღა ნელი ნაბიჯით (რადგან სხვა ქვეყნების რევოლიუციის ჯერ კიდევ არ მოუსწრია), მაგრამ მიხეც საგრძნობლად შენდება სოციალიზმის საქმე.

სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობა, ამბობს ამხ. სტალინი, ეს პროლეტარიატსა და გლეხობის შორის არსებულ წინამძღვრობათა გადაჭრის შესაძლებლობას ნიშნავს. ამ პროცესის აჩქარებისათვის

რასაკვირველია, კარგად სხვა ქვეყნების პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება, მაგრამ ეს პირობა აუცილებელი კიდევ არ არის. აქ ამხ. სტალინი სასტიკათ აკრიტიკებს ამხ. ზინოვიევის საწინააღმდეგო აზრს, რომელიც ისეთ ჩიხში მივიდა, რომ მისი თეორია აშენებს სოციალიზმს და თან იცის, რომ ის მას ვერ ააშენებს.

უკანასკნელი თაური: „ბრძოლა სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებისათვის“ შეეხება უმწურო პრაქტიკული ხასიათის კითხვებს. აქ განხილულია საკითხები ქალაქის და სასოფლო მეურნეობის დამოკიდებულების, კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობის, გლეხური მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური მეურნეობისათვის მოსახმარად მოწყობისათვის და ამით გლეხობის სოციალისტურ აღმშენებლობის ჩარჩოებში მოქცევის შესახებ და სხვა.

ამხ. სტალინიმა ძალიან კარგათ იცის, რომ გლეხობა თავისთავად არა-სოციალისტურ ელემენტს წარმოადგენს; მაგრამ ისეთია დღევანდელი ობიექტური პირობები, რომ გლეხობას, სხვა ზოთ სულა, თუ არა პროლეტარიატთან შეთანხმებით და თავისი ძალების სოციალისტური აღმშენებლობაში ჩაბმით, არ ძალუძს. ამიტომაც, რომ გლეხობის ჩაბმა ამ მოშაობაში პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანათაგანს შეადგენს. პარტიამ იმთავითვე უნდა გაითვალისწინოს კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობა ამ პროცესის ჩქარი ტემპით განვითარებისათვის და თავის პოლიტიკაში კოოპერაციის საკითხს სათანადო როლი დაუთმოს.

ასეთია ის მთავარი საკითხები, რომლებსაც ეხება ამხ. სტალინის საინტერესო წიგნაკი. ამ წიგნაკის ქართულ ენაზე გამოცემა აუცილებელი იყო ჩვენნი მუშებისათვის, ხოლო თაგმანის შესრულება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ამხანავი.

სარუდეცით კოლუნიას:

მ. ბახტაძე.

მ. კახიანი



# შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა.

## საბავთველო.

გვერ.

1. ვახო გორგაძე—ძირულის პირას . . . . .	5
2. ი. მოსაშვილი—საოკუნის გადასახედზე . . . . .	6
3. ვ. ვახეცკირია—სიტყვა გემიდან . . . . .	8
4. კ. ლორთქიფანიძე—მე ისევ ვდგევარ საღარაჯოზე . . . . .	9
5. გრიგოლ რობაქიძე—გველის პერანგი (დასასრული) . . . . .	11
6. ნ. შიუქაშვილი—მთის ზღაპარი . . . . .	37
7. ე. პოლუმორდვინოვი—ლურჯი სუფრა . . . . .	67
8. ვ. შალაქიაშვილი—სამნი (გაგრძელება) . . . . .	74

## დასავლეთი.

7. უპტონ ხინკლერი—მეფე ნახშირი. (გაგრძელ.) თარგ. კოწ. ჭიჭინაძისა . . . . .	111
---	-----

## კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა.

10. ყარბი—რევოლიუცია და ხელოვნება . . . . .	147
11. ბ. ფარმაკოვსკი—თანამედროვე ქართველი მხატვარი. თარგ. ვალ. გაფრინდაშვილისა . . . . .	199
12. ს. გორგაძე—აბალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან . . . . .	207
13. ს. ხუნდაძე—ეროვნული პრობლემის გარშემო . . . . .	236

## ბიბლიოგრაფია.

14. პეტრე გელეიშვილი—ქურ. „ქართული მწერლობა“ . . . . .	254
15. უცნობი—ფილიპე მახარაძე. „1905 წ. ამიერ-კავკასიაში“ . . . . .	259
16. მოსე გოგობერიძე—ს. დანელია. „ქსენოფანე კოლოფონელი“ . . . . .	263
17. ამხანაგი—ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხებისათვის“ . . . . .	266



ქართული  
წიგნობის  
კავშირის  
სამსახური

# ქართულ „მნათობი“-ს რედაქცია

ხელის მომწერლების და მკითხველთა საყურადღებოთ აცხადებს რომ ჟურნალ „მნათობი“ ხელის მოწერა გრძელდება.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები და მეცნიერები.

ჟურნალს თანამშრომლები ჰყავს, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებში, აგრეთვე საზღვარგარეთაც.

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში და აგრეთვე სათანადო კვითარებით და მანდატებით აღჭურვილ აგენტებთან.

წლიურად გამოვა 12 ნომერი ათ წიგნად და ხელის მომწერთათვის ეღირება 16 მანეთი, ნახევარი წლით—8 მანეთი, ცალკე ნომერი—2 მან ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალ „მნათობი“-ს გავრცელების ძველი სისტემა ამიერიდან გაუქმებულია: ჟურნალის გავრცელების საქმე რედაქციამ ჩამოართვა კერძო პირებს და თვითონვე უკისრია იგი. ხელის მოწერა მინდობილი აქვთ სათანადო მანდატით აღჭურვილ ქ. „მნათობი“-ს კანტორის თანამშრომლებს:

- 1) ქ. თბილისში, ა/კ. რკინისგზებზე და მთელ აღმოსავლეთ საქართველოში—ე. წულაიას, ს. ცანავას, და ი. სიგუას.
- 2) ქ. ქიათურაში—ილია ლავთაძეს.
- 3) ქ. ქუთაისში (არის განყოფილება)—ახვლედიანს (აღმასკომის წიგნის მაღაზიაში).
- 4) ქ. ფოთში, სამტრედიისში, ხონში და სამეგრელოში მიტ. გალდავაძეს.
- 5) ქ. ბათუმში—ტ. სიხარულიძეს.
- 6) ქ. ოზურგეთში—მ. კანუყვაძეს.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ივ. მაჩაბლის (ყოფ. სერგიევის) ქ. № 13 ზელოვნების ხახახლე, ოთახი 17.

P. S. ვიხაც 1925 წლის რომელიმე ნომერი დააკლდა, გვაცნობთ სათანადო საბუთების წარმოდგენით და ნომერს მიიღებთ.